

ქსენია სიხარულიძე

ნაკვეთები

I

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1958

აქტორისკან

კრებულში შესული ნარკვევები სხვადასხვა დროს არის დაწერილი. ნაწილი წერილებისა პირველად იბეჭედება. სახელდობრ: კონსტანტინე გამსახურდია და ხალხური შემოქმედება, გიორგი ლონიძე და ხალხური შემოქმედება, ირაკლი აბაშიძე და ხალხური შემოქმედება, საგმირო ლექსები, კორნელი კეკელიძე და ხალხური შემოქმედების საკითხები, სვანეთში სამეცნიერო მივლინების ანგარიში. დანარჩენი წერილები გამოქვეყნებული იყო სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში. ადრე გამოქვეყნებული ზოგი წერილი იბეჭედება შესწორებით. ნარკვევების ამ სახით გამოცემა, ვფიქრობთ, სარგებლობას მოუტანს მწერლობითა და ხალხური შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს.

თბილისი
1957 წ.

კონსტანტინე გამსახურდია და ხალხური შემოქმედება

კონსტანტინე გამსახურდია ეკუთვნის ნახევრული სიტყვის იმ ოსტატთა რიცხვს, რომელთა შემოქმედებაც სტანბის კუპრის აშრობამდე საყოველთაო აღიარებას პოულობს. რა ხასიათისაც არ უნდა იყოს ნაკლი ამ ოსტატთა შემოქმედებისა, რაც არ უნდა უსაყვედუროთ მათ ამ ნაკლოვანებათა გაშო, ისინი არიან წამმართველნი ნახევრული ლიტერატურის განვითარების გზებისა. კონსტანტინე გამსახურდია საბჭოთა ნახევრული პროზის განვითარების გზის ერთი სახელოვანი წამმართველია. ანიტომ ბუნებრივია ის დიდი ინტერესი, რაც მისი მდიდარი პროდუქციის ამა თუ იმ მხარის კვლევას ახლავს. უდიდესი დიპაზონის მქონე მწერალი გასაოცარი სიღრმით ფლობს ორიგინალურსა და უცხოურს ლიტერატურულ, ისტორიულ და ხალხურ წყაროებს. წარმატებით იყენებს ამ წყაროებს ჩვენი ქვეყნის, მშობლიური ხალხის წარსულისა და აწმყოს მაღალმხატვრულად წარმოსახვისა თუ ნათელი მომავლის წარმოდგენის საშუალებად. კონსტანტინე გამსახურდიას უაღრესად რთული შემოქმედების წყაროების საკითხი საინტერესოა არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობისთვის, არამედ—ლიტერატურის თეორიისათვისაც. კ. გამსახურდიასათვის, ისევე როგორც ლევ ტოლსტოის, მაქსიმ გორკის, მიხ. შოლოხოვის, მიხ. ჯავახიშვილის და სხვა დიდი რომანისტებისათვის, ხალხური შემოქმედება არის შთაგონების წყარო და ამავე დროს საშუალება ტიპების სრულყოფის, გმირთა სახეების განვითარების, ხასიათების, განწყობილებების გადმოცემის, ნაწარმოებთა სიტუაციების შექმნის და ნახევრული ენის გამდიდრებისა. ამგვარად, როდესაც ქართული ნახევრული პროზის ამ გამოჩენილი ოსტატის ხალხურ შემოქმე-

დებასთან დამოკიდებულების საკითხს ვსვამთ, მიზნად ვისახავთ არა ფაქტების რეგისტრაციას, აღნუსხვას იმისა, თუ რა აიღო მწერალმა ხალხური შემოქმედების სალაროდან, არამედ—ლიტერატურული პროცესების ჩვენებას. გვსურს ვაჩვენოთ ხალხური შემოქმედების როლი კ. გამსახურდიას მრავალფეროვანი შემოქმედების განვითარებაში, მისი მხატვრული მეთოდის ჩამოყალიბებაში.

კ. გამსახურდიას ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულების საკითხი მნიშვნელოვანია აგრეთვე ფოლკლორისტიკის ისტორიისთვისაც. მწერალს ფიქსირებული და საგნის ღრმა ცოდნით დახასიათებული აქვს სხვადასხვა ჟანრის ხალხური ნაწარმოებები.

ზეპირსიტყვიერების მასალების შერჩევა, მათი გამოყენება ნაწარმოებთა ფაბულის განვითარებასა თუ ტიპების შექმნაში კ. გამსახურდიას შემოქმედების განვითარების ყველა საფეხურზე ერთგვარი არ არის. თუ აღრინდელ ნაწარმოებებში ხშირ შემთხვევაში ზეპირსიტყვიერება დეკადენტურ შემოქმედებას ექვემდებარება, თუ მასალების შერჩევა ზოგჯერ ექსპრესიონიზმის გავლენით ხდება, მომდევნო საფეხურებზე, როცა მწერალი რეალისტური ხელოვნების ქეშმარიტ გზაზე დგას, ზეპირსიტყვიერებაც მეტწილად პროგრესული იდეების მსახურია და ხელს უწყობს ნაწარმოებთა ხალხურობის გაღრმავებას.

როდესაც ანალიზს ვუკეთებთ მწერლის მიერ ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა დარგის მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა გამოყენების მაგალითებს, ვრწმუნდებით იმაში, რომ კ. გამსახურდიამ თავისი შემოქმედების განვითარების გვიანდელ საფეხურზე ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ღრმა ცოდნით გააცოცხლა და აღადგინა თაობიდან თაობაზე ზეპირად, ხშირ შემთხვევაში ფრაგმენტების სახით გადმოცემული ნაწარმოებები, მომხიბვლელ ესთეტიკურ სიმაღლეზე აიყვანა და მისცა მათ დიდი ქმედითი ძალა.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საგმირო და საისტორიო ხალხური ნაწარმოებები.

მწერლის შთაგონების ერთი მნიშვნელოვანი წყარო არის ამგვარი ნაწარმოებები სამკარიანი რომანის „მთვარის მოტაცების“ მიხედვით. ამ რომანის ფაბულის განვითარებაში, სოციალისტური შინაარსის გაღრმავებაში, მხატვრული ფორმის სრულქმნაში დიდი და სერიოზულია ხალხური შემოქმედების ფუნქცია. ჩვენ არ ვიზიარებთ მოსაზრებას, თითქოს „მთვარის მოტაცება“ მხოლოდ ცდა იყოს სოციალისტური სინამდვილის ასახვისა სოფლის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის პერიოდში. სამწუხაროდ, რომანი მთლიან-

ნად დაზღვეული არ არის დეკადენტური ხელოვნების გავლენისაგან. ბურჟუაზიულ-დეკადენტური ხელოვნების მავნე გავლენა ჩანს რომანის ცალკეული სიტუაციების შექმნისას. მთლიანად „მთვარის მოტაცება“ ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია, ამსახველი რთული სოციალური ვითარებისა, იმ დიდი ძვრებისა, რაც ჩვენს სინანდვილეში ხდებოდა სოფლად კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის პერიოდში. გამოკვეთილი ტიპები, სახეები, ხასიათები ორი ერთიმეორის საპირისპირო გაღვრებიდან არ გვაძლევს უფლებას რომანი მთლიანად ბურჟუაზიულ-დეკადენტური ხელოვნების მავნე გავლენის მატარებლად მივიჩნიოთ. საინტერესოა სახეები არზაყან ზვამბაიას და მისი სვანი მეგობრისა. კ. განსახურდიამ მისთვის ჩვეული ოსტატობით გვიჩვენა, რომ ამ ახალგაზრდათა გზა ყოველთვის ია-ვარდებით არ იყო მოფენილი. მათ უხდებოდათ ბრძოლა წარსულის გადანაშთებთან, მათ უხდებოდათ გადალახვა ძველი ტრადიციებისა. ამ დაბრკოლების გადალახვა განსაკუთრებით მძიმე იყო იმითაც, რომ მათ უხდებოდათ ბრძოლა უახლოეს ადამიანებთან, ოჯახის წევრებთანაც-კი. თავად-აზნაურთა ნაშინერების,—განწირული კლასის გზა თუ ბედი დიდი მხატვრული ძალით არის ნაჩვენები თარაშ ემხვარის სიცოცხლის დასასრულში. „უთენია, შავი ზღვისკენ მიჰქონდა ენგურს პირადმა მწოლარე შავიოხიანი ცხედარი. ლაინისფერი გადაკროდა ზღვას მშვიდად მთვლემარეს. მთვარე აღარ სჩანდა ცაზე. ერთად-ერთი ღრუბლის ფთილა შერჩენოდა მალაქიტის ცას, კოლხური ოქროს საწმისის ფერისა“¹.

რომანის დასასრულს გადმოცემული ტრაგიკული ბოლო თარაშ ემხვარის სიცოცხლისა და ამასთან დაკავშირებული ბუნების მომხიბლავი სურათი, გამომხატველი მწერლის განწყობილებისა, რომანის ფაბულის განვითარების სხვა ხერხებთან ერთად არ არის დამახასიათებელი დეკადენტური ნაწარმოებისათვის. ამგვარად, ხალხის შემოქმედებითი ფანტაზიაც ამ ნაწარმოებში დეკადენტური ხელოვნების მსახური კი არ არის, არამედ—სოციალისტური რევოლუციის მეთოდით წარმართული საბჭოთა ლიტერატურისა. რომანში გამოყენებულია სხვადასხვა ციკლის საგმირო და საისტორიო ნაწარმოებები. მწერალი რომანის გმირის პირით მაღალ შეფასებას აძლევს თბილისის აშენებაზე შექმნილს, ვახტანგ გორგასლის სახელთან დაკავშირებულ გადმოცემის მხატვრულ მხარეს: „არც ერთი კლასიკური ქალაქის დაარსებას ასეთი ლამაზი მითი არ უძევსო

¹ მთვარის მოტაცება, III, 1936, გვ. 239.

სარჩულად¹. სოციალისტური მშენებლობით აღფრთოვანებული მოზენივე ხალხის განწყობილებას უშუალოდ გაგვაცდევინებს მწერალი საგმირო-საფერხულო სიმღერების საშუალებით. რომანის ერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდია ელექტრონის გაყვანილობით აღტაცებული სვანების ფერხულის შესანიშნავი აღწერა: „ტაფობზე ბანაკი დაეცათ მუშებს. ორიოდ ბანაკში ცეცხლი ენთო... ელექტრონის გაყვანილობის საქურველნი, ალუმინის, სპილენძის, რკინის, ფოლადის და ფაიფურის ნივთები მოეტანათ პირველად იმ ქვეყანაში, სადაც ურმის თვალი ჯერ არავის ენახა, ბანაკების შუაგულში ერთადერთი სვეტი იდგა, ტელეგრაფის სვეტი. ორას ვოლტიანი ლამპა ლაქლაქებდა ზედ.

ზემო სვანეთიდან მოყვანილი სამასი სვანი ფერხულს უვლიდა ამ ელექტრო სვეტის გარშემო.

ბორგავდნენ, როკავდნენ ნხარბეკიანი, გრძელკანკიანი დეეკაცები. ზარბაზნის ვაზნის ზეთსავით ქუდები რიალებდნენ წრეში, რომახიანი ხმით გრგვინავენ სვანები. რაზმ-რაზმად, წყვილ-წყვილად აწვებოდნენ ურთიერთს მხარგრძელნი. ტკაცუნებდნენ გრძელ სატევრები ქამრის თავებზე.

მეფერხულეთა ცალი მწკრივი იწყებდა:

„რა ვქნა, ვერ ვიტყვი ვოა შაირსა“.

ხოლო მეორე უპასუხებდა:

„თამარ დედოფალი აგოსჯდა“²...

...ფერხული გრძელდებოდა. კამკამებდა მოცეკვავეთა თვლებში ხასხასა შუქი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ახლად-მოვლენილი ელექტროს სინათლეს უმღეროდნენ სვანები თავიანთ რომახიან ჰიმნებს, შვიდი საუკუნის მანძილზე ნაშლერს.

ახლა ბეთქელის ფერხული დაიწყეს სვანებმა³. თამარ მეფის სახელთან დაკავშირებულ ნაწარმოებთა ტრადიცია საქართველოში მწერალს არა ერთხელ აქვს აღნიშნული. იგი გამოყენებულია განწირული კლასის წარმომადგენლის თარაშემხვარის ხასიათის გახსნის, მისი განწყობილების გამოსახატავად⁴.

¹ მთვარის მოტაცება, III, 1936, გვ. 172.

² იქვე, გვ. 36, გვ. 23—24.

³ იქვე, გვ. 85, 200.

⁴ იქვე.

ყოფის საინტერესო სურათებს ქმნის და ადამიანთა ხასიათებს გვაცნობს რომანში ჩართული ერეკლე მეორის ციკლის სიმღერები ან სიმღერების ტრადიცია. ამ ციკლისა და სხვა საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა გამოყენებისას რომანში ერთგვარ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე. ძველი და ახალი ყოფის დაპირისპირებისას, სოციალისტური მშენებლობის შედეგად აღორძინებულ თბილისში წარსულის გადანაშთების აღნიშვნასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „სიონთან მათხოვრები ირეოდნენ, ბრმა მეფანდურე იქვე იჯდა და ერეკლე მეფის გმირობას უმღეროდა, ყველას მიერ აწ დავიწყებულს“¹.

საგმირო-საისტორიო სიმღერების ტრადიციაზე არ არის მართებული აგრეთვე მოსაზრება გამოთქმული ერთი ღრმა სოციალური შინაარსის მქონე აფხაზური ლექსის შესრულების გარემოს აღწერასთან დაკავშირებით. ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის მიერ საგნის ღრმა ცოდნით აღწერილ სიმღერების შესრულების გარემოს და მშვენივრად დახატულ 120 წლის აფხაზი სახალხო მთქმელისა და მომღერლის პორტრეტს: „ღრმად მოხუცებული ჩოხიანი აფხაზი იჯდა მუხის ნამორზე. დაღეული, ძველებური ფაფახი ეხურა მთლად გახუნებული, თითქმის სავსებით უქუთუთო თვალები ჰქონდა, მარლია კამეჩის თვალსაფიით თეთრი გუგები უჩანდა. იჯდა და უკრავდა აბზირცას ბერიკაცი“². ცარიზმთან ბრძოლის ცეცხლში შექმნილი სიმღერების ხასიათის შესასწავლად მნიშვნელოვანია რომანში ჩართული მწერლის მიერ ფიქსირებული და აფხაზურიდან ქართულად თარგმნილი თუ ხალხურ ყაიდაზე შექმნილი მისი საკუთარი ღრმა სოციალური შინაარსის მქონე ტექსტი:

შამილი და ვრამბუტი
 ეჭვრენო თურმე რისებს,
 ვრამბუტის ძველი ხმალი
 ელავდაო ვით ირისე,
 გაღმა იდგა ერმოლოვი
 და გამოღმა იყო ფლატე,
 შემოესმა: „ვრამბუტო,
 მეფეს რატომ უღალატე?“
 გადასძახა ვრამბუტმა,

¹ მთვარის მოტაცება, II, 1936, გვ. 159.

² იქვე, I, გვ. 158.

მთებმა რისხვით დაიგრავინა:
„შენ და შენი რუსხენმწიფე
ორივ ღმერთმა შეგარცხინათ“¹.

არ შეიძლება დავეთანხმოთ მწერალს, როდესაც ამგვარ სიმღერებს მიიჩნევს ისევე გადასულად, როგორც აზნაურობას და ისევე გადანაშთად, როგორც აზნაურობის ატრიბუტებს². მწერალს გვინდა შევნიშნოთ, რომ პატრიოტული იდეების შემცველი საგმირო სიმღერები წარსულის გადანაშთი კი არ არის, „ყველას მიერ აწ დავიწყებული“³, ან კიდევ აზნაურობასავით გადასული⁴, არამედ—ტრადიცია, რომელიც საფუძვლად უდევს პროგრესულს და მონაწილეობს ახლის შექმნაში. ამიტომ სავსებით მიზანმეწონილია და მოსაწონი, რომ რომანის პირველ ნაწილში დიდ ეროვნულ გმირ ერეკლე მეორეზე შექმნილი ლექსი მწერალმა ამღერა საქორწილო ღვინის მონაწილე ტრაქტორისტებს⁵. რომანის პატრიოტულ მოტივს ამახვილებს მასში ჩართული გადმოცემა რუხის ციხეზე⁶. სოფლის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის პერიოდში თავად-აზნაურთა ნაშვირებისადმი მწერლის დამოკიდებულებას გვაცნობს ღრმა სოციალური შინაარსის მქონე, ხალხის მახვილი სატირის გამოხატველი ამბავი. იგი ჩართულია წინასიტყვაობაში, რომელიც წამდღვარებული აქვს თავს „ბარათები მახეშის კოშკიდან“. თარაშ ემხვარის ბარათების შექმნასთან დაკავშირებით მწერალი გვაძენებს: „თარაშ ემხვარი უვნებლად გადარჩენია ჩემს მიერ ნასროლ ტყვიას. ეს რომ გავიგონე, ერთგვარი ქეჯნა მომეშვა გულიდან. რადგანაც ბრძენთაგან დაუმოწმებიათ ქვემოთედ თქმული: კაცს სიკვდილამდე ვადა აქვსო გამოსწორების.“

ამ შემთხვევაში მე ერთი ამბავი მაგონდება. ერთი ფრიად თავმოთნე და ტირანი ქართველი ფეოდალი მტკვარში იხრჩობოდა თურმე. მოურავმა უყვირა გლეხებს:

„ბატონი იღუპება, მიეშველეთო“!

„არა უშავსრა“, მიუგო მოხუცმა ნაყმევმა, „ბატონი თავის ნებისაა, შენი კირიმე, როგორც მოიპრიანოს ისე იბანავოს“⁷.

¹ მთვარის მოტაცება, I, გვ. 158—159.

² იქვე, გვ. 158—159.

³ მთვარის მოტაცება, II, გვ. 159.

⁴ იქვე, I, გვ. 159.

⁵ იქვე, გვ. 223—229.

⁶ იქვე, გვ. 27.

⁷ იქვე, III, გვ. 64.

უქნარა ბატონებისადმი მშრომელთა დამოკიდებულების გამომხატველ ამ ანბავს რომანში მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული. იგი რთული სოციალური პრობლემის გადასაქრელად არის გამოყენებული. რომანში გამოყენებულია აგრეთვე სხვა ხალხთა საისტორიო ნაწარმოებებიც, როგორცაა, მაგალითად, რომაული თქმულება ძუ მგელის მიერ რომელისა და რემის აღზრდის შესახებ, ერთ შემთხვევაში თქმულება თბილისის აშენებაზე შექმნილ ქართული გადმოცემის დააახასიათებლად არის გამოყენებული¹, მეორე შემთხვევაში კი — ძველი რომისა და ახალი იტალიის შესაღარებლად².

გმირის ხასიათს გეაცნობს საგვარეულო გადმოცემები ჰუნანიზმის იდეის მატარებელ ნოველაში „დათვი“. მწერალი ძველი და ახალი ყოფის ადანიანებს უპირისპირებს და გვაროვნული წყობის გადანაშთებს ახასიათებს მოხუცი პაპა აფთარაულის ნათქვანი გადმოცემებით³.

საგმირო და საისტორიო ხალხურ ნაწარმოებთა გამოყენების თვალსაზრისით აღსანიშნავია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლის სვეტიცხოვლის ტაძრის აგებასთან დაკავშირებული, უსახელოდ გადასულ დიდოსტატთა ტრადიციის ამსახველი ფრაგმენტული ლექსი:

ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიპირეს, მკლავი მომპრეს,
რატომ კარგი აგიგია⁴.

პირველად ეს ლექსი გარემოს აღწერის მიზნით „მთვარის მოტაცებაში“ შეტანილი. იქვე გვამცნო მწერალმა საკუთარი დამოკიდებულება ხალხური პოეზიის ამ ერთი ძველი, ღრმა სოციალური შინაარსის მქონე ნიმუშისადმი: „მოსთქვამდა მეთარე დიდოსტატის ბედს, ჯერ კიდევ ბნელ დროებში ხალხის მიერ გამოტირებულს“⁵. შემდეგ ეს ლექსი ეპიგრაფად წაუძღვარა მწერალმა რომანს „დიდოსტატის მარჯვენა“, ლექსი კი არა ფრაგმენტი რაღაც უფრო ვრცელი თქმულებისა, რომელსაც მთლიანი სახით

¹ მთვარის მოტაცება, I, გვ. 173.

² იქვე, გვ. 67.

³ თვალთაძე, 1939, გვ. 34.

⁴ ცნობილია ამ ლექსის ექვსსტრიქონიანი ვარიანტიც.

⁵ მთვარის მოტაცება, II, გვ. 204.

არ მოუღწევია ჩვენამდე. გვაგონდება რომანის პროლოგში ექვთიმეს პირით ნათქვამი: „მწერლობა გმირობის გამოსარჩლებათა მხოლოდ, მიჩქმალული გმირობის ქომაგიცაა მწერალი“¹. ფრაგმენტული ლექსი სვეტიცხოვლის ოსტატზე უდავოდ შთამაგონებელი იყო ნიჩქმალული გმირობის ქომაგი მწერლისათვის, როდესაც იგი ქმნიდა შესანიშნავ რომან „დიდოსტატის მარჯვენას“. ამ გარემოების უგულვებელყოფის გამო უნდა ვუსაყვედუროთ კ. გამსახურდიას შემოქმედების მკვლევარებს. უგულვებელყოფილია ეპიგრაფად წამძღვარებული ხალხური ლექსი დიმიტრი ბენაშვილის მიერ რომანის წყაროების აღნიშვნისას. დიმ. ბენაშვილი წერს: „თუ გონების თვალთ შევხედავთ კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ავტორი ხშირ შემთხვევაში დაყრდნობილია მოგონილ ფაქტებზე, მაგრამ ყოველივე ეს შეთანხმებულია რომანში აღწერილ დროსთან. კონსტანტინე გამსახურდიას აქვს მიზეზი აზგვარი მოქმედებისა. რომანში აღწერილი ეპოქის შესწავლის დროს მწერალს ხელთ აღმოჩნდა ძლიერ სცირე ისტორიული საბუთი. „ქართლის ცხოვრება“, ეს დიდი მოწინე საქართველოს წარსულისა, ძლიერ ძუნწად იძლევა ცნობებს ზემოაღნიშნულ ეპოქაზე. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი, მხოლოდ ზოგიერთ ცნობას გვაწვდის იმავე ეპოქაზე. ამრიგად, არაბულ და ბერძნულ სქემატურ მასალებთან ერთად მწერლის ხელთ იყო მხოლოდ ფანტაზიის ცხოველმყოფელი ძალა“².

„დიდოსტატის მარჯვენას“ წყაროების აღნიშვნისას უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ეპიგრაფად წამძღვარებული ხალხური ლექსი. ხალხის მიერ გულწრფელად ნათქვამი სტრიქონები ჩვენამდე მცირე სახით მოღწეული ამბავი დიდ ტილოზე, დიდი ხელოვნებით არის გაშლილი. ხალხური ფრაგმენტული სიმღერით შემონახული ოსტატის ღვაწლი ჩვენი წარსულის ღრმა კოდნით არის დახასიათებული რომანში. არ ვეთანხმებით მოსაზრებას, თითქოს კ. გამსახურდიამ „დიდოსტატის მარჯვენაში“ ვერ აჩვენა ხალხი. დაუფიწყარი, შთამაგონებელი სახე არსაკიძისა, რომელიც რომანში თანდათანობით დიდი ხელოვნებით არის განვითარებული, სახეა მშრომელი ხალხის შეილისა. არსაკიძის დიდი სიყვარული სამშობლოსადმი, მშობლიური ხელოვნებისადმი, თავგანწირვა უკვდავი ქმნილების შესაქმნელად დამახასიათებელია რევოლუციამდე-

¹ დიდოსტატის მარჯვენა, 1953, გვ. 10.

² ქართული ლიტ. ისტორია, III, 1956, გვ. 376.

ლი ოფიციალური ისტორიის მიერ უგულვებელყოფილი მშრომელი ხალხისა. „სიტყვაში განცხადება“ არსაკიძის ხელოვნებისა, მშრომელი ხალხის გენიის, ნიჭის, ამაგის უკვდავყოფაა. არსაკიძის სახის შექმნით მწერალმა გვაჩვენა ისტორიის შემოქმედი ხალხი. ამ შემთხვევაში მისი შთაგონების ერთი წყარო ხალხური პოეზიაც იყო.

რომანში მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს დაკისრებული საქართველოს მთაში მეტად გავრცელებულ საგმირო სიმღერას. იგი დაკავშირებულია მიმინოთი ნადირობის სცენასთან. მიმინოთი ნადირობას საქართველოში ძირითადად არისტოკრატიული წრე მისდევდა¹. ნადირობის ამ ფორმასთან დაკავშირებული სასიმღერო ტექსტებიც, გავრცელებული თავად-აზნაურთა შორის, არ არის მაინცა და მაინც მაღალი იდეების შემცველი. ერთი ამგვარი ტექსტი ფუქსავატი თავადის სახის შესაქნელად გამოყენებული აქვს რ. ერისთავს პიესაში „ქაჩუა“². ლაზისტანში მიმინოთი ნადირობის ფორმა უცხო არ ყოფილა მშრომელთა წრისთვისაც. კ. გამსახურდიას რომანის გმირი ლაზი კაბუჯი მიმინოთი ნადირობისას მღერის იდეურად ღრმა, მაღალმხატვრულ ლექსს. „ხევის სიღრმეში საცალფეხო ბილიკს შესდგომოდა თორიანი კაბუჯი ცხენით. ფხოვური ქრელ-ქრელა კაბა ეცვა ტანკენარს, ფხოვური ქუდი ეხურა თავზე, ფარი ზურგზე დაეკიდნა, მარცხენაზე მიმინო შეესვა, დახოცილი მწყრები, ბარე თორმეტი თავქვე ეკილა წელზე შებმული თასმით.

დაქანცული ცხენი ულიზლამოდ მიაკანტურებდა თავს. ჩაქჩაქით მიჰყვებოდა ბილიკს. მიმინო აქეთ-იქით თვალს აცეცებდა და კაჭბის კრიახს მიუგდებდა ყურს.

უღარდელად მიიმღეროდა თორიანი კაბუჯი აღმართზე.

„ჰარალო, ჰარიარალუუ,
ჰარალო, ჰარიარალუუ...
კაი ყმა, მგელი, არწივი
არცერთი არ გაიწურთნება
ჰარალე, ჰარიარალუუ...“

ხევის გადაღმა, სადაც ქარაფის კიდეს მურივით აჩნდა ხევიდან ამომავალი ბილიკის ტოტი, ფხოვრ სამოსში მორთულ დიაცს შეეყენებინა ცხენი.

¹ ალ. რობაკიძე, მიმინოთი ნადირობა გურიაში, „მომოხილველი“, I, გვ. 178—179.

² რ. ერისთავი, დრამატიული ნაწერები, IV, გვ. 131; ქს. სიხარულეძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, 1956 წ., გვ. 112—113.

„კოსტანტილეე, ჰაუ კოსტანტილეე“...

იძახდა დიაცი.

თვალზე ხელისგულს იჩრდილავდა, ხან დასავლეთისაკენ გაშლილ ბარს გადასცქეროდა, ხან ისევ ხევისკენ მიბრუნდებოდა და მთელის ხმით ყვიროდა:

„კოსტანტილეე, ჰაუ კოსტანტილეე“...

„ჰარალუ, ჰარიარალუ,
მგელი არ მოშლის მგლობასა,
კაი ყმა მამაცობასა,
ჰარალუ, ჰარიარალუ“...

მღეროდა ვაჟკაცი, არხეინად მიაჩაქჩაქებდა ცხენს. ნელა მიჰყვებოდა აღმართისკენ ბილიკს. ხევი ქშუოდა, კაკბები უფრო განძაფრებით კაკანებდნენ. ჰაბუკი განაგრძობდა ლიღინს:

„ჰარალუ, ჰარიარალუ,
კაი ყმა მამაცობასა,
არწივი არწივობასა,
მთის ყურში ნადირობასა“¹.

ხალხური ლექსი ამშვენებს მწერლის მიერ დახატულ საყოფიერო გარემოს, მაგრამ ეს არ არის მისი ძირეული ფუნქცია. რომანში ჩართული ხალხური ლექსი წინასწარი პირობაა გმირის ბუნებისა და ხასიათის გახსნისა. იგი ერთი საშუალებაა არსაკიძის ვაჟკაცური ბუნების, მისი უღრეკი ნებისყოფის წარმოსახვისა. აღსანიშნავია, რომ ნადირობის შესანიშნავი სურათი, რასაც უკავშირდება ხალხური ლექსი, წინ უძღვის რომანის მძაფრ სიტუაციებს. ამავე ლექსის სტრიქონების გადამუშავებით „დავით აღმაშენებელში“ მოცემულია ხასიათები გიორგი მეფის და შამან ერისთავისა².

„დიდოსტატის მარჯვენაში“ ძველი საგმირო ამბების ტრადიცია უარყოფითი გმირის ხასიათსაც გვაცნობს. პაპა სუმბატასაგან მოსმენილი ამბები ბრძოლების, ფალავნური შეტაკებებისა, გოდოლების შემუსვრისა და სხვათა შესახებ მშვიდობის მოძულე ფარსმანში ომის წყურვილს აძლიერებს³.

საისტორიო სიტყვიერება მნიშვნელოვანი ფაქტორია კ. გამსახურდიას ვრცელი მოცულობის დაუმთავრებელი რომანის „და-

¹ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 75—76.

² დავით აღმაშენებელი, III, 1953, გვ. 58.

³ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 123.

ვით აღმაშენებლის“ სიუჟეტის განვითარებაში. ეროვნული გმირის სახის შესაქმნელად რომანში ჩართულია მრავალ ვარიანტად ცნობილი ლეგენდა და ვით აღმაშენებლის მიერ ეშმაკის გაწვრთნის ანუ მისი ჯორად ქცევის შესახებ. ამ ლეგენდის ზოგი ვარიანტით, როცა ჯორს ლაგამი აყარეს, იგი ისევ ეშმაკად იქცა და გაუჩინარდა¹. რომანში ლეგენდის ეს ვარიანტებია გამოყენებული. სათაფლისაჲკენ გასეირნებისას დედისიმედი ეუბნება დავითს: „...ამბობენ, ეშმას წურთენაც ენარჯვებო დავით მეფეს თურმე ...ასე გვიამბო მნათემ, დავით მეფე უფლისწული ყოფილა მაშინ, ერთ საღამოს ნადირობიდან მობრუნებულს გზაზე შემოხვდომია ეშმა, წასტანებია და შეუპყრია სული ბოროტი. ეშმა ჯორად ქცეულა წამსვე, ზედ შემჯდარა უფლისწული, აქ მოუყვანია, საყბურები შეუსხამს და ამ გალაფანში შემოუგდია, მეორე დღეს ბერებს გაჰკვირვებიათ საყბურიანად რადა სძოვსო ჯორი, საყბური აუხსნიათ თუ არა, ჯორი გაუჩინარებულა მყისვე, ბოლო ეშმა იმ თიხის მკლავში შემძვრალაო ბილწი“². ლეგენდასთან დაკავშირებულ ქალაქის დიალოგით შექმნილია რომანის საინტერესო სიტუაცია. ამას გარდა ლეგენდის საშუალებით გადმოცემულია დედისიმედისა და დავით აღმაშენებლის განწყობილებები. დავით მეფის ძალაში დარწმუნებულს ერისთვის ქალს ლეგენდა სინამდვილედ მიაჩნია³. დავით აღმაშენებელი თავის დროისათვის უდაოდ პროგრესული მოღვაწე იყო. ხალხს სწამდა მისი ძალა, სიდიადე და გამჭირაბობა. ეს გამოხატულია თქმულებებსა და ლეგენდებში. მწერალმა ლეგენდის გამოყენებით მისი რომანის გმირების ხასიათებსა და განწყობილებებთან ერთად გაგვაცნო ხალხის ამგვარი რწმენა.

დავით აღმაშენებელზე, ისე როგორც სხვა დიდ ეროვნულ გმირებზე, სიცოცხლეშივე იქმნებოდა ლეგენდები. ზეპირსიტყვიერების ამგვარი ტრადიცია გამოყენებული აქვს მწერალს გმირის სახის შესაქმნელად: „და ითხზებოდა ათასგვარი მითი მოსერიეთა უქმ გონებაში. გრძნეული აბჯარი აცვიაო დავით მეფეს ტანზე, მის მოშხამულ ისარს ვერ აკავებსო ვერავითარი ფარი, ვერც არაბული, კორეიშითული, რომელზედაც გველის პერანგს გადააკრავდნენ ხოლმე, ვერც ირანული, ვიგრის ტყავისა, ველარც ბერძნული, ძელისა, კამეჩის ტყავით გარსმოვლებული“⁴. უნდა შევნიშნოთ

¹ ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949, გვ. 212—213.

² დავით აღმაშენებელი, I, 1942, გვ. 323—324.

³ იქვე, გვ. 330—331, 354.

⁴ იქვე, გვ. 4.

მწერალს, რომ ფანტასტიკური თქმულებები და ლეგენდები ეროვნული გმირების შესახებ არ არის უქმი გონების ვარჯიში. ამგვარ ნაწარმოებებს რეალური საფუძველი აქვთ. მათი ფანტასტიკის სამოსელში სინანდელია დაფარული. საკიროა კრიტიკულად მიუხედავად ზეპირსიტყვიერებას იმის გამო, რომ ყოველგვარი წარმატება მხოლოდ დავით აღმაშენებლის სახელთან არის დაკავშირებული, რომ თქმულებებსა და ლეგენდებში არა ჩანს ხალხის როლი ქვეყნის გაერთიანებისა და აღდგენის საქმეში. ყოველივე ეს მაინც არ გვაძლევს უფლებას ამგვარი ნაწარმოებები „მოსეირნოთა უქმი გონების მითებად“ მივიჩნიოთ. „ვახის ყვავილობაში“, სადაც მწერალმა ცხოვრების ღრმა ცოდნით ასახა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრების ხანა და დიდი სამამული ომის პერიოდის, საისტორიო და საგმირო სიმღერები გმირთა განწყობილებას გვაცნობს.

ლეგენდარული ლექსი, რომელიც ლაშა გიორგიზეა შექმნილი და კონტამინაციის წესით ერეკლე მეორის სახელთან დაკავშირებითაც არის გავრცელებული, რომანში საბჭოთა ადამიანების სალხინო სუფრას ამშვენებს. ნიკო მირიანაშვილის სტუმრების გასართობად ცისტვალა დამღერის ფანდურზე:

„ბატონიშვილს ერეკლესა,
ირმის ძუძუ უწოვნია,
დაკარგულა საჩაღეში,
მონადირეს უპოვნია“¹.

საყოფიერო გარემოს ასახავს და გმირის განწყობილებას გვაცნობს ამავე რომანში ხალხური სტრიქონები: „ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს ირემსა შავი ტყისასა“².

აღსანიშნავია, რომ ლეგენდების შექმნაზე მკლარი შეხედულება ამ რომანში უარყოფითი გმირის ხასიათთან არის დაკავშირებული³.

რომანის სოციალურ შინაარსს აღრმავენ სატირული გადმოცემა, რომელიც მწერალმა აღრე „მთვარის მოტაცებაში“ გამოიყენა⁴. აბრია უჯირაულის ცოლის თხოვნაზე, რომ უშველოს წყალში ჩავარდნილ მის ქმარს, მეურმე ჟანგო მიუგებს: „აბრია თავისნება კაცია, როგორც სურდეს, ისე იბანავოს“⁵. ამგვარად გამო-

¹ ვახის ყვავილობა, 1956, გვ. 193.

² იქვე, გვ. 273.

³ იქვე, გვ. 295.

⁴ მთვარის მოტაცება, I, გვ. 173.

⁵ ვახის ყვავილობა, გვ. 653.

ხატულია პატიოსან მშრომელთა დამოკიდებულება სოციალური მშენებლობის მტრებისადმი.

არაიშვიათად იყენებს მწერალი ეპიკური ციკლის ნაწარმოებთა მოტივებს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს „მთვარის მოტაცება“. გმირის ხასიათს გვაცნობს ქართული კლასიკური თქმულების გმირის ამირანის მწარე ხეივანი. თარაშ ემხვარის აუხდენელი ოცნება ასეა გადმოცემული რომანში: „გუშინ არ იყო განა ეს ასე? გუშინ, გუშინწინ ქაბუკი ამირანი ეგონა თავი, ბნელ გვირაბში ძალის შემნახველი—უცდიდა მერმე დღეს და საათს, ასე ეგონა, როცა იქნება ძალას გვირაბიდან გამოიღებდა, და ამის შემდეგ თვით შესძრავდა იგი ქვეყანას“¹. ამირანისა და დალის ციკლის თქმულებათა მოტივები გმირის სულისკვეთებას გადმოგვცემს. ხალხური მასალა გმირის მძიმე განცდის გამოხატვის საშუალებაა. იგი იძლევა რომანის მძაფრი სიტუაციის ერთგვარ ახსნას. ქალაქში ჩამოსულმა შარვაშიძის ქალმა თმები შეიკრიჭა. ამ საქციელით მან გამიჯნურებულ თარაშ ემხვარს გული გაუცივა. ამასთან არის დაკავშირებული თამარისა და მისი დედის დიალოგი, მოგონება თქმულებებისა ცაში დაკიდულ კოშკში მცხოვრებ ოქროსნაწნავეებიან მზეთუნახავსა და მასზე გამიჯნურებულ ოქროსკბილიან რაინდზე. დედა-შვილი იგონებენ, თუ როგორ აცდუნა ეშმამ ქალი, შეაკვიცინა ოქროს ნაწნავეები და ამგვარად შეაძულა იგი რაინდს².

დალისა და ბეთქილის საფერხულო სიმღერები, თამარ მეფის შესახებ შექმნილ საფერხულო სიმღერასთან ერთად, გამოხატავს ხალხის ზეიმს სვანეთში ელექტრონის გაყვანილობის გამო³.

მითოლოგიის შედარებითი შესწავლისათვის საინტერესოა რომანში დალის შედარება ნადირობის ქალღმერთებთან—ბერძნული არტემისსა და რომაულ დიანასთან. ამ რომანში ეპიკური ციკლის ნაწარმოებთა მოტივების გამოყენებით ყურადღებას იქცევს ხათუნას მოთქმა შვილზე. გამწარებული დედის წყევლა გენეტიკურ კავშირშია აბესალომის ფიცთან ეთერისადმი⁴. ეპიკური გმირის ამირანის სახე „დიონისოს ღიმილში“ კ. სავარსამიძის განწყობილებას ქმნის⁵. ნოველაში „ხოგაის მინდია“ ეთერიანის მოტივი ქმნის

¹ მთვარის მოტაცება, III, გვ. 180.

² იქვე, გვ. 240.

³ იქვე, გვ. 24, 26, 27, 29.

⁴ ეთერიანი, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, შესავალი წერილითა და შენიშვნებით, ხალხ. სიტყვ. IV, 19:4 წ.

⁵ დიონისოს ღიმილი, 19:3, გვ. 358.

სახეს ქისტების ტყვეობაში მყოფი გმირისა¹. ზღაპრული სამყარო, იგავები და არაკები კ. გამსახურდიას შემოქმედების ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. გმირთა ხასიათების, განწყობილებების, ნაწარმოებთა სიტუაციებისა და ყოფის სურათების შესაქმნელად მწერალი არაიშვიათად მიმართავს ზღაპრების, იგავებისა და არაკების სიუჟეტებს, ეპიზოდებს, მოტივებს, სახეებს, ტრადიციასა და შესრულების წესებს.

დეკადენტური ხასიათის ნოველებში, როგორცაა „ტაბუ“, „ქალის რძე“ და სხვ. ზღაპრის ტრადიცია ძველი ყოფის სურათების შესაქმნელადაა გამოყენებული. ზღაპრული სიუჟეტების, მოტივების, სახეების, ხერხების გამოყენებით ყურადღებას იქცევს „დიონისოს ღიმილი“. რომანში ზღაპრული სამყარო თითქმის ყოველთვის კონსტანტინე სავარსამიძის ცხოვრებას, ხშირ შემთხვევაში მის არაჯანსაღ განწყობილებას უკავშირდება².

„მთვარის მოტაცებაში“ ზღაპრის როლი ნაწარმოების იდეასთანაა დაქვემდებარებული. ამ რომანში მწერალმა ზღაპრული პერსონაჟის საშუალებით შექმნა ნაკაცარი, დაღეული ლუკაია ლაბახუას პორტრეტი: „...ისე დაღეული, საოცარი მოჩანდა მთვარის შუქზე, ასე იტყოდით, ბავშვად ქცეულაო. თეთრწვეროსანი მოხუცი უფრო ზღაპრულ კომბლესა ჰგავდა ლუკაია, ვიდრე ადამიანს“³. ამავნაწარმოებში ზღაპრული მოტივი სატირად არის გამოყენებული. საინტერესოა ამ მხრივ ბაბუა ტარიელისა და ლუკაია ლაბახუას დიალოგი:

„...სად დაიკარგე, შე ლენჩო, ამდენ ხანს?...“

„სად ვიქნებოდი? სად ვიყავი? სად ვიქნებოდი? ...ღიი!!!“

...სად ვიყავი და ქვირითს ვითვლიდი რიყეზე“

„მერმე რამდენი ყოფილა, შე გადარეულო?“

„იმდენი, რამდენიც კენჭია“.

„მაშ კენჭი რამდენი ყოფილა, შე აფრაკო?“

„ხუთჯერ მეტი, ვიდრე ვარსკვლავი“⁴.

ამ შემთხვევაში მწერალს შემოქმედებითად აქვს გამოყენებული ხალხური ზღაპარი, რომლის მიხედვით მეფე მოხუცს აძლევს სამ კითხვას:—ცაზე რამდენი ვარსკვლავია, სად არის ქვეყნის შუაგული და რას ფიქრობს მეფე⁵. ზღაპრული გმირის მოქმედება გა-

¹ თვალთა, 1939, გვ. 156.

² დიონისოს ღიმილი, გვ. 70, 73, 147, 159, 219, 381, 382, 410—413, 417—418, 421, 425.

³ მთვარის მოტაცება, I, გვ. 218.

⁴ იქვე, II, გვ. 19.

⁵ იქვე.

მიჯნურებული ქაბუჯის განწყობილებასაც გვაცნობს. თარაშ ემხვარი შარვაშიძის ასულს ეუბნება: „ასე მგონია, შენი გულისთვის მღვეების ბუნაგს ავიკლებ-მეთქი“¹ ამავე ნაწარმოებში გვიჩვენებს სულისკვეთების გადმოცემის მიზნით კარგად არის გააზრებული ზღაპრების გავლენა ბავშვებზე. საინტერესოა თარაშ ენხვარის მოგონებები მისი ბავშვობის წარმოდგენებსა და ოცნებებზე: „შელამებულ ბუხრის წინ ზის მარტოკა ბაღლი მისოუსტ. საკუთარ თითებს ეთამაშება. ცერი ეს ცნობილი რაინდია ვარდან ვარდანიძე, ჯუჯა, მაგრამ მუხის კუნძივით დასკვნილი ვაეკაცი.

„ადე ვარდან, აიღე ფარხმალი და წაართვი მზეთუნახავი ზღვათა მეფეს ოქროსნაწნავიანი“.

„შენ ჰე, შერგილ,—უბრძანებს თარაში საჩვენებელს,—ეახელ რაინდს და გზა უჩვენე“.

—„შენ კი შემადავლე (შემადავლე ჰქვეა შუა თითს) უჩინმაჩინის ქუდი დაიხურე და ღამით მიეპარე ბროლის ციხე-კოშკს ზღვათა მეფისას“.

„შენ ქოსატყუილა, შენც ნაცარქექიავე, თქვენც თან წაპყევით ამ ჩემს მოყმეებს“, უბრძანებს მისოუსტ უსახელოს და ნეკს, რადგან ზღაპარშიც გაუგონია: უჩინარნი და მატყუარანიც გამოსდგომიან კაცს გასაპირში“².

რომანის ერთი დასამახსოვრებელი ადგილია ძიძის მიერ ფანტასტიკური მითოლოგიური ამბების შესრულება სასიკვდილოდ განწირულ თამარ შერვაშიძის სარეცელთან: „ყოფილან, ყოფილან, ყოფილან, ღვთის უკეთესი ან რა იქნებოდა... მზე და მთვარე მეგობრები ყოფილან ოდესღაც“. გადმოცემულია მზისა და მთვარის გამიჯნურება ქვრივის ერთადერთ მზეთუნახავზე. მათი შეჯიბრი. მზის მიქრა მზეთუნახავთან და მოალერსება. ქვრივის გაბრაზება და მზისთვის რძის შესხმა. მზის გათეთრება და ცაში აქრა. შემდეგ მთვარისათვის ნებვის სროლა. ძიძა ასე ამთავრებს ზღაპარს მზისა და მთვარის შესახებ: „ამ დღიდან მზე ასე გათეთრებული დაყილობსო ცაზე, ამიტომაც მეგრულად „ბეა“ მზესაც ჰქვია და ძროხის რძესაც, ხოლო მთვარეს ფუნის ტალები ზედ რომ ატყვია, ამას ჩვენთაგანი ყოველი ხედავსო“³. ძიძის ზღაპარი მწერალს შექმნილი აქვს მზისა და მთვარის შესახებ, არსებულ იმ მითოლოგიურ თქმუ-

¹ მთვარის მოტაცება, II, გვ. 90.

² იქვე, გვ. 236.

³ იქვე, III, გვ. 187.

ლებებიდან, რაც გავრცელებულია თითქმის ყველა ხალხში¹. ხოლო მწერალს ეს თქმულებანი თავისებურად აქვს გადამუშავებული და ორიგინალურად დაკავშირებული თავისი გმირის მწარე ხვედრთან. მათი საშუალებით შექმნილია ფსიქოლოგიურად მეტად ღრმა სიტუაცია.

ნოველაში „ხოგაის მინდია“ ზღაპრის ტრადიცია ქმნის ხევსურული ყოფის საინტერესო სურათს: „ჩამოსთოვა გარშემო ქედებზე, შეშა მოიმარაგეს არხოტიონებმა, ბერიკაცები მოემზადნენ გრძელ ღამეებში გრძელი ზღაპრების სათხრობლად“². ამავე ნაწარმოებში გამოყენებულია იგავ-არაკის შემეცნებითი და აღმზრდელი მნიშვნელობა.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ დათვისაგან დატორილი მამამზის სარეცელთან მესაწოლე ბერის მიერ ზღაპრების თხრობა გვაცნობს ზღაპრის ძველ ტრადიციას ფეოდალების კარზე³. ინგილოს ცნობა ავაზას დასაგეშად ზღაპრების თხრობის შესახებ⁴ წარმოგვიდგენს იმ შორეულ წარსულს, როდესაც პირველყოფილი მონადირენი ზღაპრებსა თუ ზღაპრების პროტოტიპებს იყენებდნენ ნადირთა მოზიდვისა და მავნე სულთა განდევნის მიზნით. „დავით აღმაშენებელში“ სიყრმის მოგონებას აცოცხლებს ზღაპრული პერსონაჟი თეთრი მშველი⁵. დავით მეფის განწყობილებას და მოწოდებას გვაცნობს ამავე ნაწარმოებში მოხდენილად ჩართული იგავი.

მშობლებისაგან განსხვავებული მისი ხასიათისა და მისწრაფებათა და დედის, დედოფალ ელენეს კმუნვის გამო იმის შესახებ, რომ „ომის ამტეხი დიაცია“—აგონდება მეფეს არაბული იგავი ერთი: „კრუხმა თუ ვით გამოჩეკა იხვის ქუქები. გაზარდა და წამოაჩიტა თუ არა, ზღვას მიადგნენ და შიგ შესცურდნენ გახარებულნი თურმე: ნაპირს აწყდებოდა გულგახეთქილი, უკუუხმობდა თავის გაზრდილთა მზრდელი, რადგან არ ესმოდა, რომ იხვების ბუნება უფსკრულების ზედაპირზე ცურვას თავათ“⁶. აქვე სიტუაციას ამძაფრებს და დავით მეფის შორსმკვრეტელობას გვაცნობს „სინდთა მეფის იგავი ვახტანგ გორგასლისადმი თქმული“ როგორც მას უწოდებს მწერალი. გვარამ ერისთავთან საუბარში მტრის შევრდომების მოწინააღმდეგე დავით მეფე იგონებს იგავს: „აღბათ შენაც

¹ Э. Ланг, Мифология, Перевод Н. и В. Харузинных, 176.

² თვალთა, გვ. 171, 190.

³ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 26.

⁴ იქვე, გვ. 268.

⁵ დავით აღმაშენებელი, I, გვ. 77.

⁶ იქვე, გვ. 426.

გსმენია ყველა ვით იპოვნა ქორის ბახალა ერთი, გაზარდა და გამოწაფა იგი, მაგრამ რა წაძოიჩიტა გაზრდილი, ნავარდი მოუნდა და შემოეკამა მზრდელი¹. ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ არის მიმართული და ათანასე ბერის ხასიათის გამოსაკვეთად არის გამოყენებული გავრცელებული ზღაპრული ნოტივი თვალის ამობანის საშუალებით ბრმის თვალის ახელის შესახებ, ჩართული აცინგანის მარჩიელობაში: „...როგორც კი იერუსალიმს ჩახვალ, მანდ ღვთიშობლის მიძინების ეკლესიის მახლობლად ერთი კლდეა, იმ კლდიდან ქრისტეს ცრემლების წყარო გადმოჰქუხს, ამ ცრემლებით თუ თვალებს ამოიბან, უთუოდ აგეხილებაო თვალნი“². თუ როგორ შეთავაზონა ცრუმორწმუნე ბერი მარჩიელობამ, ამას გვაცნობს მისი სიტყვების დასასრულის აღწერა: „გააცივა. დასიცხული ბოდავდა: ხვალ დილაადრიან ავდგები, ცრემლების წყაროზე თვალებს ანოვიბან, ეგებ სინათლე მომიბრუნდეს და განთავისუფლებული იერუსალიმი ვიხილოო, მაგრამ მეორე დღეს მკვდარი იპოვეს საწოლში“³. აღსანიშნავია, რომ ზღაპრებში მოტივის სახით შესული ამგვარი რწმენა დაკავშირებულია გეოგრაფიულ სახელწოდებებთანაც. ბორჯომის ხეობაში არის წყარო, რომელსაც თვალის წყაროს უწოდებენ. გადმოცემით იგი ჰქურნაჲდა ბრმებს⁴.

ზღაპრები და იგაეები მნიშვნელოვანი ფაქტორებია „ვაზის ყვავილობის“ სოციალური შინაარსისა და მხატვრული ფორმის შექმნისას. ზღაპრის ტრადიცია ამ რომანში უკავშირდება წარსულის რომანტიკასაც და თანამედროვე მჩქეთარე ცხოვრებასაც. ერთ შემთხვევაში იგი კორინთელის განცდებს გვაცნობს. საზღვარგარეთიდან სამშობლოში დაბრუნებულს, ბუნების გარდამქმნელი შრომით გატაცებულ პროფესორს წისკვილის დანახვამ ჩოაგონა სიყმაწვილე, როდესაც მას „უყვარდა სოფელს განრიდებულ მეწისქვილესთან კერის პირად ჯდომა და ძველთაძველი ზღაპრების მოსმენა“⁵. მეორე შემთხვევაში ზღაპრის ტრადიცია დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებთან არის დაკავშირებული. ლეიტენანტი გულუხაიძე ფრონტიდან ბარათს უგზავნის პროფესორ კორინთელს. აღწერს ფაშისტების შტურმბატალიონების შესევას ჩრდილო კავკასიაში. მტრის დესანტებისა და დივერსანტების წინააღმდეგ საბრძოლვე-

¹ დავით აღმაშენებელი, I, გვ. 432.

² იქვე, II, გვ. 272.

³ იქვე, III, გვ. 32.

⁴ ქეთევან ირემაძის მიერ ფიქსირებული 1943 წ.

⁵ ვაზის ყვავილობა, გვ. 92.

ლად გენერალ ლესელიძის ხელმძღვანელობით წარმოგზავნილი საბ-
ქოთა მეომრები მოათავსეს გემის „ანაპას“ ბორცზე. „ანაპას“ მო-
გზაურობის სირთულესთან დაკავშირებით ბარათში ნათქვამია:
„შიგ შუა ზღვაში ღუზას ჩაუშვებდა „ანაპა“, გემს დააბნელებდნენ
და მთელი ღამე ვიდრე ვიღებო ბნელში. ჩვენ წარებზე წამოვწვებოდით
და ხევესურულ ზღაპრებს დაიწყებდა ხიჩჩლა.

„იყო და არა იყო რა“...

მიგვიღებთ თუ არა? შეეკითხებოდა ჩვენი რადისტი რომელი-
მე ქალაქს. გვიპასუხებდნენ: ბომბავენო ქალაქს¹. დროის მოკვლის
მიზნით ზღაპრის მოყოლა, მეზღაპრეთა თხრობის მანერა რომანში
გამოყენებულია აგრეთვე გმირთა შეხვედრასთან დაკავშირებით.
ციხისწისკვილში კორინთელი ნუნუსა და ნიორთავას უამბობს
ოღისეას შინაარსს. მწერალი მას აღარებს ტაატით მოსაუბრე ძველ
მეზღაპრეს². ყურადღებას იქცევს რომანში ხალხური ზღაპრის ნა-
ცარქექიას გამოყენება. ერთი მხრივ აღსანიშნავია ის, რომ მწე-
რალს მშვენივრად აქვს ახსნილი ამ ზღაპრის ხასიათი, რომ იგი
გამომხატველია ქართველი ხალხის ჯანსაღი სულისა. არ არის
სწორი, როდესაც ამ ზღაპრის ძირითად პერსონაჟს უმწეო და სა-
საცილო აღამიანთა განსახიერებად მიიჩნევენ. სწორად გაგებულნი
ხასიათი ზღაპრული პერსონაჟისა მწერალს გამოყენებული აქვს
მისი გმირის დახატვის საშუალებად. საერთოდ უნდა აღინიშნოს,
რომ რომანში გულუხაიძის (ნიორთავას) სახე მეტად ორიგინალუ-
რად ვითარდება. შესაძლებელია ზოგ მკითხველს იგი არაბუნებრი-
ვადაც კი მოეჩვენოს. ამ გმირს თავიდანვე სათანადოდ ვერ აფა-
სებენ მისი თანასოფლელები. სამამულო ომმა გამოააშკარავა მისი
გმირობა. აღსანიშნავია, რომ ომის დაწყებამდე ხალხური ზღაპრის
მოტივით მწერალი გვაძლევს მისი ხასიათის ერთგვარ გასაღებს.
მოვიგონოთ ნიორთავასა და გოდერძის საუბარი. ნიორთავა გო-
დერძის ეუბნება: „იცი, გოდერძი, მე არ მიყვარს წუწუნი, მძაგს
ტირია აღამიანები, რომელნიც მუდამ ოხრავენ, სიღარიბესა და
მუცლის გვრემას უჩივიან.

მათ არ ესმით, რომ ეს ცხოვრება ცხენსა ჰგავს ერთ რამეში:
მარჯვედ უნდა შეახტე მას ზედ, თორემ თუ ქვეშ მოექცევი, უთუოდ
გადაგთქერავს საკუთარი, უსაყვარლესი ცხენიცა.

მე ქვეშ მომიქცია ამ ცხენმა, მაგრამ შენ რომ ნაცარქექიას
მეძახდი ოღესლაც, როცა იქნება გამოვძვრები და ზედ მოვახტები,
იციოდე.

¹ ვახის ყვავილობა, გვ. 506.

² იქვე, გვ. 103.

მე მართლაც ნაცარქექია ვარ, გოდერძი, შენმა მზემ, ამიტომაც ვემუქრები ჩემი წისქვილიდან ასთავიან მღვეებს, მთელი ქვეყნის არამზადებს ომს ვუცხადებ ჩემი ციხისწისქვილიდან, ჰი, ჰი...!¹.

ლეგენდარული ზღაპრის მოტივით გამოხატულია რომანში საბჭოთა მებრძოლების საშინელი ყოფა ფაშისტურ კონცლაგერში. ბურჟინსკი ასე მიმართავს თანამებრძოლებს: „არ დაელონდეთ, ბიჭებო, დაღმართში მომგორავ თავის ქალასი არ იყოს, გადასახდელი გადაგვხვდა. დაგვხოცვენ ეს პირძაღლები, სხვა რაღა იქნება“². ზღაპრების როლი ბავშვების ცხოვრებაში, ზღაპრების მოტივების გამოყენება მათ გართობა-თამაშობაში კარგად არის დახასიათებული მედიკოსთან საუბრისას კორინთელის ნოვონებაში³.

რომანის სოციალურ შინაარსს აღრმავენ იგავი ბუს და არწივის დამოყვრებაზე. ამ იგავით ღამით გამართულ ქორწილში არწივის მართვემ ვერ იცნო თავისი საცოლვე. ღლისით გამართულ ქორწილში ბუს ბახალამ ვერ იცნო საქმრო⁴. მამისაგან მოსმენილ ამ იგავს იგონებს პროფესორი კორინთელი. იგავი კარგად განიხატავს კორინთელისა და ვაჩნაძის ქალის ხასიათების სხვაობას, ნებვირად აღზრდილი ვაჩნაძის ქალი, რომელმაც საზღვარგარეთ განიცადა კაპიტალისტთა ოქროს ძალა, ვერ შეეგუა ბერძუნაში გაჩაღებულ ბუნების გარდამქმნელ შრომას, მისთვის მოსაწყყენი გახდა კორინთელის თავდადება სოციალისტურ მშენებლობაში.

ჟ. გამსახურდიას შემოქმედებითი გზის გასათვალისწინებლად, ამ მრავალფეროვან შემოქმედებაში განვითარების სხვადასხვა საფეხურის წარმოსადგენად, საინტერესოა დაკვირვება სხვადასხვა ეპოქის სიმღერებისა და ლექსების გამოყენებაზე სხვადასხვა ნაწარმოებში.

ჟ. გამსახურდიას შემოქმედებაში საკმაო რაოდენობით გვხვდება თაქიზი გემოვნებით შეჩინული ხალხური პოეზიის სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებები—შრომის სიმღერები, სატრფიალო, საყოფაცხოვრებო, ფილოსოფიური ლირიკის, საწესო პოეზიისა და სხვ. ნიმუშები. ამ შემთხვევაშიც ნწერალი ხალხურ მასალას აძლევს თავისებურ გააზრებას, აკისრებს გარკვეულ როლს ნაწარმოებთა ფაბულის განვითარებაში. სიმღერებისა და ლექსების ფუნქცია ნოველებში—შედარებით აღრინდელ ნაწარმოებებში ერთგვარი არ

¹ ვახის ყვავილობა, გვ. 407—408.

² იქვე, გვ. 591.

³ იქვე, გვ. 51.

⁴ იქვე, გვ. 262.

არის. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია იდეა ნაწარმოებში-სა. ასე მაგალითად, „დამსხვრეულ ჩონგურში“ ოსტატურად არის გამოყენებული ეროვნული ხალხური საკრავის შთამაგონებელი როლი. იგი დაკავშირებულია დედა-შვილის სიყვარულის დიად გრძნობასთან და აღრმავებს ნაწარმოების ჰუმანიზმს¹. განწირული ადამიანის დიდ სულიერ ტკივილს უკავშირდება მეგრული მოთქმის „თვალუას“ დახასიათება „ქოსა გახუში“². ნოველაში „ტაბუ“ კი ზეპირსიტყვიერება ექსპრესიონიზმის მსახურია. ნოველაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი შელოცვების ტრადიციას. ამ ნოველის შეფასებისას არ შეიძლება არ ვერწმუნოთ დიმ. ბენაშვილს. იგი წერს: „მთელი ნოველა დაბნელებულია კოშმარული და ჩვენი ეპოქისათვის მიუღებელი იდეებით“³. ნოველაში მწერალი ერთგან შელოცვის შესრულებას უწოდებს როშვას⁴, მაგრამ ეს ვერ მატებს ღირსებას ნაწარმოების იდეას. რაც შეეხება შედარებით გვიანდელ ნოველას „ხოგაის მინდია“ ამ ნაწარმოებში ხალხური პოეზიის ყველა ჟანრი პროგრესული იდეებისათვის არის გამოყენებული, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მწერალი თანდათან მტკიცედ ღვება რეალისტური ხელოვნების კემმარიტ გზაზე.

ზაირების, სალამურისა და ფანდურის ტრადიცია ნოველაში კმნის ძველი ყოფის სურათებს⁵. კარგად არის აღწერილი გლოვის წესი. ხოგაის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საინტერესოა საგმირო-პატრიოტული ხასიათის გლოვის ტექსტი: „...გზათაც ინათლები, ბნელშიაც ნუ დარჩები, ნუმც რა დაგაშინებსა, ხმლითაც ილალო, მტერსაც იბრუნებო, გულმაგრადაც ხარო...“⁶

სხვადასხვა სახის სიმღერებისა და ლექსების ტრადიცია მნიშვნელოვანი ფაქტორია „დიონისოს ლიმილის“ ფაბულის განვითარებაში. მაგრამ ზეპირსიტყვიერების როლი ყოველთვის ერთგვარი არ არის ამ რომანში და სიმღერებისა და ლექსების გამოყენებასაც სხვადასხვა ხასიათი აქვს. სიმღერების ტრადიცია რომანში მეტწილად კონსტანტინე სავარსამიძის განწყობილებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ ზოგ შემთხვევაში ტრადიციული ქართული ხალხური სიმღერები, რაც განმტკიცებულია და განვითარებული საუკუნეების მანძილზე რეაქციულ და პროგრესულ შეხედულებათა

¹ თვალთაჲ, გვ. 9—10.

² იქვე, გვ. 82.

³ ქართული ლიტ., III, გვ. 347.

⁴ თვალთაჲ, გვ. 141.

⁵ იქვე, გვ. 181, 183.

⁶ იქვე, გვ. 156.

პრძოლებში უკანასკნელის გამარჯვებით, ამ რომანში თითქმის არაფრის მთქმელი არ არის. ამის მაგალითია „მრავალეამიერის“ შესრულება პარიზის ქუჩაზე ნაღვინევი ხალხის მიერ¹. ვერც ძველი, მნათობთა კულტის ამსახველი სარიტუალო სიმღერა („მზეა—დღდა ჩემი“) გვაგრძნობინებს იმ პათოსს, რაც ახასიათებდათ მის შემსრულებელ ჩვენ წინაპრებს. მწერალს იგი გამოყენებული აქვს არა-ქათგამოლეულ ნაღვინეთა განწყობილებების გადმოსაცემად². ნაწარმოების მთავარი გმირის ხასიათს ქმნის, მის ავადმყოფურ სულისკვეთებას გვაცნობს რომანში ჩართული გველის გასაჩერებელი შელოცვა³.

ეპოქას ჩამორჩენილი ადამიანის განცდებს გვაცნობს ამ რომანში საახალწლო პოეზიის ტექსტი⁴.; გამიჯნურებული სავარსამი-ძის ალტაცებას გაგვაცდევინებს მაყრული „მოვდივართ, მოგვიხარია“⁵. რომანი მთლიანად დეკადენტური ხელოვნების დიდი გავლენითაა შექმნილი და მწერლის მიდრეკილება რეალისტური ხელოვნებისადმი აქა-იქ იჩენს თავს. ანგვარი მიდრეკილება იგრძნობა ზეპირსიტყვიერების გამოყენების ხასიათშიც. აღსანიშნავია ამ მხრივ რომანში გამოყენებული სიმღერის („ერეხელი ვარ, მერეხელი“), ფუნქცია. მწერალი ამ სიმღერას რამდენჯერმე იყენებს და უნდა ითქვას, რომ ამით ერთგვარი სიჯანსაღე შეაქვს მისი გმირის დაცემულ განწყობილებებში⁶.

რომანში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ხასიათებისა თუ განწყობილების გადმოსაცემად მოცემულია საინტერესო დახასიათება ქართული სიმღერებისა. საყურადღებოა ამ მხრივ დოქტორ ფატენაურის სიტყვები: „მე ხსოვნაში ჩამრჩა, თქვენ, ქართველები, ძლიერ ლამაზ ეროვნულ ჰიმნებს მღეროდით. მერმე ერთნა იცეკვა. ის სიმღერები ბავშვობაში ინდოეთში განაგონ ხალხურ სიმღერებს მაგონებდნენ“⁷. ამავე რომანში დახასიათებულია სიმღერისა და მუსიკის ტრადიცია სხვა ხალხში. ხაზგასმულია მოხეტიალე მუსიკოსთა როლი იტალიელთა ყოფაში⁸, სიმღე-

¹ დიონისოს ლიშილი, გვ. 153.

² იქვე, გვ. 380.

³ იქვე, გვ. 146.

⁴ იქვე, გვ. 149.

⁵ იქვე, გვ. 163.

⁶ იქვე, გვ. 156, 246, 380.

⁷ იქვე, გვ. 331.

⁸ იქვე, გვ. 189.

რისა და შვირის ტრადიცია იტალიურ ქორწილში¹ და სხვ. სიმღერისა და მუსიკის საზოგადოებრივ დანიშნულებას გვაცნობს ან რომანის სტრიქონები: „ვილჰელმშტრასსეს ახლოს პატარა არკის ქვეშ მოხეტიალე მუსიკოსები დგანან“.

შვიდი ბრმა ჯარისკაცი და ერთი ხნიერი ქალი, ქალი გერმანულ ლაუტზე უკრავს, ფორმაშემოხუნებული ბრმა ჯარისკაცები მღერიან. და ეს არ ჰგავს სრულიად სიმღერას, ეს არა ჰგავს იმ გერმანელების ფოლადის ხმას, ომში მიმავალი ფოლადის მუზარადიან ჯარებისაგან რომ გამიგონია, ეს არა ჰგავს სიმღერას, არამედ დამარცხებულ გმირების გლოვის ზარს“².

არც ერთ ნაწარმოებში არ არის ისე დიდი რაოდენობით შეტანილი სხვადასხვა ჟანრის სიმღერები და ლექსები, როგორც „მთვარის მოტაცებაში“. აქ გვხვდება თითქმის ყველა სახე პოეზიისა—შრომის სიმღერა, სატრფიალო და საყოფაცხოვრებო ლირიკა, საწესო პოეზიის დარგები. ხალხური მასალების შერჩევა და განოყენება ამ რომანში უფრო მეტად ემსახურება რეალისტურ ხელოვნებას, ვიდრე „დიონისოს ღიმილში“ და ზოგ ნოველაში. ყოფის საინტერესო სურათს ქმნის „ურმის კრიალი“ და „მეკამეჩის სევდიანი ღილინი“³; სვანური ლილეს ვაჟკაცურ გუგუნს წარმოგვიდგენს გზააბნეული თარაშ ემხვარის განცდები მახვშის კოშკში⁴; საქორწილო ლხინის სურათებს ქმნის რომანში სიმღერების ტრადიციის კარგი აღწერა, მაგრამ უმართებულოა აფხაზური საქორწილო ლხინის აღწერისას ჩართვა სტრიქონებისა:

დალაი, დალაი მხედრებო,
დალაი, დალაი“⁵

ეს არის ცნობილი თუშური სამგლოვიარო ტექსტის დასაწყისი⁶. თვითონ კ. გამსახურდიას აქვს იგი გამოყენებული ნოველაში „ხოგაის მინდია“ გარდაცვლილ კარგო თამარიძის დატირების აღწერისას⁷.

ძველი ყოფის გადანაშთებთანაა დაკავშირებული აფხაზური

¹ დიონისოს ღიმილი, გვ. 210—211.

² იქვე, გვ. 263.

³ მთვარის მოტაცება, III, გვ. 79.

⁴ იქვე, გვ. 87.

⁵ იქვე, I, გვ. 225.

⁶ ვ. კ. ო. ტ. ტ. ი. შვილი, ხალხური პოეზია, 1934, გვ. 265 და 395.

⁷ თვალთა, გვ. 178.

ლის გადანაშთის, გმირთა ხასიათებისა და განწყობილების გამო-
სახატავად არა იშვიათად არის გამოყენებული შელოცვების ტრა-
დიციაც¹.

ძველი და ახალი ყოფის დაპირისპირებისას ახალი ყოფის
უპირატესობის ჩვენების მიზნით რომანში გამოყენებულია აგრეთვე
ხეთა თაყვანისცემის რიტუალი და მასთან დაკავშირებული ლოც-
ვის ტრადიცია: „დილის ათი საათი არ იქნებოდა, როცა კოხორას
ტყის აღმოსავლეთით ჰაეროპლანი გამოჩნდა. ლომკაც ესვანჯიას
და ბესლან ტარბას ბობოლები გაეყვანათ კოხორას ტყეში. დიდ
მუხის ძირას დაბანაკებული თავკაცები ბჰობდნენ, დელეგატს ირ-
ჩეედნენ ტფილისს, მთავრობასთან წარსაგზავნს. საყვირის ხმაზე
თავმოყრილმა აფხაზმა გლეხებმა მსხვერპლი შესწირეს ხეთა მეფეს
და ლოცვები აღავლინეს. ჰაეროპლანის გუზგუზმა დიდი აურზაური
შეიტანა ბობოლების ბანაკში—თვითმფრინავი მცირე ხანს ირაოს
აკეთებდა ეთერში და მერმე კოხორას ტყეს გადაეფლო და აღმო-
სავლეთით მდებარე ველზე დაეშვა“².

ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის მნიშვნელობა აქვს ამავე
რომანში დახასიათებულ ისეთ სიმღერებს, რომელიც ან სრულებით
არ არის ცნობილი სხვა მასალების მიხედვით, ან კიდევ ნაკლებად
არის შესწავლილი. ასეებია კენსრულის³, ახრააშვას⁴, აზარას⁵
და სხვათა დახასიათება. განსაკუთრებით საინტერესოა დახასია-
თება ლამით შესასრულებელი მგზავრულის ერგეაშვასი:

„...სულ სხვაა ეს ლამეული მგზავრული.

ერგეაშვას უწოდებენ მას.

ერგეაშვას მგრგვინავი, ვაჟკაცური ხმით მღერიან. მოგზაურთა,
გზამოკრილთა და წყალში გაკირვებულთა გასაგონად“⁶.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ სოფლის შესანიშნავ სურათებს
ქნის მენახირე ბავშვების სიმღერა⁷, მწყემსის მიერ სალამურის
დაკვრა⁸, თემშარაზე გამოსული ბიჭუნების უდარდელი სიმღერე-
ბი⁹. ამავე რომანში კარგად არის გამოყენებული სიმღერის კავში-

¹ მთვარის მოტაცება, I, გვ. 120; II, გვ. 43—44; III, 133, 155—156.

² იქვე, III, გვ. 231.

³ მთვარის მოტაცება, I, გვ. 159, 165, 179.

⁴ იქვე.

⁵ იქვე, გვ. 7.

⁶ იქვე.

⁷ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 135.

⁸ იქვე, გვ. 137—138.

⁹ იქვე, გვ. 232.

რი მაშერალთა ლხინსა და ქირთან¹, მისი დიდი აღმზრდელობითი ფუნქცია². სიმღერის დიდ როლს ადანიანთა ყოფაში უშუალოდ გაგვაცდევინებს რომანის დასამახსოვრებელი ადგილი, სადაც ჩართულია ხალხურ კილოზე აწყობილი წერლის შესანიშნავი ლექსი: „წიმილისაგან ღონემიხდილნი თანდურზე უკრავდნენ, ნაღვლიანად ღიღინებდნენ ზოგნიც.“

ლოდზე ჩამომგდარიყო მწითური ლაზი, აჩხაკუნებდა ფანდურს, ზედ ამღერებდა სამიჯნურო შაირს. სიყრმეშივე განაგონი ჰქონდა არსაკიძეს ეს ჰანგი, ახლა ძლივს არჩევდა ლაზურ სიტყვებს ფანდურის ხმაზე:

„ზღვისფერი გაქვს თვალები და თავთ ჰგავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები და მითხოვდები სხვას,
მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხვნას.“

გადავლახვე ადიდებულ კოროხსა და მტყვარს,
ცუცხლს გავატან შენს სამყოფლოს, შენს სიყვარულს—ქარს,
და მოგიკლავ, მოლაღატევ, მაგ ნათერებ ქმარს.

ზღვისფერი გაქვს თვალები და თ-ვით ჰგავხარ ზღვას“.

არსაკიძე განზრახ დაყიალობდა ფარდულეების წინ, ბრბოში. ახლა შენიშნა სიკვდილის საფრთხემ შაირობა და სიმღერა კოანატრა ხალხს. აჩხაკუნებდა ფანდურს, სევდიანად კვნესოდა მწითური ლაზი“³. შემდეგ ადამიანის ბუნების ღრმა ცოდნით არის გადმოცემული არსაკიძის განცდები, დაკავშირებული მეფანდურის სიმღერასთან.

ამ მეტად საინტერესო სცენის აღწერით მწერალი გვახედებს ჯამიანობით შეწყუბებულ მაშერალთა გულში და შორენაზე გამიჯნურებულ არსაკიძის აფორიაქებულ სულში. ამავე დროს მეფანდურის სახით წარმოგვიდგენს წარსულში უანგარო სახალხო მომღერალთა როლს მშრომელი ხალხის ყოფაში.

ამავე რომანში საწესო პოეზია წარსული ყოფის ცოცხალ სურათებთან ერთად გვაცნობს გმირთა სულისკვეთებას, მათ ხასიათებს, რომანში კარგად არის აღწერილი ტაროსისათვის განკუთვნილი რიტუალი ლაზარობა. სიმართლით აღწერილი ეს რიტუალი თავისებური ხერხია გიორგი მეფისა და ყველისციხის პატრონი

¹ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 301, 314, 315, 336.

² იქვე, გვ. 262.

³ იქვე, გვ. 315—316.

გირშელის ხასიათების განოსაკვეთად, ე. წ. მაღალი რანგის ავტორ-
ცობის სამხილებლად. რიტუალის აღწერა ასე მთავრდება: „ფეხშიშ-
ველა დიაცები დაძრწოდნენ ორლობებში, თიხის ლაზარე ეკირათ
ხელში, საწყალობლად გალობდნენ.

„ლაზარ' მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა...

ღმერთო, მოგვეც ტალახიო,
ალარ გვინდა გორახიო“.

მღუმარედ ისხდნენ მოქანცული მხედრები გაღვარულ ცხენებ-
ზე, უთვალთვალდნენ ფეხშიშველა დიაცებს, მზისგან დაბრაწულ
შიშველ წვივებს.

ენატრებოდათ სეფექალებისაგან თავმოებზრებულებს ქარმი-
ცემული ლოყების კოცნა...“¹

დიდი ხელოვნებით არის აგრეთვე აღწერილი ფერხული მთაში
გავრცელებული სიმღერის ჩართვით „დღესამ დღეობა ვისია, წმინ-
დისა გიორგისია...“ და სხვ. ფერხულის შესანიშნავი აღწერა გარდა
იმისა, რომ ქმნის ყოფის სურათს, ლამაზი ფორმით გადმოგვცემს
მწერლის ჩანაფიქრს. ფერხულის აღწერით ვეცნობით უსამართლო-
ბის წინააღმდეგ ამხედრებულ, თავისუფლების მოყვარე ფხოველთა
გმირულ ბუნებას. ფერხულს ესწრება მდაბიურად გადაცემული მეფე-
იგი საკუთარი ყურით ისმენს ფხოველთა საყვედურებს მისი უმსგავსო
საქციელის გამო². ხალხურ ნაწარმოებთა გამოყენებისას კ. გამსა-
ხურდიას შემოქმედებითი მეთოდის გასათვალისწინებლად მეტად
საინტერესოა ამავე რომანში მოთქმის ეპიზოდი. ქიაბერის დატი-
რება რომანის ერთი უძლიერესი ადგილია. სამგლოვიარო რიტუა-
ლის შესანიშნავი აღწერა, მოზარეთა როლი ამ რიტუალში, მამამ-
ძუძეს—უსინათლო თაყაის ამადლევებელი მოთქმა დაუვიწყარ შთა-
ბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. აქ გამოყენებულია სამგლოვიარო
პოეზიის დამახასიათებელი გოდება გარდაცვლილის წარსულ ცხოვ-
რებაზე, მის შინაგან და გარეგან თვისებებზე. კავკასიელი ტომე-
ბის მოთქმის სპეციფიკას, მის საგმირო ხასიათს და დიდ შთამა-
გონებელ ძალას გვაცნობს უსინათლო მამამძუძეს გოდება:

„ვაჰვე მესერბუნ, ვაჰვე მესერბუნ!“

შენ ხარჯიხვი იყავიო, სულო, და ტურებმა როგორ შეგბე-
დესო, შენ მთის მგელი იყავიო და მელიებს რა ხელი ჰქონდათო

¹ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 247—248.

² იქვე, გვ. 254—255.

შენთან? შენ შევარდენი იყავიო და წუნკალმა ყორნებმა როგორ გაბედესო შენი ხელყოფა?*

„ვაჰეუ მესერბუნ, ვაჰეუ მესერბუნ!“¹

სასახლის დახლართული ინტრიგების დამახასიათებელი ეს მოთქმა სახეობრივი აზროვნებით ახლოს არის ხევსურულ ხნით ნატირალთან:

ვეფხვო, დახყარე იარადიო,
არწიემა დაიჭუჭკენ მჯარნიო,
ჯიჯვო, საწოლთით გადმალვარდიო,
ირემო, დაინაყენ რქანიო?.

სასახლის პირთა მანხილებელი, უსინათლო თაყაის გოდება დაკავშირებულია გიორგი მეფის განწყობილებასთან. მამამძეძე ქიაბერის ცხენის მკერდთან მიიყვანეს. „თაყაიმ გაშალა თავისი გოლიათური მკლავები, შემოეხვია ცხენს, მიუსანძიძრა:

ალარა გყავსო მხედარი, უშენოდ წავიდაო შავეთში, ბნელს როგორ გაჰყვეთსო იგი უშენოდ, ხმაღს როგორ მოიქნევსო იგი უშენოდ, მტერს როგორ დაიფრენსო იგი უშენოდ?

გლოვა გმართებსო, ცხენო, ალარა გყავსო პატრონი შენი, გლოვა გმართებსო, ცხენო, ალარა გყავსო გმირი ქიაბერი.

ფერხთით დაუვარდა ატირებული, ხელით ეფერებოდა საოლავებსა, ფლოქვებზე ჰკოცნიდა ულაცს.

გიორგი შეადრწუნა ამ სანახაობამ, მთელს ტანზე ეკლები დააყარა და მეორე კარავს შეაფარა თავი“².

თუშური დალაისა³ და მოხეური ზარის⁴ მსგავსი ეს სავსებით ორიგინალური მოთქმა კმნის გიორგი მეფის განწყობილებას. კარვიდან ესმის თორმეტი ძუძუმტეს ზღუქუნნი და თაყაის „საწყალობელი ბუხუნი“ „კრემლებმა იწვიმეს გიორგის თვალთაჯან“⁵.

მოყვანილი მასალები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მოთქმას სერიოზული ფუნქცია აქვს დაკისრებული ამ რომანში.

ხალხური ლექსები და სიმღერები საკმაო რაოდენობით არის გამოყენებული „დავით აღმაშენებელშიც“. რომანში მოხდენილად

¹ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 54.

² ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, I, შედგენილი ქს. სიხარულიძის მიერ, 1956, გვ. 83.

³ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 62.

⁴ ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, I, გვ. 78—79.

⁵ იქვე.

⁶ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 62.

ჩართული საგმირო სიმღერის შესრულება მენახირე ბიკის მიერ გარდა იმისა, რომ გვაცნობს მშრომელი ხალხის სულისკვეთებას და ქმნის ყოფის საინტერესო სურათს, დაკავშირებულია რომანის მთავარი გმირების ხასიათებთან. სიმღერის შესრულების გარემო მხოლოდ დეკორაცია კი არ არის გამიჯნურებულ ქალ-ვაჟთათვის, არანედ მათი ხასიათების მაჩვენებელიც¹.

აგრესორისადმი სიძულვილს უშუალოდ განგვაცდევინებს ნაგროზობასთან დაკავშირებული სიმღერისა და ცეკვის დახასიათება². ნაწარმოების პატრიოტიზმს აღრმავენს თურქული სიმღერა სულთან ბარქიაროკის კარზე³. შესანიშნავად ახასიათებს საქურისს უხამსი შაირები⁴. სატრფიალო ლექსები გვაცნობს დედისიმედზე გამიჯნურებული მეჩანგის განცდებს⁵. რომანში გამოყენებულია საქორწილო პოეზია. ერთ შემთხვევაში საქორწილო სიმბოლიკა რთულ სიტუაციასთან არის დაკავშირებული. დედისიმედის სიზმარს, რომლითაც თითქოს ქორი დასტრიალებდა ლასტის ციხეს, ასე ხსნის უსინათლო ძიძა: „ქორი საქმაროა შენი, აკი გიამბობდა ეზოსმოდღვარი ზოსიმე: ნაქარმაგვეს დაბანაკდაო ლაშქრითურთ მეფე. მალე კლდეკარს დააცხრება იცოდე, ეგ ქორი“⁶. ტრადიციული საქორწილო პოეზიის ნიხედვით ქორი, მიმინო, შევარდენი სასიძოს სიმბოლოებია.

მკერავი ქალების მიერ საფეიქრო და საქორწილო სიმღერების შესრულების შესანიშნავი აღწერაა რომანში დედისიმედის მზითვეის მზადებასთან დაკავშირებით⁷.

პროფესიულ მომღერალთა და მუსიკოსთა როლი სამეფო კარზე, მათი მონაწილეობა სამეფო ნადიმებში სიმართლით არის დახასიათებული რომანში. მესტვირეობის ტრადიციას საქართველოში და მესტვირეთა ადგილს სამეფო სუფრაზე ცოცხლად წარმოგვიდგენს სტრიქონები: „თაკვერიდან ჩამოყვანილი მესტვირეები ოქროს ტაბაკების ირგვლივ დამსხდარ სტუმრებს მოაღებდნენ ამო ჰანგებით“⁸. მწერალს მოცემული აქვს კარის მეჩანგისა და მე-

¹ დავით აღმაშენებელი, III, გვ. 157.

² იქვე, II, გვ. 197.

³ იქვე, გვ. 318.

⁴ იქვე, I, გვ. 93.

⁵ იქვე, გვ. 398.

⁶ იქვე, გვ. 356.

⁷ იქვე, III, გვ. 126—127.

⁸ იქვე, გვ. 234.

ებნის საბიას პორტრეტი¹. მეჩანგის პირით დახასიათებულია ნადიმთმოყვარე გიორგი მეფე: „ეგრე უბნობენ, აჰ ბუხარზე უფრო დიდი ბუხარი აქესო გიორგი მეფეს გეგუთში.უსხედან თურმე იმ ბუხარს თაყვერელი მესტივირენი, პურადი მეფე იშვებსო ტკბილხმათა მოყვარული თურმე“².

რომანში გამოყენებულია აგრეთვე სხვა ხალხურ საკრავთა—სალამურის და სხვ. ტრადიცია სამეფო კარზე³. მაგიური პოეზიით—კერძოდ შელოცვებით მწერალი ახასიათებს ხალხის ცრურწმენას წარსულში⁴.

სხვადასხვა ხასიათის სიმღერების, ლექსების, მუსიკის ტრადიციისა და სანახაობა-თამაშობათა გამოყენებით ყურადღებას იქცევს „ვაზის ყვავილობა“. რომანში კარგად არის გააზრებული ხალხური შემოქმედების როლი საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი გრძნობის გაღრმავებაში. დამახასიათებელია ამ მხრივ რომანიდან თავი „მიტიჩგი“. იგი გვაცნობს დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში საბჭოთა ხალხის გმირულ სულსიკვთებას. ომში გაწვეულთა საომარი თამაშით, ოსტატურად აღწერილი ფარეკაობით მშვიდობის მოყვარე მშრომელები გამოხატავენ თავიანთ მრისხანებას ჩვენს სანაშობლოში ვერაგულად შემოქრილი მტრისადმი⁵. რომანის ერთი დაუვიწყარი ეპიზოდია ამავე თავში სოლომონ გულუხაიძის მგზნებარე მიმართვა ომში გაწვეულ თანასოფლელებისადმი. ეს მიმართვა ასე მთავრდება: „...ახლა მოგაგონებთ ჩვენი ხალხის საყვარელ ლექსს:

„თაში გახრდილო ვაჟაკო,
ხმალს როდი მოგიშვიდება,
ომში შეხვალ და გამოხვალ,
გული არ შევიშინდება“⁶.

ამ მიმართვაში ძველი საგმირო სიმღერის სოციალური შინაარსი კიდევ უფრო გაღრმავებულია და მას დაკისრებული აქვს საბჭოთა პატრიოტიზმის ამალღების ფუნქცია.

სიტუაციას ამძაფრებს რომანში რევოლუციური სიმღერის ტრადიცია. აჯანყებული ტყვეები ფაშისტურ კონკლაგერში თა-

¹ დავით აღმაშენებელი, III, გვ. 419.

² იქვე, I, გვ. 421.

³ იქვე, II, გვ. 70, 134, 206; III, გვ. 275.

⁴ იქვე, გვ. 76, 85. III, გვ. 168—162.

⁵ ვაზის ყვავილობა, გვ. 470—472.

⁶ იქვე, გვ. 473.

ვიანთ პროტესტს აგრესორებისადმი მარსელიოზის სიმღერით გამოხატავენ¹.

რომანის ფაბულის განვითარების ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია კარგად შერჩეული შრომის სიმღერები, მათი ხასიათი და ტრადიცია. თავში „შრომადღებები“ აღნიშნულია ურმულისა და ჰოროველას ჰანგის სიტკბო. ბერმუხაში აუთვისებელი ნაკვეთებიდან ტრაქტორების საშუალებით ნაფესვარების ამოგდებასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ხარ-კანეჩის მოყვარულნი, საფეთქლებ-შეჯალალებული კოლმეურნენი, რომელთაც ურმულისა და ჰოროველას სიტკბო კიდევ აკავშირებდათ ამ ცხოველებთან, ნიშნის მოგებით ეუბნებოდნენ კოლასა და ნიკას:

„მგეც თქვენი ტრაქტორები, ჰე, აბა გამოიყვით ხუთიოდე უღელი ხარ-კანეჩი, ბხესავით წაიღებენ მაგ ნაფესვარებს“². ეს სტრიქონები წარმოგვიდგენს წარსულისადმი რომანტიულად განწყობილთა ხასიათებს. მწერალი ცხოვრების კარგი ცოდნით სიმართლით გვიხატავს სოციალისტურ სინამდვილეს, რომელიც იღილია კი არ არის, არამედ სავსეა კონფლიქტებით. ტრადიციული შრომის სიმღერებით მწერალი ქმნის დასამახსოვრებელ სახეებს შრომის პათოსით სავსე საბჭოთა ადამიანებისა. დამახასიათებელია ამ მხრივ ტრაქტორისტის მიერ გუთნურის შესრულება, რაც წარმოადგენს თანამედროვე ყოფის დიდებულ სურათს: „გზისპირიდან სიმღერა მოისმა. ხელაანთ ვანოს ტრაქტორი მიჰყავდა ალაზნის ქალისკენ ტაატით. ტრაქტორისტი გულიანად მილილინებდა:

„საჭრეთლით დახვრეტილი ხარ,
არ გირევი სატეხი,
სულ რომ ნარბილში დამხვრები,
ერთხელ ყამირი გასტეხე“³.

რომანში ამ სიმღერას მხოლოდ ყოფის სურათის შექმნის ფუნქცია კი არ აქვს დაკისრებული, იგი გამოყენებულია შრომის სადიდებლად. მისი საშუალებით ვეცნობით თანამედროვე მშრომელის ხალისიან განწყობილებას. ამასთან ერთად თავისი გმირის სიტყვებით მწერალი შესანიშნავად ხსნის შრომის სიმღერის ბუნებას, მის სოციალურ შინაარსს. მოყვანილი გუთნურის შესრულებასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ხომ ხედავ, რა მხიარულია

¹ ვახის ყვავილობა, გვ. 626.

² იქვე, გვ. 58.

³ იქვე, გვ. 407.

მშრომელი ადამიანი,—სთქვა ნიორთავამ.—რა გულიანად მიიმღე-
რის ხელაანთ ვანო.

მე ძლიერ გვიან გავიგე, ჩემო გოდერძი, ამ ქვეყნად მხოლოდ
შრომაა სიხარულის მომნიჭებელი.

ამიტომაც უამრავი სიმღერები და ლექსები აქვთ შეთხზული
ჩვენს გუთნისდებებს, მწყემსებს, მეხრეებს, დურგლებს და კალა-
ტოზებს¹. გძირთა ხასიათებს ქმნის და შრომას აღიღებს მწერა-
ლი აგრეთვე შაირის ტრადიციის გამოყენებით. გულუხაიძე (ნიორ-
თავა) ასე მიმართავს უქმად მყოფ კანკრესა და ლალბაწას:

„ჯანს გაგიმაგრებთ ჯაფა.
მორების თრევა სახსრებს,
რა გავაყეთო აბა,
თუ არ გემასხრეთ მასხრებს“².

ეს მამხილებელი, აღმზრდელობითი ნინიშვნელობის ტექსტი
მწერალს ეკუთვნის, მაგრამ იგი ხალხური შაირის ხასიათისა და
ტრადიციის მიხედვით არის შექმნილი. ყოფის სურათს ქმნის და
ხალხურ ფილოსოფიას გამოხატავს რომანში მეცხვარის სიმღერა³.

შრომასთან დაკავშირებული სიმღერის ტრადიცია რომანში
გამოყენებულია ძველი და ახალი ცხოვრების დაპირისპირების სა-
შუალებად. იგი გეაცნობს ძველი ყოფის გადანაშთ მანვე ადამიანთა
და ახალი ცხოვრების შემომქმედთა ხასიათებს. ზოგ შემთხვევაში
თითქოს გაკერით ნათქვამითაც მწერალი ღრმად გვახედებს ახალი
ცხოვრების შემქმნელთა ჯანსაღს და ძველი ყოფის გადანაშთ მან-
ვე წურბელათა მახინჯ სულში. მწერალს შესანიშნავად აქვს აღწე-
რილი თავდადებული შრომის შედეგად კოლმეურნეთა დიდი გა-
მარჯვება ბერმუხის აუთვისებელ ნაკვეთზე. თუ როგორ განიცდი-
დნენ ამგვარ გამარჯვებას ახალი ცხოვრების მოძულე მანვე წურ-
ბელები, ამას გეაცნობს აბრია უჯირაულისადმი მიძღვნილი სტრი-
ქონები: „დიდხანს იდგა მამუჟას უბანში მარტოხელა ლანდი და
სოფლისაქენ მიმავალი ახალგაზრდების სიმღერას გულამრეზილი
უგდებდა ყურს...“⁴ პროფესორი კორინთელის ხასიათის გამოსაყ-
ვეთად მოხდენილად არის გამოყენებული ხალხური შემოქმედების
როლი ჰუმანიზმის გაღრმავებაში. რომანის მიხედვით ხელქვეითე-

¹ ვახის ყვავილობა, გვ. 407.

² იქვე, გვ. 65.

³ იქვე, გვ. 291.

⁴ იქვე, გვ. 69.

ბისადმი კორინთელის ლმობიერების საფუძველია სიყრმიდანვე მანიშნებელი ხალხური სიბრძნე გავრცელებული ლექსისა „სხვათა მოჯამაგრობას ადვილად იტყვის ენაო“¹. გმირის ხასიათის შესაქმნელად არის აგრეთვე გამოყენებული ფილოსოფიური ხალხური ლექსი. ეს ლექსი რომანში სიტუაციასაც ამზადებს. იგი დაკავშირებულია კორინთელსა და მედია ვაჩნაძის შორის უფსკრულის შექმნასთან თუ თავისთავად არსებულ უფსკრულის გამოაშქარავებასთან. ნიკო მირიანაშვილი ასე მიმართავს ვახტანგ კორინთელს: „შენ უკეთ იცი, ვახტანგ, ქართული სიბრძნე: შავს ლუღსა, წითელ ღვინოსა—განა სულ ყველას სმა უნდა? პირში მოსულსა სიტყვასა განა სულ ყველას თქმა უნდა?“

მომეშვი, მამაშვილობას, ხომ გითხარი, თავი მტკივა-მეთქი, განა თუ ღვინოსაგან, წყენისაგან.

ტანში მაჟრჟოლებს, ვგონებ ხურვება შემდგომია... ანჯერად მხოლოდ ამას გეტყვა. იმ აშარ დედაკაცს თვალი მიადევნე... შენს ცოლსაც კარგად დააკვირდი... ეგ არის, რაც გითხარი“...²

ღრმა შინაარსს აძლევს მწერალი აგრეთვე ხალხური ლექსის სტრიქონებს:

„ირემო, მთასა მყვირალო,
რამ ჩამოგაგდო ბარადა“.

ეს სტრიქონები ეპიგრაფად უძღვის თავს „ირმის სიკვდილი“ და მკითხველს წინასწარ უქმნის განწყობილებას ამ თავში გადმოცემულ რთულ სიტუაციათა გაგებისა³.

ძველი ყოფის გადანაშთებთან დაკავშირებით შესანიშნავად არის აღწერილი ტაროსისადმი მიძღვნილი რიტუალი „გონჯაობა“ ანუ „ლაზარობა“ და სარიტუალო სიმღერის შესრულება. რომანში ოსტატურად ჩართული ეს [რიტუალი ხსნის აბრია _ უჯირაულის ხასიათს⁴.

საბჭოთა ადამიანების ოჯახური იდილიის სურათს ქმნის რომანში ტრადიციული საბავშვო სიმღერა. ბედნიერი თეთრო თავის პირმშოს შესძახის სალალოს:

„კიკლი კიკლი კიბესაო,
როსტომიანთ ციხესაო,
მისდგომია კურდღელი,
აკნაწუნებს კბილებსაო“⁵.

¹ ვახის ყვავილობა, გვ. 281.

² იქვე, გვ. 268.

³ იქვე, გვ. 203.

⁴ იქვე, გვ. 309—319.

⁵ იქვე, გვ. 449.

კორინთელის ოჯახური ცხოვრების ბედნიერ დღეებთან არის დაკავშირებული რომანში ძველი ქართული ჩვეულების—ორსულ ქალებთან ჩონგურის დაკვრის მოგონება¹.

მითოლოგიური ნაწარმოებები გვხვდება მწერლის როგორც ადრინდელ, ისე გვიანდელ ნაწარმოებებში. ამგვარ ნაწარმოებთა ფუნქცია ერთგვარი არ არის კ. გამსახურდიას შემოქმედებითი გზის ყველა საფეხურზე. ადრინდელ ნაწარმოებებში მითოლოგიური წარმოდგენები კი არ უარყოფენ დრომოქმულ ადათ-წესებს თუ თვალსაზრისს ამ ადათებზე აღზრდილ ადამიანთა, არამედ გამოხატავენ მწერლის ერთგვარ თანაგრძნობას ამგვარი წარმოდგენების მატარებელი გმირებისადმი². მითოლოგიური თქმულებების როლი სხვაგვარია გვიანდელ ნაწარმოებებში. „მთვარის მოტაცებაში“ ამ ჟანრის ნაწარმოებებით დახასიათებულია განწირული კლასის წარმომადგენლები³, ან კიდევ გაკრიტიკებულია ძველი ყოფის გადანაშთები⁴.

ნოველა „ხოგაის მინდია“ მთლიანად მითოლოგიურ თქმულებათა აგებული. ნოველა, ისე როგორც ხალხური თქმულება მინდიას შესახებ, შთაგონებულია ღრძა ჰუმანიზმით⁵. „დიდოსტატის მარჯვენასა“ და „დავით აღმაშენებელში“ მითოლოგიური თქმულებები მეტწილად წარსულის გადანაშთებს გვიხასიათებს. ზოგჯერ მწერალი ამგვარი ნაწარმოებების საშუალებით ქინის ტიპებსაც⁶, ამძაფრებს სიტუაციებს⁷, ზოგჯერ კი—გმირების განცდებსა და განწყობილებებსაც გვაცნობს⁸. მწერალი არაიშვიათად მიმართავს სხვა ხალხის მითოლოგიას⁹.

ნაწარმოების სიტუაციებსა და გმირთა ხასიათებს უკავშირდება მითოლოგია „ვაზის ყვავილობაში“. რომანში საკმაო რაოდენობით გვხვდება ბერძნული¹⁰ და სხვა ხალხთა¹¹ მითები.

¹ ვაზის ყვავილობა, გვ. 549.

² ქალის რძე, თვალთაჲ, გვ. 61; ტაბუ, იქვე, გვ. 144; დიონისოს ღიმილი, გვ. 81, 328, 380, 428.

³ მთვარის მოტაცება, II, გვ. 136, 139; III, გვ. 70, 136, 140 და სხვ.

⁴ იქვე, I, გვ. 50.

⁵ თვალთაჲ, გვ. 155.

⁶ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 104.

⁷ იქვე, გვ. 106, 108, 109.

⁸ დავით აღმაშენებელი, I, გვ. 123; III, გვ. 223 და სხვ.

⁹ დიონისოს ღიმილი, გვ. 79, 182, 272 და სხვ. მთვარის მოტაცება, II, გვ. 139 და სხვები, დავით აღმაშენებელი, I, გვ. 123, III, გვ. 223 და სხვ.

¹⁰ ვაზის ყვავილობა, გვ. 274, 540, 559, 590.

¹¹ იქვე, გვ. 437.

ამავე ნაწარმოებში ძველი და ახალი ყოფის დაპირისპირების ნიჰნით გამოყენებულია ცრურწმენაზე აგებული ლეგენდების ტრადიცია. აღსანიშნავია ზეპირსიტყვიერების ტრადიციის მიხედვით შექმნილი ლეგენდა მამუკას უბანზე და ამ ლეგენდისადმი ძველი და ახალი თაობის სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება¹.

ანდაზებისა და სიტყვის მასალების გამოყენებითაც საგრძნობი განსხვავებაა აღრინდელ და გვიანდელ ნაწარმოებთა შორის. თუ აღრინდელ ნაწარმოებებში ანდაზების გამოყენება იშვიათი შემთხვევაა, „დიდოსტატის მარჯვენაში“, „დავით აღმაშენებელსა“ და „ვაზის ყვავილობაში“ უხედავ გვხვდება ხალხური შემოქმედების ეს მცირე ჟანრის მოხდენილი ფორმულები.

ანდაზებს კ. გამსახურდიას შემოქმედებაში დაკისრებული აქვს ისეთივე მნიშვნელოვანი როლი, როგორც ხალხური შემოქმედების სხვა უფრო რთული ჟანრის ნაწარმოებებს. ასე მაგალითად, „დიონისოს ღიმილში“ გმირის ხასიათს გვაცნობს ანდაზა „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ და—ცხვარს მაინც შეეკამო“, ოღონდ მწერალს ანდაზის მხოლოდ პირველი ნაწილი აქვს გამოყენებული².

„მთვარის მოტაცებაში“ ანდაზები და სიტყვის მასალები მოხდენილად ახასიათებენ გაიძვერა გვანჯ აფაქიძეს³. ამავე ნაწარმოებში ორი თაობის წარმომადგენელთა სხვადასხვაგვარ ხასიათს გვაცნობს და ძველი და ახალი ყოფის დაპირისპირების საშუალებადა გამოყენებული კოლექტივში შესვლის გამო არზაყან ზვამბაიას ნათქვამი მაშისადმი: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო“⁴. წოდებრივ სხვაობას უსვამს ხაზს და გმირის ხასიათს ამჟღავნებს იმავე არზაყანის ბარათში თამარისადმი ნათქვამი „სიყვარული ბრმა ყოფილაო“⁵.

ანდაზით „ღვინის ქურდი თხლეს გადააყოლესო“ მოხდენილად არის დახასიათებული „დიდოსტატის მარჯვენაში“ ბოროტი და გაიძვერა ფარსმანი. ნაწარმოების ფინალში ამ ანდაზას მიცემული აქვს ღრმა სოციალური შინაარსი. იგი გამოხატავს მუხანათი ფარსმანის ბნელი სიცოცხლის სამარცხვინო დასასრულს⁶.

¹ ვაზის ყვავილობა, გვ. 66, 68, 69, 223—284, 293—296.

² დიონისოს ღიმილი, გვ. 352.

³ მთვარის მოტაცება, III, გვ. 191—192.

⁴ იქვე, II, გვ. 108.

⁵ იქვე, გვ. 37.

⁶ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 373.

რთულ პოლიტიკურ სიტუაციას გამოხატავს „დავით აღმაშენებელში“ ანდაზა „შიშს დიდი თვალები აქვსო“. ანდაზა ნათქვამია ნიანია ბაკურიანის მიერ იმის გამო, რომ სულთანთან ჩუმიდ მიმავალ კოზმან ბერს მიჰქონდა ცნობა, თითქოს დავით აღმაშენებელს მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰყოლოდეს¹.

ანდაზები დიდი რაოდენობით არის შესული „ვაზის ყვავილობაში“. რომანის ფაბულის განვითარებაში ანდაზებსა და სიტყვის მასალებს მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული. საბჭოთა პატრიოტიზმის ამოღებულ გრძნობას გამოხატავს ტრიბუნრიდან გულუხაიძის ნათქვამი: „წყალი წავა და ქვიშა დარჩება, ფული წავა და ქისა დარჩება, კაცი წავა და სახელი დარჩება“, ან კიდევ: „ბებერი ხარის რქაცა ხნავსო“². ორი სამყარო—სოციალისტური და კაპიტალისტური დიდი ხელოვნებით არის დაპირისპირებული კორინთელის მიერ ნათქვამით: „ძალდი ყფეს, ქარავენი მიდის“³. ამ შემთხვევაში დახასიათებულია კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფი საბჭოთა ქვეყნის ძლევამოსილება. ქარავეანი—სოციალიზმის მშენებელთა პოეტური სახეა; ძალდი—გაავეებული აგრესორებისა.

საბჭოთა ქვეყნის შავნე წურბელების—მოჩხუბარების—კანკარესა და კობერიძის ხასიათებს, მათ ურთიერთობას კარგად გამოხატავს ნიკა უჯირაულის მიერ ნათქვამი „ძალდი ძალლის ტყავს არ დახევს“⁴. პარაზიტების დასახასიათებლად არის გამოყენებული ანდაზა „ქვეყანა იქცეოდა და ტურა ქორწილს შვრებოდაო“. ანდაზას ამბობს გულუხაიძე დიდი სამამულო ომის დაწყებისას ცეროდენას, კანკარესა და აბრიას წასქვილში საქეიფოდ მისვლის გამო⁵. რომანის რთულ სიტუაციას უძღვის ანდაზა „ამოღებული ღვინო უნდა დაილიოს“. ამ ანდაზით კორინთელი ძია ნიკოსთან საუბარში ახასიათებს საკუთარი ოჯახის ვითარებას⁶.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება როგორც დასახელებულ, ისე სხვა ნაწარმოებებიდან. მოყვანილი მაგალითებიც ცხადჰყოფენ ანდაზების ფუნქციას კ. გამსახურდიას მდიდარსა და მრავალფეროვან შემოქმედებაში.

¹ დავით აღმაშენებელი, II, გვ. 156.

² ვაზის ყვავილობა, გვ. 473.

³ იქვე, გვ. 186.

⁴ იქვე, გვ. 119.

⁵ იქვე, გვ. 456.

⁶ იქვე, გვ. 419.

ხალხური შემოქმედების დარგებიდან კ. გამსახურდიას შემოქმედებაში ოსტატურად არის გამოყენებული ცეკვები. საყურადღებოა ფერაზულის აღწერა, როგორც სახალხო ზეიმთან ისე ქორწილთან დაკავშირებით¹. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცეკვა ქართულის შესანიშნავი აღწერა „მთვარის მოტაცებაში“. ამ შემთხვევაში ეთნოგრაფიული ყოფის უბრალო აღწერასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ—სიტუაციის გამძაფრებასთან. თამარ შერვაშიძის მიერ დიდი ხელოვნებით შესრულებული ცეკვა ამჟღავნებს მუხანათი გვანჯ აფაქიძის ხასიათს, გვაცნობს მის შურიანობას, ამავე დროს ცეკვის საშუალებით მწერალი გვაცნობს თვით შერვაშიძის ქალის მომხიბვლელ გარეგნობასა და კდემამოსილებას, გვასაღიას ბიჭის თავხედობას, არზაყან ზვამბაიას სიფიცხეს და თარაშ ემხვარის თავდაპერილობას. მთლიანად ეს სცენა არზაყანისადმი მიმართულ გვანჯ აფაქიძის ინტრიგების გამომჟღავნებისათვის არის გამიზნული².

კ. გამსახურდიას საგნის ცოდნით აქვს აღწერილი სხვადასხვა ხალხური სანახაობანი, დაკავშირებული წარსულში კალენდარულ დღესასწაულებთან, როგორც იყო ბერიკაობა³, ლამარიობა, მურყვანობა⁴ და სხვები.

კ. გამსახურდია მოხდენილად აღწერს აგრეთვე ეთნოგრაფიულ ყოფას, სხვადასხვა წეს-ჩვევებს გმირთა ხასიათებისა თუ ნაწარმოებთა სიტუაციების შექმნის მიზნით.

* * *

კონსტანტინე გამსახურდია ქართული ენის გულწრფელი ქირისუფალია. ცნობილია პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი წერილები ქართული ენის სიწმინდის, მისი გამდიდრების შესახებ. ქართული ენის ქირისუფლად გვევლინება მწერალი მხატვრული შემოქმედებითაც. ჩვენ შეიძლება არ დავეთანხმოთ მწერლის ზოგ

¹ მთვარის მოტაცება, I, გვ. 240; III, გვ. 26 და სხვ.

² იქვე, I, გვ. 236—240, 243.

³ იქვე, II, გვ. 250—251; დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 172, დავით აღმაშენებელი, I, გვ. 85—85, 118.

⁴ მთვარის მოტაცება, III, გვ. 141, 145, 146—149.

მოსაზრებას ქართული სიტყვების გამოთქმისა თუ მართლწერის შესახებ, შეიძლება ზოგ შემთხვევაში ვუსაყვედუროთ კიდევაც მას ენის არქაიზმებით დატვირთვისა თუ ხელოვნურობის გამო, მაგრამ მთლიანად კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული ენა მაღალ შეფასებას იმსახურებს. კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრული ენის სიმდიდრის, გამომსახველობისა და ზემოქმედების დიდი უნარის ერთი ფაქტორი უდავოდ ხალხური სიტყვიერებაც არის. ხალხური სახეები, გამოთქმები და ხერხები კონსტანტინე გამსახურდიას მხატვრულ ენას აცოცხლებს, ამშვენებს, ხდის ძარღვიანს და აძლევს მას დიდ ძალას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შედარებით აღრინდელ ნაწარმოებებში, სადაც მწერალი დაზღვეული არ არის დეკადენტური ხელოვნების გავლენისაგან, ეს გავლენა მქადავდება ზეპირსიტყვიერებიდან აღებული სახეებითა თუ გამოთქმებით.

მითოლოგიიდან, ზღაპრული სამყაროდან, ეპოსიდან აღებული სახეებით მწერალი ქმნის გმირის სახეს, მის განწყობილებას გვაცნობს, ან კიდევ ამძაფრებს ან ანელებს სიტუაციას. ზოგ შემთხვევაში ხალხური შემოქმედების სალაროდან აღებული სახეები და ხერხები გარემოს აღწერის მიზნითაა გამოყენებული.

ვაჟაქობას უკავშირდება და გმირის განწყობილებას გვამცნევს ამირანის სახე „მთვარის მოტაცებაში“. სვანეთის წარმტაცი ბუნებით შთაგონებული თარაშ ემხვარი წერს კაროლინას: „ანკარა ჰაერი ჩაგდის ფილტვებში და ამირანის ძალა გაწვევა მკლავებში“¹. ვაჟაქობის სიმბოლოა ამირანობა იმავე თარაშ ემხვარის ბარათში ვახტანგ იამანიძისადმი: „მე ჯერ ამირანობა არსად დამიქადნია“². სვანეთის გრანდიოზული ბუნება, წარმტაცი დილა საქართველოს ამ მშვენიერი კუთხისა, დიდი ხელოვნებით არის წარმოსახული და დაკავშირებული გმირის განწყობასთან „მთვარის მოტაცებაში“ უძველესი მითოსით ოქროსთმიან ქალღმერთზე: „დილით მზე გადმოლახავს მყინვარწვერს, გაბრწყინებული, როგორც დალი, ოქროსთმიანი.“³. „დიდოსტატის მარჯვენაში“ ბიბლიური თქმულების გმირის ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობის სახის საშუალებით გამოკვეთილია რომანის მთავარი გმირის ხასიათი და აღნიშნულია დიადი, ქეშმარიტი ხელოვნების უკვდავება. „ეს ყოველივე კარგად ესმოდა არსაკიძეს, ამიტომაც ებრძოდა იგი ამ უხე-

¹ მთვარის მოტაცება, III, გვ. 132.

² იქვე, გვ. 219.

³ იქვე, გვ. 87.

ში ლოდების ქაოსს, როგორც იაკობი თავის მრისხანე ღმერთს¹; „ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“².

ზღაპრული პერსონაჟების საშუალებით მწერალი ქმნის გმირის ხასიათს. „ვაზის ყვავილობაში“ ნუნუ უჯირაულის დედინაცვლის ქეთუას მახინჯ ხასიათს ასე ვეცნობით: „იგი ყველას აგონებდა ქართულ ზღაპრებში მრავალგზის ძაგებულ დედინაცვლებს, რომელთაც იხსენიებენ, როგორც „დედინაცვალი—თვალში ნაცარი“³.

ზღაპრული სამყაროდან კ. გამსახურდია ხშირად იყენებს დევისა და ურჩხულის სახეს. ერთ შემთხვევაში ნწერალს ეს სახე სოციალისტური მშენებლობის გამოსახატავად აქვს გამოყენებული. „დიდოსტატის მარჯვენაში“ ვკითხულობთ: „ზაჰესის ელნათურები ციმციმებენ მტკვარში, ამ ათასთვალა დევის ნათელი მისდგომია ზედაზენის მთას, რომელიც დემონების საუფლოდ მიაჩნდათ ძველი იბერიელებს ოდესღაც“⁴.

„ვაზის ყვავილობაში“ დევისა და ურჩხულის სახეებით საბჭოთა აღამიანების შრომის დიდი ჰეროიკაა გადმოცემული. ტექნიკური პროგრესის საშუალებით ბუნების გარდამქმნელი შრომის ერთევი პიზოდი ასეა გადმოცემული რომანში: „ნერვებდაძაბული იჯდა ნიკა უნაგირისდარ სკამზე. აღიოდა აღმართში, ლაღრავედა ლორლიან მიწას, აკოტრიალებდა უზარმაზარ ლოდებს, აფორიაქებდა მუხების, თელების, წიფლების ნაფესვარებს და ერთი საათის შემდეგ აგრე ეგონებოდა მაცქერალს, დევებს უჭიდავნიათო მამუკას უბანში.

ურჩხულის ძვლებივით გამურული ნაფესვარები ეყარნენ ირგვლივ...“⁵

„დავით აღმაშენებლის“ მიხედვით ეს ზღაპრული სახეები გარემოს აღწერის მიზნით არის გამოყენებული⁶.

ამგვარივე დანიშნულებით ეს სახეები არა ერთგზის არის გამოყენებული „ვაზის ყვავილობაში“. რევოლუციამდელი მშრომელების მიერ ბერძუნის მიწის აუთვისებელ ნაკვეთებს ასე გვიხატავს მწერალი: „ბერძუნებს ამოდ უცდიათ თავის ღროზე ამ რვა

¹ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 136.

² იქვე, გვ. 138.

³ ვაზის ყვავილობა, გვ. 12.

⁴ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 6.

⁵ ვაზის ყვავილობა, გვ. 67.

⁶ დავით აღმაშენებელი, I, გვ. 143.

მუხის ნაძირალები მიწის პირიდან ამოფხვრა, ჯერ უჩეხიათ, მერ-
მე კოცონებიც გაუჩალებიათ მათზე, მაგრამ ღაინც ვერ შეეუმუსრავთ
მათი ფესვები, ზღაპრულ ურჩხულებსავეთ დაგრაგნილნი რომ მოს-
დებოდნენ კორდებს და არამც და არამც არ აპირებდნენ თავიანთი
არსებობის დათმობას¹. იქვე ცხრა მუხათა შორის გადარჩენილი
ერთი ბერმუხის ნერქანი ვეშაპის ქერექთანაა შედარებული, ფეს-
ვები კი — გველეშაპთან².

ზოგ შემთხვევაში კი გარემოს წარმოდგენის გარდა ეს სახე
გმირის განწყობილებასაც უკავშირდება. დავითის, დედისინდის,
გვანცას, ჯონდოს და მახარაის სათაფლიასკენ მზავრობის აღწერას-
თან დაკავშირებით ვკითხულობთ: „უგუნებობა ეძალებოდა დედის-
იმედს... იგი მდუმარედ იჯდა უნაგირზე, ორივე ხელით ეკიდებო-
და საკმაოდ თვინიერ იაბოს სადავეს.

ნამეხარი ძელქვები დევთა ლეშებსაგით ეყარნენ ტყეში. გა-
დარუჯული კუნძები გალურსულ მბეცებზეთ ეჩვენებოდნენ ქალს³.
გმირის განწყობილებას, წარსულის რომანტიკას უკავშირდება ეს
სახე „ვახის ყვავილობაშიც“. ღვინისაგან აღგზნებული კორინთელი
მამისეული ეზოდან ხედავს ერეკლეს სასახლეს, „როგორც თავის
სიკბაბუკეში, ისე ახლაც დევების გაპარტახებულ ბუნაგად ეჩვენა
იგი.

დევები დახოცილან და უპატრონოდ დარჩენილა სასახლე,
რომელშიაც წარმავლობას და ღამეს დაუვანებიათ სამარადეამოდ⁴.
„დიონისოს ღიმილში“ გარემოს აღწერის მიზნით გამოყენებული ეს
სახე ყოველთვის გმირის დაცემულ განწყობილებასთან არის და-
კავშირებული⁵. დეკადენტური ხელოვნების გავლენას ამ რომანზე
ადასტურებს მხატვრული სახეებიც. დეკადენტური ხელოვნების
მსახურია ეს სახე აგრეთვე ნოველაში „ლილ“⁶. ზღაპრული პერსო-
ნაჲს ოჩოკოჩის საშუალებით „მთვარის მოტაცებაში“ მწერალმა
შექმნა მეზორნეს დასამახსოვრებელი პორტრეტი⁷.

იგივე სახე ამავე ნაწარმოებში წარმოგვიდგენს დაისის მწუხრს
და აკავშირებს მას გმირის განწყობილებასთან. თარაშ ემხვა-

¹ ვახის ყვავილობა, გვ. 7.

² იქვე, გვ. 8.

³ დავით აღმაშენებელი, I, გვ. 330.

⁴ ვახის ყვავილობა, გვ. 261.

⁵ დიონისოს ღიმილი, გვ. 257, 273, 288, 408.

⁶ თვალთაჲ, გვ. 38.

⁷ მთვარის მოტაცება, I, გვ. 17.

რის სინანულით დამძიმებულ მოგონებებს თან მოსდევს ბუნების მშვენიერი აღწერა: „მზე გაპარულიყო ღრუბლებში და გარუჯული ხეები ახოზე შავოსან ოჩოკოჩებს დამსგავსებოდნენ“¹.

გმირის ხასიათთან ერთად გარეგნობას უკავშირდება ეს სახე „დიონისოს ღიმილი“². ამავე რომანში შედარების საშუალებად არის გამოყენებული ზღაპრული პერსონაჟები—ურჩხული და ფასკუნჯი. პირველი ტექნიკურ პროგრესს გამოხატავს, იგი ექსპრესის მხატვრული სახეა;³ მეორე კმნის ბუნების საინტერესო სურათს: „ცა მოულოდნელად მოიღუმა, ზღაპრული ფასკუნჯებივით წარმოიშალნენ დასაველეთიდან ღრუბლები“⁴.

ნაწარმოების სიტუაციასთან არის დაკავშირებული „მთვარის მოტაცებაში“ ზღაპრული პერსონაჟების მოქმედება. ექსტაზში შესული ლუკაია ლაბახუას მიერ ილორის სამრეკლოს ზარების რეკვასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „მერნე დამძობილდა სამივე ზარი, როგორც სმში ძმა ქართული ზღაპრისა, დევების სამსახურად ცხრა მთას გადაღმა გაქრილი“⁵.

კ. გამსახურდიას თხრობის მანერის დანახასიათებელია „ვაზის ყვავილობაში“ ჩართული მითი არგონავტების შესახებ. ერთ შემთხვევაში ეს მითი ევროპაში მედეიას წარმატებას ხსნის⁶. მეორე შემთხვევაში ამ მითში ახალი სოციალური შინაარსია შეტანილი. მწერლის მიერ იგი მახვილ სატირად არის ქცეული და მიმართულია თავად-აზნაურთა ნაშიერებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ მუღა ვაჩნაძისა და მდიდარი, მახინჯი ლუსიენ შარკუტიეს ქორწინებასთან დაკავშირებით⁷. მწერლის თხრობის მანერას ახასიათებს აგრეთვე ამავე რომანში ლეგენდა „ქვაკაცას“ შესახებ⁸. ამ ლეგენდით კარგად არის დაპირისპირებული ძველი და ახალი ყოფა, უკანასკნელის დიდი უპირატესობის ჩვენებით.

გმირის სახის შექმნისას თუ განწყობილების გადმოცემისას მწერალი არაიშვიათად მიმართავს საგმირო პოეზიის ტრადიციულ ეპითეტებს, მხატვრულ სახეებს. ქართულ საგმირო პოეზიაში მ გ ღ ი ს მ უ ხ ლ ი ვაჟკაცობის მხატვრული სახეა. უძველეს ეპიურ

¹ მთვარის მოტაცება, II, გვ. 98.

² დიონისოს ღიმილი, გვ. 354.

³ დიონისოს ღიმილი, გვ. 167.

⁴ იქვე, გვ. 38.

⁵ მთვარის მოტაცება, I, გვ. 247.

⁶ ვაზის ყვავილობა, გვ. 42.

⁷ იქვე, გვ. 47.

⁸ იქვე, გვ. 296 და სხვ.

გმირს ამირანს დაბადებისას სხვა საგმირო თვისებებთან ერთად მგლის მუხლი დაანათლეს. მთაში გავრცელებული ერთი საგმირო სიმღერა ასე ილწყება: „გაგვიძეხ ბერო მინდია, მუხლი მაიბი მგლისაო“. ნოველაში „ხოგაის მინდია“ ქისტებზე ხევესურების თავდასხმის აღწერისას კვირიკე ჯაბუშანურის შესახებ ვკითხულობთ: „გადაეშვა საკვამიდან მგელმუხლიანი ბერიკაცი“¹. ვაჟკაცობას გამოხატავს ეს ხალხური ეპითეთი „მთვარის მოტაცებაშიც“². ვაჟკაცობას უკავშირდება და დეკადენტურ განწყობილებას გამოხატავს ეს ეპითეთი ნოველაში „ქალის რძე“³.

საგმირო ეპითეტების გამოყენებით ყურადღებას იქცევს „დავით აღმაშენებელი“. თურქებისა და რეაქციონერი თავადების ალაგმვის სურვილს დავით მეფესთან საჯაროში ასე გამოხატავს ნახარა: „ხმლებს მოგვიშვიდაო, გვიჩივიან სპანი“⁴. დავით მეფის დუმილით სჯას იმის შესახებ, გარემე მტერი ალაგმულიყო პირველად, თუ—შინაური, მწერალი ასე გვამცნევს: „თორნი გაიხადა. ვვერდს იცელიდა, ფიქრობდა, რომელი მტრისათვის ნოქნია მოშიებული ბაგრატეული მახვილი პირველად?...“⁵ ეს მაგალითები მკითხველს ნოაგონებენ ხალხური ლექსების სტრიქონებს: „ხმალს ნუ დახედავ მოყმეო, ხმალი მწიერი მგელია“; „მოთილო მთაში გაზრდილო, ხმალს როდის მოგიშივდება?“ და სხვ.

ქ. გამსახურდიას მხატვრული ენის ნაიშენელოვანი ფაქტორია სხვადასხვა ენის ხალხურ ნაწარმოებებიდან აღებული სტრიქონები, ან კიდევ ნაწარმოებთა შინაარსი. ამგვარ მასალებს მწერალი აკისრებს აზრის ძლიერად გამოხატვას, გმირის ხასიათის შექმნის, სიტუაციების გამძაფრებისა თუ შენელების როლს. „დიდოსტატის მარჯვენაში“ ძელიცხოველის შესახებ ხალხის ცრურწმენის დაბასიათებისას მწერალი იკონებს ამ ჯვარის საომარ ფუნქციას: „თავდაპირველად ვახტანგ გორგასალსა ჰქონდა იგი, როგორც „საომარი ჯვარი“; წინ უძლოდა მეფის ლაშქარს, როცა კავკასიონი გადალახა ვახტანგმა და „დიდმა მთებმა შეჰქმნეს დრეკა“⁶. ხალხური სტრიქონი ამ შემთხვევაში საშუალებაა აზრის ძლიერად გამოხატვისა. ამავე ნაწარმოებში მიხედვით ქართველი ხალხის წარსული

¹ თვალთაჲ, გვ. 194.

² მთვარის მოტაცება, III, გვ. 72, 87.

³ თვალთაჲ, გვ. 54. 4.

⁴ დავით აღმაშენებელი, II, გვ. 391.

⁵ იქვე, გვ. 392.

⁶ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 50.

ტრალედია დახასიათებულია გიორგი მეფის აღსარებით, სადაც ნათქვამია: „ჩენი უბედურება ისაა, სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარს. ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი კირი“¹. ამ შემთხვევაში გამოყენებულია ხშირ შემთხვევაში უპრინციპობის გამომხატველი ხალხური სტრიქონები: „როგორც დამიკრავ ფანდურსა, მეც ისე დაგიროკლები“. დავით აღმაშენებლისა და გიორგი მეფის სხვადასხვა ხასიათს გვაცნობს უკანასკნელის პირით ნათქვამი სიტყვები, რომელიც წარმოადგენს თამარ მეფეზე შექმნილი ეპიტაფიის ჟანრის ხალხური ლექსის სტრიქონების გადამუშავების მაგალითებს². რთული სიტუაციის აღწერისას ძველი ხალხური ლექსის შინაარსით ამავე ნაწარმოებში ვეცნობით შამან ერისთავის ხასიათს და მის დამოკიდებულებას განდგომილ ორბელიანებისადმი, მოხუცი ერისთავი ლაპარაკობს სათნო მოპყრობით ორბელიანთა მოთრგუნევაზე და აღნიშნავს: „...დიდ არს ძალი სიყვარულისაჲ, რამეთუ სიყვარულს იქვე უთესია, სადაც სიძულვილს ყანა მოუმკია ხოლმე“³. მწერლის მბატკრულ ენას ამ შემთხვევაში წყაროდ აქვს ფილოსოფიური ლირიკის შესანიშნავი ნიმუში:

წუთისოფელი ასეა,
ლაშე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია.

მწერალი ზოგჯერ საპირისპიროდ ცვლის ხალხურ სტრიქონს და მას ახალ ფუნქციას აკისრებს. ამ მხრივ საინტერესოა ამავე ნაწარმოების მიხედვით გვარამ ერისთავისა და მისი მხლებლების ყივჩაღეთში მგზავრობის აღწერა: „...გზა სიარულმა ველარ დალია, ჩუხჩინი და მეჯინიბენი ზეზეურად ჩამოდნენ...“⁴ ეს არის პარალელისმით შეკრული სასიმღერო სატრფიალო შაირის—„გზა სიარულმა დალია“—პირველი სტრიქონი შეცვლილი აზრით.

„მთვარის მოტაცებაში“ გაზაფხულის დასაწყისის სვანეთში გვაგრძნობინებს ძველი საგაზაფხულო სიმღერა „თებერვალი დადგაო, ხეში (ხევში) წყალი ჩადგაო“. თარაშ ემხვარი ასე წერს კაროლინას: „ხეებზე კვირტები აბორცვდნენ, მართლაც წყალი

¹ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 371.

² დავით აღმაშენებელი, I, გვ. 304, 428.

³ იქვე, III, გვ. 69.

⁴ იქვე, გვ. 194.

ჩადგა ხეში“¹. დიდ მხატვრულ ძალას აძლევს „ვაზის ყვავილობას“ ახალი სოციალური შინაარსით გამოყენებული წარსულში ქართველი ხალხის ძნელბედობის ამსახველი ხალხური ლექსის სტრიქონები:

„სტიროდნენ თუშის ქალები,
არ მოგვივიდნენ ქმარები“.

იგი ეპიგრაფად უძღვის რომანის თავს „ვაზის ტირილი“², რომელშიც ამაღლებულად არის გადმოცეპული ის დიდი ტრალედია, რაც სოციალიზმის მშენებელ ადამიანებს შეუქმნა თავსდატეხილმა სამამულო ომმა.

კ. გამსახურდიას მხატვრულ ენაში ხალხური სიტყვიერების როლის აღნიშვნისას არ შეიძლება გვერდი აუაროთ არზაყანის დედის ხათუნას მოთქმას. ხათუნას არზაყანი ტარბების ხელით დაღუპული ჰგონია. დედა გულმდულარედ მოთქვამს შვილზე, „მოსპოსო ღმერთმა და იფრის წმინდა გიორგიმ მაგ შენი დამღუპველი ტარბების ჯიში, ზღვაში ხომალდი დაექცესო, ზღვაზე ნიშვალთ და ხმელზე ცხენი წაექცესო ცხენოსან ტარბას, წყალზე ბოგირი ჩაექცესო ბოგაზე შემდგარს, ხრმალი ბრძოლის დროს ზედ ვადასთან გადაუტყდესო“³. მწერალს ამ შემთხვევაში ნასესხები აქვს რომანტიკული ეპოსის ბრწყინვალე ძეგლის „ეთერიანის“ სტრიქონები—კერძოდ—აბესალომის მიმართვა ეთერისადმი:

ეთერ შენს მოლაღატესა
ზეციით ღმერთიმც გაუწყრება,
მტრისად მოქნეული ხმალი
ვადაშიამც გაუტყდება;
იაღბუხის მინდოროხედა
ქარიშხალიმც აუტყდება,
ძალიან მოწყურებულსა
წყაროს წყალიმც დაუშრება!⁴

ან კიდევ სხვა ვარიანტის მიხედვით:

—ეთერო, შენსა დაღატასა
რა კაცი შეუღგებაო,
ზევიდგან ღმერთი ცეცხლსა ჰყრის
ქვეშ აბესალომ დგებაო,

¹ მთვარის მოტაცება, III, გვ. 133.

² ვაზის ყვავილობა, გვ. 481.

³ მთვარის მოტაცება, III, გვ. 53.

⁴ ხალხური სიტყვიერება, IV, მიხ. ჩიქოვანის რედ.; 1954 წ., გვ. 158.

ცხენსა და გაქენებულსა
ავშარაც შეუწყდებო,
ხმალსა და ამოღებულსა
ვადაშიმც გადმიტყდებო...
...სადამც მწყურვალი მივიდე,
ზღვა იყოს—დამიშრებო¹.

როდესაც ამგვარ მსგავსებაზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მწერალი ხალხური შემოქმედების სალაროდან აღებულ სიტყვათა მარაგს ახალ ფუნქციას აკისრებს. თუ ხალხურ ეპიქურ ძეგლში ეს სიტყვები მიჯნურის ფიცია, კ. გამსახურდიასთან იგი მწუხარე დედის გულიდან ამოსროლილი მრისხანე წყველსაა.

თქმულება აბესალომისა და ეფერის შესახებ მწერლის ნხატვრული ენის წყაროა „ვაზის ყვავილობაშიც“. მშვენიერი გარეგნობის ქალ-ვაჟის ნუნუ უჯირაულისა და გოდერძი ელანიძის შესახებ ვკითხულობთ: „მე არ მგონია, ვისო და რამინი, ან აბესალომი და ეთერი აგრე ზედმიწევნით გვანებოდნენ ურთიერთს“².

კ. გამსახურდიას ნხატვრულ ენაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ანდაზებს, სიტყვის მასალებს და სხვა ფრთიან სიტყვებს. „ვაზის ყვავილობაში“ თავი, რომელიც შეიცავს მძაფრ სიტუაციებს, გვაცნობს პატიოსან მშრომელების გზაზე შექმნილ დაბრკოლებებს, ინტრიგებისა და ცილისმწამებელთა სახით, დასათაურებელია მოხდენილი სიტყვის მასალით „მტყუანს კარამდე მიჰყენენ...“³. „დიდოსტატის მარჯვენაში“ შავლეგ ტოხაისძის სიტყვები მამამზე ერისთავისადმი „სიბრძნის დედაა სიფრთხილე“⁴ ენათესავენ ანდაზას „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“. „დაბალ ლობეს უმაღ მისწვდებიან“,—ვკითხულობთ ამავე რომანში ხურსის შესახებ⁵.

გმირის სასაუბრო ენაში შესული ანდაზებითა და სიტყვის მასალებით მწერალი სრულქმნის მათ ხასიათებსაც. მოვიყვანოთ ერთ მაგალითს „ვაზის ყვავილობიდან“. კობერიძის ზისამართით კანკრე დაიყვირებს: „ხანვი არ დამაქრას ყურებზე...“⁶ ამ უხეში ნათქვამით მწერალი ერთიმეორეს უკავშირებს და მკითხველებს წარმოუდგენს ორ უარყოფით გმირს. ენის გამარტივების ცდასთან

¹ ხალხური სიტყვიერება, IV, მიხ. ჩიქოვანის რედ., 1954 წ., გვ. 60.

² ვაზის ყვავილობა, გვ. 11.

³ იქვე, გვ. 385.

⁴ დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 64.

⁵ იქვე, გვ. 210.

⁶ ვაზის ყვავილობა, გვ. 110.

დაკავშირებით „დავით აღმაშენებლის“ შესამე წიგნის ბოლოსიტყვაობაში მწერალი გვაუწყებს: „ოდნავ არქაული ტონი შეეარჩინე მაღალი რანგის სამღვდლო პირების, ქყონდიდელის და ეპისკოპოზების მეტყველებას, ხოლო რაიცა შეეება ამავე წოდების დემოკრატიულ ფენებს, გლეხებს, მეომრებს და სხვათ, აქ ვხმარობდი ხალხურთან მისადაგებულ იდიომებს, ქართული ენის სხვადასხვა დიალექტიდან გამომდინარე ნიუანსების გათვალისწინებით“¹. აღსანიშნავია, რომ ხალხურთან მისადაგებულ იდიომებს მწერალი ხმარობს ე. წ. მაღალი რანგის მეტყველებაშიც. სანიმუშოდ ვნახოთ რამდენივე მაგალითი ამავე რომანიდან. „გაქირვება უდიდესი მწვრთნელიაო“—გკითხულობთ სტეფანოზ წილკნელის ბარათში გიორგი ქყონდიდელისადმი²; „ჩათრევას ჩაყოლა არჩია“ ნათქვამია რატი ორბელიანის მოკავშირე ჰუსეინის შესახებ³; „ეშმას ჯვალი არ უჩანს“,—ამბობს მარიამ დედოფალი აღსართანის მისამართით დავით მეფესთან და გვარამ ერისთავთან საუბარში⁴. ანდა ზების, სიტყვის მასალებისა და სხვა ამგვარი ნათქვამების ხმარების მრავალი მაგალითი გვხვდება როგორც აღნიშნულ, ისე სხვა ნაწარმოებებში. ეს ნათქვამები აძლევენ მწერლის ენას გამომსახველობის ძლიერ უნარს. მწერლის ენის ხალხურ შემოქმედებასთან ნათესაობაზე დაკვირვებისას თვალში გვხვდება მგზავრობის აწერის ტიპიური ზღაპრული ფორმულა: „იარა, იარა, იარა, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა“⁵. მგზავრობის აღწერის ეს ზღაპრული ფორმულა კ. გამსახურდიას შემოქმედებაში გვირის სულისკვეთების, ხასიათის გადმოცემის ხერხია. „მთვარის მოტაცებაში“ ეს ფორმულა ცხოვრების სვლას ჩანორჩენილი თარაშ ემხვარის ბუნებას და მის აფორიაქებულ და ნიუსაფარ სულს გვაცნობს. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: „მოდის ახალი საუკუნო, ახალი ხალხი, ლალუების სახელით გზას მოიკაფავენ. და ვარდანიძის უკანასკნელ ნაშიერს, შემოუვლია ხმელეთის პირი; იარა ჩრდილოეთისაკენ, იარა დასავლეთისაკენ, ცოტა იარა, თუ ბევრი იარა, გულმეცნიერებს და მოძღვართ-მოძღვრებს შეგირდათ მიებარა... მაინც ის დარჩა თარაშ ემხვარ, ევლარ გაასწრო სამი წლის ბაღს—თარაშ ემხვარს...“⁶ ამავე მიზნით არის გამოყენებული ეს ზღაპრული ფორმულა რომანის სხვა ადგილებშიც⁷. იგივე

¹ დავით აღმაშენებელი, III, გვ. 492—493.

² იქვე, გვ. 79.

³ იქვე, გვ. 352.

⁴ იქვე, გვ. 477.

⁵ მთვარის მოტაცება, III, გვ. 179.

⁶ იქვე, გვ. 148, 150 და სხვ.

ფორპულა გამოყენებულია „დავით აღმაშენებელშიც“. ამ რომანში იგი ემსახურება მგზავრობის აღწერასა და ბრძოლის გათამაშებას¹.

კ. გამსახურდიას უყვარს ხალხურ სასაუბრო ენაში დამკვიდრებული სახეობრივი ნათქვამები. ასეთია, მაგალითად, „დიდოსტატის მარჯვენაში“ ნონაის მიმართვა არსაკიძისადმი: „დედაშენს შენზე ამოდისო მზე“². „დავით აღმაშენებელში“ აღსართანის ბუნებას გვაცნობს ხალხური ნათქვამი: „ვიდრე აღსართან ცოლს გაეყრებოდა და თავის ხარჯებს ჩამოიცილებდა, მანამდის ბევრი წყალი ჩაივლიდა“³. ამავე რომანში ორბელიანის მეუღლის ხასიათს გვაცნობს ხალხური თქმა: „კატაის გულზე ვარდი მოეფინა კირიონ მანგლელის ეგზომ გონივრული თათბირის მოსმენისაგან“⁴; ქრთამის მიღების იმედგაცრუებული ყადის სიხარბეს ასე გამოხატავს მწერალი: „დანა კბილს არ უხსნიდა ბებერს“⁵. ხახუტაის გმირობას, მის მიერ თურქთა ამირას მოკვლასთან დაკავშირებით ამავე რომანში ვკითხულობთ: „თვალის დაფახულებზე ასასინელი ვინმე შეიპარა თურქი ცხენოსნების მწკრივში და იატაგანი გაუყარა ერთ ამირას მუცელში, ზოგი აქით ეცა, ზოგი იქეთ, ატყდა აურზაური და ვაი უშველებელი, მიწამ პირი უყო, თუ ცამ გადანთქა, ვერ იპოვნეს მკვლელი“⁶. მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება მწერლის როგორც აღნიშნულ, ისე სხვა ნაწარმოებებიდან. მოყვანილი მაგალითებიც ცხადყოფენ, რომ ლიტერატურული ენის გამდიდრების მიზნით მწერალი ძველ მწერლობასთან ერთად ეტანება ხალხის სასაუბრო ენასაც.

ამგვარად, კ. გამსახურდია მთელი სიღრმით ფლობს ხალხური შემოქმედების სხვადასხვა დარგს—და წარმატებითაც იყენებს საკუთარ ნაწარმოებებში. ზეპირსიტყვიერების როლი კ. გამსახურდიას შემოქმედებაში წარმოგვიდგენს იმ საფეხურებს, რაც განვლო მწერალმა მისი ნაყოფიერი მოღვაწეობის რთულ გზაზე. თუ აღრინდელ ნაწარმოებებში ხალხური შემოქმედების გამოყენება ყოველთვის ვერ ემსახურება პროგრესულ ლიტერატურას, გვიანდელ ნაწარმოებებში მწერალი ფაქიზად შერჩეულ ხალხურ ნაწარმოებებს აკისრებს იმგვარ ფუნქციას, რაც შეფერის სოციალისტური რეალიზმის მეთოდით წარმართულ ხელოვნებას.

¹ დავით აღმაშენებელი, III, გვ. 179, 238.

² დიდოსტატის მარჯვენა, გვ. 314.

³ დავით აღმაშენებელი, I, გვ. 401.

⁴ იქვე, II, გვ. 123.

⁵ იქვე, III, გვ. 52.

⁶ იქვე, გვ. 458.

გიორგი ლეონიძე და ხალხური შემოქმედება

გიორგი ლეონიძის მდიდარი და მეტად თავისებური პოეზიის ღრმა ხალხურობის, ამოღლებული საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური შინაარსის და მიმზიდველი ნაციონალური ფორმის ერთი ცხოველმყოფელი წყარო საუკუნეებგამოვლილი ქართული ხალხური შემოქმედებაა. ფაქიზად შერჩეული ხალხური შემოქმედების ნიმუშების მაღალი პოეტური ოსტატობით გამოყენების მირიე გიორგი ლეონიძეს ერთი პირველი ადგილი უჭირავს ქართველ მწერალთა შორის. პოეტის ხალხურ შემოქმედებასთან კავშირი მრავალფეროვანია. მაგრამ როდესაც გიორგი ლეონიძის ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულების საკითხი ისმის, მთავარი და არსებითი პოეტის ხალხურ პოეზიასთან შემოქმედებითი კავშირია. ამ კავშირის გარკვევა უფრო ნათლად გვაჩვენებს საბჭოთა პატრიოტიზმის დიად გრძნობას, რაც წარმართველია ჩვენი დიადი ეპოქის ამ დიდი პოეტის მრავალფეროვანი შემოქმედებისა.

ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებთა გამოყენება ვერ ჩაითვლება მწერლის ხალხურობის საზომად, თუ არ იქნა გათვალისწინებული, რა მეთოდით არის გამოყენებული ხალხური მასალა. შეიძლება მწერალი უხვად იყენებდეს ზეპირ ნაწარმოებებს, მაგრამ ამ ნაწარმოებებს არავითარი როლი არ ჰქონდეს ინდივიდუალური შემოქმედების პროგრესული იდეების გაღრმავებაში. შეიძლება არც იყენებდეს მწერალი ზეპირს, კოლექტიურ შემოქმედებას, მაგრამ მისი ქმნილებანი, თუ ისინი ეპოქის მოწინავე იდეების გამოხატველია, ხალხურია. გიორგი ლეონიძე იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც ხალხის ფანტაზიის ნაყოფს, კოლექტიურ

შემოქმედებას პროგრესული იდეების დანერგვის საშუალებად იყენებენ; რომელნიც კოლექტიურ შემოქმედებას ინდივიდუალური შემოქმედების ხალხურობის სამსახურში აყენებენ. ამ მხრივ გიორგი ლეონიძე მისი დიდი წინაპრების — ილიას, აკაკის, ვაჟას, ალ. ყაზბეგის და სხვათა სახელოვანი გზის გამგრძობი და ჩვენი ეპოქის შესაფერისად წამმართველია.

ძველი და ახალი ყოფის დაპირისპირების, წარსულში მშრომელი ხალხის ძნელბედობის წარმოდგენის, წინაპართა საგმირო საქმეების მოგონების, მდიდარი და მრავალფეროვანი საბჭოთა სინამდვილის ასახვის, რიგობითი საბჭოთა ადამიანების მიქეთვარე ცხოვრების რელიეფურად დახატვის საშუალებად პოეტს გამოუყენებული აქვს დიდი გემოვნებით შერჩეული ნიმუშები ქართული ხალხური სიტყვიერებისა.

გიორგი ლეონიძის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ერთი დამახასიათებელი თავისებურება ხალხური პოეზიის გაახლებაა. ეს გარემოება სოციალისტური შინაარსის მქონე მის მდიდარ პოეზიას აძლევს დიდ სითბოს, გულწრფელობასა და ეროვნულ ელფერს. პოეტს განსაკუთრებით საგმირო პოეზია უყვარს. იგი საესეებით ფლობს ხალხური პოეზიის ამ წარმტაც უბანს. პოეტმა დიდი შთაგონებით გააცოცხლა ჩვენი სახელოვანი წინაპრები — სახალხო თუ ეროვნული გმირები.

გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში ახალი შინაარსით შეივსო და გამდიდრდა უძველესი ქართული კლასიკური თქმულების გმირის ამირანის სახე. გავრცელებული თქმულების მრავალი ვარიანტის შინაარსის ღრმა ცოდნით პოეტს შესანიშნავად აქვს გააზრებული ხალხური ნაწარმოების პროგრესული იდეები. ახალ ესთეტიკურ საფეხურზე აყვანილი ეს იდეები აღრმავებს გიორგი ლეონიძის პოეზიის ხალხურობას. ხალხური თქმულების შინაარსი და ცალკე ეპიზოდები ამახვილებენ მისი პოეზიის პატრიოტულსა და სოციალურ მოტივებს.

ამირანის გმირული სახე ორგანულად არის შექსოვილი პატრიოტულ პოემაში „სამგორი“. „სამგორი“ ფაბულის განვითარებითა და კომპოზიციით საბჭოთა პოემის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია. შთამაგონებელი პატრიოტული გრძნობით დაწერილ პოემის სოციალური შინაარსის განვითარებაში, მისი მხატვრული ფორმის სრულქმნაში მნიშვნელოვანი ფაქტორია ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები.

ეროვნული გმირის გრანდიოზულ სახეს ქმნის მშობლიური პეიზაჟისა და წარსული ძნელბედობის განცდით დახატული ძველი უჯარმის ნანგრევების ამალეღვებელი სურათი:

სამგორს ზევით,
ივრის პირად,
ჰხედავ ნანგრევთ
შავი ჩრდილით?
— ნაქალაქარს, —
ძველ უჯარმას,
ხავსი რომ აქვს წამოზრდილი...
ნაცარწყარილ სვეტებს ჰხედავ
და სუროთი ბურვილ თაღებს?
თავმორღვეულ ნაკოწკარებს
ნაშაედღეეარ-ნაპარტახებს!
ჰხედავ დიდ ლოდს ჩაღრმავებულს?
— ფეხი სდგმია აქ ამირანს?
— არა, ტორი ზედ დაურტყამს
გორგასალის ფიცხულ მერანს!..¹

კლასიკური თქმულება აზირანის შესახებ ვახტანგ გორგასალის შესახებ შექმნილ საგმირო-საისტორიო თქმულებასთან ერთად პოემაში მაოლოდ სურათის შექმნის საშუალება კი არ არის, იგი აცოცხლებს ჩვენი ქვეყნის გმირულ წარსულს, ამ წარსული-სადმი მოკრძალებით აღავსებს მკითხველს და უძლიერებს მას აწმყოს რწმენას, აძლევს იმედს კიდევ უფრო უკეთესი მერმისის შესაქმნელად.

პოემის მიხედვით ამირანის სახე-სამშობლოს თავისუფლების სიმბოლოა. ამირანის ნათესაობა გამარჯვების საწინდარია. ამიტომაც სამშობლოს მტრების წინააღმდეგ მებრძოლი სახელოვანი გმირი ამირანის შთამომავალია. ვახტანგ გორგასალი ასე მიმართავს თბილისზე შემოსეულ მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ გმირს:

შენ, თვალსაყვრავ, დარჩი ლაწქარში,
გმირ ამირანის ჩამომავლო!
კვლავ დროშის თავზედ ორბი დაისვი,
რომ ძველებურად მტერი გალალო!²

ამ შესანიშნავ პოემაში პოეტს დიდი ხელოვნებით აქვს გამოყენებული ხალხური საგმირო და საისტორიო სიმღერები.

¹ გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ერთტომეული, 1954, გვ. 406.

² იქვე, გვ. 411.

ამგვარი სიმღერების წარმოშობის, მათი ნათელი იდეისა და პატრიოტული ფუნქციის ღრმად ცოდნის ნიმუშია პოემის მოხდენილი პროლოგის პირველი ნაწილი. ეს შესანიშნავი პროლოგი პოემისა პოეტის ღრმა ჩანაფიქრის ჩასაწვდომად წინასწარ ამზადებს მკითხველს, უქმნის მას განწყობილებას მშობლიური ხალხის გმირული წარსულის გაცნობისათვის. შთაგონებული სტრიქონები პროლოგისა მკითხველს ახედებს ჩვენი ქვეყნის წარსულისაკენ, ნაგრამ ამით არ იფარგლება მისი ფუნქცია. წარსულის გაცნობა თვითმიზანი კი არ არის პროლოგისა (მით უმეტეს პოემისა, ქ. ს.), არამედ — იგი საშუალებაა ამ გმირული წარსულის აწმყოსთან — თანამედროვეობასთან დაკავშირებისა. არც ამით ისაზღვრება მნიშვნელობა პოემის პროლოგისა. პროლოგის მაღალმხატვრული სტრიქონები მკითხველთა შეგნებას რაზმავს კიდევ უფრო ბედნიერი მომავლის შესაქმნელად. ამაშია საერთოდ ამ მაღალპოეტური პროლოგისა და მთელი ამ ღრმად პატრიოტული პოემის ქმედითი ძალა. ამ შემთხვევაში პოეტს სოციალისტური რეალიზმის სამსახურში დიდი ოსტატობით ჩაუყენებია ხალხური შემოქმედება, კერძოდ — საგმირო-საისტორიო სიმღერა. პროლოგს ეპიგრაფად უძღვის ვახტანგ გორგასალზე შექმნილი სასიმღერო ლექსის სტრიქონი „ციდან ჩამოესმა რეკა“. პროლოგის პირველი ნაწილის დინამიკური სტრიქონები მთლიანად ხალხური სიმღერის მაღალი ოსტატობით გააზრების ნიმუშებია. პოეტს ახალი შინაარსი აქვს შეტანილი ძველ საგმირო-პატრიოტულ სიმღერაში, რომლის ყველაზე გავრცელებული ვარიანტი ასეთია:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა;
იალბუხზე ფეხი შესდგა.
დიდმა მთებმა შექნეს დრეკა;
ოსეთში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა.

ეს სიმღერა საქართველოს ყველა კუთხეშია ცნობილი, მაშინ როდესაც საერთოდ ვახტანგ გორგასლის სახელთან დაკავშირებულ ნაწარმოებთა ციკლის გავრცელების არე აღმოსავლეთ საქართველოა. ქართული ხალხური შემოქმედების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ამ სიმღერას მრავალგვარი ფუნქცია ჰქონდა. იგი ბოლოდრომდე საფერხულო სიმღერა იყო¹. მას სალაშქრო

¹ ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, 1949 წ., გვ. 74.

ფუნქციაც ჰქონდა¹. ამით უნდა აიხსნას მისი გავრცელება საქართველოს ყველა კუთხეში. სიმღერის ასეთი პოპულარობა ეროვნული გმირისადმი ხალხის დიდი სიყვარულის მაჩვენებელია. ვახტანგ გორგასალი თავისი დროისათვის პროგრესული პოლიტიკური მოღვაწე იყო. მან თავისი სიცოცხლე აგრესორებისა და მათ მოკავშირე ქართველი მთავრებისა და დიდი აზნაურების წინააღმდეგ ბრძოლას შეაღწია. მშრომელი ხალხის თვალში იგი მათ მთავრებელად და დამცველად გამოდიოდა. მოყვანილ სიმღერას ხალხმა თავისებური კომენტარიც კი გაუქეთა. სიმღერის ერთი ვარიანტის ჩამწერის შენიშვნით, ზვენი ხალხის რწმენით ცაში ყოველ ცისმარე დღე სამჯერ ირეკება ზარი: ცისკრისა, წირვისა და მწუხრისა. ვინც წმინდაა, იმას ესმის ხოლმე ეს რეკაო².

გიორგი ლეონიძემ ხალხური შემოქმედების ბუნების ღრმა ცოდნით გააახლა ეს სიმღერა და მისცა მას ახალი სოციალური შინაარსი, აამალა ესთეტიკურად და დააკისრა გმირული წარსულის ნათელ აწმყოსთან დაკავშირების ფუნქცია. პოეტმა შთაგონებული სტრიქონებით მოგვცა ახსნა ხალხის მიერ გმირის ზებუნებრივად წარმოდგენისა. ხალხური შემოქმედების რეალიზმის ღრმა გაგებით არის ახსნილი გმირის ზებუნებრივად წარმოდგენის საფუძველი. რელიგიურ მისტიციზმს პოეტი უპირისპირებს რეალურ სამყაროს. ამ სამყაროს საფუძველზე იძლევა იგი გაგებას პოეზიის არსისა. ეს პოეზია კი ხალხის გულიდან მოდის. ხალხური პოეზიის რეალიზმის ღრმა ცოდნით პროლოგში დიდი მანტვრული სიმართლით არის ნაჩვენები ხალხის სიყვარული გმირისადმი. ღრმად ხალხურია ძველი საგმირო სიმღერით შთაგონებული პოეტის ორიგინალური სტრიქონები:

ირეკება ციდან ზარი,
საოცარი,
ვერცხლის ზარი...
ფეინება ქვეყნის კიდურს.
და არა აქვს ხმას საზღვარი!
თქვენ გგონიათ ციდან არი?
ჰრეკს ლაქვარდის ბინადარი?
ან გგონიათ ვარსკვლავთ რეკა,
ცისარტყელის მინანქარის?

¹ ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ხალხური საგმირო-ეპოსტორიო სიტყვიერება, 1949 წ., გვ. 100.

² „დროება“, 1885, № 25.

აქროლებმა ნიავექარის?!

— არა!

— რეკავს ხალხის გული,
ხალხის გულის ღია კარი!
არც ოცნება, არც სიზმარი!
ირეკება დღე ცისმარი,
გმირთა ხელით ხალხის გულში
საოცნებო წმინდა ზარი!..
უკვდავების ძახილია
მუდამ ხალხის მალევიძარი!
მას სამშობლო იმეორებს
დღე ცისმარი,
დღე ცისმარი...
მისთვის მიყვარს მისი ხმები,
მიტომ ამ ზარს არ აქვს ბზარი,
ისმოდა და ახლაც გვესმის
ყველა ხმაზე საოცარი —
ხალხის ზარი!..
არა ციდან,
ლაჭვარდიდან, —
არც ტაძრიდან ნასმინარი,
დარბეული ხალხის გულში,
გმირთა ხელით ხალხის გულში,
რეკავს,
რეკავს დღესაც ზარი...
უკვდავების რეკვა არი!..¹

სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობით შთაგონებულად
ეს სტრიქონები უშუალოდ გვახედებს ეროვნულ გმირის სიყვა-
რულით ანთებულ ხალხის გულში.

ხალხური სიმღერის გამოყენებით გვაცნობს პოეტი მტრის
წინააღმდეგ ბრძოლაში ვერაგულად დაღუპულ ვახტანგ გორგას-
ლისადმი ხალხის დიდ მოკრძალებასა და სიყვარულს, გვაცნობს
გმირის უკვდავების საფუძველს:

ვახტანგის ხმლის ნარეცხს
კაბუჯებს ასმევდნენ,
მის საფლავიდან მიჰქონდათ მიწა,
ის მტერს ჰრეკავდა,
ის მთებს დრეკავდა
და სამარეში არასდროს იწვა...²

¹ ერთტომეული, გვ. 402—403.

² იქვე, გვ. 494—495.

ეს სტრიქონები პოემისა საუკეთესო ნიმუშია კოლექტიური შემოქმედების მომხიბვლელი ოსტატობით გადამუშავებისა. ნალამხატვრულად წარმოსახული ძველი ქართული საგმირო ტრადიცია ღრმად გააზრებულ, გადამუშავებულ ხალხურ სტრიქონებთან ერთად გვაცნობს საუკეთესო თვისებებს ქართველი ხალხისა. ამავე ღროს პოემის ეს სტრიქონები ერთგვარი მოწოდებაც არის სამშობლოს დასაცავად მარად მზადყოფნისათვის, ნათელი მომავლის შექმნისათვის.

საგმირო პოეზიისა და საყოფიერო ლირიკის გამოყენებით ყურადღებას იქცევს აგრეთვე „სამგორის“ ერთი უძლიერესი ეპიზოდი. ვახტანგ გორგასლის დაღუპვის შემდეგ მომდევნო საუკუნეებში ქართველი ხალხის მხურვალე პატრიოტიზმს გვაცნობს საგმირო ტრადიციისა და ხალხის უკვდავი რწმენის ღრმად გრძნობიერი დახასიათება. უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენს შკითხველზე ადგილი პოემიდან, სადაც გმირული წარსული ნათელ აწმყოსთან მოხდენილად არის დაკავშირებული:

დიდხანს ეკიდა თბილისის ბუბუე
ძვლით მოღჯრსმული ვახტანგის ფარი,
ფარზედ ეხვია პირიმზის თმები,
აბრიალებდა ნაწნავებს ქარი...
ამვლეულ-გამვლელნი თავს დაუყრავდნენ
და მომღერალი ქებას მღეროდა,
შეირხეოდა ჯეცრივ ფარი,
როცა სამშობლოს საფრთხე ელოდა.
გაიშლებოდა ორად ნაწნავი,
თუ მტერი თბილისს ემუქრებოდა,
ამბობენ, — რეკაც ისმოდა ფარის,
ცისკრის ვარსკვლავი როცა ჰქრებოდა.
— თქვენთვის ვცხოვრობდით,
თქვენთვის ვკვდებოდით,
თქვენც არა გნახოთ მტერთან დრაკილი!
ჩვენთან იყავით...
არ დაგვივიწყოთ! —
იძახდა ფარის ხმა დარკილი.
და ასრულებდა ხალხი ამ აღთქმას,
ისიც იცოდა, მოვა დღე მტკბარი,
როს გააჩნდა დედა იმ რჩეულს,
ვისაც ხელთ უნდა აეღო ფარი!..¹

¹ ერთტომეული, გვ. 513.

ეს დაუფიწყარი სტრიქონები მეტად საინტერესოა საგმირო სიმღერებისა და ლეგენდების ტრადიციის თვალსაზრისით. ამავე დროს იგი შთაგონებულია შესანიშნავი ხალხური ლექსებით. ასეთია, მაგალითად, იშვიათი ოსტატობით გამოკვეთილი საგმირო ლექსი:

ბეთლემის კარზე ჰკიდა
ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მაუვლის ომის წადილი,
ხანდახან შასძრავს ქარიო.

ქართული ხალხური შემოქმედების ცნობილმა მკვლევარმა ვახტანგ კოტეტიშვილმა ამ ლექსის შესახებ მართებულად აღნიშნა: „ვინ იცის რამდენი ცვლილება განიცადა ამ ლექსმა, ვიდრე იმ მტკიცე ფორმას მიიღებდა, რომლის გარღვევა აღარ შეიძლება. მიქელ-ანჯელო რომ ამბობდა, ქანდაკება ისე უნდა გააკეთო, რომ მთიდან დაგორებულს არაფერი არ უნდა მოსტყდესო, ასეთ მტკიცე ფორმასა ჰგულისხმობდა“¹.

გიორგი ლეონიძის დიდი პოეტური ძალა იმაშია, რომ იგი ახერხებს ამგვარი ლექსების კიდევ უფრო ამაღლებას, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მიხედვით. გიორგი ლეონიძის ოსტატობა სწორედ იმაშია, რომ ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე იშვიათი ოსტატობით გამოკვეთილი ლექსის პატრიოტიზმი ახალი ფორმით კიდევ უფრო გაღრმავებულია. მკითხველს არ გაუძნელდება შენიშნოს, რომ ხალხური ლექსის დასაწყისით „ბეთლემის კარზე ჰკიდა ვოჟა ჯურხაის ფარიო“ შთაგონებულია ლეონიძის პოემის სტრიქონები:

დიდხანს გკიდა თბილისის ბჭეზე
ძვლით მოღურსმული ვახტანგის ფარი.

ხალხური ლექსის მეორე ნახევარი „მაუვლის ომის წადილი, ხანდახან შასძრავს ქარიო“ ლეონიძეს ისე აქვს გადამუშავებული: რომ უშუალოდ უკავშირდება სამშობლოს ბედს:

...შეირბოდა უეცრივ ფარი,
როცა სამშობლოს საფრთხე ელოდა.

ჩვენს მიერ ციტირებული უძლიერესი ეპიზოდი გ. ლეონიძის პოემისა შთაგონებულია აგრეთვე მეორე გავრცელებული ხალხური ლექსის სტრიქონებით. ეს არის საყოფაცხოვრებო ლექსი. იგი-

¹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია გვ. II.

გვაცნობს ძველ ქართულ ჩვეულებას გარდაცვლილი ქალის თმების მშობლიურ კარ-მიდამოზე გამოფენისა. ეს მოტივი ხალხურ ლექსებში ზოგ შემთხვევაში ცოლის მიერ ქმრის ღალატთან არის დაკავშირებული. ძველ საქართველოში სიძვისათვის ქალი სასტიკად ისჯებოდა. უკანასკნელ წლებში მოპოვებული ლექსის ერთი ვარიანტის მიხედვით ოქრომჭედელზე გამიჯნურებულ ქალს სიკვდილით სჯიან. დასჯილი ქალის პირით არის ნათქვამი სტრიქონები:

ჯერ ხომ ცხვირ-პირი ამაკრეს,
მერმე გიშრისა თმანიო.
დაფინეს ხალის ფარდაგი,
დამკეპეს როგორც მხალიო.
გადამავალმა ყორანმა
გადაიტანა ჩქამიო,
საწყალ დედაჩემს უთხარით:
— თამარ მოგიკლეს ქალიო.
გაყიდე დედულ-მამული,
იყიდე ჩემი თმანიო.
დარბაზის კარსა დაჯიდე,
ანიავებდეს ქარიო.
გამლეღ-გამომლეღ სწორებსა
ხედაც კი ჰქონდეს თვალიო,
— ღმერთმა გაცხონოს ქალოჯან,
ესეც ყოფილა თმანიო¹.

მეორე ვარიანტითაც ქმარი კლავს მოღალატე ცოლს. ამის გამო ამ ვარიანტშიაც პირველი პირით არის ნათქვამი:

მზემც მიტირა და მთვარემცა,
მასკულავებმაც მიხეცეს ხარი.
წადი, უთხარი დედილოს:
ალარ არი შენი ქალი.
შაკმანხოს თავის ლურჯაი,
დამანახოს ჩემნი გზანი,
მოვიდეს, ერთი მიტიროს,
თავის შვილს აღრისოს ნამი.
მერმე აპრაჲ შავგიშერნი,
შენაწინაგნი ჩემნი თმანი.
აკოცოს, წყობით დააწყოს
შეიდკეცი და შვიდი მხარი.
მალლა „ბალკონზე“ გაფინონ,
როდესაც რომ ქროდეს ქარი,

¹ „ლიტერატ. ძიებანი“, ტ. VI, გვ. 66.

დავით ხიზანიშვილმა უფრო აღრე გამოაქვეყნა ფრაგმენტული ვარიანტი ლექსისა, სადაც არათუერია ნათქვამი ქალის სიკვდილის შესახებ და მხოლოდ დარბაზის კარზე თმის გამოკიდების მოტივია შემონახული:

გადამავალო ყორანო,
გადამიტანე ჩქამიო;
უთხარი დედასა ჩემსა —
წაიხვენ ჩემნი თმანიო;
დაჰკიდოს დარბაზის კარზე,
აბრიალებდეს კარიო;

შეჰვლელ-გამამვლელ მგზავრებსა
ყველას ეჭიროს თვალიო;
ღმერთმა გაცხონოს ქალო,
ვისიცი არიან თმანიო.
ყველამ ესე თქვას, წავიდეს,
სადაც არს მიმავალიო².

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია გადმონაშთი ძველი სარწმუნოებრივი შეხედულებისა თმის პარციალური სულის შესახებ³. ჩვენ აღნიშნული გვაქვს, რომ ამგვარ ლექსებში შემონახული უნდა იყოს კვალი რწმენისა თმის პარციალური სულის შესახებ⁴. გიორგი ლეონიძის პოემაში ამ მოტივს სრულიად ახალი ფუნქცია აქვს დაკისრებული. გმირის უკვდავებასა და სამშობლოსათვის თავდადებული ქალისადმი ქართველი ხალხის უდიდეს პატივისცემას გაგვაცდევინებს ხალხური პოეზიით შთაგონებული პოემის ამაღლევბელი სტრიქონები:

„ფარხედ ვხვია პირიმხის თმები,
აბრიალებდა ნაწნავებს ქარი“

„...გაიშლებოდა ორად ნაწნავი,
თუ მტერი თბილისს ემუქრებოდა“⁵...

ამავე პოემაში ახალი შინაარსით არის გამოყენებული შესანიშნავი საგმირო ტრადიცია, რაც ბოლოდრომდე იყო შემორჩენილი ხევსურეთში. ხევსურეთში სარიტუალო ნადიმში ცალ მუხლზე დაჩოქილნი ფანდურის აკომპანიმენტზე ასრულებდნენ სიმღერებს ხალხის საყვარელ გმირებზე⁶. ამგვარ სიმღერებს, როგორც სამართლიანად

¹ „ლიტერატ. ძიებანი“, ტ. VI, გვ. 66.

² ფშაური ლექსები, შგკრებილი დავით ხიზანიშვილის მიერ, გვ. 207.

³ გ ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, „მინომხილველი“, 1. თბ., 1949.

⁴ „ლიტ. ძიებ.“, VI, გვ. 65.

⁵ ერთტომეული, გვ. 513.

⁶ ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 77—78.

აღნიშნა ეთნოგრაფმა ვერა ბარდაველიძემ, მნიშვნელობა აქვს საგ-
მირო პოეზიის წარმოშობის საკითხისათვის¹. 1944 წელს ხევსუ-
რეთში ექსპედიციის უფროსის სოფ. ახილაში 80 წლის უსი-
ნათლო მთქმელმა გიორგი ოჩიაურმა (გერგეტელმა) ჩაგვაწვრინა
სარიტუალო ნაღიმში ჩოქით თანდურზე შესასრულებელი საგმირო
ლექსები:

კომლის კლდეს ხყეფდა ყორანი,
ერთი უძახებს სხვასაო;
უშიშა არ მოგვაცლებდა
სახრავად ქისტის ძვალსაო²;
სიყდილმ თქუ, არ დავიჯერებ,
ნაბძანებს ვიქამ ხეთისასა,
ხენ უბანს მავაწმედიებ
ნაწურსა გრილის მთისასა.
მავხლავდი კანჯარუსა³
ყარაულს ზენუბნისასა,
უშიშას ოჩიაურსა⁴
მგლებურ მკამელსა მტრისასა,
აქუათ ქასას⁵ მავხლავდი
შაორდუნს მალლის მთისასა,
აღიათ ბაბლის⁶ მავხლავდი
დამლუპავს დილღლებისასა⁷.

„სანგორში“ მტრის წინააღმდეგ წინაპართა სამხედრო მზა-
დების აღწერისას ბრწყინვალედ არის გამოყენებული საგმირო პოე-
ზიის შესრულების ამგვარი წესი:

ცალმუხლზე ყრმები უკრავდნენ ჩანჭურს,
ისმოდა დიდება ვახტანგ მეფისა...
მოიჯარებდნენ ჩანჭურის ირგვლივ,
ჩუმად აჩრდილნი აკლდამებისა...

აქვე ნაღალი ოსტატობით არის გამოყენებული პატრიოტ
ვაჟკაცთა მხედარი კოპალესადმი მიმართვის ჩვეულება⁸. უძლიერ-
ეს შთაბეჭდილებას ახდენს „სანგორში“ ვერაგულად მოკლული

¹ ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების
სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნ. 1. გვ. 9.

² ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყ-
ვიერება, გვ. 78.

³—⁶. ზვესური ვაჟკაცები.

⁷ ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყ-
ვიერება, გვ. 78.

⁸ ერთომეული, გვ. 455.

ვახტანგ გორგასლის დატირება. ვაჟაკის დატირების ძველი სამ-
გლოვიარო წესის გრძნობიერი აღწერით პოეტი გაგვაცდევინებს
ქართველი ხალხის დიდ გლოვას, გამოწვეულს ეროვნული გმირის
დალუპებით¹.

პოეტს დიდი სიღრმით აქვს გააზრებული ისტორიაში და
ხალხურ ნაწარმოებებში დაცული ცნობები ვახტანგ გორგასლის
ღალატით დალუპვის შესახებ².

გიორგი ლეონიძე საგნის ღრმა ცოდნით გვაცნობს სიმღე-
რისა და მუსიკის შთამაგონებელ ძალას სამშობლოსათვის ბრძო-
ლაში.

წარსულში სახალხო მომღერლის გულსაკლავ ხვედრს პო-
ეტმა ამაღელვებელი სტრიქონები უძღვნა. პოეტს ასე აქვს გად-
მოცემული პატრიოტ მესტვირის ხახარეს წამება:

ამო იყო ხახარეს მღერაც,
მოქნეულ ხმაღმა შეღეწა სტვირი;
ხელში ჩაიგდეს ხახარე ტყვედა
და აპეურით აუკრეს პირი³.

„სამგორში“ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მტრის წინააღ-
მდეგ ამხედრებული ვაჟაკისადმი ქალების მიერ სიმღერის მიძ-
ღვნის ჩვეულება. ქალების საგმირო სიმღერების შთამაგონებელი
როლის შესახებ, საინტერესო ცნობები მოცემული აქვთ ვაჟა-ფშა-
ველასა და ალ. ყაზბეგს. გიორგი ლეონიძე მგზნებარე სტრიქო-
ნებით მიმართავს ძველი თბილისის პატრიოტ ქალებს:

აქ, პირველად გიმღერიათ,
რა სჯობს იმ ხმის გაგონებას!
თქვენ მივით პირველ გმირებს
და ოსტატებს შთაგონება!⁴

პოეტი მოკრძალებით უმღერის წინაპართა აჩრდილებს.
მშრომელი ქალების საქმის უქვდავებასა და „იავნანას“ შთამაგო-
ნებელ ძალას:

თქვენს ხელთსაქნარს მე ვემთხვევი,
თქვენს მარჯვენას, ქსელის მქსოველს,
მტრედის გუნდო, სად გაფრინდი,
თბილისი ვერ დაიხსომე?

¹ ერთრამეული, გვ. 432—500.

² იქვე, გვ. 403—504.

³ იქვე, გვ. 488.

⁴ იქვე, გვ. 433—434.

ნუთუ მართლა აღარა ხართ?
ნუთუ გახდით ნიაჲ-მტვერი?
არა, თქვენი იავენანა
ჩვენს აკვნებზე დღესაც მღერის!¹

ბრძოლის ველზე ქართველი ქალების როლი, კერძოდ, მათი სიმღერების მნიშვნელობა და თბილისზე შემოსეული სპარსელების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ერთი მომენტი პოემაში ასეა გადმოცემული:

ისარს ტყორცნიდნენ, შუბაკს, ნაკვერცხალს,
იდგა ყვილი, ხარი, ზრიალი,
არა ტყდებოდა თბილისის რაზმი,
სამშობლოს ნების თანახიარი...
ისრებს აწვდიდნენ მღერით ქალები
და ამხნევედნენ მკაცრი ღიმილით,
კოშკის ქონგურზე იდგა პირიმზე
წყნარი კაჲმნით და სიმძიმით?²

პოეტს პატრიოტული გრძნობის სიამაყით აქვს გადმოცემული გორგასლის ქალის პირიმზის თავდადება სამშობლოსათვის, მისი გმირული სიკვდილი³. პირიმზის ტრალიკული ბედის აღწერით პოეტმა წარმოგვიდგინა ქართველი ქალის ამაღლებული გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა. პოემის ეს ეპიზოდი გვაგონებს ციკლს ხალხური თქმულებებისა, რომელთა მიხედვით ქართველი ქალები მტრის ხელში ჩაგარდნას სიკვდილს არჩევენ.

პატრიოტი ქართველი ქალის აჩრდილისადმი მიმართული საესებით ორიგინალური და დამოუკიდებელი სტრიქონები პოემისა წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე. იგი გვაგონებს მსოფლიო მითოლოგიის ბრწყინვალე ნიმუშებს, რომელთა მიხედვითაც მომხიბვლელი ყვავილები და ბუნების მოვლენები ხალხის წარმოდგენით წარმოშობით ადამიანებს უკავშირდებიან:

სად ხარ, პირიმზევ, ივრის ასულო,
ველის ყვავილად სად ამოხველი?
ნარგიხად ჰყვავი? იად მოხველი?
რა ჰქვიან ყვავილს? და რა ფერია?
— მე ერთი ვიცი, შენი ლეჩაქი,
იორზე დილის ნისლად ჰფენია!⁴

¹ ერთტომეული, გვ. 433—434.

² იქვე, გვ. 489—490.

³ იქვე, გვ. 491.

⁴ იქვე.

ამავე პოემაში ხალხური მუსიკის პატრიოტული ფუნქცია გვაქნობს გმირისადმი ხალხის სიყვარულსა და პატივისცემას, პოეტი ანთებული გულით მიმართავს პატრიოტი გმირის აჩრდილს:

— ჯაგუ, ეგრიხელ გუნდით რომ გძინავს,
ომში მიჰქროდი, როგორც ენგური!
იორს ენგური ეშველებოდა,
ერთის ძვობით და ფიცით შეკრული.
ჯაგუ, სამგორზე, ჭიანურის კვრით
შენს სულს ეძებდნენ ეგრიხელები.. .
რისთვის გეძებდნენ? ქართლი, ეგრისი,
დღესაც სავსეა შენი ხსენებით¹.

ქართველი ხალხის გმირული წარსულის თანაგრძობლობასთან დაკავშირების საშუალებაა ხალხური თქმულებანი სამამულო ომის მრისხანე დღეებში შექმნილ პატრიოტულ ლექსში „სამგორი“. სამ ყურღანზე საძმო საფლავებზე ბოლოდრომდეა გავრცელებული თქმულებანი აღმოსავლეთ საქართველოში. ეს თქმულებები იძლევა სახელწოდება სამგორის ხალხურ ეტიმოლოგიას. გიორგი ლეონიძე საუკუნეთა მანძილიდან დიდი გზებით უმღერის სამშობლოსათვის თავდადებულ გმირ წინაპრებს:

დასთმეს სიცოცხლე, მაგრამ არ დასთმეს
არც ერთი გოჯი თვისი მამულის,
აბარგდებიან სამარის მტვერში,
როცა შეესმით მტრის ჟრიაშული².

დიდ სამამულო ომში საბჭოთა მებრძოლებისათვის წინაპართა გმირობის დიდ შთამაგონებელ ძალას გაგვაცდევინებს ლექსის დასასრული:

ახლაც ზიწიდან ამოგუჯუნებს
ამოძახილა მათი სამპირად
და უერთდება შვილთა ყივინას
იერიშებზე ვისლის ნაპირად!³

ძველი პატრიოტული თქმულებანი სამ გორაზე დიდი ოსტატობით განოიყენა პოეტმა პოემა „სამგორშიც“. პოემის ეპილოგის დასაწყისი მთლიანად ღრმად გააზრებულ ხალხურ თქმულებასზეა აგებული:

¹ ერთუბიძე, გვ. 498.

² იქვე, გვ. 289.

³ იქვე.

მგზავრო, შეხედე სამ გორს, სამგორზე
გგონია მართლა მიწის ბორცვია? —
არა და არა! სამივე გორა
ხალხის სისხლი და ხალხის ხორცია!
დიდების ველი საქართველოსი!..
იგი დაცხრილეს ძველად ისართა;
აქ გორგასალის ჩაწვა ლაშქარი,
ველზე სამ გორად ამოიზარდა!¹

ასევე მოხდენილად არის ჩართული სამგორთან დაკავშირებული თქმულებანი პოემის სხვა ეპიზოდებშიაც².

ნაციონალურ ელფერს აძლევს გიორგი ლეონიძის პოეზიას ძველი საგაზაფხულო და სხვა საწესო სიმღერები. ამგვარ სიმღერებს პოეტი მნიშვნელოვან ფუნქციას აკისრებს. მათი გადამუშავებით წარმოგვიდგენს განახლებულ სამშობლოს, მის მჩქეტარე მრავალფეროვან ცხოვრებას. ბოლოდრომდე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბავშვები აპრილისა და მაისის წვიმას თავს უშვებდნენ იმ რწმენით, რომ კარგი თემები დაეზრდებოდათ. ამ რწმენის კვალის მატარებელია სიმღერები:

შვიდ მაისის წვიმა,
თმა კოჰამდისინა³

ან კიდევ:

შვიდ მაისის ნამი
თავზე დამედინა,
შვიდ-შვიდი ნაწნავი
ზურგზე დამეჭიმა⁴.

ბავშვებში გავრცელებული ჩვეულება და მასთან დაკავშირებული სიმღერები ლექსში „ოქროს წვიმა“ საშუალებაა ძველი და ახალი ცხოვრების დაპირისპირებისა, უკანასკნელის უპირატესობის ჩვენებით.

პოეტი დიდი გულწრფელობით აცოცხლებს ბავშვობის მოგონებას:

როცა წვიმა აპრილისა
ტყეებს ახანზარებს,
როცა ცახედ ცისარტყელამ
შვიდჯერ დაიკოკროს, —

¹ ერთტომეული, გვ. 514.

² იქვე, გვ. 484, 498, 510 და სხვა.

³ ქართული ხალხური სიტყვიერება. ქრესტომათია, 1, ქს. სიხარულიძის შედგენილი, 1956, გვ. 49.

⁴ იქვე.

მაგონდება: თავს უშვერდით
პირქაფიან ღარებს,
და გვჯეროდა: სქელ კოჩრებზე
დაგვდიოდა ოქრო...

ბავშურ გულუბრყვილო წარმოდგენას პოეტი უპირისპირებს
ნათელ აწმყოს, მჩქეთარე ცხოვრებას:

— სად ხართ, ჩემო ცანგალებო.
ცეროდენა ძმებო,
წვიმამ პირი მოიქაფა,
დულს ღარები სავსე.
გამოვცვივდეთ თავშიშველა,
ისევ მივეგებოთ,
ოქროს შხეფში გავსრიალდეთ
ოცნებათა ნავზე!
მაგრამ კმარა,
რაც ძველ წვიმამ
გულში იციმციმა...
დღეს ჩაქუჩის ნაპერწკალში
ცივია ოქროს წვიმა!¹

ძველი საგაზაფხულო სიმღერით არის შთაგონებული სამშობ-
ლოს სიყვარულის დიადი გრძნობის გამომხატველი მეორე ლექსის—
„მზის პირის ნაბანი მინდა“—სტრიქონები:

მზისპირის ნაბანი მინდა,
შვიდი მაისის წვიმისა!
ვეპასუხები გაზაფხულს,
როგორც ძვირფასის ღიმილსა².

თუ რამდენად ორიგინალურია გიორგი ლეონიძე ხალხური
პოეზიის გადამუშავებაში, რა მაღალ ესთეტიკურ საფეხურზე აყავს
მას ხალხის შემოქმედება, მრავალ მაგალითთა შორის, ამას გვი-
ჩვენებს შესანიშნავი პატრიოტული ლექსი „არ დაიდარდო, დე-
დაო“. როგორც პოეტი გვაუწყებს, ეს ლექსი შთაგონებულია
1943 წ. ტამანის ნახევარკუნძულზე უცნობი ქართველი მეომრის
საფლავზე არსებული წარწერით. დიდი სამამულო ომის მრისხანე
დღეებში შექმნილი ეს ღრმად გრძნობიარე, ამავდროს მებრძო-
ლი ლექსი ზეპირად არის გავრცელებული საქართველოს ყველა
კუთხეში. მთლიანად ორიგინალური ლექსის ზოგიერთი სტროფი

¹ ერთჯომეული, გვ. 194—195.

² იქვე, გვ. 227.

ენათესავება ხალხურ პოეზიას. ლექსის ერთი ყველაზე უფრო გრძნობიერი ადგილია:

ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა,
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ვყრება დედასა!¹

ეს სტროფი თავისი ფორმით მოგვეგონებს მზის საგალობელ ჰიმნს: „მზეო, ამოდი, ამოდი“ — მაგრამ იგი უფრო ახლოს არის ხეესურულ მოთქმასთან „დედის ნატირალი შვილზე“:

მზეო დადეგ და დაგვიანდი,
მზე სდებარ უყენობისაო,
ვიყრებით დედაშვილობითაო.
მამშვიდობებენ ბერდიასაო.²

გულმოკლული დედის მოთქმა დაკრძალვის წესს ასახავს. დედა ემუდარება მზეს გვიან ჩავიდეს, რადგან მიცვალებულს მზის ჩასვლისას მარხავენ. გიორგი ლეონიძის ლექსშიც მიმართვა დღისადმი მშობლის უსაზღვრო გრძნობის გამომხატველია. მთავარი ის არის, რომ იგი ომის საშინელებას წარწოვიდგენს და მკითხველებს რაზმავს მშვიდობისათვის საბრძოლველად. ამავე ლექსის სტრიქონი „ნუ დაიდარდებ, დედაო“, რომელიც დიდ გულწრფელობასა და უშუალობას აძლევს მთელ ნაწარმოებს, ენათესავება ძველი საგმირო ლექსის სტრიქონს. ტრადიციული საგმირო ლექსის მიხედვით გმირი ქალი შურს იძიებს მტრებზე. იგი გრძნობიერი სიტყვებით დასტირის მტრის ხელით დაღუპულ ქმარს:

ნუ დაიდარდებ, გიგაი,
ჩვენ ცხვარ ჩვენ ხელთვე არია,
ისე აკვებე ლეკები,
როგორც ბოლოკა მხალია...“³

ორივე შემთხვევაში ხალხური სტროფები თუ სტრიქონები ამალლებულია გიორგი ლეონიძის ლექსში. ხალხურ მასალას პოეტი აძლევს დიდ ქმედით. ძალას და აყენებს სოციალისტური რეალიზმის სამსახურში.

¹ ერთტომეული, გვ. 63.

² ჩაწერილი 1936 წ. ს. ბლოში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, 1940, გვ. 109. გადაბეჭდილია, ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია 1, ქს. სიხარულიძის შედგენილი, გვ. 83.

³ ქართველი სახალხო გმირები, შედგენილი ქს. სიხარულიძის მიერ, 1952, გვ. 120.

გიორგი ლეონიძის პოეზიას დიდ მიმზიდველობასა და სი-
ბოს აძლევს სააკვნო სიმღერები. ძველი სააკვნო სიმღერების პატ-
რიოტული ფუნქცია შესანიშნავად არის გამოყენებული „სამგორ-
ში“. სააკვნო იავენანა „სამგორში“ გამოხატავს სამშობლოს სიყვა-
რულის დიად გრძნობას. მტრის მიერ აოხრებულ თბილისში
მყოფ ქალთა მიძიმე განცდები, მათი უსაზღვრო ლტოლვა თავი-
სუფლებისადმი ასეა გამოხატული გრძნობიერი სტრიქონებით:

აკვნებს მიუჯდნენ... ნანა უმღერეს,
რომ გაზრდილიყო ქვეყნის დამსნელი;
— ბრძოლა მრავალი წინ ელის თბილისს,
ეს არ იქნება უკანასკნელი!¹

წარსული და თანამედროვე ყოფის სურათებს ცოცხლად
წარმოგვიდგენს პოეტი ქართული შრომის სიმღერების გამოყენე-
ბით. შრომის სიმღერების მრავალფეროვანი სახეები — ოროველა,
ნამგლური, სამკალი, ურმული, მეტიური და სხვ. გ. ლეონიძის
პოეზიაში გვაცნობს მშრომელთა ყოფას წარსულში, მათ უკუ-
ღმართ ბედს და ამავე დროს ჯანსაღ განწყობილებას, — გამარ-
ჯვების ურყევ რწმენას. თანამედროვე შრომის სიმღერებით პოე-
ტი გვიხატავს კომუნიზმის მშენებელთა ხალისიან ცხოვრებას.

პატრიოტულ ლექსში „ლამე ივერიისა“ პოეტი ღრმა გრძნო-
ბით წარმოგვიდგენს ომგადახდილ, განთავისუფლებულ საქართვე-
ლოს. მშობლიური კუთხის პეიზაჟს ამშვენებს მეტიური:

დახანძრებული წვეს ივერია,
მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს,
მეტივეები სადღაც მღერიან,
სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე...²

შავი წარსულისა და ნათელი აწმყოს ამსახველ პოემაში „ბერ-
შოულა“ მოხუცის მოგონებაში მრავალფეროვან ქართულ ხალხურ
სიმღერათა შორის იხსენიება მეტიური და ურმული³.

გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში პეიზაჟი ხალხური სიმღე-
რებისადმი დიდი სიყვარულითა და უშუალო განცდით არის და-
ხატული; ურმულის მიმზიდველი ჰანგი, მისი მკენესარე ხმა გა-
მომხატველია წარსული ბედუკუღმართობისა. გიორგი ლეონიძის
პოეზიას ამშვენებს ოროველას ტრადიციაც. პოეტი უმღერის

¹ ერთტომეული, გვ. 495—496.

² იქვე, გვ. 251.

³ იქვე, გვ. 397, 399.

კომუნიზმის მშენებელ რაიკომის მდივანს, ადიდებს მის საქმიანობას და თან აგონებს უხალისო წარსულს:

შენ გახსოვს ძველად მიდამო.
გვალეისგან გადატრუსული,
ქობი... კრაქი და გუთანნი...
ზედ ოროველას ზუზუნი¹.

შრომაში სიმღერის როლისა და სევდიანი ოროველას დახასიათების თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე თბილისის შენების მომენტი „სამგორში“:

სიმღერით, კენესით, შრომით და ღვაწლით,
ერი მდაბიო, გლეხი და შონა, —
აშენებს თბილისს... ბეგარით, ხარკით...
ისმის კენესაში ოროველ... კონა...²

ოროველას ზუზუნი, ისე როგორც სხვა სახის შრომის სიმღერები, თავისი ტკიბილი ჰანგით მშრომელთა ნუგეშსა და ბედნიერი ცხოვრების მოლოდინს განობატავდა. ოროველას მუსიკალობა, მისი მონხიბვლელი მელოდია მშვენიერად არის გამოყენებული „ბერშოულაში“³. „სამგორში“ ცოცხლად არის წარმოდგენილი ყურძნის წურვასთან დაკავშირებული ძველი სიმღერა „არანანო“⁴. „ფორთოხალაში“, სადაც პოეტმა მისთვის დამახასიათებელი მაღალი ოსტატობით გააცოცხლა რევოლუციამდელი ისტორიის მიერ უგულებელყოფილი მშრომელი ქალი, ძველი ღუბჭირი ყოფისა და ახალი საამური ცხოვრების დააირისპირების მიზნით, დახასიათებულა თანამედროვე ხალისიანი სიმღერის ტრადიცია. პოეტი სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობით აწერს თანამედროვე კოლხიდას, მის ციტრუსოვან წარძტაც ველებს, გვაცნობს სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მოწინავე ქალების ხალისიან განწყობილებას. მაღალპოეტურად არის გადმოცემული თავისუფალ ქალთა სიმღერის შინაარსი და ხასიათი:

გოგოები ბაღს თოხნიდნენ
სიცილით და ტკარცალითა,
უმღეროდნენ ოქროს ვაშლებს,
დილის ცვარით დაცვარილთა.

¹ ერთკომეული, გვ. 282

² იქვე, გვ. 429.

³ იქვე, გვ. 394—395.

⁴ იქვე, გვ. 432.

უმღეროდნენ უხვ მოსავალს,
ტბილ ცხოვრებას საამურსა,
უმღეროდნენ ახალ ფუძეს,
ძველი — მაგრა ჩაილურსმა!
სიმღერის ხმა წკრილებდა,
თოხს სცვიოდა ნაპერწკალი;
გზას გადალმა ვინმე ქალი
ყურს უგდებდა გულფანცქალით...¹

ამაღელვებელია აქვე წარმოდგენილი აჩრდილი ჩვენი წინაპრის ფორთოხალასი, რომელმაც შორეულ საუკუნეში ძნელბედობაში დალია სული. ფორთოხალას პირით მოხდენილად არის დაპირისპირებული ძველი დუხჭირი ყოფა და ახალი საამური ცხოვრება. მაღალ იდეური და ღრმად მგრძნობიარეა საუკუნეთა მანძილიდან მოწვდენილი ხმა ფორთოხალასი მიმართული კოლექტივში მომუშავე ბედნიერი ქალებისადმი:

— ჰეი, ჰეი გოგოებო,
ნეტავ თქვენ დროს, თქვენ ცხოვრებას,
თქვენი მღერა მხიარული
მე საფლავში მეყუარება!

— ჰეი, ჰეი, გოგოებო,
ეგრე მაგრა დაჰკათ თოხი!
თქვენ ოდა გაქვთ გაფეთქილი,
მე კი მედგა წნელის ქოხი.
მარტოდ მარტო ვმუშაობდი,
არც კი მყავდა ხმის გამცემი..
ნეტავი თქვენ, ერთად შრომობთ,
ერთად მღერით მთელი თემი ².

პოეტი საბჭოთა პატრიოტიზმის ამაღლებული გრძნობით ხატავს კომუნის დიად მშენებლობას. ლექსი „ჩართულია უკვე დენი“ აღტაცებული სიმღერაა დიდი ლენინის საქმის უკვდავებაზე, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიის გიგანტურ ზრდაზე. ამ ლექსით პოეტი გვაგრძნობინებს გულისძგერას ჩვენი დიადი სოციალისტური მშენებლობით აღფრთოვანებული ადამიანისა. საამური ცხოვრებით გახარებული, კვარის შუქზე გაზრდილი ოთხმოცოწლის ქალი უმღერის ელექტრო შუქს და ბნელ წარსულს უპირისპირებს ნათელ აწმყოს:

¹ ერთტომეული, გვ. 383.

² იქვე, გვ. 384.

ძველ ცხოვრებას, მზის გამქრობელს.
შავსედიანს, მე ვემდღური;
მან ქალობა დამიღამა,
შემიკვარტლა კრაქის მურით!
შეგესწარი, დაგინახე,
შარავანდი, შუქურ-შინდი!
შემოფრინდი ჩემს ბინაში,
გამინათე თვალის ბინდი!¹

ამ შემთხვევაში პოეტს შემოქმედებითად აქვს გამოყენებული და ვადამუშავებული გურული სასიმღერო ლექსია:

ინდი მინდი, ფერად მინდი,
ფრთა გაშალე, გამოფრინდი,
გამოყევი, გამობრწყინდი,
განმინათლე თვალთა ბინდი,
შენთვის სიკვდილს არ შევშინდი,
უკვდავების წყაროთ მინდი².

შესანიშნავ ლირიკულ ლექსს „ავადულოთ მარგალიტი“ დიდ სიტბოს აძლევს ვადამუშავებული და ესთეტიკურად ამალღებული ძველი სასიმღერო ლექსები: „ამოდულდი მარგალიტო“ და „ნეტაეი გოგო მე და შენ ერთმანეთს დაგვატოლაო“³.

დიდ მიმზიდველობას აძლევს ლექსს „ღამე ივერისა“ სატრფიალო ლექსის ტრადიცია. პოეტი რომანტიკულად მიმართავს მეწისქვილეს:

სთქვი, ნალღლიანი ძველი ქართლივით,
ან ღამაზ ქალზე ერთად ვიმღეროთ...⁴

ხალხური ბალადით არის შთაგონებული ერთსა და იმავე წელს დაწერილი გიორგი ლეონიძის შესანიშნავი ლირიკული ლექსები: „ყივჩალური ღამე“ და „ყივჩალის პაემანი“. ამ ლექსების წყაროა აღმოსავლეთ საქართველოში მრავალ ვარიანტად ცნობილი ღრმა სოციალური შინაარსის, მაღალმხატვრული ბალადა „შემომეყარა ყივჩალი“. ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ გამოქვეყნებული მისი ერთი ვარიანტი ასეთია:

შემომეყარა ყივჩალი
სამზღვარს მუხრანის გზისასა,

¹ ერთტომეული, გვ. 304.

² ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 30.

³ ერთტომეული, გვ. 262.

⁴ იქვე, გვ. 251.

პური მთხოვა და ვაკშიე,
 ვურჩევდი თათუხისასა.
 ხორცი მთხოვა და ვაკშიე,
 ვურჩევდი ზოზობისასა,
 ღვინო მთხოვა და ვასშიე,
 ვურჩევდი ბადაგისასა.
 ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
 მიმყვანდა სიდედრისასა.
 ან კი ცოლს როგორ მივეცემდი,
 შვილსა გაზრდილსა სხვისასა.
 ხელი მოჭხვია, აკოცა,
 მოზიდნა ნაწნავს თმისასა,
 შესტირა საბრალო ქალმა:
 — „ვაი ცოლს ცუდის ყმისასა“.
 მეც გულმა ველაო გამიძლო,
 მოვხიდნე ვადას ხმლისასა,
 უმაღლე იმან დამასწრო,
 ვლვასა ჰგვანდა ცხასა.
 მაგრამ დაუცდა მუხანათს,
 ვენაცვლე მადლსა ღვთისასა,
 ახლა მე შემოუქნივე,
 ვენდე მადლს ლაშრის ჯვრისასა.
 გავპერი ცხენი და კაცი,
 წვერიც მომიხვდა ქვიშასა.
 არ იყო ღირსი, მოხორდა
 ცქერას ნათელის მზისასა,
 ცოლი სიდედრსა მივვარე,
 ის კი იქა სკამს ქვიშასა ¹.

ცნება „ყვიჩალის“ ხალხის მეხსიერებიდან დაკარგვის შედეგად. როგორც მართებულად აღნიშნა ვახტანგ კოტეტიშვილმა, ლექსის ზოგ ვარიანტში იხსენიება „ჩიჩიბი“ ან „ჯიჯიბი“ ². გვხვდება აგრეთვე „ხირჩლა“ ან „ყაჩალი“ ³. ამგვარი ცვლილება ცნებისა ჩვეულებრივი მოვლენაა ზეპირსიტყვიერებაში. ლექსის აღრინდელი სახისთვის ყვიჩალია დამახასიათებელი. გიორგი ლეონიძეც იმ ვარიანტს იყენებს, სადაც ყვიჩალი იხსენიება. საგულისხმოა ხალხური ბალადის ერთი ვარიანტის ჩამწერის თამარ მაჭავარიანის შენიშვნა, რომ ლექსი ხალხს დავით აღმაშენებლის დროინდელად ნიაჩნია ⁴. „ქართლის ცხოვრების“ ცნობების საშუალებით ვახტანგ.

¹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 74—75.

² იქვე, გვ. 335.

³ „ლიტ. ძიებანი“, ტ. VI, გვ. 64.

⁴ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 335.

კოტეტიშვილმა დამაჯერებლად გაარკვია, რომ ხალხური ბალადა XIII—XIV საუკუნეებზე გვიანდელი წარმოშობის არ უნდა იყოს. ბალადაში ასახულია დავით აღმაშენებლის მიერ ქსნის ხეობაში დასახლებული ყივჩაღების მომდევნო საუკუნეებში—XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დასაწყისს თავაშეება და ქალების ტაციობა¹. გიორგი ლეონიძეს დიდი პოეტური სიღრმით აქვს გააზრებული ჩვენი ქვეყნის ეს წარსული ტრადედია. მის ლექსებში წარსული მოხდენილად არის დაკავშირებული თანამედროვეობასთან. ამგვარი კავშირით პოეტმა შექმნა ხალხთა მეგობრობის საღიდებელი ჰიმნი. ლექსში „ყივჩაღური ღამე“² თავისუფალ სამშობლოს მომღერალ პოეტს ახარებს „ივრის ვაზები, როგორც სასანთლე გაჩაღებული“. პოეტს უხარია, რომ ყივჩაღთა ჰიბვინა ცბენების ნალები აღარ გატორავენ მშობლიურ მიწა-წყალს, აღარ ჩამტვრევენ მოძმეთა გულის თიცარს. მეორე კიდევ უფრო რომანტიულ ლექსს „ყივჩაღის პაემანი“³ ეპიგრაფად უძღვის ხალხური ბალადის სტრიქონები:

„...ერთი მეც გადავუქნიე,
წვერიმც ვუწვდინე მიწასა...“

ამ ლექსში პოეტი წარმოგვიდგებს ყივჩაღის აჩრდილს. წარსულის გაცოცხლებით, შორეული მოგონებით ლექსის პირველ ნახევარში ყივჩაღის პირითვეა აღნიშნული ხალხურ ბალადაში გადმოცემული ქართველი რაინდის დიდი თავაზიანობა, სტუმარ-მასპინძლობა; მუხრანის გზაზე შემოყრილ ყივჩაღს ქართველმა რაინდმა საუკეთესო პურ-მარილი — თავთუხის პური, ხობის ხორცი, ბადაგის ღვინო შეურჩია. ხალხური ბალადის გადამუშავებით პოეტი ახალი შინაარსით აცოცხლებს წარსულს:

ყურღანებიდან გწოლი გაფრინდა;
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ აღვსდექი!
მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარალს.
ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,

¹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 335.

² ერთტომეული, გვ. 244.

³ იქვე, გვ. 245.

როგორც ბადაგი დადუღებისას.
ხონხობას განახე,
მიწურულ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!

ლექსის მომდევნო ტაეპებით პოეტი ცოცხლად წარმოგვიდგენს წარსულში უცხო ტომების თარეშს მშობლიურ მიწა-წყალზე, მატერიალური კულტურის ძეგლების განადგურების მოთარეშე ტომების მიერ და ქართველ რაინდთა გმირულ გამკლავებას მომხდურებისადმი. გიორგი ლეონიძის ლექსის დინამიური სტრიქონები ღრმად გვაგრძნობინებს ჩვენი ქვეყნის წარსულ ტრალედიას:

ტრამალ და ტრამალ გამოგედვენე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლექე ტაძრები კლაპტრიანი!
მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ყიფილად,
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩხა!

გიორგი ლეონიძის ლექსის დასასრული ტაეპები ხალხთა მეგობრობის დიადი იდეის მაღალპოეტურად ქადაგებაა. არა მტრობა და შური, არა თავდასხმები და დალაშქვრანი ტომებისა ურთიერთ მიმართ, არამედ მეგობრობა და სიყვარული. გამიჯნურებულე ყიფილის შორეული აჩრდილი მგზნებარედ მიმართავს კლემამოსილ ქართველ ქალს:

მოდო, მომხვიე ხელი კრილობას.
ველარა გხედავ, სისხლით ვიცლები...
როგორც სამროზე ქვაბს ოხშივარი,
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები...

მოდო!

გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა:-
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..

ასე გადაამუშავა და ახალ ესთეტიკურ სიმაღლეზე აიყვანა გიორგი ლეონიძემ ხალხური ბალადა. გიორგი ლეონიძემ ხალხურ მასალას მისცა ახალი სოციალური შინაარსი, ახალი მხატვრული ფორმა და ამგვარად შექმნა მაღალმხატვრული, ორიგინალური ლირიკული ლექსები.

ზღაპრის შინაარსი, ეპიზოდები, მოტივები, პოეტური ხერხები და ტრადიცია აღრმავებს გიორგი ლეონიძის პოეზიის სოციალურ მოტივებს, ამბალღებს მის ჰუმანიზმს და პატრიოტიზმს. ლექსში „ღამე ივერიისა“ წარსულის რომანტიკა წარმოდგენილია ზღაპრის ტრადიციით. საინტერესოა ამ მხრივ მეწისქვილისადნე მიმართული სიტყვები:

სთქვი, მეწისქვილე, ერთი ზღაპარი¹

მშრომელთა ყოფის სურათს წარმოგვიდგენს ზღაპრისა და სიმღერების ტრადიცია — „ფორთოხალაში“. საუკუნეთა მანძილიდან პოეტი გრძნობიერად მიმართავს ჭაპანწყვეტაში ჩაფერფლილ გლეხის ქალის აჩრდილს:

ღამე, როცა ზღვა დაჰკრავდა,
დააფენდა მიწას ფაფარს,
ცუცხლაპირა მსხდომარ ბავშვებს
უყვებოდი მოგრძო ზღაპარს;
შეარბევდი მეტე ჩონჯურს;
ზღვას სიმღერით აჩუმებდი.
წაგიღებდა იწარე ფიქრი,
რომ არ ჩანდა სარჩო მეტი;²

წარსულში აგრესორების მიერ ქართველი ხალხის შევიწროების გადმოსაცემად ამავე ნაწარმოებში გამოყენებულია ბერძნული მითი არგონავტების შესახებ³.

ასე მრავალფეროვანია გიორგი ლეონიძის შემოქმედებითი კავშირი ხალხურ პოეზიასთან. ხალხური შემოქმედება გიორგი ლეონიძის პოეზიის მიძღვრილი ფაქტორია. ეს გარემოება აძლიერებს, ალამაზებს მისი პოეზიის ორიგინალობას. ამგვარი კავშირი აძლევს ამ პოეზიას მომხიბვლელ ეროვნულ ელფერს. გიორგი ლეონიძის ბრწყინვალე მხატვრულ ენას ამდიდრებს ხალხური პოეტიკა. პოეტი მოხდენილად იყენებს ხალხურ ჟანრს, კილოს, გამოთქმებს, ეპითეტებს.

გიორგი ლეონიძე ხალხური შემოქმედების სტიქიონი არ არის. მას ანთებული გულით უყვარს წინაპართა პოეზია. პოეტმა იცის ხალხის მხატვრული სიტყვის ძალა და მთელი შეგნებით ფლობს მას. მან არა ერთი მგზნებარე სტიქიონი უძღვნა სახალხო

¹ ერთტომეული, გვ. 251.

² იქვე, გვ. 379.

³ იქვე, გვ. 382—383.

მგოსნებს და მაღალი შეფასება მისცა მათი სიტყვის შთამაგონებელ ძალას. გიორგი ლეონიძის რწმენა ხალხური შემოქმედების ძალისადმი უშუალოდ იგრძნობა პატარა ლექსში:

რა საკიროა ლექსისთვის ტაში?
ყველა ხევსური, ვიცი. დანტვა;
ვიცი, ბელურას პატარა ფრთაში
დაკვსებული ცეცხლი ანთია.
ვიცი დამდნარი თოვლის წკრიალი
ბესიკის ხმაზე უფრო ტკბილია;
ქვაც ყველა არი ნაპერწკლიანი,
გული რომ იყოს გასაკვირია? ¹

წრომის დიდებისა და მშობლიური პეიზაჟისადმი მიძღვნილ ლექსში „მიყვარს მშუქარი ვაზის ყვავილი“ პოეტი გვაუწყებს თავის სიყვარულს ხალხური შემოქმედებისადმი:

მიყვარს მთებიდან ნათქრიალები
ბარში ნიაღურის ღვართა გალობა,
როცა სიმღერით ხეებს ქალები
შეესევინ ახალბალობას? ²

გიორგი ლეონიძემ დიდი მოკრძალებით დაახასიათა სახალხო ნოჰღერალთა უანგარო ღვაწლი სამშობლოს წინაშე. საინტერესოა ამ მსრივ ეპიზოდი „სამგორიდან“. წინაპართა დიადი ღვაწლისადმი, მათი ჯანსაღი ოპტიმიზმისადმი არის მიძღვნილი ხალხური შენოქმედების სიყვარულით ამღერებული სტრიქონები:

აქ ხანარე ტატანელი, —
ჯადოქარი სტვირის მკვრელი,
ხმავერცხლურად მოწკრიალე,
ოქროსათვის არა მღერის!
ხალხს!
აყვანილ კედლებს უპღერს
მტკვარზე მოკრილ ლერწმის ღერით:
— აშენდი, აშენდი, ოქროს ქალაქო,
შენ საქართველოს მიწის გული ხარ!
ქართლის მომავლის დიდო სამკედლოვ,
დიდების სახლო, გახაფხულისა! ³

¹ ერთტომეული, გვ. 254.

² იქვე, გვ. 197.

³ იქვე, გვ. 432.

ხალხური სიმღერის რეალურ საფუძველს უშუალოდ გაგვაცდევინებს ამავე პოემაში თბილისისადმი მიძღვნილი ამალღებული პატრიოტული გრძნობით შექმნილი სტრიქონები¹.

პოეტი გენეტურად უკავშირებს თავის შემოქმედებას ძველ მომღერალთა პოეზიას. ძველ მომღერალთა მძიმე ყოფა, მათი ტრალიკული ბედი გამოხატა პოეტმა გორგასლის თანამედროვე მესტვირისადმი მიძღვნილი ღრმად გრძნობიერი სტრიქონებით:

სად ხარ, ხაზარე, ტუბილო ხმიანო,
თბილისი ლექსით ვერ გაახარე?
შენ გადაგჩეხეს მტკვარში მეტეხთან,
და ხელფენშეკრულს ქვა დაგაყარეს...²

პოეტს ახარებს ის გარემოება, რომ უკვალოდ არ ჩაიარა წინაპართა შრომამ და მხატვრულმა გენიამ, რომ მათ ნაამაგარს გვაცნობს ჩვენი განახლებული ქვეყნის მდიდარი ბუნებაც კი. ამის ერთი კარგი ნიმუშია ანალღებულ ეროვნული გრძნობით ნათქვამი სიტყვები მიმართული ძველი მესტვირის აჩრდილისადმი:

მტკვარი რომ ოკროს ხშებით წკრიალებს,
მტკვრის ზვირთში სტვირით შენ ხომ არ მღერი?
ვიცი, რომ შენი სტვირის ტუბილ ქღერით
სჩქეფს ყოველ დილით მტკვრის ლურჯი ჩქერი...³

გიორგი ლეონიძე აღფრთოვანებით აღიღებს ძველი სახალხო მომღერლის დიად ღვაწლს, მის დიდ აპაგს სამშობლოს წინაშე. ჩვენი დიადი ეპოქის ეს დიდი პოეტი მოკრძალებით აღიარებს თავს მის შთამომავლად:

ვერ დამალა ეამმა გრქელმა,
ვერ დაჟანგა მიწამ ბნელმა,
შენი ტუბილი სალამური!
ათასწლობით, მწვანე ობით,
შავს წყვდიადში დამალული,
— მე ვნახე და მე ვიპოვე
შენი კრელი სალამური!
ჩემი გულის მისატოლი,
შენის ცრემლით დანამული...⁴

¹ ერთტომეული, გვ. 432—435.

² იქვე, გვ. 497

³ იქვე.

⁴ იქვე.

ორგანულ კავშირს ხალხის გენიასთან, ხალხური შემოქმედების დიდ ნათამაგონებელ როლს მის პოეზიაში ასე გვიხსნის ჩვენი განახლებული ცხოვრების უბადლო მომღერალი ლექსში „ივრის პირად“:

ისევ წისკილის ისმის რაკუნნი,
ძველი სიმღერა გულს ეფურობა,
მთვარეა გულის გამაპობელი,
ვარსკვლავი ვარსკვლავს მიეტკბურება.

აქ გავისინჯე ძალა ყელისა,
პირველი ლექსი,
პირველი დარდი!
და ჩანაჭერი ცისარტყელისა, —
მეცვა ხალათი ნუშით და ვარდით.
და ნუ თუ ახლა ის აქვე არი,
ეს სიმღერებიც ნუ თუ ჩემია?
ეს ცა, ეს წყალი მინანქრიანი
დანისლულ ხსოვნასლა შერჩენია..¹

გიორგი ლეონიძემ გარდა იმისა, რომ გააახლა ტრადიციული ხალხური სიუჟეტები, მოტივები და სახეები, აიყვანა ისინი ახალ ესთეტიკურ საფეხურზე, თავისი პოეზიით გაამდიდრა საბჭოთა ხალხური მოლექსების რეპერტუარი. გიორგი ლეონიძის პოეზიამ ხელი შეუწყო საბჭოთა ხალხური პოეზიის განვითარებას. გიორგი ლეონიძის ბევრი ლექსი გახდა არა მხოლოდ მასიური, არამედ კოლექტიურიც. კომუნიზმის მშენებელი ხალხი დიდი შთაგონებით მღერის გიორგი ლეონიძის მაღალპოეტურ, ღრმად პატრიოტულ ლექსებს და ქმნის ამ ლექსების საინტერესო ვარიანტებს. ასე მაგალითად, რამდენიმე ვარიანტად არის ჩაწერილი ლექსი „შინ მოუსვლელი სადა ხარ?“. დიდი სამამულო ომის მონაწილის, მცირე განათლების მქონე მეცხვარის, მდიდარი რეპერტუარის მქონე განთქმული მოლექსისა და მეფანდურის ირაკლი (ურჯუკა) ქისტაურისაგან ჩაწერილია ამ ლექსის შემდეგი ვარიანტი:

შინ მოუსვლელი, სადა ხარ?
შენ ხომ სოფელი გიყვარდა,
გაუმადლარმა ყორანმა
გული სად ამოგიღადრა,

¹ ერთტომეული, გვ. 201.

ჩაწერილია ვარიანტები აგრეთვე მეორე ღრმად ემოციური ლექსისა „არ დაიდარდო დედაო“ ².

ეს გარემოება გიორგი ლეონიძის პოეზიის ფართოდ გაგებული ღრმად ხალხურობის მაჩვენებელია.

გიორგი ლეონიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრებისა და შესწავლის საქმეში. პოეტმა უშუალო წინაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის სახელობის კულტურულ ლაშქრობაში და 1935 — 1936 წწ. გაზეთ „კოლექტივიზაციის“ რედაქციას მიაწოდა საკუთარი ჩანაწერები ხალხური პოეზიის ნიმუშებისა. პოეტმა-აკადემიკოსმა დიდი სამამულო ომის წლებში თავის ნარკვევებში დაადგინა რამდენიმე ქართული ხალხური საგმირო ლექსის რეალური საფუძველი, ცხადყო რევოლუციამდელი ოფიციალური ისტორიის მიერ უგულვებელყოფილი ჩვენ სახელოვან წინაპართა — სახალხო გმირთა თავდადება სამშობლოსათვის. თავისი ნარკვევებით პოეტმა შუქი მოფინა საქართველოს ისტორიის ზოგიერთ საკითხს და ამავე დროს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ფოლკლორისტიკის განვითარებაში.

გიორგი ლეონიძის წერილები პატრიოტი გმირების—ზეზვა გაფრინდაულის ³ და ერეკლე მეორის თანამებრძოლი ქალის ⁴ შესახებ ნათელი მოგონება არის ჩვენი წარსულისა, ამავე დროს ეს ნარკვევები შთამბავონებელი იყო საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად ვერაგი მტრის წინააღმდეგ ამიედრებულ ქართველი ხალხისათვის. გიორგი ლეონიძემ ხალხური პოეზიის ნიმუშების ღრმა ანალიზით დაასაბუთა, რომ ზეზვა გაფრინდაული ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ქართველი ხალხის აჯანყებისა ძლიერი აგრესორის შაჰ-აბაზის წინააღმდეგ. აღნიშნა ისიც, რომ მრისხანე შაჰის კარზე სახალხო გმირს ისეთივე ბედი ეწეოდა, როგორც ხვდათ წილად აჯანყების ორგანიზატორ ცნობილ ისტორიულ პირებს შალვა და ელიზბარ ერისთავებსა და ბიძინა ჩოლოყაშვილს.

¹ ჩაწერილი 1951 წ. თელავის რ. სოფ. თეთრწყლებში დავით გოგოჭურის მიერ. მეორე ვარიანტი ამ ლექსისა ჩაწერილია ჩვენს მიერ 1946 წ. ხევსურეთში.

² ჩაწერილია ჩვენს მიერ 1946 წ. ხევსურეთში.

³ გ. ლეონიძე, ზეზვა გაფრინდაული, სახალხო გმირი, „კომუნისტი“, 1941 წ. № 225.

⁴ გ. ლეონიძე, გმირი დედაბერი, „კომუნისტი“, 1941 წ. № 310.

ხალხური პოეზიის ნიმუშების ძუნწ ისტორიულ ცნობებთან შედარების საფუძველზე გიორგი ლეონიძემ დაასაბუთა, რომ ჩვენამდე მოღწეული ხალხური ლექსი გმირ დედაბერზე, შეეხება ერეკლე მეორის თანამედროვე პატრიოტ ქალს.

წერილში „შალვა შავლეგო“¹ დამაჯერებლად არის გარკვეული ვინაობა ერთი საგმირო-საფერხულო სიმღერის ადრესატისა. დასაბუთებულია, რომ საფერხულო შავლეგოს ადრესატი XII საუკუნის გმირი შალვა ახალციხელია.

გიორგი ლეონიძის ნარკვევები ხალხური პოეზიის შესახებ საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი გრძნობით არის ნაკარნახევი.



¹ გ. ლეონიძე, შალვა-შავლეგო, „კომუნისტი“, 1941 წ., № 260.

ირაკლი აბაშიძე და ხალხური პოეზია

ირაკლი აბაშიძე საბჭოთა პოეტების იმ თაობას ეკუთვნის, რომელთაც უშუალოდ არ განუცდიათ ის იდეოლოგიური ბრძოლა, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პირველ ეტაპზე. პოეტს არ დასჭირვებია სიძნელეების გადალახვა, რათა დამდგარიყო მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის პოზიციებზე, რომ დაახლოვებოდა ჩვენს დიად სოციალისტურ სინამდვილეს. დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას ირაკლი აბაშიძე რვა წლის ბავშვი შეხვდა. რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებასთან ერთად ქაბუკდებოდა მომავალი პოეტი. ამ მონაპოვართა აღორძინებასთან ერთად ეხილებოდა მას გონების თვალი. ირაკლი აბაშიძის პოეზია კულტურული რევოლუციის აღმავლობის პროცესში დაიბადა, რამაც განსაზღვრა ამ პოეზიის ჯანსაღი, ნათელი ოპტიმიზმი. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ეს პოეზია მოწყვეტილი იყოს მრავალსაუკუნოვანი ქართული მხატვრული სიტყვის დიდ კლასიკურ მემკვიდრეობას. ირაკლი აბაშიძის პოეზიას ჩასაბუღებს და აღორძინებულს დიად სოციალისტურ სინამდვილეში ღრმა ფესვები აქვს კლასიკურ მემკვიდრეობაში. საქართველოს ისტორია, ქართული კლასიკური ლიტერატურა და ხალხური შემოქმედება მხოლოდ შთაგონების წყარო კი არ არის პოეტისათვის, არამედ—საშენი მასალაც, რაც ქვაკუთხედად უძევს მის პოეზიას, რომელიც ერთი უწყვეტი და მრავალფეროვანი სიმღერაა გამარჯვებაზე, სიცოცხლეზე, სიყვარულსა და გაზაფხულზე. სოციალისტური სინამდვილისადმი მიძღვნილ ამ სიმღერაში ზოგჯერ აშკარად, ზოგჯერ ნახ პოეტურ საბურველში ეგრძნობთ წარსულს. წარსულის წარმოსახვას ირ. აბაშიძის პოე-

ზიაში დიადი აწმყოს შეცნობისა და ნათელი მომავლის სწორად გააზრების დანიშნულება აქვს. ირ. აბაშიძე ხშირად მიმართავს ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მდიდარსა და მრავალფეროვან ქართულ კლასიკურ ლიტერატურასა და ხალხურ შემოქმედებას. ამ შემთხვევაში ვარკვევთ ჩვენ პოეტის ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულებას. ამ საკითხის შესწავლა არ გულისხმობს პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორიის ემპირიულ შესწავლას. ჩვენ უნდა ვავარკვიოთ, ხალხური შემოქმედება რა ღირებულების ფაქტორია ირ. აბაშიძის პოეზიისა. ამ საკითხის შესწავლა დაგვებზარება დავინახოთ პოეტის მსოფლმხედველობა, ვავიგოთ მისი პოეზიის მიზანდასახულება, ჩავწვდეთ მის სოციალურ არსს, შევისწავლოთ ნაციონალური ფორმა, შემოქმედებითი ხერხები, სტილი და ენის თავისებურება. ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით ირაკლი აბაშიძის პოეზია გაგრძელებაა საუკუნეებგამოვლილი პროგრესული ქართული ლიტერატურის სახელოვანი ტრადიციისა. ირაკლი აბაშიძე ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულებაში თავისებური და ორიგინალურია.

სოციალისტური სინამდვილის ასახვის, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ცოცხლად წარმოდგენის, ძველი და ახალი ყოფის დაპირისპირებისას ახლის დიდი უპირატესობის ჩვენების მიზნით ირაკლი აბაშიძის პოეზიაში ჩაქსოვილია ხალხური სიუჟეტები, მოტივები, გამოთქმები და პოეტური სახეები. პოეტი შესანიშნავად იყენებს აგრეთვე სხვადასხვა ჟანრის ხალხურ ნაწარმოებთა შესრულების წესებსა და ტრადიციას. ხალხური შემოქმედება ირ. აბაშიძის პოეზიის მხოლოდ წყარო კი არ არის, მას ამ პოეზიაში დიდი ქმედითი ძალაც აქვს. პოეტის შემოქმედებაში მზხდენილად ჩართული ხალხური მასალა მკითხველთა შეგნებას რაზმავს კიდევ უკეთესი მომავლის შესაქმნელად. ამგვარად ამ მასალას ემოციის გამოწვევასთან ერთად დიდი მაორგანიზებელი როლი აქვს დაკისრებული. ამ მასალების ოსტატურად გამოყენებაშიც იგრძნობა პოეტის მიერ სრულყოფილად დაუფლება სოციალისტური რეალიზმის, როგორც მხატვრული მეთოდისა. ხალხური მასალა ისევე ნებრძოლი, შემმართებელი, წამახალისებელი და აღმაფრთოვანებელია ირ. აბაშიძის პოეზიაში, როგორც მთლიანად ეს პოეზია. იგი ამ პოეზიის ორგანულ ნაწილადაა ქცეული. ამავე დროს პოეტი თითქმის ყოველთვის გვამცნევს მის დამოკიდებულებას ხალხური მასალისადმი. ხალხური შემოქმედებისა და სახალხო მთქმელისადმი დიდი სიყვარულით აიხსნება ის ფაქტი, რომ პოეტმა

ღრმად გრძნობიერი, გულწრფელი ლექსი უძღვნა ჯამბულს. პოეტის მიზანია დიდ სახალხო მომღერლის მსგავსად ნათლად გამოხატოს სოციალიზმის მაღალი იდეა. ამიტომ ედარება იგი ზეპირი პოეტური ხელოვნების ბრწყინვალე ოსტატს. მას სურს დიდი აკინის მსგავსად დაუქანგავი ხმით გულლიად უმღეროს ცხოვრებას. პოეტს თან ახლავს ურყევი რწმენა დიად ცხოვრებაზე უწყვეტი გალობისა:

ჩემი დროც მოვა და სიმღერებით
მეც მოვხუცდები, როგორც ჯამბული,
მკერდზე მყურება თეთრი წვერები,
როგორც ჰიდიდა კედელს ჩანგური.
თუ სნება რამე არ მამერია,
წამოვიძლოლებ კაბუჯ შვილიშ-შვილს,
ჩემად დაეტოვებ სოფლად კერიას
და საგალობლად მოვალ თბილისში¹.

საგმირო ეპოსი ირაკლი აბაშიძის პოეზიის ერთი თვალსაჩინო ფაქტორია. ქართველი კლასიკოსების აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას და მისი უფროსი თანაპედროვე გამოჩენილი საბჭოთა პოეტების გალაქტიონ ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის მსგავსად ირაკლი აბაშიძემ სამშობლოს თავისუფლების მაღალი იდეა გამოხატა კლასიკური თქმულებით ამირანის შესახებ. ირაკლი აბაშიძის შემოქმედებაშიც საუკუნეებგამოვლილი ეპიური გმირი სამშობლოს სახეა. ამის ნიმუშია მაღალპოეტური ლექსი „მთის არწივი“. ამ ლექსში მოხდენილი სიმბოლიკით არის გამოხატული დიდი ლენინის როლი მშრომელი ხალხის განთავისუფლებაში:

ლაქვარდ სივრცეში დასრიალებდა,
მთებს ვხებოდა ფრთამოსასმელად,
თითქოს ამირანს დასტრიალებდა,
თითქოს ექებდა გამოსასწნელად².

ირ. აბაშიძის პოეზია ორგანულ კავშირშია ხალხურ საგმირო-პატრიოტულსა და რევოლუციურ სიმღერებთან, გადმოცემებთან და მთქმელებთან. ღრმად ემოციური, დინამიური ლექსი „წულუკიძის სიკვდილი“ უშუალოდ გავაცდევინებს მუშათა რევოლუციური სიმღერის „მარსელიოზის“ შთამაგონებელ ძალას რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. მაშინდელ ბოლშევიკურ პრესაში მოიპოვება

¹ რჩეული, 1954, გვ. 172.

² იქვე, გვ. 6.

ცნობები იმის შესახებ, რომ მეფის ჯალათების ხელით დაღუპულ რევოლუციონერებს საქართველოში ასათლავებდნენ მებრძოლი სიმღერების — მარსელიოზის, ვარშაულის, „მსხვერპლად დაეცი“, „თქვენ მსხვერპლი გახდით“ და სხვ. შესრულებით¹. ამის შესახებ ცნობებს იძლევიან აგრეთვე 1905 წლის მონაწილე თუ მომსწრე ქართველი მუშები და გლეხები². მარსელიოზას მამორგანიზებული ძალა 1905 წლის რევოლუციის წლებში ღრმად არის გააზრებული ირ. აბაშიძის დასახელებული ლექსის დასაწყის ნაწილში:

ძმებო, აღსრულდა!
მტრის საღეწად მიდის სარდალი,
ძმებო, გმირული
აგუგუნეთ მარსელიოზა!³

ექსპრესიით დაწერილ ამ ლექსში მგზნებარე რევოლუციონერის წულუკიძის სიკვდილით გამოწვეული გულისტკივილი ადამიანთა, თანამებრძოლთა დიდი მწუხარება ჰარმონიაშია ბუნებასთან. ხალხის გლოვას გვაგრძობინებს „მზე ჩინარებში გარინდული“. მაგრამ წუთიერია ეს გარინდება. პოეტს ურყევად სწამს მზის უკვდავება, ხალხს სჯერა თავისუფლების უძლეველობა:

„განა მზის ჩასვლას
დარკმევია სიკვდილი მზისა?“⁴

ირ. აბაშიძე უმღერის ხალხის რწმენას იმის შესახებ, რომ წულუკიძის მაღალი იდეა „ისევ სიცოცხლით იფეთქებს“. სწორედ ამ მაღალი იდეის უკვდავებას უმღეროდა ხალხი მეფის ჯალათების ხელით დაღუპულთა დასათლავებისას, რაც დიდი ოსტატობით აქვს გამოყენებული პოეტს წულუკიძის სამგლოვიარო პროცესიის შესანიშნავ აღწერაში:

მიდის ლაშქარი
უჩუშარი, ხმაჩაკირული
(ასე მღუშარებს იმერეთში
მხოლოდ ზამთარი),
მაგრამ უეკრად,
აგუგუნდა ჰანგი გმირული

¹ „დრო“, 1907, № 15; 2. აბ. ცანავა, ქართული მუშათა რევოლუციური პოეზია. 1956 წ. გვ. 19.

² რჩეული, გვ. 18.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 19.

და წინ პირველი წეიმართა
 დროშა მართალი.
 სად, სად გასტკდეს ეს სიმღერა,
 რომელ კერაში,
 რომელ გოგალეზს
 გამოჭვლიჯეს ზღვის ხმოვანება?
 ვინ დაიტოვებს,
 ვინ აღიდებს ამ სიმღერაში,
 ვისი რისხვაა,
 ვისი წვა და აღურთოვანება?
 განა სიმღერა აღარ არის
 გლეხის ტირილი?
 განა გათავდა, —
 არ ღლინებს ქართლში ამჟარი?
 განა სიმღერა აო გაწაწებს,
 როგორც ტუივილი?
 ვინ მოკიტანა, იმერეთო,
 ჰანგი ამკვარი?
 დებო, დედებო,
 თქვენი მოტქმა. თქვენი ვარაში
 იქნებ ერთანეთს შე-დუღს
 ძმებმა, მანებმა,
 ნახეთ, ისმიხეთ,
 განა თქვენი რისხვა არ არი
 ეს დაძახალი. ეს გოიგალი
 ზღვის ხმოვანება?
 მადის ლაშქარი,
 მიგუბუნებს ჰანგი ჯმირფლი,
 მტვეოის ფრიალში
 იგრიხება ცახე თალები
 მიდის ლაშქარი
 უთკაელი და თავჯანწირული,
 და სიუცვებში
 ირხვიან ბაიოალები !

ეს სტრიქონები ლექსისა უშუალოდ გაგვაცდევინებს მტერზე
 შურისძიების ცეცხლით ანთებული რევოლუციური სიმღერების
 ძალას, გვაცნობს ამ სიმღერების ხასიათს, მაორგანიზებულ და-
 ნიშნულებას. მგზნებარე რევოლუციონერის წულუკიძის დაკრძალვა
 მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციად
 იქცა. წულუკიძისათვის გათბრილ საფლავთან, ისევე როგორც
 მეფის ჯალათების ხელით დაღუპულ სხვა რევოლუციონერთა საფ-

1 რჩეული, გვ. 20—21.

ლავებთან, ხალხი გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა ვარიანტებად გავრცელებულ აკ.წერეთლის, ი. ვედოშვილის, ი. დავითაშვილის, შ. მღვიმელის და მუშა პოეტების სიმღერებით. ამგვარ ტრადიციას რევოლუციური სიმღერებისა გვაცნობს პოეტი მის ლექსში ჩართული სტრიქონებით:

მსხუროპლად დაეცი,
წმინდა იყო შენი ტანჯვანი,
შენს დაცემაზე
აღსდგებიან მილიონები¹.

ი.რ. აბაშიძეს გულწრფელი განცდა აქვს ჩვენი რევოლუციური წარსულისა. ღრმად პატრიოტული ლექსი „სისონა დარჩიან“ უბრალო მოგონება კი არ არის იმ ძნელბედობისა, რომლის ნიადაგზე შეიქმნა სათაფგადასავლო სიმღერები ეროვნული ჩაგვრისა და შინაური კლასობრივი მტრების წინააღმდეგ მებრძოლ ფირალებზე, — ეს არის მოხდენილი დაპირისპირება ბედნიერი აწმყოსი და წარსული ბედუკუღმართობისა.

სისონა დარჩიას ამაღელვებელი თავგადასავლის აღწერისას პოეტს ღრმა შინაარსით და მოხდენილი ფორმით აქვს ახსნილი ხალხური ეტიმოლოგია ტყე-ღრეს შეფარებულ მებრძოლთა და ამ მებრძოლთა სამყოფელის სახელწოდებათა:

გურულს ფირალი ერქვა ფარული,
სოფელს — საფარი, ტყეს — ფირალეთი².

პოეტს გრძნობიერი სტრიქონებით აქვს წარმოდგენილი საჩონგურო რევოლუციური სიმღერების შექმნის საფუძველი — სიმართლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირებისადმი ხალხის დიდი სიყვარული:

მათი გმირობა, მათი სახელი
ჰანგად ეწერა გლეხკაცს ენაზე
და ძველ დარჩიას სცელიდა ახალი,
სიმონ დოლიძე და ჯორბენაძე³.

საგმირო-სახოტბო სიმღერების სათავე შესანიშნავად არის წარმოდგენილი სოციალისტური სინამდვილისადმი მიძღვნილ ლექსში „გმირები“. ამ ლექსშიც დაპირისპირებულია ძველი და ახალი

¹ რჩეული, გვ. 22.
² იქვე, გვ. 72.
³ იქვე.

ცხოვრება უკანასკნელის დიდი უპირატესობის ჩვენებით. პოეტი მგზნებარედ მიმართავს სოციალისტური მშენებლობის გმირებს და უსურვებს დაიმსახურონ ხალხის ქება სიმღერებში:

საქმე ყოველი
გმირის სახელს შემოვთავაზებს
ჩაის ბუჩქია,
მალარო თუ
ჩალის ღერია,
მხოლოდ დაჰკარი,
გაიტანე,
ხვალაც განაგრძე,
და მერე ხალხში
შენზე ხობტას გაიმღეროინ.
ისე დიდია ჩვენი საქმე,
როგორც აროდეს,
რა რიგ კარგია.
გაიტანე,
ხვალაც განაგრძე.
შენს გმირობაზე
მადლიერი ხალხი მღეროდეს,
შენს მალაროზე,
შენს მინდვრებზე,
შენს ქარხანაზე¹.

აყვავებული სოციალისტური სამშობლოს რელიეფურად ჩვენების მიზნით ირ. აბაშიძის პოეზიაში საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი ცოდნით არის დახატული წარსული. ჩვენი ქვეყნის წარსული ტრადიციის განსაცდელად, წინაპართა უდრეკი ნებისყოფის გასაცნობად პოეტს გამოყენებული, გადაძუშავეებული და ახალ ესთეტიკურ საფეხურზე აქვს აყვანილი საგმირო-პატრიოტული ხალხური ნაწარმოებები. პოეტი პასუხისმგებლობასა და ერთგვარ სიფრთხილეს იჩენს ხალხური სიუჟეტის თუ მოტივის გამოყენებისას. ხშირ შემთხვევაში გვაჩვენებს მის დამოკიდებულებას ხალხური მასალისადმი, ზოგჯერ ისტორიულ ცნობებსაც კი ადარებს ამ მასალებს. ხალხური მასალისადმი ამგვარი მიდგომა მოვლენის ასახვისას თუ გმირთა ხასიათების გახსნისას ოდნავათაც არ ანელებს ირ. აბაშიძის პოეზიის ემოციურობას.

ირ. აბაშიძის პოეზიაში გაახლებულია ციკლი იმ თქმულებისა, რომელიც ქართველი ქალების ამალეებულ პატრიოტიზმზეა შექ-

¹ რჩეული, გვ. 149.

მნილი. ამ თქმულებების მიხედვით ქართველი ქალები სამშობლოს ნეტრების ხელში ჩაგარდნას სიკვდილს არჩევდნენ. თქმულებებს ხალხი სხვადასხვა საუკუნესა და სხვადასხვა პირებს უკავშირებს. ზოგ შემთხვევაში ეს თქმულებები თამარ მეფის სახელთანაც კი არის დაკავშირებული. ინგილოური თქმულებით ირანის შაჰმა თვალთმაქცობით მოახერხა ციხის აღება, რომელშიაც თამარ მეფე იყო გამაგრებული — პატრიოტი დედოფალი მტერს არ ჩაუვარდა ხელში და უფსკრულში გადაეშვა. ირანის შაჰი კი ჯავრისაგან მოკვდა¹. მესხური თქმულებით შაჰმა მოახერხა თამარის შეპყრობა. თამარმა თავი მოიწამლა და ასე დააღწია თავი მტრის ხელში ჩაგარდნას².

თბილისში ალა-შაჰმად-ხანის შემოსევასთან დაკავშირებული თქმულებით პატრიოტმა ქართველმა ქალმა სიტყვის მაგიურ ძალაში დაარწმუნა ალა-შაჰმად-ხანის დიდებული, მისი სილამაზით მოხიბლული ჯაფარ ბეგი და აიძულა იგი ჩაეცა მისთვის ხანჯალი. ეს თქმულება გამოყენებული აქვს აკ. წერეთელს „ბაში-აჩუკში“.³ ამგვარი თქმულება იშრომელთა წრის ქალებთანაც არის დაკავშირებული. ყვარლის რაიონის მცხოვრებნი ს. საბუეს ბოლოს ახლაც აჩვენებენ ქვებს, რომელსაც ქალ-ქეას უწოდებენ. მისი ხალხური ეტიმოლოგია მოგვაგონებს ბერძნულ მითს დაფნასა და აპოლონის შესახებ. თქმულებით როდესაც კახეთს შემოესია შაბაშ ყვინი, მოსახლეობა ტყეში გახიზნულა.

გაქცეულთა შორის ყოფილა ქალიც, რომელსაც თან წაუყვანია აკვანში მწოლარე ბავშვი. მტერი რომ დაწვევია ქალს, ამ უკანასკნელს დაუჩოქია და ღმერთისათვის უთხოვინია: „თათრის ხელში ნუ ჩამავდებ, ქვად მაქციეო“. თქმულების მიხედვით ქალს აუსრულდა სურვილი⁴.

ირ. აბაშიძის ღრმად პატრიოტულ პოემაში „რას გადაურჩა თბილისი“ ამგვარი თქმულება მეშვიდე საუკუნეში საქართველოში ხაზარების შემოსევასთან არის დაკავშირებული. იმ თავს, სადაც ეს თქმულებაა ჩართული, პოეტმა უწოდა „ლეგენდა ხაზართა შემოსევისა“. პოეტს შეიძლება შეენიშნოთ, რომ ამ თავს შეიძლება დარქმეოდა არა ლეგენდა, არამედ ამბავი, რადგანაც მე-7

¹ ქს. სიხარულიძე, თამარ მეფე-ხალხურ შემოქმედებაში, 1943. გვ. 12—13.

² იქვე.

³ კ. ქმედიძე, „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის, ეტიუდები, 1.

⁴ „ლიტერატურული ძიებანი“, IV, გვ. 73.

საუკუნეში ხაზართა მიერ თბილისის აოხრება ისტორიული ფაქტია. პოემაში მაღალპოეტურად არის გადმოცემული ხაზართა მიერ თბილისის აოხრების შემზარავი სურათი. აქვე პოეტი ხოტბას ასხამს ქართველი ქალის პატრიოტიზმს, მისი ლეჩაქის სიწმინდეს, რისთვისაც იყენებს ზემოდაღნიშნულ ხალხურ თქმულებათა მოტივს:

...მზეცებმა
ქალაქი აახანძრეს,
ერისმთავარიც, ქალწულიც
ტყვედ წაყვანეს ხაზარეთს.
მაგრამ თუ შერცხვა ქალწული,
ჩადა ქართველი ქალია...
ცოცხლად არ ჩაჰყვა ხაზარეთს —
გხად საწამლავე დალია ¹.

პოეტი გვაცნობს თავის დამოკიდებულებას ხალხური ნაწარმოებისადმი. ხაზს უსვამს იმას, რომ მოგიინილ ამბავსაც გარკვეული რეალური საფუძველი აქვს:

ეს ძველის ძველი ლეგენდა
იქნებ არც არის მართალი,
იქნებ არც გაწყრა ხაკანი,
იქნებ არც მოკლა სარდალი.
სიმართლე მხოლოდ ერთია,
მეტყველი, დაუცხრომელი: —
მტრებს აგიგებდა თბილისის
სიმდიდრე აუწონელი ².

ამავე პოემაში წარსულ ძნელბედობას წარმოგვიდგენს პოეტი „კალოუზნის“ ეტიმოლოგიით. ამ შემთხვევაში გამოყენებულია საისტორიო ლექსები, რომელთა მიხედვითაც მოთარეშე მტრების მიერ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აოარება, ძუძუმწოვარ ბავშვთა განადგურება, კალოს ლეწვასთან არის შედარებული. 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებაზე შექმნილი ხევსურული ლექსი ასე იწყება:

ორშაბათ დილას გათენდა ავი დილა, ავი დარი, —
კმაწვილების კალოს ლეწავს თურქმანის ცხენის ნალი ³.

¹ რჩეული, გვ. 269.

² იქვე, გვ. 270.

³ ა. კ. შ ა 5 ი ძ ე, ხალხური პოეზია, 1931, გვ. 23

საინტერესოა მეორე ლექსიც, რომელიც შაჰ-აბასის მიერ კახეთის სისხლით წალექვის ამბავზე უნდა იყოს შექმნილი:

იქუხა და ირაგრაგა,
მთა და ველი გადალაზა.
ყმაწვილების კალო ლეწეს,
დედამ შვილი ველარ ნახა¹.

ხალხურ ლექსებში ასახული ჩვენი ქვეყნის წარსული ტრადიციის ეს მომენტი ირ. აბაშიძის პოემაში დაკავშირებულია მე-14 საუკ. დასასრულისა და მე-15 საუკუნის დასაწყისში თემურ ლენგის მიერ საქართველოს დალაშქვრასთან. ამ შემთხვევაშიც პოეტს მოხდენილად აქვს გამოყენებული ხალხური მოტივი. ამ მოტივის სოციალური არსის გააზრებით მოცემულია შემზარავი სურათი მტრის მიერ თბილისის მოსახლეობის აოხრებისა.

ასე გვიამბობს ლეგენდა,
(იქნებ არც არის ზღაპარი):
შუა ქალაქში შეჩერდა
კოჰლი მონღოლი აფთარი.
სისხლი ქართველი გმირების
რომ აღარ ეყო სასმელად,
წამება გაუგონარი
თბილისის დაადო სასჯელად:
ააწიოჯა უცეცხლოდ
მთელი ქალაქის მცხოვრებნი,
ერთ მოედანზე დაჰყარა
თბილისის ძუძუმწოვრები.
ბავშვთა დამწველი კივილი
ხეცის თალამდე ავარდა,
ერთად დაჰყარა ბაღლები,
ხედ კალოობა გამართა.
სანახაობა ველური
მთელ არემარეს ზარავდა;
კალოს მიუგდო მარხილი —
სისხლი წავიდა ღვარადა.
თბილისის გადამბუგველი,
მთელ მხარეს დამუქრებული,
იდგა და სანახაობას
უქჰერდა კოჰლი თემური.

¹ მთქმელი დარო ტურაშვილი, ჩაწერილი ჩვენს მიერ ს. აღმატში (ყვარელი). 1947 წ. ფოლკლო. არქ. № 30092, „ლიტ. ძიებ.“ ტ. VI, გვ. 62.

უმწიკვლო სისხლით გაპოზა
ბაღების ხალათ-ჯუბანი...
ხალხმაც თბილისის ამ უბანს
უწოდა „კალოუბანი“¹.

პოემის ამ დასამახსოვრებელ ეპიზოდს პოეტმა „კალოუბნის ლეგენდა“ უწოდა. ამით ერთგვარად გამოხატულია პოეტის დამოკიდებულება მისი შთაგონების წყაროსადმი.

ამავე პოემას ღრმად ემოციურს ხდის შაჰ-აბასის მიერ კახეთის აოხრებისა და ქართველების სპარსეთში იძულებით ჩასახლების ამსახველი სასიმღერო ლექსი. ქართველების წარსული დიდი ტრალედიის აღწერისას პოემაში უცვლელად შეტანილ ამ პატრიოტული ლექსის ფრაგმენტს საკუთარი სტრიქონების დართვით პოეტმა კიდევ მეტი გამომსახველობა და შთამაგონებელი ძალა მისცა:

...მაგრამ ჰყოდა ქართველი,
ხმაღამოწყვდილი, თვალსველი;
-- რაც უნდა მომკლან, მაწაშონ,
მე არ გავხდები სპარსელი“².

ჩვენი ქვეყნის გმირული წარსული აღადგინა პოეტმა და ბედნიერ აწმყოს დაუკავშირა მგზნებარე ლექსით „სამი ციხე“. ლექსის შთაგონების წყაროა სვანეთისა და ლეჩხუმის საზღვართან ცაგერის რ. სოფ. ჩხუტერში მდინარე ცხენის წყალის მარცხენა ნაპირზე ნურის ხილთან მდგარი სამი ციხის შესახებ დღემდე არსებული გადმოცემები. ეს ციხეები თითქმის დაუზიანებლად გადარჩენია ეპოქა სელას. ერთ მათგანს „ჰკა მაგას“ ეწოდება, მეორეს — „მაგრად დაუხედი“, მესამეს — „არ გაუშვა“. ხალხის გადმოცემით ეს იყო შეძახილები ამ ციხეებში გამაგრებულ თათართა და სხვა აგრესორთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ვაჟაკებისა³. ეს გმირული შეძახილები სახელწოდებად შემორჩათ ამ ციხეებს — ჩვენი ქვეყნის მძიმე ტრალედიის უტყვე მოწმეებს. ირაკლი აბაშიძემ გულწრფელი უშუალო განცდით გააახლა ეს პატრიოტული გადმოცემები:

...თავს რომ იწყვეტდა ომის ქარბუქი
და მთებს დაყვდა შავი ფრინველი,

¹ რჩეული, გვ. 294.

² იქვე, გვ. 297.

³ ცნობები მოგვაწოდა პროფ. მიხ. ჩიქოვანმა, იხ. აგრეთვე მ. ალავეძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, 1951, გვ. 7—8.

ციხე „დაუხვდი“ — ფიცხი კაბუკი
 მკერდით ხედებოდა მომხდურს პირველი.
 როცა ტყდებოდა მტრების ალყაში
 ციხე „დაუხვდის“ ხლუდე მაგარი,
 ომის ქარცეცხლში — დინჯი ვაჟაკი
 გადმეფებოდა — ციხე „დაჭკარი“.
 როცა მძლავრობდა მტერი გულშავი
 ციხე „დაჭკარის“ მხრების დრეკაში,
 „არ გაუშვო“, „არ გაუშვო“ —
 მტრის წინ დგებოდა ციხე ბერკაცი-
 და ნანგრევების მტვრიან ჭაერში
 წითლად ელავდა ხმალი ქართული:
 „დაჭკარ“, „დაუხვდი“ და „არ გაუშვა“ —
 იდგა გუგუნი გოლიათური¹.

ამ ლექსის სტრიქონებში გაცოცხლებულია წინაპართა გმირობა. ვკითხულობთ ლექსს და პოეტთან ერთად მოკრძალებით ვიგონებთ სამშობლოსათვის თავდადებულ ამ გმირებს. ეს მოგონება ბედნიერი აწმყოს ახალ თაობას აქეზებს კიდევ უკეთესი მერმისის შესაქმნელად. ამაშია ლექსის ქმედითი ძალა. პოეტი მალალ-მხატვრულად გადმოგვცემს საქართველოს ისტორიის ამსახველი ძველი გადმოცემების სოციალურ შინაარსს და მგზნებარედ მიმართავს მშვიდობიანი მშენებლობის მონაწილეებს:

— ყური მიუგდე: — როგორ გადურჩა
 მტრის ხმალს ქვეყანა ცრემლ-დანამული —
 „დაჭკარ“, „დაუხვდი“ და „არ გაუშვა“
 აი, რა არის ჩვენი მამული².

ტრადიციული ქართული საგმირო პოეზიის მოტივების გაანლებით ირ. აბაშიძის ლექსებში გამოხატულია საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი გრძობა. ძველი ქართული საგმირო პოეზიის ნიხედვით მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულს ქალს აღარებენ. დამარცხებულს საბრძოლო იარაღების ნაცვლად სალექტრო იარაღებს სთავაზობენ. ამის ნიმუშია ფშაური ლექსი:

ჩამორბის აიმ მთახედა
 თავმურთხავ შენი კმარიო,
 ნებში ჩაუდგი ჩარდახი,
 შიგ თავად დაჯდეს ქალიო..

¹ რჩეული, გვ. 197.

² იქვე, გვ. 198.

საგრებელ მიუტანოდი,
გააძგრილოს ტარიო,
დაბურე თავზედ ჩიქილა,
ჩამიწნოდეს თმანიო!..
დაჰკარგნა ბიძა-ძმისწულნი,
თავად ცოცხალნივ არიო:
მაგის სიკოცხლეს ეხლადა
სჯობია იყოს მკედარიო¹.

სამანულო ომის მრისხანე წლებში შექმნილ ლექსში „ალექსანდრე კერესელიძე“ მტრის მიერ ალყაშემორტყმულ საბჭოთა მხედრების გმირული სულისკვეთების გამოხატვისას გაახლებულია მოყვანილი ხალხური ლექსის მოტივი:

— ვაჰ, ჩენს გაჩენას მხედრებო,
თუ ეს სიკვდილი გველოდა.
წყველა, შერცხენა, ყვედრება
ყურს ესმის საქართველოდან
მტრისგან ცოცხალი ვინ წავა?!
სთქვა და მებრძოლებს დაჰგდა.
— დაგვბერეუნ. მაგრამ. ვფიცავარ,
ჩვენთვის ცოტაა დაბერეცა.
ჩვენ უნდა დახლი გვეგრიხა,
ვინ მოგვკა მხედრის ხალათი...?

ტრადიციული ქართული სიმღერების საგმირო ხასიათის. მათი პატრიოტიზმის თანამედროვეობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია აგრეთვე ლექსები „სამშობლო იყოს ჩენი დიდება“ და „სალუტი“. პირველი ლექსი სამამულო ომის მრისხანე წლებშია შექმნილი. პოეტი გვაცნობს მოძმე ხალხთან ერთად ქართველთა თავგანწირვას სამშობლოსათვის, აღნიშნავს ქართველების სამშობლოსათვის თავდადების ძველს ტრადიციას:

მაგრამ ვინ მოჰკლა ჩენი „ვარადა“,
ვინ ამოშანთა ქართლში ვარძია,
გმირი კვდებოდა, მაგრამ მარადი
დედამ აკვანი დღემდე არწია.
არ გაკუთილა იმ აკენის ძირი,
ჩუქურთმა, ხანჯლით ამოქარგული,
და დღესაც ჰყივის ქართველი გმირი,
ფრონტზე ტრიალებს მკლავი ქართული².

¹ ფშაური ლექსები შეკრებილი დ. ხიხანაშვილის მიერ, გვ. 80.

² რჩეული, გვ. 107.

³ იქვე, გვ. 97.

„სალუტი“ გამარჯვების სიმღერაა. პოეტი აღფრთოვანებით აღნიშნავს გმირულ სიმღერებზე აღზრდილ ქართველთა მონაწილეობას საერთო ზეიმში:

მართო მოსკოვი გუგუნებს განა?
ჩვენი მიწა და ჩვენი ბუნება,
ჩვენი აღმზრდელი ლილე და ნანა,
ჩვენი გულგები, ცა და ქვეყანა
არის სალუტის აგუგუნება¹.

საისტორიო ნაწარმოებებიდან ირ. აბაშიძეს გამოყენებული აქვს საქართველოს ყველა კუთხეში ცნობილი გადმოცემა თბილისის აშენებაზე. ეს გადმოცემა მოხდენილად არის ჩართული პოემაში „რას გადაურჩა თბილისი“; ხალხი თბილისის აშენებას მთლიანად ვახტანგ გორგასალს მიაწერს². ისტორიული ცნობების მიხედვით გორგასალმა საფუძველი ჩაუყარა ქალაქს, მაგრამ მისი აშენება აღარ დასცალდა³. ქალაქის აშენება დაამთავრა გორგასლის ძემ დაჩიძე⁴. ირ. აბაშიძის პოემაში ლამაზად არის „შერწყმული ხალხური და ისტორიული ცნობები. თავი „თბილისის ლეგენდა“ პოემის ერთი მაღალმხატვრული ადგილია⁵.

ღრმა სოციალური შინაარსის მქონე გავრცელებული ქართული ანდაზით „ციხე შიგნიდან გატყდება“ არის დასათაურებული ამავე პოემის ერთი თავი, მიძღვნილი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ტრალიკული მომენტისადმი. ანდაზა გამოხატავს თბილისელი სპარსელების გამცემლურ ღალატს, რის საშუალებითაც მე-13 საუკუნეში ხვარაზმის შაჰმა ჯალალედინმა დაიპყრო და ააოხრა თბილისი⁶.

ირ. აბაშიძის პოეზიაში გაახლებულია ტრადიციული საგა-ზაფხულო სიმღერაც. საქართველოს გასაბჭოებაზე შექმნილ ლექსში „რატომ მიყვარს თებერვალი“, შესანიშნავად არის გამოყენებული ბუნების გამოღვიძებისადმი მიძღვნილი — შემდეგ კი საბავშვო რეპერტუარში შესული სიმღერა:

¹ რჩეული, გვ. 125.

² ქს. ს ი ბ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 120—121.

³ ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 136.

⁴ იქვე, გვ. 141.

⁵ რჩეული, გვ. 263—264.

⁶ იქვე, გვ. 266.

თებერვალი დადგაო,
ხევში¹ წყალი ჩადგაო,
ჩიტმა ჩიორამაო
საძირკველი დადგაო.

ირაკლი აბაშიძემ ახალი შინაარსი მისცა ძველ საგაზაფხულო სიმღერას და მისი გადაწევაზე მუშაობით შექმნა გულწრფელი, მგზნებარე სტრიქონები ჩვენი მამულის თავისუფლებასა და განახლებაზე:

თებერვალი მითომ მიყვარს,
რომ ჩადგება ხევში წყალი,
მითომ მიყვარს, მისთვის მიყვარს
საქართველოს თებერვალი, —
რომ ღვინი დგას მთა და ბარში,
ყველგან მზეა, ყველგან თბილა,
რომ ჩვენს მამულს თებერვალში
გაუთენდა შვედის დილა².

ახალი ცხოვრების დასახატავად პოეტს მითოლოგიიდანაც აუღია სიუჟეტები. ასეთია მითი არგონავტების ან მედეა-იაზონის შესახებ. ეს მითოლოგიური თქმულება ლამაზად არის ჩართული ლექსში „ისევ აღეთქდნენ“ სოციალისტური მშენებლობით აყვავებული სოფლის ხალხიანი ცხოვრების ილწერაში:

გაძნობას ატყვევებს, სმენას იტაცებს
იქეთ ვარადა. აქეთ თოხნური,
განა ცდებოდნენ, რომ ამ მიწაზე
გვუღებოდათ ვერძი კოლხური³.

ამავე თქმულებიდანაა აღებული პოეტური სახე სოციალისტურ მშენებლობაზე შექმნილ მეორე ლექსშიც „პლანტატორები“:

...და ტორტმანობენ ჩაის ბუჩქები,
როგორც კოლხიდის ოქროს ვერძები⁴.

ხალხური შემოქმედების სხვადასხვა ჯანრის ნაწარმოებთა ხასიათის, ტრადიციისა და შესრულების წესების აღწერით ირ. აბაშიძე მიმზიდველად ხატავს ძველი და ახალი ყოფის სურათებს.

ხალხური შემოქმედების ტრადიცია და წესები საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია ირ. აბაშიძის პოეზიაში. პოეტის მიერ

¹ ზოგი ვარიანტით—ხეში. ქ. ს.

² რჩეული, გვ. 208.

³ იქვე, გვ. 77.

⁴ იქვე, გვ. 75.

საგნის კარგი ცოდნით აღწერილ ამ წესებს მნიშვნელობა აქვს ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის. პოეტი ხშირად იყენებს შრომის სიმღერებს.

ძველი შრომის სიმღერების შინაარსს, ამ სიმღერებში გამოხატულს მშრომელთა ნატვრას, ბედნიერი აწმყოს რელიეფურად ჩვენების მიზნით, ახასიათებს პოეტი ლექსში „გაზაფხული“:

რა ხნის ოცნება არის ქართველის
ეს გაზაფხული, რა ხნის ზღაპარი,
რა სანატრული და სადარდელი
ჩვენი წარსულის და წინაპარის
ყველა დროების და საუკუნის
იყო კანდელი კაცთა გონების.
ამ გაზაფხულის ნატვრას გუგუნით
იხოცებოდნენ ქართლში მონები.
იყო მონებთან გაუმეორებელი
ომში, ქოხებში, ბედის ტრიალში, —
ასე მღეროდა ყველა ქვის მკრეული
და გახიზნული ბიხანტიაში ¹.

საბავშვო ლექსში „გაზაფხული“ ოროველას ტრადიცია ცოცხლად წარმოგვიდგენს სოციალისტური სოფლის მინდორ-ველებზე გაჩაღებულ შრომას:

კვლავ გაისმა ოროველა,
მიწა გატყდა, ხენა გახურდა, —
დგას გუგუნი მინდორ-ველად,
გაზაფხულდა, გაზაფხულდა ².

სოციალისტური მშენებლობის თემატიკაზე შექმნილს ჯგუფს ლექსებისას ციკლიდან „ეს მემღერება“ პოეტმა უწოდა „სიმღერა მკის დროს“. ამ შემთხვევაში ირ. აბაშიძე თავის პოეზიას ანათესავებს ქართული შრომის სიმღერების ერთ მეტად თავისებურ სახესთან — სამკალთან. ლექსში „გრემი მკაში“ პოეტი ხატავს სოციალისტური სოფლის სურათს და აგრეთვე მოკრძალებით გვაგონებს სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღუპულ ჩვენს დიდ წინაპრებს. ამგვარი რომანტიკა აღრმავენს ლექსის პატრიოტიზმს, რის მნიშვნელოვანი ფაქტორი სამკალი სიმღერის ხასიათიც არის:

ნანგრევთა შორის, უხსოვარ ქვებში
მე მიყვარს ცქერა ახალ აივნის;

¹ რჩეული, გვ. 143.

² იქვე, გვ. 210.

მე მიყვარს, როცა უძველეს გრემში
 ყანიდან მესმის ხმა კომბაინის,
 და როცა ვუტკეპრ დროთასვლის ნამგლით
 მოცელილ სვეტებს, ქვებსა და ძელებს,
 სიმღერა მკისა — სიცოცხლის ჰანგი
 ჩაუძახო მინდა საფლავში ძველებს.
 ჩაუძახო: გმირნო, ვინც გრემთან დაწყდით,
 ქუდზე რომ ერთი არ დაგრჩათ კაციც.
 თქვენ, პურის მკელნო, სესვე და ხეთისავ,
 მოგწყურდათ განა სიმღერა მკისა? ¹

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმობის იდეას აღრმავებს სამკალი-
 სიმღერების ხასიათი ამავე ციკლიდან ლექსში „ნეტავ უეცრად
 ამ ალაზნიდან“. ალაზნის სანაპიროდან მკის გუგუნის პოეტს აგო-
 ნებს აქუხებულ ვოლგისპირეთს. ეს სტრიქონები მკითხველს ავსებს
 შრომის პათოსით:

თითქოს გიგანტებს თავს დასტრიალებს
 თვალი მზრუნველი პურის მკელების...
 ორი სიმღერა ერთად გჯგუნებს:
 სიმღერა მკის და დიად შენების ².

თანამედროვე ადაპიანის შრომის პათოსს გვაგრძნობინებს
 თოხნური სიმღერის ტრადიცია ლექსში „ისევ აფეთქდნენ“ ³. გა-
 ნახლებული ცნოვრების, თანამედროვე მშრომელის ხალისიანი
 განწყობილების გამოხატვის საშუალებად არის გამოყენებული
 ურმულის შესრულების ტრადიცია ლექსებში „კომბაინერი“ ⁴ და
 „ნახე, გახედე“ ⁵. პოემაში „რას გადაურჩა თბილისი“ სინღერის
 ტრადიცია ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ბედს გამოხატავს. თემურ
 ლენგის სიკვდილის შემდეგ დამკვიდრებული მშვიდობიანობა ჩვენს-
 ქვეყანაში ასეა გამოხატული პოემაში:

ქვეყნად კვლავ გაჩნდა სიმღერა,
 ისევ გაისმა სტეირის ხმა;
 ქართლში გაღვივდა კერია,
 სული მოითქვა თბილისმა ⁶.

¹ რჩეული, გვ. 39.

² იქვე, გვ. 50.

³ იქვე, გვ. 77.

⁴ იქვე, გვ. 51.

⁵ იქვე, გვ. 62.

⁶ იქვე, გვ. 295.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხურ სიმღერათა და, სპორტულ სანააოობათა დახასიათებისადმია მიძღვნილი უაღრესად რიტმიული ლექსი „მარულა“¹. კარგად არის აღწერილი ხალხური სპორტი და მასთან დაკავშირებული სიმღერის ტრადიცია დინამიურ ლექსში „ბურთი“. ჩვენი წინაპრები სერიოზულ დამოკიდებულებას იჩენდნენ სპორტისადმი. სპორტში გამარჯვებულები ქების საგნებად ხდებოდნენ, რაც გამოხატულია ლექსის სტრიქონებით:

ბარის ქალებმა ჩაჰკრეს ქამანჩებს,
გზებში ხედებოდნენ ძღვეამოსილებს².

გართობა-სანახაობათა დასამახსოვრებელი აღწერაა მოცემული აგრეთვე პოემაში „რას გადაურჩა თბილისი“³.

ლექსში „ღმანისში“, გადმოცემულია ჩვენი ქვეყნის წარსულთან დაკავშირებული ძველებური ამბებითა და ზღაპრებით მიღებული შთაბეჭდილებანი⁴. ძველი ყოფის სურათს ხატავს პოეტი სამგლოვიარო პოეზიის ტრადიციის აღწერით ლექსში „გადარჩენის ბალადა“. საქართველოში იმთავითვე იყო ცნობილი მოზარეთა ინსტიტუტი. პროფესიულ მოზარეებს ქირაობდნენ სამგლოვიარო ცერემონიალის შესასრულებლად. იგონებს რა, თუ როგორ იგლოვეს მისი უზო-უკვლოდ დაკარგული ძმა, პოეტი აღნიშნავს:

დაიჭირავეს მოზარე ქალი,
და მთელი ღამე ჰკიოდა მკა⁵.

ლექსის სინარნართა და მომხიბვლელი მუსიკალობით ირ. აბაშიძის პოეზია ახლო ნათესაობაშია ხალხურ პოეზიასთან. საესებით დამოუკიდებელი და ორიგინალური ლექსებისათვის პოეტს ზოგჯერ გამოყენებული აქვს ხალხური ენარი. ასეთია, მაგალითად, ლექსი „სადღეგრძელო“. სადღეგრძელოები ყოველთვის ამშვენებდა ქართველი ხალხის სუფრას. საქართველოში ძლიერი ტრადიცია იყო სადღეგრძელოს ლექსად წარმოთქმისა. სადღეგრძელოს ყოველთვის იმპროვიზაციის ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ტრადიციული ხერხების, საერთო, ტიპიური ადგილების გამოყე-

¹ რჩეული, გვ. 225—226.

² იქვე, გვ. 170.

³ იქვე, გვ. 284.

⁴ იქვე, გვ. 185.

⁵ იქვე, გვ. 180.

ნებით ისინი მაინც კოლექტიურობას ამჟღავნებდნენ. ხალხთა მეგობრობის იდეით შთაგონებულ ირ. აბაშიძის დასახელებულ ლექსისათვის გამოყენებულია ტრადიციული სადღეგრძელოების ფორმა. საბჭოთა პატრიოტიზმით გამსჭვალული პოეტი, ბედნიერებას უსურვებს მოძმე ინდოელ ხალხს:

ეს, გაუმარჯოს ინდოელ გლეხებს,
ჩვენ მასთან პური გავვითვებია¹.

* * *

ირ. აბაშიძის მხატვრულ სტილს, პოეტურ ენას მიმზიდველობას აძლევს ხალხური მოტივები. გამოთქმები, საბუები. ჯადოსნური ზღაპრების მოტივი ალაპარაკებს სოფლის სურათს ლექსში „ნინოშვილის ჩანჩეთი“. პოეტი ქეშმარიტი გრძობით ხატავს საკლემურნეო სოფლის ბუნებას:

ვარდისე სახლთან ცისურად ჰყვოდა,
ყუნწით ეპირა ბევრი სასმური,
ვაშლის ხეს ვახი შემოხვეოდა,
როგორც ლევენდია გველი მაკდური².

ამავე მიზნითაა გამოყენებული ჯადოსნური ზღაპრების მოტივი მეორე ლექსში „წავიდეთ, ვნახოთ“:

წავიდეთ, ვნახოთ იორი,
ის უკვდავების წამალი³.

ზღაპრის ტიპური ფორმულით „ცხრა ნთას გადაღმა“ არის გამოსატული ოჯახის მამის განცდები ლექსში „გადარჩენის ბაღადა“⁴.

შრომის ჰეროიკაა გადმოცემული ძველი ხალხური ლექსის „საბრალო დედაბრისასა“ მოტივის გამოყენებით ლექსში „ნეტავ უეცრად ამ ალაზნიდან“. ამ ლექსში ხალხური მოტივი გამომხატველია ვოლგისპირეთში გაჩაღებული სოციალისტური შრომის პათოსისა:

...წინ გამიშალა ვოლგისპირეთი,
ახალ მოსავალს გლეხს რომ ულოცავს,

¹ რჩეული, გვ. 56.

² იქვე, გვ. 82.

³ იქვე, გვ. 211.

⁴ იქვე, გვ. 181.

იქ რომ ვფიქრობდნენ მკიან გმირები,
იქ რომ ლომები გრგუნენ ულოსაა¹.

საბჭოთა პატრიოტიზმის დიად გრძნობას გამოხატავს ხალხური სტრიქონები ლექსში „ჩვენი საბჭოთა არმია“. ძველი საქორწილო სადღეგრძელოს სტრიქონებია:

ნეფო, შენსა გვირგვინსა
ოთხ-კუთხივ ჯვარი სწერია,
ვერც არა მტეომა იხარა,
ნურც ოდეს გაუხარია².

ი.რ. აბაშიძის ლექსის დასაწყისია:

არ გაიხაროს მტრის გულმა,
არცა რა გაუხარნია³.

დუხპირ ცხოვრებაგამოვლილი მოხუცის სახეს წარმოგვიდგენს პოეტის ხალხური საგმირო ეპითეტით ლექსში „გოი“:

შედგა, შეუკრთა, შეშინდა
მგლის მუხლი დაუქანცველი⁴.

ხალხური ეპითეტია გამოყენებული განახლებული ქალაქის წარმოსადგენად ლექსში „სიმღერა თბილისისა“:

„ცხრათვალა მზე დაგვტრიალებს“⁵.

ხალხური მოტივები, გამოთქმები, ეპითეტები ამდიდრებს, ამრავალფეროვნებს და მუსიკალობას აძლევს ი.რ. აბაშიძის პოეზიის სტილსა და ენას.

* * *

ი.რ. აბაშიძის პოეზიამ პოპულარობა მოიპოვა. მისი ლექსების გარკვეული ნაწილი სასიმღეროდ აქცეული. ზოგი მათგანის ვარიანტებიც კი შექმნა ხალხმა. ასეთებია ლექსები „ლურსმანი-შვილის გმირობა“ და „კაპიტანი ბუხაიძე“. უკანასკნელი ლექსის ვარიანტი ჯერ კიდევ 1945 წელს, როცა იგი სასკოლო სახელმძღვანელოში არ იყო შეტანილი, ჩაევიწერეთ სვანეთში უშგულში,

¹ რქეუღი, გვ. 49.

² ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 178.

³ რქეუღი, გვ. 204.

⁴ იქვე, გვ. 43.

⁵ იქვე, გვ. 206.

როგორც ხალხური ვარიანტი. ირ. აბაშიძის 20 სტრიქონიანი ლექსიდან ხალხში გადასული იყო 18 სტრიქონი, ზოგი მათგანი შეცვლილი სახით.

გამოჩენილი ქართველი მწერალი აკაკი წერეთელი აგიტაციას ეწეოდა ახალგაზრდა მწერლებში, რათა მათ აეთვისებინათ ხალხური შემოქმედება, რომელიც „თვალისმომკრელი ფერადებით ასახავს ხალხის გულის მოძრაობას“¹. ხალხური შემოქმედების გამოყენებით ირ. აბაშიძე დამსახურებულად დგას მისი დიდი წინამორბედის მოწოდების სიმალლეზე.

¹ ალ. აბაშელი, „აკაკის შარავანდედი“, „მნათობი“, 1935 წ. № 2.

ლიზარაკურულ ნანარმოებთა ზეპირი პერიანგები

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში საკმაო რაოდენობით გვხვდება ლიტერატურულ ნაწარმოებთა ზეპირი ვარიანტები. ყვარლის რაიონის იმ ზონაში, რომელიც ძველიდანვე მკვიდრი კახელებითაა დასახლებული, 1947 წ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ მოწყობილმა სამეცნიერო-ფოლკლორულმა ექსპედიციამ ჩაწერა ზეპირსიტყვიერებაში გადასული ლიტერატურულ ნაწარმოებთა საინტერესო ნიმუშები. ასეთი ნიმუშები ჩაწერილია წერაკითხვის უცოდინარ ან მცირე მცოდნე ისეთი მთქმელებისაგან, რომელთაც მდიდარი რეპერტუარი აქვთ. ექსპედიციის მიერ შეკრებილ მასალებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართველი კლასიკოსების—ილია ქავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას პოემებისა და ლექსების ვარიანტები. ჩაწერილია აგრეთვე კრილოვის არაკისა და ჟოზეფ ბედიეს მიერ რესტავრირებული „ტრისტან და იზოლდას“ ვარიანტები.

კაანთში განსაკუთრებით გავრცელებულია ვაჟა-ფშაველას პოემების ვარიანტები. ყველაზე მეტი რაოდენობით ჩაწერილია „ბახტრიონის“ ფრაგმენტის—კერძოდ კვირიასა და სანათას შეხვედრის ეპიზოდის ვარიანტები. პოემის ამ უძლიერესი ეპიზოდის ფოლკლორულ წყაროზე, თითონ ვაჟამ მიუთითა წერილში „კრიტიკა ბ. იბ. ვართაგავასი“. ვაჟა სწერს: „გამიგონია აგრეთვე ამბად ისიც, ვითომ ფშავეში თათრებთან ბრძოლაში თითქმის სულ გაჟღეტილიყვნენ მამაკაცები და ხატში, სალოცავში ღედაკაცებს აენტოთ სანთელი. ხოლო როდის მოხდა ეს ამბავი, ზეპირგადმო-

ემა არ აღნიშნავს იმ ხანას¹. ზეპირსიტყვიერებიდან აღებული
„საკუთარ სულიერ ქერაში გადამდნარი და გადაღლებული“
თქმულება ვაჟამ ისევ ხალხს დაუბრუნა. ვაჟას პოემის მიხედვით
სანათას, რომელიც გოდებს ქვეყნისა და საკუთარ უბედურებას,
კვირია გაოცებით ღკითხება:

ვინა ხარ, ნეტარ დედილო,
ვისას რა მოსთქვამ ზიანსა?

სანათამ ვერ გაიგონა შეკითხვა, განაგრძობს გოდებას. კვი-
რია ისევ მიმართავს:

— შენ გეკითხები, დედილო,
რად ჰსვამ ბალღამით ფიალსა?²

სანათა უამბობს კვირიას თვისტომთა უბედურებაზე და დასძენს:

სანათაი ვარ მე, შეილო,
აფხუშოური ქალია,
აქა ვარ გამოსოვილი,
ბერიძე მყვანდა ქმარია.
შვიდი გავხარდე ვაჟაკი,
თითო ლომისა დარია.
შვიდიე გამიწყდა ერთს დღესა,
მამაც იმათთან მკვდარია,
ხოშარის გორზედ დავმარბენ,
თავზე დასტირის ქარია.
ორს კვირას საფლავებ ვსთბარე,
იმათ თავშესაფარია³.

ს. ალმატის მცხოვრებ წერა-კითხვის მცირე მცოდნე 60
წლის მთქმელმა დარო ტურაშვილმა სიმღერით შეასრულა ამ
დიალოგის შემდეგი ვარიანტი:

— სადაური ხარ, დედილო,
ან სადაური ქალიო.
— ხოშარელი ვარ მე, შეილო,
ბერიძე მყვანდა ქმარია.
შვიდი ვაჟაკი გავხარდეთ,
შვიდი ლომ შასადარია,

¹ ვაჟა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თბხელებანი, ტ. III, გვ. 455.

² იქვე, გვ. 168.

³ იქვე, გვ. 170.

შვიდივე მტერმა მამიკლა,
მამაც იმათთან მკვდარიო.
შვიდი დღე ვპერი საფლავი
მათი თავშესაფარიო¹.

დარო ტურაშვილს თავისი რეპერტუარი შესწავლილი აქვს.
წინაპრებისაგან.

მეტად საინტერესო და უფრო სრულია აგრეთვე, ს. საბუის
მცხოვრებ მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე, 60 წ. ევა მო-
სიაშვილის ვარიანტი. მასში დაცულია ქალის მიერ სამსხვერპლოს-
დაკვლის ამბავიც:

სადაური ხარ, დედილო,
ან სადაური ქალიო.
ხოშევერი ვარ მე, შვილო,
ბერიძე მყვანდა ქმარიო.
შვიდი ვაჟაკი გავხარდე,
შვიდივე ლომთა მდარიო,
შვიდივე მტერმა დახოცა,
მამაც იმათთან მკვდარიო.
აუდექ, გავთხარე სამარე,
იმათ თავშესაფარიო,
კაცი რო ვერსად ვიშოვნე,
ქალმა დავკალი ცხვარიო.
ხოშევერი მთაზე დავმარხე
მამა და შვილი მკვდარიო,
შვიდივე ერთად მახიია,
ზედ დაჯქოლებს ქარიო².

ვაჟას პოემის ფრაგმენტის პოპულარობისა და მისი შესრუ-
ლების წესების თვალსაზრისით საინტერესოა მთქმელის შენიშვნა:
„მოვიყრიდით თავსა, ვართობდით გულსა“.

სახალხო მთქმელთა რეპერტუარში კვირიასა და სანათას
დიალოგის შეტანის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ს. აღმა-
ტის მცხოვრებ 74 წლის ნიკა ტურაშვილის მიერ შესრულებული
„მაცურულის“ ტექსტი. მდიდარი რეპერტუარის მქონე მთქმელისა-
გან ჩაწერილი საქორწილო სიმღერა ნიმუშია სუფრულის, „ბახ-
ტრიონის“ ფრაგმენტისა და გამოცანის კონტამინაციისა:

¹ ჩაწერილია ჩვენს მიერ 1947 წ. 20 ივლისს, ექსპედიციაში ყოფნისას.

² ჩაწერილი ფოლკლორისტ თამარ ოქროშიძის მიერ, 1947 წ. ივლისში.
ექსპედიციაში ყოფნისას.

არშაღალლო, თარშაღალლო, არი არალო!
მრავალჯამიერ, მრავალჯამიერ, მადლობელი ვარ!
მადლობელი ვარ ჩვენო თამადავ სადღეგრძელომთვინ!

სადაური ხარ დედილო,
ან სადაური ქალიო,
თბილისური ვარ ქალიო,
ბერიძე მყვანდა კმარიო.
შვიდი ჩავხარდე ვაჟაკი,
შვიდივე ლომთან დარიო.
შვიდივ ერთ დღეს დამეხოცნენ,
მამაც იმათთან მკვდარიო,
შვიდ დღესა ვთხოვე საფლავი,
იმათი შესაფარიო.

ეს ხომ იცი, ჩემი ძმა ხარ
ახლა ჩემი ცოლია შვილი,
წადი. მამაშენს უთხარი,
მამავ მაგივიდა შვილი¹.

ს. საბუეში იქაურ მცხოვრებ წერა-კითხვის უცოდინარ კოლ-
ქეურნე ალექსი ნატროშვილისაგან ჩაწერილია ვარიანტი „ბახ-
ტრიონის“ იმ ეპიზოდისა, სადაც გადმოცემულია თათრების წი-
ნაალმდეგ ამხედრებულ ფშაველთა შეკრება ნაქერალაში, ლუხუმისა
და ზეზეას შეხედრა, მათი დიალოგი, ბახტრიონის ბრძოლა,
თათრების დამარცხება თუშ ფშავე-ხევსურთა მიერ და კახეთის მე-
ფის მიერ მათი დასაჩუქრება.

ალექსი ნატროშვილს ლექსები ნწყემსობაში აქვს გაგონილი.
პოქმელმა თავის ვარიანტს უწოდა „თუშების ლექსი“. მთლიანად
მოგვყავს მისგან ჩაწერილი ტექსტი:

დაქუჩდნენ ნაქერალაში
თუშები თეკიანები,
გარს შამარტყეს სანგალი,
ხევები ბეკიანები.
ლუხუმმაც ცხენი გაქუსლა,
წავიდა თამაშობითა,
წინ თუშნი შემეხევივნენ.
შებლშაკრულ „კამანდობითა“.
საით მიდიხართ ფშაველებო,
ცბენ ხეთკვით გამალებული,

¹ ჩაწერალი ექსპედიციის წევრის, ფოლკლორისტ ა. ცანავას მიერ.
1947 წ.

რით არ მაჩვენეთ ძეძვაი,
რომ მკლავითა ყავთ ნაქები.
უნდ მე და იმან ვიომოთ,
თოთხმეტი წელიწადია,
ძეძვის სისხლა მწყურია.
რომ დინაზა ძეძვიმ,
ლომი ხმალდანხმალ გავიდა,
პირველად გადაეხვივნენ,
მერმე კი ძაჟრად მივიდა.
მიტრე ლურჯა რომ ჰყვანდა,
ლურჯა რომ ყვანდა საღარი.
მე დამაბერა ლუხუშო,
ძალთ უმადურათ გდებამა,
სულ ძგრე ლაშქრად დავდივარ,
რაც ძუჟუ მსზლიტა დედამა.
იარე, ძმანო, წაკიდვით,
ცხენ ზეჟუჟით ჩქარი-ჩქარია.
ბახტრიონ თათრისა შვილებს
დღე უთენდებათ მწარეა.
ბახტრიონს შავიყარენით,
ჩვენა და თათრის ჯარია.
სამი დღე ღამე ვიომეთ,
დადგა სისხლისა ღვარია.
წყალი მწყურია, ვერა ვსომ,
შაღება სისხლმა წყალია.
წავა და გაიქცევიან
ნაწუწარ-ნაომარები,
სოფელში ველარ გამოვლენ,
ჩაკვეთებენ დედანი.
ომში გაქცეულსა კაცსა
დეცეს მეხი მედგარი.
ომი რა საკურველია,
ძველთაგან მოგონილიო.
თამარ მეფეცა ომობდა,
მეფედ რომ გვეჯდა ქალიო.
ბარემ იყიდონ ჩიქილა,
ჩამოიხურონ თავიო.
გვერდს დაიდგან კოხტა ჯამი,
დაატრიალონ ტარიო.
ბახტრიონს კახებს ვაჩუქებ,
თათრების ნაობარიო.
ბატონსა ვთხოვეთ, გვაჩუქა
შირაქის საძოვარიო¹.

¹ ჩაწერილი 1947 წ. 9 ივლისს, თამარ ოქროშიძის მიერ.

აღექსი ნატროშვილის ლექსის პირველი ნახევარი უფრო ახლოს მისდევს ვაჟას პოემას, ვიდრე მეორე ნახევარს. აღექსი ნატროშვილმა დამარცხებულ თათრებს მიმართა იმ გამკიცხველი სიტყვებით, რომელიც ვაჟას პოემის მიხედვით ბრძოლის ველიდან გაქცეული წიწოლას მისამართითაა ნათქვამი:

ვინღა გაივლევს ახლოსა,
ჩააქვავებენ დედანი,
მიწამ შაჰამოს ცოცხალი
ე მაგისთანა მხედარი!
ომშით გამოქცეულსა!
ნები დაეცეს, მედგარი¹.

ყვარლის რაიონში, კერძოდ, ს. საბუეში პოემის ამ ეპიზოდის ხალხური ვარიანტის არსებობის თვალსაზრისით საინტერესოა ერთი გარემოება. ვაჟას პოემის მიხედვით ზეზვა ძმობილთან შეხვედრისას იგონებს მოთარეშე ლეკების განადგურებას ს. საბუეში:

მეც მაგონდება ბვერი რამ, ერთხელის, საბუის ბოლოს.
ერთი-კი უფრო ცხადადა: ლეკებ რო ვაცხვეთ ქადადა².

კახელი მთქმელებისთვის, კერძოდ-კი ს. საბუის მკვიდრი მცხოვრები აღექსი ნატროშვილისათვის, განსაკუთრებით მახლობელი და მშობლიურია ისეთი გმირები, როგორიც იყვნენ ზეზვა. ლუხუმი და მათ კუთხეში მოთარეშე ლეკ-თათართა შემმუსვრელნი.

ყვარლის რაიონის სოფელ აღმატში კარგი მომღერლისა და ჩონგურის დამკვრელის 54 წლის იოსებ ჟიჯიაშვილისაგან ჩაწერილია ვაჟა-ფშაველას მეორე პოემის „აღუდა ქეთელაურის“ გახალხურებული ვარიანტი. ვაჟას ცნობით ეს პოემა „არის აშენებული სრულიად მარტივს ამბავზე, უბრალო შემთხვევაზე“³. პოემის ხალხური ვარიანტი 92 სტრიქონს შეიცავს. აქედან 73 სტრიქონი ვაჟას პოემის პირველი თავის 114 სტრიქონის ვარიანტია; დანარჩენი 19 სტრიქონი-კი მეორე თავის 28 სტრიქონისა. ხალხური ვარიანტი მთავრდება მუცალზე გამარჯვებული აღუდას ძმა-ძმისწულებთან შეხვედრითა და აღუდას სიტყვებით:

„მით ვიტყვი ვაჟაცობასა
არ იყიდება ფულადა“.

¹ ვაჟა - ფშაველა, თხზ., III, გვ. 203.

² იქვე, გვ. 198—199.

³ იქვე, გვ. 453.

ალუდა ვაყას პოემის მიხედვით ამბობს:

— მით ვაქვბ ვაყაცობასა,
არ იყიდება ფულადა¹.

საერთოდ ხალხური ვარიანტი ახლოს მისდევს ვაყას პოემის ეპიზოდებს. შესაძარებლად მოგვყავს პოემის დასაწყისი და მისი ხალხური ვარიანტი.

ვაჟა

მაცნე მოიდა შატილსა:
— ქისტებმა მოკვეს ხიანი,
დაგვიწოკეს ნწყემსები,
აენია, ავი ხნიანნი.
ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი,
საფიხენოს თავში დაჯდების,
სიტყვა მაუდის გზიანი;
ბევრს ქისტს მაპკრა მარჯვენა,
სცადა ფრანგული ფხიანი.
ცუდას რად უწდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!
ქიტებს წაუსხამ ცხენები,
ალუდაისიყ ფთიანი.
გუმან აქვ, გადაავლიონ
არზოტის თავი მთიანი,
გადაპერტყინონ ნალითა
ქუჩი მთებისა ცკრიანი.
ეს რომ ალუდამ გაიგო,
თოფს დაუპირა ტალიო;
აისხა იარაღები,
გააფნავიდის ხმალიო;
გაუზინჯიდის ვადანი,
იმალს არ მაუტყდეს ტარიო.
ცისკრის ხანია, მტერს მისდევს
კლდის შავარდენი ჩქარიო.
გააფნებისას კიუხში
შურთხმა დაოეკა ხარიო,
ძალღებს-კი სძინავს თეოზე,
ჯერ არ გაშლილა ცაჰარიო.
მაღე შააგდო ალუდამ
ქისტების ნეაღს თვალიო.
მარჯვედვე გადაეწია,

ხალხური

ქეთელაური ალუდა
კაცია დოვლათიანი,
საქვეყნოს მთაზე დამჯდარა,
სიტყვა მაუდის გზიანი,
ბევრ ქისტებს დასპკრა მკლავები,
სცადა ფრანგული ფხიანი.
ცუდას რათ უნდა მტერობა,
მუდამ კარგია მტრიანი.
ქისტებს წაუსხავთ ცხენები,
ალუდაისიყ ფთიანი,
ეს რომ გაიგო ალუდამ,
თოფ დაუპირა ტალია,
იარაღები შაისხა,
გაუფნავიდის ხმალია.
ცისკრის ხანია, მტერს მისდევს
ვით შავარდენი ჩქარია,
მარჯვეთაც გადაეწივა,
თოფმა გაიღო ჩქამია.
ერთ ქუზდ კილტო ღიღლოველსა
ცუდი დაუდგა წამია.
გააფნავრდება ცხენიდან,
ხელთავევე ეკიდებისა,
ნატყვიავი სკირს ბეკის თავს,
ხედ ცეცხლი ეკიდებისა.

(ჩაწერილი 1947 წლის ივლისში
ექსპედიციის წევრის ფოლკლორ-
რისტ ელენე ვირსალაძის მიერ).

¹ ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზ., III, 74.

თოფმა გაიღო ჩქამიო;
 ერთს ქურდ-კანტალას ლილველსა
 ცუდი დაუდგა წამიო;
 გადავარდება ცხენზეით,
 ყელ-თავქვე ეყიდებისა;
 ნატყვიარი სპირს ბეჭის თავს,
 ზედ ცეცხლი გყიდებისა.

(ტ. III, გვ. 69—70).

„აღუდა ქეთელაურის“ სიუჟეტი, როგორც პოემის ქვესათა-
 ურშივეა აღნიშნული, ხევსურების ცხოვრებიდან არის აღებული.
 იოსებ ჟიჟიაშვილმა კი მისგან ჩაწერილ ვარიანტს უწოდა „ომი
 ფშაველებსა და ქისტებს შორის“. ი. ჟიჟიაშვილს, მისივე ცნობით,
 რეპერტუარი „ძველთაგან აქვს გავონილი“. კერძოდ აღუდა ქე-
 თელაურის“ ვარიანტის შესახებ მან აღნიშნა: „ძველთაგან გამი-
 გონია, ჩონგურზე ვამღერებთ ხოლმეო“.

მთქმელთა რეპერტუარში შესულია აგრეთვე ვაჟა ფშაველას
 ნესანე პოემა „გოგოთურ და აფშინა“. ამ პოემის წყაროდ ვაჟამ
 დაასაიღლა გადიოცემა XI-X საუკუნის პირველი ნახევრის ფშაველ
 გმირზე. ს. საბუეში, ძრავალფეროვანი რეპერტუარის ნქონე 75
 წლის ალექსი ქიტაშვილისაგან ჩაწერილია ამ პოემის პროზული
 ვარიანტი. მთქმელმა მას „გოგოთური“ უწოდა. მიუხედავად იბი-
 სა. რომ ალექსი ქიტაშვილის ვარიანტი მოკლეა და ამასთანავე
 პროზული, მასში დატულია ვაჟას ზოგი სტრიქონი ან სიტყვა.
 შევადაროთ ლიტერატურული ნაწარმოებისა და მისი ხალხური
 ვარიანტის რამდენიმე ადგილი.

ორივე ვარიანტის მიხედვით შესანიშნავ მებრძოლს ფშაველ
 გოგოთურს სთხოვენ მეფის კარზე დარჩენას.

ვაჟა

რაჰდენჯერ სთხოვა ბატონმა
 დარჩომა მეფის კარადა,
 მაგრამ ვაჟაკი იტყოდა:
 — შეფევე ვერ გავძლებ ბარადა,
 თუ შთის ნიავი არა მცემს,
 გული ქალებურ ტირისა,
 არ მინდა პური, არც წყალი,
 აღარც გაღება პირისა.

ხალხური

ბევრჯელ თხოვა ნეფემა:
 — მოდი, დარჩი ბარათაო.
 გოგოთურ ეუბნებოდა:
 — შე თუ შთის ნაკატური შუბლს
 არ გადამიულის, ვერა ვარ
 გამძლე ბარათაო.

(ტ. III, გვ. 43—44).

ორივე ვარიანტით გოგოთური პირისპირ შეხედება ხევსურ
 აჟშინას. აფშინა მას ვერ იცნობს და უბრძანებს, იარალი აიყა-

როს გოგოთური მალავს თავის ვინაობას და გადასცემს იარაღს. შემდეგ კი შეებზებიან ერთმანეთს და გოგოთური ძალით აპყრის იარაღს. ამ ადგილის გადმოცემისას მთქმელი მისდევს პოემას. მოგვყავს ორივე ტექსტი:

ვაჟა

— იარაღ მამცენ, ფშაველო,
რად გი, არ იცი ხმარება! —
პირდაპირია აფშინა,
ვაჟაკს არ უჯარს პარება,
რა გაკვირვებით მიყურებ?
აფშინას მეთახიანო!
ჰა, თორო შავთხოვ ფრანგულსა,
ხმალო გამიკერ, ფხიანო!
გოგოთურ ჭფიქრობს: ვეჩვენო,
აცა, აფშინას საწყლადა:
ვებვეწო, თავი ვიდაბლო,
ამის რას მიხამს ნაცვლადა?
აქებენ, შამიბრალეებსა,
თუ გადამაქცევს ნაცრადა.
— რადა ძმობილო, — რად აგრე?
გან დიაცი ვარ ორსული?
დედამ გამხარდა მენაცა.
ნებეჩი არა ვარ მოსული!
თუ მართლა აფშინანი ხარ,
იარაღთ რად მყრი, ძმისაო?
უიარაღო გამიშვა,
ხათრი არა გაქვ ღეთისაო!
მიწახე როგორ ვიარო,
მზე როგორ ვსინჯო ცისაო.
ჯალაფნი არ მეტყვიანა:
„ჰაი, შე ტყლაპო მტრისაო...“
სუ, თუ ღმერთი გწამ, აფშინავ,
სირცხვილს ნუ მაქმევ, ძმობასა,
ქუდმოხდილს ქვეყნად ნუ მეფლევ,
პირში ნუ მიმცემ გმობასა.
კაცი ხარ სახელიანი,
რად მიწვევ ეგრე მტრობასა.
ოლომც იარაღთ ნუ ამყრი,
რა ვქნა, გაგიწევ ყმობასა.
— ნუ მაგვიანებ, ფშაველო,
ჩქარა შაიხსენ ხმალია.
საითაც გადმამაწვადვ,
კარგი ექნება ძალია;
ერთი კვირაა, შენს მეტსა

ხალხური

ვიდრე ჩიბუხსა მოსწევდა (გოგოთური),
თავზე დაადგა აფშინა: „ჩქარა, იარაღი
აიყარე, თორემ გაქცევ ნაცრადა!“ გო-
გოთური ეუბნება: „მოდი, ნუ მიხამ ამა-
სა, მეც კაცი ვარ დედის გახრდილი,
— რას მეტყვის ჩემი ცოლ-შვილი, — შე
ქალმისა ტყლაპო!

— არა, აფშინა, ეუბნება, ჩქარა, თო-
რემ ამ საათში გაქცევ ნაცრათა.

შემოდგა. ადგა გოგოთურ და აბარებს
იარაღს. ახლა ფეხზე რომ წამოდგა, ჩა-
ფიქრდა, — სიკვდილი სჯობია სიცოცხ-
ლეს. ცალი ხელი ცხენის აღვირს უტაცა-
ცალი ხელი კაცს უტაცა და ჩქარა გად-
მაიყვანა. გადმაილო და დაბეჭვა.

შემდეგ გაიხსნა წლის კანკები და მითი
გაჟურა ფეხები და დადო შუა გზაზედა.
შაჯდა მის ლურჯაზე გოგოთური, შამა-
ირტყა მისი ზუხიკა ხმალი, გაიარა-გამა-
იარა. „როგორ მიხდება, შენ ხომ აო
ვეგონა, რომ წაქეხებულხარ ბაღლებზე“.

(ჩაწერილია 1947 წ. ექსპედიციის
წევრის მედეა ოქროშიძის მიერ).

ვერავის დავეკარ თვალია.
 ჩქარა მიხვეწ აბჯარნი,
 არა-დ, -გალოცებ ქვიშათა,
 მიგცემ, გათრიონ ყუბნიკით
 ტალღთა არაგვის წყლისათა.
 მისცა ხმალი და სიათა,
 ფარი, ნაქრევით ფარული.
 ცხენის აღვირსაც უსწორდა
 მოყმე. დისწული ყვარული.
 აფშინამ ლურჯას დეხი ჭკრა,
 იგიც გაფრე:ას ლანობდა;
 გოგოთურს თმენა გაუწყდა,
 გამოცხადებთ ჯაერობდა:
 — მაშ მიგქონ ჩემნ იარალნი,
 კიდევ არ შაირცევიანა?
 დადეგ, შე უნაქსოვო,
 ქვახედ გინაყო ტვინია!
 გაწყრა, გაჯავრდა გოგოთურ,
 გულში აეძოა უინია.
 ხელი გაავლო აფშინას.
 სატირლად ალაო სცალიან;
 მაგრა შაცონა ბეჩავი,
 ისე დაადლო გხახედა.
 ჩაეუბნება კევიანად:
 შენ გაგეშილხარ სხვახედა.
 გინდოდა გოგოთურსაცა
 წამასჯდომიყავ თავეხედა?
 შენ რომ ტკვიანად მოგექე,
 გვედრე, არ შამიბრალია,
 ეხლა მე მერტყას წეზხედა
 შენი ხიკხიკა ხმალია:
 ცხენიც მე მყვანდეს — ლურჯაი,
 თანაც ეს შენი ფარია:
 ჩაჩქანი, რკინის პერანგი
 შენხედ არამი არია.

(ტ. III, 48—50).

ხალხურ ვარიანტში დაცულია აგრეთვე გოგოთურისა და აფ-
 შინას სადღეგრძელოები, რომელიც ვაჟამ მათ ათქმევინა ძმად გა-
 ფიცვისას. შესადარებლად მოგვეყავს აფშინას სადღეგრძელო, მი-
 ძღვნილი გოგოთურისადმი:

ვაჟა

სანამ იცოცხლე გოგოთურ,
 სანამ ცაას სდის ნამია,
 სანამ მზე ათბობს ქვეყანას,

ხალხური

წადი, ძმობილო, იცხოვრე. სახელი
 შენა ვრჩებაო. სანამ იცოცხლე გოგო-
 თურ, სანამდისინ კუი კურდღელს მიე-

დილა-სალამოს ქამია:
სანამ ტყე უსხმის ფოთოლი,
მიწა ამცენებს მწვანისა.
სანამ ჯინჯველა ქალაქით
ზურგით მაიტანს მარილსა:
მიგწიოს ლაშარის ჯვარმა
მუდამაჲ გულის წადილსა.

წოდეს; ქიანველა წავა აღზევანს, ზურ-
გით მაიტანს მარილსაო.

(ჩაწერილი მედია ოქროშიძის მიერ
1947 წელს).

(ტ. III, გვ. 52).

ასეთი მსგავსებაა ვაჟას პოემასა და მის ხალხურ ვარიანტს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ალექსი ჭიტაშვილი წიგნებს ვერ კითხულობს, და, ცხადია, არც ვაჟას ნაწერები აქვს წაკითხული, მის თრაზეოლოგიაში დაცულია ვაჟას პოემის ზოგი ადგილი.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებიდან ყვარლის რაიონის ნთქმელთა რეპერტუარში გვხვდება პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებულის“ ვარიანტი მოკლე მოცულობის გადმოცემის სახით და „ქაკო ყაჩაღის“ ვარიანტი.

„მეფე დიმიტრი თავდადებულის“ ვარიანტი ჩაწერილია ს. საბუის მცხოვრებ 92 წლის მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე ვანო მიქელაშვილისაგან (მისი შერქმეული სახელებია „კონკილა“ და „მამალო“). ვ. მიქელაშვილმა, რომლისგანაც სხვადასხვა ჟანრის 40 ტექსტი ჩავიწერეთ (მათ შორის 300 სტრიქონი „არსენას ლექსისა“ და 350 სტრიქონი „ბეჟანიანისა“), ილია ჭავჭავაძის პოემის ვარიანტის შესახებ გვაცნობა: „ეს ბებერი ხალხისაგან მაქვს გაგონილი“.

პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ სიუჟეტურად დამოუკიდებელია ხალხური სიტყვიერებისაგან, მასში ოსტატურად ჩართული ანდაზების გამოკლებით. ეროვნული თავისუფლების იდეის სრულყოფისათვის ამ პოემაში გამოყენებულია საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა ტრადიცია. იგი პოემის შესავალს წარმოადგენს. თვითმპყრობელობის უხეში რეჟიმის დასაგმობად გამოყენებულია მოხდენილი დახასიათება საგმირო-საისტორიო ნაწარმოებთა მთქმელის, ტრადიციისა და წარსულში მათი დიდი მნიშვნელობა „ტვირთმძიმეთა“ და „დამაშვრალთათვის“. აღსანიშნავია ისიც, რომ პოემის I და III თავების დასაწყისები ზეპირსიტყვიერების დამახასიათებელი გადმოცემის ხერხით ხასიათდება: „მოდიოთ. შეილნო, აქ მოგროვდით, გეტყვით გულის გასათბობსა“¹. ან: „ყური მიგდეთ, გეტყვით ამბავს უტყუარსა და

¹ ი. ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 163.

მართალსა“¹. ჩანს, ილია ჭავჭავაძის უღარესად პატრიოტული პოემა თავიდანვე მეტად პოპულარული ყოფილა მშრომელ ხალხში. ბავშვობასა და სიყრმისას ჯორჯაძიანთ მწყემსი და მზარეული, შემდეგ-კი ყვარლის რ. საბჭოთა მეურნეობის მარნის მცველი გლახისათვის უცნობია წყარო მისი გადმოცემისა, მთლიანად მოგვეყავს მიქელაშვილისაგან ჩაწერილი გადმოცემა, რომელიც ილია ჭავჭავაძის პოემის კარგად გაკეთებულ ფაბულას წარმოადგენს:

„შაბაშ ყვინი ეომებოდა სულთანს. თათარი თათარს ეომებოდა. შაბაშ ყვინმა თხოვა დიმიტრი მეფეს,—ჯარი მამაშველეო. მაშინ საქართველო პატარა იყო. სოფლი კაცსა, ერთსა ბებერ კაცსა ჰყვანდა ორი ვაჟი. როცა გაიგო ამ ბებერმა კაცმა შაბაშ ყვინი აღონებს დიმიტრი მეფეს, მაშინ ამ ბებერმა კაცმა თავის შვილებს უთხრა, მხარებში შაისვა და წავიდა დიმიტრი მეფესთან და უთხრა:

— ჰეი, მეფეე, მე ხომ ხედავ,
გადავსულვარ,
სამარიდგან გაძლეე ხმასა,
შაკრიფე დიდი, პატარა,
გაუძებ ჯარს წინამძღვრათა.
ვინც უკუ-დგეს,
დედა შვერთოს ცოლათა.

წაიყვა ეს ჩემი ვაჟიშვილი, ინაცვალე, ღმერთს საქართველოსთვის მოუცილა.

მაგრამ მაინც მოკლა შაბაშ ყვინმა ჩვენი მეფე, ცულით თავი მაშჭრა და საქართველოზე იღებდა კომლზე ერთ მანეთს“².

მიუხედავათ იმისა, რომ გადმოცემა მეტად „მოკლეა, ნასში მაინც დაცულია ზოგი სტრიქონი ილიას პოემისა.

საილუსტრაციოდ ვადარებთ ზოგ ადგილს:

ილია
ერთხელ ყვინს აეშალა
თათარივე კაცი ერთი.
(ტ. 1. გვ. 166).

ხალხური
შაბაშ ყვინი ეომებოდა სულთანს.
თათარი — თათარს ეომებოდა.
(ვ. მიქელაშვილი).

ილია
უცებ მეფემ თვალი მოჰკრა,
ხალხი გაირღვა აშუახედ,

ხალხური
სოფლი კაცსა ერთსა, ბებერ კაცსა ყვანდა ორი ვაჟი. როცა გაიგო ამ ბებერმა

¹ ი. ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 165.

² ჩაწერილია ჩვენ მიერ 1947 წ. 5 ივლისს, ექსპედიციაში ყოფნისას.

ორს მარჯვე ბიკს ბერი-კაცი
მოჰყავთ მის წინ მოედანზედ.
მოჰყავთ ცახცახით, ხანხალით
ჩაჩანაკი და ბებერი,
მკრძღხედ სცემდა თოვლივითა
მოხუცებულა თეთრი წვერი.
მოვიდნენ და გააჩერეს
ის მოხუცი მეფის წინა,
ბიკები კვლავ მხრებში უსხდნენ,
ოღმეც ყავარჯენს დაებჯინა.

(ტ. 1, გვ. 174).

კაცმა შაბაშ ყვინი აღონებს დიმიტრი
მეფეს. მაშინ ამ ბებერმა კაცმა თავის
შვილებს უთხრა. მხრებში შაისვა და წა-
ვიდა დიმიტრი მეფესთან.

(გ. მიქელაშვილი).

სადმი: კარგადაა დაკული გადმოცემაში მოხუცის სიტყვები მეფი-

ილია

მოახსენა: — ჰე მეუეო,
ნუ შემრისხავ ერთჯულ ყმასა!
მე ხომ მიედავ, გარდასრულვარ,
სამაოილამ გაძლევ ხმასა;
(გვ. 174—175)

აჰა, მეუეე, ორი ბიკი,
მხრებში რომ ამომჯდომია,
ორიე ჩემი შვილი არი,
ერთი მეორის მჯობია,
მიირთვი და ინაცვალე,
ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!
ომში, მეუეე, გაჩვენებენ;
რა ლომებს ზრდის ქართულის ბუდე.
შეჭარიბე დიდი. პატარა,
გაუძელ წინამძლოლადა,
მტერს წინ დახვდი... ვინც უკუ-დგეს,
დედა შეერთოს ცოლადა.

(გვ. 175—176).

ხალხური

— ჰეი, მეუეე, მე ხომ ხედავ,
გადავსულვარ,
სამარიდან გაძლევ ხმასა,
შაკრიფე დიდი, პატარა,
გაუძეხ ჯარს წინამძღვრათა.
ვინც უკუ-დგეს,
დედა შეერთოს ცოლათა.

(გ. მიქელაშვილი).

მთქმელი თავის გადმოცემას აბოლოვებს ილიას პოემის და-
სასრულის მიხედვით. ილიას პოემის მიხედვითაც დიმიტრი თავ-
დადებულს ნაჯახით მოჰკვეთეს თავი.

ილია ჰევქავაძის მეორე ნაწარმოები, რომელიც შესულია
ყვარლის რაიონის მთქმელთა რეპერტუარში, არის „რამდენამე
სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. ამ პოემაში ილიამ
სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად მოხ-
დენილად გამოიყენა ქართული — საგმირო-საისტორიო ეპოსის
შესანიშნავი ნიმუში „არსენას ლექსი“. საერთოდ ყვარლის რაი-
ონში მეტად ძლიერია „არსენას ლექსის“ ტრადიცია. აღსანიშნა-
ვია, რომ მთქმელმა არსენა, ეს ცნობილი სახალხო გმირი, გააი-
გვივა ილიას ზაქროსთან. ს. გრემის მცხოვრებმა 72 წლის ნიკო

ლუარსაბიშვილმა გადმოცემა არსენას შესახებ ასე დაიწყო: „არსენას მამა ჰსახურობდა ბატონთან. მამა გაუროზგა ბატონმა. უყურებს. რომ მამას სცევს ბატონი, მოახლე ყოლოდა კიდე იმ ბატონს. მოახლე უყვარდა არსენას. მამა რო გაუროზგეს, დაეცა ბატონს და მოკლა. გავიდა მეზრე“. ამის შემდეგ მოქმელმა მოაყოლა ის აქტები, რომელიც მესტივირულ არსენას ლექსშია გადმოცემული¹.

ყვარლის რაიონის მოქმელთა რეპერტუარს ამშვენებს აკაკი წერეთლის პოეზიაც. ცნობილია, რომ აკაკი წერეთელმა თანამემამულეთა შორის პოპულარული იდეების დანერგვის ზიზნით არა ერთხელ გამოიყენა საგმირო-პითოლოკიური ეპოსის შესანიშნავი გმირის ამირანის სახე.

თქმულება ამირანის შესახებ არის წყარო იმ სიმღერისა, რომელსაც ჰოემა „თორნიკე ერისთავის“ მიაღწევით მღერიან საბერძნეთიდან დაბრუნებული გამარჯვებული ქართველები. ეს სიმღერა ერთი ტაეპის დამატებით შემდეგ აკაკი წერეთელმა შეიტანა მეორე პოემაში „საქართველოს დღევანდელი სახე“. არა ერთხელ დაიბეჭდა ეს ლექსი დამოუკიდებელი ნაწარმოების სახითაც.

ყვარლის რაიონში საცნაოდ ძლიერია „ამირანის“ ტრადიცია. აღსანიშნავია, რომ ხალაურ თქმულებაში შესულია აკაკისა და იროდიონ ვედოშვილის ლექსების სტრიქონებიც. ხალსისაჰან აღებული მასალა აკაკიმ და ირ. ვედოშვილმა ისევ ხალსს დაუბრუნეს. ყუთადღებას იპყრობს ამ ნარეგ ს. საბუის ძცხოგრები სარა გურგენაშვილისაგან ჩაწერილი ამირანის თქმულების მეტად თავისებულოი. შერეული ფორმის ვარიანტი. ამ ვარიანტის მიხედვით ვადაზე ადრე ქალწულ მარხისაგან ტყეში დაბადებული გოლიათი ამირანი დაამარცხებთ ქაჯეთი მეფეს. მოკლავს და მიდის „კავკასიის მაღალ მთაზე მოსასვენებლად“. იქ იგი ეკიდება ნათლია-უფალს. ნათლია-უფალი ამირანს მიაბამს მის მიერ დაკრულ ისარზე.

ამის შემდეგ ნოქმელის სიტყვებით:

აღმოსავლეთმაც იფეთქა,
წითელი დროშა გაშალა,
კლდეზედ მიჯაჭულ ამირანს,
სხივები გადაშალა.
კავკასიის მაღალ მთაზე
ამირანი მიჯაჭული,
ყვავ-ყორანი ეხვევოდა,

¹ ჩაწერილი 1947 წ. ექსპედიციის წევრ აბ. ცანავას მიერ.

დაფლეთილი ქონდა გული.
ქვეყნის ქვეყნად ცეცხლად მომტანს
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა
და რალაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.
ჯაქვს ასწყვიტავს,
თავს აიშვებს;
ამდენი ხნის გმირთა-გმირი.
თავზე ადგა კამარ ცოლი
ის უკეთებს მალამოსაო¹.

როგორც ვხედავთ, სარა გურგენაშვილის თქმით ჩაწერილი აპირანის დასასრული, აკაკისა და ირ. ევდოშვილის ლექსების გახალხურებული ვარიანტია.

ს. გრემში 82 წლის წერა-კითხვის მცირე მცოდნე ილია კახაშვილის თქმით (მას რეპერტუარი მწყემსობაში აქვს ათვისებული) ჩაწერილია აკაკის ლექსის მეორე ვარიანტი. ეს უკანასკნელი საინტერესოა არა მხოლოდ ფოლკლორისა და ლიტერატურის ურთიერთობის, არამედ საერთოდ „ამირანიანის“ სოციალური ფუნქციის თვალსაზრისითაც. მოგვეყავს ტექსტი:

არანატის მალალ მთასაო
ამირანი მიჯაჭულიო,
მიჯაჭული, მიხლართული,
ახევეია ყვავ-ყორანი.
ახევეია ყვავ-ყორანი და
გულ-მუცელ დაფლეთილია.
ოდეს ნახოთ, გვეშვება,
ის გამოვა გმირთაგმირი.

მთქმელის ცნობით „ამას მღეროდნენ. მგზავრად ვინც მიდის, მღერის“². ამგვარად, აკაკი წერეთლის ლექსის ზეპირი ვარიანტი მგზავრული სინღერა ყოფილა.

ყვარლის რაიონის მთქმელთა მიერ აკაკის პოეზიის შეთვისების თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე მის მიერ თარგმნილი კრილოვის არაკის ვარიანტი. იგი შედის ვ. მიქელაშვილის (კონკილა) რეპერტუარში³.

ყვარლის რაიონის მთქმელებს თავიანთ რეპერტუარში შეუტანიათ აგრეთვე უცხოურიდან თარგმნილი სხვა ლიტერატურული

¹ ჩაწერილი 1947 წ. ელ. ვირსალიძის მიერ.

² ჩაწერილი 1947 წ. აბ. ცანავას მიერ.

³ ჩაწერილი ზვენ მიერ 1947 წ. ექსპედიციაში ყოფნისას.

ძეგლებიც. ყურადღებას იპყრობს ამ მხრივ „ტრისტან და იზოლდას“ ვარიანტები. როგორც ცნობილია საშუალო საუკუნეების რომანტიული ეპოსის „ტრისტან და იზოლდას“ ფაბულა ხალხურია. ქართველი მთქმელები მას იცნობენ ეოზეფ ბედიეს რესტავრირებული ტექსტის ქართული თარგმანის მიხედვით. ჩაწერილია „ტრისტან და იზოლდას“ ორი ვარიანტი. ორივე მოთხრობილია როგორც ზღაპარი. მათი სათაურია „პრისტან და იზოლტა“. ერთი ვარიანტი ჩაწერილია კლასიკური ფანტასტიკური ზღაპრების ტიპური შემსრულებლის, ს. ალმატის მცხოვრებ, 54 წლის გიოთავდიდიშვილისაგან¹. მთქმელს ეს გაუგონია ძროხის ფერმაში, ფერმის გამგზავან. ფერმის გამგემ კი წიგნიდან იცოდაო, აღნიშნავს მთქმელი. მეორე ვარიანტიც იმავე სოფელშია ჩაწერილი 50 წლის ონისე თავდიდიშვილისაგან (წ კ. მცირე მცოდნეა)². თავისი ვარიანტის შესახებ ონისემ აღნიშნა: „წინანდელი კაცებისაგან გამიგონია, ქართული ზღაპარიო“. ორივე ვარიანტი მისდევს ეოზეფ ბედიეს ტექსტს.

ასეთ სურათს იძლევა ყვარლის რაიონში შედარებით მცირე ხანში მოპოვებული მასალები ზეპირად გავრცელებული ლიტერატურული ძეგლებისა. მათ შესახებ შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა:

ყვარლის რაიონის მთქმელთა რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს როგორც ორიგინალუოს, ისე ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლების ზეპირ ვარიანტებს.

ორიგინალური ნაწარმოებებიდან მთქმელებს შეუთვისებიათ ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები.

ხალხს მიუღია და შეუისხხლორცებია ისეთი ნაწარმოებები, რომელთა ფესვები ხალხურ შემოქმედებაშია, ან რომელნიც შემოქმედებითი ხერხებით ახლოსაა ხალხურ სიტყვიერებასთან.

ფოლკლორულ რეპერტუარში შესულია პროგრესული იდეებისა და კეთილშობილი გრინობების მატარებელი ნაწარმოებები.

¹ ჩაწერილი 1947 წ. აპ. ცანავას მიერ.

² ჩაწერილი თამარ ოქროშიძის მიერ.

საბჭოთა პატრიოტიზმი ქართულ ხალხურ პოეზიაში

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობამ პარტიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დასახა: „განვავითაროთ და ვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმი“. პარტიის მიერ დასახული ამოცანის განხორციელებასთან დაკავშირებით „პრაგდის“ მოწინავეში აღნიშნულია: „საბჭოთა პატრიოტიზმი არის აქტიური, მოქმედი, დაუშრეტელი შემოქმედებისადმი და შრომაში თავდადებული გმირობისადმი წამქეზებელი გრძნობა. სამშობლოსადმი სიყვარული და მისთვის სიამაყე მელავნდება საბჭოთა პატრიოტების თავგანწირულ შრომაში და ბრძოლაში საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებისათვის. ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობის აიოცანა ინაშია, რომ ნათლად და ღრმად ვაჩვენოთ საბჭოთა ადამიანების მაღალი მორალური თვისებანი, მათი კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, საზოგადო საკუთრებისადმი, ვაჩვენოთ მათი მამაცობა, უდრეკობა, თავგანწირულება და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულება“¹.

საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საქმეში ბოლშევიკური პარტიის მიერ ჩატარებული დიდი მუშაობის შედეგად საგრძნობლად ამალდა საბჭოთა ადამიანების კომუნისტური შეგნება. სწრაფად გაიზარდა მათი შემოქმედებითი აქტივობა კომუნისტების შენების დიად საქმეში. ყოველივე ამან თავისი გამონატულება ჰპოვა საბჭოთა ხალხის მხატვრულ შემოქმედებაში. ამიტომ საბჭოთა პატრიოტიზმის გაღრმავებაში თავის

¹ „პრაგდა“, 1949 წ. 23 სექტ. № 266.

მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებასა და ლიტერატურას, კერძოდ ზეპირსიტყვიერებას. საბჭოთა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში ნათლად არის ასაიული საბჭოთა ადამიანების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სოციალისტური წყობილების უპირატესობა კაპიტალისტურ წყობილებასთან, ჩვენი ქვეყნის უდიდესი მიღწევები მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. საბჭოთა ხალხური შემოქმედება გვაცნობს საბჭოთა ადამიანების შრომით გმირობასა და მამაცობას, მათ უანგარო სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი და დიდ ერთუზიან ჯომუნის შინების საქმეში. ხალხთა მეგობრობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის განვითარებისა და ზრდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხურ სიტყვიერებას. ხალხურ სიტყვიერებაში ასახულია მთელი საბჭოთა სინამდვილე — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, ბრძოლა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების განპტიკები სათვის, გიგანტური სოციალისტური მშენებლობა, საბჭოთა კონსტიტუცია, სამშობლოსათვის თავდადება, სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე ისტორიული გამარჯვება და ომის შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობა. ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობითაა შთაგონებული მშვიდობისათვის ბრძოლის ლექსები, რომლებშიაც ისმის თავისუფლებისმოყვარე ხალხის მძაფრი პროტესტი ახალი ომის გამჩალებლების წინააღმდეგ. საბჭოთა პატრიოტიზმი თანამედროვე ხალხური შემოქმედების ნამოძრავებელი იდეა და ძალაა.

საბჭოთა ადამიანისათვის სამშობლოს ცნება უფრო ფართოა, ვიდრე ეს დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე იყო. საბჭოთა ადამიანის სამშობლო არის არა მარტო ერთი რესპუბლიკა ან კუთხე, არამედ მთელი საბჭოთა კავშირი. ამის ნათელი ილუსტრაციაა მრავალი ხალხური ლექსი, რაც შთაგონებულია ხალხთა ურღვევი მეგობრობის კეთილშობილური გრძნობით. ქართველი მოლექსე ასე მიმართავს მრავალერიან საბჭოთა კავშირს:

სალამი შენა, დიდო სამშობლო,
მშრომელი ხალხის კერავ მაგარო,
თავისუფლების მტკიცე ტრიბუნავ,
რევოლუციის ნამაგაო.

მრავალი რესპუბლიკის კავშირს პატრიოტული გზნებით უნდერის კოლმეურნე.

ქართველი მოლექსეები უდიდესი სიყვარულით უპლერიან საბჭოთა სამშობლოს დედაქალაქს. მათთვის მოსკოვი ისევე მშობ-

ლიურია, როგორც რუსი ხალხისათვის, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხისათვის. მოხუცი მთქმელი ახალგაზრდული გატაცებით უმღერის მრავალჯერ ბრძოლაგადატანილ გმირ ქალაქს, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე იცავდა დიდი რუსი ხალხი. ქართველი მთქმელი ასე მიმართავს მშობლიურ ქალაქს:

მოსკოვო, ჩემო მოსკოვო,
შენსკენ გვიჰიარავს თვალია,
ვინც შენ გიმღერის, გადიდებს —
ძნელადლა დასათვალია-
გიფრთხილდებოდა, გიცავდა
რუსეთის დიდი ვრია,
რამდენი რამე შენხედა
ისტორიაში სწერია¹

მოხუცმა მოლექსემ ხალხთა ურღვევი მეგობრობის კეთილშობილური გრძნობით შთაგონებული ხმა შეუერთა საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა მთქმელებს. მშობლიურ მოსკოვს მან ასე მიმართა:

შენ აამალღე ჩვენი მზე,
შემოაცალე ღრუბელი,
მოსპე სამშობლოს ორგული,
პარახიტი და წურბელი.
რვაასი წელი რვაასჯერ
რისხვა ყოფილა მტერისა,
სამშობლოს ცენტრო, დიდებავ
საბჭოთა ყველა ვრისა².

საბჭოთა პატრიოტიზმის დიად გრძნობას გამოხატავს საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსები. მთქმელები სიამაყით აღნიშნავენ, რომ განახლებულ მზიურ ქვეყანაში გაჩაღებულა კოლექტიური შრომა, ხალხი ძლიევამოსილად აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას.

სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების უანგარო სიყვარულს სოციალისტურ სამშობლოსადმი. ამ ლექსებისათვის დამახასიათებელი პატრიოტიზმი ნაკარნახევია კომუნისმის მშენებელ ადამიანთა მაღალი სოციალისტური შეგნებით.

¹ ხელნაწერი დაცულია ხალხური შემოქმედების სახლში, № 9, ფ. 2.

² იქვე, № 9, ფ. 1.

პარტია გვასწავლის. რომ ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაამარცხა კაპიტალიზმი, წაართვა ბურჟუაზიას წარმოების საშუალებანი და გადააქცია ფაბრიკები, ქარხნები, მიწა, რკინიგზები, ბანკები — მთელი ხალხის საკუთრებად, საზოგადოებრივ საკუთრებად. მან დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა და უდიდესი სახელმწიფოს ხელმძღვანელობა გადასცა მუშათა კლასს, გახადა რა იგი, ამგვარად, გაბატონებულ კლასად. ამით ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — პროლეტარული რევოლუციების ერას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ხალხური შემოქმედების წამყვანი თემაა. ქართველი მოლექსეები აღფრთოვანებით მიესალმენ თავისუფლებას. მიწის, ფაბრიკა-ქარხნებისა და სხვა საწარმოო საშუალებათა გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად, ნათლად აისახა ქართველი ხალხის საჩონგურო სიმღერებში.

ოქტომბრის რევოლუციამ ნისცა დასაბამი ხალხთა ურღვევ მეგობრობას; საბჭოთა პატრიოტიზმის დიად გრძნობას. ამიტომაც ქართული ხალხური სიმღერები დიდ ოქტომბერზე ხალხთა მეგობრობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის ნათელი იდეების მატარებელია. ერთი უსინათლო მთქმელი აღფრთოვანებული სიმღერით მიმართავს მშრომელებს:

ოქტომბრის რევოლუციას
შეჭხარის ყველა ერია,
თავისუფლების მომცემი
დღეს შვიდი ნოემბერია!

ბედნიერი საბჭოთა მთქმელი ალტაცებით აღნიშნავს, რომ დღესასწაულობს დღეს, რომელმაც მშრომელებს მისცა საშუალება ხალისიანი, კოლექტიური შრომისა:

შრომის შვილებო, ავიღოთ
ხელში ნამგალი, კვერია,
რომ გაბედულად შევძახოთ:
— დღეს შვიდი ნოემბერია!

წინათ ხმასაც ვერ იღებდი,
აწ თავისუფლად მღერია,
ამხანაგებო, გილოცავთ,
დღეს შვიდი ნომებერია ¹.

ხალხთა ურღვევი მეკობრობის დიადი გრძნობით შთაგონების ნიმუშია ოქტომბრის რევოლუციაზე შექმნილი ლექსი „განათლდა ჩვენი ქვეყანა“. მთქმელმა იცის, რომ ოქტომბრის მონაპოვარი ძვირფასია მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის. მთელი მსოფლიოს მშრომელთა განთავისუფლება არის მისწრაფება საბჭოთა ადამიანებისა. ამას გამოხატავს ოქტომბრის რევოლუციაზე შექმნილი გულმართალი, მარტივი ხალხური ლექსების სტრიქონებიც.

რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, საქართველოში აღგილი ჰქონდა ქართველი ხალხის მტრების — მენშევიკების ხანმოკლე თარეშს. ქართველი მოლექსეები უაღრესი მძულვარებით იგონებენ საქართველოში მენშევიკების ბატონობის შავ-ბნელ დროს. მშრომელი ხალხის პოეზიამ ნათლად ასახა მენშევიკების მუხანათური პოლიტიკა მუშებისა და გლეხებისადმი.

ქართულ ხალხურ პოეზიაში აისახა გლეხთა რევოლუციური აჯანყებები მენშევიკების წინააღმდეგ. დუშეთის რაიონში ჩაწერილ ლექსში — „აეჯანყდით“ გადმოცემულია, თუ რა აღშფოთებას იწვევდა მშრომელ ხალხში მენშევიკების ვერაგული პოლიტიკა, მათი მფარველობა რეაქციული თავად-აზნაურებისა და ბურჟუაზიისადმი. ამ ლექსში აღნიშნულია ბოლშევიკების ხელმძღვანელი როლი მშრომელთა რევოლუციურ აჯანყებაში. ლექსში — „გვარდიის დამხობა“ მთქმელი სიხარულით აუწყებს მშრომელ ხალხს. საქართველოში მენშევიკების ბატონობის საბოლოო ლიკვიდაციას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

ოქტომბრის რევოლუციის დიდი მონაპოვარი — ექსპლოატორული კლასების ლიკვიდაცია, მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მეგობრული თანამშრომლობით ცხოვრება გახდა საგანი ხალხური შემოქმედებისა. პარტიის XVIII ყრილობაზე საბჭოთა წყობილების შემდგომი განმტკიცების საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა: „ახლანდელი დროის საბჭოთა საზოგადოების თავისებურება, ყოველგვარი კაპიტალისტური საზოგადოებისაგან.

¹ რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლ. არქ. № 11644.

განსხვავებით, იმაში მდგომარეობს, რომ ამ საზოგადოებაში აღარ არის ანტაგონისტური, მტრული კლასები, ექსპლოატატორული კლასები ლიკვიდირებულია, ხოლო მუშები. გლეხები და ინტელიგენცია, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებას შეადგენენ, მეგობრული თანამშრომლობის საფუძველზე ცხოვრობენ და მუშაობენ. მაშინ როდესაც კაპიტალისტურ საზოგადოების მუშებსა და კაპიტალისტებს შორის, გლეხებსა და მენამუღლებს შორის არსებული შეურიგებელი წინააღმდეგობანი სჯიჯგინიან. რაც მისი საშინაო მდგომარეობის მერყეობას იწვევს, ექსპლოატაციის უღლისაგან განთავისუფლებულმა საბჭოთა საზოგადოებამ ასეთი წინააღმდეგობანი არ იცის, იგი თავისუფალია კლასობრივ შეტაკებათაგან და მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მეგობრული თანამშრომლობის სურათს წარმოადგენს. სწორედ ამ ერთობის საფუძველზე გაიშალა ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორცაა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრკავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი“.

ხალხური სიმღერები თავისუფლებაზე, ჩვენს ქვეყნის ადამიანთა თანასწორუფლებიანობაზე გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების გულისთქმას. მთქმელები მოკრძალებითა და უსაზღვრო მადლობის გრძნობით მიმართავენ პარტიას მშრომელთა განთავისუფლებისათვის, ადამიანთა თანასწორუფლებიანობისა და ბედნიერებისათვის. ამის ერთი საუკეთესო ნიმუშია ლენინის გარდაცვალებაზე შექმნილი ქართული ხალხური ლექსი „არი მზე“. ლექსში აღნიშნულია, რომ ლენინი უკვდავია, მზესავით სხივჩაუქრობელი, სიცოცხლის ამყვავებელი. მას უპირატესობა აქვს მზესთან შედარებით, რადგან იგი სულსაც ათბობს. ლენინის გარდაცვალებით შეძრწუნებულნი მთქმელი ასე მიმართავენ მზეს:

ვერ დავიჯერებ თქვენ ორში
ლენინი უწინ მოკვდესა —
ის კაცი, ვინც მსოფლიოში
თავისუფლება დათესა,
გააქო ძალმომრეობა,
მტარვალთა გული აკვნესა,
პირველად თანასწორობა
ამ ქვეყნად ვინც დააწესა¹.

ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია, მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მეგობრული თანამშრომლობა დღეა.

¹ „საუნჯე“, ტ. 1, გვ. 76—77.

შვილის დიალოგით არის გადმოცემული ლექსში „თქმულება ლენინზე“. დედა იგონებს წარსულში მშრომელთა ძნელბედობას და უპირისპირებს მას ახალ, ბედნიერ ცხოვრებას:

შვილო, წინათა სციოდა,
არვინა ჰყავდა პატრონი,
მხოლოდ სტანჯავდა, ეჩ იყო
ერთი წყვეული ბატონი,
ესლა კი ახალ დრო არის,
იანიც აყვავდებიან,
ია, ვარდი და დეკანი
ერთმანეთს დაუტყებნიან.

ბედნიერი ახალი თაობის წარმომადგენელი შვილი ალტაცებით აღნიშნავს მშრომელთა გაბედნიერებას მუშურ-გლეხური ხელისუფლების მიერ:

ახალ დრომ მოგვცა დედაო,
ჩვენ ესე ტყბილი ცხოვრება,
მუშურ-გლეხურმა მთავრობამ
ყველას გაუხსნა გონება
და დაგვაშორა ძველი დრო
ძველი ტყვეობა, მონობა¹.

საბჭოთა მოლექსეებმა იციან, რომ ლენინი და სტალინი ხალხთან ერთად იბრძოდნენ მონობის ბორკილის დასამსხვრევად.

ახალი აღამიანის განწყობილება, მისთვის დამახასიათებელი შრომის დიდი პათოსი, მუშებისა და გლეხების მეგობრული თანამშრომლობა შესანიშნავად არის გამოხატული ლექსში — „წერილი მუშას“. გლეხი იგონებს წარსულში მშრომელთა ბედუკუღმართობას, უუფლებობას, შიმშილს, უმეცრებასა და სიბნელეს. ყოველივე ამას ბოლო მოუღო დიდი ოქტომბრის რევოლუციამ. ბედნიერი მშრომელი გლეხი ასე მიმართავს თავისუფალსა და უფლებამოსილ მუშას:

რა დაგვაჭიწყებს მე და შენ
როგორც ვიყავით წინათა,
ტანჯულნი, ცეცხლში ნაწრთობნი,
გადაქცეული რკინათა?
სხვა რა დარდი მაქვს სათქმელი,
ცოტა დამიგდე ყურიო,

¹ „საუნჯე“, ტ. 1, გვ. 81—82.

ნამგალი ხელში გვიჭირავს,
რომ მოვიყვანოთ პურიო.
შენ ხელთ გვიჭიროს ჩაქურჩი,
ცეცხლიდან განახურიო,
დაუახლოვდეთ ერთმანეთს,
მოვსპოთ მტრის ვნება-შურიო¹.

ეს ლექსი საბჭოთა პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობის გამოხატვის ნათელი მაგალითია.

საბჭოთა ადამიანების დამახასიათებელ შრომის დიდ პათოსს გვაცნობენ მრავალრიცხოვანი ხალხური ლექსები სოციალისტურ მშენებლობაზე. საბჭოთა მთქმელების წმინდა ვალია მოგვითხროს კომუნიზმის შენების დიად საქმეზე და ამით თავისი წვლილი შეიტანონ მშრომელთა პატრიოტული აღზრდის საქმეში. ქართულ ხალხურ პოეზიაში სრულყოფილად აისახა გიგანტური სოციალისტური მშენებლობა. მშრომელი ხალხის დიდ ერთუზიანს კომუნიზმის შენების საქმეში გვაგრძობინებს ქართული ხალხური ლექსები ფაბრიკა-ქარხნებისა და ელექტროსადგურების აშენებაზე, ტრანსპორტის განვითარებაზე, ნაგებობათა ზრდაზე, სამგორისა და რუსთავის მშენებლობაზე, კოლმეურნეობების დიდ მიღწევებზე და სხვ. საბჭოთა პატრიოტის აღფრთოვანებას, მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მეგობრული თანამშრომლობითა და მშვიდობიანი მშენებლობით შთაგონებული მშრომელის აღტაცებას გამოხატავს ლექსი — „ჩემი სიხარული“.

აღსანიშნავია, რომ უკვე საკმაო რაოდენობითაა შექმნილი მშრომელი ხალხის დიდი ერთუზიანის მაჩვენებელი ლექსები რუსთავისა და სამგორის მშენებლობაზე. ხალხმა უკვე საჩონგურო სიმღერად აქცია სამგორის არხის, რუსთავის მეტალურგიული გიგანტისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობა. საბჭოთა ადამიანების შრომის დიდ პათოსს გამოხატავს ლექსი „ბედნიერი ვართ, ვიხაროთ“.

საბჭოთა პატრიოტიზმის სულსკვეთებითაა გამსჭვალული ლექსები კოლმეურნეობაზე, რაც თანამედროვე ხალხური პოეზიის მდიდარ განყოფილებას შეადგენს. ამ ლექსებში ისმის ხალხის უსაზღვრო ძაღლობა პარტიისადმი, რომელიც ხელმძღვანელობს კომუნიზმის შენების საქმეს.

¹ „საუნჯე“, ტ. 1, გვ. 94—95.

საბჭოთა ადამიანების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მათი უღრვეკი ნებისყოფა, უანგარო სიყვარული სამშობლოსადმი განსაკუთრებული სიძლიერით აისახა დიდ სამამულო ომზე შექმნილ ნაწარმოებებში.

ვერაგი მტრის თავდასხმა ჩვენს ქვეყანაზე, საბჭოთა ხალხის ერთსულოვნად ამხედრება მის წინააღმდეგ, მშობლიური საბჭოთა არმიისა და ზურგის მშრომელთა მჭიდრო კავშირი სამართლიან ომში და საბჭოთა მებრძოლების ბრწყინვალე გამარჯვება გახდა საგანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის შემოქმედებისა. უაღრესად რეალისტური, გულმართალი ლექსები სამამულო ომზე ნასიათლებიან საბჭოთა პატრიოტიზმით, საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობის გრძნობით. ეს უკეთილშობილესი გრძნობა და მისი როლი სამამულო ომში დაახასიათა ი. ბ. სტალინმა:

„ზურგში საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობის, ისევე როგორც ფრონტზე ჩვენი მეომრების უჭკნობი საბრძოლო გმირობის წყაროა მხურვალე და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი.“

„საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მის საფუძველს წარმოადგენენ არა რასობრივი ნაციონალისტური ცრურწმენანი, არამედ ხალხის ღრმა ერთგულება თავისი საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელთა ძმური თანამეგობრობა. საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და ყველა მშრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესები. საბჭოთა პატრიოტიზმი კი არ სთიშავს, არამედ, პირიქით, ერთიან ძმურ ოჯახად აკავშირებს ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას... ამაში უნდა ვხედავდეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი და სულ უფრო და უფრო მტკიცე მეგობრობის საფუძვლებს“¹.

ლექსები სამამულო ომზე შეიქმნა ბრძოლასა და შრომაში. საბჭოთა ადამიანების თავდადებულ ბრძოლებში მტერთან — მხატვრული სიტყვაც ერთი უმძლავრესი იარაღთაგანი იყო. საბჭოთა მებრძოლები ვერაგი მტრის წინააღმდეგ მხატვრულ სიტყ-

¹ ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, თბილისი, 1945 წ., გვ. 156.

ვასაც იყენებდნენ. საბჭოთა ხალხი, ზურგშიც თავდადებული შრომის გარდა, სამამულო ომში მონაწილეობდა მხატვრული სიტყვითაც.

ქართული ხალხური პოეზია პირველი წლიდანვე გამოეხანაურა დიდ სამამულო ომს. ლექსები დიდ სამამულო ომზე ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში. დიდი პატრიოტული გზებით შექმნილი ეს ლექსები ჩაწერილია ყველგან. ეს საბრძოლო ლექსები ყველა ასაკის მთქმელთა რეპერტუარშია.

სამამულო ომზე შექმნილი ბევრი ლექსის ავტორის სახელი უკვე დაკარგულია. ზეპირად გავრცელებულია ისეთი ლექსებიც, რომელთა ავტორ-მთქმელებიც ცნობილია. სამამულო ომზე შექმნილი ხალხური პოეზიის თავისებურ ნაკადს შეადგენს ფრონტიდან მებრძოლთა მიერ მოწერილი, შემდეგ ზეპირად გავრცელებული ლექსები. ცალკე უნდა აღინიშნოს სკოლაში ნამყოფი, პოეზიის მოყვარულ ახალგაზრდათა მიერ დაწერილი ლექსები, რომელთა ნაწილიც ვრცელდება ზეპირად. სამამულო ომზე შექმნილი ხალხური პოეზიის განვითარების ერთერთი მომენტი აგრეთვე ტრადიციული ლექსების ტრანსფორმაციაა. აღსანიშნავია აგრეთვე ლიტერატურულ ნაწარმოებთა გახალხურება. ეს ძირითადი მომენტები სამამულო ომის ფოლკლორის განვითარების გზებისა, მაჩვენებელია სოციალისტური საშობლოს მომღერალ ქართველ მთქმელთა მაღალი პატრიოტული გრძნობისა.

სამამულო ომზე შექმნილი ხალხური ლექსების თემატიკა მრავალფეროვანია. დიდი ნაწილი ლექსების მიძღვნილია სამამულო ომის გმირებისადმი. ბევრი ლექსი ნათლად ასახვს ომის ეპიზოდებს.

სამამულო ომის პირველ დღეებში პარტიამ საბჭოთა მებრძოლებს, მთელ საბჭოთა ხალხს საშობლოს დასაცავად მოუწოდა. პარტიის მოწოდებამ ჩვენი ხალხი დარაზმა საბრძოლო განწყობილებით. ასეთი განწყობილება ნათლად აისახა საბჭოთა ლიტერატურაში და ხალხურ პოეზიაში. პარტიის მოწოდების პასუხად გაისმა ომის პირველ წელს შექმნილი ხალხური ლექსი, რომელიც ასე მთავრდება:

ავდგეთ, სულ ყველამ ვიბრძოლოთ
კაცმა და ქალმა მთლიანად.
სულ მოვსაპოთ ჰიტლერელები,
საქმე ვქნათ სამართლიანად.

ვართ უშიშარნი ბრძოლებში,
შიში არას დროს გჩვენვია,
ვინც ჩვენთან სამტროდ მოსულა,
ჩვენს მკლავებს დაუმსხვრევია ¹.

სამამულო ომის პირველი დღებიდანვე ვერაგი მტრის წინა-
აღმდეგ საბრძოლად მტკიცედ შეკავშირდა ფრონტი და ზურგი.
პარტიამ ურყევი რწმენით შთააგონა მთელი საბჭოთა ხალხი. გან-
საცდლის ჟამს საბჭოთა ხალხის ასეთ ურყევე რწმენას მხატვრუ-
ლი სიმართლით გვაგრძნობინებს ხალხური ლექსები.

საბჭოთა პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობითაა შთაგონე-
ბული ფრონტელთა შემოქმედება. მებრძოლთა ლექსები გამსჭვა-
ლულია საბჭოთა სამშობლოს უანგარო სიყვარულით. დამახასია-
თებელია ლექსი, რომელშიც გამოხატულია მტრის წინააღმდეგ
ამხედრებული ვაჟკაცის გმირული ფიცი:

შენს მხესა ვფიცავ, ბელადო,
არწივო მალალ მთისაო,
მტერს მოუსპობთ, ჩამოვაბნელებთ
მხეს ქოფაჟ ჰიტლერისაო.
მივალ, დავიცვა მამული,
სად დამრწვეია აკვანი,
სადაც გმირულად იბრძოდნენ
ის ჩემი მამა-პაპანი ².

ფრონტელთა შემოქმედების მრავალი ნიმუში წერილის სა-
ხით არის გამოგზავნილი მშობლიურ კუთხეში. ფრონტიდან მო-
წერილი ლექსები უფრო იმითაა საყურადღებო, რომ მათ შემ-
ქმნელთა შემოქმედებითი პროცესი ომის ქარცეცხლში ხდებოდა.
ამიტომ ეს ლექსები განსაკუთრებული მხატვრული სიმართლით
ხასიათდებიან. ისინი უშუალოდ გვაგრძნობინებენ ომის სიმკაცრეს
და საბჭოთა მებრძოლების უდრეკ ნებისყოფას. ფრონტელებმა
თავიანთ ლექსებში ასახეს უშუალოდ ნახული და განცდილი ამბე-
ბი. ქართველი ფრონტელი მთქმელების სამშობლო მთელი საბ-
ჭოთა კავშირია. საბჭოთა სამშობლოსადმი უდიდესი ერთგულე-
ბის ნიმუშია ქართველი მებრძოლის წერილი ლექსად. იგი ასე
იწყება:

რუსეთის ველზე ფშაველი
დაცვის ხახედა ვზივარო,

¹ ივ. ხორნაშულის მიერ შეკრებილი მასალებიდან.

² „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944, № 8.

ისე ვარ შეხამებული.
 შორიდან არა ვჩინვარო,
 ძილი არ მოდის თვალზედა,
 მტერო, მოგელი, ტიალო,
 როდის მოვიდეს ის წუთი,
 შაშხანავ, აგახმიანო.
 მტერს ვეცე გალომებული,
 თოფო, შენ დაგატრიალო.
 ჩემს სამშობლოზე დამცემი
 ვაკენესო, ავალრიალო.
 დაგიცავ ჩემის მკერდითა
 დედაო, ძუძუ-რძიაო! ¹

საბჭოთა მებრძოლებისათვის უცხოა შიში, უიმედობა, წუწუნი. მათი ლექსების ყოველი სიტყვა ანთებულია სამშობლოს სიყვარულით, მტრისადმი რისხვით.

საბჭოთა პატრიოტიზმში შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური ტრადიციები. ამიტომ იყო, რომ ქართველმა მთქმელებმა პატრიოტული გზნებით უმღერეს მებრძოლ ვაჟაკებს, რომელნიც მუხანათ მტერთან ბრძოლის ქარცეცხლში ღირსეულად ანვიჯარებდნენ წინაპართა გმირულ ტრადიციებს. ეს სიმღერები მშობელი ხალხის ანდერძად ესმოდათ სამშობლოს დასაცავად ამდგარ ქართველ ვაჟაკებს. ისტორიული განსაცდელის ქარიშხლიან დღეებშია შექმნილი ლექსი „ფშავის მთებს“. მოლექსე იგონებს მშობლიური მთების კალთებში აღზრდილი მტრის¹ შემმუსვრელ გმირ წინაპრებს — ლუხუმს, ობოლ კვირიას, ზეზვა გაფრინდაულსა და სხვებს. იგი ეროვნული გრძნობის სიამაყით აღნიშნავს გმირი წინაპრების ღირსეულ შთამომავალთა მონაწილეობას დიდ სამამულო ომში:

დღესაც ბევრია თქვენი მხრით
 გმირები ომში წასული,
 მტერს მუსრავს, სისხლის ღვარს ადგენს
 მათი ორპირა ფრანგული,
 თავიდან ჩადის მკერდამდე
 იმათი მკლავით დაკრული,
 მებრძოლთ გულიდან ამოქუხს
 სიტყვა ასეთი ქართული;
 — „მოვკვდეთ სჯობია გმირულად,
 თავი რად გვინდა ლაჩრული“ ².

¹ ივ. ხორნაულის მიერ შეკრებილი მასალებიდან.

² იქვე.

ქართველი მშობელი ყოველთვის ამაცობდა სამშობლოს ერთ-
გული შვილებით. ქართული ლიტერატურის მრავალი ბრწყინვალე
ნიმუში მიეძღვნა მშობელთა ამ უკეთილშობილეს გრანობას. მშო-
ბლიური დარიგება, სამშობლოს სადარაჯოზე ფხიზლად დგომა
ქართულმა ხალხურმა პოეზიამ ერთგვარ სავაჟკაცო კოდექსადაც
კი აქცია:

დილას ადგომა ადრიან,
გრილსა რკინასა სხმა უნდა;
აყფედებოდეს კობაქი,
სოფელს სიმირგვლივ ვლა უნდა;
სოფელს მავიდას მოძალე,
სხვათ ნამეტნავათ ცდა უნდა¹.

სამამულო ომის წლებში ქართულ ხალხურ პოეზიაში ნათ-
ლად გამოჩნდა პატრიოტ მშობელთა ნათელი სახეები. საინტერე-
სოა ამ მხრივ 90 წლის მოხუცის ლექსი. ამ ლექსში მოხუცი მო-
უწოდებს თავის გაზრდილ ვაჟაკებს:

წადით შვილებო, იომეთ,
მანამ გაქვთ ღონე-ძ.ლია,
არ დანებოთ ჩვენს მტერსა
სამშობლოს მიწა-წყალია,
პაპათა სისხლით მორწყული
ლამაზი მთა და ბარია.

ასეთივე ხასიათისაა ლექსი „ომში გაგზავნილ შვილებს“.
პატრიოტი მამა ამაცობს სამშობლოს დამცველი შვილებით:

ვერას დაგვაკლებს ჰიტლერი,
ერთურთს უკირეთ მხარია,
ერთ კი მამიკლეს ფინეთში,
დღესაც იქა წევს მკვდარია,
მეორე შვილიც გაგზავნე,
სისხლი აქვს საქმბარია.²

სამამულო ომის წლებში ქართულ ხალხურ პოეზიაში ახალი
მადლით განათდა და გრანდიოზულობით წარმოგვიდგა პატრიო-
ტი ქართველი ქალის სახე. ქართველი დედები პატრიოტული
გრძნობის სიამაყით ისტუმრებდნენ თავიანთ მკერდზე აღზრდილ
ვაჟაკებს დიდ სამამულო ომში. სამშობლოს დასაცავად ამხედ-

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 12.

² ივ. ხ ო რ ნ ა უ ლ ი ს შ ე კ რ ე ბ ი ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი დ ა ნ .

რებულ ვაჟკაცებს ასალკდევებდათ დედის დარიგება. ასეთი სულისკვეთების ასახვის თვალსაზრისით საინტერესოა ხალხური ლექსის სტრიქონები:

როცა ქვა-რკინის რახუნნი
მხეს მისდიოდა ცახედა,
სისხლსაც რომ სწვიმდენ ღრუბელნი
თერგის, მოზდოკის თავზედა.
როცა ქართველი მშობელი
შვილს უყურებდა მკლავზედა,
ეტყოდა: „დედაშვილობას
ნაკლებ არ დარჩე სხვაზედა,
მამაც კარგ გყვანდა, პაპაცა,
მტერთან ხმლის ხმარებაზედა“!
გულო, არ გასტყდი მაშინა,
გულო, მაგარო ქვაზედა¹.

დიდი საბჭოთა ქვეყნის შვილები წმინდა მოვალეობის შესრულების გმირულ ფიცს აძლევდნენ პატრიოტ ქართველ დედებს. ხალხურმა პოეზიამ ნათლად ასახა პატრიოტ დედა-შვილთა ასეთი დამოკიდებულება. ბრძოლის ველზე მიმავალი ქართველი ვაჟკაცი ასე ეფიციებოდა დედას:

დედი, სიცოცხლის მანძილი
დამრჩეს მზის ამოქოლამდი,
გაუბდე ყორნების სადილი,
გულს მილადრაედეს ფოლადი,
სიმტკიცით შენი გაზრდილი
კლდეს თუ ვერ გავეტოლადდი².

ისტორიულად ქართველ ქალს ახასიათებს ღრმა პატრიოტული გრძნობა. ქართველი ქალი ეტრფოდა და აფასებდა ნამდვილ ვაჟკაცს, სამშობლოს ერთგულ დარაჯს. დამახასიათებელია ერთი ძველი ლექსი. ეს არის ლექსი, რომელშიც გასათხოვარი ქალი მიმართავს იშობლებს:

რას ვაქნევ ვაჟკაცს უგუნურს,
უშნოს, ტოტყოს და ტლანქსაო,
ვეფხვად ნახარდი არ იყოს,
არ ამშვენებდეს გვარსაო,
აბჯარ-ფარს რომ არ იხზამდეს,
არ ამღერებდეს ხმალსაო

¹ ივ. ხორნაშულიის შეკრებილი მასალებიდან.

² „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944, № 8.

მტერს არ ეკრძალოს ქორეული
ლაშქრობა მისი ჩარსაო,
კარზე მომდგარსა ვერაგსა
ვერ უხვედრებდეს ფარსაო.

.

მე მინდა ვაჟკაცთ-ვაჟკაცი,
ამ მხისა დასარიდია,
მხნეთა-მხნე იყვეს შინ, გარეთ,
მოყვარე, არა ფლიდია,
ლოძი ლომობდეს ფრანგულით,
მტერსა დაჰმართოს რიდია.
ეს არა ჰმობდეს ვაჟკაცსა,
თვალით არ ვნახო ქმარიო,
ასე ვტყოდა დედასა
გასათხოვარი ქალიო¹.

ქართული ხალხური პოეზიის ეს ბრწყინვალე ტრადიცია უფრო განვითარდა სამამულო ომის წლებში. ცნობილია საბჭოთა ქალების თავდადება სამშობლოსათვის. ქალების როლს სამამულო ომში მალალი შეფასება მისცა პარტიამ. სამუდამოდ შევიდა ისტორიაში მათი უმაგალითო შრომითი გმირობა.

ქართველმა ქალებმაც თავიანთი წვლილი გაიღეს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში. ქართველი ქალიშვილები მგზნებარე პატრიოტული მოწოდებებით უდიდეს შთაგონებას ახდენდნენ სამართლიანი ომისათვის ამხედრებულ ვაჟკაცებზე. ქართველი საბჭოთა ქალიშვილი სიამაყით თმობდა სატრფოს სამშობლოსათვის. თუ სატრფო დაეცემოდა სამშობლოსათვის ბრძოლებში, იგი მზად იყო თითონ შეებოდა მტერს. ქართველი ქალიშვილის ასეთი ჯანსაღი, მებრძოლი სულისკვეთება ასახულია ლექსში „იბრძოლე“, რომელიც ასე მთავრდება:

თუ დამარხული ვერ გაოვე,
გიპოვნი შარა-ველზედა
შენსა ძვლებს ვიცნობ ღამაზო,
მძივად ავიბამ ყელზედა.
იქ მოვბრუნდები ბრძოლაში,
ჯავრს ამოვიყრი მტერზედა,
არ ვულალატებ შენს ფიცსა.
ვიელი შენ ნავალ გზებზედა².

¹ ვ ა კ ტ ვ ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, გვ 34.

² ივ. ხო რ ნ ა უ ლ ი ს შეკრებილი მასალებიდან.

არულიად კანონზომიერი მოვლენაა, რომ კავკასიის გმირულ დაცვაზე ქართველი საბჭოთა პოეტების მიერ შექმნილმა ლექსებმა დიდი გავლენა მოახდინა სახალხო მოქმედებზე. ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების ზრთიერთობის თვალსაზრისით ეს მოვლენა მეტად საინტერესოა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ლექსი „კავკასიონი“¹, რომელიც უდავოდ ალიო მირცხულავას „მყინვარის“ გავლენით არის შექმნილი.

* * *

სამამულო ომზე შექმნილ ქართული ხალხური პოეზიის თემატიკაში ყურადღებას იპყრობს მიძღვნილი სამამულო ომის მონაწილეებისადმი. ეს იძივნეებიც მაღალი პატრიოტული გრძნობითაა ნაკარნახევი. მათში გამოხატულია საბჭოთა ხალხის დიდი სიყვარული იმ მებრძოლებისადმი, რომელთაც თავიანთი მამაცობით უზრუნველყვეს ფაშისტურ ბნელეთზე გამარჯვება. ასეთი ლექსები სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში. საინტერესოა ამ მხრივ ფრონტელი ირაკლი ბედუქაძის ლექსი მიძღვნილი სამამულო ომის მონაწილე, საკუთარი ძმის, ორდენოსანი მფრინავისადმი. ამ ლექსის ერთი ვარიანტი ასეთია:

პატარა იყავ, გიყვარდა,
გამოთლა მფრინავ ხისაო,
დიდი ხარ, მფრინავ დაგარქვეს.
შემმუსყრელ ვერაგ მტრისაო.
აყვავდებიან მინდვრები,
დადნება თოვლი მთისაო.
შენი ქება და სახელი
უშრობელ წყაროდ დისაო.
ძმაო, გისურვებ სიცოცხლეს
დიდებას ქართლის მზისაო,
დაჰბრუნებოდე სამშობლოს,
გიემეუ არაგვის პირსაო.
დე, მტერმა სისხლი დაღვაროს
მგზავს შავი ყორანისაო
შენ კი იცოცხლე მუდმივად,
მადლია მშობელ რძისაო².

სამამულო ომის მონაწილე სახელოვან გმირთა სიკვდილი ხალხის გლოვას იწვევდა. ქართულმა საბჭოთა პოეზიამ ნათლად

¹ ჩვენს მიერ შეკრებილი მასალებიდან.

² ივ. ხორნაულდის შეკრებილი მასალებიდან.

ასახა ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის კ. ლესელიძის სიკვდილით გამოწვეული გლოვა. ლესელიძის სიკვდილზეა შექმნილი არაბულის ლექსი. ეპიტაფიის მსგავსად პირველი პირობით ნათქვამ ლექსით მთქმელმა გამოხატა ხალხის გულის ტკივილი გმირის უდროოდ დაღუპვის გამო. ამასთან ერთად მან გვაჩვენა დაღუპული გმირის მებრძოლი სულისკვეთება, სიცოცხლისადმი დაუშრეტელი სწრაფვა, განუსაზღვრელი სიყვარული სამშობლოსა და პარტიისადმი.

* * *

ხალხური ლექსების მთელი ციკლია შექმნილი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებაზე. ეს გამარჯვება უზრუნველყო ჩვენმა დიადმა პარტიამ, ამ პარტიის მიერ აღზრდილი ხალხის მამაცობამ, რკინისებურმა ნებისყოფამ, ურყევი რწმენის სულისკვეთებამ.

საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ ამ ბრწყინვალე გამარჯვებათა ორგანიზატორი პარტიაა. ამატომაც, რომ ძლევაშოსილად დამთავრებული ომის ამსახველი ლექსების დიდი ნაწილი კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკისადმია მიძღვნილი. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მთქმელები უსაზღვრო მადლობით მიმართავენ პარტიას, რომლის ხელმძღვანელობამ გააცამტვერა ფაშისტური ბნელეთი, ერთხელ კიდევ აჩვენა მთელ მსოფლიოს საბჭოთა წყობილების ძლიერება.

სახალხო მთქმელები პატრიოტული გზნებით უმღერიან განახლებულ საქართველოს, რომელიც მოძმე რესპუბლიკების გვერდით მიდის წინ ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ კომუნიზმის მშენებლობაში. საბჭოთა საქართველოს ბედნიერი მომავლისაკენ სვლის საწინდარი პარტიის გენიალური ხელმძღვანელობაა. მთქმელი ი. სულხანიშვილი ასე მიმართავს განახლებულ ქვეყანას:

ისწრაფი საქართველოო,
გამარჯვებისკენ წინაო,
დიდი მადლობა, საღამო
გლებანი ვინც გაგვალხინაო;
ვინც გვიხსნა მტრისა ზელიდან
და ვინცა დაგვარჩინაო.

მთქმელი სადა, წრფელი, შეუფერავი სიტყვებით უსურვებს დღეგრძელობას ომის ძლევაშოსილად დამთავრებისა და კოლექტიური, მშვიდი შრომის უზრუნველყოფელს:

ბარობენ კოლექტივები,
მხარი მხარს ჩაუკიდია,
ბედნიერ ყოფით ცხოვრობენ
ბალღი, მოხუცი, დიდია.
იწვევენ, სოცშეჯიბრშია,
ყველანი წინ-წინ მიდიან.

მთელი საბჭოთა ხალხის განწყობილებათა გამოხატული ახალ-
გაზრდა მოლექსის გამარჯვების სიმღერაში:

ვერ გვნახა მტერმა ვერაგმა
დაცემული და მკვნესავი,
მსოფლიო ცახე გაუშალეთ
სტალინის დროშა მხესავით.

თანამედროვე პოეზია გამოხატავს ურყევ რწმენას საბჭოთა-
ხალხისა, რომ მამაცი მებრძოლების გმირული მკერდით დაცული
სამშობლო ხელმიუწვდომელია მტრებისათვის. იმავე სიმღერაში
მოლექსე ასე გადმოგვცემს საბჭოთა ხალხის გულიანობას:

ჩვენ რომ სამშობლო წაგვართვას
ან კი ვინაა, რომელი?
მტკიცედ სდგას საბჭოთ ქვეყანა
მტრისთვის ხელმიუწვდომელი.

საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო
ომში ხალხური შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა. მტერზე გა-
მარჯვების ამსახველი ლექსები ხალხთა მეგობრობის ნათელი დე-
მონსტრაციაა.

* * *

მშვიდობის მომხრეთა მეორე საკავშირო კონფერენციის გახს-
ნასთან დაკავშირებით 1950 წლის 16 ოქტომბრის „პრავდის“ მო-
წინავეში აღნიშნულია: „საბჭოთა ხალხის სახით მთელ პროგრე-
სიულ კაცობრიობას ჰყავს მშვიდობის ყველაზე მტკიცე და ერთ-
გული დამცველი. ევროპის და აზიის, აფრიკის, ამერიკისა და
ავსტრიის ასეულ მილიონობით ადამიანებმა კარგად იციან, რომ
საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საიმედო
ბურჯია... მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიე-
რებისათვის მებრძოლთა მსოფლიო არმიის პირველ რიგებში კვლავ
იქნება გმირი საბჭოთა ხალხი — კომუნისტების მშენებელი ხალხი“,
დაუღალავი ბრძოლა მტკიცე მშვიდობისათვის საბჭოთა ხალხური
შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ძირითადი თემაა. მთელი საბ-

ქოთა ხალხის ნებას, მისწრაფებასა და გულისთქმას გამოხატავს მშვიდობისათვის ბრძოლის ამსახველი ხალხური ლექსები. საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის გამომხატველი ეს ლექსები გვაგრძნობინებენ ხალხის დიდ სიყვარულს მშვიდობისა და თავისუფლებისადმი. ამ ლექსებში ისმის მშვიდობის-მოყვარე ხალხის მრისხანება ახალი ომის გამჩალებლებისადმი — იმპერიალისტებისადმი. მრავალი ხალხური ლექსი მშვიდობის იდეით არის ნაკარნახევი.

საბჭოთა ხალხი უმღერის მშვიდობას, როგორც საფუძველს წინსვლისა და ბედნიერებისა. მშვიდობისათვის ბრძოლის ამსახველ ქართულ ხალხურ ლექსებში იგრძნობა მწრომელთა თავდადება სოციალისტური სამშობლოსადმი. ამ მხრივ დამახასიათებელია ქართველი საბჭოთა მებრძოლის სიმღერა თავისუფლებასა და მშვიდობაზე. ლექსი მთლიანად მოგვყავს:

ჩვენ ვიცავთ თავისუფლებას
და ჩვენ სამშობლოს მზიურსა,
სოციალისტურ სამშობლოს,
შრომასა კოლექტიურსა.
გვიყვარს ზავი და მშვიდობა,
ბედნიერება ქვეყნისა
და სიხარული, ნალისი
ყველა მუშის და გლეხისა.
ომი და ჩხუბი არ გვინდა,
მაგრამ სულმუდამ მზად ვართო,
თუ ვინმემ ომი დაგვიწყო,
ყველა ლომივით გავალთო.
ბოროტსა მტერსა, ვერაგსა
თავს დავატყდებით რისხვითა,
მოვსპობთ და გავანადგურებთ
ხმლითა, თოფით და ხიშტითა.
კვლავ გავამაჯრებთ ფოლადით
ჩვენი სამშობლოს მხარესა,
ბოლშევიკურად დავიცავთ
საბჭოთა არემარესა¹.

¹ ივ. ხორნაული, ფშაური მილექსებანი, თბ., 1939, გვ. 60.

ბატონყმობის ასახვა ქართულ ხალხურ სიგჷვიარებაში

ბატონყმობის ისტორია საქართველოში საუკუნეებს ითვლის. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა თავის დროზე დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე, სამწუხაროდ ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა¹. ეს სიტყვები განსაკუთრებით ნათელს ხდის თავად-აზნაურთა მიერ მშრომელი ხალხის უსაზღვრო ექსპლოატაციაზე, მშრომელი ხალხის შვილების მრისხანე შურისძიებაზე შექმნილ ხალხურ ნაწარმოებთა დიდ ისტორიულსა და შემეცნებით ღირებულებას. საქართველოში ბატონყმობის ხანგრძლივი ისტორიის ამსახველი ხალხური ნაწარმოებები კლასთა ბრძოლის თავისებური, ისტორიული დოკუმენტებია. ამ ნაწარმოებებში დაცულია ჩვენი ხალხის ისტორიის წინა პერიოდების შესასწავლი ძვირფასი მასალა, რაც შუქს ფენს ხალხური შემოქმედების განვითარების ძირითად გზას და ამასთან დაკავშირებით მეტად აქტუალურ პრობლემას, ხალხური შემოქმედების, როგორც ზედნაშენის პრობლემას. კლასთა ბრძოლის ამსახველი ხალხური ნაწარმოებები ცხადყოფენ, რომ ისტორიულად ხალხური შემოქმედების განვითარების ძირითადი ხაზი ტრადიციული ტექსტების ტრანსფორმაცია კი არ იყო, არამედ — ახალ ისტორიულ ვითარებასთან, ახალ კონკრეტულ სინაიდვილესთან დაკავშირებით ახალ თემებზე, ახალ სიუჟეტებზე ნაწარმოებთა შექმნა. რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვივიწყებთ იმას, რომ კლასობრივ საზოგადოებაში გარკვეულ სიტუაციებთან დაკავშირებით კლასთა ბრძოლის იდეით მდიდრდებოდნენ ადრე შექმნილი უძველესი ნაწარმო-

¹ ილ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1927. წ., გვ. 201.

ებებიც. კლასთა ბრძოლის თემა გამახვილდა ისეთ საგმირო-მითოლოგიურ ზეპირსიტყვიერ ეპოსშიც, როგორიცაა თქმულება ამირანის შესახებ. ამ თქმულების ერთი ვარიანტით ამირანმა მრისხანე ხელმწიფეს თავი წაგლიჯა და წინ გაუგორა ხელმწიფის ყმას, სამკურნალო წყაროს მფლობელ იგრი ბატონს¹. კლასთა ბრძოლის გამოხატულებაა აგრეთვე სოციალური მოტივები „ეთერიანში“ და მთელ რიგ სხვადასხვა სახის ზღაპრებში. მრავალი საყოფიერო-რეალისტური ზღაპარი უშუალოდ ასახავს ბატონისა და ყმის ურთიერთობას. ფეოდალიზმის დამახასიათებელია ქართული ზღაპრის ისტორიული ფუნქციის მაჩვენებელი ტრადიციული დასასრული „ბატონს ძილი, ჩვენ მოსვენება“. ეს ფორმულა უშუალოდ გვაგრძნობინებს კირვეული ბატონის დასაძინებლად მის საფერხესთან მყოფ მძიმე მუშაობით დაქანცულ ყმა-მეზღაპრის ძნელბედობას. მაგრამ კლასთა ბრძოლის ასახვის თვალსაზრისით მთავარი მაინც დამოუკიდებლად ამ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებია. ბატონყმობის ამსახველი ნაწარმოებნი, ისე როგორც ყველა საისტორიო ნაწარმოები, ეხება ისტორიულ სინამდვილეს. ეს ნაწარმოებნი თავისი შინაარსით ახლოსაა სინამდვილესთან და მის მხატვრულ გამოვლინებას წარმოადგენს.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ბატონყმობის ამსახველი ჩვენამდე მოღწეული ხალხური სიტყვიერების ნიმუშები არ გულისხმობენ ადრინდელ—ფეოდალურ ურთიერთობას საქართველოში. ჩვენს ხელთ არსებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასალა არ არის დამახასიათებელი III—IV საუკუნეებისათვის, როდესაც მონათმფლობელობა ფეოდალიზმმა შეცვალა. ამ ნაწარმოებებში გამოხატული განწყობილებანი არ არის დამახასიათებელი III—IV საუკუნეების ყმებისათვის, რომელთაც ის-ის იყო თავი დააღწიეს მონობას, მიიღეს მიწის ნაკრები, აიშენეს ქოხები და გაიჩინეს ცოლ-შვილი. მაშინდელი ყმების მდგომარეობა მონობაზე უფრო სარფიანი იყო, რადგანაც მოწეული კირნახულის ნაწილით მაინც თვითონ სარგებლობდნენ². ამ ნაწარმოებებში მოცემული განწყობილება არ არის დამახასიათებელი არც VI—VII საუკუნეებისათვის, როდესაც ფეოდალიზმმა გაიმარჯვა საქართველოში და არც—მომდევნო პერიოდისათვის. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ამ საუ-

¹ თ. რ ა ხ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური ზღაპრები, კახეთსა და ფშავში შეკრებილი, 1909, გვ. 62—82.

² ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. საქართველოს ისტორია, 1. 1946, გვ. 87.

კუნეებში საქართველოში კლასთა ბრძოლას არ ჰქონოდა ადგილი. საქმარისია დავასახელოთ V—VI საუკუნეებში მონათა მოძრაობა, რაც ოპოზიციაში მყოფმა წარჩინებულთა წრემ გამოიყენა მწვავე ბრძოლაში ძლიერი და ხელისუფლების მოყვარე ქართლის მეფის ვახტანგ გორგასლის წინააღმდეგ, რის შედეგეც უნდა ყოფილიყო სწორედ ბრძოლაში შინაური დალატით ქართლის მეფის ვერაგულად დაღუპვა¹. ეს ამბავი ასახულია ხალხურ შემოქმედებაშიც².

ბატონყმობის ამსახველი ჩვენთვის ცნობილი ნაწარმოებების რეალური საფუძველი უნდა ვივარაუდოთ XV საუკუნიდან, როდესაც განსაკუთრებით გაძლიერდა კლასთა ბრძოლა და საქართველოში გაიმარჯვა ბატონყმობამ. ცვლილებები საზოგადოებრივ ურთიერთობაში საქართველოში და აქედან გამომდინარე კლასთა ბრძოლა ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის საგარეო ვითარებასთან.

XV საუკუნეში საქართველოში საგრძნობი ცვლილებები მოხდა საზოგადოებრივ ურთიერთობაში. ჩამოყალიბდა თავადთა წოდება, გაუარესდა ყმაგლეხების მდგომარეობა. ამ საუკუნეში კლასთა ბრძოლის გაძლიერებისა და ბატონყმობის შესაძებ საქართველოს ისტორიაში აღნიშნულია: „გლეხობას არ შეეძლო ნებაყოფლობით შერიგებოდა თავის ასეთ ჩავერასა და ყვლეთას ფეოდალიზმის მხრით. გაჩაღდა ბრძოლა მემამულე ფეოდალებსა და მიწის მუშა ყმა-გლეხობას შორის. ეს ბრძოლა ხანგრძლივი და სასტიკი იყო. გათავდა ის გლეხების დამარცხებითა და ბატონყმობის საბოლოო გამარჯვებით“³. ამგვარ დამარცხებას არ ჩაუქრია ყმა-გლეხებში შურისძიების მრისხანე გრძნობა. ამას ადასტურებს საქართველოში ბატონყმობის ისტორიის გრძელ მანძილზე ცნობილი გლეხთა მრავალი აჯანყება, რაც სათანადოდ აისახა ხალხურ შემოქმედებაში. ხალხური ძეგლები თავის მხრივ შუქს ფენენ ყმა-გლეხთა აღშფოთების მიზეზებს. ამგვარ ხალხურ ძეგლებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისტორიული მეცნიერებისათვის. გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან საუბარში

¹ ს. ჯანაშია, საქართველოს ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, 1937, გვ. 144—147.

² ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., გვ. 207—208.

³ ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 299.

ი. ბ. სტალინიმა აღნიშნა: „ჩვენ, ბოლშევიკებს, ყოველთვის გვინტერესებდა ისეთი ისტორიული პიროვნებები, როგორცაა ბოლოტნიკოვი, რაზინი, პუგაჩოვი და სხვ. ამ ხალხის გამოსვლებში ჩვენ ვხედავდით ჩაგრულ კლასების სტიქიური აღშფოთების, ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ გლეხობის სტიქიური აჯანყების გამოხატულებას. ჩვენთვის ყოველთვის წარმოადგენდა ინტერესს გლეხობის ამგვარ აჯანყებათა პირველი ცდების ისტორიის შესწავლა“¹. ჩვენამდე მოღწეული ბატონყმობის ამსახველი ხალხური ნაწარმოებები წარმოშობით ძირითადად უნდა ეკუთვნოდეს ხანას XV საუკუნიდან მოყოლებული ბატონყმობის გაუქმებამდე, XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. ეს ნაწარმოებები თავისი წარმოშობითა თუ რეალური საფუძვლით სხვადასხვა საუკუნეს უკავშირდება. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მათში ასახული ეპოქა მოდის XVI—XVII საუკუნეებიდან XIX საუკუნის სამოციან წლებამდე. ბევრ შემთხვევაში ძნელი არ არის ამ ნაწარმოებთა რეალური საფუძვლის ზუსტად განსაზღვრა, ზოგ შემთხვევაში-კი ეს არ ხერხდება.

საისტორიო ნაწარმოებთა მძლავრ ნაკადს შეადგენს ისეთი ხალხური ნაწარმოებები, რომელშიც ასახული ბატონსა და ყმას შორის გამწვავებული ურთიერთობა თანაბრად დამახასიათებელია ყველა ხანისათვის XV საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე ბატონყმობის გაუქმებამდე. ეს ისეთი ნაწარმოებებია, რომლებშიაც ზოგადად არის გადმოცემული ყმა-გლეხების უსაზღვრო ექსპლოატაცია ბატონების მიერ, რომლებშიაც ისმის ყმა-გლეხების ჩივილი ბედუკულობის წინააღმდეგ, ახლა ძნელდება ზუსტად დათარიღება იმისა, თუ როდის მოახდინა ბატონების მიერ შევიწროებულმა მშრომელმა ხალხმა ტრანსფორმაცია საქართველოში მრავალეარიანტად გავრცელებული ძველი საწესო გუნდური სიმღერისა „ორმოში ფეტვი ჩაყვარე“ და აქცია იგი ბატონყმობის ამსახველად. გლეხთა საქმიანობის ამსახველი ლექსის პირველი ნახევარი ერთგვარი საბაბია მისი ძირითადი იდეისა — ბატონყმური წყობილების სამარცხვინო მხარეების მხილებისა:

ორმოში ფეტვი ჩაყვარე
შესანახადაო,
ორმოდანა ამოყვარე
გასაშრობადაო.

¹ ი. ბ. სტალინის საუბარი გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან, ქართ. გამოცემა, 1932, გვ. 12.

ჩიტი ღობეზე შემოჯდა
ასაკენკადაო,
ჩიტსა სახრე წამოუსვი
ასაქშევადაო.
ჩიტი ბატონთან გაიქცა
საჩივლელადაო.
ბატონმა კაცი მიბოძა
დასარბევადაო ¹...

ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრებით, უფრო ადრინდელია-
ლექსის ის ვარიანტები, რომელთაც არ გააჩნიათ ამგვარი სოცი-
ალური მოტივები ². ჩვენ არ ვიცნობთ ამ ლექსის XIX საუკუნის-
მეორე ნახევრამდე ჩაწერილ ვარიანტებს. ყოველ შემთხვევაში ბა-
ტონყმობასთან დაკავშირებული ვარიანტები მოკლედ და მოხდენ-
ილად ახასიათებენ ყმა-გლეხის განუკითხავ ჩაგვრასა და ყვლე-
ფას, რაც დამახასიათებელი იყო ბატონყმობისათვის მრავალი სა-
უკუნის განმავლობაში. გამწვავებული ბატონყმური ურთიერთობის
ისტორიის გრძელ მანძილს ახასიათებს ყმა გლეხთა მიერ შექმნი-
ლი ფართოდ გავრცელებული ლექსები:

ქართლი იმისთვის დევაგდე,
თოვლს დასდებს, აღარ აიღებს,
რაც რომ მოსავალი მოვა,
მოვა ბატონი, წაიღებს ³;

ამ... ახვარის ყმობითა
პური ვერ დავსდგი გოდრითა,
ვერც გავიტანე გუთანნი,
ვერც კალო ვლეწე მოხვრითა; ⁴

ავი ბატონის ხელშიო,
ვერ გავიმართე წელშიო,
დილა-სალამოს იძახის:
„წალდი გაირქვე წელშიო“ ⁵...

საუკუნეთა მანძილზე უუფლებო, დარბეული, შევიწროებულ-
მშრომელი ხალხი ქმნიდა უსამართლო, განუკითხავ, გაუმიძღარ,

¹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 154.

² იქვე, გვ. 364.

³ ხალხური სიტყვიერება, 1, ექ. თაყაიშვილის რედაქ. გვ. 124.

⁴ იქვე, გვ. 261.

⁵ იქვე, გვ. 12.

მუქთახორა ბატონების წინააღმდეგ მიმართულ მახვილ სატირულ ლექსებს:

მუცელი ახნაურისა
ადლი და ნახევარია...¹

შევიწროებულ ყმა-გლეხთა განწყობილების გამომხატველია ლექსები, რომლებშიც ისმის პროტესტი მუქთახორა ბატონების წინააღმდეგ. მთელს საქართველოშია გავრცელებული ლექსი:

ახნაურს და თავადსაო
შორით მივცემ სალამსაო,
სულ ოხრად დაუნარჩუნებ
საწერელს და კალამსაო...²

მშრომელები წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ განუკითხავ მჩაგვრელებს. ამის მრავალი ნიმუშია შემონახული ხალხურ პოეზიაში. დამახასიათებელია ლექსები:

ღმერთო, კარგი დარი ქენი,
დარი დარზე მოაბიო,
ახნაუშვილი გასწყვიტე,
მკვდარი მკვდარზე მოაბიო,
გლეხიკაცი მოაშენე,
სახლი სახლზე მოაბიო ³;

დასაქცევი მებატონე
ჩამოიგლის ვარიანსა,
წიოკობას აუყენებს
ქათამსა და ვარიანსა...⁴

ბატონყმობის გრძელ მანძილს ახასიათებს სასაუბრო ენაში დამკვიდრებული მრავალი ანდაზა.

ყმების უუფლებობასა და ბატონების სურვილის გარდაუვალობაზეა ნათქვამი: ბატონის სურვილი ყმისთვის კანონიაო; ბატონმა რომ სთქვას, მუხას ვაშლი აბიაო, უნდა დაუჯერო და სხვ. ბატონების უსამართლობაზე და ყმების ექსპლოატაციაზეა შექმნილი ანდაზები: ბატონს ყმა უნდოდა უსმელ-უქმელი, ტანჩა-უცმელი, შინ მიუსვლელი; ბატონმა გულში იმღერა და ყმები დახოცა, რატომ ბანი არ მითხარითო და მრ. სხვ.

¹ ხალხური სიტყვიერება, I, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 261.

² ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, გვ. 152.

³ ხალხ. სიტყვ., I, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 12.

⁴ იქვე, გვ. 262 და ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, გვ. 152.

კლასთა ბრძოლას, გამწვავებულ ურთიერთობას ბატონსა და ყმას შორის, ასახავს ანდაზა: ბატონი ყმასა სწუნობდა, ყმა კიდე— მასთან ყმობასაო და ა. შ.

მშრომელთა წრეშია შექმნილი თავადაზნაურებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ამსახველი მოხდენილი ნათქვამები, როგორცაა: ბატონს ზურგი სტკიოდა და ყაზახები სტიროდნენო; აზნაურის მოკითხული სუფრაზე არ დაიდება და სხვ.

ყველა ამასთან ერთად ჩვენთვის ცნობილია მეტად მდიდარი, მრავალფეროვანი, საინტერესო, დიდი ისტორიული ღირებულების ხალხური ნაწარმოებები, შექმნილი ბატონყმობის ისტორიის გარკვეულ ხანასთან, საუკუნეებთან, წლებთან, ეპიზოდებთან დაკავშირებით. ისინი შუქს ფენენ და ახალი მასალებითა და ცნობებით ამდიდრებენ „ქართლის ცხოვრების“ მიერ უგულვებელყოფილს „ჩვენი ხალხის ცხოვრების... ჩვენის შიდა ცხოვრების ისტორიას“. ხასიათი, თემატიკა, შინაარსი ამ ნაწარმოებთა განსაზღვრულია იმის მიხედვით, თუ ბატონყმობის რომელ ხანას, ეპიზოდს ან მომენტს ასახავენ ისინი.

მემამულე ფეოდალებსა და მიწის მუშა გლეხებს შორის ხანგრძლივი, მწვავე ბრძოლის შედეგად XV საუკუნეში საქართველოში ბატონყმობამ თუმცა საბოლოოდ გაიმარჯვა, მაგრამ მშრომელი ხალხის ჩაგვრის ეს სამარცხვინო ინსტიტუტი საქართველოს ყველა კუთხეში არ ყოფილა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა ფშავ-ხევსურეთი და სვანეთის ნაწილი.

თავიანთ სამფლობელოს გაფართოებისათვის თავადების ბრძოლის და შევიწროებულ ყმა-გლეხთა შურისძიების ამსახველი საინტერესო ნაწარმოებები მოიპოვება სვანურ ზეპირსიტყვიერებაში. სოფელ კალაში ჩაწერილი გადმოცემით თავად გელოვანს ეურჩებოდა სოფელ იფარში მცხოვრები ქალი დულმაზი. პატივმოყვარე თავადს დაუხოცავს ამ ქალის ცხრა ვაჟი, მაგრამ ქალის ნებისყოფა მაინც ვერ გაუტეხია. ბოლოს თავადს დულმაზის დალუპვა განუზრახავს. გაუგზავნია ქალთან კარისკაცი თვეი და თითქოს შესარიგებლად, ქალი ლაშხეთში დაუბარებია. დულმაზს გზაშივე შეუტყვია გელოვანის ბოროტი განზრახვა, დაუთვრია მისი მოციქული და მიძინარესათვის ნაჯახით თავი გაუპია. თითქოს კალას წმინდა კვირიკეს მონასტერში ინახებოდა ერთი პატარა ფიცარი, რომელზედაც ეს ამბავი იყო დაწერილი: „ავს დულმაზს გალესილი ნაჯახით თვეისთვის თავი გაუპია“¹. ამ ნაწარმო-

¹ დაიბეჭდა 1925 წ.

ების რეალური საფუძველია სვანეთის თავადების ბრძოლა ფეოდალური სამფლობელოს გაფართოების მიზნით. სოფელი იფარა ზემო სვანეთის ბაღს ზემო ნაწილშია, რომელიც უწინ „თავისუფალ სვანეთად“ იწოდებოდა. თეცარზე თითქოს წარწერის სახით დაცული ამბავი, რომლითაც დუღმაზი ავიად იხსენიება, ეკუთვნის უდავოდ თავადთა ინტერესების დამცველ პირს.

თავადების შეტევა თავისუფალ სვანეთზე ნათლად არის გამოცემული იმ თქმულებებსა და ლექსებში, რომლებიც უშგულელების მიერ ფუთა დადემქელიანის მოკვლას შეეხება. თქმულებებით ერთ კაცს რომ არ დაბრალებოდა ფუთა დადემქელიანას მოკვლა, მოუგროვებიათ თითო მარცვალი თოფის წამალი; გაუკეთებიათ ერთი ტყვია ყველას თოფის ტყვიის ჩამონათლისაგან; თოფის ჩახმახზე მიუბამთ გრძელი თოკი, რომ ყველას შეძლებოდა ხელის მოკიდება. თოფი შეუტანიათ ღვთისმშობლის ეკლესიაში. ამის შემდეგ მოუწვევიათ დადემქელიანი უშგულში. უშგულის უფროსის შეილისა და სხვა ოცი კაცის მძევლად გაგზავნის შემდეგ ფუთა მისულა უშგულში. ნადიმის დროს უშგულელებს მოუკლავთ ფუთა და მისი ახალა. სანადიმო სუფრა სისხლით შეღებილა. თითქოს ღვთისმშობელმა იწყინა ეს და უშგულელები დასაჯა. სამი წლის განმავლობაში უშგულში ძროხები არ განაყოფიერებულა. ამ ამბავს უკავშირებდნენ უშგულელები ბოლო დრომდე გავრცელებულ ჩვეულებას მახოვრას, რომლის მიხედვითაც ახალწელიწადიდან პეტრე-პავლობის დღესასწაულამდე ყველს გარეთ არ გამოიტანდნენ¹.

ფუთას გვამი მის მეუღლეს უშგულელებმა მისცეს დადემქელიანებთან მძევლად დატოვებულთა განთავისუფლების შემდეგ. ფუთას ტანისამოსსა და თოფის ჩახმახზე გამობმული თოკის ნაჭერს, როგორც თავისუფლების ნიშანს, უშგულელები ინახავდნენ ეკლესიაში. არსებობს ფუთა დადემქელიანზე უშგულელების სასტაქი შურისძიების ამსახველი სიმღერაც, რომლის ქართული თარგმანი ასეთია:

ყველგანა სწვიმს, ყველგანა სთოვს,
თეთრს ეცერს მზე ანათებს,
უშგულელებო მხეცებო, უშგულელებო დევებო,
რატომა სცემთ ბატონ ფუთას..

თქმულება და სიმღერაც დადემქელიანის მოკვლის შესახებ თავადთა ინტერესების დამცველთა წრეშია შექმნილი. ამას

¹ დაიბეჭდა 1925 წ.

ადისტურებს სიმღერაში უშეუღლებლის ავად ხსენება და მასში გამოხატული სინანული ბატონის დასჯის გამო. ამასვე ადისტურებს თქმულების მოტივი, რომელსაც ხალხმა დაუკავშირა ზემო-აღნიშნული ჩვეულება — მახოვრა.

შესანიშნავი საფერხულო სიმღერა ორი ძმის ვიცბილისა და მაცბილის შესახებ შექმნილია ყმა-გლეხთა სასტიკ შურისძიებაზე სორთმან დადემქელიანის მიმართ. საკმაოდ ვრცელი სასიმღეროს დასაწყისში დახასიათებულია ბატონყმობის სამარცხვინო მხარეები. ეს დასაწყისი ერთგვარი მოთქა-ტირილია ავი ბატონების მიერ ბეჩოს ხევის სოფელ დოლის გლეხების უსაზღვრო ჩაგვრით გამოწვეული. იგი აგრეთვე წყევლაა განუკითხავი მჩაგვრელებისა:

საბრალო დოღელებო, საცოდავო დოღელებო,
ასე ეცერლებს ვერ გავუძლებთ.
ბავშვებს აკვნებით გვართმევენ,
ჩვენ ცოლებთან ისინი წვებიან,
ფისი დაესხათ სორთმანშერლებს (დადემქელიანებს).
მათ ბატონობა გლახა იციან.
ასე ჩვენ მათ ვერ გავუძლებთ.

შემდეგ გადმოცემულია ძმების ვიცბილისა და მაცბილის მე-თაურობით ყმების აჯანყებისათვის მზადება. აწერილია სასტიკი ბრძოლა დადემქელიანებსა და ყმებს შორის. სიმღერის დასასრული კი გოდებაა აჯანყების მეთაურების — გმირი ძმების დალუპაზე. ამ გოდებაში ისმის ყმა-გლეხთა კმაყოფილება, გამოწვეული სისხლისმსმელ ბატონებზე შურისძიებით:

საბრალო ძმებო, საცოდავო ძმებო,
მოდე ჩვენი თოფები გამოვცადოთ,
გახურებული იყვნენ ნაომარი, ვით ნაკვერცხალი,
ხელის მოკიდება ძალიან გვიჭირდა.
ვისროლეთ ციხიდან თოფები,
ერთმა მოვარტყით სორთმანსა წარბში,
მეორემ შიგ გულში მოვახვედრეთ,
წითელი სისხლი იქ დავიანახეთ.
ოჰ, ნეტავი ჩვენ, სისხლალღებელი აღარ დავრჩით,
თავი ჩვენი კი ვისისხლეთ,
დიდი სორთმანი მოგვიკლავს.
ჩვენ ცხოვრება აღარ გვექნება,
სორთმანს კი ბატონობა არ ექნება.
საბრალო ძმებო, საცოდავო ძმებო,
ძმებს ციხე ვნგრევათ,
სორთმანიც ამ დროს სულს ღაფავს..

ეს საფერხულო სიმღერა სახალხო რიტუალების დროს სრულდებოდა სვანეთში. ხალხი ამგვარად აცოცხლებდა სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ საყვარელ გმირებს.

სვანების გადმოცემით სორთმან დადგეშქელიანი თითქოს XVI საუკუნეში განაგებდა ბეჩოს ხევს. თუ ეს მართალია, მაშინ ამ საფერხულო ბალადაში XVI საუკუნისათვის დამახასიათებელი ბატონყმობის ერთი მწვავე მომენტია ასახული. რა თქმა უნდა, ეს საკითხი გადაჭრილად არ მიგვაჩნია. ჯერ კიდევ საძიებელი და დასადგენია, როგორც ამ საფერხულო ბალადის, ისე ფუთა დადგეშქელიანსა და იფარელი ქალის დუღმაზის შესახებ არსებული თქმულებების რეალური საფუძველი და შექმნის თარიღი.

კლასთა ბრძოლის ისტორიისათვის ძვირფას მასალას წარმოადგენს ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა ერთი მეტად მდიდარი ციკლი, რომელიც ზურაბ ერისთავის სახელთანაა დაკავშირებული.

XVI—XVII საუკუნეებში, როდესაც ქართველი ხალხი უმკლავდებოდა ირანისა და ოსმალეთის აგრესიას, თავგანწირვით იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, არაგვის ერისთავებმა — ჯერ მამამ და შემდეგ შვილმა — ნუგზარმა და ზურაბმა განიზრახეს ბატონყმობის მძიმე უღლის ქვეშ მოექციათ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი კუთხეები. საქართველოს რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ნუგზარ ერისთავმა მოახერხა მთიულეთის დამორჩილება. ისტორიკოსის ძუნწი ცნობით მტარვალ ერისთავს „მთიელნი ერჩდნენ მცირედ“. თავისუფლების მოტრფიალე მშრომელთა ალალი გულებიდან ამოსროლილი, ჩვენამდე მოღწეული, ხალხური სტრიქონები — „ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“ — ამდიდრებს ისტორიულ ცნობას და ახასიათებს მაშინდელი საქართველოს, როგორც საგარეო, ისე შინაურ მძიმე მდგომარეობას. ისტორიაში აღნიშნულია, თუ როგორი ვერაგობით მიიღო ერისთავობა ნუგზარის ვაჟმა ზურაბმა და თავის სათარეშოდ გაიხადა მთიულეთი და ხევი². მტარვალობაში მამას შვილმა გადააჭარბა. ზურაბი არ დაკმაყოფილდა მთიულეთისა და ხევის

¹ დაიბეჭდა 1925 წ.

² П. Иоселиани, Описание гор. Душети, Тб., 1860 г. № 37.

დახარკვით. ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის დროს, მაშინ როდესაც დასუსტებული ქართლ-კახეთი სავალალო მდგომარეობაში იყო, ზურაბ ერისთავმა იერიში მიიტანა თავისუფალ ფშავ-ხევსურეთზე. თუ „ქართლის ცხოვრებაში“ უგულვებლყო არაგვის ერისთავის სისხლიანი ლაშქრობანი ფშავ-ხევსურეთში, სამაგიეროდ მთის საგმირო პოეზიამ უტყუვრად ასახა ზურაბ ერისთავის მუხანათობა და ქართველი ხალხის ისტორიას შემოუნახა ძვირფასი ცნობები სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მთის მშრომელების შეუპოვარი ბრძოლების შესახებ.

ბატონყმობის ისტორიის მკვლევარს ზურაბ ერისთავის ციკლის ნაწარმოებნი აძლევს ნათელ წარმოდგენას მშრომელი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ იმ ბრძოლებზე, რასაც XVII საუკუნეში ქართველი მემამულე ფეოდალები აწარმოებდნენ თავისი სამფლობელოს გაფართოების მიზნით. ამ ციკლის ხალხური ლექსები, გადმოცემები და თქმულებები გვაცნობენ მთის მშრომელთა დიდ სიყვარულს თავისუფლებისადმი, მათ თავგანწირულ ბრძოლებს სოციალური ბოროტების წინააღმდეგ. ამ ციკლის ნაწარმოებები თავისი ხასიათითა და შინაარსით გამოირჩევა ბატონყმობის ამსახველ ქართული ხალხური სიტყვიერების სხვა ნიმუშებისაგან. მიუხედავად მრავალი ლაშქრობისა, ზურაბ ერისთავმა ვერ მიაღწია ნიზანს, მან ვერ მოახერხა ფშავ-ხევსურეთის მომწყვდევა ბატონყმობის მძიმე უღლის ქვეშ. ამიტომ ამ ციკლის ნაწარმოებებში არ არის გადმოცემული ბატონყმური წყობილების დამახასიათებელი სამარცხვინო საყოფიერო ამბები — ბატონთა მიერ ყმა-გლეხების ჰირნახულის მითვისება, პირველი ღამის უფლება, მშრომელთა ყოველგვარი ადამიანური ღირსების შელახვა და სხვა, რაც გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეების ხალხურ შემოქმედებაში. ან ციკლის ნაწარმოებნი ძირითადად საგმირო ხასიათისაა. მათში ზედმიწევნით არის აღწერილი საშინელი სისხლისღვრა ფშავ-ხევსურეთის მიწაზე, აგრეთვე ის ბრძოლებიც, რომლებიც ფეოდალური სამფლობელოს გაფართოებით მადაგახსნილ არაგვის ერისთავისა და თავისუფლების მოტრფიალ მთის მშრომელებს შორის წარმოებდა. ფშაველი და ხევსური მოლექსები ერთგვარი დაცინვით აღნიშნავენ ზურაბ ერისთავის სურვილს ფეოდალური სამფლობელოს გაფართოებისა:

ზურაბს ჯავრი კლავს ორისა:
ზენ მთისა, ქვემოდ ბარისა,

ვეესურეთს კორმეშავისა
ფშავში ლაშარის ჯვარისა¹.

ან კიდევ:

ზურაბს ჯავრი კლავს ორისა:
ვეესურეთისა, ფშავისა,
ვეესურეთ კორმეშავისა,
კორმეშავ კლდისა შავისა,
შიგ მდგომელ მარტიანისა,
ვმალ-სისხლიანის ვაჟისა².

საქართველოს მთიან კუთხეებში — ფშავში, ხევსურეთში, ხევ-
ში, მთიულეთსა და თუშეთში დღემდე ფართოდ არის გავრცელე-
ბული ლექსები, გადმოცემები და თქმულებები, რომლებშიაც დე-
ტალურად არის აღწერილი მთის მშრომელთა თავგანწირული
ბრძოლა თავისუფლებისათვის. მრავალი ლექსია შექმნილი ზურა-
ბის ხევსურეთში გალაშქრებაზე. მოლექსეები ხალხური პოეზიის
ტრადიციული სტრიქონებით აღნიშნავენ დაუნდობელი ერისთა-
ვის მრავალრიცხოვან ლაშქრით შესევას. მრავალვარიანტად არის
ცნობილი ლექსი, რომელიც ასე იწყება:

დუშეთ იყრება ლაშქარი,
არ სწვდების წვიმის ცვარია,
ცხენთა არ ეყვის საძოვრად
თრიალეთურნი მთანია,

მხედართ არ ეყვის სასმელად
ბახალეთურნი ტბანია,
სავეესურეთოდ დაიძრა,
არ ერგებიან გზანია³.

ხევსურეთში ზურაბ ერისთავის ლაშქრობაზე შექმნილ ლექ-
სებში ზუსტად არის დასაბულებული ბრძოლის ადგილები: ორ-
წყალი, ორშკა, არხოტი, აკუშო, ღუღი და სხვები. ამ ლექსებში
საგნირო პოეზიის ჩვეული ბერსებით აღწერილია წოდებათა შო-
რის მწვავე ბრძოლის მოწინებები⁴. ბევრი სისხლი დაიღვარა

¹ დ. ხიხანაშვილი, ფშავური ლექსები, „ივერია“, 1897 წ., გვ. 140.

² ა. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 5.

³ იქვე, გვ. 302.

⁴ იქვე, გვ. 06—07, 1—16. 298—323; დ. ხიხანაშვილი (ურბნელი), ის-
ტორიული კვალი სახალხო პოეზიისა. ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940:
ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება.
გვ. 154—153; ელისო აბრამიშვილი, ზურაბ ერისთავის სახე ფოლკლორში,
სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, II, სტალინის სახ. თ. ს. უ. 1944 წ.
გვ. 51—61.

ფშავებევსურეთის მიწაზე, მაგრამ არაგვის ერისთავი ძალით ვერას
გახდა. მას ვერაგობისათვისაც მიუმართავს და მოტყუებით ამო-
უშლელტია ხევსური ვაჟკაცები. ზურაბ ერისთავის სამარცხვინო
მოქმედება ზედმიწევნით არის აღწერილი: ხალხურ ლექსში. მო-
ლექსეები წყველა-კრულვით მიმართავენ ბოროტ ფეოდალს:

ზურაბო, ერისთვის შვილო,
სისხლისამც დაგლევს წყალია!
შენ დაგვიჯოცენ ლალატით
ნარჩევ ჭევსურთა ყმანია:

ან კიდევ:

სევდამც მაგზვდების, ზურაბო,
დაგლევდამც სისხლის წყალია!
თრუსოს აწიენ ჭევსურნი,
ჭელით არჩიენ ყმანია¹.

მთის მშრომელებმა ვერაგ ფეოდალს საბოლოოდ მაინც მარცხი
აგემეს. ეს აიბავეი თავისუფლებისადმი სიყვარულის ღრმა გრძნო-
ბით არის გადმოცემული ხალხურ პოეზიაში. XVII საუკუნის
• კლასთა ბრძოლის მწვავე მომენტებს გვაგრძნობინებს ლექსი „ზ-
ნაურების ჯოცა“:

ბედინანიმც დაჯდების
ლიქოკ ლიქოკელთ ჯარზედა!
სათავეს უსხენ უფროსნი,
აძრახცებიან ჭკვაზედა.
ბოლოში უნცროსებს უსხავ,
წელებ მიუდის ჯმალზედა.
უჯოცავ აზაურები
დაბლა აკუშოს წყალზედა².

გამწვავებულ კლასთა ბრძოლას გვაგრძნობინებს აგრეთვე
პტრიქონები ლექსისა „ომი ორწყალში“³.

მოლექსეები ნიშნის მოგებით მიმართავენ მთის მშრომელთა
მიერ ძლეულ ფეოდალს:

ჭევსურეთშია, ზურაბო,
ვერ იქამ ერისთობასა.
გაგიწვრილდების კისერი,
ვერ შცსძღებ ჭვეითობასა⁴.

¹ ა. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 7.

² ა. შანიძე, პოეზია, გვ. 3.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 1.

მოლექსეებმა ქართველი ხალხის ისტორიას შემოუნახეს ვმირების სახელები, რომელთაც თავიანთი სიმამაცით, ვაგვაცობითა და მოხერხებით თავი ისახელეს ზურაბ ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლებში. ასეთებია: მისურაული, მშაველა, ქიჩბარაული, კრელა ნადირაშვილი და მრავალი სხვ. ლექსებისა და გადმოცემების მთელი ციკლია შექმნილი მამუკა ქალუნდაურზე. მშრომელმა ხალხმა მითიური ელფერიტ შემოსა სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირის სახე. გმირი ღვთის კაცად მიიჩნის და მისი საფლავი სალოცავად გაიხადეს. მამუკა ქალუნდაურის სახე ახლაც ცოცხლობს ხალხის წარმოდგენაში. მოქმედებები ახლაც სიამაყით ამბობენ მამუკა ქალუნდაურზე შექმნილ ლექსებს. ასეთია, მაგალითად, ერთი ლექსის ახალჩაწერილი ვარიანტი:

გადმადვა სადღებელათა
ქუჩუმიანი ფარია,
კითხულობს ქალუნდაური:
სად ომობს ჩემი გვარია?
— ბეგენგორ, ქალუნდაურო,
ომს ება შენი გვარია...
ჩახყვა მარტუა ლაშქართა,
ჯოცა ზურაბის ჯარია.
მეთორმეტეს რო შამახკრა,
დადგა, ჩაგა კმალია¹.

¹ მოლექსეები აღნიშნავენ მამუკა ქალუნდაურის გმირობის უმაღლეს მწვერვალზე მიღწევას, მტრის ბანაკიდან თორმეტის მოკვლას.

ძველი ქართული საგმირო ტრადიციით მტრის ბანაკიდან თორმეტ კაცზე მეტის მოკვლა ცოდვად ითვლებოდა. ცნობილია ხევსურული საბავშვო თამაშობა „თორმეტობა“, რომლის მიხედვითაც ბავშვები მორიგეობით რაიმე საგანზე ურტყამენ დანას და გაითვლიან:

თორმეტ, თორმეტ, თორმეტაო,
თუ თორმეტი ვერ მოკვალაო,
დანას ტარხე დავეგაო.

ბოლოს ნაქდევებს დაითვლიან. ნაქდევი თუ თორმეტზე ნაკლებია — მთამაშე „ქდალია“, ხოლო თუ მეტია, მაშინ — „ცოდვიანია“ (თამაშობის აღწერა მოგვაწოდა დავით გოგოჭურმა). მტრის ბანაკიდან თორმეტის მოკვლით არის შექმნილი საგმირო პოეზიაში ბახტრიონის ბრძოლის გმირი ზეზუა გაფრინდაული:

ხმალს ზეერავს გაფრინდაული,
თორმეტი მოვკალ ამითა,
დიდი ალვანის მინდორი
აეავსე თათრის ძვალითა,

ამანდით შამაბრუნვილმა,
სამნად ჩახყუნდა ქვანია.
ცოდონ მახკიდნა კმლისანი,
ვინც არ დალოცოს სამია¹.

ზურაბ ერისთავი კი უდიდესი სიძულვილით არის მოხსენებულნი ხალხურ ნაწარმოებებში.

დიდი სიძულვილის გამომხატველია მისი დაკავშირება ძველ ნაწარმოებთანაც-კი, ზურაბის სახელი ფშავ-ხევსურებმა დაუკავშირეს უძველეს ლექსსა და ლეგენდას ბერძენის შესახებ და ამით იგი ღვთის მგმობადაც გამოიყვანეს, ხოლო უძველესი ნაწარმოებები-კი კლასთა ბრძოლის ამსახველად აქციეს². მთის მშრომელებს ისე აფრთხობდა ბატონყმობის მძიმე უღელი, რომ მათი დამორჩილების მოსურნე ფეოდალის სახელი კონტამინაციის წესით სიკვდილის საშინელებაზე შექმნილ ლექსსაც კი დაუკავშირეს:

ზურაბმ აიფრო ქვეყანა,
ბევრს ვაჟს უტირა დედანი;
ბევრისა კარი დაჯარა,

მგელსა დავციოთ კბილები,
ტურას ლოყები ჭამითა.

ამავე თვალსაზრისით აღსანიშნავია აგრეთვე ლექსი:

— რა უყავ ფადიაურო,
ნაბადი თვირთვილიანი.
— გირავის ბოლოს მოვიხსენ,
ურჯულოს ტვინ-სისხლიანი,
თორმეტის ცოდომ უწია,
წყალს გავატანე ტიალი.

მთქმელი აბია გოგოკური, ჩაწერილი დავით გოგოკურის მიერ სოფ. თეთრწყლებში (თელავის რაიონი). „ალღუდა ქეთელაურში“ ვაჟა ფშაველამ მიწიდან გამართა ასე აღნიშნა:

შატლს მინდიაც მოვიდა
ხერდაგით რვალიანითა,
წელზე ნარტყამის ფრანგულით,
მკლავითა ფარიანითა,
თორმეტის ქისტის მამკვლელი
შუბითა ტარიანითა (ვაჟა ფშაველა, ტ. III, გვ. 76).

¹ მთქმელი დუშეთის რ. სოფ. კორმეშავის მცხოვრები 45 წ. ვაჟია გოგოკური, ჩაწერილი ნიკო გოგოკური, ტექსტი მოგვაწოდა დავით გოგოკურმა.

² ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 162—237.

ბევრისა ისევ მღე არი:
ბევრისა დედა ატირა.
ბევრისა ცოლი თმიანი¹.

ზურაბ ერისთავის შემზარავი სახე შესულია მთის არა მხოლოდ პოეზიაში, არამედ — ჩვეულებაშიც. ზურაბ ერისთავი მთიელ ბავშვთა საფრთხობელად იქცა. ერთი ცნობით „მთიელი ქალი ატირებული ბავშვის გაყურებას რომ ვეღარ ახერხებდა, მაშინ მთაში საყოველთაოდ შემოღებულ საშუალებას მიმართავდა და დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით შეიღს ეტყოდა: „ხმა გაკმიდ, თორო ზურაბ ბატონ აქ მოსული ას, ე, მანდ კართ უკან ჰყუდავის, შამავას და შაგკამს“².

ზურაბ ერისთავის ლაშქრობანი ფშავ-ხევსურეთში, საქართველოში კლასთა ბრძოლის ეს ერთი მეტად მწვავე მომენტი. საშინელ მოგონებად შევიდა თანამედროვე ხალხურ პოეზიაშიც. ჩვენი ეპოქის მოლექსეები ასე მიმართავენ თავისუფლებით საბოლოოდ უზრუნველყოფილს, განახლებულ ფშავ-ხევსურეთს:

მოგშორდათ ერისთვის შვილი,
ვინც გაწუხებდათ ძველად,
არ გაჰხდი ფშავ-ხევსურეთო,
ზურაბის საწუწნელადა³.

XVI — XVII საუკუნეებში საქართველოს მთაში არაგვის ერისთავების მიერ მშრომელთა შევიწროების ამსახველია ხევსა და ხევსურეთში გავრცელებული ლექსებისა და გადმოცემების ციკლი შიოლა ღუღუშაურისა და მთრეხელის შესახებ⁴. ამ ციკლის ნაწარმოებებიც ავსებენ ძუნწ ისტორიულ ცნობას მთიელების უმებად გადაქცევის შესახებ საქართველოს მთაზე არაგვის ერისთავების ძლიერი იერიშების გამო⁵.

ლექსებისა და გადმოცემების მიხედვით ერისთავებმა ხატებისადმი ძვირფასი ნივთების შეწირვითა და სხვა საშუალებებით გადმოიბირეს და გააახუნაურეს ხევის გავლენიანი გვარის წარმო-

¹ ა. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 319.

² მთქმელი ბეწინა არაბული. ჩაწერილი 1950 წელს ხევსურეთში, ს. ჯუ-ჯაში. ჩამწერი სტალინის სახ. თბილისის სახ. უნ-ტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ანდრო ყაპარაული.

³ ივ. ხორნაულის მასალებიდან.

⁴ ა. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 07, 14—15, 336—342; ს. მაკალათია, ხევი, 42—44.

⁵ П. Носелани, Описание гор. Душети, გვ. 36—41.

მადგენლები. ასეთი ყოფილა სნოს მაგარი და შეუვალი ციხის პატრონი შიოლა ლუღუშაური, რომელიც თურმე ბეგარა გადასახადებით საშინლად ავიწროებდა მოხვევებს. მას მხარს უჭერდა გააზნაურების მოლოდინე მთელი მისი საგვარეულო. ერისთავების დამქაში, ახალგაზნაურებულ შიოლას თავიდან მოშორების მიზნით თემს შეუსახელებია შიოლას დის ძმადნათიცი, ხევსური მთრეხელი. მთრეხელი გაუცია ჯაშუშს. ძღვენით მიმავალი მთრეხელი აჩხოტან შეხვედრია სანადიროდ მომზადებულ შიოლას. შიოლას თავის ამალისათვის უბრძანებია მთრეხელის განიარაღება და ცხენის ჩამორთმევა. ხევსურს შიოლა მოუკლავს. შიოლას ამალას დაურღვევია სტუმარ-მასპინძლობის თემური ადათი და დათნაფიცის ბინაზე მოუკლავთ მთრეხელი¹. გამწვავებულ კლასთა ბრძოლის ამ ამბავზეა შექმნილი ხევსურეთსა და ხევში მრავალვარიანტად ცნობილი ლექსი.

ეს ლექსი ღრმად გვაგრძნობინებს მშრომელი ხალხის დიდ სიძულვილს ექსპლოატორებისადმი — ერისთავებისა და მათთან დაახლოვებული პირებისადმი. ლექსში მარტივი, ნათელი პოეტური სახეებით არის გადმოცემული შიოლა ლუღუშაურის მიერ ხალხის შევიწროება. მოლექსე ასე მიმართავს გააზნაურებულ ლუღუშაურს:

პირიდან ცეცხლსა მებად ჰყრი,
კლდეს ადნობ ბასრი ქვისასა.

ლექსში შურისძიების გრანობით არის აღნიშნული მთრეხელის ისრით შიოლას სიკვდილი.

დაგიპირა და გულსა გკრა
ბატონსა აჩხოტისასა;
„აქამდე სკამე აჩხოტი,
ახლა მე გაქმვე ქვიშასა“.

კლასთა ბრძოლის ამსახველი ეს სტრიქონები ამახვილებს ლექსის სოციალურ მოტივს.

მთის მშრომელების მედგარი წინააღმდეგობა არავგვის ერისთავების ვერაგული პოლიტიკისადმი გახდა წყარო ალექსანდრე ყაზბეგის მხატვრული შემოქმედებისა. ნუგზარ ერისთავის წინააღმდეგ მოხვევთა შეუპოვარი ბრძოლით არის შთაგონებული მისი შესანიშნავი მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“. გარდა ამისა, მისი დაუმთავრებელი მოთხრობის ვარიანტების („შიოლა ლუღუშაური“),

¹ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ხევი, გვ. 43.

„ნიონა“) წყაროა შიოლა ლუღუშაურისა და მთრეხელის შესახებ შექმნილ ხალხურ ნაწარმოებთა ციკლი. მოთხრობის ორივე ვარიანტს ეპიგრაფად ამ ციკლის ლექსები აქვს¹. შიოლა ლუღუშაურისა და მთრეხელის ხალხურ ლექსთა ციკლი საქართველოში კლასთა ბრძოლის ისტორიის ძვირფასი მასალებია.

საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება გამწვავებული ბატონყმური ურთიერთობის ამსახველი ხალხური ლექსები და გადმოცემები, რომლებიც შექმნილია XVIII საუკუნეში, ერეკლე მეორის მეფობის მღელვარე ეპოქაში.

გვიანფეოდალურ საქართველოში სათავადოების სისტემის შექმნამ, მებატონეთა მიერ შეუფალობის უფლების მოპოვებამ ყოველგვარ უფლებააყრილი გლეხი მონურ მდგომარეობას დაუბრუნა. გარდა იმისა, რომ მრავალგვარი გადასახადით იყვნენ შევიწროებული ყმა გლეხები, მათი ოჯახების წევრები მებატონეთა მიერ ხშირად ცალ-ცალკე იყიდებოდნენ. ამგვარმა მდგომარეობამ ბევრ ქართველ გლეხს ააღებინა ხელი ოჯახზე და ცოლ-შვილზე. გლეხები ჩიოდნენ მეფესთან, ხოცავდნენ მათი ღირსების შემლახველ მებატონეებს და ყაჩაღად გარბოდნენ. ყმა-გლეხთა გააბრაგება-გაყაჩაღებით ქვეყანა სუსტდებოდა, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად. ქვეყანა კარგავდა როგორც გარეშე მტერთა წინააღმდეგ მებრძოლებს, ისე მატერიალური დოვლათის მწარმოებელ პუშახელს. ეს გარემოება მძიმე დაბრკოლებას უქმნიდა ერეკლე მეორის როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკას. ცნობილია, რომ ერეკლე მეორემ თავისი ძალ-ღონე დარღვეულ, დაშლილ სამეფოს აღდგენის საქმეს შეაღია. მან შეურიგებელი ბრძოლა აწარმოვა ქვეყნის გაერთიანების ხელისშემშლელ სათავადოების სისტემის წინააღმდეგ. ერეკლე მეორემ კარგად იცოდა, რომ მებატონეთა მიერ მონურ მდგომარეობაში ჩაყენებული ყმა-გლეხები ვერ გამოდგებოდნენ დასაყრდენად XVIII საუკუნეში მომძლავრებული გარეშე მტრების — ყიზილბაშების, ოსმალების, ლეკებისა და სხვათა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამით იყო გამოწვეული მეფის აქტიურად ჩარევა გამწვავებულ ბატონყმურ ურთიერთობაში. ცნობილია ერეკლე მეორის საგლეხო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც პასუსს აგებდა ის თავადი, რომელიც აიძულებდა გლეხს მშობლიური ქვეყნიდან აყრასა და გაქცევას.

¹ ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, გვ. 151—155.

ერეკლე მეორის საგლებო კანონები მონურ ყოფაში ჩავარდნილ ვლესს „ნახევრად-თავისუფალ ადამიანად“ ხდიდა. ამგვარი პოლიტიკის გამო დიდი ეროვნული გმირი მშრომელი ხალხის თვალში მათ მოსარჩლედ გამოდიოდა¹. ხალხური ლექსები და გადმოცემები დამაჯერებლად, თითქმის დოკუმენტურად, ასახავენ საქართველოს მძიმე მდგომარეობას XVIII საუკუნეში. ეს ნაწარმოებნი უტყუვრად ახასიათებენ მაშინდელ საქართველოს რთულ პოლიტიკურ ვითარებაში გამწვავებულ კლასთა ბრძოლას. ხალხურ ლექსებსა და გადმოცემებში მოცემულია შემადრწუნებელი სურათები შეუვალობის უფლებამოპოვებული ბატონების მიერ ყმა-გლეხთა არაადამიანური ექსპლოატაციისა, მათი ღირსების გაქვლვისა. ხალხურ ნაწარმოებებში გადმოცემულია ერეკლე მეორის ჩარევა ბატონისა და ყმის ურთიერთობაში; მეფის საგლებო პოლიტიკა; მონურ მდგომარეობაში ჩაცვივნილი ყმა-გლეხების პროტესტი; მათი მრისხანე შურისძიება ბატონებზე; შეურაცხყოფილი გლეხების ჩივილი მეფესთან და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ ხალხურ ნაწარმოებთა ციკლები შესანიშნავი გმირი ქალების — მაია წყნეთელის, თამრო ვაშლოვანელისა და თინა წავესელის შესახებ. „ქართლის ცხოვრების“ მიერ უგულვებლყოფილი ამ სასახლო ქართველი ქალების სახელები ლექსებისა და გადმოცემების მიხედვით გააცოცხლეს გასულ საუკუნეში დიმიტრი ჯანაშიელმა² და მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში ალ. გარსევანიშიელმა³. განსაკუთრებით მიმზიდველი და შთამაგონებელია მათი ნათელი სახეები ჩვენს დიად ეპოქაში. სახელოვანი ქართველი ქალების გმირობას მიეძღვნა საბჭოთა მკვლევართა ნაშრომებიც. მათი გმირობის ამბავს შეეხო ლევან ასათიანი⁴. ამავე საკითხზე არის აგრეთვე მსჯელობა ჩვენს ნაშრომშიც⁵.

¹ ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 383—389.

² დ. ჯანაშიელი, ისტორიული სურათები, „ივერია“, 1882, 12, გვ. 76—81.

³ ალ. გარსევანიშვილი, გმირი ქალი მათე კანალად წოდებული, „სამშობლო“, 1915 წ., 102, 103, 104.

⁴ ლ. ასათიანი, ქართველი გმირი ქალები, წერილები, თბილისი, 1942 წ. გვ. 24—27.

⁵ კს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 73—176.

ხალხში გადმოცემად დარჩენილი მიაა წყნეთელის თავგადასავალი გვაცნობს ჩვენი ქვეყნის ძნელბედობას XVIII საუკუნეში: ერთი მხრით, ქართველი ხალხის ბრძოლას აგრესორთა წინააღმდეგ, მეორე მხრით, მშრომელი ხალხის საშინელ ტანჯვას ბატონყმობის მძიმე უღლის ქვეშ. მიაა წყნეთელი — გლეხის ლამაზი ვოგონა ბატონს ენის მოსაკლავ საგნად გაუხდია. შეურაცხყოფილი ქალის მამას, თავმოყვარე ქართველ გლეხს ტყეში თავი დაუხრჩვია. დედა შიმშილით მომკვდარა. მამის ტანისამოსით მორთული, იარაღით შექურავილი 20 წლის მიაა მეფესთან მისულა. მათეს სახელით დაუწყია სამსახური მეფის კარზე. მათე-მიას არაერთხელ უსახელებია თავი გარეშე მტერთან ბრძოლაში. განაკუთრებით თავგამოდებით იცავდა იგი მებატონეთაგან შევიწროებულ ყმა გლეხებს. გადმოცემით მიას ლილოსთან დაუხოცავს ყიზილბაშები და გაუთავისუფლებია ბატონების მიერ გაყიდული თორმეტი ქალ-ვაჟი. განთავისუფლებული ახალგაზრდები წარუდგენია მეფის წინაშე და ღრმად გრძნობიერი სიტყვებით უჩივლია ბატონების ბოროტმოქმედების გამო: „დიდებულო მეფე! ნეტავი როდის შეაშრებათ გლეხებს თვალზე ცრემლები, ნეტავი როდის გადმოხედავს იმათ ღმერთი და დაიხსნის ტანჯვა-თაგან?... შენი ჭირიმი, გლეხობა განადგურდა და გაწყალდა; ბოროტმოქმედთა კაცთაგან აოხრდა სოფლები. ბატონებმა დაჰყიდეს მთელი სოფლის გლეხობა; ვინც გადაჩა, იმათ კიდევ გუთანში, ურემში და კალოში სულს აძრობენ. ერთი დედაკაცი შეუბამთ კალოში და ის უბედური უღელში მომკვდარა, მოვახსენებთ რა ამას, მეფევე, ვთხოვთ, მოვალე ხართ, მოსპოთ ასეთი ავკაცობა და ბოროტმოქმედება“¹. მიას საჩივრის გამო ერეკლე ჰეორეს სასახლეში ბატონები მოუწვევია და შეუჩვენებია ისინი.

მიას თავგადასავალი გვაცნობს მებატონეთა აღმაშფოთებელ ბოროტმოქმედებას ხალხის მოსარჩლე ქალისადმი. ბატონები ტერორით ვერას გახდნენ, მათ ვერაგული ინტრიგებით მოიშორეს მიაა თავიდან. მიაა დაარწმუნეს, თითქოს მეფეს სურდა მისი სიკვდილი. ყაჩაღად გავარდნილ ქალს თრიალეთისაკენ ტყეში შეუფარებია თავი. მის სადგომს ხალხი „მიას საბუღარს“ ეძახდა. ტყეს შეფარებული დევნილი ქალი განაგრძობდა ბრძოლას გარეშე მტრებისა და სოციალური ბოროტების წინააღმდეგ. გადმოცემით მან ერეკლე მეორეც კი იხსნა ქურდულად თავდამსხმელ

¹ „ივერია“, 1882 წ., 12.

მტერთაგან და ამხილა თავისი ვინაობაც. გმირი ქალი დაღუპულა აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ გმირი ქალის თავგადასავლის ეპიზოდებზე საკმაო რაოდენობით არსებობს ლექსები. ეს ლექსები ყოველთვის არ არის მხატვრულად სრულქმნილი, მაგრამ მათ დიდი ისტორიული ღირებულება აქვთ. საქართველოში კლასთა ბრძოლის ისტორიის მკვლევარი ამ ლექსებში იპოვის ბატონყმობის შესასწავლ ძვირფას მასალას. სადა და მარტივი ლექსი „მაიას დაობლება“ გვაცნობს გვიანფეოდალურ საქართველოში მონურ მდგომარეობაში მყოფ ყმა-გლეხთა უნუგემო მდგომარეობას. ამ ლექსში მოცემულია შემზარავი სურათი ყმა-გლეხის გაპარტახებული ოჯახისა:

ადრე მოუკვდა მას დედა
სოფელ მცხეთაში გაზრდილი,
მამამაც თავი მოიკლა,
ვერ აიტანა ქაღილი...
უპატრონოთა გდებული
კამეჩიც მოკვდა ბეზია,
გდია ყვაე-ყორნის საკმელად,
გაუშვერია ფეხია¹.

ლექსში „ერეკლესა და მაიას შეხვედრა“ — აღწერილია მაიას მისვლა მეფის კარზე. იარაღით შექუჩვილი, მამაკაცურად გადაცმული ქალი ასე აცნობს მეფეს თავის ვინაობას:

მათე ვარ, შენი კირიმი!...
მოღდივარ შორის შორადა,
ჯავრი მჭირს ავაცებისა,
ცეცხლი მწვავს ერთი ორადა.
მინდა რომ გეყმო ერთგულად,
წელზე ვატარო ხმალია,
შენის ბრძანებით დავიცვა
ქვრივ-ოხერ, ობოლ-ქალია².

ეს სიტყვები უშუალო განოხატულებაა XVIII საუკუნეში გაძლიერებული კლასთა ბრძოლისა. მასში ისმის ბატონთა მიერ აკლებული მშრომელი ხალხის მრისხანე ხმა. მაიას ყაჩაღად გავარდნაზე შექმნილ ლექსში ხაზგასმულია ბატონთა ზნედაცემულობა. ხალხი ჩივის, რომ მებატონეთა ინტრიგებმა — „უზნეო პირთა. უნაბა“ მეფეს ჩამოაშორა „გლახაკთ მოსარჩლე“ ქალი. ლექსის.

¹ „სამშობლო“, 1915 წ., 102.

² იქვე.

„მაიას თავგადასავლის“ დასაწყისი სტრიქონები გვაცნობს მშობ-
ლიურ კერას, მშობლიურ კუთხეს მოშორებულ ყმა-გლეხთა დიდ
ტრაგედიას:

ქართლიდან გამოვეპარე
ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოვიღე საგძლადა
შიში და ცრემლის ღვარიო;
თრიალეთის ხევ-ღნაოებში
შევიწახვევი თავიო¹.

მაიას სიკვდილზე შექმნილ ლექსებში იგრძნობა მშრომელი
ხალხის დიდი სიყვარული მოსარჩლე გმირი ქალისადმი. მთქმე-
ლები გოდებენ: „მოუკვდათ ბეჩავ გლეხებსა მათი დამცველი
მაია“².

მშრომელი ხალხი ასე მიმართავს გმირი ქალის აჩრდილს:

შენი ჰირიმე მაია,
გლებთა ნუგეშის მცემელო,
მათე ყაჩაღად ცნობილო,
უსამართლობის მგმობელო!³

ეს ლექსები მხოლოდ გოდება კი არ არის მშრომელი ხალ-
ხის მოსარჩლე გმირის სიკვდილზე, არამედ — გაბედული პროტეს-
ტი ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ.

გვიანფეოდალურ საქართველოში გამწვავებულ კლასთა
ბრძოლას, ბატონყმური წყობილების მახინჯ მხარეებს გვიხატავს
აგრეთვე ტრაგიკული თავგადასავალი ერეკლე მეორის თანამე-
დროვე მეორე გმირი ქალის, თამრო ვაშლოვანელისა. გადმოცე-
მით ყმა-გლეხის ქალი, ობოლი თამრო გულქვა ბატონმა ყაჩაღს
მიყიდა. მამაცმა ქალმა ტყვეობიდან თავი დაიხსნა. მან ბევრჯერ
ისახელა თავი გარეშე მტრებთან ბრძოლაში, რისთვისაც მეფის
სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. თამროს ამგვარი წარ-
მატება შურს აღვიძებდა თავად-აზნაურებში. ერთმა ავმა აზნა-
ურმა თამრო მეფესთან დააბეზლა, თითქოს იგი სამშობლოს მო-
ღალატე იყო. თამრომ თავი გაიმართლა. საბოლოოდ იგი შაინც
შურიან და ბოროტ ბატონთა ინტრიგების მსხვერპლი გახდა.
თამრო გამოესარჩლა მეფესთან საჩივლელად მისულ ბატონთაგან

¹ „სამშობლო“, 1915 წ., 102.

² იქვე.

³ იქვე.

შევიწროებულ გლესს. მეფემ დატუქსა ბატონები. ბატონებმა შური იძიეს თამროზე, დაუწყეს დევნა, დაიჭირეს და მტკვარში ჩაახრჩვეს¹.

ბატონყმობის დამახასიათებელი ფაქტებია მოთხრობილი თინა წაგვისელის შესახებ არსებულ გადმოცემაშიც. თინა წაგვისელს ჩუმად მოუკლავს მისი შეურაცხმყოფელი ბატონი. ამის გამო იგი სხვა გოგო-ბიჭებთან ერთად სპარსელებისათვის მიუყიდიან. გაყიდულ ყმებს, თინას მოხერხებით დაუხოციან მტრები და თავი დაუხსნიან. თინა წაგვისელიც მედგრად იბრძოდა საქართველოს გარეშე მტრების წინააღმდეგ².

XVIII საუკუნეში კლასთა ბრძოლის ასახვის თვალსაზრისით საგულისხმოა პაატა თემურიშვილზე შექმნილი ლექსი. როგორც ხალხური ლექსიდან ჩანს, პაატა თემურიშვილი ხელმძღვანელობდა ყმა-გლეხთა აჯანყებას. იგი ებრძოდა თავადებს, რომელნიც ავიწროებდნენ მშრომელ ხალხს და ხელს უშლიდნენ საქართველოს გაერთიანების საქმეს. თავადების ბრძოლა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ და მათი განუკითხავი საქციელი ყმა-გლეხების მიმართ, ხალხს გლეხთა აჯანყების ხელმძღვანელი გმირის პირითვე აქვს გადმოცემული.

ლექსი პაატა თემურიშვილზე ასე მთავრდება:

მუხრან-ბატონის მტრობამა
სამეფო დასცა ძირსაო,
გლეხები შალეზე ცვალეს,
მეფე ცხარ ცრემლით სტრისაო,
შენი მტრებისთვის აუჯანყდით
გლეხები შენის მტრისაო,
უთხარი, ვგენი სთხრიან
ერყელე მეფის ძირსაო³.

თავადთა დიდ თვითნებობას, გაყვლეფილი გლეხების მიერ სამართლის ძიებას ერეკლე მეორესთან და მეფის გამოსარჩლებას რეალისტურად ასახავს ფრაგმენტული ლექსი „ზაალ თუმანიშვილი“. მისი ერთი ვარიანტის ჩამწერის შენიშვნიდან ჩანს, რომ ეს ლექსი გასულ საუკუნეში გავრცელებული ყოფილა კახეთში⁴. ლექ-

¹ „ივერია“, 1882 წ., 12, გვ. 85—89.

² იქვე, გვ. 82—84.

³ ვ-კოტგტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 208.

⁴ ხალხური სიტყვიერება, ექ. თაყაიშვილის რედ., 1, გვ. 112.

ის ერთი ვარიანტი, ჩაწერილი გასული საუკუნის 80-იან წლებში, ასეთია:

შენ, ხალ თუმანიშვილო,
გახრდილო მეფის კარზედა,
მებაღაობა ვინ მოკცა
იმ ხემო-ქართლის ცხვარზედა?
უსამართლობა იხმარე,
ორ-ორს იღებდი რვაზედა.
მოვიდნენ, ბატონს¹ შესჩივლეს
თუმანიშვილის თავზედა.
— უსამართლობა იხმარა,
ორ-ორს იღებდა რვაზედა.
ბატონმა მეზღმეს უბრძანა:
— ხმალი გალესა წამზედა.
დაჯდა, გალესა ფრანკული,
ცერი აუსო ფხაზედა.
— წადით და იქ მოიხმარეთ
თუმანიშვილის თავზედა;
იმისი თავი დაჭკიდეთ
იმავ მეცხვარის კარზედა.

შეიძლება ეს სწორედ ის თუმანიშვილი იყოს, რომელსაც 1773 წელს აუჯანყდნენ შვეიცროებული ყმები². ბატონყმობის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ამავე საუკუნეში შექმნილი გადმოცემა ქაიხოსრო ვაჩნაძის შესახებ³, რომელსაც მეტსახელად ტურას ეძახდნენ.

გარეშე მტრებთან ბრძოლაში განთქმული ტურა—ქაიხოსრო ვაჩნაძის მეუღლეს უთაკილნია ეკლესიაში გლეხი მარტაშვილის რძლის უკან დგომა. ქალბატონს ამაყად მიუმართავს გლეხის ქალისთვის: „— ჩამომეცალე, შენი ადგილი იცოდე, ვერა მხედავ, ვინ გიდგივარ უკანაო?“

მეურაცხყოფილ გლეხის ქალს უპასუხნია: „— ჩამოგეცალო, რა შენი ყმის ცოლი ვარო!“ ეს ამბავი ვაჩნაძის ცოლს ქმრისთვის უთქვამს. ქაიხოსრო ვაჩნაძე შეპირებია ცოლს, რომ მართლაც ყმებად გაიხდიდა მარტაშვილებს. ქაიხოსროს გამოუჩენია

¹ ბატონს—მეფე ერეკლესაო, ამიხსნა მთქმელმა. შენიშვნა ლექსის ჩამწერს ვეჟუთინის—ქ. ს.

² С. Какандзе, Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в XVIII в. Сборник „История классово-вой борьбы в Закавказье“, Тифлис, 1930 г. кн. I.

„დროება“, 1885 წ., № 35.

უდიდესი სულმდაბლობა, განდგომია მეფესა და სამშობლოს და მტრის ბანაკში გადასულა. შესარიგებლად მეფისათვის მოუთხოვია წარტაშვილები ყმებად. გულზეიად თავადს ამგვარად დაუკმაყოფილებია ჭირვეული ცოლის პატივმოყვარეობა.

საქართველოში ბატონყმობის საშინელ მხარეებს და გამწვავებულ კლასთა ბრძოლას ასახავს მრავალვარიანტად გავრცელებული საფერხულო სიმღერა და გადმოცემა ზეიანთა ლობჯანიძისა და გულითად გავაშელაშვილის შესახებ¹. ამ ნაწარმოებებში გადმოცემულია რაჭის სოფელ ლების ყმა გლეხთა შურისძიება ზნედაცემულ მებატონე არეშიძეებზე. ეს ნაწარმოებები გვაცნობს მშრომელი ხალხის აღშფოთებას ბატონთა უსახლერო თვითნებობის გამო. განსაკუთრებული ზიზლით აღნიშნავს ხალხი ბატონთა პირველი ღამის უფლებას ყმების ცოლებზე. ხალხურ ნაწარმოებთა მიხედვით ბატონყმობის ეს სამარცხეინო მხარე გლეხთა აჯანყების საბაზია. სახალხოდ შესასრულებელი სარიტუალო-საფერხულო სიმღერა წყევლით იწყება. დასაწყისშივეა ხაზგასმული ხალხის მიერ ბატონთა წყევლა-შერისხვის მიზეზი—განუკითხავი საქციელი ყმების მიმართ:

პირველ საყმონი ვყოფილვართ
ჩვენ ორის ბატონისათ,
ორთა ძმთ არეშიძეთა
ნუ სწყალობს პირი ღეთისათ,
აღარ ზოგავდნენ ქერივ-ობოლთ.
ცოლებს ართმევდნენ ყმებსათ,
არ შინებიათ ცოდვისა,
არ კითხულობდნენ ღმერთსათ.

ამას მოსდევს აჯანყებულთა მეთაურის, სახალხო გმირის ზეიანთა ლობჯანიძის მხურვალე დალოცვა მშრომელი ხალხის მიერ:

ღმერთმა ჟღახინოს ზეიანდას,
ზეიანდას ლობჯანიძესო,
არ დაეღვევა შენდობა,
სანამ მზე მიწას უმზერსო.

საკმაოდ ვრცელ სიმღერაში გადმოცემულია აჯანყების მეთაურის სიტყვა ყმა-გლეხთა თვითშეგნების გაღვიძების მიზნით,

¹ „ივერია“, 1890, 251; ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთის რაჭა, თბ. 1930, გვ. 22—24; საუნჯე, ტ. II, 387—396; დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, თბ., 1. 1948 წ., გვ. 520—524; გადმოცემა ჩაწერილი სტუდენტ ვ. კველიშვილის მიერ ონისიმე ლობჯანიძისაგან 1951 წ. გადმოცემა პროფ. მის. ჩიქოვანმა—ქ. ს.

შზადება აჯანყებისათვის, არეშიძეთა ჰოურავის მოყიდვა-გადმობი-
რება აჯანყებულთა მიერ, ბატონების მოტყუებით გაყვანა სანა-
დიროდ, მათი დახოცვა, არეშიძის ერთი ძმის ცურვა შორს მან-
ძილზე და მისი სიკვდილი სნეული გლეხის გულითად გავაშელა-
შვილის იარაღით.

აღსანიშნავია, რომ გადმოცემის ახალჩაწერილი ვარიანტის
მთქმელი, ზვიადა ლობჯანიძის შთამომავალი, ს. ლების მცხოვრები
ონისიმე ლობჯანიძე აჯანყებული ლეგლების შურისძიებას არეში-
ძეებზე XVIII საუკუნეს უკავშირებს. მისი გადმოცემა უფრო დე-
ტალურად გვაცნობს აჯანყების ამბავს, ვიდრე საფერხულო სიმ-
ღერა. მთქმელს აღნიშნული აქვს არეშიძეთა მიერ ს. ლებიდან
წაყვანილი ზოგი ყმის სახელი და გვარები (გოგრიჭი, ბოხაშვილი,
გაგნიძე). მას მითითებული აქვს სანადირო ადგილი — ზორთაშა,
სადაც აჯანყებულებმა გაიტყუეს არეშიძეები. აღწერილია გული-
თად გავაშელაშვილის საცხოვრებელი ადგილი — ს. ლებში. აღსა-
ნიშნავია ისიც, რომ მთქმელი ყნა-გლეხთა შურისძიების ამბავს
უკავშირებს არეშიძეების გვარის რაჭიდან იმერეთში გადასვლას.
მისი გადმოცემით: „ამ ძმებს (არეშიძეებს — ქ. ს.) ლებში ჰყავდათ
ქალები. ამათგან მხოლოდ ერთს ჰყავდა ვაჟი. ამ ამბის (არეში-
ძეების დახოცვის — ქ. ს.) გაგების შემდეგ ქალები გაიქცნენ იმე-
რეთში, თან გაიტაცეს ეს პატარა ბიჭი. ამ ბავშვზე იმერეთში
არიან მოშენებული ერთ-ერთ სოფელში არეშიძეები, ხოლო ლებ-
ში კი აღარ არიან“. ჩვენ, რა თქმა უნდა, უტყუარ ცნობად არ
მიგვაჩნია რაჰველი მთქმელის მიერ ხალხურ ნაწარმოებში გად-
მოცემული ამბის დათარიღება. მართალია, ამგვარი ამბები დამა-
ხასიათებელი იყო XVIII საუკუნისათვის, მაგრამ ასევე დამახასი-
ათებელი იყო იგი მომდევნო საუკუნისთვისაც. არ არის გამო-
რიცხული ისიც, რომ საფერხულო სიმღერასა და გადმოცემაში
ასახული იყოს XIX საუკუნეში გამძვინვარებული გლეხთა აჯანყ-
ბანი—კერძოდ 1819 წელს გლეხთა აჯანყება რაჭაში¹.

საქართველოში ბატონყმობის ისტორიის ერთ-ერთ საფეხურს
წარმოადგენს XIX საუკუნის პირველი ნახევარი. ირანისა და თურ-
ქეთის აგრესიით შევიწროებული საქართველო XIX საუკუნის და-
საწყისში რუსეთის მფარველობაში შევიდა. რუსეთთან შეერთებამ
ქართველი ხალხი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა. ამ დიდმა

¹ Акты Кавказской археографической комиссии, т. VI, ч. 1, д. 826
გვ. 594.

ისტორიულმა მოვლენამ თავისებურად წარმართა აგრეთვე საქართველოს ეკონომიური და კულტურული ვითარება. კაპიტალისტური განვითარების გზაზე მდგარ რუსეთის იმპერიაში შესულ საქართველოში დაიწყო ეკონომიური განვითარება. ამ ისტორიულმა მოვლენამ ხელი შეუწყო აგრეთვე რუსეთიდან საქართველოში პროგრესული იდეების შემოტანას. მიუხედავად ყოველივე ამისა, XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში ბატონყმობამ მწვავე ხასიათი მიიღო.

თვითმპყრობელობის სამსახურში შესულმა ქართველმა თავადაზნაურობამ კიდევ უფრო გააძლიერა ყმა-გლეხობის ექსპლოატაცია, ახლა ყმა-გლეხთა ნაამგარს, მათ ნაოფლარს უნდა უზრუნველყო არა მხოლოდ მუქთახორა ბატონები, არამედ — ცარიზმის უსამართლო მოხელეებიც. მრავალგვარად შევიწროებულ გლეხებში თანდათან იღვიძებდა კლასობრივი თვითშეგნება. თავიანთ აღშფოთებას ისინი სტიქიური გამოსვლებითა თუ ორგანიზებული აჯანყებით გამოხატავდნენ. XIX საუკუნის პირველი ნახევარი საქართველოში გლეხთა მრავალი აჯანყებით ხასიათდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია: 1804 წელს აჯანყება მთიულეთში; 1809 წელს აჯანყება ქსნის ხეობაში; ბუნტი კახეთში 1812 წელს, რომელიც ოთხ თვეს გაგრძელდა; 1841 წლის გურიის აჯანყება; აჯანყება სამეგრელოში 1857 წელს და სხვ.¹ საინტერესოა გლეხთა ხშირი აჯანყების მიზეზის ასსნა თვით ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლების — ბარიათინსკის, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის და სხვათა მიერ. მათი ახსნით გლეხთა აჯანყების მიზეზით... „*позвращение и невежество высших сословий, угнетение поселян, доводящих их до крайней нищеты, забвение всяких законных правл., злоупотребления властей заботящихся исключительно о своем обогащении на счет бедных жителей, безнаказанность злодеяний, отсутствие всякой заботливости об общественных пуждах*“². ცხადია, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამტარებლები გლეხთა აჯანყების მიზეზთა ამგვარი ახსნით ბატონყმობას ნაციონალური ჩაგვრის საფარად იყენებდნენ. ყოველ შემთხვევაში ამგვარ ახსნაშიც დახასიათებულია XIX საუკუნის პირველ ნახევარში ყმა-გლეხთა სავალალო ყოფა.

¹ С. Л. Авлнанин, Крестьянский вопрос в Закавказье, т. 1. Одесса, 1912, გვ. 159—176; Г. В. Хачатуридзе. К истории Грузии первой половины XIX века, Тбилиси, 1950, გვ. 85—87, 109—117, 431—441 და სხვ.

² Акты, т. XII, 276—277, 307—308 და სხვ.

ამ საუკუნეში ბატონყმობის დამახასიათებელ შემზარავ ეპიზოდებს გვაცნობს მრავალი ხალხური ნაწარმოები: ამილახვრების, მუხრან-ბატონის, ამირაჯიბის, მიქელაძის და სხვათა მიერ ყმა-გლებთა არაადამიანურ ჩაგვრაზე. ლექსი „ამილახვარი ჩაძალდა“¹ გაბედული პროტესტია ბატონყმობის სამარცხვინო ინსტიტუტის წინააღმდეგ. ამილახვარს გაუყიდა გლების ზეზვას ოჯახი და სახლ-კარი.

მოლექსე ასე იწყებს ამ შემადრწუნებელ ამბავს:

კვირა დილაა, ზეზვის
ოჯახში ისმის გოდება.
ძალღია ამილახვარი,
კაცი არ შეეცოდება.

შევიწროებულ გლებთა საჩივარი ისმის ამილახვრისადმი მობართულ ზეზვას სიტყვებში:

რასაც ვმუშაობ, შენ მიგაქვს,
ვცოცხლობ ოზვრით და ვაითა;
სახლსაც მიყიდი, ცოლშვილით
ვისთან წავიდე, საითა?

საკუთარი ღირსებისა და უფლების დასაცავად ამხედრებულ გლების დასამახსოვრებელ სახეს იძლევა მარტივი სტრიქონები:

გაფითრებული ზეზვაი
კარებში ჩადგა ჯოხითა,
დაბერებული უღლეოთ,
ჩამოგლეჯილი ჩოხითა.

მოლექსე პირველი პირით ასე გადმოგვცემს ამილახვრის საშინელ გულქვაობასა და გულცივობას:

სალი კლდის ლოდის გული მაქვს,
ცივი მთის წყაროთ ნაბანი.

ზეზვას ოჯახი განადგურდა, მაგრამ ბატონის ქვა გული გლების ხანჯლით გაიგმირა.

განუკითხავ მებატონეზე ყმა-გლების შურისძიებას ასახავს აგრეთვე ლექსი „ბეჟან მიქელაძე და მისი ყმა“. ლექსს დართული აქვს საგულისხმო ცნობა: „თავად ბეჟან ბერისძეს მიქელაძეს, დავით მაქავარიანის გერს, ყმამ თიხის ლინგით (მწვეტით) თავი

¹ „საუნჯე“, 1, გვ. 324—326.

² ხალხური სიტყვიერება, 1. ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 13.

გადაუჩეხა. სიკვდილის წინ მიქელაძე მოთქვამს. ლექსი ეპიტაფიის ხასიათისაა. თავადი მოთქვამს, რომ უდროოდ დატოვა ოჯახი, დედა, ცოლი და სხვები. ლექსი არისტოკრატიულ წრეშია შექმნილი. ამის დამადასტურებელია თავადის დახასიათება:

ყოლი კაცის თავდაბალი,
მორჩილი და ფეხთა მტვერი.

ყმა-გლეხის სულისკვეთების დამახასიათებელი არ არის სტრიქონები, რომლითაც ყმის შურისძიება ბატონის პირით ასეა ახსნილი:

ჩემმა კაცმა მიღალატა,
არ იკადრა ჩემი ყმობა,
არც ჩემი სამსახურია,
შევიქენი მე საწყალი
უდროვით დამარხულია.

ბეგარა-გადასახადებით შევიწროებულ მშრომელთა შურისძიების ამსახველია საგმირო ნაწარმოებთა ციკლი თორღვას შესახებ. მთქმელთა ცნობებით, თორღვა ხევსური ქალისაგან გაჩენილი ბაგრატიონთა შთამომავალი იყო. ზოგი მთქმელი მას კონსტანტინე ბაგრატიონის შვილად თვლის¹, ზოგი კი ალექსანდრე ბატონი-შვილის შვილად². თუ ამ ცნობებში არის კვშმარიტების მარცვალი მაინც, მაშინ თორღვას შესახებ შექმნილ ხალხურ ნაწარმოებთა რეალური საფუძველი XIX საუკუნის დასაწყისში უნდა ვეძიოთ. ყოველ შემთხვევაში, თორღვას ციკლი კლასთა ბრძოლის საფუძველზეა შექმნილი. თორღვას სოციალური წარმოშობა ლეგენდარულად არის გადმოცემული:

დიდებულობა დაუთქვეს,
ბეჭებს უნახეს ჯვარიო,
მარჯვნივ მხე წერებულიყვა,
მარცხნისკე მთვარის ნალიო³.

თორღვას ბეგარით მეტად შეუწუხებია ფშავლები. შურისძიების მიზნით ფშაველ ჩოთას თუ ჩონთას მოუქლავს იგი მას შემდეგ, როცა გაფრენია მტერთაგან დამცველი ძმობილ-ვეშაპის ნაჩუქარი ჯაჭვის პერანგი⁴. მახვილი სოციალური მოტივის შემ-

¹ ა. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 347 და სხვ.

² იქვე, გვ. 352 და სხვ.

³ იქვე, გვ. 16.

⁴ იქვე, გვ. 16 და 348—355.

ცველია ხალხური ლექსი, რომელშიც ქება-დიდებათ იხსენიება ფშაველი მშრომელების ბეგარის დამდების, მათი კლასობრივმტრის თორღვას მკვლელი:

დგდა ვაცხონე მჭედლისი!
— ზრო ლამაზ გაეკლიბაო;
მემრე მაგისი მსრუველისი!
— ლამაზა მეეზინაო;
ჯაჭვი და სკლატი შვიდ-რიგად
შიგი-შიგ დაევერიტაო;
საახნაურო თორღვაი
ცივილივით დაეპერიტაო¹.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ 30-იან წლებში განწვევებული ურთიერთობა ბატონსა და ყმას შორის, ყმა-გლეხების აღშფოთება რეალისტურად არის ასახული საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებულ ხალხურ ნაწარმოებებში სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის შესახებ. მრავალ ვარიანტად არის ცნობილი ქართველ მესტვირეთა მიერ შექმნილი, მათი რეპერტუარის დამამშვენებელი, უაღრესად დინამიური პოემა „არსენას ლექსი“. „არსენას ლექსში“ გადმოცემულია სახალხო გმირის შეუპოვარი ბრძოლა მრავალგვარი უსამართლობის — ბატონყმობის, ნაციონალური ჩაგვრის, ჩარჩვაპრობის წინააღმდეგ. ოძელაშვილის ღრმა ჰუმანიზმი, მისი ამაგი დაბეჩავებული გლეხებისადმი, ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ პროფესიულ სახალხო მომღერლებს მარტივად, მაგრამ უშუალოდ და დამაჯერებლად აქვთ გადმოცემული. დამახასიათებელია ამ მხრივ პოემის სტრიქონები:

მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს,
ღმერთი როგორ წაახდენსა!
სადაც თათარს დაინაზავს,
„ბურდა ვალას“ აძახებსა,
სადაც ტიტველასა ნახავს,
თავის პერანგს ჩააცმევსა.

მესტვირულ პოემაში მოცემულია სოციალური ბოროტებისაგან დანახინჯებულ პირთა სახეებიც. ასეთია მაგალითად ფარსადან ბოლბისხეველი. სახალხო გმირის გამცემი პოემაში წყევლა-კრულვით არის მოხსენებული:

გაუწყრა მაღალი ღმერთი
ფარსადან ბოლბისხეველსა.

¹ ა. შანიძე, გვ. 16 და 348—355.

ამ გადაგვარებული პირის ლალატი ასეა ახსნილი ლექსში:

ფარსადანს ასე ეგონა,
ჩინს მომცემენ, ტემლაყებსა.

მესტვირული პოემის ყოველი სტრიქონი გამოხატავს ხალხის დიდ სიყვარულს არსენა ოძელაშვილისადმი. ვრცელი პოემის, მისი ფრაგმენტებისა და პროზული ვარიანტების გარდა, ცნობილია არსენა ოძელაშვილის შესახებ შექმნილი, მახვილ სოციალურ მოტივზე აგებული ლექსები. მსგავსად მესტვირული „არსენას ლექსისა“, ამ ლექსებშიც ზოგჯერ კლასთა ბრძოლის საბაზად რომანტიკული ამბავია აღებული¹. ცნობილია ისეთი ლექსებიც, რომლებშიც მწაგვრელი კლასების მიმართ გლეხთა აღშფოთება რომანტიკული ამბის გარეშეა გამოხატული. ასეთია, მაგალითად. ჯაფახეთში ჩაწერილი ლექსი „ყაჩალი არსენა“.

არსენს აქებენ ყაჩალსა,
დიახ, მართალი არიო,
სამართალს ძებნა დაუწყო,
გამომტვრია კარიო.
გლეხები გაახალისა,
მოსწმინდა ნაღველ-მშარიო.
ბატონები რისთვის გვინდა,
გამოუხუროთ კარიო.
სიკვდილის ღირსნი არიან,
ამოსწყდეს მაგათ გვარიო,
სულ გადავყაროთ ხრამებში,
როცა აღელდეს მტკვარიო².

არსენა ოძელაშვილის სახელი ვაეკაცობის სიმბოლოდ იქცა: იგი მხატვრულ სახედაც არის გამოყენებული საგმირო-სახოტბო პოეზიაში:

შენი გამჩენის ჰირიმე,
რომ გილილინებს ყელია,
ბეჭები არსენას გიგავს,
შენ რას დაგაკლებს მტერია³.

არსენა ოძელაშვილის გმირობით არის შთაგონებული ქართველ კლასიკოსთა — ილია ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ალ. ყაზბეგის და სხვათა შემოქმედება. აღსანიშნავია, რომ სახალხო

¹ „საუნჯე“, ტ. 1, გვ. 322—323; ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 109.

² ფოლკ. არქ. № 144.

³ ხალხური სიტყვიერება, 1, გვ. თაყაიშვილის რედ., გვ. 323.

შთქმელები ზოგჯერ აიგივებენ სახალხო გმირისა და ილია ჭავჭავაძის პოემის გმირების—კაკოსა და ზაქროს სახეებს.

არსენა ოძელაშვილის გმირობა და მასზე შექმნილი ხალხური ნაწარმოებები არის აგრეთვე წყარო საბჭოთა პოეტებისა და რეჟისორების შემოქმედებისა.

* * *

XIX საუკუნის 40 — 50-იან წლებში ფეოდალური წყობილების რღვევამ და კაპიტალიზმის განვითარებამ კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა ბატონსა და ყმას შორის. ეკონომიურად შევიწროებულმა ფეოდალებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ყმა-გლეხების ექსპლოატაცია. გლეხობას სულს უზუთავდა უამრავი გადასახადი, რაც აძლიერებდა მათ მღელვარებას. რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ქმნიდა საფუძველს გლეხთა მოძრაობისა.

რეალისტურად არის ასახული ხალხურ შემოქმედებაში გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს. გადასახადებით აღელვებულ გურულ გლეხებს მემამულე ფეოდალები ოსმალეთის ხონთქრის გულის მოსაგებად რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. გურიაში ბოლო დრომდე გავრცელებული ხალხური ნაწარმოებები აჯანყების მონაწილე პირებზე — ამბაკო შალიკაშვილზე, ათარმიზა თოიძეზე, ნაკაშიძეზე, სიმონ ჭყონიაზე, ხასანბეგ თავდგირიძეზე, დადიანზე, ბრუსილოვზე და სხვ. გურიის გლეხთა აჯანყების ამბები დეტალურად არის გადმოცემული გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩაწერილ ვრცელ ლექსში „ბუნტი გურიაში“. ლექსის შესავალი იძლევა გლეხთა ამ დიდი მოძრაობის სურათს:

გურული ხალხი აყრილა,
ყველა — მრუდი და მართალი,
აულიათ იარაღი,
შიშვლადა აქვთ ხელში ხმალი.
ვისაც არ აქვს იარაღი,
აულია თოხის ტარი,
ერთმანეთს ეუბნებიან:
„ამოვიღოთ გულში ჯავრი“.

ლექსში დახასიათებულია მიზეზი აჯანყებისა. მოლექსე საპართლიანად კიცხავს და წყევლის მემამულეებს:

მისი ოჯახი დაიქცა,
ვინც რომ გურია აშალა.

ცნობილია გლეხთა ამ მოძრაობაზე საინტერესო გადმოცემები, ჩაწერილი აჯანყების უშუალო მონაწილეთა თქმით¹.

1841 წლის გლეხთა მოძრაობის შესახებ არსებულ ხალხურ ნაწარმოებთა საფუძველზე შექმნა ეგნ. ნინოშვილმა თავისი ისტორიული რომანი „ჯანყი გურიაში“². გურიის გლეხთა აჯანყებაზე შექმნილ ხალხურ ნაწარმოებთა ისტორიული ღირებულება სათანადოდ შეათასა განსვენებულმა პროფესორმა სიმონ ხუნდაძემ: „...თუ ოფიციალური დოკუმენტები თვითმპყრობელობისა და ადგილობრივი მთავრობის თვალსაზრისით აშუქებდნენ საქმის ვითარებას, უშუალოდ ხალხში დარჩენილი, გადმოცემით შენახული ცნობები, მოძრაობაში მონაწილეთა და დამსწრეთა ნაამბობი უბრალოდ, მაგრამ სინამდვილით აშუქებდნენ მას, რამაც გურიის ხალხის ეს გიგანტური ბრძოლა გამოიწვია და რისთვისაც ეს ენერგიული ხალხი იბრძოდა“³.

ამგვარივე რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით იყო გამოწვეული მეტად სერიოზული აჯანყება სამეგრელოში 1857 წელს. აჯანყებულ გლეხებს სათავეში ედგნენ უტუ მიქავა და მართალი თოდუა⁴. სამეგრელოში გამწვავებული ბატონყმური ურთიერთობის ასახვის თვალსაზრისით საინტერესოა მეგრული საცეკვაო სიმღერები: „ჯანსულო“, „ძაბრალე“ და ხალხური დრამა „ჯამუ“. ყველა ეს ხალხური ნაწარმოები გეაცნობს უსაზღვრო ექსპლოატაციით გამოწვეულ მშრომელი ხალხის აღშფოთებას⁵.

* * *

XIX საუკუნის 60-იანი წლები საქართველოში საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ახალი საფეხური იყო. განვითარებულმა კაპიტალიზმმა შექმნა საფუძველი ბატონყმობის გაუქმებისათვის. ყირიმის ომის შედეგები იმის საბაზი გახდა, რომ რუსეთის მთავრობის წინაშე დასმულიყო საკითხი ბატონყმობის გაუქმებისა. ვ. ი. ლენინი წერს: „ყირიმის ომმა გამოაშკარავა

¹ იხ. სიმონ ხუნდაძის შენიშვნები, ეგნ. ნინოშვილის თხზულებათა სრული კრებულის 1 ტომისა, გვ. 288, 290—291.

² იქვე, გვ. 288.

³ იქვე.

⁴ С. Т. Аваляни, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, გვ. 166—174.

⁵ დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური საწყისები, გვ. 527—535.

ბატონყმური რუსეთის სიღამპლე და უძლეურება. გლეხთა „ამბოხე-ბებმა“, რომლებიც ყოველ ათწლეულობით ძლიერდებოდა განთავისუფლების წინ, აიძულეს პირველი მემამულე, ალექსანდრე II, ელიარებინა, რომ უკეთესია გავათავისუფლოთ ზევიდან, ვიდრე ქვევიდან დაგვამხოზდნენო“¹. რუსეთში ბატონყმობა 1861 წელს გაუქმდა, საქართველოში — 1864 წელს.

ქართულ ხალხურ პოეზიაში ცნობილია „საგლეხო რეფორმის“ ამსახველ ნაწარმოებთა მთელი ციკლი. ეს ნაწარმოებნი ორ ჯგუფად იყოფა. ერთი ჯგუფი გამოხატავს „საგლეხო რეფორმით“ გამოწვეულ სიხარულს, მშრომელთა დიდ იმედს სავალალო ყოფის გაუმჯობესებაზე. ნაწარმოებთა მეორე ჯგუფი გვაცნობს ზევიდან განთავისუფლებულ გლეხთა იმედის გაცრუებას. „საგლეხო რეფორმის“ იმედით ფრთაშესხმულმა მშრომელმა ხალხმა შექმნა მრავალი ლექსი იმის შესახებ, რომ ბოლო მოელო თავად-აზნაურთა უქმ ცხოვრებას.

შეიქმნა სატირული და იუმორისტული ლექსები თავად-აზნაურთა ქედმაღლობაზე, კუდაბზიკობასა და უქნარობაზე. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებულია შაირი:

აქამდის აზნაურები
უწრფუნებდნენ ქორებსა,
ვხლა ისე დაღარიბდნენ,
უკან დასდევნ ლორებსა;²
და მრ. სხვ.

თავად-აზნაურთა ვალატაქების ამსახველია ანდაზა:

აზნაური მკადს არა სკამს,
მოშივდება, კირსაც მომკამს.

ნაბატონართა შესახებ სატირული ლექსი მესტვირეთა რეპერტუარშიც შევიდა. ცნობილია სახოტბო-სადღეგრძელოს ჟანრით შექმნილი ლექსი, რომლის მიხედვითაც ნაყმევი გლეხი ნიშნის მოგებით მიმართავს ნაბატონარს:

...მოახლეები დათხოვდნენ,
მკადს აცხობს ქალბატონია;
იკადრე წისქვილში წასვლა,
ზურგს აიკიდე ტომრები.
ეს ტყე ხომ თქვენს ხელში არის,
დახერხეთ კარგი მორები³...

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. XV, გვ. 177.

² ხალხური სიტყვიერება, 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 261.

³ იქვე.

საუკუნეთა მანძილზე სოციალური ჩაგვრისაგან დაბეჩავებულ ზოგ გლეხს ბატონყმობის გაუქმება მეფის წყალობა ეგონა. ეს გარემოებაც ასახულია ზეპირსიტყვიერებაში. დამახასიათებელია ამ მხრივ რამდენიმე ვარიანტად ცნობილი „ბატონყმობის ლექსი“¹. ლექსის დასაწყისშივე ბატონყმობის გაუქმებით იმედმოცემული გლეხი აღიღებს ხელმწიფეს:

ბატონყმობა გაიყარა,
ბედი ჩვენი რად არ ღირსა.
ბატონი აღარ გვაწუხებს,
ბრძანებაა შეუფისა.
სადღეგრძელოს უნდა ვსვამდეთ
იმპერატორ ხელმწიფისა.
ბატონ-ყმანი განაშორა,
ერთად აღარ შეათვისა².

ნოლექსეს ვრცლად აქვს დახასიათებული ბატონყმური ურთიერთობა — თავად-აზნაურთა უქნარობა, უსამართლობა და ყმა-გლეხების მიძიმე ყოფა. ლექსის დასასრულს მადლობით არის მოხსენებული მეფე, როგორც რეფორმის გამტარებელი.

მშრომელთა იმედი არ გამართლდა. ამ რეფორმით მეფე თავად-აზნაურთა ინტერესებს იცავდა. მიწა თავად-აზნაურების საკუთრებაში დარჩა. რეფორმა ოდნაეადაც არ ამსუბუქებდა გლეხთა მდგომარეობას. უმიწოდ განთავისუფლებული გლეხები ისევ ყმების მდგომარეობაში დარჩნენ. ვ. ი. ლენინმა შესანიშნავად დაახასიათა რეფორმის შედეგები: „გლეხებს „გათავისუფლებდნენ“ რუსეთში თვით მემამულეები, მემამულეთა მთავრობა, თვითმპყრობელური მეფის მოხელეები და ამ „გათავისუფლებლებმა“ ისე წაიყვანეს საქმე, რომ გლეხებმა მიიღეს „გათავისუფლება“ მათხოვრის მდგომარეობაში. მემამულეთა მონობიდან გამოსულნი, ისინი ისევ ჩავარდნენ ამავე მემამულეთა და მათი დამკავების ბრკეყალებში... არც ერთ ქვეყანაში გლეხობას „განთავისუფლების“ შემდეგ არ განუცდია ისეთი განადგურება, ისეთი სილატაკე, ისეთი დამკირება და აბუჩად აგდება, როგორც რუსეთში“³. ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოშიც. როგორც

¹ ფოლკლ. არქ. №16 4665, 5087 და სხვ.

² იქვე, № 4665.

³ ვ. ი. ლენინი, ტ. XV, გვ. 177.

აღენიშნეთ, „საგლეხო რეფორმაზე“ შექმნილ ქართულ ხალხურ ნაწარმოებთა ერთ ჯგუფში აისახა ხალხის იმედის გაცრუება. ანგვარი განწყობილების გამომხატველია სასიმღერო ლექსი:

ბატონყმობა გადავარდა,
ასე როდი მეგონა,
თუ ხელმწიფე ტყუილს იტყვის,
ასე როდი მეგონა.
მეგონა, მეგონა,
ასე როდი მეგონა,
თუ ხელმწიფე ტყუილს იტყვის,
ასე როდი მეგონა¹.

მეფის ვერაგული პოლიტიკა, გლეხთა განთავისუფლების საქმის თავად-აზნაურთა ხელში გადასვლა, „თავისუფლების“ მიღება მათხოვრის მდგომარეობაში უტყუვრად არის ასახული თედო რაჭიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ლექსში:

თავადმა და აზნაურმა
თვითონ დაიწყეს პლანები,
ხელმწიფემ ქალაქი მისცა,
განზედ გაუბა ლარები.
ქალაქში რკინა უყიდა,
გამოუგზავნა ბარები.
— შენი კირიმე, ხელმწიფევე,
არა გვყავს ბეგრის ხარები!
როცა ქალაქი მოვიდა,
მაშინ დაგვიდგა თვალები.
სახლში ცეცხლს ველარ ავანთებთ,
გამოგვებურა კარები.
ჩვენ ცოლებს ვერ შევინახავთ,
ტყუილად ვყვევართ კმარები.
უფალო, შენ შეგვეწიფე,
ღმერთო, შენ დაგვეხმარები².

ბატონყმობის ასახვის თვალსაზრისით საინტერესოა ხალხური შემოქმედების ისეთი ნიმუშებიც, რომელთაც საისტორიო ხასიათი არ აქვთ. აღსანიშნავია საწესო „იავნანა“, რომელიც ასე იწყება:

იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო,
აქ ბატონები მობრძანდნენ, ვარდო ნანინაო.

¹ ხალხ. სიტყ., 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 113.

² იქვე, გვ. 262.

ეს სიმღერა სახადით (ყვავილი, წითელა, ხველა) დაავადებულთან სრულდებოდა. ხალხის რწმენით, მას სამკურნალო თვისება ჰქონდა. სახადი სენი წარმოდგენილი იყო ბატონების სახით. ავადმყოფისათვის რომ არაფერი ევნოთ საშიშ ბატონებს, მათი გულის მოსაგებად—საბოდიშოდ სრულდებოდა მთელი რიტუალი. ამ რიტუალის ელემენტი იყო „იანანა“. საშინელი სენის—ბატონების სახით წარმოდგენის საფუძველი სოციალური ბოროტება, ერთი კლასისაგან შშრომელი ხალხის ჩაგვრა იყო. რა თქმა უნდა, სახადით დაავადებულთან შესასრულებელი რიტუალი წინ უსწრებდა ფეოდალიზმის ხანას, სარიტუალო სიმღერაში ბატონების ხსენება კი ფეოდალიზმის ხანას უკავშირდება. ბატონები ამ შემთხვევაში შეენაცვლა ღვთაებას.

ბატონების მიერ ყმებისაგან მორჩილებისა და ერთგულების მოთხოვნა ისტორიის გრძელ მანძილზე ისე დამკვიდრდა ხალხის წარმოდგენაში, რომ პოეტურ სახედაც კი არის გამოყენებული ძველ სატრფიალო ლირიკაში. ამის ნიმუშია მრავალვარიანტად ცნობილი ხალხური ლექსი:

პატარა ხარ, აგეთი ხარ,
გაიზრდები, რა იქნები?
წახვალ, ცაში გაფრინდები,
შევარდენი შეიქნები,
შენ ბატონი მწყალობელი,
მე ერთგული ყმა ვიქნები!¹

სატრფიალო ლირიკაში ნატვრის სახით გამოყენებულია აგრეთვე ფეოდალიზმის დამახასიათებელი სამარცხვინო მოვლენა — ყმებითა და ტყვეებით ვაჭრობა:

მთას ვიყავ, ცივი წყარო ვსვი,
ბარად ჩამოველ, — მაჭარი,
ნეტავი, გოგო, გაჯიდონ,
მე ვიყო შენი ვაჭარი!²

რამდენიმე ვარიანტად ცნობილ ხალხურ ლექსში ხოტბისათვის გამოყენებულია წოდებათა (ბატონისა და ყმის) სხვადასხვაობა:

მალა მთაში ხარ გაზრდილი,
წვერი გიხდება ხმლისაო,

¹ ხალ. სიტყვ. 1, ვკ. თაყაიშვილის რედ., გვ. 275.

² იქვე, გვ. 289.

სულ ყველას საყვარელი ზარ
ბატონისა და ყმისაო!¹

პოეტურ სახედ არის გამოყენებული საყოფიერო ლირიკაში
ბატონთა უქნარობა:

ეს ჩვენებური ქალები
ქარივით ჩამოჰქრიანო,
დაგვისხდებიან ბატონად,
სახლსაც არ დაგვიგვიანო,
თითო ყმაწვილს გაგვიჩვენენ,
ბუზღუნით გამოზრდიანო².

ბატონყმობის ამსახველ ხალხურ ნაწარმოებთა პოეტური თა-
ვისებურებანი მათი შინაარსით, იდეური მხარით არის განსაზღვ-
რული. ეს ნაწარმოებები, როგორც საერთოდ საისტორიო ნა-
წარმოებები, ჟანრობრივად მრავალფეროვანია. დიდი რაოდენო-
ბით არის წარმოდგენილი ლექსები, როგორც ლირიკული, ისე —
ეპიკური. პროზაული ჟანრის ნაწარმოებებიდან ყველაზე მეტი
რაოდენობით რეალისტური გადმოცემებია. გვხვდება თქმულებები
და ლეგენდებიც. ეს ჟანრობრივად მრავალფეროვანი ნაწარმოე-
ბები არის როგორც ტიპიური საყოფაცხოვრებო, ისე საგმირო
ხასიათისა. საყოფაცხოვრებოა — ბატონყმობის მძიმე უღლის ქვეშ
მოხრილ ყმა-გლეხთა სავალალო ყოფის ამსახველი ნაწარმოებნი.
საგმირო ხასიათისაა ფეოდალური სამფლობელოს გაფართოების
მიზნით თავადთა ბრძოლისა და თავისუფლებისათვის მშრომელთა
თავგანწირვის ამსახველი ნაწარმოებნი. ასეთებია: ზურაბ ერის-
თავის, შიოლა ლუღუშაურის და მთრეხელისა და თორღვას ციკ-
ლების ნაწარმოებები. ასეთივეა თავისუფალ სვანეთზე გელოვანე-
ბისა და დადეშქელიანთა შეტევის ამბების ამსახველი ნაწარმოე-
ბები. საგმირო ხასიათისაა ყმა გლეხთა სტიქიური თუ ორგანი-
ზებული გამოსვლების ამსახველი ნაწარმოებები, როგორცაა „არ-
სენას ლექსი“, ლექსი ზვიადა ლობჯანიძესა და გულითად გავაშე-
ლაშვილზე, 1841 წლის გურიის აჯანყების ამსახველი ბევრი ნა-
წარმოები და სხვ.

ფანტასტიკური ელემენტების შენაცველი თქმულებები და ლე-
გენდები ბატონყმობის შესახებ ჩაწერილია ძირითადად საქართვე-
ლოს იმ კუთხეებში, სადაც შედარებით ძლიერი იყო შიშის

¹ ხალ. სიტყვ. 1, ვკ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დ., გვ. 275.

² იქვე, გვ. 250.

ტრადიცია. ასეთებია ფშავში, ხევსურეთსა და სვანეთში ჩაწერილი ოქმულელები და ლეგენდები მამუკა ქალუნდაურის, თორღვას და ფუთა დადემქელიანის შესახებ. ზოგჯერ ადრე შექმნილი ლეგენდები შემდეგ არის დაკავშირებული ბატონყმობის ამბებთან. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტრადიციული სიუჟეტის ეპიკურ დამუშავებასთან. ამის მაგალითია ზურაბ ერისთავის სახელის დაკავშირება ბერძენის ლეგენდასთან.

ბატონყმობის ამსახველ ნაწარმოებებში საკმაო რაოდენობით გვხვდება სატირული ლექსები. ეს ლექსები თავადაზნაურობის გალარობებასა და ბატონყმობის გაუქმებას ასახავენ. სატირა ამ შემთხვევაში ხერხია თავადაზნაურობის უქნარობისა და კუდაბზიკობის გაკიცხვისა.

კლასთა ბრძოლის ამსახველი ნაწარმოებებიდან პოეტური სახეებით განსაკუთრებით მდიდარია საგმირო ლექსები. ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები ხალხს შეუშქვია ტრადიციული საგმირო ეპითეტებით.

ბატონყმობის ამსახველ ნაწარმოებთა შესრულებაც მათი შინაარსითა და იდეური მხრით არის განსაზღვრული. საისტორიო ნაწარმოებებს არასოდეს არ ჰქონია გასართობი, დროს მოკვლის ფუნქცია. ამ ნაწარმოებთა შემქმნელებსა და მთქმელებს ჰქონდათ პრეტენზია ისტორიული სინამდვილის ცოდნისა. ეს ნაწარმოებები იყო მშრომელი ხალხის დაუწერელი ისტორია, რაც ზეპირად გადადიოდა თაობიდან თაობაზე. მშრომელ ხალხს უყვარდა სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირები. გმირების შესახებ შექმნილ ნაწარმოებთა შინაარსთან ერთად ამას ადასტურებს მათი შესრულების წესებიც. ბატონყმობის ამსახველი ბევრი ნაწარმოები მესტვირეთა რეპერტუარში შევიდა. მესტვირეები დადიოდნენ საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში და ავრცელებდნენ სახალხო გმირთა ლექსებს. როგორც აღვნიშნეთ, მესტვირეებმა შექმნეს და გაავრცელეს „არსენას ლექსი“. ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ გმირებზე შექმნილი სიმღერები ხშირ შემთხვევაში სახალხო რიტუალების აუცილებელი ელემენტი იყო. ასეთებია სვანური საფერხულო „ვიცბილ და მაცბილ“, რაჭული საფერხულო სიმღერა ზვიადა ლობჯანიძისა და გულითად გავაშელაშვილის შესახებ და სხვები.

ამგვარ სურათს იძლევა ბატონყმობის ამსახველი ჩვენამდე მოღწეული ხალხური ნაწარმოებები. ეს ნაწარმოებები მაჩვენებე-

ლია მრავალი საუკუნის მანძილზე დაგუბებული ხალხის მრისხანების ძალისა.

ბატონყმობის ამსახველ ხალხურ ლექსებში, გადმოცემებსა და თქმულებებში აღნიშნულია ისეთი ფაქტები, რომლებშიაც ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერთობ ხალხი იჩენს თავის თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში“¹. ეს არის ისტორიული მეცნიერებისათვის აუცილებელი, მშრომელი მასების ისტორიის, ხალხთა ისტორიის შესასწავლად უძვირფასესი მასალა.



¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, გვ. 201.-

კლასთა ბრძოლა ქართულ ხალხურ პოეზიაში (კაპიტალიზმის ხანა)

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში ფეოდალიზმზე კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვება ახალი საფეხური იყო სიტყვიერი შემოქმედების განვითარებაში. კაპიტალისტური წყობილების დროს შექმნილი ამავე წყობილების ამსახველი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნიმუშები ზეპირსიტყვიერებისა ი. ჭაქვაძის, აკ. წერეთლის, რ. ერისთავის, ალ. ყაზბეგის, დ. კლდიაშვილის, შ. არაგვისპირელის, ი. ევდოშვილის, ი. დავითაშვილის და სხვ. ნაწარმოებებთან ერთად შუქს ფენენ წოდებრივ ურთიერთობასა და ეროვნულ საკითხებს და მეტ შემთხვევაში სანდო მასალებს შეიცავენ საქართველოში კლასთა ბრძოლის ისტორიის შესასწავლად.

კაპიტალიზმის განვითარებას მოჰყვა სოფლად გლეხთა სოციალური დიფერენციაცია. გაღატაკებულ გლეხებს სულს უხუთავდნენ, ერთი მხრით, მემამულეები, კულაკები, მეორე მხრით, მეფის თავაშვებული მოხელეები. გაძლიერდა მშრომელთა ექსპლოატაცია და ეროვნული ჩაგვრა.

ეს გარემოება ნათლად აისახა ქართულ ხალხურ პოეზიაში. შეიქმნა ციკლი ლექსებისა სიღარიბეზე, მოჯამაგირეთა და ქვრივობობლთა ძნელბედობაზე. მშრომელთა წრიდან გამოსული მოლექსეები თავიანთ სიმღერებში ასახავდნენ ხალხის მწუხარებას და ამხილებდნენ ხალხის უბოროტეს მტრებს — მემამულეებს, მეფის მოხელეებს, მოსამსახურეებსა და გზირებს, ჩარჩ-ვაკრებსა და მღვდლებს. ამგვარად ისინი აღვიძებდნენ ღარიბთა შეგნებას და, თავის მხრივ, უმზადებდნენ ნიადაგს გლეხთა რევოლუციურ

მოდრაობას, რაც ასე ძლიერი იყო კაპიტალისტურ საქართველოში.

ხალხური ლექსის მიხედვით გლეხი ასე მოთქვამდა სილატაკეზე:

ვაჰმე, რა ძნელი ყოფილხარ,
სილარიბუო ტიალო,
მესამ-მეოთხე წელია
ერთ ახალბი მცვიანო...

მშრომელი გლეხები აუტანელ სილატაკეშიც ინარჩუნებდნენ იუმორის გრძნობას და ამ გრანობით ქმნიდნენ მძიმე ყოფის ამსახველ ლექსებს. ამის ნიმუშია ლექსი:

ერთი ძველი ქობი მქონდა,
თაეზე არა ჰქონდა ჩალა,
ნიაემა რომ დაუბერა,
სულ ერთიან დამიშალა.
ერთი ბერი ხარი მყავდა,
იმას არა ჰქონდა ძალა,
ბუხებმა რომ შეაწუხეს,
ისიც ტყეში დამეშალა.
ხუთი წლისა ძროხა მყავდა,
იმას არა ჰქონდა ლალა,
ერთი ქილა რძე მოვწველე,
ჰკრა წიხლი და დამიღვარა.
ორი მუკა ქერი მქონდა
ისიც ვირმა შემიკამა.
დახედე უბედურებას.
ვირი მგელმა შემიკამა.

ღარიბი, უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხი მოჯამაგირედ უდგებოდა ნაბატონარს ან კიდევ გაკულაკებულ გლეხს. მოჯამაგირის მძიმე ყოფას, სხვის კარზე მის საშინელ დამციროებასა და აბუჩად აგდებას ახლაც კი გაგვაცდევინებს გაერცლებული ლექსის შეუფარავი, მაგრამ ამაღლევებელი დინამიკური სტრიქონები:

სხვისა მოჯამაგირობას
ადვილად იტყვის ენაო,
დილიდან სალამოდისინ
არ მქონდა მოსვენებაო.
დილით ძროხაში გამგზავნეს,
სალამოს ღორისკენაო,
თან მწვერები გამატანეს
— იქ ინადირე შენაო,
თუ კურდღელი დაიკირო,

ხოცი ჩვენ, ტყავი შენაო,
და თუ მელა დაიჭირო.
ტყავი ჩვენ, ხოცი შენაო¹.

მოჯამაგირის მწარე ხვედრი, მისი უსაზღვრო ექსპლოატაცია დამჭირავებლებისაგან, მოცემულია სხვა ლექსებშიაც. რამდენიმე ვარიანტად ცნობილი ლექსი მოჯამაგირეზე ასე მთავრდება:

მოჯამაგირის საგძალი
ერთი დამწვარი კუტია,
დილით გზავნიან ხარებში,
ბუჩქისა ძირში კუნტია².

სასაუბრო ენაშიც კი შევიდა დამშეული მოჯამაგირის განწყობილების გამომხატველი ანდაზა: „მოჯამაგირეს ან პურის კილობანი უნდა ჰქონდეს ღია, ან არ დადგებაო“. კაპიტალისტური წყობილების დამახასიათებელია ბევრი ლექსი ქვრივ-ობლებზე. ქვრივის უნუგეშო მდგომარეობა ასეა გადმოცემული ხალხურ ლექსში:

საწყალი გოგიას ქვრივი
აფხაკუნებდა თაროსო,
შვილებს ჰპირდება ერბო-კვერცხს
იმ მშობელ გასახაროსო.
ვარცლშიაც პური არ უძვეს,
მარილი მოაყაროსო³.

ლატაკი, მშიერ-ტიტველი ქვრივის მდგომარეობა უამთა სვლის სისწრაფის აღსანიშნავადაც კი გამოიყენა ხალხმა ნათქვამში: „დიდ მარხვას უთქვამს: ისე გავირბენო, რომ ქვრივნა პერანგი ვერ გამოიცვალოსო“.

რეალისტურად არის ასახული ხალხურ ლექსებში ღარიბი გლეხობის ყველფა ჩარჩ-ვაჭრების მიერ. გავრცელებულ მამხილებელ ლექსში „ერთი გლეხი ვარ საწყალი“ — დაკვირვებითა და ცოდნით არის დახატული თვალთმაქცი, გაიძვერა ჩარჩის სახე. ჩარჩებმა ასატურამა და ვართანამ ხელიდან გამოსტყუეს საწყალ გლეხს ზამთრის სარჩოსთვის ვაებით მოგროვილი ფული. გაყველფილი გლეხი წყველა-კრულვით იხსენიებს ჩარჩებს:

¹ ხალხური სიტყვიერება, ნაწ. 1, ექ. თაყაიშვილის რედაქციით, გვ. 380.

² იქვე, გვ. 231.

³ „საუნჯე“, III, გვ. 169.

ხუთი მანეთი წამართო,
ერთი აბაზი დამრჩალა,
ისიცი მიკიტანს გადუგდე,
მაგის წამლები გამჭრალა.
ჩოთქო, მოგიკედეს გამთლელი,
რომელმა ხელმა გაგთალა,
აგასხა წინდის ჩხირხედა,
მიკიტნის დახლში გაგზავნა¹.

მემამულეებთან, მეფის მოხელეებთან, ჩარჩ-ვაქრებთან ერთად მშრომელებს მძიმე ტვირთად აწვა სამღვდელთადაც. სასულიერო პირების ზნედაცემულობასა და აღვირახსნილობაზე იქმნებოდა ხალხური ნაწარმოებები ფეოდალიზმის ხანაშიც, მაგრამ ამგვარ ხალხურ ნაწარმოებთა მნიშვნელოვანი ნაწილი უდავოდ კაპიტალისტური წყობილების დროს არის შექმნილი. ამ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი ჯანსაღი, მახვილი ხალხური სატირის ნიმუშია და წარმოდგენილია ანეგდოტის ენაში².

მეფის მოხელეთა მიერ გათავხედებული მამასახლისებისა და გზირების შესახებ მრავალი ლექსი და ანდაზა არის შექმნილი. ხალხს ეჯავრებოდა უკანონო გადასახადის ძალდატანებით ამკრეფი მამასახლისები. ლექსების მიხედვით, მამასახლისები მდიდრებს ზოგადად და ღარიბებს სულს ართმევდნენ. მოლექსე უკმაყოფილოდ აღნიშნავს:

ახალმა მამასახლისმა
ეხლავ აგვავსო ვალითა,
რაწაშს ეს ხარკი მოვიდა,
ქალაღი წერა კალმითა.
„კანცელარიაში“ დასხდნენ,
ფული შეკამეს მალვითა,
მდიდარს კაცს ვერას რეებიან,
ღარიბს ართმევენ ძალითა³.

შეუბრალებელი მამასახლისებისათვის ხალხს შესაფერი ეპითეტები ჰქონდა. მამასახლისს აღარებდნენ მხეცს, მწარე პილპილს, ნათლაგდნენ ძაღლის სახელწოდებით და სხვა. ამის ნიმუშებია ხალხური ლექსების დასაწყისები:

ძოძია მამასახლისო, მწარე ხარ როგორც პილპილი⁴.
ამ ჩვენსა მამასახლისსა ძაღლი დავარქვათ ტურია⁵
და სხვ.

¹ ხალხური პოეზია, 1934, გვ. 155.

² ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, სამღვდელთაზე ზეპირსიტყვიერებაში.

³ ხალხური სიტყვიერება, ნაწ. 1, გ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დ., გვ. 259.

⁴ იქვე, გვ. 176.

⁵ იქვე, გვ. 260.

მამასახლისებთან ერთად ხალხურ ლექსებში სიძულვილითაა მოხსენებული მეფის უსამართლო „მოსამართლე“:

„სუღია“ — მამასახლისი
მოგვიხტებიან ბანხედა,
ღმერთმანი იმათ შიშითა
ვერ გამოვდივარ კარხედა¹.

მამასახლისებისა და „სუღიების“ ურთიერთობას გამოხატავს მახვილი სატირული ლექსი:

მამასახლისის კატასა
ფეხი დასწვია საწყალსა,
„სუღიები“ მორბიან,
წყულულზე ადებენ წამალსა².

ხალხური სატირის ნიმუშებია, აგრეთვე, ანდაზები მამასახლისებისა და გზირების ძალმომრეობაზე: „მამასახლისს შინ არ უშვებდნენ და ფარ-ხმალი ზემო თაროს დამიკიდეთო“, ან: „გზირს სოფელში არ უშვებდნენ, ფარ-ხმალი მამასახლისისას დამიკიდეთო“.

სატირულ ლექსებს მეფისა და მემამულეთა თავგასული დამკაშების შესახებ ქინიდნენ მებრძოლი სულისკვეთების შეუპოვარი მოლექსენი. საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ მხრივ ვაჟა-ფშაველა. ვაჟას მოკლედ, საინტერესოდ დახასიათებული ჰყავს ლარიბი, მაგრამ გულით ძლიდარი, ნიჭიერი ფშაველი მოლექსე მერცხალა. მერცხალას სატირული ლექსების საგნად გაუხდია სოფლის მამასახლისი. თავგასულ მამასახლისს არ მოსწონებია მოლექსის გამბედაობა და ეოთხელ დუქანში უკითხავს: „ვინ არი ი მერცხალა, მე რო ულექსებივარ, ნეტავი თვალით მაინც მაჩვენაო“. მერცხალაც იქ ყოფილა, წამომდგარა და იქვე შეუპოვრად წაუკაფიაგებია. სულთამხუთავი მამასახლისის ნიშნის მოსაგებად წარმოთქმულ იმპროვიზაციაში ლარიბ მოლექსეს მოუცია მისი მატერიალური მდგომარეობის იდეალიზაცია. ეს ჩანს ლექსის იუმორისტულ ბოლო სტრიქონებში:

გარეთ მგელ ვერას შემიქამს.
შინ შემოტანილს — ციცაო³.

¹ ხალხური სიტყვიერება, ნაწ. 1, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ გ ლ., გვ. 260.

² იქვე.

³ ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ფშაველების ცხოვრებიდან, „ივერია“, 1886, № 104.

მეფის მოხელეთა: რევიზორების, ბოქაულების, ჩაფრების, მამასახლისებისა და გზირების მუხანათობა, მათ მიერ მშრომელი ხალხის დარბევა რეალისტურად არის გადმოცემული ლექსებში: „მეფის მოსამსახურეებზე“¹, ჩემი თავგადასავალი“², „სოსია ვიყავ საწყალი“³ და სხვ. განსაკუთრებული სიძულვილით არის მოხსენებული ბევრ ლექსში მდიდრების წინაშე ქედმოდრეკილი, ღარიბთა სისხლის მსმელი ჟანდარმი. მშრომელი ხალხის სულისკვეთების გამომხატველი პატრიოტი მოლექსე ასე ახასიათებს ფარისეველსა და დაუნდობელ მეფის მოხელეს:

მე მინახავს მოდიოდა
ჯანდაგ ლეშით გამაძლარი,
მსუქან მწყემსთა ფეხთა მლოცი
და მკლევების მბებლარი.
მე მინახავს ის დაჭროდა,
თითქოს კაცი იყოს წმინდა,
ფეხებამდის დასთრევს ხმალი,
ყველა კაცმა ხმა გაკმინდა.
მე მინახავს ჟანდარმები,
ჯანდაგ ლეშით გამაძლარი,
იმთავითვე სისხლის მსმელი,
იმთავითვე მბებლარი⁴.

უსამართლო გადასახადებს, საშინელ სილატაკეს, ეროვნულ ჩაგვრასა და დამცირებას მოთმინებიდან გამოჰყავდა მშრომელი ხალხი. ისინი მიმართავდნენ სტიქიურ შურისძიებას. თანდათან იზრდებოდა მოძრაობა შინაური კლასობრივი მტრებისა და თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ. 80 — 90-იანი წლებიდან გახშირდა გაყაჩაღება-გაფირალება. გალატაკებული, აბუჩად აგდებული მშრომელი ხალხის შვილები იძულებული ხდებოდნენ მოშორებოდნენ ცოლ-შვილს, მშობლიურ კერას, მხეც-ნადირივით შეფარებოდნენ ტყე-ღრეს და შური ეძიათ მჩაგვრელებზე. სახალხო გმირების ამგვარი ბრძოლა მშრომელი ხალხის ადამიანური ღირსების დაცვის ერთგვარი გამოხატულება იყო. ცხადია, ეს სტიქიური ბრძოლა იყო, მაგრამ მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში კლასთა ბრძოლის ისტორიის შესასწავლად. 80 — 90—900-იან წლების პრესა სავესტა ცნობებით ყაჩაღობისა და ფირა-

¹ აღ. ლ ლ ო ნ ტ ი, გურული ფოლკლორი, გვ. 114.

² ქიზიყის პოეტური ფოლკლორი, გვ. 23.

³ იქვე, გვ. 108.

⁴ იქვე, გვ. 30.

ლობის შესახებ. ამ ყაჩაღთა დიდი ნაწილი ებრძოდა უსამართლობას, რისთვისაც ისინი იმსახურებდნენ ხალხის დიდ სიყვარულს. ამ სიყვარულის ერთ-ერთი გამოხატულებაა 80—90-იან წლებსა და 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გამძვინვარებული ბნელი რეაქციის წლებში შექმნილი ლექსები და გადმოცემები ყაჩაღებისა და ფირალების შესახებ.

სათავგადასავლო ლექსებს მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი ყაჩაღებისა და ფირალების შესახებ საქართველოს მშრომელები ბოლო დრომდე ჩონგურსა და ფანდურზე დამღეროდნენ. 1905 წლამდე ყაჩაღებიდან თუ ფირალებიდან გურიაში ცნობილი იყვნენ: პროკოფი ჭყონია, გოგია ლომჯარია, ნიკოლოზ მეხუზლა, ძმები სისონა და ვასილ დარჩიები და სხვები. მათი ხსოვნა დღემდე ცოცხალია ხალხში¹. ეს ფირალები შურს იძიებდნენ მშრომელი ხალხის მტრებზე. ასე მაგალითად, გოგია ლომჯარიას მოუკლავს მაზრის უფროსის თანამემწე — შეუბრალებელი და უსამართლო თავადი ანტონ ნაკაშიძე². თვრამეტი წლის ჭაბუკს გალაქტიონ მორჩაძეს მამასახლისი მოუკლავს³, მოხვეე ციციკას — ჩარჩი-ვაჭარი⁴. ასეთი სტიქიური მებრძოლები იღუპებოდნენ მეფის ჯალათების ხელით ან კიდევ ჟანდარმებისაგან მოსყიდული პირების ღალატით. სათავგადასავლო ხასიათის ლექსებში ხალხი უდიდესი გულისწყრომითა და სიძულვილით იხსენიებს ამგვარ პირებს — პროკოფი ჭყონიას მკვლელს ბოქაულს ირაკლი ღუმბაძეს⁵; სისონა დარჩიას გამცემს მიხეილ ნინიძეს⁶ და სხვებს. ხალხს გმირის პირითვე ჰყავს დახასიათებული მუხანათი ნინიძე:

აგი მიხელა ნინიძე
ჩვენ ძმასავით გვეპყრობოდა,
ჩვენს ღალატს აწყობდა,
მაგრამ რა შეეტყობოდა.
იმ სულხორცსა წაწყმენდილსა
ჯვარ-მედლებიც ყოფოდა.

ფირალებიდან გურიაში განსაკუთრებით პოპულარულნი იყვნენ ნიკოლოზ მეხუზლა და სისონა დარჩია. მათზე შექმნილ სასიმ-

¹ ანტ. ხინთიბიძე, გურული ფირალები, თბილისი, 1938.

² იქვე, გვ. 27.

³ რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი: ბა, 34981.

⁴ „საუნჯე“, III, გვ. 204; მონვეური ლექსები, გვ. 45.

⁵ აღ. დლოტი, გურული ფოლკლორი, გვ. 89.

⁶ ანტ. ხინთიბიძე, გურული ფოლკლორი, გვ. 60.

ღერო ლექსებში გადმოცემული ამბები დღესაც ცოცხალია ხალხის ზეხსიერებაში. ხალხის გადმოცემების სინამდვილეს ადასტურებს ნაშინდელ პრესაში არსებული ცნობები ამ ფირალების შესახებ.

ყმა-გლეხის ოჯახში დაბადებულს, ჯერ ვაქრის მიერ დაქირავებულს, შემდეგ ბათუმში მანთაშევის ქარხნის მუშას, ბოლოს კი ნიწის მუშა-გლეხს ნიკოლოზ მეხუზლას ოჯახს შიმშილისაგან ვერ დაუღწევია თავი. მეხუზლა ცილისწამებით დაუპატიმრებიათ, იგი ვაქცეულა ბათუმის ციხიდან და ფირალობა დაუწყია, ხოლო 1892 წელს ფირალ დათუნაშვილთან ერთად მაჭუტაძის სახლში მოუკლავთ ღალატით¹.

გადმოცემებისა და ლექსების მიხედვით, მეხუზლა გაუცია ყოფილ მამასახლისის შაფაქიძეს. შაფაქიძე ცდილობდა მეფის მოხელეთა გულის მოგებას თანამდებობის დაბრუნების მიზნით². მეხუზლა კარგი ვაჟაკი ყოფილა. ბოქაულის თანაშემწე და ოფიცერი გარდაფხაძე რამდენიმე რაზმით დასხმია თავს მეხუზლას. სიკვდილის წინ მეხუზლას მტრის რაზმიდან რამდენიმე კაცი მოუკლავს³. ნიკოლოზ მეხუზლას მემბობზე ბუნებას, მის აღმფოთებას მეფის მთავრობისა და კულაკების მიერ მშრომელი ხალხის უზონო ექსპლოატაციის გამო გვაცნობს ხალხური გადმოცემები. ერთი ნოქმელის ცნობით, მეხუზლა „ჩაიდა ყანაში, შეხედა თავის თოხს, დაზომა. თოხი ერთი მტკაველი იყო. მერე ყანას შეხედა და თქვა: „ამ ერთი მტკაველი თოხით ამხელა ყანა უნდა ვთოხნო და იგიც ჩემი არ იყოსო“⁴. მაჭუტაძის სახლში ეანდარნების თავდასხმა მეხუზლასა და დათუნაშვილზე დაწერილებით არის გადმოცემული საკმაოდ ვრცელ ლექსში. მოლექსეს განცდითა და საგმირო პოეზიის ტრადიციული ეპითეტების გამოყენებით გადმოუცია დათუნაშვილის სიკვდილით გულადულებული ალყაშემორტყმული მეხუზლას გაათფრება თავდამსხმელების წინააღმდეგ:

..დათუნაშვილმა იყვირა;
ჯერ მე გამიშვითო კარში!
თოფის ტუჩი კარებსა ჰკრა,
თოფი გასცა თოფის ხმაში.

¹ ანტ. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, გურული ფირალები, გვ. 39—51; „ივერია“, 1892, № 16.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 40.

გასვლა არც კი დაუცლიათ,
ტყვია მოარტყეს ბარკალში.
მეხუზლა გაცემცხლებული
ელვასავით ვაბტა კარში,
ერთი ისე შეტრიალდა,
როგორც შევარდენი ცაში.
ამხანაგის მწუხარებით
კრემლი მოასხამდა თვალში,
შვიდი-რვაი იქვე მოკლა,
მეცხრესაც გაართყა მხარში.

ლექსის დასასრულში მოცემულია მეფის ჯალათების მიერ მოკლულ მეხუზლას გაძარცვისა და შეურაცხყოფის შემადრწუნებელი სურათი:

საწყალს ისე დაესიენ,
როგორც აწვალებენ ღორსა.
ზოგი რევოლვერს ეტაკა,
ზოგი აფრინდება თოფსა.
ზოგი ჯიბეს უშინჯაედა,
ზოგი ეძებდა ფულებსა.
წყალიდან ამოთრიეს,
უპატრონოდ დადვეს თოვლსა,
ტანხე არ გამოაცვლიენ,
ახლის ნებაც არ მისცესა,
უკურთხ მიწაში ჩააგდეს,
ნაკურთხიეც არ აღირსესა¹.

გასული საუკუნის 80 — 90-იანი წლების სახალხო გმირთა გალერეას ამშვენებს გურული ფირალის სისონა დარჩიას სახელი. გურიელის ყმა-გლეხს სისონა დარჩიას მოუკლავს საკუთარი ბატონის უსამართლო მოურავი ჩიკაშუა და გაფირალებულა. იგი ვერ შეუშინებია მეფის მთავრობის რეპრესიებს. ოფიციალური პრესის ცნობიდან და ხალხის გადმოცემებიდან ჩანს. რომ სისონა დარჩიას ბრძოლის შესანიშნავი ხერხები სცოდნია და ხშირად დაულწევია თავი განსაცდლისაგან. იგი სიცოცხლეშივე ლეგენდარულად წარმოუდგენია ხალხს. ამბობდნენ, თითქოს სისონა დარჩიას ტყვია არ ვნებდა. სისონა მშრომელი ხალხის მტრების შიშის ზარის დამცემი ყოფილა. თავადებსა და მეფის მოხელეთა შორის გავრცელებული ყოფილა წყევლა „სისონა შეგხვდეს გზაშიო“². ხალხის გადმოცემებით სისონას მღევარ პოლიციელებს მისი შიშით.

¹ აღ. ლ ლ ო ნ ტ ი, გურული ფოლკლორი, გვ. 80—81.

² ანტ. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, გურული ფირალეები, გვ. 55.

ყველა და ყველაფერი ყაჩაღად ეჩვენებოდათ, ბერ-მონაზვნები, ძროხა და ჯირკცი კი. პოლიციელების ამგვარ სასაცილო მდგომარეობაზე შექმნილია ხალხური ლექსი¹. სისონა დარჩია გარდაიცვალა 1891 წელს. გაზეთის ცნობით, სისონა დარჩია მოკლა ლანჩხუთის პოლიციის ბოქაულმა ჯაფარიძემ². გმირის თანამედროვეთა მოგონებებით და ხალხური გადმოცემებით იგი ავადმყოფობით გარდაიცვალა. სახელისა და ჯვარ-მედლევის მაძიებელ ბოქაულსა და მამასახლისს გარდაცვალებულისათვის ჭრილობა მიუყენებიათ თავში და შიგ მამლის სისხლი ჩაუსხამთ³. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში მეფის მოხელეთა მამხილებელი ხალხის ცნობა უფრო სანდო უნდა იყოს. სისონა დარჩიას შესახებ შექმნილ ხალხურ ლექსთა ციკლში ღრმა ლირიზმითა და ამავე დროს გმირის შეუპოვრობის ასახვის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს სისონას მიერ ფირალი ძმის ვასილას დატირებაზე გოდების ჟანრით შექმნილი ლექსი:

დალოცვილი სისონაი
ნაქებია ბიჭობაში;
შევიდა და ძმა იტირა,
არ შეშინდა იმდენ ჯარში;
ცალ ხელში თოფი ეჭირა,
კრემლი მოსდიოდა თვალში,
—შენ მკედარი ხარ, მე ცოცხალი,
როგორ გავიარო გზაში.
ადე, ბიჭო, შემომხედდე,
თოფი არ მკრას ვინმემ თავში,
მალე შენსა მოლაღატეს
გაეგზავნი მალლა ცაში⁴.

არ უნდა იყოს საეკვო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სისონა დარჩიას გმირობით იყო შთაგონებული ეგნატე ნინოშვილი, რომ სისონა დარჩია სიმონა ძალაძის პროტოტიპია⁵.

საკმაოდ მრავალი გადმოცემა და ლექსია ამ პერიოდის სხვა გურულ ფირალებზედაც. ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს აგ-

¹ ანტ. ხინთიბიძე, გურული ფირალები, გვ. 61—62.

² „ივერია“, 1891, № 46.

³ ანტ. ხინთიბიძე, გურული ფირალები, გვ. 63—65.

⁴ იქვე, გვ. 58.

⁵ ს. ხუნდაძის შენიშვნები, ეგნ. ნინოშვილი, თხზულებანი, ტ. 1. გვ. 376—379; ანტ. ხინთიბიძე, გურული ფირალები, გვ. 66—68.

რთვე ხალხური ლექსები გალაქტიონ მორჩაძის, ტიტო მღებრი-
შვილისა და მოხვევ ციციას შესახებ.

მხატვრულობის პრეტენზიას მოკლებულ ერთ ხალხურ ლექს-
ში გადმოცემულია თვრამეტი წლის გალაქტიონ მორჩაძის შუ-
რისძიება მხეც მამასახლისზე. მამასახლისის მოკვლისათვის მეფის
მთავრობას სასტიკად დაუსჯია მორჩაძე. ლექსში დასჯილი გმი-
რის პირითაა გადმოცემული საკმაოდ მწვავე სოციალური კონ-
ფლიქტი. მეფის ჯალათებს გარდა, ლექსში აუგად არის მოხსენ-
ებული მღვდელიც¹. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა ხალხური
ლექსი ტიტო მღებრიშვილის შესახებ. ლექსის მიხედვით, ტიტო
მღებრიშვილს საკუთარი რაზმი ჰყოლია მეფის მოხელეთა — ბო-
ქაულებისა და მამასახლისების წინააღმდეგ საბრძოლველად.
ამ სტიქიური შეამბოხის სამართლიანი შურისძიებით ანთებული
გული გაუგმირავს გაიძვერა ხეთაგა მამასახლისის ტყვიას².

მეფის მოხელეთა მიერ წაქეზებულ ჩარჩ-ვაჭართა წინააღმდეგ
მშრომელი ხალხის სამართლიანი შურისძიება გადმოცემულია ხევ-
ში გავრცელებულ ლექსში ციციას შესახებ³. ფრაგმენტულ ლექს-
ში გადმოცემულია ამბავი, რომელიც წყაროა, აგრეთვე, ალექ-
სანდრე ყაზბეგის მოთხრობისა „ციცკა“⁴. ლექსი ციციას ყაჩაღად
გავარდნის ამბით იწყება. ყაჩაღად გავარდნილი გმირი გზას გა-
დაუქრის ვაჭარს ფასიას. ლაჩარი ჩარჩი პატიებას სთხოვს ყა-
ჩაღს. შურისძიებით ანთებული ციცკა სიძულვილით მიმართავს
მტერს:

— აი შე, ძაღლო ვაჭარო,
ხმაჟს ვერ გაივლებ ხელსაო,
მეც ვგრე გეხვეწებოდი,
აღმა რომ მგლეჯდი წვერსაო,
დამაჯექ ხელ-ფეხ შეკრულსა,
ციმბირს მიმავალ ტყვესაო⁴.

ლექსის ეს სტრიქონები გვაცნობს ციციას გაყაჩაღების მი-
ზეზს — თვითმპყრობელობის უხეში რეჟიმით შექმნილ მშრომელთა
დიდ უბედურებას წარსულში. ეს გარემოება უფრო ნათლად არის
მოცემული ყაზბეგის მოთხრობაში. გმირისა და ვაჭრის შეხვედ-

¹ ფოლკლორული არქ., № 34991.

² „საუნჯე“, II, გვ. 468.

³ „საუნჯე“, III, გვ. 204; მოხვევური ლექსები ალ. გომიაშვილის
რგულ., 1939, გვ. 45.

⁴ მოხვევური ლექსები, გვ. 46.

რის მოტივზე აგებული დიალოგის ფორმით გადმოცემული ლექსის შინაარსი საკმაოდ მძაფრ სიტუაციაში ვითარდება. ეს ფრაგმენტული ლექსი არ არის მდიდარი მხატვრული სახეებით, მაგრამ მისი შინაარსი ისე დინამიკურია, რომ საკმაოდ ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელსა თუ მკითხველზე.

ქართულ ხალხურ პოეზიაში სათანადო გამოსახულება ჰპოვა 1905 წლის რევოლუციამ. შეიქმნა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული სააგიტაციო დანიშნულების რევოლუციური სიმღერები. ამ პერიოდში შექმნილი სიმღერების თემა იყო მეფის ხელისუფლების დამხობა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს როგორც გლეხთა, ისე მუშათა შორის შექმნილ და გავრცელებულ სიმღერებთან.

1905 წლის რევოლუციის ლოზუნგით „ძირს თვითმპყრობელობა“ შთაგონებული სასიმღერო ლექსი გავრცელებული იყო გლეხებსა და მუშებში. ამ რევოლუციური სიმღერის ვარიანტები ჩაწერილია როგორც გლეხებისა, ისე მუშებისაგან. მუშათა ზეპირსიტყვიერების ტრადიციის თვალსაზრისით საქართველოში თავისებური მდგომარეობა გვაქვს. ყოველთვის არ ხერხდება მუშათა და გლეხთა შემოქმედების გამიჯვნა.

თავისებურებას საზღვრავს ის გარემოება, რომ, ერთი მხრით, საქართველოში ძლიერი იყო გლეხთა მოძრაობა, მეორე მხრით, ბევრ ალაგას, კერძოდ თბილისში, ცოტანი იყვნენ სამრეწველო მუშები. გარდა ამისა, როგორც აღენიშნეთ, ქართველი სამრეწველო მუშები არ იყვნენ მოწყვეტილი სოფელსა და გლეხურ მეურნეობას. აღსანიშნავია ისიც, რომ 1905 წლის რევოლუციის ამსახველი სააგიტაციო ხასიათის ბევრი მებრძოლი სიმღერა რევოლუციონერ ინტელიგენტთა წრეშია შექმნილი და შემდეგ გაზეთისა და ბროშურების საშუალებით გავრცელებული მუშებსა და გლეხებს შორის. მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებულ მშრომელთა რევოლუციური განწყობილების ძლიერად ასახვის თვალსაზრისით 1905 წლის რევოლუციის სიმღერებიდან მარსელიოზა გამოირჩევა.

ეს სიმღერა საბრძოლო პროგრამა იყო „სისხლიანი კვირის“ მწარე გაკვეთილით შეგნება გაღვიძებული მუშებისა. ეს იყო აგიტაცია მშრომელებისადმი, რომ მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლით შეიძლება თავისუფლების მოპოვება. სიმღერა გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში. მღეროდნენ სოფლებსა და ქალაქებში—გლეხებიც და მუშებიც. მტერზე შურისძიების ცეცხლით არის ანთებული სიმღერის თითოეული სიტყვა, თითოეული

სტრიქონი. მტერზე იერიშის მიტანის საბრძოლო შედახილია ტექსტის მისამღერიც, მტერზე გამარჯვების რწმენა გამოხატულია სიმბოლოურად: „სისხლისფერ ვარსკვლავს თან ამოჰყვება მზე სიხარულის, თავისუფლების“.

ბოლშევიკურ ორგანოს „ბრძოლის“ 1902 წლის 3 — 4 ნომერში დაბეჭდილი მარსელიოზის ქართული ტექსტის შექმნის უშუალო მონაწილე უნდა იყოს მგზნებარე რევოლუციონერი ლადო კეცხოველი¹.

მარსელიოზის ამ ტექსტის გარდა ინტელიგენციის წრეში უნდა იყოს შექმნილი აპ. ცანავას მიერ რამდენიმე ვარიანტად ჩაწერილი 1904 — 1905 წლებში გავრცელებული სიმღერა „მრისხანებს ქარი“. იგი შექმნილია ი. ევდოშვილის ლექსის „ძმებო, შავბედი თავს დაგვტრიალებს“ გავლენით². ლექსში ასახულია მშრომელთა ძნელბედობა წარსულში. აღნიშნულია, რომ ამ ძნელბედობამ ააშხედრა მშრომელები საკუთარი უფლებებისა და ღირსების დასაცავად. ლექსის რეფრენი ერთგვარი მოწოდებაა მშრომელებისადმი, რათა შეერთებული ძალით მიიტანონ იერიში მტერზე. მომავალი გამარჯვების ურყევი რწმენით შთაგონებული ლექსი ასე მთავრდება:

დღეს თუ უკან გვწევს მტრის იერიში,
სულ სხვაფერი დღე მოგველის ზვალა,
მტერზე იერიშს თითონ მიიტანს
შეერთებული მუშათა ძალა.
მუშავ, წინ გასწი,
მტერი ძირს დასცი³.

ქიათურელი მემალაროე მუშის ცნობით ამ სიმღერას ასრულებდნენ გურულები.

1905 წლის რევოლუციის ასახვის თვალსაზრისით საინტერესოა რამდენიმე ვარიანტად ჩაწერილი სიმღერა არსენა ჯორჯიაშვილზე. ხალხმა მეტრძოლი გმირის პირითვე გადმოგვცა მისი სამართლიანი შურისძიება მეფის ჯალათ გრიაზნოვზე. მემალაროე მუშების ცნობით, რეაქციის წლებში გავრცელებული იყო სიმღერა:

¹ ლ. ასათიანი, ქართული რევოლუციური პოეზია 1901—1907 წლების არალეგალურ ბოლშევიკურ პრესაში.

² ი. ევდოშვილი, რჩეული ლექსები და პოემები, გვ. 307.

³ მოქმელი ს. კაპანაძე, ჩაწერილია აპ. ცანავას მიერ ქიათურაში, 1951.

თუ გინდ ჯალათმა შხამ-გესლიანმა
თვის სისხლიანი ჩამკიდოს ხელი,
მაინც თამამად, მედგრად შევეყვრებ,
სიკვდილი ჯალათს, ძირს სისხლის მსმელი¹.

ეს არის ჩვენი გამოჩენილი პოეტის ი. გრიშაშვილის ლექსის „ტუსალის სიმღერის“ ოდნავ შეცვლილი სტროფი.

აგრეთვე გაერცელებული იყო ი. ვედლოშვილის მიერ რუსულ-ლიდან ნათარგმნი ლექსის ფრაგმენტი:

ძმებო, დროშა გაიშალა,
ხედავ, წითლად გარდიფერა,
შევაჯგუფოდ ჩვენი ძალა
და დაეძახოთ კვლავ სიმღერა².

ეს რევოლუციური სიმღერები არ გამოირჩევიან მაღალნაბატ-ვრულობით, მაგრამ მათ უაღრესად დიდი ისტორიული, პოლიტიკურ-აღმზრდელიობითი და შემეცნებითი ღირებულება აქვთ. ეს არის ცარიზმთან ბრძოლის ცეცხლში შექმნილი სიმღერები.

ცნობილია, რომ სრულიად რუსეთის პოლიტიკურმა გაფიცვამ 1905 წლის ოქტომბერში აიძულა მეფე გამოეცა მანიფესტი.

მეფის მანიფესტს, როგორც ხალხის მასების მოტყუებას, როგორც მეფის ხრიკსა და ბნელი რეაქციის დასაწყისს, შესანიშნავად ახასიათებს პარტიის ისტორიაში შესული ხალხური სიმღერა:

შეეშინდა ხელმწიფეს,
მანიფესტი გამოსცა:
შკვდრებსო — თავისუფლება,
ცოცხლებს — ციხის გამოცდა³.

ასე გალექსა აბობოქრებულმა ხალხმა რეაქციონერი მემამულეების, ვაჭრების, ხუცეებისა და ყველა შავრაზმელის ინტერესების დამცველი მეფის ბრძანებები: „დაპატიმრებულთ ნუ იყოლიებთ“, „ვაზნებს ნუ დაიშურებთ“... 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. დაიწყო მძვინვარე რეაქცია. ეს გარემოება აისახა ქართულ ხალხურ პოეზიაში. შავბნელი რეაქცია გახდა საგანი მუშათა და გლეხთა ზეპირსიტყვიერებისა. რეაქციის მძიმე წლებშიც

¹ შთქმელი თ. ვენუქიძე, ჩაწერილია აპ. ცანავას მიერ, 1952.

² იქვე.

³ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია (მოკლე კურსი), გვ. 97.

მუშათა და გლეხთა ზეპირსიტყვიერებაში არ შენელებულა ბრძოლა ცარიზმთან. შავბნელი რეაქციის ამსახველია გოდების ენართი შექმნილი მებრძოლი სულისკვეთების გამომხატველი ლექსები აჯანყების დროს მეფის ჯალათების ხელით დაღუპულთა შესახებ, როგორცაა „ვარშაულას“ გაქართულებული ვარიანტები: „თქვენ მსხვერპლი გახდით შავბნელი ძალის“, „მსხვერპლად დაეცი ამაყ ბრძოლაში“ და სხვ. ამ სიმღერებით ასაფლავებდნენ რევოლუციონერებს. ამის შესახებ ცნობები დაცულია მაშინდელ ბოლშევიკურ პრესაში¹; ამასვე შენიშნავენ ძველი მემალაროე მუშები, რომელთაგანაც ჩაწერილია არსებული სიმღერების ვარიანტები.

მშრომელი ხალხის განუკითხავი აწიოკება შავრაზმელების მიერ, რევოლუციურად განწყობილ პირთა სახლ-კარის დაწვა, ოჯახის განადგურება, ხალხის ცემა და სხვა აისახა ქართულ ხალხურ პოეზიაში. ამის ნიმუშია ია კარგარეთელის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსი².

რეაქციის წლებში საკმაო რაოდენობითაა შექმნილი ხალხური ლექსები მშრომელთა აუტანელ ყოფაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ძველი მალაროელი მუშის, ჩვენს ხანაში კი კოლმეურნის, ცნობილი მოლექსის ივლიანე მერკვილადის შემოქმედება. რეაქციის წლებშია შექმნილი მისი პოემა „ქიათურა“ და ლექსი „საყანჩია“³. ეს „ნაწარმოებები ზეპირად იყო გავრცელებული მუშებში“⁴. „ქიათურაში“ მოლექსე ჯოჯოხეთს ადარებს პრიმიტიული ხერხით მომუშავე ყოველგვარ ადამიანურ უფლება-აყრილ მემალაროელთა ყოფას წარსულში. რეაქციის სუსხმა მაინც ვერ ჩაკლა მუშათა რწინა, ვერ მოადუნა მათი ბრძოლის უნარი, ვერ მოახრევეინა ქედი მუშებს ცარიზმის წინაშე, რაც აისახა ხალხურ შემოქმედებაში. ამგვარივე სულისკვეთების გამომხატველია ლექსი „საყანჩია“. ლექსში დახასიათებულია ტყიბულის რაიონში, სოფელ კურსებში ქვის ქარხანაში მომუშავეთა მძინე ხვედრი წარსულში.

რეაქციის წლებში შექმნილი ზოგი ლექსი დაცემული განწყობილების გამომხატველია.

¹ „დრო“, 1907, № 15; ლ. ასათიანი, ქართული რევოლუციური პოეზია 1901—1907 წლების არალეგალურ და ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში.

² ხალხური სიტყვიერება, I, გ. თაყაიშვილის რედ., გვ. 412.

³ დაიბეჭდა 1906 წ. ქუთაისში.

⁴ ვარიანტები ჩაიწერა აპ. ცანავამ 1952 წ. ქიათურაში ნ. ცირკვიძისა და ს. კაანაძისაგან ტყიბულის რაიონში.

ასე მაგალითად, ძნელბედობაზე მწარე გოდებაა ლექსი, რომელსაც ძველი მალაროელი მუშების ცნობით რეაქციის დროს მღეროდნენ:

„მე სიცოცხლეს აღარ ვლი,
ეს შავი კლდე ჩემთვის არის
სიცოცხლის გამწარებელი“¹.

ასე მოთქვამდნენ მეფის, კაპიტალისტების, კულაკების მიერ გაყვლეფილი მუშები. არაფერი აქვს საერთო ამ სიმღერას თანამედროვე, თავისუფალი, ბედნიერი მემალაროე მუშების სიმღერებთან იმავე შავ კლდესა და შავ ნახშირზე. თავისუფალმა მუშამ იცის, რომ მისი შრომით წინ მიყავს სოციალისტური სამშობლო. ახლა იგი სიყვარულით მიმართავს შავ კლდესა და შავ ნახშირს.

რეაქციის წლებში რეპრესირებულ რევოლუციონერთა მიერ საპრობილეში შეიქმნა ხალხური ლექსების მთელი ციკლი. დღესაც კი ამალელებელია ციხის კედლებში შექმნილი მებრძოლი სიმღერები. ციხის კედლებშია შექმნილი აპ. ცანავას მიერ ნემალაროე მუშისაგან ჩაწერილი ბათუმის ქარხნის მუშის. ურიადნიკის მკვლელის გურული მაქსიმე კინჭველადის ლექსი. პატიმარი მუშა სინანულით მიმართავს მის ბედში მყოფ რევოლუციონერებს: „ამხანაგებო, ჩვენ ამ ციხეში ჯალათის ხელით დავლევთ სიცოცხლეს“. მებრძოლ მუშას გათვალისწინებული აქვს მისი სიცოცხლის რწმენა მომავალი გამარჯვებისა. ამ რწმენით არის შთაგონებული მისი ლექსი. უფრო მეტი რომანტიკა ახასიათებს რევოლუციონერი გლეხის მიერ ციხეში შექმნილ ლექსს: „ციხიდან გავსცქერ მთვარესა“². სევდის მომგვრელი სტრიქონები ლექსისა მოწოდებაა ბრძოლისაკენ მტრის შესამუსრაად, თავისუფლების მოსაპოვებლად. საპრობილეში შექმნილ ზოგ ლექსში მეფის ხელისუფლებისადმი პროტესტი გამოხატულია გოდებით ტუსალების მწარე ხვედრზე³.

რეაქციის წლების ამსახველია ძირითადად სათავგადასავლო ხასიათის ხალხურ ნაწარმოებთა ციკლი შინაური კლასობრივი მტრებისა და ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლ გმირებზე. საფირალო მოძრაობა საქართველოში ორ პერიოდად იყოფა. მეორე პერიოდის ფირალები და ყაჩაღები 1905 წლის რევოლუციის

¹ ჩაწერილი 1952, კიათურაში აპ. ცანავას მიერ ს. კახანაძისაგან.

² კიზიყის პოეტური ფოლკლორი ს. მბრალიძის და შ. ლღონტის შვარებილი, 1940, გვ. 26.

³ აღ. ლღონტი, გურული ფოლკლორი, გვ. 109.

შენდეგ გამძვინვარებული რეაქციის წლებში მოქმედებდნენ. ეს გმირები დაილუპნენ უხეშ ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ მათი ნათელი ხსოვნა უკვდავყო ხალხმა საჩონგურო თუ საფანდურო სიმღერებით. ხალხის ხსოვნაში ახლაც ცოცხლობენ უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები: გურული ფირალები — დათიკო შევარდნაძე, სიმონა დოლიძე; ხევსურები — მამუკა გოგოჭური, სადარა არაბული, ქიზიყელი — მიხა ქუქულაშვილი, იმერელი — აფრასიონ მერკვილაძე და მრავალი სხვ.

დათიკო შევარდნაძე 1905 წლის რევოლუციის ერთი აქტიური მონაწილე იყო. რევოლუციის დამარცხების შემდეგ მეფის პოლიციის სასტიკი დევნის გამო იგი ფირალად გავარდა. შევარდნაძე ლალატით მოკლეს მეფის ჯალათებმა 1909 წელს¹. სიმართლის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის თავგანწირული გმირის ბრძოლის მიზანს გეაცნობს 1906 წელს მის მიერვე საკუთარ სურათზე წარწერილი ლექსი. დათიკო შევარდნაძის შესახებ შექმნილ ლექსებსა და გადმოცემებში იგრძნობა ხალხის სიყვარული თავისუფლებისათვის თავგანწირული გმირისადმი.

საკმაოდ ვრცელ ლექსში ხალხს გმირის პირითვე აქვს გადმოცემული მისი მაღალი ზნეობა, ღრმა ჰუმანიზმი, თავგანწირვა სიმართლისათვის².

დათიკო შევარდნაძე შიშის ზარსა ცემდა მეფის პოლიციას. სახალხო გმირი მტერს ხელში ჩაუვარდა ლალატით. მის მოლაღობად ლექსებსა და გადმოცემებში მოსე ქელიძეა დასახელებული. ლექსებისა და გადმოცემების მიხედვით მოსე ქელიძეს შევარდნაძისათვის არაყში საწანლაფი შეუპარებია. საწამლაფით დასუსტებულ შევარდნაძეს შეხვედრია პოლიცია. იმავე ლექსში გადმოცემული ეს ამბავი წარმოგვიდგენს გმირის სრულყოფილ სახეს³. ლექსებს დათიკო შევარდნაძის შესახებ არ ახასიათებთ განსაკუთრებული პოეტური დახვეწილობა, თუმცა მათთვის უცხო არ არის მოხდენილი მხატვრული სახეები.

დასახელებულ ვრცელ სათავედასავლო საგმირო ლექსში სიმბოლიურად არის გადმოცემული გმირის საბრძოლო მიზანი:

ეკალს ძირს მისთვის უთხრიდი,
ხალხს რომ დავფენოდი ვარდათ⁴.

¹ აღ. ლლონტი, გურული ფოლკლორი, გვ. 295; ანტ. ხინთიბიძე, გურული ფირალები, გვ. 91—107.

² აღ. ლლონტი, გურული ფოლკლორი, გვ. 83.

³ იქვე, გვ. 85.

⁴ იქვე, გვ. 82.

ასეთივე ფორმით არის განსახიერებული გმირის ნათელი სი-
ცოცხლის ტრაგიკული დასასრული¹. ხალხური პოეზიის ტრა-
დიციული, მზა ფორმულით არის განსახიერებული მტრის სიკ-
ვდილიც:

დაუბნეღე მზე ერთ ჩაფარს.

ამაღლებული ჰუმანიზმითა და ღრმა ლირიკულობით ხასი-
ათდება საჩონგურო სიმღერები სიმონა დოლიძეზე. ხალხის გად-
მოცემით, სიმონა დოლიძემ მოკლა ჯაშუში ჯიბლაძე, მამასახლი-
სები — წეროძე და კეკელიძე, „ურიადნიკი“, მონაწილეობა მიიღო
ქუცუბერებისა და ჯაშუშ ქიქოძის მკვლელობაში, ორგანიზაციის
დავალებით თავს დაესხა ცარიცინში მიმავალ მატარებელს და
სხვ.² ჯაშუშ ქიქოძის მკვლელობაში მისი მონაწილეობა დასტურ-
დება პრესის ცნობითაც³. სიმონა დოლიძის ხელში ჩასაგდებად
მეფის პოლიციამ ეგზეკუციებითა და ჯარიმებით აიკლო ხალხი⁴.
სიმონა დოლიძე მოკლეს 1911 წელს⁵. გადმოცემებისა და ხალხუ-
რი ლექსის მიხედვით, ნატანებში, სასიმიანდუში მყოფი სახალხო
გმირი გასცა მისმა ახლო ნათესავემ ანდრო დოლიძემ.

სიმონა დოლიძეზე შექმნილი ხალხური ლექსი ყურადღებას
იქცევს მხატვრული ხერხებითაც. საკმაოდ ძლიერ შთაბეჭდილე-
ბას ახდენს მსმენელზე სიმბოლიურად გადმოცემული ლალატი
სიკვდილი გმირისა:

იმედის ძაფი გამოწყდა,
აწ სიცოცხლეს აღარ ველი,
ცხრა ენკენისთვის მესიზმრა,
ვითომ ყელს მეხვია გველი,
ვეცადე, ვერ მოვიშორე,
ისე შემეშალა ხელი.

ხალხის მტრების სიძულვილის განცდას აძლიერებს ხალხური
ეპითეტები ლექსში:

ჯაშუშები აირიენენ, ვითა რწყილი და კორიხა;
ბურკულაძეს გაგვიდნენ ურჯულოები, ძაღლები⁶.

¹ აღ. დლოტი, გურული ფოლკლორი, გვ. 82.

² ანტ. ხინთიბიძე, გურული ფირალები, გვ. 108.

³ „ახალი გზით“, 1910 წ., № 22.

⁴ ანტ. ხინთიბიძე, გურული ფირალები, გვ. 110—111.

⁵ „კოლხიდა“, 1911, № 147.

⁶ ქართველი სახალხო გმირები, ქს. სიხარულიძის რედაქციით,
საბლიტგამი, 1952, გვ. 83—91.

კლასთა ბრძოლის ასახვის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მხატვრულად სრულქმნილი საგმირო ლექსების ციკლი მამუკა გოგოჭურისა და სადარა არაბულის შესახებ¹. ამ გმირების შესახებ ხალხში დაცულია ცნობები:

„სადარა და მამუკა პირაქეთ ხევსურეთიდან იყვნენ. სადარა არაბული სოფელ დათვისიდან, ხოლო მამუკა გოგოჭური სოფელ ბუჩუკურიდან. 1905 წლის რევოლუციის ახლობანს მთა თიანეთში ყაზახები დახოცეს და საწყობიდან იარაღი გაიტაცეს. ბრძოლა გაუმართეს ხალხის მოღალატეს და რუსეთის მეფის ერთგულ უცხო მოხელეებს. სოფლებიდან განდევნეს ისინი. ბოლოს დაეცნენ ხევსურეთის ცენტრს სოფელ ბარისახოს და სროლით აიძულეს პოლიცია, რომ ხევსურეთის მიწა-წყალს გასცილებოდა.

რუსეთის მეფის მთავრობამ ხევსურეთი ეგზეკუციით აავსო. საშინლად აწამეს მშვიდობიანი მოსახლეობა. მოითხოვდნენ ყაჩაღების მოყვანას. სადარა, რომელიც ხალხის გადარჩენის მიზნით თვითონ გამოცხადდა პოლიციაში, ჩამოახრჩვეს, ხოლო მამუკამ თოვლიანი კავკასიონი გადალახა და არხოტში შეაფარა თავი. ეგზეკუცია ყაჩაღს კვალდაკვალ აედევნა. მამუკა მოერიდა არხოტის დარბევას და უკანვე გამობრუნდა. მწვერვალზე ის წინ შემოხვდა თოვლ-ყინვისაგან არაქათგამოცლილს, შეშინებულსა და სულიერად დაცემულ ეგზეკუციას. ეგზეკუციამ, რომელშიაც ადგილობრივი გამცემლებიც ბლომად ერივნენ, ყაჩაღი მამუკა თითქოს ვერ იცნო, შებრძოლებას თავი აარიდა და გზა არხოტისაკენ განაგრძო.

მამუკა ერთხანს კიდევ იბრძოდა ხევსურეთში, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ამ სახით ბრძოლის გაგრძელება დიდ ზიანს მოუტანდა ხალხს, თანაც სიცივემ ფეხის თითები მოაყინა, ამიტომ მან ხევსურეთი დატოვა, გუდამაყარში გადავიდა და სოფელ ბაკურხევში გაატარა ზამთარი. აქვე მკურნალობდა და თან ახალი ბრძოლის გეგმებს ადგენდა.

სულ მალე მამუკამ წინადადების წერილი მიიღო ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ზელიმხანისაგან, — შეერთებოდა მის რაზმს, თუ ბრძოლის გაგრძელებას კვლავ აპირებდა. მამუკამ სიხარულით მიიღო ეს წინადადება. გადაიარა კავკასიონი, გაჰყვა თერგის ხეობას, მაგრამ მოსყიდულმა მეგზურმა, გუდამაყარელმა ჩოხელმა ის პირდაპირ შეიყვანა ჩასაფრებულ ყაზახთა ასეულის რკალში.

¹ აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, გვ. 96—107, 469—476.

მამუკას ამ დროს მხოლოდ პატარა ხანჯალი ჰქონდა ხელთ. ტყვიით დაცხრილულმა სიკვდილის წუთებში კიდევ გამოასალმა რამდენიმე ყაზახი სიცოცხლეს. მოკლეს ძაუგის მახლობლად თერგის ხეობაში, სოფელ ბალთასთან. რამდენიმე თვის შემდეგ ხევსურებმა მისი ძელები მოიპარეს და საკუთარ სოფელში დაასაფლავეს¹.

ხალხურ პოეზიაში სახალხო გმირებისადმი დიდი სიყვარულითა და ღრმა განცდით არის ასახული მამუკასა და სადარას თავგადასავალი, გმირების შეუპოვარი ბრძოლა ცარიზმთან, მათი გმირული სიკვდილი².

სახალხო გმირთა მოქმედება და მეფის მთავრობის უსასტიკესი ღონისძიებანი მათ წინააღმდეგ უტყუერად არის ასახული ხალხურ ნაწარმოებთა ციკლში მიხა კუქულაშვილის შესახებ. მიხა კუქულაშვილი და მისი თანამებრძოლები — ბეგიაშვილი და ოზაშვილი შეუპოვრად იბრძოდნენ შინაური კლასობრივი მტრებისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ისინი იშინებდნენ ზარსა სცემდნენ მეფის პოლიციას. ბოლოს დაიღუპნენ უთანასწორო ბრძოლაში. ამ გმირების შესახებ შექმნილ ვრცელ პოემას, რომლის ცენტრში მიხა კუქულაშვილია, დღესაც ჩონგურის ჰანგზე დასძახის მშრომელი ხალხი. ეს პოემა, ისე როგორც სხვა ლექსები მიხას შესაძებ, ხასიათდება მოხდენილი მხატვრული სახეებით.³

ხალხის ხსოვნაში ცოცხალია სახელი აფრასიონ მერკვილადისა. რეაქციის წლებში აფრასიონ მერკვილადის ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ არის საგანი მუშათა და გლეხთა ზეპირსიტყვიერებისა. ხალხს საყვარელი გმირის პირითვე აქვს გადმოცემული მისი ბრძოლის დიადი მიზანი:

ბევრი ვეცადე, ძირმწარეს
გამოვეთხარე ძირი მე,

¹ ცნობა 1951 წ. მოგვაწოდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტმა, მამუკა გოგოჭურის ძმისწულმა, დავით ლევანის-ძე გოგოჭურმა.

² წინასიტყვაობა კრებულისა „ქართველი სახალხო გმირები“, გვ. 28—31.

³ ქიზიყის პოეტური ფოლკლორი, გვ. XV—XIX და 37—61; ქართველი სახალხო გმირები, გვ. გვ. 31—33 და 92—110.

ცნობილი მოლექსე ივლიანე მერკვილაძე თავის სიმღერა-მოგონებაში 1905 წლის რევოლუციამდე, ახასიათებს სახალხო გმირის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ¹.

ციკლიზაციისა და კონტამინაციის წესით აფრასიონ მერკვილაძის სახელთანაა დაკავშირებული ვაჟკაცის სიკვდილზე შექმნილი საგმირო პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში „ვაჟკაცის სიკვდილი“². საგმირო პოეზიაში ცნობილია მრავალი ლექსი, გამომხატველი ხალხის დიდი სინანულისა სახელოვანი ვაჟკაცის სიკვდილის გამო. ბნელი რეაქციის წლებში შექმნა ხალხმა ბრძოლის ამსახველი ნიმუშები გოდების ჟანრით შექმნილი ლექსებისა, ბალადებისა; სათავგადასავლო ხასიათის ლირიკული და ეპიური ლექსებისა სახალხო გმირებზე. მართალია მეფის ხელისუფლებამ კვეყანა სახრჩობელეებით დაფარა, მაგრამ ამან ვერ მოაღწუნა მშრომელი ხალხის ბრძოლის უნარი, ვერ ჩაახშო მებრძოლი სიტყვა, რისი ერთი საუკეთესო გამომხატველი ქართული ხალხური პოეზიაც არის.

რეაქციის სუსხიან წლებს მოყვა ახალი რევოლუციური აღმავლობა (1912 — 1914), „რაც შესწყვიტა მსოფლიო ომმა, რომელშიც მეფის მთავრობა რევოლუციისაგან თავის დაღწევას ფიქრობდა“. 1914 წელს მეფის მთავრობამ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. მძარცველური ომი გახდა საგანი ქართული ხალხური პოეზიისა. ხალხური ლექსები ომის საშინელებაზე მეტად საინტერესოა ცარიზმის წინააღმდეგ მშრომელი ხალხის ბრძოლის თვალსაზრისით. საქართველოს ყველა კუთხეშია ჩაწერილი ლექსები იმპერიალისტურ ომსა და სალდათობაზე. ამ ლექსებში უტყუვრად არის დახასიათებული იმპერიალისტური ომი, ხალხის დიდი სიძულვილი მეფის მთავრობისადმი, სინანული იმპერიალისტთა ბნელი ზრახვებისათვის ომში წასვლაზე.

ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ იმპერიალისტური ომის საშინელების ამსახველ ლექსებს ახასიათებს განსაკუთრებული მხატვრული სიმართლე და გულწრფელობა. ეს ლექსები შექმნილია ომის უშუალო მონაწილეთაგან.

¹ მთქმელი ჰიათურის მალაროს მუშა ნ. ცირეკიძე, ჩაწერილია აპ. ცანავას მიერ, 1952 წ., ფოლკლორული არქ. № 34114; ვარიანტი ჩაწერილია თ. ენუქიძისაგან.

² ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 270; ქართველი სახალხო გმირები, გვ. 111.

ქართველმა მოლექსეებმა თავიანთ შემოქმედებაში ასახეს საქართველოში ხალხის მტრების — მენშევიკების ხანმოკლე თარეში. ხალხი უდიდესი მძულვარებით იგონებს მენშევიკების მუხანათურ პოლიტიკას მუშებისა და გლეხებისადმი¹.

ამგვარ სურათს იძლევა კაპიტალისტური წყობილების დროს შექმნილი კლასთა ბრძოლის ამსახველი ქართული ხალხური პოეზია. არ არის სწორი მოსაზრება, თითქოს კაპიტალისტური წყობილების დროს დაკნინდა ქართული ხალხური შემოქმედება. ეროვნულმა ჩაგვრამ და შინაური კლასობრივი მტრების წრავალგვარმა მუხანათობამ ვერ დასცა მშრომელი ხალხის მებრძოლი განწყობილება. ეს გარემოება ნათლად აისახა თემატიკურად და ჟანრობრივად მრავალფეროვან ქართულ ხალხურ პოეზიაში. ცხადია, ფეოდალიზმის ეპოქაში შექმნილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშები უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე კაპიტალისტური წყობილების დროისა. გარდა ამისა, მათ შორის არის განსხვავება როგორც თემატიკური, ისე ჟანრობრივი, განსაზღვრული იმ ბაზისით, რომელზედაც თითოეული მათგანი შეიქმნა და განვითარდა. ფეოდალიზმის ხანის დამახასიათებელი მითითური თქმულებებისა და ჯადოსნური ზღაპრების ნაცვლად კაპიტალისტურ ხანაში შეიქმნა და განვითარდა მახვილი სატირული ლექსები და ანეგდოტები, სოციალური ბოროტებისა და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული მუშათა და გლეხთა პოეზია. ამავე ხანაშია შექმნილი ბევრი ნიმუში მახვილი სოციალური მოტივებით დატვირთული საყოფიერო-რეალისტური ზღაპრებისა. პროგრესული იდეების მატარებელი ხალხური შემოქმედება კაპიტალისტური წყობილების დროს თავისებური გზით ვითარდებოდა. იგი იყო შესაფერისი იდეოლოგიური ზედნაშენი იმ ბაზისისა, რომელზედაც შეიქმნა და განვითარდა.

¹ „ლიტ. ძიებანი“, ტ. VIII, გვ. 56.

საბმირო ლექსები

უანრის განსაზღვრისათვის. ქართული სიტყვიერი ხელოვნების ძირითადი დარგების წამყვანი იღეა დასაბამიდანვე იყო ჰეროიზმის უკეთილშობილესი იღეა. ხალხური შემოქმედების განვითარების ძირითადი ხაზი თავიდანვე ორი ძალის — კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება და ბრძოლა იყო. ხალხი ილტვოდა უკეთესი მომავლისაკენ. ამიტომ მისმა ფანტაზიამ ძველიდანვე უსაზღვრო სიყვარულით დაგვიხატა გმირები, რომელნიც შეუპოვრად იბრძოდნენ ბოროტების წინააღმდეგ. ხალხი ალტაცებით უმღეროდა მათ, ვინც თრგუნავდა ბოროტებას და უქმნიდა ადამიანებს ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებას. ასეთ გმირებს ხალხის ფანტაზია აღმერთებდა კიდევაც. საქართველოში და, კერძოდ, ქართველი ხალხის მხატვრულ შემოქმედებაში ძველიდანვე შეიქმნა გმირის კულტი. ქართული პოეტური ხელოვნების დარგებს შორის ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ხალხურ საგმირო ლირიკულ-ეპიკურ ლექსებს. ეს ლექსები საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდნენ სხვადასხვა გარემოში, სხვადასხვა სოციალურ ფენაში, მაგრამ ჩვენამდე ისინი, თითქმის მთლიანად, მოღწეული არიან ფართოდ გაგებული ქეშმარიტი ხალხური ნაწარმოებების სახით. ამ ლექსების ხალხურობის მაჩვენებელია მათში გამოხატული ქართველი ხალხის ღრმა ჰუმანიზმი, ამალღებულ პატრიოტული გრძნობა, ფაქიზი მორალი და ყოველგვარი კეთილშობილური თვისებები. არ არის ძნელი ამ ლექსების თანრობრივი პრინციპით გამოყოფა ჰეროიზმის იღეთ ნაკარნახევ ეპიკური ციკლის საგმირო ნაწარმოებებიდან, როგორცაა, მაგალითად, ამირანიანი; არც საგმირო-საფალავნო ამბებზე აგებული ჯადოსნური ზღაპრებისაგან. მაგრამ

სხვაგვარად დგას საკითხი ამ ლექსების გამოყოფისა საგმირო ხასიათის საისტორიო ლექსებისაგან. საგმირო ლექსები, რომელთაც სიუჟეტი არა აქვთ და წარმოდგენენ მხატვრულ ფორმებში მოცემულ ერთგვარ ხალხურ კოდექსს ვაჟკაცობისა, იდეალს გმირობისა, ადვილად შეიძლება განვასხვავოთ საისტორიო ლექსებისაგან, რა გინდ საგმირო არ უნდა იყონ ისინი. მაგრამ საგმირო-საისტორიო ლექსებისაგან რთულდება ჟანრობრივი პრინციპით გამოვყოთ ისეთი საგმირო ლექსები, რომელთაც სიუჟეტები აქვთ, რომელნიც გარკვეულ ამბავთან ან ფაქტთან არიან დაკავშირებული. ეს ლექსები, ისევე როგორც საისტორიო ლექსები, სინამდვილის ასახვაა მხატვრულ ფორმებში. ამით აიხსნება ზოგი შემკრებ-განომცემლისა და მკვლევარის მიერ ქართული ხალხური სიტყვიერების მასალების კლასიფიკაციისას, ერთ განყოფილებაში შეტანა საისტორიო და საგმირო ლექსებისა¹.

ამგვარ ჟანრობრივ სიახლოვეს საგმირო ხასიათის საისტორიო ლექსებსა და შედარებით უფრო პატარა და კერძო, ხშირად დაუდგენელ ამბებთან დაკავშირებული საგმირო ლექსებისა, გრძნობს მათი შემქმნელი და მატარებელი ხალხიც. ასე მაგალითად, ხევსურეთში, სადაც ძველი ყოფის გადანაშთებთან ერთად ბოლომდე დაცული იყო უძველესი ტრადიცია პოეზიისა, ორივე დარგის ლექსი აღინიშნება ერთი და იმავე ტერმინით სიმღერე². აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე დარგის ლექსები მკიდროდ იყო დაკავშირებული სიმღერა-ცეკვასთან და განსხვავდებოდნენ ჩვეულებრივად წარმოსათქმელი ლექსებისაგან. ამ გარემოებაზე ნიუთითა აკად. აკ. შანიძემ: „ლექსი ხევსურთ ძველებური ვაგებით „სიმღერეს“ საპირისპირო ჟანრია. სიმღერე საგმირო საქმეების წყობილ სიტყვად ასმულ ქმნილებას ჰქვიან და თავისი მუსიკალური ჰანგი აქვს ფანდურზე, ლექსი კი ყოველგვარ სხვა შინაარსის შაირს ეწოდება“³. საგმირო ხასიათის საისტორიო ლექსებისაგან საკუთრივ საგმირო ლექსების გამოყოფას ამართლებს მხოლოდ ის გარემოება, რომ საისტორიო ლექსების

¹ აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული, 1931, გვ. 1—129; ხალხური ლექსები შეკრებილი სევასტი გაჩეჩილაძის მიერ, ხალხური სიტყვიერება, ე. თაყაიშვილის რედ., ნ. 1, გვ. 1—12. თუშური ლექსები შეკრებილი ივანე ბუქურაშვილის მიერ, იქვე, გვ. 49—111.

² დამოწმებულია ჩვენს მიერ პიოჩით ხევსურეთში, 1944 წ. და პირაქეთ :ხევსურეთში ს. წინხადუსა და უჯანა ხადუში 1946 წ.

³ აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, ხევსურული, 1931 წ., გვ. 019.

თემები და სიუჟეტები დიდი ისტორიული მოვლენებია; ლირიკულ-ეპიკური საგმირო ლექსების თემები და სიუჟეტები კი ან კერძო ამბებთანაა დაკავშირებული, ან კიდევ მათში, მოცემული მხატვრული განსახიერების არე არ სცილდება თემის ფარგლებს. თუმცა ეს კერძო ამბებიც ისტორიულ სინამდვილესთანაა დაკავშირებული და მათ ასახვასაც საზოგადოებრივი აზრი და მნიშვნელობა აქვს. ამ პრინციპით არის გამოყოფილი საგმირო ლექსები საისტორიო ლექსებისაგან ქართული ხალხური სიტყვიერების ზოგი ცნობილი შემკრებისა და გამომცემლის მიერ¹. სხვა მხრივ უნრობრივი თვალსაზრისით არ არის არსებითი განსხვავება სიუჟეტის მქონე საგმირო ლექსებსა და საგმირო ხასიათის საისტორიო ლექსებს შორის.

საგმირო ლირიკულ-ეპიკური ლექსების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური სიტყვიერების ისტორიული ბედის გასათვალისწინებლად. მხატვრული განსახიერების თვალსაზრისით ეს ლექსები უფრო დამახასიათებელია გვაროვნულ-თემური წესწყობილებისათვის. ამით უნდა აიხსნას ის, რომ მათი ტრადიცია საქართველოს ბართან შედარებით გაცილებით უფრო ძლიერია მთაში, სადაც დიდხანს შემორჩა გვაროვნულ-თემური წესწყობილების გადანაშთები. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სავაჟაკო კოდექსის გამომხატველი ლექსები ან საგმირო ლექსები, რომელთა სიუჟეტებიც პატარა ან კერძო ამბებთან არის დაკავშირებული, არ იქმნებოდა და ვითარდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შემდეგ საფეხურებზე. ლირიკულ-ეპიკურმა საგმირო ლექსებმა განვითარების გრძელი გზა განვლეს. ეს ლექსები მალალ მხატვრულ ფორმებში გამომხატვენი ხალხის ფაქიზ ნორალსა და გმირობის იდეალს.

საგმირო ლექსების შესახებ და საზოგადოებრივი დანიშნულება

საგმირო ლექსები, ისე როგორც საისტორიო ლექსები, იყო დაუწერელი ისტორია ხალხისა. ამავე დროს ეს დარგი ხალხური პოეზიისა, როგორც გამომხატველი საგმირო იდეალისა, ადამიანის

¹ პ. უმიკაშვილი. ხალხურ სიტყვიერება, 1937 წ., გვ. 5—24 და 87—134; ხალხური ლექსები ქართლში შეკრებილი თედო რახიკაშვილის მიერ, ხალხური სიტყ. ექ. თაყაიშვილის რედაქციით. გვ. 177—194 და კახეთში შეკრებილი. გვ. 372—377; ხალხური ლექსები თედო რახიკაშვილის მიერ ჩაწერილი მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, ხალხური სიტყვიერება, III, გვ. 9—16 და 23—82.

ამაღლებული ზნეობრივი თვისებებისა, იყო ნამდვილი სკოლა, სასწავლებელი განკუთვნილი უკეთესი მომავლისათვის. საგმირო ლექსების სასიმღერო ხასიათი ძველიდანვე ხალხის ცხოვრებაში მათი სერიოზული როლის მაჩვენებელია. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ადრინდელ საფეხურზე სიმღერის როლი ღირსშესანიშნავ მოკლენათა ალბეკდვაში ასე აღნიშნა პოლ ლაფარგა: „Иские песни—единственное средство знакомое некультурным народам и применяемое ими, чтобы сохранить результаты ежедневного опыта и поддерживать память о выдающихся событиях; и, чтобы лучше запечатлеть эту песню в своей памяти, они сопровождают ее равномерными движениями, танцем“¹. ამგვარივე ფუნქცია შერჩათ საგმირო ლექსებს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შემდეგ საფეხურებზედაც. მშობლიური კუთხის დამცველი, სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი, სუსტისა და დაჩაგრულის ქომაგი, ფაქიზი მორალის მატარებელი გმირები ქება-დიდების საგნები ხდებოდნენ. ეს ქება-დიდება გამოითქმოდა ყველგან—შოომის პროცესში, ლხინსა თუ ქირში. ასევე ყოველგვარ გარემოში სრულდება უსიუჟეტო საგმირო კოდექსის გამომხატველი ლექსებიც. ისინი იყვნენ შთანთხავონებელი ხალხისა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ზეიმსა და განსაცდელში.

საქართველოში საგმირო სიმღერებს ასრულებდნენ ყველგან, სადაც კი ხალხი იკრიბებოდა. საგმირო სიმღერები ყოველთვის ამშვენებდა ქართულ ნადიმს სარიტუალო იყო იგი თუ არა. ლხინსა თუ ნადიმში ამგვარი სიპლერების შესრულება არ იყო უბრალო გართობისა და შექცევის საშუალება. ამგვარი ტრადიცია საგმირო სიმღერებისა მათი დიდი საზოგადოებრივი დანიშნულების მაჩვენებელია. ნადიმში საგმირო სიმღერის შემსრულებელი გამოხატავდა თავის გულის ნადებს და ამავე დროს შთაგონებას ახდენდა მსმენელებზე, აღვიძებდა და ანვითარებდა მათში გმირობის შალალ იდეალს. ქართული ეთნოგრაფიული ყოფის შესანიშნავი მკოდნე, დიდი პოეტი ვაჟა ფშაველა ფშაური დღეობის აფხუშოობის აღწერისას გადმოგვცემს: „მივარდნილი კუნჭულებიდან მოისმის სიმღერა ძველებური, მკენესარი; სიმღერა გულსა სწვდება და ნაღველს აღვიძებს“. იქვე პოეტს მოყავს გმირისადმი ხალხის სიყვარულის მაჩვენებელი ლექსი². ქართველ ხალხს

¹ И. Л а ф а р г, Очерки по истории культуры, 1926, გვ. 51.

² ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წუთალები გ. ქიქოძის წინასიტყვაობით და რედაქციით, 1937 წ., გვ. 150.

ძველიდანვე უხდებოდა შეუპოვარი ბრძოლები გარეშე და შინა-ური მტრების წინააღმდეგ. ამით არის გამოწვეული პატრიოტული მოტივების ძირითადი ადგილი ქართველი ხალხის მხატვრულ შემოქმედებაში. პატრიოტიზმი არის წამყვანი მოტივი ქართული ხალხური საგმირო სიმღერებისა. მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა ასე განმარტა საუკუნეებით განმტკიცებული გრძნობა პატრიოტიზმისა: „Патриотизм — одно из наиболее глубоких чувств, закрепленных веками и тысячелетиями основательных отечеств“¹. დიდი ბელადის გენიალური განმარტება ნათელს ხდის ხალხური საგმირო სიმღერების დიდ საზოგადოებრივ დანიშნულებას.

საგმირო სიმღერების ამალღებულმა პატრიოტიზმმა განსაზღვრა მათი როლი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. საგმირო სიმღერებს საქართველოში უძველესი დროიდან ბოლო დრომდე სალაშქრო ფუნქცია აქვთ.

საგმირო სიმღერებს ასრულებდნენ ლაშქრობისათვის განკუთვნილ სახალხო რიტუალებში. ხევისურეთში სარიტუალო პურობის დროს ცალ მუხლზე დაჩოქილი დასტურები ფანდურზე ამღერებდნენ საგმირო ლექსებს. საგმირო სიმღერების ამგვარი ტრადიცია ახსნილი აქვს ეთნოგრაფ ვერა ბარდაველიძეს: „არსებობს კიდევ ერთი ჯგუფი ხევისურული სასიმღერო ლექსებისა, რომლებსაც ამღერებდნენ ფანდურზე ცალ მუხლზე ჩოქით დასტურები ხატის დარბაზში რიტუალური პურობის დროს. ეს სასიმღეროები საგმირო ხასიათის ლექსებს წარმოადგენენ. მათში მოთხრობილია ხატის ყმათაგან ამა თუ იმ ხევისურის მიერ შესრულებული საგმირო საქმეები. ხევისურის ძველი რწმენით, ხატი თავის ყნებს თვით ეხმარება მტრების წინააღმდეგ ლაშქრობაში, მათ წინ მიუძღვის, ან დასახმარებლად თავის „ლაშქარ შწევართ“ დაადევნებს; ხატს ესიამოვნება და ეამაყება, როდესაც მას „კაი ყმანი“ ჰყავს. ანიტომ საგმირო ხასიათის სასიმღეროები ხატში განკუთვნილი იყო იმ „ხტიშვილის გასართობად, სასიამოვნებლად და გულის მოსაგებლად, რომლის სახელობისაც იყო ესა თუ ის ხატი“². სახალხო რიტუალებში დასტურების მიერ შესრულებული სიმღერები გმირებისადმი ხალხის სიყვარულის მაჩვენებელია. სარიტუალო ნადიმში ჩოქით ფანდურზე ამღერებდნენ ლექსს ქის-

¹ В. И. Ленин, т. XXIII, 1936. გვ. 290.

² ვ. ბ. რ. დ. ა. ვ. ე. ლ. ი. ძ. აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიულეების სასულიერო ტექსტები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკვ. 1, გვ. 9.

ტებთან ბრძოლაში დაღუპული გმირის უშიშა ოჩიაურის შესახებ¹. ასევე დასძახონდნენ ფანდურზე სინღერებს თენში განთქმული ვაჟკაცების — კანჯარუა ცისკარაულის, იმავე უშიშა ოჩიაურის, ახიელი ქასას და ბაბლი ჯაბუშანურის შესახებ².

ეს ლექსები მეტად საინტერესოა ხალხური პოეზიის ისტორიული ბედის გასათვალისწინებლად. მათი წამყვანი იდეა გმირის სიყვარულისა, გვაროვნულ-თემური წყობილების დამაბასიათებელი სამშობლოს სიყვარულის იდეაა.

საგმირო სიმღერები შთამაგონებელია მტრის წინააღმდეგ ამხედრებულ ვაჟკაცებისათვის. ამგვარი სიმღერების სალაშქრო ფუნქციას გვაცნობს ალ. ყაზბეგი „ელგუჯას“ ერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდით. ეროვნული თავისუფლების დასაცავად ამდგარი მთიულები საბრძოლო დროშების დამწყალობნების წინ დიდი მოკრძალებითა და ღრმა გრძნობით ასრულებენ საგმირო სიმღერას: „...მოისმა სიმღერის ხმა და გამოჩნდნენ ღეკანოზები ღროშებით, როგელთაც სანასამდინ შეიარაღებული, ქუდმოხდილი კაცი სიმღერით მისდევდნენ. ეს ხმა იყო რალაცა დიდებული, ვაჟკაციური, მაგრამ შემაწუხებელი, რომელიც მომღერლებს შიგ გულის საძირკველიდგან სწყდებოდა და მალალის ბანით მედგრად გადაქცეული ჰაერში გრგვინვასავით გაივლიდა“³.

სალაშქრო ფუნქცია ჰქონდა, მაგალითად, საგმირო სიმღერას „გერგეტულას“. ეს სიმღერა როგორც ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩადან“ ჩანს, სრულდებოდა კლასობრივი თვითშეგნების ამაღლების მიზნით⁴. ცნობილია „გერგეტულას“ შედარებით ახალჩაწერილი ტექსტები⁵.

აღსანიშნავია, რომ საგმირო სიმღერების ტრადიცია ძლიერი იყო ქალებში. საგმირო ლექსებს უპლუროდნენ ქალები ბრძოლის ველზე მიმავალ ვაჟკაცებს. საგმირო სიმღერებს ასრულებდნენ ფერხულში ჩაბმული ქალებიც. ამით ისინი ერთგვარ შთაგონებას ახდენდნენ მამაკაცებზე. რათა თავი ესახელათ სავაჟკაცი საქმეებით. ქალების მიერ საგმირო სიმღერების შესრულების საფუძველს ვაჟა ფშაველა თემურ წყობილებაში ხედავს. დიდი პო-

¹ ჩაწერილი ჩვენს მიერ ხევსურეთში, ს. ახიელაში 1944 წელს 80 წლის უსინათლო მოზუცის გიორგი ოჩიაურისაგან (შერქმეული სახელით — გერგეტულისაგან).

² ჩაწეოილი ჩვენ მიერ ს. ახიელაში 1944 წ. გიორგი ოჩიაურისაგან.

³ ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, I, 1948, გვ. 94—95.

⁴ ალ. ყაზბეგი, თხზულებანი, II, 1948 წ. გვ. 275.

⁵ ს. შაკალათია, ხევი, გვ. 233.

ეტის სიტყვებით: „თემის არსებობა დამოკიდებული იყო ძველად ვაჟკაცებზე, მამაკაცებზე. ნათი გამამხნეველი ბრძოლაში დედა-კაცი იყო. დიაცის ქება მამაკაცთათვის დიდი, ფასდაუღებელი საჩუქარია. ვაჟკაცი ნულამ სცდილობდა ქალების საქებური ყოფილიყო, იმათის დიფირამბების ღირსი. ქალები ხშირად ვაჟკაცებს ვაჟკაცობისათვის ალექსებდნენ კიდევ, ქება-დიდებას უძღვნიდნენ ლექსებში და წაწლადაც გამოჩენილს, გულადს, მუხლადს, მტრისათვის რისხვის მიმცემს ვაჟკაცს იკილებდნენ, მხდალს აძაგებდნენ ფერბულში ჩაბმულნი სათენო დღეობების დროს“. იქვე პოეტს ნოყავს საფერხულო საგმირო ნიმღერები, რომელთაც თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მამაკაცთა გმირული სულის განმტკიცებისათვის¹.

ჩვენამდე მოღწეული ბევრი საგმირო-პატრიოტული ლექსის დასასრული სტრიქონები მიუთითებს იმაზე, რომ ნათი პირველი ავტორები ქალებია. თუშეთზე ლექების თავდასხმის ამსახველი ლექსი, რომლის მიხედვითაც უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა გმირი გიგი, ასე მთავრდება:

ემაჯ ლექსისა მომთქონსა
ქალს ცრემლი მამდის თვალებედა;
გიგის ხელების ნაწვეთი
მალღით ჩამამდის თავზედა.

ფშაველ მწყემსებზე ლექების თავდასხმის ამსახველი ლექსის დასასრულია:

ამა ლექსისა მოთქამი
ვარ რაიბულის ქალიო.
ხელში მიჭირავ ჩხირ-წინდა,
ცრემლით მევსება თვალიო!..

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

საგმირო ლექსებს საპატრიო ადგილი ჰქონდა საქორწილო ლხინში. საგმირო სიმღერების როლი საქორწილო ლხინში კარგად არის აღნიშნული ვაჟა ფშაველას ნარკვევში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“. ფშაური ქორწილის მოხდენილი ადწერა გვაცნობს, რომ საყოფიერო და სატრფიალო სიმღერებთან ერთად მექორწილენი დიდი გატაცებით ასრულებდნენ, ე. ი. ერთი მეორეს „შაუმღერებდნენ“ საგმირო ლექსებს—ბალადებს—„შემომეყარა ყიფჩალი“, „ყაყიჩი შავერდაშვილი“ და სხვ. მონადირეთა ციკლის ბრწყინვალე ნიმუშებს „შვიდ ძმათა, მერვე ბიძასა“ და სავაჟკაცო კოდე-

¹ ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 178—179.

ქსის შემცველ სიმღერებს. ნარკვევში მოყვანილია საქორწილო ლხინის დროს შესრულებული სიმღერების ტექსტები¹. სახელგანთქანი პოეტის ცნობებს და მის მიერ ფიქსირებულ მასალებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიისათვის. ეს მასალები ჩაწერილია ბუნებრივ პირობებში, ფშაურ ქორწილში „შანღერების“ უნუალო პროცესში. თუ რამდენად სანდოა ისტორიისათვის ეს მასალები, ამას გვაცნობს პოეტის სიტყვები: „მეც ამ ქორწილში გახლდით, ყველაფერი ჩემის თვალთა და ყურით გავიგონე, რასაც ფშაულები ამ დროს ლექსებს თუ ანდაზებს ამბობდნენ, ჩუნად ქალაღდი და კარანდაში მექირა და, ვიწერდი პატარა რვეულში. ვგონებ არ უნდა იყოს ურიგო, თქვენ გაგიზიაროთ ეს ლექსები“².

საგმირო პოეზია გენეტიკურად დაკავშირებულია სამგლოვიარო პოეზიასთანაც. გმირის სიკვდილის შედეგ მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად იქმნებოდა ციკლი ლექსებისა. გარდა იმისა, რომ საქართველოში სამგლოვიარო პოეზიას ხშირ შემთხვევაში საგმირო ხასიათი აქვს, ზოგჯერ მოთქმის ინპროვიზაციის ნიმუშებში საგმირო ეპითეტებთან და შედარებებთან ერთად შეტანილია ტრადიციული საგმირო ლექსები. ამის ნიმუშია მთიულეთში ცნობილი კარგი მოთქმელისა და მოტირალის ლევან აფციაურისაგან ჩაწერილი ტექსტი³. ამ ტექსტში გამოყენებულია საგმირო ლექსები: „ისე ვაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“ და „ის უუბნია ღუმმანსა“. ამას გარდა ბევრი ლექსა გმირის სიკვდილზე გოდების ქანრითაა გადმოცემული.

ქართულ საგმირო ლექსებს ჩვენს სინამდვილეშიც ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებასთან ერთად დიდი შემეცნებითი ღირებულება აქვთ.

საგმირო ლექსების ძირითადი ხიუშებები და სახეები

საგმირო ლექსები მათი კოპოზიციის მიხედვით ორ დიდ კატეგორიად იყოფა: სიუჟეტური ლექსები და უსიუჟეტო-სავაქა-ცო კოდექსის გამომხატველი ლექსები.

პირველი კატეგორიის ლექსების კლასიფიკაცია მათი შინაარსის მიხედვით არის მიზანმეწონილი. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ლექსები, რომელნიც სიმარჯლით ასახავენ ზოგადად

¹ ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 54, 68, 78—84.

² იქვე, გვ. 76.

³ ჩაწერილი მთიულეთში 1934 წ. ელენე ვირსალაძის მიერ.

გაგებულ ისტორიულ სინამდვილეს. ეს ლექსები გვაცნობენ ჩვენი ქვეყნის ძნელბედობას წარსულში — უცხო ტომთა თარეშს და ქვეყნის შიგნით სხვადასხვა კუთხის ან თემის წარმომადგენელთა მიერ ერთიმეორის დარბევა-აწიოკებას. ეს ლექსები ორ ჯგუფად იყოფა. ერთ ჯგუფში ასახულია გმირების ბრძოლა საქართველოში მოთარეშე უცხო ტომების წინააღმდეგ. მეორე ჯგუფი ლექსებისა სხვადასხვა კუთხის ან თემის წარმომადგენელთა ერთიმეორის დალაშქვრას გვაცნობს. ცხადია, იდეურად ეს ლექსები თანაბარი ღირებულებებისა არ არის. პირველი ჯგუფის ლექსებში მოცემული ხალხის მსოფლმხედველობა პროგრესულია, რადგანაც ამ ლექსების მიხედვით გმირობა გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაშია გამოხატული. მეორე ჯგუფის ლექსების მიხედვით კი გმირობა მოსაზღვრე კუთხის ან თემის დარბევითაა გამოხატული. ამდენად ამ ლექსებში მოცემული ხალხის მსოფლმხედველობაც შეზღუდულია. მესამე ჯგუფი საგმირო ლექსებისა, რაც აგრეთვე საკმაოდ მრავალფეროვანია, ნადირობის თემაზეა შექმნილი. ამ ლექსების მიხედვით გმირობა კარგ მონადირეობასთან არის დაკავშირებული.

საგმირო ლექსების მეოთხე ჯგუფი გმირების დაბადებასა და სიკვდილზეა შექმნილი.

მოთარეშე უცხო ტომების წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ლექსები

ცნობილია, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართველებს სულს უხუთავდა თათართა აგრესია, მომძლავრებული ლეკიანობა, ქისტებისა და სხვა უცხო ტომების თარეში. ეს გარემოება ნათლად აისახა სხვადასხვა ჟანრის ქართულ ხალხურ ნაწარმოებებში. საგმირო ლექსებში, ისე როგორც საკუთრივ საისტორიო ლექსების დიდ ნაწილში, ამ მწარე სინამდვილესთან არის დაკავშირებული სამშობლოს დაცვის თემა. საისტორიო ლექსებისაგან განსხვავებით, სადაც სამშობლოს დაცვის იდეა დიდ ისტორიულ მოვლენებთანაა დაკავშირებული, საგმირო ლექსებში ეს თემა კერძო ამბებითაა წარმოდგენილი. ამ ჯგუფის ლექსების ძირითადი სიუჟეტებია:

ა) მოთარეშე მტრების მოულოდნელი თავდასხმა სოფლებზე და გმირის ბრძოლა მათ წინააღმდეგ.

ბ) გმირის გამოსარჩლება უცხო ტომთა მიერ გატაცებული ქალებისადმი.

გ) მოთარეშე ტომების თავდასხმა მწყემსებზე. ამ სიუჟეტებზეა აგებული მრავალი ამაღელვებელი, მხატვრულად სრულქმნილი ლექსი. ამ ლექსებში უთანასწორო ბრძოლებთან გვაქვს საქმე, რაც აძლიერებს გმირის იდეალს.

უცხო ტომების თარეში მშვიდობისმოყვარე მშრომელ მოსახლეობაში და გმირების თავდადებული ბრძოლა მათ წინააღმდეგ არის სიუჟეტი ხევსურული ლექსისა „ლეკის ლაშქარი ხევსურეთში“. ახლა ინელდება ზუსტად დათარიღება ამ ლექსისა, ისე როგორც ბევრი სხვა დაუდგენელ ამბებთან და ფაქტებთან დაკავშირებული ლექსისა, მაგრამ იგი საქართველოში ლეკიანობის მომძლავრების ხანიდან, ე. ი. XVII—XVIII საუკ. უნდა მომდინარეობდეს. „სიმღერის მოთქვამ“ ხევსურს რაც შეიძლება დეტალურად აქვს აღწერილი ლეკების შემოსევა ხევსურეთის სოფლებში და მათთვის გზის შეკვრა ხევსური ვაჟკაცების მიერ. ლექსში დაცულია ხევსურეთის სხვადასხვა სოფლის მცხოვრებ გმირთა სახელები¹. ლექსი მომხდარ ამბის უშუალო მონაწილის თუ არა, მისი მომსწრის მიერ უნდა იყოს შექმნილი. ამგვარსავე სიუჟეტებზეა აგებული ლექსები: „ლეკების დასხმა კისტანზე“², „ლეკების დაცემა ლულსა და სნოზე“³ და სხვ. მრავალი.

სამშობლოსა და მოძმის დაცვაზე შექმნილი ლექსები გამოირჩევიან ღრმა ემოციურობით, მდიდარი დინამიკით, მაღალპოეტურობით. ამ თენაზე შექმნილი ლექსების მიხედვით გმირი ხშირად თითონ ეძებს მტერთან შებმის შემთხვევას. საგულისხმოა ამ მხრივ ფშაური ლექსი, ჩაწერილი დავით ხიზანაშვილის მიერ.

ძველი საგნირო ჩვეულების მიხედვით გმირი მიმართავს ხახმატის ჯვარს — ხევსურთა ძველი რწმენით — მეომრის მფარველს. რათა გამარჯვებული გამოიყვანოს მტერთან ბრძოლაში. მოლექსეს პატრიოტული გრძნობის სიამაყით აქვს გადმოცემული მტრის დამარცხება თანამემამულისთვის თავდადებული გმირის მიერ:

ხმლითა სცა ლეკის ბელადსა,
სისხლით მიჰბასრავს მიწასა.

მომდევნო სტრიქონებში გადმოცემულია მტრისადმი შურისძიებით ანთებული ვაჟკაცის სულისკვეთება:

¹ აკ. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 63—64.

² იქვე, გვ. 62.

³ იქვე, გვ. 76.

— ძაღლო, არ წაგაღებინებ
ხელსა მაგ ჩემის ძმისასა,
შენს ხელსაც აიქ მივაკრავ,
თიანეთს კუთხსა ქვისასა!
ნუ მირბი, 'ალი-მაჰმადო,
არ გაგიფერებ სხვისასა,
დაგიბოც ამხანაგებსა,
შენც დაგდებ თოფის ლიშანსა!

წინაპართა მძიმე ტრავედია წარსულში, ოჯახების აწიოკება
უცხო ტომთა მარბიელი რაზმების მიერ, კირისუფალთა დიდი
გლოვა მტრის ხელით დაღუპულ ძვირფას ადამიანზე ღრმა გან-
ცდით არის გადმოცემული ლექსის დასასრული სტრიქონებით:

დედის ერთის სიკვდილი
არა ჰგავ სხვადასხვისასა;
დებსა ნუ შაატყობინებთ.
დებსა იმ მოკლულისასა;
დებისგან მძისა ტირილი
დაქცევასა ჰგავ ცისასა!..¹

უთანასწორო ბრძოლის შემადრწუნებელი სურათია მოცემული
ფშაურ ლექსში, რომელიც გადმოგვცემს თუშეთზე ლეკების თავ-
დასხმას. მოლექსე ჰგოდებს მტრების მიერ ალში გახვეულ ცი-
ხეზე. ამ საშინელ განსაცდელს ცოცხლად წარმოგვიდგენს მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ გააფთრებით მებრძოლი გმი-
რის სიტყვები ცოლისადმი:

წამალი მიწყე წამხედა,
რომ შემოგვაკლდეს ტყვიანი,
ღილი აიჭერ ტანზედა.²

სამშობლოს დაცვის თემაზე შექმნილ ლექსების ციკლს ამშ-
ვენებს პატრიოტიზმის დიადი გრძნობის ვირტუოზულად გამომ-
ხატველი ოთხსტრიქონიანი ლექსი:

ბეთლემის კარზე ჰკიდია
ვოქა ჯურჯაის ფარიო,
მაუელის ომის წადილი,
ხანდახან შასძრავს კარიო.

ეს ლექსი თითქოს ფრაგმენტულია, მაგრამ მას დიდი შინაარსი
აქვს. იგი დიადი აზრის ღრმად გამომხატველია. ეს საგმირო სიმ-
ღერა ცოცხლად წარმოგვიდგენს ვოქა ჯურჯაის — სახელოვან

¹ ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიხანაშვილის მიერ, გვ. 95.

² იქვე, გვ. 48.

წინაპარს, რომელიც უგულვებელყო ისტორიამ, რომლის ცხოვრებისა და მოქმედების დრო ჩვენ არ ვიცით. მხოლოდ ხალხი გვამცნევს, რომ მისი ფარი იფარაჲდა ქართულ მიწა-წყალს, ქართველ ხალხს, ჩვენს კულტურას, ჩვენს დიდებას. ბეთლემის კარზე შეკიდული გმირის ფარი ხალხმა წარმოიდგინა არა მხოლოდ ქვეყნის თავისუფლების ემბლეზად, არამედ მისი განსაცდლის მაცნედაც. ამიტომ არის, რომ ეს ლექსი დიდი გრძნობით იმღერებოდა და იმღერება სხვადასხვა გარემოში.

მრავალრიცხოვანია ლექსები, რომელთა მიხედვითაც პატრიოტი გმირები ექონაგებნიან მტრებისაგან გატაცებულ ქალებს. ამ ციკლის ლექსებიდან აღსანიშნავია „შატილს გადიდდა ხოზობი“. აღმოსავლეთ საქართველოს მთასა თუ ბარში იშვიათია ისეთი მოლექსე, რომელმაც ზეპირად არ იცოდეს კომპოზიციურად იშვიათი ოსტატობით შეკრული ეს ლექსი. ამ ლექსის მიხედვით ქისტებმა გაიტაცეს ფშაველი ქალი. ვაჟა ფშაველას მიერ ჩაწერილი ვარიანტის მიხედვით მტრებმა ქალთან ერთად მისი საქმროც გაიტაცეს¹. ლექსი დასაწყისიდანვე დინამიურია. მისი შინაარსი თავისებურად ვითარდება. პირველი სტრიქონებით დახასიათებულია მტრები, რაც წარმოგვიდგენს იმ დიდ სიძნელეს, რის წინაშეც იდგა მათ წინააღმდეგ მებრძოლი:

შატილს გადიდდა ხოზობი,
გულდიდად დაჯდა ჯარხედა,
დახარდა შუადი წიწილი
არწივის ნაბუღარხედა.
შეიდნივე იყენენ გმირუბი
განთქმული ქისტიტანხედა,
თითო ლომისა სწორია,
ხელი ეკიდათ ხმალხედა.
შეიდთავ უყიდა ჩაჩქნები,
შეიდთავ დაბურა თავხედა,
შეიდთავ უყიდა ფრანგული,
პირი უშინჯა ქვახედა².

მტრის პირითვეა გადმოცემული მისი აგრესიული განზრახვა. „ქისტისტანხედ განთქმული გმირები“ ასრულებენ მამის დავალებას. დიდი გულისტკივილით დახატული ჩვენი ქვეყნის ბედუქულმართობა წარსულში, გატაცებული ქალის მშობელთა მწვავე განცდა გადმოცემული ლექსის პირველ ნაწილში ის ნიადაგია,

¹ ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 104.

² ვ. კ. ტ. ე. შ. ვ. ი. ლ. ი., ხალხური პოეზია, გვ. 114.

რაზედაც ვითარდება ლექსის მეორე ნაწილის გმირული, მძაფრი სიტუაციები. მეორე ნაწილშიც მძაფრი სიტუაციები ერთბაშად არ იწყება. მოლექსე ქმნის განწყობილებას გასაოცარი საგნით ამბების მოსასმენად. ქალის გამტაცებელთა მგზავრობა ეპიკური ტონით არის გადმოცემული:

მიდიან, მიშილინგობენ,
მისაუბრობენ ცდაზედა¹.

გამოჩნდება გმირი თუ არა, იწყება დიალოგი გმირსა და გათავხედებულ მტრებს შორის, ლექსის ეპიკურ ტონს ცვლის ნერვიული მდინარება:

წინ ფშაველ შემოეყარათ,
თხის ტყავი ეცვა ტანზედა-
დადგა და კითხვა დაუწყო:
— „ბასუბ მითხარით წამზედა,
ეგ ქალი საიდან მოგყავთ,
ცრემლი რო მასდის თვალზედა?
— ქალი ახადით მოგყავის,
ბეგარ ავიღეთ ფშავზედა.
— ბეგარს ვინ აგალებინებთ
ლაშარის ჯვარის ყმაზედა?
მოდი, გაუშვით ეგ ქალი,
ნუ გავალთ მუქარაზედა.
— რამ გადაგრია ფშაველო,
რამ შაგაწყინა ჭკვაზედა,
ჩვენ ვართ ხოხობის შვილები
განთქმული ქისტისტანზედა.
ზეცას ფრინველსა ვშინის,
ლომი გაგვირბის განზედა.
შენ წერას აუტანიხარ,
მიტომ გვიდგები შარზედა,
გიჯობს ჭკვიანად წახვიდე,
სანამ თავ გაბამ ტანზედა.
— მეც კი გახლავართ ფშაველი,
არ გაგეჭვევით განზედა,
თუ ეგ ქალ წაგაყვანინოთ,
წვერიც ნუ მსხმია ყბაზედა.

დიალოგს მოსდევს აღწერა უთანასწორო ბრძოლისა. გამარჯვება პატრიოტ გმირს ხვდა. დასამახსოვრებელია ბატალური სცენა. დიდი ხელოვნებით არის განსახიერებული გმირი სუსტისა და

¹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 115—116.

დაჩაგრულის ქომადგი, სამშობლოსათვის თავგანწირული, უთანასწორო ბრძოლაში მამაცი:

შვიდო, იმათ, მარტო ფშაველმა
ხმლები აანთეს წამზედა,
ეგრე ფრინავდა ფშაველი,
ვით შავარდენი ცახედა,
ექვს მათგანს დასკრა თავები,
მკვდარი შაყარა მკვდარხედა,
მეშვიდეს ყურებ დასთალა,
ამბავ მიართვი ჯარხედა.
აჰყარა იარაღები,
ლერწამს აისხა ტანხედა,
თავის იარაღ ქალს მისცა,
უთხრა: დავ, გასწი გზხედა¹.

ამ ლექსის დასასრულის ნიხედვით გნირი ქალის მშობლების წინაშე მალავს თავის ვინაობას. ვაჟა ფშაველას მიერ ჩაწერილი ვარიანტის მიხედვით ეს ეპიზოდი უნდა უკავშირდებოდეს სისხლის აღების მავნე ჩვეულებას², რაც დიდხანს იყო შემორჩენილი საქართველოს მთაში. ეს ლექსი იმ ხანიდან უნდა მომდინარეობდეს, როდესაც შატილში ქისტები სახლობდნენ. ვაჯას განმარტებითაც შატილი ქისტების სოფელია³. ხალხის თქმულებით ქისტები შატილში თამარის მეფობამდე ყოფილან დასახლებულნი⁴. განხილული ლექსის მსგავს სიუჟეტზეა აგებული ლექსი ფშაველ გიგლიაზე. იგი დაკავშირებულია ლეკიანობასთან. ეს ლექსიც მრავალ ვარიანტად არის ცნობილი. ლექსის გმირი ფშაველი გიგლია გაბედულად თავს ესხმის მტრებს და იხსნის გატაცებულ ტყვეებს. ქართული საგმირო პოეზიის ეს ბრწყინვალე ნიმუში განსაკუთრებით მოსწონდა ვაჟა ფშაველას. ეს ლექსია წყარო მისი პოემისა „გიგლია“. დავით ხიზანაშვილის მიერ შეკრებილი ფშაური ლექსების გამო დაწერილ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში პოეტმა აღნიშნა ამ ლექსში მოცემული გმირის იდეალი ხალხის წარმოდგენით: „...თუ გარეშე მტერი მოდის საქართველოზე, მაშინ გმირი საქართველოს მტერს ისევე ებრძვის, როგორც თემის მტერს. წაასხეს ლეკებმა ტყვეები, ფშაველი გმირი მისდევს მტერს, იხსნის ტყვეებს და ჰგზავნის თავთავიანთ ოჯახში: „მშვიდობით დანო, გზახედა“. აი იდეალი გმირისა და ხალხის წარმოდგენით. გმირი ყველას ძმად და მანდი-

¹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 116.

² ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 104.

³ იქვე.

⁴ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 344.

ლოსანნი მისი დებია, — ვინც უნდა იყვნენ იგინი, ოლომც ქართულის სისხლისანი კი იყვნენ. ასე, გმირობა მხოლოდ ნათესაგობისათვის არ არსებობდა ფშავში, იგი იყო საზოგადო, საქართველოს კუთვნილება, — ყველა გაქირვებულის ქართველის ფარ-ხმალი, თავშესაფარი.

„ქალო, ნუ სტირი, ქართლელო,
გიგლია გიზის გზახედა,
თუ ლეკებს წაგაყვანინო,
წვერიმც ნუ მსხმია ყბახედა.
შინამც ნუ მივალ ცოცხალი,
სწორნიმც ნუ დამსხმენ ჯარხედა“.

ფშაველი გიგლია ამას უბარებს ქართლელ ქალს, რომელიც ლეკებს ტყვედ მიჰყავთ... ქართლელი ქალის ტყვეობიდან დახსნას ფშაველი გმირი ვალად იქდევს კისერზე, ისევე, როგორც ფშაველი ქალისას¹.

მტერთაგან გატაცებული ქალის გამოსარჩლების სიუჟეტზე შექმნილ ლექსებში ღრმა ემოციურობით და მაღალპოეტურობით ყურადღებას იქცევს „ნანა თორღეის ქალი“. ამ ლექსის ვარიანტები მთას გარდა ჩაწერილია აღმოსავლეთ საქართველოს ბარში². გათავებდებული მტრის უღმობელობას, ჩვენი ქვეყნის წარსულ ძნელბედობას ატირებული ქალის სიტყვებით გვაცნობს მოლექსე:

ხუთშაბათს თენებახედა
ქალსა დამეცნეს ცანიო.
მე თუშიშვილებ მეგონა,
ლექთ შამამიწყვეს ჯარიო;
ჩამიჯოცნიან ძმა—შინშნი,
მიბრუნვენ სისხლის ტბანიო;
ჯელნ დასჭრნეს, უბეს ჩამისხნეს,
ქალამ დავიჭრენ თმანიო;
მავლიეს ფეჟ-მიშველასა
თვირთვილიანი მთანიო;
ქავთრის მთას გადასაქესა
უკულმა ბრუნებს ქარიო.
ვგ ქარიც არა ყოფილა,
ქალისა ცოდო-ბრალიო³.

¹ ვაქა - ფშავედა, ბიბლიოგრაფიული შენიშვნა (ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ). ვაქა-ფშაველას უცნობი წერილი, „ლიტერატურული საქართველო“, 1941 წ., № 15.

² აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 64 და 426—428;

³ იქვე, გვ. 64.

ბედუქულმართობაში ჩაცვენით ქალებს ანუგეშებდა საგმირო ტრადიციაზე აღზრდილ თანამემამულეთა ხსნის იმედი. ამგვარი მოლოდინი და იმედი, თანამემამულე ვაჟაკთა წმინდა ვალი ისევ ტყვეობაში მყოფი ქალის პირითვეა გადმოცემული ლექსის მეორე ნახევარში:

დავნაყე საყურ-ბეჭედი
მამულთ ულიშენი გზანიო;
წამოვა თუშიშიღლები,
აგებ მაქელან კვალიო.
„..შულამისას მავიდან
ხახონის თოფის ჳმანიო;
დილას დასინჯეთ, ლეკებო,
ხიწვის ნახანჯრალიო!“¹

გატაცებული ქალები ზოგჯერ თითონ იჩენდნენ გმირობას და თავს აღწევდნენ მტრების ტყვეობას. ამგვარ სიუჟეტზეა აგებული თედო რაზიკაშვილის მიერ კახეთში ჩაწერილი ლექსი „გმირო ქალი“. ეს ლექსი ქართველი ქალის შეუდრეკელი გულისა და მამაკობის ამსახველი ერთი საუკეთესო ნიმუშია².

სიუჟეტურად ამგვარ ლექსებს უახლოვდება ქართული ხალხური ბალადის ბრწყინვალე ნიმუში, აღმოსავლეთ საქართველოში ძალიან გავრცელებული ლექსი „შემომეყარა ყივჩაღი“.

ჰეროიკის დიდი პათოსით ეღერს ლექსები მშრომელი ხალხის შვილთა ბრძოლებზე მწყემსებზე თავდამსხმელ თათართა და ლეკების წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყნის ბნელი წარსულის ცალკე ეპიზოდებზე შექმნილი ეს ლექსები დღესაც ამაღლევებელია. ამ ლექსებში მიმზიდველი მხატვრული სახეებით, ხალხის უაღრესად კეთილშობილური სულიერი სამყაროს ჩვენებით გამოირჩევა ვრცელი ლექსი თუში მეცხვარეების—გიგასა და გიორგის შესახებ. ამ ძალიან გავრცელებული ლექსების მიხედვით საზამთრო საძოვრებზე მეცხვარეებს თავს ესხმის ლეკთა მარბიელი რაზმი და გაიტაცებს თორმეტ ფარა ცხვარს. თუში მეცხვარეები — გიგა და გიორგი არ თმობენ დანაკარგს. ლექსში დიდი ექსპრესიითაა გადმოცემული გმირობის ამხედრება მტრის წინააღმდეგ.

— მაშ აქვე მოკვდეს გიორგი;
ცოცხალმა მისცეს ცხვარია.

¹ აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 64—65.

² ხალხური სიტყვიერება, წ. 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 375. ვადაბეჭდილია ქართველი სახალხო გმირობები ქს. სიხარულიძის რედ., გვ. 122—123

ნულარ მინახავს მთა-გორი,
თუ არ მოგაბას მხარია.
შეკმაზა გიგამ ლურჯაი,
ცხენია ნაომარია,
გიგა რომ ლურჯას მოახტა,
ძირიდან უქრის ქარია,
გიგას თან გაჰყვა გიორგი,
მხარზე ჰკიდია ხმალია,
ხელში უჭირავს მათრახი
შვიდეცი, შვიდი მხარია.
გადაჰკრა ლურჯას ბარკალზე,
ბარკალს ააძრო ტყავია.
გაიწი, შენ ლურჯავ ტიალო,
სანამ მიჭრიდეს თვალია,
დამწივე ლეკის შვილებსა,
საით მიუდით ცხვარია.

გმირებმა მტრის რაზმიდან ბევრი გამოასალმეს სიცოცხლეს, მაგრამ ბოლოს დაილუპნენ უთანასწორო ბრძოლაში. მათი სისხლი აიღეს თუშებმა. ლექსის პატრიოტიზმს აძლიერებს ღრმა განცდილთ გადმოცემული გლოვა გმირებზე. ამ გლოვაში აღდამიანებთან ერთად მონაწილეობენ ცხოველებიც:

ფშავმა ჩაიცი შეეები,
ყველამ შასწყვიტა ჩქამია,
აგრე დატირის ჭურანი,
როგორც საყვარელს ქალია.
სამი დღე და სამი ღამე
ვაცმა არ ვასძრა რქანია,
ძალღებიც აგრე ჰგლოვობენ,
თითქო შვილი ჰყავთ მკვდარია¹.

ამ ციკლში შედის ემოციური ლექსი „გიგაის ცოლი“. ხალხს შეუქმნია შესანიშნავი პოეტური სახე გმირი ქალისა. ქართველი ქალის ამალღებული პატრიოტიზმი, გასაოცარი მხნეობა, სულის სიმტკიცე და სიფაქიზე დამაჯერებლად არის დახატული მალა-პოეტური სტრიქონებით. თათრებს მოუკლავთ მეცხვარე გიგა და გაუტაცნიათ ცხვრის ფარა. ქმრის ლურჯაზე ამხედრებული, მისივე საომარი იარაღით შექურვილი ქალი მისდევს მტრებს, მუსრს ავლებს მათ და უკან მოყავს ცხვრის ფარა. ეს ბატალური სცენა დახატულია დინამიური სტრიქონებით:

ქალმა დაჰკივლა თათრებსა —
„საით მიგიდით ცხვარია!“

¹ გ. კ. ო. ტ. ე. შ. ვ. ი. ლ. ი, ხალხურა პოეზია, გვ. 92.

გაიძრო თავის ფრანგული,
გიგას ნაპერი არია.
გაჭკრა, გამოჭკრა თათრებსა,
მინდორს გაშალა თავნია,
კაფა და კაფა ურჯულო,
ქალას ჩაყაოა მკვდარია;
გამოუქეჩა ვაცებსა,
ჩემმს ჩარგვა ცხვარია.

მშრომელი ხალხის ამალღებულ პატრიოტიზმი და ჯანსაღი პატივით დიდი ხელოვნებით არის გადმოცემული ქალის გოდებაში. გმირი ქალი მოკლულ ქმარს შემოარტყამს ხნალს, მის ნეშტს დაასვენებს ცხენზე და დასტირის:

„...ნუ დაიდარდებ, გიგაი,
ცხვარი ჩვენ ხელთვე არია, —
ისე გავუძღვე ცხვარ-ძროხას,
არ მოვაშორო თვალია;
საცა შემოვხვდე ურჯულოს
ფიცხლავ მოვაკრა თავია“¹.

შეცხვარებზე თათრებისა და ლეკების ქურდულად თავდასხმის და მათ წინააღმდეგ ქართველი გმირების ბრძოლების ეპიზოდებზეა შექმნილი ლექსები „ხვედია გულამაყრელი“², „ყაყიჩი შავერდა-შვილი“³ და სხვ. ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის ცალკეულ ეპიზოდებთან დაკავშირებულ ამ ლექსებში დიდი გულწრფელობით არის ასახული მდიდარი სულიერი სამყარო ქართველი ხალხისა.

ლექსები თემთა შორის შუღლზე

თემობრივი წყობილების საფუძველზეა შექმნილი ჯგუფი ლექსებისა ამსახველი თემთა შორის შუღლისა. ამგვარ ლექსებში გამოხატული გმირობა, როგორც აღენიშნეთ, არ არის დაკავშირებული იმ პროგრესულ იდეასთან, რაც ახასიათებს პირველი ჯგუ-

¹ ქიხიყის პოეტური ფოლკლორი, ს. ე ბ რ ა ლ ი ძ ი ს ა და შ. ლ ლ ო ნ ტ ი ს რედაქციით, გვ. 70.

² დ. ხ ი ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ფშაური ლექსები, გვ. 51; ხალხური ლექსები და ზღაპრები შეკრებილი გ. ნ ა თ ა ძ ი ს 1950, გვ. 14.

³ ხალხური სიტყვიერება, ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედ., გვ. 492.

თვის საგმირო ლექსებს. მეორე ჯგუფის ლექსებში გამოხატული მსოფლმხედველობა ხალხისა შეზღუდულია, რადგანაც გამართლებულია ერთი თემის მიერ მეორე თემის დარბევა. ამგვარი ლექსების შემქმნელნი ისევე აქებენ და აღიდეგენ მოსაზღვრე თემის დამრბევს, ამკობენ მას ისეთივე საგმირო ეპითეტებით, როგორც—გარეშე მტრების წინააღმდეგ მებრძოლებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ჯგუფის ლექსების გავრცელების არე არ არის ისე ფართო, როგორც—პირველი ჯგუფის ლექსებისა. გავრცელების არის თვალსაზრისით ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს ციკლი ლექსებისა თილისძეზე. ვაჟა ფშაველას გარკვეული აქვს რეალური საფუძველი ამ ციკლის ლექსებისა. ისინი გამოხატავენ იმ საზიანო შუღლს, რაც იყო წარსულში თუშებსა და ფშაველებს შორის. თუშები თავს დასხმით დასარბევად ფშაველებს. ფშაველებს გაუწყვეტიან თავდამსხმელები. გადარჩენილა მხოლოდ თუშების სარდალი თილისძე. იგი „სამხვეწროდ“ მიდის ფშაველების სალოცაეში — ლაშარის ჯვართან. ფშაველები მკაცრად ხედებიან თუშს. თუში ითხოვს პატიებას.

თუშებისა და ფშაველების შუღლზეა აგრეთვე ნათქვამი ლამაზი ფორმის, მაგრამ სავალალო შინაარსის მქონე ლექსი:

თუშო, ხოშარას ნუ ჩახვალთ,
ხოშარა ეკლიანია,
შიჯ სამნი მგელნი ბუღობენ,
სამნივე ლეკვიანია;
თუ ჩახვალთ, ველარ ამოხვალთ,
გიორგი¹ ეტლიანია².

ასეთივე ამბების ამსახველია აგრეთვე ხევსურული ლექსი „თუშების დაცემა ჯოშარაზე მიცქის ბელადობით“³. ამ ჯგუფის ლექსების ციკლში თავისებურია ხევსურული ლექსი „ფშაველი და შავანელი“. ლექსი ფრაგმენტული ხასიათისა არის, მაგრამ მას მაინც აქვს სიუჟეტი. იგი აგებულია ორი ვაჟკაცის სამწუხარო ბედზე. ტექსტი მოგვყავს მთლიანად:

ერთი ვაჟკაცი ფხოველი
შავ-წყალს საომრად დადგაო,
ადგა და შინ წამოვიდა,
გზას შავანელი შაჰხვდაო.
ჩაჰრეს, ჩაკაფეს ერთურთი,

¹ იგულისხმება წმიდა გიორგი.

² ვაჟა - ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 140—148.

³ აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 57.

მაშველი აღარ შანაო,
კითა მოვიდა ყორანი,
ბაგათ ნაომარს დახყვო.
ჯერა დაითურა სისხლითა,
მერე ლემ კამა, გაძლაო,
ადგა და ისევ წავიდა,
მაგათ ვაგლახი დასცაო:
ორნიე ყოფილან უტკონი!
ერთმ მინც რად არ დასთმაო? ¹

თუ ამ ლექსში მოხსენებული შავანელი ქართველთა ტომის არის, მაშინ მასში გამოხატული მსოფლმხედველობა ხალხისა არ არის შეზღუდული. ლექსში დაგმობილია ვაეკაცთა მიერ ერთიმეორის დახოცვა.

ლექსები ნადირობის თემაზე

მხატვრული განზოგადობის თვალსაზრისით ნადირობის თემაზე შექმნილ ლექსებში გამოირჩევიან „მოყმე და ვეფხვი“ „დათვის სიზმარი“ და „შვიდ ძმათა, მერე ბიძასა“. პირველი ლექსი ბრწყინვალე ნიმუშია ქართული ხალხური ბალადისა. ² საგმირო იდეალის პოეტიზაციით ამ ლექსის მსგავსია „დათვის სიზმარი“. თავისებური პოეტური ხერხით, თვით ნადირობის სიზმრის საშუალებით შედარებულია მშიშარა ვაჟი და უშიშარი მონადირე:

ვაჟი — ქალის პირაი
გორს უკან მემალეობდა;
ვაჟი სვილის ფოთი
ხმალ-და-ხმალ მეტანებოდა;
ხმალ დაძვრა საქორჩეშია,
გონი და გონი მხდებოდა;
ტოტი მეც მოკარ, ბეჩამა,
ვეფხედ ვერც ინი დგებოდა ³.

ლექსში „შვიდ ძმათა, მერე ბიძასა“ გადმოცემულია ბიძისა და ძმისწულების შებმა საშიშარ მაცთან, ძმისწულების მარცხი და ბიძის სახელოვანი გამარჯვება ნადირობაში. ლექსი ყოველგვარი შესავლის გარეშე იწყება ნადირობის მძაფრი სიტუაციით:

შვიდ ძმათა, მერე ბიძასა
ვეფხვი მთით გამოგვეყიდა;
შვიდთავ ვესროლეთ შვიდ-შვიდი,
ვეფხეს ერთიც ვერ მოვიყიდა;

¹ აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 47.

² ამ ბალადას საინტერესო ნაოკვევი მიუძღვნა გ. არაბულმა. იხ. „მნათობი“, 1956, № 11.

³ ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ, გვ. 232.

მერვემ ესროლა ბიძამა,
ვეფხვი ბწყლით გადმოგვიდა.

ხალხის იდეალით ვაქეცისათვის დიდი სირცხვილია, თუ მიზანს ააცდინა და ნადიროი ვერ მოკლა. ამგვარი იდეალის პოეტრიზაცია დამარცხებულ მონადირეთა პირით არის მოცემული ლექსის დასასრულს:

შვიდნივამც ქალად გვაქცივნა,
ცუდაიმც კმარად აგვიცადა,
ეს ჩვენი თოფ-იარალი
ქალას მურყანხედ დაჰკიდა,
ანამც ხუცესად გვაქცივა,
ყელხედ ოლრები ჩაგვიცადა!..¹

ლექსები გმირის დაბადებასა და სიკვდილზე

ქართულ ხალხურ პოეზიაში არის ციკლი ლექსებისა, რომელშიაც არაჩვეულებრივად არის წარმოდგენილი გმირის დაბადება და სიკვდილი. ამ ლექსებს აქვთ ერთი საერთო ნიშანი, რაც იძლევა საბაბს მათი ამ ნიშნით განხილვისა. ამ ლექსებში გმირი ნახევრად ღვთაებრივ არსებად არის წარმოდგენილი. ამ უძველეს წარმოდგენას ხალხის ყოფაში ჰქონდა საფუძველი. ერთის მხრით მოთარეშე მტერთაგან შეწუხებული და მეორეს მხრით შიგნით თემთა ერთი მეორის დარბევით აფორიაქებული ხალხი თავისი ფანტაზიით მითიური ელფერით მოსაგვდა მას, ვინც იფარავდა სუსტსა და დაჩაგრულს. ამგვარ რჩეულებს ხალხის წარმოდგენით თან დაყვებათ ბევთარი თუ საომარი იარალი. ხევსური მოლექსე ასე გვაცნობს ვაჟს, რომელმაც უნდა „დალაჯნას მთა-წყერნი“:

ახალა მგელაის შვილი
კაც დაიბადა რაფერი?
დაბადების დღეს გამაზყვა
ოქროს პერანგი საცმელი ².

არაჩვეულებრივი დაიბადა ხალხის წარმოდგენით თორღვა:

დიდებულობა დაუთქვეს,
ბეჭებს უნახეს ჯვარიო.
მარჯვნივ მხე წერებულიყვა,
მარცხნისკე, მთვარის ნალიო ³.

¹ ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ, გვ. 50.

² აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 108.

³ იქვე, გვ. 16.

ამგვარი მოტივი ბოლო დრომდე შერჩა მთის საგმირო პოეზიას.
უხეში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ გმირს ასე მი-
მართავს მოლექსე:

აიჩან, ოჟიაშვილო,
კაცი აღარ გყავ ბადალი,
დაბადების დღეს გამოგყვა
მჯართ თოფი, კელში ხანჯარი¹.

ზემოთ განხილულ ლექსებში ენახეთ, თუ რა დიდ გლოვას იწვევს
ხალხში მტრის წინააღმდეგ ამიედრებული გმირის სიკვდილი. გმი-
რის სიკვდილი არის თემა ლექსების ციკლისა. ამ ლექსების მი-
ხედვით ხალიი სასიკვდილოთ ვერ იმეტებს სამშობლოსა თუ თე-
ნის მფარველს. დამახასიათებელია ამ მხრავ ლექსი:

ცოდნა მოკვდეს ვაჟაკი,
უდროოდ მოიშალოსა,
იმისი კობტა ულუაწი
შავს მიწას მიფუაოსა.

ნთელი რიგი ლექსებით ვაჟაკი გამარჯვებისა და გამძლეობის
მტკიცე რწმენით არის სავსე. ხალხის წარმოდგენით იგი სიკვდილ-
შიაც-კი სიცოცხლეს გრძნობს. არაჩვეულებრივი სიძლიერითაა მო-
ცემული გამძლეობის ვაჟაკური რწმენა ლექსში „ვაჟაკის სიკვდი-
ლი“². გმირის სიკვდილით გამოწვეულ დიდ უბედურებას ღრმად გაგ-
ვაცდევინებს ხევესურთა გმირის ხოგაის მინდიაზე შექმნილი ლექსი.
ჭირისუფლებთან ერთად ბუნებაც კი გლოვობს ხალხის სა-
ყვარელ გმირს:

ხოგაის მინდი კვდებოდა,
მხე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა პეხდა, მიწა გრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა,
ჩამოდრიოდა მასკლაევი,
მთვარეც უკულმა დგებოდა,
ქორ-შაეარდენი, არწივი
სუ მბრებით იაოშებოდა.
მალლის კიუზის ნადირი
სატირლად ფშადებოდა,
ცხენი იმისი ტიალი
ლურჯა ტოტხედა დგებოდა³.

ესა და ამის მსგავსი ლექსები გვაცნობენ გმირის სიყვარულით
გამთბარ ხალხის დიად სულსა და გულს.

¹ აკ. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 104.

² ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, 270.

³ იკვე, გვ. 125—126.

ქართულ ხალხურ საგნებში პოეზიაში გამოირჩევა ლექსები, რომელთაც სიუჟეტი არ აქვთ, არ არიან უშუალოდ დაკავშირებული რაიმე ამბავთან ან ფაქტთან და გამოხატავენ საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ ხალხის იდეალს გმირობისა. ამ ლექსებში მალაქმანობის ფორმებში მოცემულია ერთგვარი სავალდებულო კოდექსი ქვეყნის ვაჟობისა. ხალხის შეხედულებით ვაჟობა მალაქმანობის ზნეობრივი თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოებული, მას თავგანწირვით უნდა უყვარდეს სამშობლო; უნდა ჰქონდეს უნარი თავგანწირვით, გაბედულად გაილაშქროს მტრის წინააღმდეგ; უნდა იყოს კარგი მხედარი, რომელი ფიცხელი და სამშვიდობოს დინჯი; ახასიათებდეს კეთილშობილება, მეგობრისათვის თავდადება, უნდა იყოს დაჩაგრულთა და სუსტთა ქომაგი, იცოდეს მისი დამამშვენებელი საომარი და სანადირო იარაღების ხმარება. ხალხის ამგვარი შეხედულების საფუძველზე შემუშავდა ხალხური პოეზიის საგნობრივ-სარაინდო მოტივები. ხალხური პოეზიის ამგვარი მოტივების წარმოშობა-განვითარება ვაჟა ფშაველამ თენიურ წყობილებას დაუკავშირა¹. გვაროვნულ-თემური წყობილება მართლაც აძლევდა ხალხის ფანტაზიას გასაქანს საგნობრივ სიმღერების შესაქმნელად. შეიძლება ამით აიხსნას ის გარემოება, რომ საგნობრივ პოეზია საქართველოს მთიან ადგილებში, იქ სადაც დიდხანს შემორჩა გვაროვნული წყობილების გადმონაშთები, განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია.

აკაკი შანიძემ სამართლიანად აღნიშნა „ხევსურული პოეზიის ძირითადი თემა მამაცობაა ანუ გმირობა“², რომ მთიელისათვის სავალდებულოა „ფარ-ჯმალის კარგად ხმარება, თავის დადება, გმირობის გამოჩენა, კაი ყმობა, ველად გასვლა, ცდა და სახელის მოტანა“³. ბარის მოლექსენიც-კი აღნიშნავენ მთიელთა არაჩვეულებრივ გმირობას. ქართულ პოეზიაში ასეთი გამოხატული მთიელის რაინდული შეუპოვრობა:

„მთიულო, მთაში გახრდილო,
ხმაღს როდის მოგიშვიდება?
ომში შეხვალ და გამოხვალ,
გული არ შეგიშინდება,

¹ ვაჟა-ფშაველა, გმირის იდეალი ფშაურის პოეზიის გამოხატულებით; მისივე: ფშაველი დედაქალაქის მდგომარეობა და იდეალი ფშაურის პოეზიის გამოხატულებით, ეთნოგრაფიული წერილები ან ტ. VII, 1956.

² აკ. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1931, გვ. 06, 026.

³ ხალხური სიტყვიერება, 1, ექ. თაყაიშვილის რედ., № 3, 190.

არ იცი უკან დახევა,
გული რო გაგიხურდება .

ქართულ პოეზიაში ასახულია მთიელი გმირის ჩივილი უთანასწო-
რო ბრძოლაში დაქრის გამო:

მთიდან მოსული ვაჟაკი
გეხელ-ქორივით კიოდა,
თავი ხძლით ჰქონდა დაქრილი,
გულს სისხლი გადმოსდიოდა .
სანოცი ლეკი მოეკლა,
უვაჟაკობას ჩიოდა ¹.

საგმირო პოეზიით არც საქართველოს ბარია ლარიბი. ქარ-
თული ხალხური პოეზიის მიხედვით გმირს ევალება სამშობლოს
უანგარო სიყვარული, მის სადარაჯოზე ფხიზლად დგომა და სა-
კირო შემთხვევაში მისთვის თავგანწირვა. ამგვარ პოეზიას მებ-
რძოლი ხასიათი ჰქონდა. ის იყო საშუალება არა მხოლოდ სი-
ნამდვილის ასახვისა, არამედ — უკეთესი მოწვევის შექმნისაც.
საუკუნეების მანძილზე შემუშავებული სავალდებულო პირობა ვა-
კაცობისა მშვენიერად არის გადმოცემული მრავალ საგმირო
ლექსში. საგმირო ტრადიციაზე აღზრდილი ხევსური მოლექსე ასე
არიგებს ახალგაზრდა ვაჟს:

ვაჟსა შენისთანასა
განა თუ აგრე სმა უნდა?
დილას ადგომა ადრიან,
გრილსა რკინასა სხმა უნდა;
აყფდებოდის ქობაქი,
სოფელს სიმირგვლივ ვლა უნდა.
სოფელს მავიდას მოძალე,
სხვათ ნამეტნავად ცლა უნდა ².

ხალხური პოეზიის სავაჟაკო კოდექსით სამშობლოს დამცველი
არ უნდა შეაკრთოს მრავალრიცხოვანმა მტერმა. იგი არ უნდა
დაიბნეს უთანასწორო ბრძოლებში. საგმირო ლექსებში მოცემუ-
ლია ერთგვარი სტრატეგიული წესებიც კი, რითაც უნდა ხელ-
მძღვანელობდნენ მტრის წინააღმდეგ ამხედრებული ვაჟაკები.
ფშაველი მოლექსე ამხნევეებს და არიგებს მებრძოლს:

ნუ გაუტყდები მოყმეო,
გაბეგრებასა მტრისასა,
გავლა-გამოვლას ეცადე,
რიგობას სოფლებსისა ³.

¹ ხალხური სიტყვიერება, I, ექ. თავი ა შვილის რედ., № 3, 193.

² აკ. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 120.

³ ხალხური ლექსები თედო რ ა ხ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ ჩაწერილი, მიხ.
ი ქ ვ ა ნ ი ს რ ე დ ა კ ტ ი ი თ, ხალხური სიტყვიერება, III, 1953, გვ. 52.

ერთგვარი სკოლა იყო ხალხისა ციკლი ლექსებისა, რომლებშიაც ისმის მტერთაგან აკლებულ ქვეყნის შეილთა მდგარი ხმა მომავალი გამარჯვების ურყევი რწმენით. ქართველი ხალხის ამალღებული პატრიოტიზმის გამომხატველია როგორც მთაში, ისევე ბარში მეტად გავრცელებული სიმღერა:

კიდევაც დაიხრდებიან
აღგეთს ლეკები მგლისანი,
ისე არ ამოწყდებიან,
ჯავრი შეჭამონ მტრისანი.

ლექსების ციკლი გვაცნობს მტრებისაგან სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდნილ წინაპართა გმირულ სულისკვეთებას. გამარჯვების მტკიცე რწმენა, იმედი იმისა, რომ მომავალი გმირები აინაზღაურებენ საწმინდოს საკეთილდღეოდ დაღვრილ წმინდა სისხლს წინაპართა. გამოხატულია ვაგა ფშაველას მიერ ჩაწერილი ლექსის გულმართალი სტრიქონებით:

ის უბნია დუშმანსა
„ღარ არიან! წახდესო“.
ის კი აღარვის უთქომის,
თუ ლომს ლეკები დაჭრესო.
აისხას იარაღები,
სამტეროს ვახე შადგესო,
ისავე მოიდენ ცოცხალნი,
მამის კერაზე დასხდესო¹.

ამგვარი ლექსები არა მხოლოდ გამოხატავენ სამშობლოს სიყვარულს, ისინი აგრეთვე აღვივებდნენ და ანვითარებდნენ ამ უდიდეს გრძნობას.

სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობა იყო სტიმული იმისა, რომ ქართველმა მოლექსეებმა გამოკვეთეს გმირის მონუმენტური სახე. შესანიშნავი პოეტური ხერხებით, მეტაფორებითა და შედარებებით დაახასიათეს ვაჟკაცის თვისებები და გარეგნობა. ამალღებული პატრიოტიზმით არის შთაგონებული იშვიათი ოსტატობით შეკრული ქართველი ხალხის საყვარელი სასიმღერო ლექსი:

ვაჟკაცა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა მისაო,
თვალნი ქორებულ მხედვანი,
მუხლები შავარდნისაო.

საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და განმტკიცდა საგმირო იდეალი — ჯანსაღი ოპტიმიზმი, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში

¹ საქართველოს სსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება, ფ. ს-5318.

შეუდრეკლობა — სიმამაცე, იარაღის მოხდენილად ხმარება. ხალხი-
გმირის პირითვე გადმოგვცემს მის საამაყო თვისებებს:

ჯავრო, არ მოგცემ ნებასა,
გულო, არ დაგაშავებო,
მტერო, არ შეგეპუები,
ხმალო, შენ გაგაფხალებო¹.

გასქერი, ხმალო და მკლავო,
გულო, ნუ შემიშინდები,
სისხლისა ნაგუბარხედა
ფეხო, ნუ დამიტურდები².

ვაჟკაცის ღირსებას საომარი იარაღების გამოყენებაც გან-
საზღვრავს. ქართველმა ხალხმა მალაპოეტური ლექსით გამოხა-
ტა გმირობის ამგვარი იდეალი:

მაშინ კარგია კაი ყმა,
ხმალი რო იხამს ელვასა,
მოციქულობდჳა ისარი,
შუბი აქრევდეს ენასა³.

გმირს არ უნდა ახასიათებდეს მედიდურობა, ამპარტავნობა, თავ-
მომწონეობა. ხალხი კიცხავს მას, ვინც ცდილობს სამშობლოს
მოაჩვენოს თავი გმირად. ქეშმარიტ გმირს გამოაჩენს ბრძოლის
ველი, სადაც საკირთა მკლავის ძალა და საომარი იარაღის მო-
ხმარება. გმირულ თვისებებს ამტკიცებდა თაობებში იმგვარი ლექ-
სები, როგორიცაა:

ვაჟკაცს არ გამოადგება
სოფელს შვენება თავისა,
ხმალს უნდა აქრევიებდეს,
იმედი ჰქონდეს მკლავისა⁴.

აგრესიისა და სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძო-
ლებში იქმნებოდა ლექსები, რომელთა მიხედვით ვაჟკაცს სამშვი-
დობოს რაინდული კეთილშობილება და სიდინჯე მოეთხოვება,
ბრძოლის ველზე-კა გახელება.

ვაჟკაცს უნარი უნდა ჰქონდეს გახელებისა. საგმირო პოე-
ზიის მიხედვით არ არის ვაჟკაცი ის, ვისაც ეს უნარი არ გააჩნია.
მრავალგვარ გარემოში სრულდებოდა და სრულდება სიმღერა:

¹ ფშური ლექსები შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ, გვ. 121.

² ჩაწერილი ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ, ხალხური სიტყვი-
ერება, I, იქ. თაყაიშვილის რედ., გვ. 190.

³ იქვე, გვ. 190—191.

⁴ იქვე, გვ. 221.

ყმა უმღერელი არ ვარგა,
კაბუჯი უხელებელი,
კაბუჯსა უხელებელსა
კალი სჯობ უხსენებელი ¹.

ხალხის წარმოდგენით ვაეკაცი მხოლოდ ღირსეულ მოწინა-
აღმდეგეს უნდა შეებას. ხალხური წარმოდგენა ვაეკაციის სიდარბა-
ისლისა ასე დაახასიათა ვაეა ფშაველამ: „გმირი თავს არ უნდა
იმსუბუქებდეს და ვაეკაცობას კვეციანურად უნდა ხმარობდეს.
გმირმა თავის ძალ-ლონე წარამარა საქმეს არ უნდა შეალიოს,
უბრალოდ არ დახარჯოს, არ დაახურდავოს. დიდი, საგმირო
საქმე როდესაც გაჩნდება, მაშინ უნდა იკრას ხმალებდ ხელი“ ².
ვაეას საილუსტრაციოდ მოყავს ხალხის ამგვარი იდეალის გამომ-
ხატველი მის მიერ ფიქსირებული ლექსი:

მთას ვიყავ, ცივი წყარო ვსვი,
ბარად ჩამოვედ — მაჭარი...
ძვირად გაჯიდი სიყმეო,
თუ ამიჩნდება ვაჭარი! ³

ქართული ხალხური პოეზიის მიხედვით ბრძოლის ველზე გმირს
ევალება განსაცდელში ჩავარდნილი თანამებრძოლისათვის დახმა-
რების აღმოჩენა.

მეგობრის მოღალატეს წყევლა-კრულვით იხსენიებენ მოლექ-
სენი და უქადიან მას ვაეკაციისათვის ყველაზე მკაცრ სასჯელს:

სწორს სწორის მოღალატესა
ხინძიმც წყლად ჩაუცვივიან,
მშვილდიმც გაუგლეჯს სამბურსა,
ისარნიმც ჩაუცვივიან ⁴.

გმირი-კაი ყმა მონადირეობითაც უნდა იყოს განთქმული,
ნადირთან შეებმა მხოლოდ უშიშარსა და მამაცს შეუძლია. მონა-
დირეთა ეპოსს ამშვენებს ამგვარი სავაეკაციო იდეალის შემცველი
ლექსები. ცუდ ყმას ასე მიმართავს მოლექსი:

შენ იქ ვერ წაბოლ, ცუდაო,
საცა ჯიკვ დავა რქიანი,
მოხეს, სისოურთ დანალევს
ყმა უნდა სახელიანი ⁵.

¹ ფშავური ლექსები, დ. ხ ი ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ შეკრებილი, გვ. 211.

² ვ ა ე ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 172.

³ იქვე, ან ტ. VII, გვ. 68.

⁴ ფშავური ლექსები, შეკრებილი დ. ხ ი ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ გვ. 149.

⁵ იქვე, გვ. 123.

ქართულ ხალხურ პოეზიაში გამოხატული საგმირო იდეალით ვაე-
კაცს კარგ მხედრობასთან, საომარი იარაღების მოხმარებასთან
და მონადირეობასთან ერთად ევალება იყოს მშრომელი, ფაქიზი
მორალის მატარებელი, ლამაზი ოჯახის პატრონი და პუოადი.
მოლექსე შეხარის მათ, ვინც დაჯილდოვებულია სანატრელი,
მზისდარი თვისებებით.

ნერავ თქვენ. ქურახის შვილნო!
სამი მზე მავ თქვენხედა.
ერთი მზე მამაცობისა,
მტერ ვერ დაგიდაცთ ძალხედა,
მეორე ნადიროზისა,
ჯიშენ ვერ გაგივლენთ მთახედა
მესამე პურადობისა.
სუ სტუმარ გისნავთ სკამხედა¹.

ხალხი ქეშმარიტი გმირისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ
ზნეობრივ სიტუაციხეს. ამ მოთხოვნილებას გამოხატავს ლექსი:

ვაჟაკო, გულო ჯამარდო,
აბჯარი გინდა ხისაო,
ხარი, კამეჩი თავისი,
ცოლი რა გინდა სხვისაო?²

ამგვარი ხასიათისა და შინაარსისაა სავაჟაკო კოდექსის შემცვე-
ლი ქართული ხალხური საპიმღერო ლექსები. ეს ლექსები საინ-
ტერესოა არა მხოლოდ ისტორიულად, მაღალ-მხატვრულ ფორ-
მებში გადმოცემული წინაპართა საგმირო იდეალის გასაცნობად,
ისინი საინტერესოა ჩვენს თანამედროვე მჩქეთარე ცხოვრებასთან
დაკავშირებითაც. ამ ლექსებს დღეცდღე შერჩათ შემეცნებითი ლი-
რებულება, დიდი ქმედითი ძალა. მათ გარკვეული როლი აქვთ
კომუნიზმის მშენებელ ადამიანთა მაღალი მორალის განმტკი-
ცებაში.

ქართული ხალხური საგმირო ლექსების კოეტიკის საკითხები

ის გარემოება, რომ ხალხური შემოქმედების პოეტის სა-
კითხები ნაკლებად არის შესწავლილი, ართულებს ხალხური სა-
გმირო ლექსების მხატვრული ფორმის თავისებურების გარკვევას.
მაინც შეიძლება აღინიშნოს ზოგიერთი პოეტური თავისებურება
ქართული ხალხური საგმირო ლექსებისა. ამ საკითხს განსაკუთ-
რებით საინტერესოს ხდის ის გარემოება, რომ საგმირო ლექსებს,

¹ ა. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 477.

² ხალხური სიტყვიერება, I, ვკ. თაყაიშვილის რედ., გვ. 217.

სატრფიალო ლირიკის ნიმუშებთან ერთად, ახასიათებს მაღალ-მხატვრულობა, პოეტური სახეების სიმდიდრე და დახვეწილობა. საგმირო ხალხური ლექსები დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის ისტორიასთან და ასახავენ თუმცა დაუდგენელს, მაგრამ მაინც ცალკე ამბებს ამ ისტორიისა. ამდენად ეს ლექსები, რაგინდ ძლიერი არ უნდა იყოს მათში მოვლენის ან ფაქტის პოეტიზაცია, მხატვრული მეთოდით რეალისტურია.

ქართული ხალხური საგმირო ლექსების სიუჟეტების, თემატიკის და სახეების სიმდიდრე იწვევს მათი პოეტური ფორმების მრავალფეროვნებას. კომპოზიციის მიხედვით ეს ლექსები ორ დიდ კატეგორიად იყოფა: სიუჟეტიანი და უსიუჟეტო ლექსები. პოეტურ გვართა მიხედვით ორივე კატეგორიის საგმირო ლექსების სახით ლირო-ეპიკასთან გვაქვს საქმე. თხრობის ეპიკას ლექსებში ცვლის ემოცია-ლირიკა. ამ ლექსებში მოვლენის უბრალო აღწერასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ამ მოვლენისადმი მთქმელის დამოკიდებულებასთან, რაც ლექსს ერთგვარ ნერვიულ მდინარებას აძლევს. პირველი კატეგორიის სიუჟეტებიანი ლექსების შინაარსი ამ გარემოების გამო მძაფრი სიტუაციებით ვითარდება. ამის საუკეთესო ნიმუშებია „შატილს გადიღდა ხოხობი“, „ფშაველი გიგლია“, „ნანა თორღვაის ქალი“, „გიგა და გიორგი“, „გიგაის ცოლი“ და მრ. სხვა. ამ ლექსების დიდი ნაწილი ნოველისებური სიუჟეტითა და კომპოზიციური მთლიანობით ბალადის ჟანრისაა. ასეთებია დასახელებული ლექსები, რომელთაც საგმირო ბალადები შეიძლება ეწოდოს. პირველი კატეგორიის ლექსების გარკვეულ ნაწილს-კი უფრო მარტივი კომპოზიცია აქვს, ვიდრე ბალადებს. ასეთია მაგალითად, თილისძეზე შექმნილი ლექსების ციკლიდან ზემოთმოყვანილი „თუშნო, ნუ ჩახვალთ ხოშარას“. ასეთებია აგრეთვე ბრძოლაში დაღუპულ გმირებზე გოდების ჟანრით შექმნილი ზოგი ლექსი: როგორიცაა:

ლომო, შე ლომის მოკლულო.
ბუსნი-ჭალაის პირსაო!
ვინ შეგიღება წითლადა
მხარ-ბეჭი პერანგისაო.
ვინ გაგიმეტა სათოფრად
პატრონი ბევრი ცხვრისაო,
ჯავრისგან დაგიღრუჯია
კბილები ბროლებისაო,
ლამაზად დაგიტირებდი,
ხათრი არ მქონდეს ქმრისაო!..¹

¹ ვ. კ. ო. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ხალხური პოეზია, გვ. 66.

მეორე კატეგორიის — უსიუჟეტო, სავაჟკაცო კოდექსის გამომხატველი ლექსების ერთი ნაწილი ხალხური შაირის ტრადიციული ფორმითაა შექმნილი. ეს ოთხ ან ექვსსტრიქონიანი ლექსები ხშირ შემთხვევაში შეკრულია პარალელიზმებით: ასეთებია მაგალითად ლექსები:

სიმღერას ბანი ამშვენებს
წაღკოტსა — ვაშლი წითელი,
ვაჟკაცსა — ფარი და ხმალი,
გაილამაზოს კისერი¹;
ღვინო — კი მათრობელი სჯობ,
ძალი — თოხზედ მუყფარი;
ვაჟკაცი წყნარი სჯობია,
რო გაკირდება — მკეხარი;
არც ვარგა ქალთა მიმყოლი,
ჩალად არა ღირს მკეხვარი...²

და სხვ.

შაირის ფორმა სავალდებულო არ არის უსიუჟეტო საგმირო ლექსებისათვის. ამგვარ ლექსებში საგმირო კოდექსი განმხატვლია სხვადასხვა ფორმითა და იერხით. ერთერთი დამაბასიათებელი ხერხი ამგვარი ლექსებისა ნატერაა. ნამღვილი ვაჟკაცობის — მამაცობის, ნადირობისა და პურადობის იდეალი ნატერიითაა გამოხატული ხევსურულ ლექსში³. ფშაურ პოეზიაშიაც გვხვდება ამავე ხერხით გამოხატული იდეალი გმირისა:

ცხენ-კარგის დედას დაენატრი:
ლაშქარს წინაწინ წადგება!
მემრე თოფ კარგის დედასა —
ერთის ნასროლით დარჩება!
მემრე ცოლ-კაოგის დედასა —
ქმრის სწორთ ლამაზათ დაჰხვდება?⁴

სავაჟკაცო კოდექსის გამომხატველად ქართულ ხალხურ პოეზიაში შეკითხვის ფორმაც არის გამოყენებული:

ყმაწვილო ბეწიკუაო,
დარბაისლობა იცია?
წინ ჩასულა, უკვენ ამოსულა,
ჩაშველები იცია?
დაგეკრა სწორ-ამხანაგი,
ჩასულა-მაშველა იცია?⁵

¹ ხალხური სიტყვიერება, 1, ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დ., გვ. 221.

² ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ, გვ. 209.

³ ა. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 477.

⁴ ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ, გვ. 138.

⁵ ა. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 121.

უსიუჟეტო ლექსებისათვის უცხო არ არის დიალოგის ფორმაც:

დათო. თქვი, შენსა რჯულზედა,
ვინ უფრო გეომებოდა?
— ვაჟაკი შავგვრემანაი
ტოტდატოტ მეტანებოდა,
ვაჟაკი, ქალის პირაი
გორის პირს ეფარებოდა¹.

დაუდგენელ, მაგრამ რეალურ პირებთან და ამბებთან დაკავშირებული სიუჟეტიათი ლექსები შინაარსის განვითარების ხერხებით კიდევ უფრო მრავალფეროვანია. ამ ლექსების კომპოზიციური ელემენტებია: შესავალი ანუ საწყისები, გმირის მოქმედება და ამბის დასასრული. ეს ელემენტები ერთ ამბავთან ან ერთ ფაქტთანაა დაკავშირებული. შესავალი ლექსებისა არ არის დამოუკიდებელი, ისე როგორც ეს მაგალითად ფანტასტიკურ ზღაპრებს ახასიათებს. შესავალი ერთგვარი ექსპოზიციანაა ლექსისა, რომელიც გვაცნობს გმირის მოქმედების ფონს. ლექსი სწორედ მოვლენის აღწერით იწყება: შესავალი-საწყისი ზოგ შემთხვევაში ლირიკულია და ზოგ შემთხვევაში — ეპიური. ეს არ არის დამოკიდებული ლექსში მოცემული კონფლიქტის ხასიათზე. ლირიკული შესავალი წინასწარ ქმნის განწყობილებას უბედური შემთხვევის მოსასმენად. ლექსი, რომელიც ლექთაგან გიგის სიკვდილზეა შექმნილი, პირველი სტრიქონითვე გვაუწყებს უბედურებას:

წოვეთში გიგის ციხეო,
ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა!
მოგიხდეს ქარელთ შვილები,
ალი ახვციეს თავზედა.²

შურისძიებით ანთებული გმირის ლირიკული ლაღადით იწყება ლექსი, რომელიც გათავხედებული მტრის დამარცხებაზეა შექმნილი:

დილას გოგოთურმ ეხვეწნა
ჯვარს ემა ხახმატისასა:
მტერს რომ მივდედე, მიმწიე,
ნაქნარსა ვიქმ ბაბისასა.³

ლირიკულია დასაწყისი ლექსისა, რომელიც გადმოგვცემს თუში მეცხვარეების — გიგასა და გიორგის დალუპვას მტერთან უთანასწორო ბრძოლაში:

¹ ხალხური სიტყვიერება, 1, ექ. თ ა ყ ა ი შ ე ი ლ ი ს რ ე დ., გვ. 494.

² ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხ ი ხ ა ნ ა შ ე ი ლ ი ს მიერ, გვ. 48.

³ იქვე, გვ. 55.

ვინა სთქვა ჩემას ბალახი
ცხვრისათვის საძოვარია?
ვინა სთქვა, ენამც გაუბმეს,
ჩემმაში თუშის ცხვარია?¹

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ზოგჯერ საგმირო ლექსის შესავალი ეპიურია, მიუხედავად იმისა, რომ მისი შინაარსი მძაფრი სიტუაციებით ვითარდება. ამის მაგალითია იმავე ციკლის, ზემოთ განხილული ლექსის „გივიას ცოლის“ დასაწყისი:

„დაგზავნეს ყარაულები, —
ჩემას დაგვივლევ თვლია“².

ამის მაგალითია აგრეთვე ექსპოზიციური ნაწილი მკვეთრ კონფლიქტებზე აგებული შესანიშნავი ლექსისა „შატილს გადიდდა ხობობი“.

ძირითადი ნაწილის—მოვლენის აღწერის საშუალებად საგმირო ლექსებში გამოყენებულია მრავალგვარი ხერხი. ეს ხერხები აძლიერებენ შთაბეჭდილებას. გმირების მოქმედების დასამახსოვრებლად აღწერისათვის, მათი კოლორიტული სააეების შესაქმნელად საგმირო ლექსებში ხშირად საქმე გვაქვს დრამის ელემენტებთან—მონოლოგთან, დიალოგთან და სხვ. მონოლოგი და დიალოგი სავადასწავაგვარად არის მოცემული ლექსებში. ზოგ შემთხვევაში მოვლენა მთლიანად აღნიშნული ფორმებითაა აღწერილი. სხვა შემთხვევებში კი მონოლოგი და დიალოგი ჩართულია მოვლენის აღწერაში. მთლიანად მონოლოგის ნიმუშია მონადირეთა ციკლის შესანიშნავი ლექსი „შიდთ ძმათა, მერვე ბიძასა“³. მონოლოგია აგრეთვე „დათვის სიზმარა“, მაგრამ განსაეაეებით პირველი ლექსისაგან მონოლოგს წაძღვარებული აქვს ქართული ხალხური პოეზიის ტრადიციული დასაწყისი „დათევა სთქვა“⁴.

საინტერესოა, რომ მეცხვარე ყაყიჩი შავერდაშვილზე შექმნილი ლექსის ერთი ვარიანტი მონოლოგით მთავრდება⁵.

დიალოგის ფორმით ვითარდება შინაარსი საგმირო ლექსების ბრწყინვალე ნიმუშების „შატილს გადიდდა ხობობი“, „გიგა და გიორგი“ და სხვ. ეს ფორმა მოვლენის აღწერისა, როგორც

¹ ვ. კ. ტ. ე. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ხალხური პოეზია, გვ. 92.

² ქიზიყის პოეტური ფოლკლორი, გვ. 70. ქართული სახალხო გმირები, გვ. 119.

³ ფშაური ლექსები, შეკრებ. დ. ხ. ხ. ა. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. რ. ე. ა., გვ. 50.

⁴ იქვე, გვ. 232.

⁵ ვ. ა. ა. - ფ. შ. ა. ვ. ე. ლ. ა., ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 78.

მასალების მიმოხილვისას ვნახეთ, ამძაფრებს სიტუაციებს, მკვეთრად აჩენს ამბავში მოცემულ კონფლიქტებს.

საგმირო ლექსების შინაარსის განვითარების თავისებურად ფორმად მიმართვა. ამის ნიმუშია ზემოთ მოყვანილი ლექსი, „ლომო, შე ლომის მოკლულა“¹. მიმართვის აღრესატი ყოველთვის გმირი არ არის. ასე მაგალითად, მშიშარასა და ლაჩრის ცოლის მიმართებითაა მოცემული საგმირო იდეალი ლექსში:

ჩამორბის აი მთახედა
თავშურთხავ², შენი ქმარიო.

ზოგ შემთხვევაში ბუნებისადმი მიმართებითაა წარმოდგენილი გმირის სახე. ამის ნიმუშია ემოციური ლექსი:

სად მიხვალ, წყალო მდინარო,
ნაწურო მალღის მთისაო!
ჩამთქმელო ლურჯაისაო,
ზედ ლალის კაბუკისაო,
ნაპირზე გამამტანელო
ქედისა, მათრახისაო³.

ამ ხერხით დიდი ხელოვნებით არის გამოხატული პატრიოტული გრძნობა, გრძნობა გმირისადმი სიყვარულისა. ს. გომარეთში ჩაწერილ ლექსში „ქართლის ტყვე“ პატარა ეპიკური შესავალის შემდეგ იწყება ლირიკული მიმართვა, რომელიც ნამდვილი ლაღადია ბუნებისადმი, რომ ხელი მოუშართოს ტყვეობიდან გამოპარულ გმირს:

ქართლის ტყვე გამოპარულა,
გამამზდარიყო ზღვასაო.
ნუ ჩაუადები მთვარეო,
ნუ ჩაუბნელებ გზასაო,
ნუ გაუყინავ მყინვარო
გადასავალსა მთაჲაო.
ხიდნო ნუ ჩაუცვივდებით,
გაახდინოდით წყალსაო,
ნუ აუტირებთ დედასა,
გასათხივარსა დასაო⁴.

ლექსების გარკვეულ ნაწილში ყოველგვარი მიმართვის, მონოლოგის და დიალოგის ფორმის გარეშე მოქმედების აღწერით არის

¹ ფშაური ლექსები. შეკრებ. დ. ხიხანაშვილის მიერ, გვ. 234.

² ქალის სახელია, შენიშვნა დ. ხიხანაშვილისა, იქვე, გვ. 50.

³ იქვე, გვ. 129.

⁴ გ კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, გვ. 7.

განვითარებული შინაარსი. ამის ნიმუშებია ხევესურული ლექსები „გუროვლები სამაისტოდ“¹, „უხათზე დაცემა“², „ლილველთ დაცემა ჯუთაზე“³ და მრ. სხვ. დინამიკის სიმღიღრით და ემოციის სიღრმით ეს ლექსები სხვა ფორმებით შექმნილ ლექსებზე ნაკლები არ არის. სანიმუშოდ მოგვყავს თედო რაზიკაშვილის პიერ ჩაწერილი ფშაური ლექსი:

ქვაბიდის ქალას ამბობენ
დაქცევას საღის კლდისასა,
შიგ დატანებას ამბობენ
ორთავ ხაზონის შვილთასა!
უნცრუაისას ამბობენ —
ტოტით გადმაჰყრის ქვიშასა!
კლდეთ გადვარდნას ამბობენ
ვერცხლიან ვეზნისასა.
ორ ძმათ დამართეს თოფები,
ერთმანეთს უდგმენ ლიშანსა.
ორშაბათ დილას ამბობენ
დაკარგავს ორის ნგლისასა.
სამშაბათ დილას ამბობენ
მითხოს გატეხას ხმისასა.
ქისტებ ნავალზე მაჭდეუნ,
ნამს ნაბერტყს ბალახისასა.
ეს თამარიძის კვალსა ჰგავ,
სისხს ეძებს თავის ძმისასა.
ოთაშაბათ დილას დაეცა
მითხოს ქავ-ციხეს ცხვრისასა.
ყანიკას⁴ მაგორებენ,
მააწითებენ ქვიშასა.
ყროლად კი ნურას ჩაქუწაუთ
ცხონებას თქვენის მკვდრისასა!⁵

ამ ლექსში სხვათა ნათქვამის აღმნიშვნელი სიტყვის „ამბობენ“ განმეორებას შთაბეჭდილების გაძლიერების ფუნქცია აქვს დაკისრებული.

საგმირო ლექსების შინაარსის განვითარებაში, როგორც ვნახეთ, მნიშვნელოვანი როლი აქვს ბატალურ სცენებს.

დაბოლოვების მიზნელვითაც საგმირო ლექსები მრავალფეროვნებას იჩენენ. არაიშვიათია საგმირო ლექსი, რომლის დაბოლოვე-

¹ აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 60—61.

² იქვე, გვ. 70.

³ იქვე, გვ. 71—72.

⁴ ქისტის სახელია.

⁵ ხალხური ლექსები, თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, მის. ნიქოვანის რედაქციით, ხალხური სიტყვიერება, III, 1953, გვ. 59.

ბა საერთოდ ხალხური პოეზიის დამახასიათებელ მთქმელის ვინაობის აღნიშვნას წარმოადგენს. ასე მაგალითად, ერთი ფშაური ვარიანტი ლექსისა „შატისლს გადილდა ხოხობი“ ასე მთავრდება:

ემა ლექსისა მოთქომი
ქალი ვარ, ვხივარ კარხედა,
ხელში მიჭირავ ჩხირ-წინდა,
ცრემლებ ჩამამდის თვალხედა.
გაჭირდა სიტყვა, ვეუ ვამბობ,
მგლოვიარე ვარ ძმახედა¹.

ზოგ შემთხვევაში ამბის დასასრულს მითითებულია მთქმელის დასაჩუქრების საჭიროებაზე, რის ტრადიციაც, სხვა ხალხთა მსგავსად, საქართველოშიაც იყო. ასე მაგალითად, ლექსი „ჩარგალნი მტერი მოვიდა“ ასე მთავრდება:

— ლექსისად გამზიგზავნეთ
ნაბადი ნაშოვარია.
თუ ნაბადს ვერ გაიმეტებთ,
თოფის ნადები ტალია².

იმ ლექსების დაბოლოვებას, რომელთა მიხედვითაც გმირები ილუპებიან უთანასწორო ბრძოლებში, ხშირად გოდება წარმოადგენს. გოდებით მთავრდება ლექსები „გიგა და გიორგი“, „გიგაის ცოლი“ და სხვ. არის ისეთი ლექსებიც, რომლებშიაც ამბავი განსაკუთრებული დაბოლოვების გარეშე მთავრდება. ასეთია ტყვეობიდან გამოპარული ქალის შესახებ შექმნილი ლექსის დასასრული:

ადგა ქალი, წამოვიდა,
სამშვიდობოში არია³.

ასეთივე ფორმით მთავრდება ლექსი თათრების წინააღმდეგ მებრძოლი გმირის ხვედია გუდამაყრელის შესახებ⁴.

საგმირო ლექსებს ახასიათებს მხატვრული სახეების სიმდიდრე. სიმბოლიკა, შედარებანი და ეპითეტები დასამახსოვრებელს ხდიან საგმირო ამბებს, ქმნიან გმირების კოლორიტულ სახეებს.

გმირის პოეტური სახეებია: ვე ფ ხ ვ ი, ლ ო მ ი, ხ ა რ ი, მ გ ე-
ლ ი, შ ე ვ ა რ დ ე ნ ი, მ ი მ ი ნ ო, ქ ო რ ი და ს ხ ვ.

ხევსურების საყვარელი გმირის ხოგაის მინდიას თანამებრძოლმა

¹ ხალხური ლექსები, თედო რა ხ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ ჩაწერილი, მიწ-
ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი ს რ ე დ ა ქ ი ი თ, ხალხური სიტყვიერება, III, 1953, გვ. 66.

² იქვე, გვ. 69.

³ ხალხური სიტყვიერება, I, ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დ., გვ. 375.

⁴ ქართველი სახალხო გმირები ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ი ს რ ე დ., გვ. 125.

„ვერიკამ ნანაისძემა
ციხეში ბანდნა ჯღანნია.
ძარდართ გადმუფრინდა,
ვეფხვმა დანია ჯარია“¹.

ღირსეულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში დაღუპულ გმირზე
გოდება ასე იწყება:

„ლომო, შე ლომის მოკლულო“².
აგრესორ თათართა წინააღმდეგ მებრძოლი გუდამაყრელი

„ხვედია შემოუბრუნებს
მგელივით ლეგა პირსაო“³.

თათრების წინააღმდეგ მებრძოლი მეორე გმირი

„ყაყიჩი შავერდაშვილი
ქორსა ჰკავს მალღის მთისასა“⁴.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ხალხური პოეზიის ნიადაგით გმირი გულ რკინა არის:

ვაქაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისაო.

ვაქაცის მიერ მოქმედი ხმალი — ე ლ ვ ა ა.

მაწინ კარგია კაი ყმა,
ხმალი რო იხამს ელვასა⁵.

ვაქაცის სიკვდილი — მ ზ ი ს და ბ ნ ე ლ ე ბ ა ა.

ლაღადი გმირის უკვდავებაზე ასე იწყება:

ღმერთო, ნუ მოჰკლავ ვაქაცსა,
ნუ დაუბნელებ მხესაო⁶.

მტრის თავდასხმა — ც ი ს და ბ ნ ე ლ ე ბ ა ა. ლექსის „გიგა და გი-
ორგის“ მიხედვით საზამთრო სამოვრებს მოთარეშე ლეკები

„გათენებისას დაეცნენ, შავად დაჭურეს ცანია“⁷.

¹ ა. ზ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 59.

² ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, გვ. 66.

³ ქართული სახალხო გმირები, ქს. ს ი რ ა რ უ ლ ი ძ ი ს რ ე დ., გვ. 124.

⁴ ხალხური სიტყვიერება. 1, ექ თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე დ., გვ. 492.

⁵ ხალხ. სიტყვ., 1, გვ. 190.

⁶ ჩაწერილი ფშავში ვ ა ქ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს მიერ, საქ. მუხ. ხელნაწ. განყ.
s—5218.

⁷ ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ხალხური პოეზია, გვ. 92.

ქართული ხალხური საგმირო ლექსები რითმის მხრივაც მრავალფეროვნებას იჩენენ. ხალხური ლირიკის ნიმუშების მსგავსად ამ ლექსებში გვხვდება ქართული კლასიკური ლექსის თითქმის ყველა სახის რითმა. არ არის სწორი მოსაზრება, თითქოს ქართული ხალხური პოეზია რითმის მხრივ პრიმიტიული იყოს¹. ტაგტოლოგიური რითმა, რაც გვხვდება საგმირო ლექსებში, არ შეიძლება კვალიფიცირებული იქნას ისე, „როგორც პოეტის „გამოუვალობის“ შედეგი“². ქართული ხალხური საგმირო ლექსების ამგვარი რითმა მოლექსის „გამოუვალობის“ შედეგი კი არ არის, არამედ — ერთი საუკეთესო ხერხია ეძოციის გამოხატვისა და გამოწვევისა. ამგვარი რითმით არის შეკრული ლექსი:

აეად არს ლაქაჟრაი,
მოკვდებ-მორჩება ველარა;
დედის დამცხვართა საგძალთა
ველად გაიხომს ველარა;
ცოლის დაქსოილ წინდათა
ფეხზედ ჩაიციომს ველარა;
შილდის თავს ცივსა წყაროსა
გვერდს მოუჯდება ველარა!³

ამგვარი რითმით არის აგრეთვე გამართული ზემოთ მოყვანილი ლექსი „ყმაწვილო ბეწიკუაო დარბაისლობა იცია?“⁴

ქართული ხალხური საგმირო ლექსი მეტრის მხრივ არ იჩენს თავისებურებას. იგი მეტწილად წარმოდგენილია რვა მარცვლოვანი შაირის ზომით. საგმირო ლექსების შესრულების მანერა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სიმღერაა...

ასეთია ზოგადად ქართული ხალხური საგმირო ლექსების პოეტური თავისებურებანი. ეს თავისებურებანი უშუალოდ არის დაკავშირებული ამ ლექსების სოციალურ შინაარსთან.

¹ ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, 1953, გვ. 169—170.

² იქვე, გვ. 191.

³ ფშაური ლექსები, შეკრებილი დ. ხიხანაშვილის რედ., გვ. 93.

⁴ ა. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 121.

ქართული ზღაპრების სოციალური მოტივების შესწავლისათვის

ქართული ზეპირი პოეტური შემოქმედება თავისი მრავალფეროვანი ჟანრებით, მდიდარი შინაარსით, თემატიკითა და მოტივებით მრავალსაუკუნოვანი ნიშნების მატარებელია. თითოეული მითი, თქმულება, ლეგენდა, ზღაპარი, სიმღერა, გამოცანა და სხვ. თავისი იდეური სიღრმით, მიმზიდველი სისადავითა და გაფორმებით საუკუნეებგამოვლილ სოციალურ განცდათა და მისწრაფებათა მხატვრულ გამოვლინებას წარმოადგენს. ყველა ესენი შრომის პროცესში. ადამიანთა სოციალურ ურთიერთობაში იშვა. თანამედროვე აზროვნებისათვის, რომელიც ცხოვრების ყოველი სფეროს შესასწავლად მარქსისტულ-ლენინურ დიალექტიკურ მეთოდს იმარჯვებს, საექვო აღარ არის პირველყოფილი პოეზიის უტილიტარული ხასიათი და დანიშნულება. ზღაპარი ფოლკლორის ერთერთი უზნიერესი ჟანრია, რომელიც დღეს მხატვრულ ძეგლად შეგვრჩენია. მაქსიმ გორკის საფუძვლიანი თქმით, ზღაპარში პირველყოფილი კულტურის ისტორიის შესასწავლ მდიდარ მასალას ვპოულობთ. ოდესღაც, უხსოვარ წარსულში ზღაპარი ერთერთ საარსებო საშუალებადაც კი იყო მიჩნეული. ბევრმა მათგანმა ჩვენამდე უხვად შემოინახა პირველყოფილი მატერიალისტური აზროვნების ნიშნები, რომელნიც შრომის პროცესში იქმნებოდნენ, მოიტანეს კვალი ბუნების სტიქიაში მომწყვდეულ ადამიანის მისწრაფებისა შრომის გაადვილებისაკენ¹.

¹ მ. გორკის მოხსენება საბჭ. მწერლობის I საკავშირო ყრალზაზე 1937 წ. 14 აგვისტოს, იხ. О литературе, 1935 г.

უკლასო საზოგადოებაში შექმნილ მარტივი ფორმის ამბავ-მოთხრობას, რომელიც დროთა განმავლობაში მხატვრულ ნაწარ-მოებად იქცა, პირველად ულტრაპრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. ორი ძალა, კეთილი და ბოროტი, ერთი დამხმარე და მეორე ათასგვარ დაბრკოლების შემქმნელი პირველყოფილი ადამიანის ფანტაზიამ საარსებო ბრძოლაში დაუპირისპირა ერთმანეთს და გამარჯვება კეთილ ძალას მიანიჭა. ასეთი იყო ადამიანის შეუზღუდავი სურვილი და შისწრაფება. მარტივ მოთხრობა-ამბავს მაგიურ ძალასაც მიაწერდნენ. ამგვარი დანიშნულება ზღაპრებმა ჩვენამდე მოიტანა. ანის ნიშნულებია ზღაპრების ტრადიციული დასაწყისები და დაბოლოებანი:

„აგერ მოდის შავი ძაღლი,
უკან მოსდევს გველეშაპი,
ვინც ჩემს უკან ხმა ამოიღოს,
უკლუკი და გველეშაპი“,

ან:

„იყო და არა იყო რა, ღვთის უცეთესი რა იქნებოდა,
იყო შაში მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი.
ღმერთს დიდება
ჩვენ მშვიდობა.
ღმერთი მაღალი
კაცი დაბალი“,

ან კიდევ:

„ელასა, ნელასა,
ქიქა მგვიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა,
ძილი გაამოთ ყველასა“.

ზღაპრებში უხვად არის მაგიური და მითოლოგიური ელემენტები. ადამიანის შეუზღუდავმა ფანტაზიამ ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში გადალახა სივრცე და დრო ჯადოსნური მფრინავი ხალიჩით; დაამარცხა მტერი სასწაულმოქმედი კომბლით; გადახედა თვალუწვდენელ შორეულ სივრცეს უცნაური სარკით; შეისრულა სურვილი ნატერის თვალით, ნატერის ბეჭდით, ან სუფრით და სხვა. წინაულდგა მეფეთა და მებატონეთა ზრახვებსა და ჟინიანობას არაჩვეულებრივი ენერჯით, ერთი ღამის განმავლობაში უზარმაზარი სასახლის აგებით, ოქროს გალავნის შემოვლებით და სხვა. ეს იყო ჯერ კიდევ ბუნების მოვლენების ტყვეობაში მომწყვდეული ადამიანის განუსაზღვრელი მისწრაფება შრომის გაადვილებისაკენ, საშუალება არსებობისათვის. ზღაპარი გასართობად

არ შექმნილა. მისი პრაქტიკული დანიშნულება საგრძნობია თითქმის ყოველ მის დეტალში. ცნობილია, რომ განვითარების დაბალ დონეზე მდგომი ტომები დღესაც მიმართავენ ზღაპრებს ბუნების სტიქიის წინააღმდეგ, მაგალითად, ქარის შესაჩერებლად.

ზღაპარი შეიქმნა უკლასო საზოგადოებაში და შემდეგ აიკონდა და განვითარდა სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმაციის დაზგაზე, მის მატერიალურ ბაზაზე, ნეურნოებაში და ტექნიკაში. ზეპირსიტყვიერება ერთერთი საშუალებაა ისტორიული პროცესის გასაცნობად. ზღაპარი ერთერთი ისტორიული წყაროა, რომელშიც დიალექტიკური მეთოდით შეიარაღებული მკვლევარი საზოგადოებრივი ურთიერთობის გავლილსა და მიმდინარე საფეხურებს აღმოაჩენს.

თითქმის საუკუნე-ნახევარია, რაც ზღაპარი კვლევებს ობიექტად იქცა. ქეშმარიტ მეცნიერულ საფუძველზე მისი შესწავლა შედარებით-ისტორიულმა მეთოდმა დააყენა. მხოლოდ ამ უკანასკნელის მიერ უარყოფილია მცდარი შეხედულებანი ზღაპართიკოდნეობაში. ზღაპარი სოციალური მოვლენაა.

ფოლკლორისტიკის განვითარების პირველ საფეხურზე ზღაპრის შესწავლა რომანტიულ-მითოლოგიური თეორიის საფუძველზე სწარმოებდა. აღმავალი ბურჟუაზიის იდეოლოგიის წარმომადგენლებმა ძმებმა გრიმებმა, რომელნიც მითოლოგიური სკოლის მამამთავრებად ითვლებიან, უარყვეს ზღაპარში გამოძახილი თანამედროვეობისა და მასში მხოლოდ ეროვნული სიწველის გამოვლინება დაინახეს. გრიმები ზღაპრებში ძველი გერმანული მითოლოგიის ნაშთებს ეძებდნენ. ისინი ზღაპრულ სიუჟეტთა მსგავსებას ევროპის ხალხთა ნათესაობით ხსნიდნენ. მათი აზრით ყოველგვარი ქეშმარიტი პოეზიის წყარო დაუნაწევრებელი, მთლიანი ხალხია. ეს აზრი ძმებმა გრიმებმა განავითარეს თავის „საბავშვო და საოჯახო ზღაპრებში“.¹ ზღაპრებისა და სიმღერების შექმნაში ისინი არ ითვალისწინებდნენ მთქმელთა როლს, არ ითვალისწინებდნენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ საწყისებს ხალხურ შემოქმედებაში.

მითოლოგიური სკოლის საწინააღმდეგოდ წარმოიშვა სიუჟეტთა სესხების თეორია, რომლის ბაზა ევროპაში საწარმოო კაპიტალის განვითარება იყო. ამ თეორიის ერთმა ფუძემდებელმა ბენფეიმ უარყო სიუჟეტური მსგავსების ევროპის ხალხთა ნათეს-

¹ Deutsche Kinder und Hanswärcchen, 1812—1815.

საოპიო აასნა და „მოხეტიალე სიუჟეტები“ აღმოსავლეთიდან შემოტანილად გამოაცხადა. ჯვაროსანთა ომებისა და მოვაჭრე მოვზაურთა საშუალებით ზღაპრული სიუჟეტები ინდოეთიდან გადაეცა ირანს, არაბეთს, პალესტინას და აქედან ხმელთაშუა ზღვით — ევროპას¹. ეს თეორია თავისებურად გადაამუშავა და განავითარა აკად. ვესელოვსკიმ, მან მიიღო რუსული ზღაპრების აღმოსავლური წარმოშობა.² ამ თეორიას ახასიათებს სქემატიზმი ძეგლების განხილვისას. ძეგლების განხილვა არ ხდებოდა მთლიანობაში (იდეოლოგიური მიმართულება, სოციალური ფუნქცია, სტილი, დეტალების ანსნა და სხვა). ამ თეორიის ნაკლი ყველაზე უფრო აშკარა ვასდა მაშინ, როცა მსგავსება დაინახეს ისეთ ხალხთა ფოლკლორულ ძეგლებს შორის, რომლებსაც ურთიერთ შორის ისტორიულად კავშირი არ ჰქონიათ. აქედან წარმოიშვა მეორე უკიდურესობა ანთროპოლოგიური მიმართულების სახით, რომელიც ზღაპრულ სიუჟეტებისა და საერთოდ ფოლკლორულ ძეგლთა მსგავსების აანსნას პირველყოფილ ხალხთა ფსიქოლოგიის იგივეობით ცდილობდა და ამავე დროს ვერ ითვალისწინებდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებას.

ყველაზე ნეტად მიუღებელია ჰანს ნაუმანის რეაქციული აზრები. მას ჭეშმარიტი კულტურის მატარებლად და შემოქმედად გაბატონებული „მაღალი“ წოდება მიაჩნია, საიდანაც შემოქმედება ძირს ეშვება და „დაბალ“ წოდებას გადაეცემა. ჰ. ნაუმანის მოსაზრებით ხალხის მასის გემოვნება „მაღალი“ წოდების გემოვნებას თითქო მთელი საუკუნით ჩამორჩება. იგი ფიქრობს, რომ ამგვარი დაშვება მალოიდან დაბლა მუდმივი, უცვლელი მოვლენაა. ნაუმანის პცდარი დებულებით „Das Volk produziert nicht, es reproduziert“. არავითარი მეცნიერული საფუძველი ამ თეორიას არა აქვს.

ზღაპრის შესწავლის ისტორია გვერდს ვერ აუხვევს ფორმალისტურ სკოლას. ფორმალისტებმა ფოლკლორი სტაბილურ მოვლენად მიიჩნიეს. უარყვეს სიუჟეტთა სესხება. უარყვეს კავშირი ფოლკლორისა ყოფასთან. უარყვეს იგივეობა პირველყოფილ ადამიანთა ფსიქოლოგიის. როგორც ზღაპართა სიუჟეტების მსგავსების მიზეზი. ეს სკოლა სწავლობდა ზღაპარს მისი გენეზისისა და გან-

¹ თ. ბენ ჟეი. წინასიტყვაობა „ჰანზატანტრა-სი“, 1859 წ.

² А. И. Веселовский, т. VIII, вып. I—II, 1921 г. „Сказания о Соломоне и Книговасе“.

ვითარების გზების გათვალისწინების გარეშე. ზღაპრის აღწერა და მისი სტრუქტურის შესწავლა—ეს არის ფორმალისტების ძიზანი¹.

ამ ნარკვევში ჩვენს მიზანს არ შეადგენს ფოლკლორისტიკაში ცნობილი თეორიების ზუსტად მიმოხილვა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დღეს უკვე ცხადია ბურჟუაზიული თეორიების მეცნიერული ღირებულება და უსუსურობა ზღაპრის პრობლემის გადაჭრაში.

ფოლკლორისტიკის გადაუდებელი ამოცანაა მეცნიერულ-მარქსისტული მეთოდის სწორი მომარჯვება, ზღაპრის, როგორც მთლიანი მხატვრული ძეგლის ანალიზი სოციალურ გარემოსთან დაკავშირებით. მარქსისტული ზღაპართმცოდნეობა პირველ რიგში ამ ეანრისადმი ისტორიულ მიდგომას მოითხოვს. ზღაპარი, როგორც მხატვრული ძეგლი, როგორც სოციალური მოვლენა, ნაქსოვი საზოგადოებრივ ფორმაციათა დაზვაზე, დატვირთული სოციალური მოტივებით, ზღაპარი ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებაში—ეს არის ჩვენი წერილის საგანი.

ამ ნარკვევში ზღაპარს ჩვენ მხოლოდ ერთი კუთხიდან ვიხილავთ. ზღაპრის სოციალური მოტივების საკითხი, ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია ფოლკლორის ისტორიული თვალსაზრისით შესწავლისას.

უძველესი მაგიური და მითიური ელემენტები ზღაპრებისა მიგვითითებენ იმ შორეულ წარსულზე, როდესაც პირველყოფილ ადამიანს გულუბრყვილოდ სჯეროდა, რომ მას მაგიური მოქმედებით ბუნებას დამორჩილებაც შეუძლია და მისი წარმართვაც თავისი ნება-სერკილისამებრ. ეს არის ადამიანის აზროვნების ერთი უძველესი საფეხური, მაგიურ რწმენათა ბატონობის პერიოდი. ამის ნიმუშს იძლევა ზემოთ მოყვანილი ზღაპრების ტრადიციული დასაწყისები და დაბოლოვებანი. ჯადოსნურ ზღაპრებში უხვადაა შერჩენილი პირველყოფილი წარმოდგენების ელემენტები: მზე, მთვარე და ვარსკვლავები ცოცხალი პერსონაჟებია. ხის ნაფოტი მზეთუნახავ ქალად იქცევა; ცხრა ადლ თოვლზე ნოაბიბინე მწვანე ბალახი ულამაზეს ქალად მოგვევლინება; ხის კუნძი — მშვენიერ კაბუკად და ა. შ.; უძლეველი დევის სული ცხრა მთას იქით გარეული ტახის თავში მყოფ ყუთშია მოთავსებული; კაბუკის ღონე ხმლის ტარშია, რომელსაც ავსული ბებერი ჩაიგდებს ხელში და მაშინ კაბუკი მოკვდება და ა. შ. ეს არის სულის ნივთიერი წარმოდგენა.

¹ დამახასიათებელია ამ მხრივ ვ. პროპის ნაშრომი „Мифология сказки“, Л., 1928.

დროთა განმავლობაში საზოგადოებრივი ურთიერთობის გა-
თულების პროცესში, ახალ ეკონომიურ ბაზაზე, ზღაპარში სხვა-
დასხვა სოციალურ ფენათა სურვილები და მისწრაფებანი შეიჭრა.
თითოეულ ზღაპარს, გარკვეულ სოციალურ წრეში, ცალკე მთქმე-
ლის ხელში გარკვეული ტენდენცია ემჩნევა. ზღაპარი, და საერ-
თოდ ფოლკლორი, მხოლოდ ერთი კლასის ან სოციალური ფენის
კუთვნილებას არასოდეს არ შეადგენდა. ჩვენამდე მოღწეული
ზღაპრების პირველი წყაროები სოციალურად განსხვავებული და
მრავალფეროვანია. ზღაპრებს ჩვენამდე მოჰყვა სივადასხვა კლასის
და სოციალური ფენის იდეოლოგიური ნიშნები. ზღაპრებში ფე-
ნებიერთაა დალაგებული სივადასხვა ეპოქის მიერ ნაანდერძევი
იდეოლოგიური გადანაშთები. ჩვენ მოგვეპოვება ზღაპრებისა და
ლეგენდების მთელი ციკლი, ნაანდერძევი კლერიკალური აზროვ-
ნების ბატონობის ხანიდან, ქრისტიანული ელემენტებით დამძიმე-
ბული; ნოთმინებისა და ლოდინის ლალადით; ქრისტესა და მის
ნოსავეთა იდეალიზაციით. ავიღოთ, მაგალითად, ზღაპარი-ლეგენდა
„მეოთხე მცნება“. ერთი კაცი, კვირა უქმე დღეს, თანახმად მე-
ოთხე მცნებისა, არ შრომობდა. ღვთისმომშიშ კაცს სწორედ კვირა
დღეს მგელმა მოსტაცა ბავშვი. მამა უქმე დღეს არ გამოედევნა
მგელს. ამისათვის მას მეზობელმა დასცინა. შვილის დამკარგავმა
მამამ მეორე დღეს ღმერთი ასენა და ბავშვის საძებრად წავიდა.
ბოლოს იპოვნა ბავშვი იესო ქრისტეს დახმარებით. მეზობელს,
რომელიც ღვთისმორწმუნე მეოთხე მცნების დამცველს დასცინო-
და. ქრისტემ დაუწვა სახლი. გადარჩა მხოლოდ სახლის დედა-
ბოძი, რადგანაც იგი კვირა-უქმე დღეებში შრომით არ იყო შე-
ძენილი¹. ასეთია ამ ლეგენდა-ზღაპრის სიუჟეტი; იგი ქრისტიან-
ული ეკლესიის იდეოლოგიის აშკარა პროპაგანდაა. საინტერესოა
ზღაპარი სამი ძმისა და ქრისტეს შესახებ. სამ ღარიბ ძმას ქრის-
ტე სათითაოდ შეუსრულებს სურვილს, ერთს გაუჩენს ცხვრის
ფარას; მეორეს—ვაზს და მესამეს შერთავს ღირსეულ ცოლს. გადის
ხანი. გლახის ტანსაცმელში გადაცმული ქრისტე მორიგეობით ეწვევა
ძმებს. ისინი ქრისტეს ვერ იცნობენ. პირველ ძმას ქრისტე
სთაოვს მატყლს; მეორეს — ყურძენს. უარით ისტუმრებენ. მიდის
მესამე ძმასთან, რომელიც ღარიბია, მაგრამ მაინც გულუბვად მი-
იღებს. ქრისტე პირველ ორ ძმას უწინდებურად აღარიბებს; მესა-
მეს დალოცავს და გაამდიდრებს. პროგრესულ იდეასთან ერთად,

¹ ფოლკლ. არქ. № 629.

ჰუმანიზმის და კაცთმოყვარეობის ქადაგებასთან ერთად ეს ზღაპარი დაზღვეული არ არის კლერიკალური ენოქანტის დეველოპმენტის გავლენისაგან¹. ასევე საინტერესოა ზღაპარი „დიდია ქრისტეს სასწაული“. მკვლელი ბევრ გაჭირვებასა და დაბრკოლებას ნახავს იმისათვის, რომ გაიძახოს „დიდია ქრისტეს სასწაული“. ცდილობენ გადააწმუნონ ნათქვამში, უქმნიან ათასგვარ დაბრკოლებებს, მაგრამ მკვლელი ყველაფერს გადალახავს. ამ ნიადაგზე სანელებიც რწმუნდებიან მისი სიტყვების ქვეშაობაში და ლებულობენ ქრისტეს სჯულს². ამ შემთხვევაშიც ქრისტიანული ეკლესიის ქადაგებასთან გვაქვს საქმე.

გვაქვს ზღაპრები, სადაც ვხედავთ მეუფეთა და მებატონეთა იდეალიზაციას. ასეთ ზღაპრებში მეფის ვაჟი ზღაპრის ცენტრალური ფიგურაა. მას უხდება დაბრკოლებების გადალახვა, სიძნელებების დაძლევა და ბოლოს ან საკუთარი გამჭრიახობით, ან გრძნეული ნივთებისა და ჯადოსანი ქომაგების დახმარებით გამარჯვებული გამოდის. ხელმწიფის ცოლის იდეალიზაციაა მოცემული ზღაპარში, რომლის თაბულა ასეთია: ხელმწიფის ცოლი განიზრავს მუქთახორა ყმაწვილების გამდიდრებას, გადაიცავს უბრალო ტანსაცმელს, მიდის მათ ბინაზე და აძლევს რჩევა-დარიგებას: ყოველ შემოსვლისას შეპოიტანონ სახლში თითო რაიმე. ერთი მათგანი იპოვნის მოკლულ გველს და სახლის ბანზე კიდებს. გველს გაიტაცებს ფრინველი. ფრინველს დაუვარდება ხელმწიფის მიერ დაკარგული საათი. საათს დაუბრუნებენ პატრონს, რომელიც ყმაწვილებს ასაჩუქრებს ფულით. ასე ძლიერდებიან ღარიბი ყმაწვილები კეთილი დედოფლის რჩევა-დარიგებით³. კეთილი ბატონის ტიპს იძლევა ზღაპარი „მოჯამაგირე“. ბატონი მოჯამაგირეს აძლევს ბრძნულ დარიგებებს: 1) ცოლს არ გაუმხილოს საიდუმლოება; 2) საილთან ახლოს რაც იპოვნოს, შეინახოს; 3) ვინც არათერს ეტყვის, იმას არც თითონ უთხრას რაიმე. ასეთი რჩევა-დარიგების საშუალებით მოჯამაგირე აღწევს ბედნიერებას⁴. არის ზღაპრები შექმნილი ან გადაშუშავებული ვაჭართა წრეში, სადაც ამ უკანასკნელთა იდეალიზაციაა მოცემული. მაგალითად, ზღაპარი „სოვდაგარი“. ერთი სოვდაგარი გაღარიბდება. ცოლს შენახული

¹ ფოლკლ. არქ. № 570.

² იქვე, № 578.

³ იქვე, № 569; იქვე, № 637.

⁴ ხალხური სიტყ. წ. II. ზღაპრები ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 125.

აქვს სამოცი თუმანი. სოვდაგრის პატარა ვაჟი დედას გამოართმევს შენახულ ფულს. ისწავლის წერა-კითხვას, კოქის თანაშისა და დაფა-ზურნის დაკვრას. მამას ურჩევს, რომ მისი თავი მიყიდოს მდიდარ სოვდაგარს. სოვდაგარი განიზრახავს ვაჟის დალუპვას. მაგრამ უკანასკნელი ხელობის საშუალებით გადარჩება, ცოლად შეირთავს სოვდაგრის ქალს და გამდიდრებული ბრუნდება დედ-მამასთან¹.

მრავლად მოგვეპოვება ზღაპრები, გავრცელებული მშრომელთა წრეში, რომელთა სოციალური შინაარსია მისწრაფება გამდიდრებისაკენ, მატერიალური უზრუნველყოფისაკენ. ასეთი ზღაპრების მთავარი გმირები ასრულებენ საგმირო საქმეებს, ებრძვიან დევებს და მდიდრდებიან. მაგალითად, ავილოთ „ასლანის ზღაპარი“. მონადირის უმცროსი შვილი ასლანი მიყვება გველეშაპის ტყავში გახვეულ დევების ხელმწიფეს (წინააღმდეგ შემთხვევაში გველეშაპი მონადირეს მოკლავს). შედის ათთავიანი დევის ოქროს სასახლეში, მოკლავს დევს, დაეპატრონება მის ქონებას და გამდიდრებული ბრუნდება სახლში². ასეთივე ტენდენციის მატარებელია ზღაპარი „ლარიბი ყმაწვილის გამდიდრება“: ლარიბი ყმაწვილი მიაგნებს კლდეში ჩაკეტილ მზეთუნახავ ქალსა და ოქროებს. ქონება ყაჩაღს ეკუთვნის. ყმაწვილს მიაქვს ოქროები და მდიდრდება. ყაჩაღს განზრახული აქვს ვაჟის მოკვლა. ყმაწვილი ყაჩაღს შეასმევს ისეთ წყალს, რის შემდეგაც თავს ანებებს ყაჩაღობას. ყმაწვილს დაულოცავს მთელ თავის ქონებას და აქორწინებს მზეთუნახავ ქალზე³. ხშირია ზღაპრებში გლების შეილის დაქორწინება მეფის ვაჟზე, ან ქალზე. ამის მაგალითია ზღაპარი „ცხვრებად ქცეული ძმებისა“. ძმებს და არა ჰყავთ. მიდიან სახლიდან ერთი პირობით: თუ ქალი შეეძინება დედას, ბანზე ჯარა უნდა გამოდგან. ვაჟებს აძლევენ მცდარ ნიშანს, ჯარას ნაცვლად ურემს გამოდგამენ. ძმები მიდიან შორს. და მიდის მათ საძებრად და იპოვის ტყეში, ძმები მოკლავენ დევს. დევის საფლავზე ამოსული მწვანის ქამის შემდეგ ცხვრებად იქცევიან. ქალი განსაკუთრებული მზრუნველობით უვლის ცხვრებად ქცეულ ძმებს. სანადიროდ გამოსული ხელმწიფის შვილი იპოვის მათ, მოეწონება ქალი და ცოლად შეირთავს⁴. ეს ჯადოსნური ზღაპარი, მითიური ელემენტების

¹ „ზალხური სიტყვ.“, წ. II. ზღაპრები ე ქ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედ., გვ. 125.

² ფოლკლ. არქ. № 540.

³ ფოლკლ. არქ. № 618.

⁴ ფოლკლ. არქ. № 55.

კრულვით იხსენიებს იმ წოდების წარმომადგენლებს, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში მშრომელი ხალხის ექსპლოატაციით ცხოვრობდნენ. ხალხი კიცხავს უქნარა, მუქთახორა სამღვდლოებას.

ხალხმა სამართლიანად ამხილა მეფის დამქაშების თავაწყვეტილი პარპაში. გავრცელებულია ლექსები მამასახლისებზე.

სოციალური მოტივებით უხვად არის დატვირთული ანდაზებიც. ამჟამად ჩვენს მიერ დასმული საკითხის სფეროში მხოლოდ ზღაპრებია.

საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება ზღაპრები, რომელთაც ჩვენამდე მოიტანეს მშრომელთა ამალღებული ხმა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, სადაც მშრომელი ხალხის გაბედული პროტესტი და სამართლიანი შურისძიებაა მიმართული ეკლესიის მსახურთა თავაშვებული პარპაშის, უტვინო მეფეთა შეუზღუდავი ენინანობის, მუქთახორა ბატონების გაუმაძღრობისა და მატყუარა ვაჭრების გამყვლეფლური პოლიტიკის წინააღმდეგ. ასეთ ზღაპრებში მთავარ გმირად გამოყვანილია მშრომელი ხალხის წარმომადგენლები: გლეხის შვილები, ლარიბები, მოჯამაგირეები. ისინი ფხიზელი გონებითა და კჳუამახვილობით სასაცილო მდგომარეობაში აყენებენ და ამარცხებენ მჩაგვრელი წოდების წარმომადგენლებს. გამახვილებული სოციალური მოტივები გვხვდება მეტნაკლებად ყველა სახის ზღაპრებში, სასწაულმოქმედი დოლიდან ამოსული ჯარი ხშირად მეფისა და მისი დამქაშების მუსრის გამელეზბია; უცნაური ჩონგური სკდება და გადაბუგავს გაუმაძღარ მეფის სახლ-კარს; ჯადოსნური კომბალი ხშირად ხელმწიფისა და მისი ვეზირების ზურგზე ნავარდობს. ამის ნიმუშს იძლევა „ზღაპარი გლეხი კაცისა“. ლარიბ გლეხს ერთი კოდი ფეტვის მეტი არაფერი არ ებადა. გაშლის ფეტვს, იქნებ ჩიტები დაეხვიოს: „დაუგო მახე, დავიკირო და ვქამო“. ამ წესით დაიჭერს ჩიტების ბატონს, მაგრამ გაანთავისუფლებს. სამაგიეროდ ჩიტბატონა გლეხს აძლევს ნატვრის სუფრას და სასწაულმოქმედ ვირს. ვირს ოქროვერცხლი სციევა. გლეხი დაპატიეებს ხელმწიფეს ვეზირებით. ხელმწიფეს შეშურდება გლეხისთვის სასწაულმოქმედი სუფრა. „ამისთანა სუფრა მე არა მაქ და ამას ვინ მისცაო“. სადილის შემდეგ მეფის ბრძანებით ვეზირები გლეხს სასწაულმოქმედ სუფრას უბრალო სუფრით შეუცვლიან. სასწაულმოქმედ ვირს წაართმევენ ვაჭრები. ჩიტბატონა გლეხს მისცემს თვითმოქმედ ყავარჯენს, რომელიც დაამტვრევს ყველაფერს, როგორც ხელმწიფის სასახლეში, ისევე ვაჭრებთან. ამგვარად, გლეხი იბრუნებს თავის სუფ-

რასა და ვირს¹. ანალოგიური სოციალური მოტივები გვხვდება ზღაპარში „ოქროს შანდალი“. ორი ძმაკაციდან ერთი ძალიან ღარიბდება და მეორე — ხელმწიფის ვეზირობას აღწევს. ღარიბი ტყეში ოქროს შანდალს იპოვის. შანდლიდან მშვენიერი ქალ-ვაჟნი გამოდის უცნაური საკრავებით. დაიწყებენ ცეკვა-თამაშს, დატოვებენ ოქროებს და შანდალში შედიან. ამგვარად ღარიბს გაუჩნდება ნემოსავლის წყარო. ხელმწიფის ვეზირს შეწურდება ეს ამბავი და ხელმწიფესთან დააბეზლებს. შურით ანთებული ხელმწიფე ღარიბს წაართნევს შანდალს. მოიწვევს დიდებულებს, შანდლის ტოტზე აანთებს სანთლებს. მშვენიერი ქალ-ვაჟის ნაცვლად გამოცვივიან კომბლებიანი კაცები; დაერევინა ხელმწიფესა და დიდებულებს და ცემით დაალურჯებენ. ხელმწიფე იძულებულია ოქროს შანდალი ისევ ღარიბ კაცს დაუბრუნოს². ასე მარცხდება შურიანი მეფე. ღარიბი კაცი-კი იმარჯვებს ჯალონსური კომიკების საშუალებით.

ღრმა სოციალური მოტივებითაა დატვირთული ზღაპარი „მოჯამაგირე“. ერთი ნბრივ არის ფაზიხელი გონების მქონე მოჯამაგირე და, მეორე ნბრივ — მუქთახორა მეფე და გაიძვერა ვეზირები. მეფე მოჯამაგირეს ორი წლის სამსახურის გასამრჯელოდ გამადარ ძროხას მისცემს. აქედან იწყება მოჯამაგირის სამართლიანი შურისძიება. ნოჯამაგირე თვალთმაქცობით, თითქოს ძროხას ფულები სცივოლდეს, მეფეს ძვირ ფასებში მიყიდის იმავე ძროხას; მეფისა და ვეზირების ფარეხში შეამწყვდევს მგელს და ცხერებს დაახოცვინებს; მოტყუებით ძვირ ფასებში მიყიდის უბრალო ჩონგურს, რონელიც თითქოს მკვდრებს აცოცხლებს. მეფე და ვეზირები დახოცავენ ცოლებს, ჰგონიათ, გააცოცხლებენ ჩონგურის საშუალებით, მაგრამ ტყუვდებიან. მეფე და ვეზირი ცდილობენ მოჯამაგირის მოკვლას, მაგრამ აქაც იმედი გაუტრუვდებათ. მოჯამაგირე ითხოვს, ისეთ ადგილს მოჰკლან, რომ ლეში მიწაზე არ ეგდოს: „წამიყვანეთ ამა და ამ წყალზე, ერთი ფიცრის ხიდი რომ არის; შუა ხილზე დამაყენეთ. თქვენ ორივე აქეთ იქიდან დადექით. მესროლეთ ერთად თოფი, რომ უცებ მოვკვდე და იმ წყალში ჩავეარდე. მართლაც, ესე აასრულეს, წაიყვანეს იმ ვიწრო ხილზე, დააყენეს; ერთმა აქედან დაუმიზნა თოფი, მეორემ იქიდან და ორივემ ერთად დააცემინეს ჩახმახი. მოჯამაგირე

¹ ფოლკლ. არქ. № 571.

² იქვე, № 636.

მაშინვე წყალში ჩახტა. მათ ტყვია ერთმანეთს შიგ გულში მოახვედრეს და ორივენი იქვე დაიხოცნენ. ადგა მოჯამაგირე და შინ წავიდა¹, ასე მთავრდება ეს ზღაპარი. იგი გვაცნობს ექსპლუატორებული კლასის გაბედულ პროტესტს ფეოდალური კლასის წინააღმდეგ.

გლებთა მებრძოლ სულისკვეთებას გვაცნობს ზღაპარი „ხარის კული“. ღარიბი გლეხი მოხერხებულად ამასხარაეებს უსამართლო ხელმწიფეს. ხელმწიფე მატყუარა ქოსას ეხმარება და ღარიბი გლეხის ერთადერთ ხარს თხის ფასად ჩაუგდება ხელში. ღარიბი ვაჟი ხარის კულს თავისთვის დაიტოვებს. აქედან იწყება სასტიკი შურისძიება მატყუარათა დამხმარე ხელმწიფის მიმართ. ლამაზი გარეგნობის ღარიბი ვაჟი ქალურ სამოსელში ხელმწიფის ხელზე მოსამსახურედ დგება. „ლამაზ გოგონას“ ხელმწიფე მის საწოლ ოთახში მიუჩინს ბინას. ხელმწიფე პირველ ღამესვე ეცდება მის ხელში ჩაგდებას. როცა ისინი მარტოდ რჩებიან, ქალურად გადაცმული ვაჟი ამოიღებს უბიდან დამალულ კულს, დაანახევებს ხელმწიფეს და ეკითხება: „დიდებულო ხელმწიფე, ერთი ეს მიბრძანეთ, ეს რისი კულია, ხარის თუ თხის“ — „რასაკვირველია ხარისო“ — მიუგებს გაოცებული ხელმწიფე. „თუ ეს კული ხარისაა, მაშინ ხარი თხის ფასად რად დამაკარგვინეო“, ეტყვის ვაჟი. დაუშენს ხარის კულს და იქამდის სცემს, სანამ ხელმწიფეს გონება არ დაეკარგება. ვაჟი ღამით გაიპარება. მეორე ღღეს მსაჯურები იპოვნენ ცოცხალმკვდარ ხელმწიფეს. დაღურჯებული სხეულის დასამებლად ხელმწიფე აბანოში წასვლას მოინდომებს. ვაჟი იქაც ახერხებს მექისედ შესვლას და აჩვენებს ხარის კულს: აქაც კულით სცემს და გაიპარება. მესამედაც ახერხებს სცემოს ხელმწიფეს. ბოლოს ვაჟი მას კლდეში გადაჩხის. ხელმწიფის ქონებას იგი მოსამსახურეებს გაუნაწილებს. თითონ მშობლებთან დაბრუნდება². ასეთია სიუჟეტი ამ ზღაპრისა, სადაც მოცემულია ეშრონელი ხალხის სულისკვეთება. მსგავსი მისწრაფება იგრძნობა „ქოროღლის ზღაპარში“. უდანაშაულო მეჯოგეს განუკითხავი ხელმწიფის ბრძანებით თვალებს დათხრიან. მეჯოგეს ერთი ცხენი ყავს, რომლის ნაკვალევშიც რკინა ჩნდება. ამ რკინისაგან გაქედლილი ხმლით ბრმა მეჯოგის შვილი კლავს ხელმწიფეს³. ხშირად

¹ ფოლკლ. არქ. № 598.

² ჩემი მასალებიდან, ჩამწ. შიო თოფურიძე. ეს ზღაპარი გენეტიურ კავშირშია სულხან საბა ორბელიანის შემოქმედებასთან. ქ. ს.

³ ფოლკლ. არქ. № 688. ეს ზღაპარი ახერხაიჯანულ ეპოსთან არის დაკავშირებული.

ზღაპრებში ხელმწიფეთესთან დაპირისპირებულია მეწისქვილე, მე-
ჯოგე, ლარიბი გლეხის შვილი. გამარჯვება ყოველთვის უკანას-
კნელთა მხარეზეა.

საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება ისეთი ზღაპრები და
თქმულებები, სადაც გაკიცხულია სამღვდლოების გაუმაძღრობა,
მექრთამეობა, ზატყუარობა და სხვა. ზოგჯერ თვით სათაური ააშ-
კარავებს ზღაპრის მიზანდასახულებას. ასეთია მაგალითად ზღა-
პარი „გამასხარავებული მღვდელი“. გარდაიცვლება ლარიბი გლე-
ხის შვილი. მღვდელი უარს ამბობს მიცვალებულის წესის აგებაზე,
რადგანაც ლარიბ გლეხს არაფერი არ გააჩნია მღვდლისათვის
მისაცემი. მამა თითონ თხრის შვილის საფლავს. იპოვის ოქროთი
სავსე ქილას. ანას აცნობებს მღვდელს და შეპირდება წესის აგე-
ბისათვის სამ ოქროს. მღვდელი მოინდომებს მთლიანად ჩაიგდოს
ოქრო ხელში. გადაწყვეტს ლარიბ კაცს ეჩვენოს ეშმაკის სახით.
შეიმოსება თხის ტყავით. შუალამეზე დაუჟაკუნებს კარს და უცნა-
ური ხმით მოყვება ბუტბუტს: „ის ქილა ფულით რომ ამოვიღია
მიწიდან, ჩემია, მომეცი თორემ შენი შვილის სული ჩემს ხელში
იქნებაო“. საწყალ კაცს მართლა ეშმაკი ჰგონია და მოყვება ტი-
რილს: „ოდონდ ჩემი შვილის სულს ნუ დამიტანჯავ და წაიღე,
მაგრამ სანი ოქრო სადღა ვიწოვნო, რომ მღვდელს მივცეო“. მეზობელი
იცნობს მღვდელს, მოაბამენ ეუვნებიან თოკს, ჩაატა-
რებენ სოფელში და დასცინიან. ზღაპარი მწარე ირონიით მთავ-
რდება¹.

სამღვდლოების აღვირახსნილობისა და ზნედაცემულობის
ნათელ ილუსტრაციას იძლევა „გაფუტქული მღვდელი“. შორ გზა-
ზე წასული მშობლები თავიანთ ქალიშვილს „სულიერ მამას“ ჩაა-
ბარებენ. მღვდელი მოინდომებს ქალის შეურაცხყოფას. მოხერხე-
ბულ ქალიშვილს მოტყუებით აბანოში შეყავს მღვდელი და ცხელი
წყლით გაფუტქავს².

საინტერესოა ზღაპარი „ვაქარი და ლარიბი ცოლ-ქმარი“. იგი
კლასთა ბრძოლის ამსახველია. ეს ზღაპარი გარკვევით მიგვი-
თითებს, თუ რომელ სოციალურ წრეშია იგი შექმნილი. ზღაპარ-
ში ერთის მხრივ ვაქარებია გამოყვანილი, მეორეს მხრივ — მშრო-
მელი ხალხი. ლარიბი ცოლ-ქმარი ბევრჯერ სასაცილო და გამო-
უვალ მდგომარეობაში აყენებენ გაიძვერა ვაქარებს. ბოლოს მთლად

¹ ჩაწერილი მესხეთში.

² ხალხური სიტყვიერება, წ. II, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 145.

ანადგურებენ მათ. ეს ზღაპარი აშკარად მიგვიტოთებს ბურჟუაზიულ ყოფაზე. ამ რეალისტურ ზღაპარში ადამიანის გონებას აღარ სჭირდება ჯადოსნური ქომაგების დახმარება მტრის დასაძლევად. ზღაპრის კომპოზიციაც თავისებურია. აქ არ არის ზღაპრის ტრადიციული დასაწყისი და დაბოლოება. მთქმელი თავის გულისწყრომას ვაჭართა წინააღმდეგ მიმართავს. ამ მოთხრობის მთავარი მოქმედი გმირებია: სამი ვაჭარი და ლარიბი ცოლ-ქმარი. უკანასკნელთ ერთი ვაჭიშვილი ჰყავთ. შიმშილის თავიდან ასაცილებლად ცოლ-ქმარი იძულებულია გაყიდონ ძროხა. ლარიბების ვაჟს ვაჭრები თვალთმაქცობით ძროხას ხბოს ფასად დასტყუებენ. ცოლ-ქმარი იწყებს ბრძოლას მატყუარათა წინააღმდეგ. ძვირად მიყიდიან ვაჭრებს უბრალო ბარს, რომელიც თითქოს სასწაულ-მოქმედი და მიწაზე დაკვრით გემრიელ საკმელებს აჩენს. შურისძიების მიზნით მისულ მოტყუებულ ვაჭრებს კვლავ აუხვევენ თვალებს და ძვირ ფასებში მიყიდიან ჩვეულებრივ კურდღელსა და უბრალო სტვირს; დაახოცვინებენ ცოლებს; თავისივე ხელით დააწინევენებენ გოდრებს და უფსკრულში გადაჰყრიან. გამარჯვებული გლეხი გაიძახის: „ეხლაც გაყვლეფთ ხალხს? ეხლაც მოატყუებთ ხალხს?“¹ ამ ზღაპარში ნოცემულია მშრომელი ხალხის სულისკვეთება და მისი ჯანსაღი პერსპექტივები.

ასეთივე იდეოლოგიურ ყალიბშია გამოკვეთილი ზღაპარი „გლეხი კაცი“. ლარიბი გლეხი მოჯამაგირედ უდგება ბატონს. პირობას დადებენ: ვინც მათ შორის გაბრაზდება, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ბოროტი ბატონი მრავალგვარ ზომებს ხმარობს მოჯამაგირის გასაბრაზებლად. დაუზოგავად ამუშავენს, არაფერს არ აქმევს, მაგრამ მიზანს მაინც ვერ აღწევს. მშიერ მოჯამაგირეს გააყოლებენ ცხერის ფარას, იგი ამოარჩევს საუკეთესო ცხვარს, დაკლავს, შეწვავს და მიირთმევს. ბატონის შეკითხვაზე „გული ხომ არ მოგსვლია კაცო, საუზმე არ გაჭამეო“, გამოჯავრებით უპასუხებს: „მშიერი კი ვიყავი, მარა ერთი სუქანი ცხვარი დაეკალი და მივეცი ყბაშიო“. ბატონი არ იმჩნევს სიბრაზეს, ისევ მშიერს გზავნის ფარაში და თან ავალებს: „ისე გააძლე აქითობას რომ წამოდენი, სიარული უჭირდენ და სულ პეტელ-პეტელით მევიდენო“. მოჯამაგირე ცხვრებს სათითაოდ მუგუზულით დაუწვავს ტუჩებს და ბლავილით მორეკს ბინაზე. ბატონი სიბრაზით

¹ ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, „საბავშვო ფოლკლორი“, თბ., 1938 წ., გვ. 149.-

აინთება. მოჯამაგირე სანაძლეოს იგებს, ბატონს კლავს და მის ქონებას დაეპატრონება. ახლა მისი მოხერხება ვაჭრების წინააღმდეგ არის მიმართული. დაუამხანაგდება მათ ისეთივე პირობით. დაუმტვრევს ქურქლებს, დაუხევს ფართალს და დაუწვავს სახლ-კარს. ვაჭრები განიზრახავენ მის მოშორებას. მიყავთ წყალზე დასახრჩობად. მაგრამ მოჯამაგირე თავს გადაირჩენს და ვაჭრებს დაახრჩობს¹. მათ ფლიო ფოლკლორში ცნობილ ამ პატარა მოთხრობაში მკვეთრადაა ჩამოსხმული სულისკვეთება იმ სოციალური ფენის, რომელმაც საუკუნეთა მანძილზე გმინვით ზიდა მჩაგვრელი კლასის მძიმე უღელი. ასევე ორი სოციალური ფენის მოხდენილი დაპირისპირებაა ზღაპარში „მდიდარი და ღარიბი“. მდიდარს ბევრი ფული აქვს. ღარიბს—მხოლოდ ერთი მუჭა ფქვილი. ერთად მგზავრობენ. ღარიბის ერთი მუჭა ფქვილისაგან გამოაცხოებენ კვერს. მდიდარს უნდა კვერი სულ შექამოს და ასეთ პირობას დებს: „რა ვქნათ, აი კვერი რომ არ გვეყოფა ორივესო, რომელმაც მეტი სიმცირე ეილაპარაკოთ, იმან შექამოს კვერიო“. ეჯიბრებიან ტყუილის თქმაში. პირველად მდიდარი მოყვება: თითქოს იგი მამის მაყრად იყო. ბატს აკიდეს სამოცი ცალი ხორბალი საფქვავად; ტურამ ბატს გვერდები გამოსქამა, მისმა მამამ წნელით ამოულობა და ა. შ. შემდეგ მოყვება ღარიბი: თითქოს ფუტკარს საბალახოდ გზავნიდნენ. ერთი ფუტკარი უღელში შეებათ; მის კისერზე ნიგვზის ხე ამოვიდა; ნიგვზის ხის ტოტზე დესეტინა სახნავი მიწა გაჩნდა, შიგ პური მოიყვანეს, კურდღელი შეიპარა და ა. შ. ბოლოს ამთავრებს ღარიბი: „როცა მოთავდა პურის ქრავი, გამიეკიდა მამაჩემა, ზდია კურდღელს და დეიქირავო. იმტოლი სცემა, რომ ბოლოდან წერილი გაავდებინაო“. მდიდარი შეეკითხება, თუ რა ეწერა წერილში და ღარიბი უპასუხებს: „რა ეწერა და ღარიბს კვერი და დიდარს აფერიო“. ამგვარად კვერი დარჩება ღარიბს. იგი იმარჯვებს მდიდარზე². მახვილი სოციალური მოტივებით დატვირთული ზღაპრები, რომელთა ფაბულების სქემები მოვიყვანეთ, მშრომელი ხალხის ჯანსაღი იუმორისა და მოხდენილი სატირის მაჩვენებელია. სატირა და იუმორი ამ ზღაპრებში სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის ხერხია.

ზღაპრებში უხვადაა მოცემული მშრომელი კლასის ჯანსაღი სულისკვეთება. რაც გარკვეული მიზეზების გამო, XIX საუკ. II

¹ ქს. ს. ი. ხარულიძე, „საბავშვო ფოლკლორი“, თბ., 1938 წ., გვ. 162.

² ჩაწერილი გურიასში. აღ. დ. ლ. ონტის მასალებიდან.

ნახევრის ადრინდელმა ლიტერატურულმა ძეგლებმა ვერ თქვეს, ეს გადმოგვიშალა ხალხურმა შემოქმედებამ. ჩვენს ზღაპრებში მრავლად ვხედავთ წარსულში სოციალურად დაჩაგრული კლასებიდან გამოსულ გმირებს, რომელნიც გაბედულად, თამამად დასცინიან და ამასხარავებენ მეფეებს, ბატონებს, სამღვდელოებას, ვაჭრებს და იბრძვიან მათ წინააღმდეგ. მშომელმა ხალხმა თავისი მისწრაფებების, იდეების გადმოსაშლელად ზეპირსიტყვიერებას მინართა და უკვდავი სახეები შექქმნა.

ზღაპარი, როგორც მხატვრული მოვლენა, ააშკარავეს თავის სოციალურ ბუნებას. ის შესწავლილი უნდა იქნას მთლიანობაში. მოყვანილი მაგალითები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ:

ზღაპარი ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა, პირველად უნდა ყოფილიყო მარტივი ამბავი—მოთხრობა, რომელმაც შემდეგ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სირთულის ზეგავლენით რთული მხატვრული სახე მიიღო.

ზღაპარი სოციალური მოვლენაა. ის არასოდეს არ ყოფილა ერთი რომელიმე კლასის ან სოციალური ფენის საკუთრება. საზოგადოებრივ ყოფასთან დაკავშირებით ზღაპრებში ასახულია სხვადასხვა კლასის იდეოლოგიური ბრძოლა და მისწრაფებები.



ქართული ზღაპრების სოციალური ფუნქციონისათვის

ზღაპრის ტრადიცია საქართველოში უძველესი დროიდანაა ცნობილი. ფოლკლორის ან მდიდარ სახეს უკლასო საზოგადოებაში შექმნილი მარტივი ამბებიდან განვითარებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ჩამოყალიბებულ მხატვრულ სიტყვამდე მრავალგვარი ფუნქცია ჰქონდა. ზღაპრის ფუნქცია ისტორიულად ადამიანთა მოთხოვნილებებით განისაზღვრა. ზღაპარს ყველა ხალხში თითქმის ერთგვარი ფუნქცია ჰქონდა. ქართული ზღაპარი და ჩისი ტრადიცია დღემდე შეიცავს მისი უძველესი ფუნქციის ნიშნებს. ზღაპრის პროტოტიპი, ისე როგორც ხელოვნების ყველა დარგისა, შრომის პროცესში, პირველყოფილ ადამიანთა ურთიერთობაში ჩაისახა და იშვა. იგი უშუალოდ პრიმიტიულ მეთევზეთა და მონადირეთა ყოფასთან იყო დაკავშირებული. მონადირენი მას მინართავდნენ ტყის სულებისა და ცხოველების მიზიდვისა და გართობის მიზნით. ცნობილი ეთნოგრაფი დ. ზელენინი სხვადასხვა ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფაში პოულობს ზღაპრის ამ უძველესი ფუნქციის დამადასტურებელ ნიშნებს¹. მარტივი ამბების მაგიური და მითოლოგიური დანიშნულება უკლასო საზოგადოებაში აღნიშნეს ფოლკლორისტიმაც. ასე, მაგალითად, პროფ. ანდრეევს ხაზგასმული აქვს, რომ ტოტემური წარმოდგენებით შექმნილ ზღაპრებს ცხოველებზე, მოთხრობებს ტყისა და წყლის კაცებზე, ადგილის დედაზე და ნაწილობრივ უფრო რთულ ფანტასტიკურ ზღაპრებსაც

¹ Д. К. Зеленин. Религиозно-магическая функция фольклорных сказок. Сборник статей. Сергею Федоровичу Ольденбургу к пятидесятилетнему научно-общественной деятельности. Л., 1934.

პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანისათვის პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა. უკანასკნელ დრომდე მცირე კულტურის მქონე ხალხებში ნადირობისას ყვებიან ზღაპარს ტყის სულებისაგან მოწყალების მიღების მიზნით; ზღაპარს ქარის შესაჩერებლადაც ამბობენ ზღვის სანაპიროებზე მცხოვრებ ზოგ ხალხში¹.

ზღაპრის უძველესი ფუნქციის კვალს დ. ზელენინი მისი შესრულების დროსა და მასთან დაკავშირებულ ტაბუში ხედავს. ბოლო დრომდე სხვადასხვა ხალხში განსაზღვრულია ზღაპრის მოყოლის დრო — ზამთარი და ღამე. ზაფხულობით და დღისით ზღაპრის მოყოლა აკრძალულია. ასეთ აკრძალვა-ტაბუს სამართლიანად უკავშირებს ის ნადირობასა და მესაქონლეობას. უკრაინელ ხალხში წელიწადის იმ დროს, როდესაც ცხვარი მრავლდება, ესე იგი ზაფხულში, აკრძალულია ზღაპრის მოყოლა, ხალხის რწმენით ტაბუს დარღვევა ცხვრის განადგურებას გამოიწვევს².

ტაბუს ზღაპრის მოყოლასთან დაკავშირებით დღეს მეტწილად დაკარგული აქვს კავშირი ნადირობასა და მესაქონლეობასთან. ტაბუს დარღვევის შედეგად მოვლენილი სასჯელი სხვადასხვა ხალხში სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. ბელუჯების რწმენით, დღისით ზღაპრის მოყოლას ოჯახის უბედურება მოყვება. მათივე რწმენით, შეიძლება დაისაჯოს თითონ მთქმელი მეხსიერებისა და ნებისყოფის დაკარგვით³. ბეჩუანები (სამხრეთი ამერიკა) მზის ჩასვლამდე არ ყვებიან ზღაპარს. მათი რწმენით, დღისით ზღაპრის მთქმელს თავზე ღრუბლები დაეცემა. ბრეტონელებს სწამთ, რომ დღისით ზღაპრის მთქმელს მეხი მოკლავს. ინდოელების რწმენით, დღისით და ზაფხულობით ზღაპრების მოყოლის შედეგად გველები მოიტანენ უბედურებას; ჩრდილოეთ ამერიკაში, მექსიკაში და სხვაგან სწამთ, რომ ზღაპრის ტრადიციის დარღვევას თან სდევს სასჯელი გველების, ბაყაყებისა და სხვა ქვეწარმავალთა მოვლინების სახით⁴.

ქართულს ეთნოგრაფიულ ყოფასა და ფოლკლორის ტრადიციის ვაჟობობით ზღაპრის უძველესი ფუნქციის ასეთ ნიშნებს. ტაბუ ზღაპრის ტრადიციასთან დაკავშირებით ცნობილია საქარ-

¹ И. П. Андреев. Фольклор и его история. Русский фольклор, 2-е изд. Ленинград, 1938.

² დ. ზელენინი. დასახელებული შრომა, გვ. 217.

³ И. И. Зарубин. К изучению белуджского языка и фольклора ЗКВ, V, 1931, გვ. 663.

⁴ დ. ზელენინი. დასახ. შრომა, გვ. 217—219.

თველოს სხვადასხვა კუთხეში. ჩვენშიაც აკრძალული ყოფილა ზღაპრის როყოლა დღისით, თუმცა ამ აკრძალვაში ახლა აღარ ჩანს მისი უშუალო კავშირი მონადირეობასა და მესაქონლეობასთან. 1936 წელს საგურამოელმა მეზღაპრე ქალმა უარი გვითხრა დღისით ზღაპრის მოყოლაზე; მისი რწმენით, დაბინდებამდის ზღაპრის მთქმელს პერანგის ამბანაგი დაეკარგება. 1939 წელს ბაზალეთელმა მეზღაპრე მამაკაცმა შარვლის დაკარგვის ინიშით დღისით არ გვიანბო ზღაპრები. ასეთივე აკრძალვის კვალი ვნახეთ 1943 წლის ზაფხულში თელავისა და ყვარლის რაიონებში.

ტაბუ ზღაპრის მოყოლის. დროზე საქართველოში აღნიშნული იყო უფრო ადრეც. ნ. ჯანაშიას ცნობით, აფხაზებს სწამთ, რომ დღისით ზღაპრის მთქმელს ქურდი პერანგის ამბანაგს მოპარავს¹. მ. მაშურკოს ცნობით, ქუთაისის რაიონში, სოფელ კულაშში, დღისით ბავშვებს არ უამბობდნენ ზღაპარს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი ღამით ძილში დაისველებდა².

აღნიშნულ ტაბუსთან დაკავშირებით ჩვენ ყურადღებას იპყრობს ქართული ზღაპრის ტრადიციული შესავალი:

აგვრ მოდის შვი ძაღლი,
უკან მოსდევს გველეშაპი,
ვინც ჩემს უკან ამა ამოილოს,
შკლუჯი და გველეშაპი.

ეს ტრადიციული შესავალი ახლა ზღაპრის შედარებით ახალი ფუნქციის, — მსმენელთა გართობისა და სიჩუმის დაცვის აუცილებლობის მაჩვენებელია, მაგრამ ის შეიცავს უძველესი რწმენისა და ამდენად ზღაპრის უძველესი ფუნქციის ნიშანსაც. მოყვანილი ფორმულით მთქმელი ზღაპრის ტრადიციის დამრღვევს უკლუჯისა და გველეშაპის მოვლინებით ემუქრება. ჩვენის აზრით, ეს უნდა იყოს გადმონაშთი სხვადასხვა ხალხში აღნიშნული უძველესი რწმენისა, რომლითაც ზღაპრის ტრადიციის დარღვევას მოყვება უბედურება ქვეწარმავალთა სახით.

ზაფხულობით ზღაპრის მოყოლის აკრძალვა მისი უძველესი დანიშნულებით საქართველოში ახლა აღარ გვხვდება. ზღაპარს ახლაც მეტწილად ზამთრობით ყვებიან. ეს ჩვეულება მშრომელთა

¹ Н. Джанашия. Религиозные верования псахазов. Журнал „Христианский восток“, IV, 1925 г. № 1, стр. 73.

² М. М. Маашурко. Из области народной фантазии и быта. СМОЛНИК, XVIII, отд. 3-е, стр. 169.

საქმიანობითაა განსაზღვრული და მას მაგიურ დანიშნულებას აღარ აძლევენ. ამ ჩვეულებას ჩვენშიაც დიდი ხნის ისტორია აქვს. მხოლოდ ხანგრძლივი ჩვეულების შედეგად შეიძლებოდა შექმნილიყო დასასრული ფორმულა, რომელიც ზღაპრების ზამთრობით შესრულების წესზე მიუთითებს:

აიანთარი, მაიანთარი.
წყვეული იყოს ფულის ყანთარი,
გამგონემ გასძლოს ასი ზამთარი.

დ. ზელენინის მეტად გონებამახვილური მოსაზრებით, ზღაპრის უძველესი ფუნქციის მაჩვენებელი, აღნიშნულ ტაბუს გარდა, ზღაპრის მუსიკასთან კავშირიცაა. ზღაპრისა და მუსიკის კავშირის საფუძველიც პრიმიტიულ მონადირეთა წრეშია. მუსიკის დანიშნულება პირველყოფილი მონადირისათვის ცხოველებისა და კეთილი სულების მიზიდვა იყო. ზღაპრის მოყოლა სიმღერით ან მუსიკალურ აკომპანიმენტზე აყოლებით ცნობილია სხვადასხვა ხალხში. პრიკლონსკის ცნობით, იაკუტები ზღაპრებს ბოლო დრომდე მღეროდნენ;¹ აბაკანელები და ალტაელები ზღაპრებს „ბალადაიკაზე“ აყოლებით ყვებიან; სიმღერა თან სდევს რუსულ ზღაპრებსაც.² ზღაპრის თქმა მუსიკალურ აკომპანიმენტზე აყოლებით ცნობილია ქართულ სინამდვილეშიც. სვანური რელიგიური დღესასწაულის ლიფანაღის დროს მიცვალებულთა სულების პატივისცემად ზღაპრებს მუსიკალური აკომპანიმენტზე აყოლებით ყვებიან.³ სვანური ლიფანაღის შესატყვისის იმერულსა და ქართლურ (ჭიათურისა და გორის რ.) რელიგიურ დღესასწაულის სულთაობის დროსაც ჰქონია ადგილი წინაპართა სულების გართობის მიზნით ზღაპრის მოყოლას მუსიკალურ აკომპანიმენტზე აყოლებით.⁴

¹ Живая старина. 1891 г., № 3, გვ. 49.

² დ. ზელენინი. დასაბელებული შრომა. გვ. 217.

³ მოყვანილი ცნობა ლიფანაღის ვრცელ აღწერასთან დაკავშირებით, რაზედაც შემდეგ თავში უფრო ვრცლად შეეჩერდებით, 1937 წელს მოგვაწოდა ეთნოგრაფმა ვერა ბარდაველიძემ მის მიერ 1935 — 1937 წლებში სვანეთში შეკრებილი მასალების მიხედვით. რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხნებთ. ლიფანაღის დროს ზღაპრის მოყოლის ტრადიციასზე ჩვენც შევკრიბეთ ცნობები აგ ჩეთვე სვანეთში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას 1945 წლის ივლისსა და აგვისტოში. ქ. ს.

⁴ ცნობები 1940 წელს მოგვაწოდეს გორის პედინსტიტუტის სტუდენტებმა გიორგი გაფრინდაშვილმა და დავით გორელიშვილმა.

ხალხური პროზისა და მუსიკალური აკომპანემენტის კავშირის მაჩვენებელია 1941 წელს ივრის ფშავში ლაშარობის კვირა დღის. აღწერასთან დაკავშირებით ვერა ბარდაველიძის ცნობა:

„ბრძანდებოდაო თამარ ქალია,
მამის-სანეფო დამხადებული“,

შემოსძახა ფანდურზე ფშაველმა და ამას შემდეგი ამბები მოაყოლა. „თამარი მდიდარი ხელმწიფე ყოფილა. იმ დროს საქართველოს ბევრი მტერი ჰყოლია. „მურგლივ“ ურჯულო ყოფილა ნემოსეული.

თამარ ნეფე სულ ეკლესიებს აშენებდა თურმე. ის იმდენი წმინდანი ყოფილა, რომ ზღვებზე ანათორა დაუგავ და ისე დაევა ზღვაზე და ჰაერში. მაშინ თამარს ზღვაში სამანად ისარ ჩაუგავ და ხმელეთი ჩვენკე დაუგდიაო“. ¹ მართალია, ამ შემთხვევაში საისტორიო ლეგენდასთან გვაქვს საქმე, მაგრამ იგი საინტერესოა ლეგენდარული ზღაპრების ტრადიციის თვალსაზრისითაც. ქართული ზღაპრისა და მუსიკის კავშირის მაჩვენებელია აგრეთვე მოქმედის მიერ ზღაპრის დაბოლოება შემდეგი ლექსით:

დაჰქარ და დაჰქარ ფანდურო,
შე გამოთლილო ღვიისო,
ვერ დაგაჰარბებს ბალია,
სულ შენ მაგონებ ლექსებსა,
ნახევარ შენი ბრალია ².

* * *

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ჩამოყალიბდა რელიგიური შემეცნება და უფრო განვითარდა სიტყვიერი შემოქმედებაც, ზღაპარი რელიგიურ-მაგიური წესჩვევების ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტადაც-კი იქცა. ზღაპრის ასეთი ფუნქცია ბოლო დრომდეა ცნობილი სხვადასხვა ხალხში ³. ქართული ზღაპარი და მისი ტრადიცია დღემდე ატარებს რელიგიურ-მაგიური ფუნქციის ნიშნებს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ზღაპრის შესავლისა და დაბოლოვების ტრადიციული ფორ-

¹ ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში. აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XI, თბილისი, 1941 წ., გვ. 128—129.

² თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები, ტ. I, 1909 წ. გვ. 61.

³ დ. ხელენიანი, დასახელებული შრომა, გვ. 231—285.

მულები. რომანტიკული ბუნების ქართველ მეზღაპრეებს მსმენელები შესანიშნავი ფორმულით შეყავთ ზღაპრულ სამყაროში:

იყო და არა იყო რა,
ღვთის უყეთესი რა იქნებოდა.
იყო შაში მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი.
ღმერთი მალალი,
კაცი დაბალი.
ღმერთს დიდება,
ჩვენ მშვიდობა.

აქეთი შესავალი ზღაპრის მხატვრულ გამოგონებასთან ერთად აღნიშნავს მის უძველეს ფუნქციას. თანამედროვე მეზღაპრეები ზღაპრის შინაარსისაგან დამოუკიდებლად იყენებენ ამ ფორმულას. იგი წარსულში უდავოდ ღვთაებისადმი მიძღვნილი დიდება იყო. ეს ფორმულა ქართულმა ზღაპარმა შემოინახა იმ დროიდან, როდესაც იგი რელიგიურ-მაგიური წესებისა თუ დღეობების ერთ-ერთი ელემენტი იყო. ამიტომ ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია ამ ფორმულის შესწორება, როგორც ამას ჩადის ქართული ხალხური ზღაპრების ზოგი გამომცემელი თუ მთარგმნელი. ზღაპრის უძველესი დანიშნულების მაჩვენებელია აგრეთვე ფილოსოფიური აენტენციის შემცველი დასასრულის ფორმულები დალოცვის სახით, რასაც საქართველოს ყველა კუთხეში გავიგონებთ:

კირი იქა
ლხინი აქა,
ქატო იქა,
ფქვილი აქა;

მთას ურემი ავაგორე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გაგვიძეხით,
საიქიოს ცხონებითა;

ელასა, მელასა,
გაგიმარჯოს ყველასა;

ამ ამბავს დაძველება
მსმენელს დღეგრძელება

და ა. შ.

წარმართულ ხანაში შეძენილი ფუნქცია ზღაპარმა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც შეინარჩუნა. ცნობილია, რომ ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში ეკლესია ებრძოდა წარმართულ კულტურას. ეს ბრძოლა ხალხური შემოქმედების წინააღმდეგაც იყო

მიმართული. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო შეადგენდა. ამას ადასტურებს 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილება¹ და დავით აღმაშენებლის მიერ შემოღებული კანონი, რომლითაც „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა განმარისხებელი, და ყოველი უწყისობა მოსპობილი იყო ლაშქართა შინა“². ზღაპრისადმი გარკვეული უარყოფითი დამოკიდებულება ჩანს ამ უანრის განმარტებაშიც: „ზღაპრობანი არიან საწარმართონი, საცრუო მოგონებულნი და ტყუვილნი შემპყრებულნი“³. ასეთი დევნის შედეგად, ცხადია, ხალხური შემოქმედების განვითარება არ შეჩერებულა. ის ფართოდ ვრცელდებოდა ხალხში, ვითარდებოდა. ხალხურმა შემოქმედებამ წარმართული და ქრისტიანული კულტურის შერწყმის შედეგად ქრისტიანულ დღესასწაულშიც იკისრა თავისი ფუნქცია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში უკანასკნელ დრომდე გვხვდება ზღაპარი, როგორც ერთ-ერთი ელემენტი ზემოთ დასახელებულ მიცვალებულთა სულებისათვის განკუთვნილი დღესასწაულისა. ბოლო დრომდე განსაკუთრებული სამზადისით ეს დღესასწაული სვანეთში ტარდება. იგი იმართება ახალწლის დღეებში — იანვრის პირველ რიცხვებში, გრძელდება რამდენიმე დღე. ლიტანალ დიდ უქმედ ითვლებოდა. სვანებს სწამდათ, რომ ამ დროს წინაპართა სულები ბრუნდებიან ოჯახში. ამიტომ განსაკუთრებით ასუფთავებდნენ კარ-მიდამოსა და ჯამ-ჭურჭელს. ოჯახის უფროსი მამაკაცი მიდიოდა სასაფლაოზე, ეკლესიის კარებს მიაკრავდა სანთელს და ქუდმოხდილი, დიდი მოკრძალებით ბრუნდებოდა უკან. მას სწამდა, რომ მის კვალს მიცვალებულის სული მოსდევდა. კარ-სარკმლები წინასწარ იყო გაღებული სულების შემოსასვლელად. საღამო ჟამს სულებისათვის შლიდნენ სუფრას. მამაკაცები დგებოდნენ სუფრასთან, დედაკაცები — უფრო მოშორებით. ოჯახის უფროსი ქუდმოხდილი ეპატიებოდა სულებს, რომ მიერთვით სასმელ-საჭმელი. შემდეგ ოჯახის წევრები შემოუსხდებოდნენ სუფრას. როცა მათი აზრით სულები ისვენებდნენ, ოჯახის ერთი წევრი მათ პატივსაცემად მუსიკალური ინსტრუმენტის აკომპანე-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 229.

² ანასეული ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1942, გვ. 226.

³ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, სიტყვა, „წერილი“.

ვენტზე ყვებოდა ზღაპარს. ეს სრულდებოდა ხანგრძლივად. ამ დროს აკრძალული იყო სიჩუმის დარღვევა. ეს დღესასწაული აუწერია აგრეთვე დ. ანტონიძეს წერილში „წინაპართა სულების თაყვანისცემა სვანეთში“. მისი ცნობით „ლიფანეს“ ანუ სულების მოფენა სვანეთში წელიწადში რამდენიმეჯერ იმართებოდა; უფრო მეტი სამზადისით იმართებოდა ზამთარში, იანვრის პირველ რიცხვებში, „ნათლისღებასთან“ დაკავშირებით. ამ დროს მზის ჩასვლისას ჩამოვარდებოდა სიჩუმე და ეგებებოდნენ სულებს... მისი აღწერით, „მთელი იმ დროის განმავლობაში, როცა ეს საღმრთო ჩვეულება სრულდება, სიმღერა, სიცილი, ხუმრობა, ან რაიმე ისეთი საქციელი, რომელიც არ შეეფერება ამ საიდუმლო-სამგლოვიარო წამებს, განდევნილია სვანის ოჯახიდან. აქ აღგილი აქვს მხოლოდ ზღაპრებს და ძველებურ ამბებს, რომელთაც მოჰყვება ხოლმე ოჯახის უფროსი მოხუცი“¹. ალი დავთიანის ცნობით, ამ დროს სვანები მეტწილად მიცვალებულთა სულებთან დაკავშირებულ ამბებსა და ზღაპრებს ყვებიან. რელიგიური დღესასწაულის დროს მოყოლილ ზღაპარს რომ პირველად შინაარსეული კაჟშირი ჰქონდა დღესასწაულს არსსა თუ მის ობიექტთან, ამას ადასტურებს აგრეთვე ზემოთ მოყვანილი ლეგენდა თამარზე. აღნიშნული ლეგენდა ფშაველს თამარის ხატობასთან დაკავშირებით უთქვამს².

მიცვალებულთა სულებისათვის განკუთვნილ დღესასწაულში აშკარაა ზღაპრის რელიგიური ფუნქცია. ზღაპარი ამ დღესასწაულის მიხედვით სულის პატივისცემის საფუძველზე შექმნილ მიცვალებულთა კულტთან და აქედან განვითარებულ წინაპართა კულტთანაა დაკავშირებული. დღესასწაულს ქრისტიანული ელფერი შემდეგ მიუღია. აღწერილი დღესასწაულისა და ზღაპრის როლიც თავდაცვითია. დღესასწაული უშუალოდ საერთაშორისო სამგლოვიარო წესების საფუძველზეა შექმნილი. ამ წესების მიხედვითაც რიტუალი და მასთან დაკავშირებული სიტყვიერი შემოქმედება მიცვალებულთა გულის მოგების მიზნით სრულდებოდა. ცდილობდნენ, მიცვალებული კმაყოფილი ყოფილიყო იმ ქვეყნად, რომ დაეცვა მისი ოჯახის ინტერესები.

მრავალ ხალხში სამგლოვიარო წესების შესრულებისას ზღაპარს თავდაცვის ფუნქცია აქვს დაკისრებული. დასაფლავების წინა ღამეს მიცვალებულთან ათევენ ღამეს და ყვებიან ძველ გად-

¹ „მოგზაური“, 1901 წ., № 6.

² ვნის, ისტორიისა და მატერ. კულტ. ინსტიტ. მოამბე, XI, გვ. 228—229.

მოცემებს, ანეგდოტებს, ამბებს მიცვალებულთა ცხოვრებიდან და სხვებს¹. ლამის თევა მიცვალებულთან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღესაც იციან. საქართველოს ზოგ კუთხეში ამ დროს ზღაპრებს უკვე აღარ ყვებიან. სვანეთში—კი აკ. გელოვანის ცნობით ბოლო დრომდე იყო შემონახული მიცვალებულთან ღანის თევისას ზღაპრის მოყოლის ჩვეულება.

ზღაპარი გარკვეული დანიშნულებით ქორწილსაც უკავშირდებოდა. რუსული საქორწილო ლხინის დროს ქალთა წრიდან გამოდიოდა მსახურის ცოლი და სტუმრებს სიმღერებითა და ზღაპრებით ართობდა². ქორწილის დროს ზღაპრის მოყოლა ბოლო დრომდე იცოდნენ კოტელნიჩის რაიონშიც. ზღაპრის ქორწილში მოყოლის ჩვეულებაზე არსებობს ქართული მასალებიც. ზღაპარში „გაფუფქული მღვდელი“ გვხვდება შემდეგი ეპიზოდი: „ქორწილიც გადაიხადეს სოფდაგრის შვილის და მეორე დღეს შინაურები და შორეული სტუმრები დააჩნენ სადილზე. ისურვეს—ნეტავი ერთი ზღაპარი გვითხრას ვინმემო. დაიბარეს ბიჭები, ყველამ უარი თქვა — არ ვიცითო. ბოლოს ერთმა წამოიძახა: — ჩვენს ძროხაში ერთი ბიჭი არის, ის ყოველ ღამე სულ ზღაპრებს ამბობს, ის მოვიყვანოთო.

დაიბარეს ის, მოვიდა. უთხრეს: — ქუდი მოიხადე და ზღაპარი თქვიო.

— ვერც ქუდს მოვიხდი და თუ კარებს არ დაჰკეტავთ და გასაღებს მე არ მომცემთ, ვერც ზღაპარს ვიტყვიო, — თქვა მან. დაიწყეს სიცილი — ალბათ ეშინია, ზღაპარი არ გაექცესო. დაკეტეს კარები და გასაღებები ამ ბიჭს მისცეს. დაიწყო ზღაპარი“³.

მოყვანილ მაგალითებში უკვე აღარ ჩანს ზღაპრის ქორწილში შესრულების ხასიათი, რაც მას, ჩვენის აზრით, უსათუოდ ჰქონდა. ამას გვაფიქრებინებს სხვადასხვა ხალხის საქორწილო ცერემონიალში ბოლო დრომდე შემონახული ნართაული საუბარი მავნე სულებისაგან ახალ დაქორწინებულთა დაცვის მიზნით; დაქორწინებულთა მავნე სულებისაგან დაცვის ფუნქცია უნდა ჰქონოდა აგრეთვე იგავებსა და ცოცხალ ტყუილზე აგებულ ზღაპრებს.

¹ დ. ზ ე ლ ე ნ ი ნ ი, დასახ. შრომა, გვ. 228.

² А. Н. Пыпин, История русской литературы, т. III, стр. 54.

³ ხალხური სიტყვიერება, ნ. II, გვ. თაყაიშვილის რედ., 1918 წ., გვ. 150.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასა და გართულე-ბასთან დაკავშირებით ფოლკლორულმა ქანრებმა დაკარგეს პირველყოფილი ულტრაპრაქტიკული დანიშნულება. მხატვრულ ძეგლებად ჩამოყალიბებულმა ზეპირმა ნაწარმოებებმა სოციალურ-პოლიტიკური და ესთეტიკური ფუნქცია იკისრეს. ზღაპარმაც თანდათან დაკარგა პირვანდელი ულტრაპრაქტიკული ფუნქცია. იგი ადამიანთა სულიერ საზრდოდ და ერთგვარ გასართობად იქცა. ეს სრულებით არ ნიშნავს მის სიკვდილს. ეს არის ახალი ფუნქცია, რაც ზღაპარს ბოლომდე შერჩა. გართობითი ფუნქცია ზღაპრისა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სოციალურ ფენაში სხვადასხვაგვარი იყო. სიტყვა „გართობა“ ზუსტად ვერ ასხვავებს ზღაპრის შედარებით ამ ახალ ფუნქციას მისი უძველესი ფუნქციიდან. ზღაპრის უძველეს ფუნქციაშიც იგულისხმება გართობა სხვადასხვა სულებისა. განსხვავება იმაშია, რომ გართობით ფუნქციას ზღაპრის განვითარების მაღალ საფეხურზე უკვე აღარ აქვს მაგიური ხასიათი.

ზღაპარი, როგორც გასართობი საშუალება, ფართოდ იყო გამოყენებული ფეოდალურ-არისტოკრატიულ წრეში. მეფეებს, ფეოდალებსა და შეძლებულ პირებს ყავდათ პროფესიული მეზღაპრეები. ისინი თავიანთ პატრონებს ართობდნენ ზღაპრების მოხდენილი მოყოლით, ამ გარემოებამ უდაოდ დიდი როლი ითამაშა ზღაპრის მხატვრულად სრულქმნაში. ზღაპრის ამგვარ ფუნქციაზე მსჯელობისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მისი მოყოლა ძილის პირს. ისტორიკოს ზაბელინის ცნობით მეზღაპრე ყავდათ ყოველ შეძლებულ ოჯახში, სადაც „одной из любимых комнатных утех в долгие зимние вечера и особенно грядущих жю сну, была сказка“. მისივე ცნობით მეფე იოანე მრისხანე უზღაპროდ ვერ იძინებდა, ძილის პირს ლოგინთან ეჯდა სამი ბრწა მთქმელი, მეფე ვასილი შუისკის ყავდა შესანიშნავი მეზღაპრე ივანე; მეფე მიხეილ თეოდორისძის მთქმელები გასამრჯელოდ იღებდნენ ტანსაცმელს¹. ზღაპრის საძილისპირო ფუნქციის კვალს ძველ ლიტერატურულ ძეგლებსა და თვით ქართულ ზღაპრებშიც ვხედავთ. ირანული რომანტიკული ეპოსის ცნობილი ძეგლის „ბარამგურიანის“ მიხედვით მშვენიერი ცოლის დილარამის მოშორებით ერანის ხელმწიფე ბარამი სასოწარკვეთილებაში ვარდება.

¹ Забелин, Домашний быт русских царей, т. 1, стр. 32, 429—430.

ბრძენი მანის რჩევით ცოლად ირთავს შვიდ სამეფოდან მეფის ქალებს. თითოეული საცოლეს მოყვანისას პირველსავე ღამეს ძილგატეხილი ბარამი იბარებს მანის, რომელიც ფარდაგს უკან ჩამოაჯდება და მეფესა და დედოფალს უამბობს ზღაპრებს¹. მიხ. ჩიქოვანის მოსაზრებით, „ჩვენში პროფესიული მთქმელები რევოლუციამდეც არ ყოფილა ცნობილი“². პროფესიული მეზღაპრენი, რომელთა არსებობის წყაროს ზღაპართა გადმოცემა შეადგენდეს, თანამედროვე მთქმელებში არ გვხვდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთები საქართველოში არასოდეს არ ყოფილან. საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. პროფესიული მეზღაპრენი ჩვენშიც იყვნენ. ამის შესახებ მეტად საინტერესო ცნობას იძლევა ქართული ფოლკლორის დიდი მოამბე აკაკი წერეთელი: „ბატონ-ყმობის დროს საქართველოში და უფრო დასავლეთ საქართველოში, ესე იგი იმერეთში, გლეხებს „ბეგარა“ ემართათ... იყვნენ იმისთანა გლეხებიც, რომ ზღაპარი ემართათ, სხვებრ ყოველ-გვარად თავისუფალი იყვნენ და ბატონისა და ბატონის ცოლშვილისათვის მხოლოდ ზღაპრები უნდა ეთქვათ ხოლმე. აი ამ მეზღაპრეებს შესწავლილი ჰქონდათ დიდიძალი... ყოველგვარი ზეპირსიტყვაობა მამა-პაპათაგან გადმონაცემი და იმას ავრცელებდნენ“³. ასეთსავე ცნობას ვხვდებით მის პატარა წერილში „განცხადებასავით“⁴. სამწუხაროდ აკაკი წერეთელი ამ საყურადღებო ცნობის მოწოდებისას არ ასახელებს ზღაპრის ამგვარი ფუნქციის კონკრეტულ მაგალითებს. საინტერესო ცნობა ზღაპრის ამგვარი ფუნქციის შესახებ მოგვაწოდა გორის პედიანსტიტუტის სტუდენტმა, კიათურის რაიონის, სოფ. შუქრეთის მცხოვრებმა გიორგი გაფრინდაშვილმა. მან 1940 წლის ზაფხულში თავის სოფელში, ჩვენი დავალებით, შეკრიბა ფოლკლორული ნიმუშები. მისი ცნობით, „საჩხერეში, სოფ. სხვიტორში, ცხოვრობს მოხუცებული კაცი (69 წლ.) დიმიტრი ომიადე, რომლის მამა-პაპა თავის მოვალეობას ბატონთან იხდიდა მხოლოდ ზღაპრების მოყვლით.

¹ ა. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. II, თბ., 1941 წ., გვ. 348—352.

² ქართული ხალხური ზღაპრები, ტ. 1, მიხ. ჩიქოვანის რედ., 1938 წ., გვ. XX.

³ აკ. წერეთელი, ხალხური ზეპირსიტყვაობა და მისი მნიშვნელობა, „თემი“, 1913 წ., № 118.

⁴ „კვალი“, 1895, № 6.

„დიმიტრი ომიადე და მამაჩემი ნიკოლოზის დროს ორი წელიწადი ერთად ყოფილან სალდათად. ორი წლის განმავლობაში იგი ყოველდღიურად ახალ ზღაპრებს გვიამბობდა ხოლმეო, მითხრა მამაჩემმა“.

ცხადია. შუქრეთელი მოხუცი იქნებ აზვიადებს ომიადის საზღაპრო რეპერტუარის სიმდიდრეს, მაგრამ იგი კონკრეტულად ასაბუთებს აკაკი წერეთლის ზოგად ცნობას. ექვს გარეშეა, ასეთი გვარეულობა პროფესიული მეზღაპრეობით იქნებოდა ცნობილი და მდიდარი საზღაპრო რეპერტუარი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. პროფესიული მეზღაპრე იყო აგრეთვე ემზა გუჯეჯიანი. დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე იგი დაღეშქელიანების კარის მეზღაპრე ყოფილა¹.

ქართული საზღაპრო რეპერტუარიც იძლევა ცნობებს მეფეთა და დიდებულთათვის ძილის პირს ზღაპრების მოყოლის შესახებ. ზღაპარში „ქურდი და თული“ გვხვდება საინტერესო ეპიზოდი. ამ ზღაპრის მიხედვით უქმი ცხოვრებით თავმობზრებული ნეფის დაძინება მეზღაპრის მოსვენების ხარჯზე ხდება: „ერთი ხელმწიფე ბრძანდებოდა. დღესა და ღამეს სულ სიამოვნებაში ატარებდა. როცა ქეიფის დრო იყო, ხომ ქეიფობდა და, როცა ძილის დრო მოუვიდოდა, ნაზირ-ვეზირებს დაიყენებდა. ქურდმა მოიყვანა თული ხელმწიფის ცოლთან, ცხრაკლიტური კარები გააღო, შეიპარა შიგ, შეაპარა თულიცა, და ორივენი ხელმწიფის ტახტს ქვეშ შეძვრნენ და იქიდან ყურს უგდებდნენ. კარგი ხანი გავიდა, ხელმწიფეს თვლება დაუწყა, ვეზირსაც ძილი მოეკიდა; რო არ დამეძინოსო, ვეზირმა კევი ჩაიღო პირში და იმასა ჰლეკავდა, თან ძილი ერეოდა და თვალებს ჰხუჭავდა, გამოძვრა ქურდი, ნელნელა მიეპარა და ვეზირს პირში ცალი წვერი ძაფისა ჩაუღო. ცალი წვერი ხელში ეჭირა ქურდსა. ვეზირმა ვერაფერი გაიგო და ძაფი კევი ჩაღეკა. გამოსწია ქურდმა ძაფს ნელნელა, გამოსწია და გამოაცალა კევი. რაკი პირში კევი აღარ ედო, ვეზირს დაეძინა. იქვე ტახტზე გაიშხლართა. წამოხტა ქურდი და დაჯდა იმის ადგილას. რაკი ზღაპრის თქმა შესწყდა, ხელმწიფემ თვალეზი გამოაქყიტა.

— რად შესწყვიტე, რატომ არ მიაშობო.

¹ ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 293; სახალხო მთქმელები, 1956, გვ. 13.

— ამ საათში მოგახსენებ, დიდებულო, ხელმწიფეო, მოახსენა ქურდმა, თითქო ვეზირი იყოსო.

თქვი, რაღას ელიო, უბრძანა მეფემ. ქურდმა დაიწყო¹.

ზღაპრის საძილისპირო ფუნქციისა და მეზღაპრეთა გარკვეული მძიმე მოვალეობის მაჩვენებელია ქართული ზღაპრის დაბოლოვების ფორმულა: „ბატონს ძილი, ჩვენ მოსვენება“.

ზღაპრის თქმა ძილის პირს მხოლოდ ფეოდალურ-არისტოკრატიულ წრესთან არ იყო დაკავშირებული. ზღაპარს ასეთი ფუნქცია მშრომელთა წრეშიც ჰქონდა. ზღაპრებს დღესაც უყვებიან ბავშვებს ძილის პირს. ძილის პირს ზღაპრის თქმის ჩვეულების ფართოდ გავრცელების საფუძველზეა შექმნილი დაბოლოვების ტრადიციული ფორმულა:

ელასა, მელასა,
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა
ძილი გაამოს ყველასა.

* * *

ზღაპარი თავისი მრავალფეროვანი ფუნქციით ყოველთვის თან ახლდა მშრომელ მასას. ამიტომაც, რომ ეს საუკუნეებგამოვლილი მხატვრული ძეგლი უხვად არის დატვირთული განვლილი და ახალი ცხოვრების ნიშნებით და მდიდარ მასალას იძლევა ხალხის ცხოვრების, მისწრაფების, სიხარულისა და ჭირ-ვარამის შესასწავლად. გართობითი ფუნქცია ზღაპრისა, როგორც აღნიშნეთ, მხოლოდ ფეოდალურ-არისტოკრატიულ წრეში არ იყო ცნობილი. ზღაპარი სულიერ საზრდოთა და ერთგვარ გასართობად თან ახლდა მშრომელ ხალხს. ყველა ხალხში დღემდე შერჩა ზღაპარს ეს საპატიო როლი. ზღაპრის თქმის ტრადიცია მჭიდროდაა დაკავშირებული შრომის სხვადასხვა სახესთან. ცნობილ ფოლკლორისტებს — ძმებს ბორის და იური სოკოლოვებს — აღნიშნული აქვთ ზღაპრის თქმის ტრადიცია კოლექტიური შრომის იმ სახეებთან დაკავშირებით, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ მხარეს. ზღაპარს ყვეებიან ტყის ჭრის, თევზის ჭერისა და წისქვილში ყოფნის დროს². ზღაპრის მჭიდრო კავშირი მოსახლეობის საქმიანობასთან აღნიშნა პროფ. მ. აზადოვსკიმაც. ნადირობა, ტყის

¹ თ. რ ა ხ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური ზღაპრები, ტ. 1, გვ. 101.

² Б. и Ю. Соколовы, Сказки и песни Белозерского края, СПб.

მრწველობა, ტვირთის გადატანა, წისქვილი, სხვადასხვა არტე-
ლები არის ის ატმოსფერო, სადაც ზღაპარსა და მეზღაპრეს სა-
პატიო ადგილი უჭირავს. ციმბირის მშრომელ მოსახლეობაში კო-
ლექტიური შრომის დროს მეზღაპრე თავისუფლდება მუშაობისა-
გან და ნამუშევრიდან წილს ზღაპრის გასამრჯელოდ იღებს¹.
დ. ზელენინის ცნობითაც, მშრომელები ზღაპრის თქმით ამოკლე-
ბენ ზამთრის გრძელ ღამეებს. ეს ტრადიცია დაკავშირებულია
წისქვილთან, ტყის ქრასთან, ხერხეასთან და ა. შ.² ჩვენშიც ზღა-
პრის თქმის ჩვეულება მკიდროდ არის დაკავშირებული მშრომელი
მოსახლეობის მრავალფეროვან საქმიანობასთან. საქართველოს
კუთხეში გავრცელებული მოვლენა იყო ზღაპრის თქმა წისქვილში,
სამჭედლოში, საძოვრებზე და სხვ.; დასავლეთ საქართველოში.
სიმინდის კოლექტიური რჩევისას ღამის თევის დროს ყვებიან
ზღაპრებს; ყვებოდნენ ზღაპრებს ზამთრის გრძელ ღამეებში.
მატყლისა და ბუმბულის საპენტად შეკრებილი ქალები. ქართლში
ზამთრობით დღესაც იკრიბებიან ბოსელში მამაკაცები და ცეც-
ხლის პირას ყვებიან ზღაპრებს; გართობის მიზნით დასვენების
დღეს ზღაპრის თქმა გავრცელებული მოვლენაა საგურამოს მშრო-
მელ მოსახლეობაში და სხვ.

საქართველოს მშრომელ მოსახლეობაში ზღაპრის თქმის ჩვე-
ულებაზე საინტერესო ცნობები ლიტერატურული და ზეპირსიტყვი-
ერი წყაროებიდან და საკუთარი დაკვირვებებიდან მოყვანილი
აქვს პროფ. მიხ. ჩიქოვანს³.

ზღაპრის მთქმელი თავისი ხელოვნებისათვის ჩვენშიც ღებუ-
ლობდა გარკვეულ გასამრჯელოს. განსაკუთრებით გავრცელებული
იყო მთქმელისადმი გამასპინძლება. ამის კვალი შერჩენილია ზღაპ-
რების ტრადიციულ დაბოლოებებში. დასასრულის ფორმულით
მთქმელი მსმენელებს მოხერხებულად მოაგონებდა დასაჩუქრებისა
და გამასპინძლების საჭიროებას. ასეთი ფორმულებია:

ჩვენ ვიყავით ლხინში,
ისინი იყვნენ ჭირში,
გამოაცხვენ ხაჭაპური
და შევკამეთ პირში;

¹ М. К. Азадовский, Сказки Верхнеленского края, Иркутск, 1925, изд. 2-е. Л. 1938; Его же-Сказки из разных мест Сибири.

² Д. Зеленин. Великорусские сказки Вятской губ. Петер., 1915.

³ ქართული ხალხური ზღაპრები, ტ. 1, მ. ჩიქოვანის რედ., გვ. XXI —

ოთხი-ხუთი ბია მქონდა,
ერთი-ორი ბროწეული,
ღმერთმა ყველას მოგვახმაროს
ჩვენი ხელით მოწეული;
მთქმელსა და გამგონებელსა
თითო „სტაქანი“ ყველასა,

და ა. შ.

ასეთი ნიშნები სხვა ხალხთა ტრადიციულ ფორმულებშიც არის შერჩენილი¹.

* * *

ზღაპარი დიდაქტიკური ფუნქციითაც არის ცნობილი. ასეთი ფუნქცია ზღაპრისა არ არის ერთფეროვანი. ფოლკლორის იმ სახეს ზოგჯერ დამშვიდებისა და შთაგონების როლი ჰქონდა. ის შთაგონების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო. ამის შესახებ ცნობებს მრავალი ლიტერატურული და ზეპირსიტყვიერი ძეგლი იძლევა. XIII საუკუნეში შედგენილი დიდაქტიკურ-მორალური ეპოსის საინტერესო ნიმუშის „ბახთიარნამეს“ ანუ „ათვეზირიანის“ მიხედვით, იგავ-არაკებს დიდი შთაგონებითი როლი აქვს. აჯამის ქვეყნის მეფის აზდაბახთის შვილს ამილახროს ბახთიარს ცილისწამების შედეგად სიკვდილი მიუსაჯეს. არაკების გავლენით მეფეს სასჯელი სისრულეში არ მოჰყავდა²; ქართულ თარგმანში „თიმსარიანად“ ცნობილ ინდური ეპოსის მიხედვითაც ზღაპრებისა და არაკების ფუნქცია შთაგონებითაა³; ზღაპრის დიდაქტიკურ-შთაგონებით ფუნქციის მაჩვენებელია XVII საუკუნის ლიტერატურული ძეგლი „რუსუდანიანი“. ამ თხზულებით, სპარსეთის მეფემ თავის კარზე გაიწვია რუსუდანის ქმარი, ქალიშვილი და ბოლოს ვაჟიც. სასოწარკვეთილობაში ჩავარდნილ რუსუდანს ძმებმა საწუგეშებლად მორიგეობით უამბეს ზღაპრები⁴; ქართული ზღაპრის „სამი ძმის“ მიხედვით, ხელმწიფის უმცროსი ვაჟი გველის კბენისაგან გადაარჩენს მისი მამის მეგობარი ხელმწიფის მძინარე მეუღლეს. დედოფალი კი ცილს დასწამებს ქურდობაში. ვაჟს ხაროში აგდებენ. უფროსი ძმები იგავების საშუალებით შთაგონებენ ხელმწიფეს, შეამოწმოს საქმის ვითარება და ამგვარად იხსნიან ძმას განსაცდლისაგან⁵.

¹ Ю. М. Соколов. Русский фольклор, М., 1938, стр. 239.

² კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., ტ. II, გვ. 414—415.

³ იქვე, გვ. 415—419.

⁴ იქვე, გვ. 375—367.

⁵ ხალხური ზღაპრები შედგენილი ქსენია სიხარულიძის მიერ, თბ., 1938,

დიდაქტიკურ-მორალური ფუნქცია ზღაპრისა საკმაოდ ძველია და ცნობილია ყველა ხალხში. ზღაპარს ფართო გამოყენება ჰქონდა ბავშვების აღზრდის საქმეში. ასეთი დანიშნულებით თავის დროზე შეიქმნა გარკვეული ტიპის ზღაპრებიც კი, ეს ზღაპრები ხალხურ პედაგოგიკასთან არის დაკავშირებული. ამ გარემოებას ხაზი გაუსვა მაქსიმ გორკიმ: „Я утверждаю, что библейская сказка о единоборстве юноши Давида с Голиафом, легенда о Персее и все сказки на эту тему были сочинены для детей. рассказаны детям и воспитывали из детей Спартаков, Фра-Дольчино и других революционеров“¹. შესანიშნავი ძველი ძველი ქართული ლიტერატურისა, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, რომელიც ხალხური შემოქმედების საფუძველზეა შექმნილი, საინტერესო ცნობებს იძლევა ზღაპრებისა და არაკების როლის შესახებ მეფისწულის აღზრდაში.

ზღაპარს უდიდესი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნით იგი ფართოდაა გამოყენებული. ამ საკითხს ჩვენ ამჟამად სპეციალურად არ შევხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგი გამოჩენილი მწერლის მოსაზრებას ბავშვობაში მოსმენილი ზღაპრების დიდ მნიშვნელობაზე შემოქმედებითი პროცესის განვითარებასა და ნშობლიური ენის დაუფლებაში.

მ. გორკიმ, „Пионерская правда“-ს რედაქციის თხოვნით, გაეზიარებია ბავშვებისათვის მოგონება, თუ რას აძლევდა მას ბავშვობაში მოსმენილი ხალხური სიმღერები და ზღაპრები, აღნიშნა: „устная поэзия трудового народа, — той поры, когда поэт и рабочий совмещались в одном лице — это бессмертная поэзия, родоначальница книжной литературы, очень помогла мне ознакомиться с обаятельной красотой и богатством нашего языка“². ბავშვობიდანვე ძიძის ზღაპრებით შთაგონებული დიდი რუსი პოეტი პუშკინი ასე აფასებდა ზღაპრებს: „Сказка сказкой, а язык наш сам по себе, и ему-то нигде нельзя дать этого русского раздолья как в сказке. А как это делать? Надо бы сделать, чтобы выучится говорить порусски и не в сказке“³. ლერმონტოვი გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ ბავშვობაში არ სმენია მშობლიური ზღაპრები: „Как жаль, что у меня была ма-муньшой немка, а не русская, — я не слышал сказок народных:

¹ М. Горький, О литературе, 1928—1936, стр. 94.

² იქვე, О сказках, стр. 174.

³ Л. Майков, Пушкин. СПб, 1899, гл. 416.

в них, верно, больше поэзии, чем во всей французской словесности¹. ქართული ფოლკლორის ნოამაგემ და მისმა ოსტატურად გამომყენებელმა აკაკი წერეთელმა ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი“ აღნიშნა, რომ მასზე დიდი გავლენა მოახდინა ბავშვობაში მოსმენილმა ზღაპრებმა. მანვე ხაზი გაუსვა ზღაპრების დიდ როლს ქართული მეტყველების დაუფლებაში: „კაბინეტში ვზივართ და ხალხს არ ვიცნობთ. აი ახლაც სოფლებს ზღაპრებს ვატკმევიანებ ხოლმე და უნდა ნახოთ, რამდენ სიტყვებს მისთანას ხმარობენ, რომელიც მე ან დავიწყებული ნაქვს, ან არ მცოდნია, მაგრამ ნამდვილი ქართული სიტყვები კი არის“². ვაჟა ფშაველა თავის ავტობიოგრაფიაში „ჩემი წუთისოფელი“ იგონებს რა თავის ბავშვობას, გულწრფელად აცხადებს: „საგმირო ამბებს დიდ ალტაცებაში მოეყვანდი და სწორედ ეს ხანა დაედვა საძირკველად, ლიბოდ, ჩემს შემოქმედებას“³.

აღმზრდელობითი ფუნქცია ზღაპრისა. ცხადია, მარტო მწერალთა შემოქმედებაზე გავლენით არ შემოიფარგლება. ამ თვალსაზრისით ზღაპარი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ყველა სოციალურ ფენასა და ყველა წრეში იყო გამოყენებული. ქართული საზღაპრო რეპერტუარი მდიდარია დიდაქტიკური ზღაპრებით. ისინი გარკვეული მორალისა და ეთიკის საფუძველზე არიან შექმნილი. მათ წარსულში დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთივე თვალსაზრისით გარკვეულმა წრემ შექმნა ქრისტიანული იდეოლოგიის შემცველი ლეგენდარული ზღაპრები, რომლებიც აგრეთვე საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სინამდვილეში აღარ იქნება ყველა სახის ზღაპარი მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ახლა უფრო ფართოა. ზღაპართა დიდი რაოდენობა დღეს საბავშვო ასაკის კუთვნილებათ. თანამედროვე სოციალისტური აღზრდის ამოცანები მოითხოვს მოზარდი თაობისათვის ისეთი ნაწარმოების მიწოდებას, სადაც გამართულ იდეასთან ერთად მოცემულია მხატვრული სისადავე. ასეთ ამოცანას მთლიანად უპასუხებს შინაარსით მრავალფეროვანი, მხატვრულად სრულქმნილი ქართული ხალხური ზღაპრები, რომელთაც თავისი განვითარების ხანგრძლივ ისტორიაში მრავალფეროვანი ფუნქცია ჰქონდათ.

¹ М. Ю. Лермонтов. Сочинения (Акад. Биб.) IV. гл. 350.

² აკაკის კრებული, 1898 წ., № 2.

³ სოლ. ყუბანეიშვილი. ვაჟა-ფშაველა, 1937, გვ. 55.

ქართული ხალხური ლირიკის სიმბოლიკის საკითხები

თანამედროვე მეცნიერების მიღწევების საფუძველზე არავისთვის საეჭვო არ არის, რომ ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ უხსოვარ დროიდან მომდინარეობს. დიალექტიკური მეთოდით შეიარაღებულ კრიტიკულ აზროვნებას არ ეუცხოვება ჩვენს ენაში, ჩვეულებებში და წარმოდგენებში შორეული წარსულიდან გამოყოფილი ელემენტების დანახვა.

დღევანდელი ცხოვრების ფორმათა ასახსნელად მეცნიერება: განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება წარსული ცხოვრების გადმონაშთთა შესწავლას. ამ მხრით ფოლკლორისა და, კერძოდ, ხალხური პოეზიის შესწავლა მეტად საინტერესოა, რამდენადაც იგი ხალხისა და ბუნების უშუალო ურთიერთობის პროცესში იშვავა. პოეტური ფოლკლორის განვითარება ყოფიერებასა და ეკონომიკაზე და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრების ევოლუციაზეა დამყარებული. მისი საფუძვლიანად ათვისება დიდ დახმარებას გაუწევს კაცობრიობის ისტორიას მთელი რიგი ჯერ კიდევ სიბნელით მოცული პრობლემების ამოცნობაში. ხალხური ლირიკის სიმბოლიკის საკითხიც, რომელიც პოეტური ფოლკლორის კვლევის სფეროდანაა, წარსული ყოფაცხოვრებისა და უძველესი დროიდან მომდინარე წარმოდგენების, ენის, ჩვეულებებისა და სხვათა შესწავლის საფუძველზე ამოიცნობა. ამდენად ის საინტერესოა თანამედროვე მეცნიერებისათვის და კერძოდ-კი კულტურის ისტორიისათვის.

პოეზიისათვის დამახასიათებელი ახალი ურთიერთობის ნიადაგზე შექმნილი მხატვრული ხერხებისა და ფიგურების გვერდით მოიპოვება უძველესი დროიდან მომდინარე პირველყოფილი ადა-

მიანის განუვითარებელი აზროვნებით შექმნილი ბევრი ფორმა, რომლებმაც თანდათან დაკარგეს რეალური მნიშვნელობა და ისტორიის მანძილზე იქცნენ ესთეტიკურ სამკაულებად, მხატვრული ზემოქმედების საშუალებებად.

ხალხური პოეზია და, კერძოდ, ლირიკის სიმბოლიკა, რომელიც დღეს შემოქმედებითი ხერხია, ხშირად წარსულის ნამსხვრევებს ფარავს.

პოეზიის სფეროთა შორის ლირიკა ყველაზე უფრო ახლოა ადამიანთან. ის პიროვნების გრძნობათა გამოთქმაა, პერსონალური ემოციურობის ამსახველი. აქ შემომქმედის სულიერ განწყობილებებთან, გრძნობებთან, შეხედულებებთან, მისწრაფებებთან გვაქვს საქმე. ის ყველაზე მეტად ქმნის ადამიანში განწყობილებას და ახდენს მასზე გავლენას. ამგვარად, ლირიკა პოეზიის ის სფეროა, რომელიც ერთის მხრივ სუბიექტის გრძნობებისა და ემოციების გადმოშლას, მეორეს მხრივ — ემოციების გამომწვევი.

დამოუკიდებელ პოეტურ სახედ განვითარებულმა ლირიკამ პოეზიის სხვა სახეთა მსგავსად ახალი ურთიერთობის ნიადაგზე შექმნილ ხერხებისა და სტილის გვერდით შეინახა უძველესი დროიდან მომდინარე სახეები. ამ სახეებს წარსულში გარკვეული სოციალური ფუნქცია და რეალური მნიშვნელობა ჰქონდათ. შემდეგ კი ისინი შემოქმედების ხერხად იქცნენ. როცა სიმბოლიკის საკითხს ვეხებით, უმთავრესად ისა გვაქვს მხედველობაში, რომ ხშირად სიმბოლოს სათუძველად რეალებია, რომ მის შექმნაში ხშირად მთავარი ფაქტორი იყო და არის სოციალურ-ეკონომიური ყოფა.

დღეს, სოციალიზმის ხანაში, როცა ადამიანი გაბატონებულია ბუნებაზე, ბუნების მოვლენები, და თვით ჩვენი სულიერი სამყაროც ამოუცნობ საიდუმლოებას აღარ წარმოადგენენ, სპეციალისტ მკვლევარს არ გაუძნელდება პოეტურ ხერხებში და, კერძოდ, სიმბოლიკაში დაფარული წარსულის გადმონაშთების ამოცნობა, რაც თავის მხრივ საშუალებას გვაძლევს ჩაეწვდეთ იმ უხსოვარი დროის საიდუმლოებას, როცა ფოთლის შრიალი, მდინარის ხმაური, ცის ქუხილი, წვიმა და სხვა ასეთი მოვლენები სიცოცხლის ნიშნების მატარებლად იყო მიჩნეული, როცა პირველყოფილ ადამიანს გულუბრყვილო რწმენით გადაჰქონდა ბუნების მოვლენებზე ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისებები.

ანიმისტური მსოფლმხედველობით ის მოვლენები და ობიექტები, რომელთაც მოძრაობა ახასიათებთ, ენერჯის და სიცოცხლის ნიშნების მატარებლები იყვნენ. პოეტურ სტილში შენახუ-

ლია ადამიანური ცხოვრებისა და ბუნების მოძრაობისა და მოქმედების ნიშნით შეტოლება. აკად. ა. ნ. ვესელოვსკი წერილში „Психологический параллелизм и его формы в отражениях поэтического стиля“, მთელი რიგი მაგალითებით ასაბუთებს, რომ პარალელიზმი მოძრაობისა და მოქმედების ნიშნით შეტოლებაა ერთის მხრივ ადამიანური ცხოვრების და მეორეს მხრივ ბუნების, რომ ობიექტისა და სუბიექტის მოძრაობისა და მოქმედების კატეგორიით შეტოლების დროს ობიექტად იყვნენ ცხოველები, სადაც ცხოველთა აპოლოგიის შორეული ფსიქოლოგიური საფუძველია. ობიექტებად იყვნენ მცენარეებიც, რომელნიც აღმოცენდებიან, იზრდებიან, კვნიებიან, ქარის ძალით იხრებიან და სხვა.

სიცოცხლის ნიშნებს ხედავდნენ აგრეთვე მნათობებში (მზე, მთვარე, ვარსკვლავები), ქარში, ელვაში, ცეცხლში და სხვა. ერთი სიტყვით, არაორგანული, უმოძრაო სამყარო გაცოცხლებული და უნებურად ჩათრეული იყო პარალელიზმების რიგებში¹.

დღევანდელ მხატვრულ სიტყვას ხშირ შემთხვევაში საფუძვლად აქვს ბუნების შესახებ ძველი გულუბრყვილო წარმოდგენა, რომელიც განმტკიცდა უძველესი ყოფიერებითა და მასზე დაფუძნებული რწმენით. ხალხურ პოეზიაში მრავლად მოგვეპოვება ამ ნიადაგზე შექმნილი პარალელის ერთი წევრის ნიშნით მეორის დახასიათება. ეს არის მეტაფორა, მაგ., მდინარეს ფეხები, მკლავები, თვალები აქვს:

„ლიახვმა სთქვა ავდიდღები,
 არავს არ დავედარები,
 მოვალ, მოვხუი თავდაბლა,
 ფეხებს არ მინდა ნაღები.
 ქურთაში ჩამოვიარე,
 მომაქვს ოსური ტყავეები,
 აქებდენ ლიახვის ხიდსა,
 ხედ გადავხვიე მკლავები,
 ისე მოვხადე ქვევრები,
 არ მოვანდომე ჩარები,
 პატრონი გორაზე მირბის,
 იქ მაინც დავიმალები!
 ქალაქს მივყიდე მებალეს —
 ფეშანგიშვილის ღარები.
 მცხეთის ხიდთან რო მივედი.
 შორს მივაბჯინე თვალები².

¹ А. Н. Веселовский, Сборник сочинений, т. 1, С. П. 1913, стр. 130—135.

² ხალხური სიტყვიერება, ნ. 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 330.

ყანას ყელი აქვს:

„...ბიჭებიც აქ არიანო,
სიმღერა დავაგუგუნოთ,
ნამგლები ავაუღრიალოთ.
ბიჭო გამოჰქარ მარაგი,
აანშაურე ცელიო,
რკინის უღელი გადასდე,
ყანას გამოსკერე ყელიო...“¹.

მთას წვერი აქვს:

„იმ წყეულმა იალბუხმა
გადაივარცხნა წვერია“...“²

მსგავსი მაგალითები გვაქვს საბჭოთა ფოლკლორშიც. თანამედროვე ხალხური პოეზიის მიხედვითაც ხშირად ბუნება გაცოცხლებულია, მზე ცოცხალი არსებაა, მთვარეს პირი აქვს, ღრუბელი ტირის და ა. შ.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალებაზე შექმნილი ლექსის სტრიქონები:

„მზემ დაიხურა პირბადე,
მთვარე იბურავს პირსაო,
მალლა ღრუბელი ატირდა,
ცრემლი ჩამოსდის ძირსაო“.

ან კიდევ:

„დაბნელდა მთელი ქვეყანა
შავი ჩაიცვა ცამაო“.

ამ მაგალითების მსგავსად დღეს უამრავი ბუნების სურათი, რომელსაც იყენებს როგორც ხალხური, ისე ინდივიდუალური პოეზია, ოდესღაც ადამიანთა წარმოდგენებით რეალური საფუძვლის მქონე იყო. დღეს ის გამოყენებულია ისე, რომ ვეღარ ვგრძნობთ მის სახეობრიობას. სინამდვილეში — კი ეს სახეობრიობაა. პოეტური ენა აცოცხლებს უსულო საგნებს და, როცა ძირითად პარალელს შუქსა ჰფენს, ხაზს უსვამს ადამიანობის ელემენტს.

პოეტურ სტილში შემონახული ძველი წარმოდგენები ყოველთვის მკაფიოდ არა ჩანს, ის ხშირად ბუნდოვანია. ძველი განსახიერების იდეა წაშლილი ან გაუფერულებულია. საწარმოო

¹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 173.

² ხალხ. სიტყ. ნ. 1, გვ. 329.

ძალთა განვითარებამ, გარე სამყაროს ამოცნობამ, ადამიანის თვითშეგნებისა და ცოდნის გაღრმავებამ გარკვეული საზღვარი დადო ადამიანსა და ბუნებას შორის. მიუხედავად ყოველივე ამისა, ხალხურმა პოეზიამ, ხალხურმა სიმბოლიკამ ჩვენამდე მოიტანა ძველი წარმოდგენები, ძველი რწმენა, სადაც ხშირად განსახიერების იდეაც არის. ასეთია, მაგალითად, არქაული ლექსი:

„წუხელი სიზმარი ვნახე,
ნეტავ დედა რაო?
აღვის ხე რომ წამოიქცა,
ნეტავ დედა რაო?
— შვილო, შენი ტანი არის,
ვაჰ, შენ დედასაო!
იმას ტოტები ემტვრევა,
ნეტავ დედავ რაო?
— შვილო, შენი მკლავებია,
ვაჰ, შენ დედასაო...“¹

ჩვენ არ გამოუდგებით სიზმრის მნიშვნელობის ახსნას, თუ როგორ სწამდათ იგი ძველად, ვიტყვით მხოლოდ, რომ ის მიჩნეული იყო უტყუარ წინათგონობად. აქ მოცემული გათანაბრებანი: აღვის ხე-ტანი, ხის ტოტები — მკლავები და სხვები შემდეგში შეიცვალა შედარებებით; ჩვენს ხალხურ ლირიკაში უამრავი მაგალითები გვაქვს ქების, ხოტბის მიზნით გამოყენებული ასეთი შედარებებისა, მაგალითად:

„ტანი აღვის ხეს მიგიგავს“²

ან კიდევ:

„ქალო, გევზარ აღვის ხესა,
ბაღჩაშია დანერგულსა“.
ტანადა ჰგავზარ ნამყენსა
ამოსულს აღვის ხისაო“³.

დღეს სიმბოლიკა შენოქმედების მხატვრული ხერხია.

სიმბოლიკა გულისხმობს კავშირს ორ წარმოდგენას-სიმბოლოსა და გასიმბოლოებულს შორის. სიმბოლიზაცია მარტო ხალხური შემოქმედების თავისებურება არ არის. ის თითქმის ყველა სფეროში გვხვდება. მაგალითად, ჯვარი ფეოდალური რელიგიის სიმბოლო იყო; ღერბი — გარკვეული წოდების; ანბანი სიმბოლოა

² ვ. კ. ტ. ე. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, ხალხური პოეზია, გვ. 262.

² იქვე, გვ. 12.

³ იქვე, გვ. 18.

ბგერების და ჩვენს დროშაზე ჩაქუჩი და ნამგალი სიმბოლოა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების.

სიმბოლოს საფუძვლად აქვს რეალური სახე. მისი ბაზა სოციალური გარემოა.

პირველყოფილი ადამიანი მისთვის უცნობ მოვლენას ხსნიდა იმ ნაცნობით, რაც მის თვალწინ და მის გარშემო იყო. ამიტომ ხალხურ სიმბოლიკაში მოცემულია სინამდვილიდან მიღებული შთაბეჭდილებები. ამდენად მისი შესწავლა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, საინტერესო მასალას იძლევა ძველი ყოფის, წარმოდგენებისა და სხვათა გასაცნობად და შემოქმედების მხატვრული ხერხების წარმოშობისა და განვითარების გასარკვევად.

ქართული ხალხური პოეზია ამ მხრივ მეტად საინტერესო და მდიდარ მასალას იძლევა. იგი საყვება მზა ფორმულებით.

ამ ნარკვევში ჩვენ განვიხილავთ ხალხური ლირიკის სიმბოლიკის ზოგიერთ საკითხს.

ა. ვესელოვსკი წერილში „Из истории эпитета“ ფერების სიმბოლიკასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მწვანე ფერი ჩრდილოეთის ლიტერატურაში არის იმედისა და სიხარულის ფერი, რუსი ფერი-კი საპირისპირო გრძნობებს — უიმედობასა და მოწყენილობას უკავშირდება¹.

ა. ვესელოვსკი თავის წიგნში „Любовная лирика XVIII в.“ აღნიშნავს, რომ მწვანე ხე იწვევს მხიარულს, ჯანსაღს წარმოდგენას, ის შეტოლებულია ახალგაზრდობასთან, მოყავს მაგალითი:

„Вишенька зелененька — матушка веселюнька
Что ты, пчухка, не зелена стоншь,
Что ты девица, не весело сидишь“.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მკვლევარი, მაგალითად, ვლ. კარპოვი, არ სთვლის საჭიროდ ამ სიმბოლოს წარმოშობის საფუძველი შორეულ წარსულში ეძიოს.

რა თქმა უნდა, პირველყოფილი წარმოდგენები დღემდე მოღწეულ ლექსებსა და სიმღერებში გაუფერულებულია. მაგრამ სიმბოლო „ბალი“ მიღებულია უძველესი დროიდან და დღემდე გარკვეული მხატვრული სახეა დაკავშირებული მხიარულ წარმოდგენებთან, მეტწილად — სიყვარულთან. ქართული ხალხური პოე-

¹ А. Н. Веселовский, Собр. соч., I, 1913, гл. 73.

² А. Веселовский, Любвиная лирика XVIII в., гл. 31.

ზიის ნიშნების მიხედვით ბალს აშენებს ტურფა. ბალი ყოველთვის დაკავშირებულია მხიარულებასთან:

„ტურფამა ბალი ააგო,
შიგ ჩაურიგა ხილნარი,
თურშე იქ კაცი ვერ შევა
დაღრეჯილ, გასტინარი“¹.

ბალი და მისი ვარიაციები; ქალა, ბაღჩა და სხვა, — ასოციაციაშია სიყვარულთან:

„ასე ესტევი: ქალას ჩავიდეთ,
ჩავკრიფოთ მარგალიტები,
ლამახმა ქალმა ჩაგვასწრო,
კარს წაუყარა კლიტები.
ბროლისა ხელი გამოყო,
მარგალიტისა თითები,
შიგნიდან გამომძახოდა:
შენგნით არ გავილლიტები“²,

ლექსის მეორე ვარიანტში ქალის მაგივრად ნახსენებია ბაღჩა³.

სიყვარულის გრძობას უკავშირდება ეს სახე აგრეთვე ლექსში:

მინდორში ბალი ვაშენე,
ლობე ჩავავლე ჯალჯისა,
დავთესე ოქროსა კიტრი,
ლობიო მარგალიტისა“⁴..

და სხვა⁵.

მოყვანილ ლექსებში ბალის გარდა საინტერესოა სხვა სახეებიც: 1) მარგალიტის აკრეფა, 2) კლიტე, 3) თესვა, 4) მოწყვეტა ან მოგლეჯა.

„მარგალიტის დაფანტვა“ და „მარგალიტის აკრეფა“ ეს არის სიმბოლო ნაანდერძევი მითოლოგიური ტრადიციით. ოქრო, ზურმუხტი, ლალი, მარგალიტი და სხვა ძვირფასი ქვები ერთი და იგივე სიმბოლოებია. ისინი წარმოადგენენ მზის ატრიბუტებს. ამის შესახებ ქვემოთ მზის სიმბოლიკის განხილვის დროს გვექნება საუბარი.

¹ ხალხ. სიტყვ., 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 320.

² იქვე, გვ. 306.

³ იქვე, გვ. 394.

⁴ იქვე, გვ. 284.

ჩვენს მიერ მოყვანილ ლექსებში „მარგალიტის ჩაქრეფა“ გულისხმობს სიყვარულის გრძნობის დაკმაყოფილებას. ეს სახე ასეთი მნიშვნელობით გვხვდება სხვა ერთა ხალხურ პოეზიაშიც.

ზევით ვნახეთ, რომ მარგალიტის სახე დაკავშირებულია სხვა წარმოდგენებთანაც.

მარგალიტი ცნობილია, როგორც ცრემლის სიმბოლო. ასეთი მნიშვნელობითაა ეს სახე ხალხურ ლექსში:

„ხარმა შესტირა გამჩენსა,
მარგალიტისა ცრემლითა“¹.

ქართულ ზღაპარში ხშირად ვხვდებით მოტივს, სადაც ქალის ცრემლები მარგალიტებად იქცევა². საგულისხმოა ჩვენამდე მოსული ხალხური რწმენა, რომლითაც სიზმარში მარგალიტის ნახვა ნიშნავს ცრემლებს. მეტნაწილად-კი მარგალიტი სახოტბო პოეტური სახეა. ასე მაგალითად, მარგალიტი სიმბოლოა ქალის:

„ობოლი მარგალიტი ხარ,
ფერსა ვერ გიცვლის ზამთარი“³.

ან კიდევ:

„ობოლი მარგალიტი ხარ,
ჯერ ძაფზე აუგებელი...“⁴

მარგალიტი შეტოლებულია აგრეთვე კბილებთან; შვილი ნახავს სიზმარს, რომლის მნიშვნელობასაც ხსნის დედა:

„შიგ რო ვერცხლის თაი იყო,
ნეტავ დედავ რაო,
— შვილო შენი სახე არის,
ვაპ შენ დედასაო!
— ზედ რომ მარგალიტი ჰყრია,
ნეტავ დედავ რაო?
შვილო შენი კბილებია,
ვაპ შენ დედასაო!“⁵.

ან კიდევ:

დაეწერა ბროლის თითსა,
მარგალიტის ბაგე-კბილსა...⁶

¹ ჩაწერილი მესხეთში ს. ტოლოშში.

² „სასწაულოვანი ქალი“, ფოლკლ. არქ. № 80.

³ ვ. კ. ტ. ე. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ხალხური პოეზია, გვ. 26.

⁴ იქვე, გვ. 31.

⁵ იქვე, გვ. 263.

⁶ იქვე, გვ. 27.

„კბილ-მარგალიტი აფრქვევდა
შუქურს მიდამოს და ველსა“¹.

კლიტეც უძველესი სახე — ეროტიული სიმბოლოა.

ა. ვესელოვსკის მოყავს მაგალითი სახაროვის წიგნიდან:
„ქალიშვილი კარგავს ყუთის კლიტეს და პირობას დებს ცოლად
გაყვეს მას, ვინც იპოვის კლიტეს. პოულობს ბებერი, რომელზე-
დაც ქალი არ თხოვდება“². კლიტე ასეთივე მნიშვნელობით ბალ-
თან ერთად ქართულ ლექსებშიც გვხვდება:

„ტურფა ბალი და წალკოტი
ეკლითა ვინმე შესარა,
რკინისა კარი შეაბა,
კლიტე მე მომცა, შენ არა.
სიკვდილსა შენსა სანაცვლოდ
თავსა მე მივცემ, შენ არა,
გაჰ თუ ზედ ისიც დამერთოს
მე მიყვარდე და შენ არა!“³

ვფიქრობთ ასეთივე მნიშვნელობით უნდა იყოს ეს სახე ლექსში:

„ეო, მეო.
აქეთ მომხედვეო,
მთვარე ნათელი, ცხოველო,
რისთვის დამჩაგრეო,
მარგალიტის კლიტე გთხოვე,
გვიან შეიტყეო,
ასე გითქვამს — აღარ მივცემ
ახლა ვაგლან მეო,
ხელსახოცი ამოიღე.
ცრემლი შემაშრეო“⁴.

თესვა-სიყვარული ა. ნ. ვესელოვსკის თქმით ხალხური პოე-
ზიის ცნობილი ფორმულაა. მისი აზრით ქალიშვილი მოქმედების
კატეგორიით სწორედ აქედან შეუტოლდა ბალის, ვარდის და სხვა
სახეებს⁵.

¹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 23.

² А. А. Веселовский и Любопытная лирика XVIII в., გვ. 43.

³ ჩაწერილი ქართლში.

⁴ ვ. კოტეტიშვილი, ხალხ. პოეზია, გვ. 220.

⁵ А. Н. Веселовский и, Психологический параллелизм и его фор-
мы..., Собр. соч., I.

ვლ. კარპოვი შემდეგნაირად ახასიათებს დათესვის სიმბოლიკას: „პოეტური ხერხის ძალით რაც ითესება, მთესავის სიმბოლოა; თუ ითესება სელი, სელი — ქალიშვილია“¹.

ჩვენ მიერ მოყვანილი ლექსების მიხედვით თესავს ვაჟი და კრფეს ქალი; აქ საგულისხმოა აქტი დათესვის. ძველ ფორმულას თესვა-სიყვარული, როგორც ვხედავთ დღემდე იყენებს ხალხური პოეზია.

„ვაჟაკს სხვისა ცოლთან წოლა
ჭონავ კარგი ნამუსია;
ვწმავისა მუშა ხდება,
სთესავს სხვისა მამულშია“.

თესვა გამოყენებულია ეროტიული მნიშვნელობით.

მოკრეფა, მოგლეჯა, მოწყვეტა, მოჭრა და სხვა ამის მსგავსი სახეები გავრცელებულია ყველა ერის ხალხურ პოეზიაში და სიმბოლოა სიყვარულის, ქორწინების, შეერთების, შეუღლების.

საინტერესოა ლიტვიური სიმღერა, სადაც ნათქვამია:

„Много в деревне влетьей, а в клетях девушек; какая из них красивее, ту я за себя возьму.“

Много яблоней в саду, а на яблонях яблок; какое из них порумянее, — я себе сорву“².

ვაშლის მოწყვეტა შეტოლებულია ქალის წაყვანასთან. ამის მაგალითებს ქვემოთ ვნახავთ ვაშლის, ვარდის და სხვა სახეების განხილვის დროს.

ვაშლის ხე, ვაშლი — სიმბოლოა მხიარულების, კმაყოფილების, ბედნიერი ცხოვრების; მეტწილად კი — ახალგაზრდა ქალისა და სიყვარულის.

ავტამანოვი ვაშლის სიმბოლიკის განვითარებას ამგვარად ხსნის:

„Весной все усыпанные слегка розоватыми или совсем белыми цветами, эти деревья должны были производить на человека впечатление чего-то чистого, действительного, и в силу этого стали обозначать первоначально, повидимому, именно девушку“³.

¹ Вл. Карпов, Технические приемы творчества в великорусской народной поэзии.

² А. И. Веселовский, Собр. соч., I, 1913, гл. 149.

³ А. И. Давидов. Символика растений. Журнал министерства народного просвещения. 1902, гл. 63.

ვაშლის ტკბილ ნაყოფსაც უნდა მოეხდინა გავლენა ამ სახის შექმნაზე. ქართულ მასალებში ქალის ასეთი შექმნაა მოცემული:

„აქეთ იქით ლოყები გაქვს,
საკმენები ვაშლისა“¹.

ქართულ სინამდვილეშიც ვაშლი ნიშნობისა და ქორწილის რიტუალებში გამოყენებული იყო, როგორც სიმბოლო ნაყოფიერებისა. ფშავში, როცა ნეფე-დედოფალი ნეფის სახლში შედიან „მათ წინ მიუძღვის მეჯვარე ხელში ხონჩით, რომელზედაც ჯვარიანი მრგვალი პურია და თაჟლიანი ჯამი. ჯვარი ვაშლებითაა შემკული“². „ნეფის დამ ან მისმა ბიძაშვილმა ნეფე-დედოფალს მაშხალა უნდა მიართვას. მაშხალა პატარა ხის სუფრაზეა გამართული. მაშხალის წვერზე ჯვარია გამოსახული, ტოტებზე წამოცმულია წითელი კვერცხები და ვაშლები...“³.

ვაშლი გავრცელებული სიმბოლოა. ველიკორუსულ ხალხურ სიმღერებში ხშირია ეს სახე.

„Не дали груше вырасти.
Не дали яблоне выцвести,
Не дали яблочку вызрвати“.

ამბობს ნაადრევი გათხოვებით უკმაყოფილო ქალი⁴.

ვაშლი როგორც სიყვარულის სიმბოლო, ცნობილია საბერძნეთში, გენის წიგნში „Культурные растения и домашние животные“ აღნიშნულია:

Плод, посвященный Афродите, употреблявшийся во всевозможных любовных играх девушек и служивший свадебным подарком, был не что иное, как золотистое ароматное квитовое яблоко“.

„Солон издал закон, что невеста во время свадьбы, перед вступлением в брачный покой, должна съесть кидонское яблоко“⁵.

¹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხ. პოეზია, გვ. 28.

² ს. მაკალათია, ფშავი, გვ. 133.

³ იქვე, გვ. 138.

⁴ П. В. Шейн, Великорусс в своих песнях, обрядах, обычаях и т. д., т. 1, 1898, № 2275.

⁵ ციტატა რუსულ ენაზე ამოღებულია ავტობიოგრაფიის სტატიიდან „Символика растений“. Ж. М. П., 1902, стр. 128—129.

საინტერესოა აგრეთვე სერბებს შორის გავრცელებული ჩვეულება, როცა ქალი მოეწონებათ საცოლედ, შუამავლის ხელით გაუგზავნიან ვაშლს; თუ ქალიშვილი მიიღებს ვაშლს, ეს ნიშანია თანხმობისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმრომ უნდა ეძიოს სხვა საცოლე¹. ავტამანოვის ზემოთ აღნიშნულ წერილში და ვოდარსკის წერილში — Символика великорусских народных песен². მთელი რიგი მაგალითები მოჰყავთ, სადაც ვაშლის მოწყვეტა ან შეკმა სიყვარულს ნიშნავს:

„Два яблока сорвала,
С того время любить дружка начала“.

ამბობს შეყვარებული ქალიშვილი³. ვაშლის დაკრეფა, მისი სატრფოსადმი მიძღვნა — ნიშანია ქალის გათხოვების:

Я с тех деревь яблочки брала,
Я рвала, брала — милому дарила;
Я в тех пор сударышкой слыха⁴“.

ქართულ ხალხურ ლექსშიც „ახმეტური პატარძალი“, ვაშლის კამა დაკავშირებული უნდა იყოს საქორწილო წესთან:

„შუა გზაში რომ მივედი,
ვაწლი გავკბინეო...“⁵

საერთოდ ქართულ ხალხურ ლირიკაში ხშირია ეს სახე, იგი ვეხვდება სატრფიალო და საქორწილო ლექსებსა და სიმღერებში. ერთი ლექსის მიხედვით ვაგი აწვდის ქალს ვაშლს:

„აჰ, ქალო ვაშლი, რა ვაშლი,
უბეს ნადები, ნასეტყვი!
ამალამ შენთან წამოვალ,
გულის კირიმე, რას შეტყვი?“⁶

არის შემთხვევა, როცა ქალი სთავაზობს სატრფოს ვაშლს:

„შევარდენი გადმოფრინდა
თავის ოქროს ბუდიდამა,

¹ А. Н. Афанасьев, Поэтическое воззрение славян на природу, I, 1865, стр. 317.

² Р. Ф. В. № 3—4.

³ იქვე, № 4, გვ. 121.

⁴ იქვე.

⁵ ვ. კ. ო. ტ. ე. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ხალხ. პოეზია, გვ. 45.

⁶ ხალხ. სიტყვ., I, ექ. თავაიშვილის რედ., გვ. 127.

გადმომიგდო ქალმა ვაშლი,
ამოიღო უბიღამა,
— ჩემეულად შეინახე
არ გადმიგდო გულიდანა“¹.

ქალი არ ლებულობს ვაჟისაგან ვაშლს:

„ჩავიარე ბაზარშია,
ქალი იჯდა ჩარდანშია,
ქალსა ვაშლი გადაეუგდემ,
ქალმა ვაშლი არ ინდომა...“²

ვაჟი სტაცებს ქალს ვაშლს და გარბის მისგან:

„იქით ვეცი, აქეთ ვეცი,
ცეცხლზედ მივყუდე კეცი,
გოგომ ვაშლი გადმომიგდო,
მოსტაცე და გავიქეცი“³.

სიყვარულის გრძნობასთან თამაშს უქავეშირდება ვაშლის სახე ლექსში:

„სათამაშო ვაშლი მქონდა,
შენსკენ გადმომივარდა,
მე თუ გძულვარ, სხვა თუ გიყვარს,
ფესვი ამოგივარდა“⁴.

ვაშლის სახე ანდაზებშიაც გვხვდება: „თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს კუნელსა“; ან კიდევ რუსული „*Много от жлобных не далеко откатывается*“.

ვაშლის გარდა ქართულ ხალხურ პოეზიაში ასეთივე მნიშვნელობით გამოყენებულია თითქმის ყველა ხილისა და საკმლის სახე, რომელთა თვისებასაც სიტყბო შეადგენს.

ყურძენი, ვენახი და ვაზი საერთოდ, როგორც სიმბოლო კმაყოფილების, სიმდიდრის და მზიარულების, ცნობილია სხვა ერთა ხალხურ პოეზიაშიც.

ქართულ მასალებში გვხვდება ვენახი სიმდიდრისა და სიხარულის მნიშვნელობით:

„სიდედრო, შავგვრემანობით
არ დაიწუნო სიძვა,

¹ ხალხ. სიტყ., I, ექ. თაყაიშვილის რედ. გვ. 361.

² იქვე, გვ. 345.

³ იქვე, გვ. 294.

⁴ ჩაწერილი ს. გოგოლეისუბანში ჩვენს მიერ 1930 წ., მთქმელი დარღო სიხარულიძე.

სოფელში მიდი, იკითხე,
გრძელი ვენახი ვისია“¹.

ვაზი, ვენახი დაკავშირებულია მხიარულ წარმოდგენებთან, ბედნიერებასთან და სიუზუნესთან. ასეთივე მნიშვნელობით არის გამოყენებული ეს სახე საბალწლო პოეზიაში. საინტერესოა ამ თვალსაზრისით მეკვლის წარმოსატქეელი ტექსტი. იგი ახალი წლის მლოცვას წარმოადგენს:

„ახალ წელიწადს წლის თავსა
გოკლევ ვაზისა რქითამცა,
შენიმცა სახლი ამსილა
ტყავ-კაბა ხარბაბითამცა,
ცხენხედაც შაგისხდებიან
მშვილდ-ისრიანი მხლითამცა,
კარხედაც მოგადგებიან,
ცხენ-ჯორი მაფრაშითამცა,
ტაბტხედაც დაგიდგებიან,
თავ-ოქრო გვირგვინითამცა,
მტერი სულ დაგიბრმავდები
ეშმაკი — ხნელით — ცითამცა,
მოკეთე ღმერთმა გიმრავლს
მოყვარე მრავალ გზითამცა,
პური-ღვინო უღვეელი
ვით მოდინარე წყლითამცა.
სიცოცხლე გახარებული
მოუწყინარი დლითამცა,
ასრე დასტკბი ამ ქვეყანას,
ვით თაული ფუტკოის სკითამცა,
უხვადაც მოგეკემოდეთ
თვალ-მარგალიტი ზღვითამცა“².

ვაზის, ვენახის და ყურძნის მხატვრული სახე გავრცელებულია რუსულ საწესო სიმღერაშიაც (Божья земля); მეტწილად ყურძნის დაკრეფა და მისი ჭამა დაკავშირებულია სიყვარულთან; ვაჟი ეპატიება ქალს:

„— სადაური ხარ, სად მიხვალ,
საითკენ მიეშურები?
მობრძანდი, ყურძენი ჭამე,
თითა და ბუდეშურები.“

¹ ჩაწერილი კახეთში.

² „ივერია“, 1888 წ., № 1. გადაბეჭდილია—ვ. კოტეტიშვილი, ხალხ. პოეზია, გვ. 191.

— არ მინდა, შენი ჰირიმე,
მივალ, გზას მივეშურები¹.

უკმაყოფილო ვაჭი ამბობს:

„გოგონა ქალაქს წავიდა,
ყურძენი მოიტანა,
მე ყურძენი არ მაქამა..“²
და სხვა.

ხალხურ შემოქმედებაში ძალიან იშვიათად შევხვდებით ყურძნის და საერთოდ ვაჭის სახეს, დაკავშირებულს მოწყენასთან, მწუხარებასთან.

საინტერესოა სიზმრის ახსნა ჩვენში. ძველი წარმოდგენით სიზმარში ყურძნის ნახვა, ან მისი ქამა სინამდვილეში ნიშნავს ცრემლებს ან წვიმისა და თოვლის მოსვლას. ზემოთ დასახელებულ არქაულ ლექსში „სიზმარი“ ვაჭის ფოთლების ცვენა დაკავშირებულია მკვდრის თმებთან.

...ვახს რომ ფურცლები სცვივოდა,
ნეტავ დედავ რაო?
— შეილო შენი კოჩორია,
ვაჭ შენ დედასაო“³.

— მოთქვამს დედა. რომელიც ახსნას იძლევა შეილის მიერ ნახული სიზმრისას³.

მეტწილად, როგორც აღვნიშნეთ, ყურძენი, ვენახი, ვაჭი — სიმბოლოა ბარაქიანობის, სიმდიდრის, სიუხვის, სიყვარულის, ის დაკავშირებულია მხიარულ, ნათელ წარმოდგენებთან.

ქართულ ხალხურ ლირიკაში სიყვარულთან დაკავშირებულია ბროწეულის სახეც:

„ადი ქალო. მალლა ხესა,
გადმოჰყარე ბროწეული,
ერთი აქეთ გადმომიგდე
შენის ხელით მოწეული“⁴.

ასეთივე მნიშვნელობით ბროწეულთან ერთად გვხვდება შვინდიც:

„შენ ია გამოგვგზავნა,
მე ბროწეული, შენ შინდი,

¹ ხალხ. სიტყვ., 1. გვ. თაყაიშვილის რედ., გვ. 126.

² ჩაწერილი ქართლში.

³ ვ. კ. ო. ტ. მ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ხალხ. პოეზია, გვ. 262.

⁴ ხალხ. სიტყვ., 1. გვ. თაყაიშვილის რედ., გვ. 287.

ამ ჩემსა საწოლს დევხსენ,
ნუ იარები, შეშინდი“¹.

ქართულ ხალხურ პოეზიაში გვხვდება სახე თითქმის ყველა
ხილისა, რაც-კი საქართველოშია გავრცელებული. ბილის გვერდით,
როგორც აღვნიშნეთ, გვხვდება საქაქლების სახეც:

„ადგა ქალი, დასძრა, ტანი,
დადგა გობი, ზედ საცერი,
ფქვილი სცრა და ერბო ზილა,
აცხო მისი ქადა-პური,
თვითონ სქამა, მეც მაჭამა,
მით აცხონა მამის სული“².

მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

საერთოდ, როგორც ზეკით იყო აღნიშნული, მოჭრა, მოწყვე-
ტა, დაკრეფა, ქამა და სხვა, ეს არის უძველესი წარმოდგენებით
მიღებული ეროტიული მნიშვნელობის სიმბოლოები.

საინტერესოა ხალხურ ლექსებში წყლის დაღევა. ესეც დაკავ-
შირებულია სიყვარულთან. ა. ნ. ვესელოვისკი შეტოლებას УТОЛИТЬ
ЛЮБОВЬ — УТОЛИТЬ ЖАЖДУ, НАПЬТЬСЯ³ ასაბუთებს პარალელიზმის
მაგალითით თურქული სიმღერიდან:

Катится ручьей, волна за волной, вода утолила мою жажду⁴.

ასეთ დაკავშირებას და შეტოლებას ვხედავთ ქართულ ხალ-
ხურ ლირიკაშიც:

„წყალი მწყურთან, წყალს დავლევ,
დავეწაფები გუბესა,
წავალ და ჩავეხუტები
ლამაზი ქალის უბესა“⁵.

ხალხურ ლირიკაში მხატვრულ სახედ ზოგჯერ განოყენებუ-
ლია მარტო წყურვილი. აქ საქმე გვაქვს სიმბოლოს გართულებას-
თან, მაგრამ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ იქ ქალ-
ვაჟის ურთიერთობა დავინახოთ, ვაჟი სთხოვს ქალს წყალს:

„ერთსა ქალსა წყალი ვთხოვე,
წყალი იყო მეტად ძვირი,

¹ ხალხ. სიტყვ., 1. ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 305.

² იქვე, გვ. 290.

³ Собр. соч., 1, 1913, стр. 159.

⁴ იქვე, გვ. 151.

⁵ ხალხ. სიტყვ., 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 132.

გაუცინე. გამიცინა,
გამოუჩინდა ბროლის კბილი.
მოდი, ჯვარი დავიწეროთ,
შევადერთოთ ერთად გული,
ისეთსა ადგილს წაგიყვან,
რომ ყვაოდეს ხილი-ხული,
ქვეშ წყარო გამოდიოდეს,
ჩვენ გვეძინოს ტკბილი ძილით“¹.

ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს აგრეთვე ლექსი „წიხე-
ვის სიმღერა“:

„ქალს სილამაზე ხილადა
ვთხოვე — არ დამაძლევინა!
დავლონდი, წყალი მომწყურდა,
წვეთი არ დამალევინა!
მომხედა, თოლნი შემყარა,
ნაწინწყლებ წამაყრევინა,
დამრცხო, ავინთე, გავწითლდი,
თავი ძირს დამახრევინა.
სიტყვები გადამავიწყა,
ენა სულ ამარევინა.
არც მითხრა, მოდი, არც წადი,
არც თავი დამახწევინა.
ტიალი, რაი ყოფილა,
თავბედი დამაწყვევინა,
დახე წყეულსა დიაცსა,
რა დღემდე მომაღწევინა!“²

ხალხურ ლექსებსა და სიმღერებში გვხვდება აგრეთვე წყაროც, როგორც მოქმედების დეკორაცია. წყაროსთან ხვდებიან შეყვარებულები. ეს მოტივი გავრცელებულია თითქმის ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში. ამის მაგალითები მრავლად გვაქვს ქართულ ხალხურ ლირიკაში: ასე მაგალითად, ერთი ლექსის მიხედვით წყარო სატრფოს სამყოფი აღვილია:

„მალა ცაშია წყარო დის,
ნარინჯის ფერად გამოდის,
ლამაზი ქალი გვერდთ უხის,
მუშკამბის სუნი აჰმოდის“³.

¹ ხალხ. სიტყვ., 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 301.

² ვ. კოტეტიშვილი, ხალხ. პოეზია, გვ. 39.

³ ხალხ. სიტყვ., 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 302.

ქართულ ხალხურ პოეზიაში გავრცელებულია ვარდისა და ყვავილის სიმბოლიკა მრავალფეროვანი ვარიაციებით. ეს სიმბოლო სხვა ხალხთა პოეზიაშიც აგრეთვე მრავალი ვარიაციებით არის ცნობილი.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა სამაისო დღეობა, რომელიც XX საუკუნემდე გავრცელებული იყო ევროპაში. პირველი მაისის შესახებდრად აპრილის ბოლო რიცხვებში ვაჟები ყვავილებითა და ხის ტოტებით რთავდნენ იმ სახლ-კარს, რომელშიაც მათი სატრფო ცხოვრობდა. ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში ეს წესი დღემდე არის შენახული. ამ წესის კვლია შემონახული ქართულ ხალხურ ლექსში, როგორც ეს მართებულად აღნიშნა ვახტანგ კოტეტიშვილმა¹ — ლექსის ერთი ვარიანტი მოგვყავს მთლიანად:

„ნეტავი რათნე მაქცია,
ბულბულად გადამაქცია,
ბულბულის ვნა მასწავლა,
ბაღებში შეზომაჩვიო:
დავკონო ოქროს კონები,
დავფერო ვერცხლის წყალშია,
სალამო ხანხე გიახლო,
ჩამოგიყარო ბანშია.
დილით რო გამოსულიყო,
შიგ გაგებვიოს კაენია“².

წესის თანახმად, თუ ქალი მიიღებდა ვაჟისაგან ვარდის კონას, პასუხს აძლევდა მის გრძნობებს. ეს გვაგონებს ზემოთ აღნიშნულ საქართველოს მთიან ადგილებში გავრცელებულ ჩვეულებას, რომელიც ვაშლის სიმბოლიკის განხილვის დროს მოვიყვანეთ.

ქართულ ხალხურ ლირიკაში ვარდისა და საერთოდ ყვავილების სახე დაკავშირებულია ლამაზი ქალის ან სატრფოსა და სიყვარულის წარმოდგენებთან.

საქართველოში ვარდის სიმბოლოს ფართოდ გავრცელება აიხსნება, სხვათა შორის, კლიმატური პირობებითაც. რეალური პირობები მნიშვნელოვანი ფაქტორებია შემოქმედების ხერხების შექმნაში. ხალხი სახედ იყენებს მას, რასაც ხედავს და რაც თვალწინ აქვს.

¹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხ. პოეზია, გვ. 376—377.

² იქვე, გვ. 220.

ქართულ ხალხურ ლირიკაში ვარდი, ია და სხვა ყვავილები შეტოლებულია ლამაზ ქალთან:

„წინგი დაწვირე მოგართვი
ვარდო გამლილო ველადა...“¹

„მოვიდე, ყელს მოგებვიო,
თავ-გაუშლელსა იასა...“²

განსახიერების გარდა უხვად არის შედარებანიც:

„ვარდას ვამსგავსე გაშლილსა,
ვით რო ედემის ხეო“...³

მრავალი ლექსის მიხედვით ვარდის სახე დაკავშირებულია სიყვარულთან. ერთი ლექსის მიხედვით ქალისაგან გაწბილებული ვაჟი ამბობს:

„ქალო ვარდი მოგიკრეფამ,
ხელთ გიჭირავ კალათითა,
ერთი გთხოვე და არ მომეც,
დაჯექ მაგის ბარაქითა“⁴

მეორე ლექსის მიხედვით შეყვარებული ქალი სატრფოს მიმართავს:

„რალი არ მინახეხარ,
დიდი ხანი გამოსულა,
ხეს ფოთოლი გაცვენია,
ხელახალი გამოსულა,
მე და შენსა სასთუმალ ქვეშ
ია-ვარდი ამოსულა,
თუ ჩემი ხარ, ჩემთან მოდი,
თვარა სული ამოსულა!..“⁵

სიყვარულის გრძნობასთანაა დაკავშირებული ია და ვარდი მთელ რიგ ლექსებში, ამის ნიმუშებია:

„საყვარელსა ეძინაო,
გულზე ვარდი ეფინაო...“⁶

„ქალო, ამაო-ბაშაო,
წამწამ გიშერო, თმა შავო!

¹ ხალხ. სიტყვ., 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 296.

² იქვე, გვ. 293.

³ ხალხ. სიტყვ., 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 32.

⁴ იქვე, გვ. 28.

საწოლი შენი მასწავლე,
ია და ვარდი გავშალო! ¹.

ცეცხლი — უძველესი მხატვრული სახეა. ის შეტოლებულია სიყვარულთან — სიყვარული — სინათლეა, დღე, ცეცხლი, მზე. სიყვარული — ცეცხლი ანათებს, ათბობს, წვავს.

ზოგი მკვლევარის აზრით ცეცხლი წითელი ფერისაა, ეს ფერი ქალიშვილის სახეა და აქედან შეიქმნა ის სიყვარულის სიმბოლოდ; ჩვენი აზრით, აქ უფრო საგულისხმოა ცეცხლის სხვა თვისებები: სინათლე და სითბო. ცეცხლი ანათებს, წვავს, სიყვარულიც წვავს: ქართულ ხალხურ ლირიკაში მრავალი მაგალითი მოგვეპოვება, სადაც ცეცხლის სახე გამოყენებულია სწორედ ასეთი მნიშვნელობით: ერთი ლექსის მიხედვით ვაეი ასე მიმართავს ქალს:

„...ცხელმა ნიაგმა დამქროლა,
გზად შენყენ დამატრიალა,
გულს ცეცხლი შემოაყარა,
და ჩალად ამებრიალა“ ².

მეორე ლექსის მიხედვით შეყვარებულის გული დამწვარია:

„...იარე და მოდი მნახე,
თან წამალი მომიტანე,
მოკვდე, ტკბილად დამიტირე,
ცხარე ცრემლი დამაყარე,
შენი ქოჩრის მონაგლეჯი
დამწვარ გულზე დამაყარე“ ³.

ან კიდევ:

„ხეობაში ხე გამხმარა,
ვილა გაუნედლებს ძირსა?
ამ ჩემს დამწვარ-დადაგულსა
ვილა გაუმთელებს გულსა“ ⁴.

შეყვარებული ქალი მიმართავს სატრფოს:

„მე შენ ხელსახოცს მოგართმევ,
ოქრო მკვრდით მოქარგულსა,
შიგ გაგიხვევ ჩემსა გულსა
შენთვის დამწვარს-დადაგულსა“ ⁵.

¹ ხალხ. სიტყვ., 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 28.

² ვ. კ. ო. ტ. ე. ტ. ი. შ. ე. ლ. ი., ხალხ. პოეზია, გვ. 9.

³ ხალხ. სიტყვ., 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 297—298.

⁴ იქვე, გვ. 292.

⁵ იქვე, გვ. 803.

ცეცხლმა — სიყვარულმა იცის ლახვარი, მახვილი, ისარი. ასეთი წარმოდგენით შეიქმნა ნითი ამურის შესახებ. ამურის ლახვარმა შექმნა გულის ტკივილი, კრილობა.

ამური—კუპიდონი, რომელიც უმიზნებს ისარს, დაიჩრდილა ისრის სახით და უმიზნებს მას ის, ვინც სიყვარულის გამომწვევია. ქართულ ხალხურ ლირიკაში გვხვდება ეს სახეები, როგორც სიყვარულის სიმბოლო.

ლამაზი ქალი ხალხურ ლექსში ასეა დახასიათებული:

„ისარს დაუსობ გულს მნახველს,
ხელად გარბოდეს ტყვე-ველსა“¹.

ზოგი ლექსის მიხედვით სიყვარულის გამომწვევი თითონ არის გულის ლახვარი:

„...სად მიხვალ, სად იარები,
შენ ჩემო გულის ლახვარო?“²

მიჯნურთან დაშორებულს გული ლახვარზე უგია:

„სამსალასა ვსვამ თასითა.
გული ლახვარზე მიგია,
რაც შენ გაგშორდი, მიჯნურო,
საკუთრად ეს მამიგია.
მაცვია ნავთის პერანგი,
ხედ ცეცხლის კილო მიგია...“³

არის შემთხვევები, როდესაც ისარი, მახვილი იცვლება ზმნით: დაჭრა, ჩივლეთა და სხვა; ამგვარი ცვლილება მხატვრული სახისა უფრო გვიანი მოვლენაა: საინტერესოა ლექსი, რომლის მიხედვით შეყვარებული ვაჟი ამბობს ქალზე:

„იმან მიჩხელიტა გულშია,
ზე დამრჩა ორივ თვალიო,
თუ ცოლად არ წამომყვება,
სხვა ნუ მელირსოს ქალიო“⁴.

ასეთი სახეები გვხვდება სხვა ხალხთა ზეპირ პოეზიაშიც. რუსული ხალხური ლექსის მიხედვით: „He стрела сердце поранила. Девица прощается с милым“⁵.

¹ ვ. კოტეტიშვილი, ხალხ. პოეზია, გვ. 23.

² ხალხ. სიტყვ. 1, გვ. თაყაიშვილის რედ., გვ. 286.

³ იქვე, გვ. 310.

⁴ ჩაწერილი ქართლში.

⁵ А. Н. Соколевский. Сборник великорусских песен. т. II, № 274; А. А. Веселовский. Любимая лирика XVIII в., гв. 43.

არის წემთხვევა, როცა ცეცხლის სახე გვხვდება ტანჯვისა და მწუხარების მნიშვნელობით. ამის მაგალითია ხევსურული ლექსი, სადაც ნათქვამია:

„კაც მაგათ ხელში ნამყოფი სრუ დაწულ-დადაგულია,
ომში მიუღის სალდათი, იწვების დედის გულია“¹.

ზოგჯერ ცეცხლი უკავშირდება მრისხანებასაც:

„გაწყრა, გაჯავრდა პეწენიკი,
ცაში აუშვა ალია...“²

ან კიდევ:

„...ძიენ გაჯავრდა აბეხართ,
გაყარა ცეცხლის ალია“³.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ხალხური გამოთქმაც. გაბრაზებულზე იტყვიან: პირიდან ცეცხლსა ყრისო.

ქართულ ხალხურ პოეზიაში ფართოდ არის გავრცელებული მნათობთა (მზე, მთვარე, ვარსკვლავები) სახე. დღეს მას იყენებენ ქება-დიდებას მიზნით. ეს სახე ძველის-ძველია. მომდინარეობს იმ უხსოვარ დროიდან, როცა პირველყოფილი ადამიანის განუვითარებელი წარმოდგენით არაორგანული სამყარო ცოცხალ არსებად იყო მიჩნეული. ასეთი წარმოდგენების საფუძველზე, როგორც აღვნიშნეთ, მოვლენები და საგნები, რომელთაც მოძრაობა ახასიათებს, სიცოცხლის ნიშნების მატარებლად იყო მიჩნეული. მზე მოძრაობს და იცქირება დედამიწაზე. პირველყოფილი ადამიანის აზროვნებას ის ცოცხალ არსებად წარმოედგინა. ამ რწმენის კვალი შეინახეს უამრავმა მოთხრობებმა, გადმოცემებმა, ზღაპრებმა და ლექსებმა. ბერძნული ჰელიოსი (მზე) ცოცხალი არსებაა, ადამიანური თვისებებით. ბლოკის გადმოცემით, ბუმბენები ამბობენ, რომ მზე ოდესღაც ადამიანი იყო; მზის საშუალებით მისი სახლის ირგვლივ გავრცელდა სინათლის გარკვეული რაოდენობა. ბავშვებმა ისროლეს ის ცაში და დღემდე იქ ანათებსო...; ახალ ზელანდიაში და ჩრდილოეთ ამერიკის ზოგ ხალხში მზეს თვლიან დიდ ცხოველად, რომელიც ერთხელ მონადირეებმა დაიჭირეს და ჯოხით სცემეს... ეგვიპტური მითოსის თანახმად მისი სისხლი აურის თიხას და ასე შეიქმნა ადამიანი. ავსტრიაში მთვარე ითვლება

¹ აკ. შანიძე. ხალხური პოეზია, გვ. 187.

² ხალხ. სიტყვ., I, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 385.

³ იქვე, გვ. 336.

ბოროტ არსებად; მოგზაურობს დედამიწის ირგვლივ და ჩადის ყოველგვარ ბოროტებას და ა. შ.¹

ქართულ ზღაპრებსა და თქმულებებში საკმაოდ მოგვეპოვება ამგვარი რწმენის კვალი. ასეთია, მაგალითად, ზღაპარი „მეფის ვაჟები“. ვაჟი თხოვს მზეს, არ ჩაივდეს ყანის მომკამდე. მზე თხოვნას არ უსრულებს და ჩადის. გადის ხანი, ვაჟი ცოლად ირთავს ქალს, რომელიც მზის და გამოდგება. ხელმწიფეს განზრახული აქვს ვაჟს ცოლი წაართვას. ამ მიზნით ავალებს მას ძნელ საქმეს—საკვირველი ჩონგურის გაკეთებას. ვაჟი დახმარებას თხოვს მზეს. მზე აკეთებს ჩონგურს სამი დღის განმავლობაში. მზის მაგივრად სამი დღე დედამიწას გარს უვლის ვაჟი. შურისძიების მიზნით (მზემ რომ თხოვნა არ აუსრულა და ყანის მომკამდე ჩაივდა) წვაავს მზის ბაღს. მზეს ვაჟი მოეწონება და გაუკეთებს ისეთ ჩონგურს, რომელიც გასკდება და დახოცავს მეფესა და მის ამაღლას. ამ ზღაპრის მიხედვით მზე გასულდგმულებულია. იგი ზღაპრის პერსონაჟია².

ზღაპარში „მეფის ქალი და მზის დედა“ ხელმწიფის ქალი დახმარების სათხოვნელად მიდის მზის დედასთან. მზის დედა ქალს მალავს შვილებისაგან, რომელთაც ქრისტიანის სუნი სცემთ და სხვ.³

ზღაპარში „ხელმწიფის შვილი“, ხელმწიფის რძალი შობს მზეს — ვაჟს და მთვარეს — ქალს და სხვა⁴.

თქმულებებში, მოთხრობებში, ზღაპრებში და სხვა ჟანრის ნაწარმოებებში მზეცა და მთვარეც ორივე სქესით არის წარმოდგენილი. მექსიკელების წარმოდგენით ორივე მნათობი მამაკაცია; ადამიანის კუნძულზე მცხოვრებათა რწმენით, მზე მთვარის ცოლია; ძველი გერმანელები მზეს ქალად თვლიდნენ, მთვარეს — მამაკაცად, ინდოელები მთვარეს მზის ცოლად თვლიან⁵.

ქართულ მასალებში მზეცა და მთვარეც წარმოდგენილია ქალადაც და მამაკაცადაც. ზემოდ მოყვანილი ზღაპრების მიხედვით მზე მამაკაცია, მთვარე — ქალი. სევანური თქმულების თანახმად

¹ Э. Ланг, Мифология. Перевод Н. П. и В. П. Харузинных, гл. 176.

² ფოლკ. არქ. № 279.

³ იქვე, № 112.

⁴ იქვე, № 260.

⁵ Ланг, Мифология, стр. 170—171.

მზე და მთვარე ძმები არიან. მზეცა და მთვარეც მამაკაცები არი-
ან გაფრცელებული გამოცანის მიხედვით:

ერთ ქვეყანას ორთა ძმათა,
ორთავ ერთი ფერი აქეთო,
ერთი მუდამ სიყრმეზე დგას,
ერთს სიბერე ახლო აქესო,
ერთს ჯარი ჰყავ უთვალავი,
ერთს — კი მარტო ტაბტი აქესო.

ზღაპარში „სიზმარა“ ვაეი ნახულობს სიზმარს: „მზე იქით
მიდგა, მთვარე აქეთა, შუქურ-ვარსკვლავი ხელ-პირს მამანიებ-
და“. მას ეს სიზმარი ასე აუსრულდა: შეირთო ორი ცოლი, მზე
და მთვარე და ეყოლა ოქროს ქოჩრიანი შვილი შუქურ-ვარსკვლა-
ვი¹. როგორც ვხედავთ, საქართველოში მზეცა და მთვარეც ორი-
ვე სქესით ყოფილა წარმოდგენილი. ვაიტანგ კოტეტიშვილმა
მართებულად აღნიშნა, რომ ხალხურმა ლირიკამ ჩვენამდე მოი-
ტანა მზის ამოსვლის შესახებ უდიდესი მითოსის კვალი. ლექსი
„ქალი ხვარამზე“ მზის ამოსვლის მითოსის მაჩვენებელია:

„აღმოსავლეთით ამოჩნდა
თვალად ლამაზი ქალიო,
ამოჰყვა საყურ ბეჭედი,
უფორიალებდა ქარიო,
თან მოყმე ამიყოლა,
ნათლად ვლება ფარიო“.
— აყოცეთ ქალსა ხვარამხეს,
მე ვარ ამ ქალის ქმარიო...“

და სხვა.

ხვარამზე — ამომავალი მზეა. წარმოდგენილი ხორციელი ქალის
სახით².

მნათობთა მითოსის კვალს ატარებს აგრეთვე საწესო საჩონ-
გურო სიმღერა:

„ხეცას ვიყავ, ხეცა ვნახე,
ვარსკვლავებსაც დავენახე,
მთვარემ კაცი მომიგზავნა,
თუ აქ იყავ, რად არ მნახე;
შენი შიშით, მორიდებით,
ვერ მოვედი და ვერ გნახე“³.

¹ თედო რაზიქაშვილი, ხალხური ზღაპრები, 1909 წ., გვ. 35.

² ვ. კოტეტიშვილი, ხალხ. პოეზია, გვ. 327—329.

³ ჩაწერილი ჩვენს მიერ 1933 წ. გოგოლეისუბანში (ჩოხატაურის რ.)

მთქმელი დარდო სიხარულიძე.

ეს სიმღერა თავისი შინაარსით გვაგონებს ზემოთ აღნიშნულ ავსტრიულ რწმენას, რის მიხედვითაც მთვარე ბოროტ არსებად ითვლება. იგი დედამიწის ირგვლივ ბოროტებას ავრცელებს. ამიტომ მას ერიდებიან, მისი ეშინიათ.

მეტწილად მნათობების სახე, ქართულ ხალხურ ლირიკაში პოეტური ხერხია. ქება-დიდების მიზნით მნათობთა სახეები გამოყენებულია, როგორც ქალის, ისე ვაჟის დასახასიათებლად. ამის უამრავი მაგალითი გვაქვს: ქალი ვარსკვლავიანი ცაა, დილის მზე:
„ცაჲ წმინდაჲ, ვარსკვლავიანო,
მზეჲ, დაფანილო დილითა“¹.

იგი მზეც არის და მთვარეც:

„ქალო, ეშხითა მორთულო,
დღისით მზეჲ, ღამით მთვარეო“².

ვაჟკაცი მზისა და მთვარის მსგავსია:

„მე მინდა ვაჟკაჲთ-ვაჟკაცი
არ მზისა დასარიდია...
რა დაწვეს, ამას იტყოდე.
მზე ჩაესვენა ბინდია,
ადგების, ამოესვენოს,
მთვარე გეგონოს მშვიდია“³.

ვარსკვლავი, როგორც მხატვრული სახე გამოყენებულია, როგორც ქალის, ისე ვაჟის მიმართ:

„ზეცას შენ, შუქურ-ვარსკვლავო,
მნათობო ხმელეთისაო,
აჲაჲ შენ ქალო ღამაზო...“⁴

„ვაჲაო, დედის ერთაო,
გაზრდილო მინდორ-ველთაო.
ოქროს შიბაის ნაგლეჯო,
წამოსარტყმელო წელთაო,
მასკვლავო შარაჲანდელო
მთვარის ნაქერო ხელთაო...“⁵.

მნათობებთან დაკავშირებით საინტერესოა ოქროს, ვერცხლის, ბროლის, ზურმუხტის და სხვა ძვირფასი ქვების სიმბოლიკა.

¹ ვ. კ. ბ. ბ. შ. ვ. ი. ლ. ი., ხალხ., პოეზია, გვ. 13.

² იქვე, გვ. 16.

³ იქვე, გვ. 34.

⁴ იქვე, გვ. 18.

⁵ იქვე, გვ. 55.

ამათი სათავეც უხსოვარ დროშია. ნითოლოგიური ტრადიციით ოქრო და სხვა ძვირფასი ქვები მზის ატრიბუტებია. ქალებს, რომლებიც მზეს ასახიერებენ, ოქროს თმები აქვთ. ეს არის მზის სხივების სიმბოლო. ჰინდურ ლაქშმას, გერმანელ ფრეას, სლავურ ზარნიცას და სხვ. ოქროს თმები აქვთ. ბერძნული ჰელიოსი (მზე) ოქროს თმიანია. ოქროს მთესავი ქალიშვილი—მზის სიმბოლოა¹.

პირველყოფილ ადამიანს ძვირფასი ქვები მნათობებად ეჩვენებოდა, ისინი ცის სამკაულს შეადგენდნენ. ქართულმა ხალხურმა პოეზიამ დღემდე მოიტანა ეს უძველესი წარმოდგენები. ამის საუკეთესო ნიმუშია „იაგ-ნანა“, სადაც გვხვდება „ოქროს აკვანი“, „ოქროს ქოჩორი“, „ლალის ჩანჩხურა“, „იაგუნდის მარანი“ და სხვა². ხალხური ლირიკა საესეა ასეთი სახეებით. დღეს ისინი მხოლოდ მხატვრული ხერხებია. ლამაზი ვაჟი ჩვენი ხალხური ლირიკის ენით „ოქროს შიბაის ნაგლეჯია“. სატრფო ღვინოს „ოქროს თასით“ სვამს³. სამი ლამაზი და „ოქროს ლოგინში“ წევს⁴. სატრფო „ოქროს მილით“ ნადენი უკვდავების წყაროა⁵ და მრ. სხვ.

ლამაზი ქალი „იაგუნდი“ და „ზურმუხტია“ ან კიდევ „ბროლი“ და „ლალა“. მას „ბროლის“ ყელ-ყური, „ბროლის პირი“. „ბროლის თითები“, „ბროლის მკერდი“ ან „მარგალიტის კბილები“ აქვს⁶.

როგორც ვხედავთ, ეს სახეები ფართოდ არის გამოყენებული ჩვენს ხალხურ ლირიკაში.

ხალხური პოეზია ხასიათდება უძველესი ანტითეზებით სინათლის და სიბნელის, კეთილისა და ბოროტის, სითბოსა და სიცივის სახით. ამგვარმა ანტითეზებმა თავის დროზე გარკვეული როლი ითამაშეს ნითოლოგიურ წარმოდგენათა შექმნაში. მხიარულება ყოველთვის სინათლესთან, მზესთან, სითბოსთან არის დაკავშირებული; მოწყენა და მწუხარება — სიბნელესთან, ღრუბლებთან, სიცივესთან და სხვა. ქართულ ხალხურ ლირიკაში ხშირია ამგვარი სახეები:

¹ А. И. Афанасьев. Поэтическое воззрение славян на природу, 1, გვ. 601—603.

² ვ. კოტეტიშვილი, ხალხ. პოეზია, გვ. 293—295.

³ ხალხ. სიტყ. 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 302.

⁴ იქვე, გვ. 303.

⁵ იქვე, გვ. 13.

⁶ იქვე, გვ. 294, 19, 24, 27, 26, 286, 306, 297, 292, 299, 296, 306.

„შენსა მოსვლასა მზე მოჰყვა,
შენს წასვლას შავი ღრუბელი“¹.

„ეს ჩემი გული ორია,
ერთში სწვიმს, ერთში დარია,
ავტირდე — შევყრი ღრუბელსა,
რომ გავიცინო დარია...“².

ღრუბლის ვარიაციას ნისლი:

„დაუჟარ, ჩემო ჩონგურო,
ამოიღე ხმაო,
გულს ნისლი შემომწოლია,
ლექი უნდა ვთქვაო“³.

საყვარელი ადამიანის მოსვლა სიბნელეს თანტავს:

„ინდი მინდი, ფერად შინდი,
ფრთა გაშალე, გამოფრინდი,
გამოყვევი, გამობრწყინდი,
განმინათე თვალთა ბინდი.
შენთვის სიკვდილს არ შევშინდი,
უკვდავების წყაროთ მინდი“⁴.

კარგ განწყობილებას უკავშირდება მოწმენდილი ცა:

„აგეთი ჩქონდეს გუნება,
ვით მოწმენდილი ცა არი“⁵.

ქართულ ხალხურ პოეზიაში სიკვდილი შედარებულია მზის დაბნელებასთან, დაცხრომასთან, გამქრალ სინათლესთან, ავდართან:

„...ჩემ შვილს ხმლით; იმას ტოტითა,
დღე დაულამდათ მზიანი“⁶.

„ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცაწქეჟდა, მიწა გრგვინავდა...“⁷.

¹ ხალხ. სიტყ. 1, ექ. თაყაიშვილის რედ., გვ. 309.

² ვ. კ. ო. ტ. ე. ი. შ. ვ. ი. ღ. ი, ხალხ. პოეზია, გვ. 4.

³ იქვე, გვ. 1.

⁴ იქვე, გვ. 30.

⁵ იქვე.

⁶ იქვე, გვ. 89.

⁷ იქვე, გვ. 125.

აიზმარში სანთლის გაქრობა, ქმრის სიკვდილით ასრულდა:

„ქალმა სთქვა, ვნახე სიზმარი
დამდევს ვნკენის თვისასა,
ცა წითლად-ყვითლად გლავდა,
სეტყვას ისროდა ჰვისასა,
ბალში მიმტვრევდა ხეხილსა,
დარგულსა ალვის ბისასა,
ხელში მიქრობდა სანთელსა
ჩამოქნილს კელეპტრისასა.
თავზე მაქცევდა ჩარდახსა,
დახერხულს ყავარისასა,
ვნაზე და კიდევ შევესწარ
სიკვდილსა თავის ქმრისასა“¹.

სიკვდილი თვალეში გაავდარებას ნიშნავს:

„სიკვდილი გზაში მიყულებს,
თვალეში გაავდარდება“².

ხალხური სიმბოლიკის კვლევა, როგორც აღვნიშნეთ, ბევრის მხრივ არის საინტერესო. ეს მეტად რთული და სერიოზული საკითხია. ჩვენ მოკლედ განვიხილეთ რამდენიმე მხატვრული სახე, გავრცელებული ქართულ ხალხურ ლირიკაში. დღეს ისინი შემოქმედების მხატვრული ხერხია, ესთეტიკური სამკაული, რომელთაც ერთ დროს რაციონალური შინაარსი, რეალური საფუძველი ჰქონდა. სიმბოლოს შექმნაში მთავარი ფაქტორი იყო და არის რეალური პირობები, სოციალური გარემო. მათი შესწავლის გარეშე ჩნდება სიმბოლიკის საკითხის გარკვევა. ძალიან ბევრი რამ შემოქმედების მხატვრული ხერხებიდან, როგორც ვნახეთ, მიღებულია პირველყოფილ ადამიანთა და ბუნების ურთიერთობის ნიადაგზე. ანგვარი ურთიერთობის საფუძველზე შექმნილი წარმოდგენები თანდათან განმტკიცდა მზა ფორმულების სახით და დღეს მხატვრული შემოქმედების პროცესში აქტიურად მონაწილეობენ.

¹ ჩაწერილი ფშავში თედო რაზიკაშვილის მიერ.

² ვ. კ. ტ. გ. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, ხალხ. პოეზია, გვ. 5.

ვახუშტი ბაგრატიონი ხალხური შემოქმედების შესახებ

ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების სისტემატურად შეკრება XIX საუკუნიდან დაიწყო. მისი ტრადიცია კი ისევ დიდ ხანოვანია, როგორც ჩვენი ქვეყნის წარსული. მიუხედავად ზეპირსიტყვიერების არაჩვეულებრივი სიცოცხლის უნარიანობისა, შეუკრებლობის მიზეზით ბევრი ძველი დაიკარგა. ამის გამო ქართული ხალხური სიტყვიერების ტრადიციისა თუ ისტორიის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძველ წერილობით ძეგლებში დაცულ ზოგად ცნობებს. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია მეცნიერების მრავალი დარგისათვის საყურადღებო XVIII საუკუნის ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტის შრომები. გამოჩენილი მეცნიერის შრომები ხალხურ შემოქმედებასთან დაკავშირებით მრავალმხრივად საინტერესოა. მის შეხედულებას ზეპირსიტყვიერების დანიშნულებაზე, განსაკუთრებით ისტორიულ ლირებულებაზე და მის მიერ გამოყენებული ზეპირსიტყვიერების და მისი ცალკეული ჟანრების აღმნიშვნელ ტერმინებს, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიისათვის; ვახუშტის ცნობები ზეპირსიტყვიერების მრავალფეროვანი ჟანრების ტრადიციის შესახებ სხვადასხვა სოციალურ ფენაში საკმაოდ ნათელს ფენს ქართული ფოლკლორის ისტორიას. ვახუშტი უხვად იყენებს ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს, რომელთა გარკვეული ნაწილი მოღწეულია ჩვენამდე. მკვლევარს ზოგ შემთხვევაში გადმოცემული აქვს მათი შინაარსი, რაც საყურადღებოა ამ ნაწარმოებთა სიუჟეტის ისტორიის დადგენისა და ჩვენში მისი ტრადიციის შესწავლის თვალსაზრისით; მასვე გამოყენებული აქვს აგრეთვე ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც

დღეს აღარ გვხვდება ზეპირსიტყვიერებაში და რომელთა შესახებ არც სხვა წერილობითს ძეგლებს შენოუნახავს ცნობები. ცხადია, ამ მხრივ ვახუშტის მოწმობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული ხალხური სიტყვიერებისა და მისი შემსწავლელი მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით.

* * *

ვახუშტი ხალხურ სიტყვიერებას, როგორც ისტორიულ წყაროს, დიდად აფასებს. საქართველოს ისტორიის წინასიტყვაობაში — „უწყებულება მკითხველთათვის“ ისტორიულ წყაროთა შორის დასახელებულია ხალხური სიტყვიერებაც: „თუშცა ვიხილავთ გუჯართა, სიგელთა და საეკლესიოებთა წიგნთა შინა ქორონიკონებთა მათთა, რომელი აღუწერიათ ბრწყინვალის გიორგიდამ, ვიდრე ჩვენდამდე ყოველთა მეფეთა და მთავართა, და სხვასა ვიუწყებთ ხსოვნა მოთხრობათა (ხაზი ჩვენია ქ. ს.) და მცირედთა ცხოვრებათა მათთა წარწერთაცა“¹. ვახუშტი განასხვავებს ზეპირსა და წერილობითს წყაროებს. მისი სიტყვებით, ცოდნა „არს ნაყოფი კეთილი“²; იგი აღნიშნავს ზეპირი ცოდნის — ნაკლებ გამძლეობას და უპირატესობას წერილობითს წყაროებს აძლევს: „არამედ რაისაგან არს ესე ოდენი კეთილნი, გარნა არს თუ ხსოვნისაგან, არაჲდ ხსოვნაცა ესე წარწყმდეს სამისა ანუ ოთხისა და უფროს ხუთისამდე ნათესავისა, და ამისთჳს ვიხილავთ უმჯობესად წერილთა“³.

ვახუშტის შეხედულება ხალხური შემოქმედების ესთეტიკურსა და დიდაქტიკურ ფუნქციაზე მისაღებია თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისითაც. ფილოსოფიური წიგნების დანიშნულებაზე მსჯელობისას იგი, იმოწმებს რა VII—VIII საუკუნის საეკლესიო მოღვაწეს იოანე დამასკელს, აღნიშნავს ამ წიგნების როლს სიბრძნის, ხელოვნებისა და სიტყვიერების დაუფლების საქმეში. მას აღნიშნული აქვს მატთანეს მნიშვნელობა სხვადასხვა წოდების პირთა მოღვაწეობის, ვითარებისა და სხვათა გაცნობისათვის;

¹ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე, მეორე გამოც., ბ. კიკინაძის თბ., 1913, გვ. 4.

² ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერაქინი-შვილის რედაქციით, სტალინის სახ. თბ. სახ. უნ-ტის გამომცემლობა, თბ. 1941, გვ. 2.

³ იქვე.

აქვე მითითებულია ზღაპრის ესთეტიკურსა და დიდაქტიკურ დანიშნულებაზე: „ხოლო წიგნი დედაბერებული ზღაპართა, განა თუ არა არს მოსახსენებელი არამედ იგიცა აღხინებს ოდესმე, და გონიერი მოისთლობს მისგანცა ნაყოფსა“¹. ზღაპრის მიმართ აქ ეურადღებას იპყრობს სინამდვილის საწინააღმდეგო ცნების აღმნიშვნელი ტერმინი „დედაბერებული“. იგი ფოლკლორის ამ მრავალფეროვანი დარგის ფანტასტიკასა და არაჩვეულებრივობაზე ნიუთითებს².

ქართული ფოლკლორისტიკისათვის მეტად ძვირფასია ვახუშტის მიერ გამოყენებული ზეპირსიტყვიერებისა და მისი ცალკე ჟანრების აღმნიშვნელი ტერმინები. ზეპირსიტყვიერებას, ზემოთ მოყვანილი ამონაწერის მიხედვით, წერილობითი ძეგლებისაგან ასხვავებს ტერმინით „ხსოვნა-მოთხრობა“ ან უბრალოდ „ხსოვნა“³. ამით ვახუშტი ხაზს უსვამს ნაწარმოების ზეპირი ტრადიციის დამოკიდებულებას ხალხის მესსიერებაზე.

ტერმინ „სიმღერას“ ვახუშტი მისი დღევანდელი მნიშვნელობით ხმარობს⁴; თუ სიმღერა საფერხულაა, ურთავს „ფერხისა“⁵. არის შემთხვევა, როცა იგი გამოყენებულია მოთქმის აღმნიშვნელადაც: „იმღერიან ნწუხარისა ჯმითა“⁶. ასეთი მნიშვნელობით ეს ტერმინი დღეს უკვე აღარ იხმარება. ტერმინი „სახიობა“ ხალხური დრამის აღმნიშვნელია⁷; ტერმინი როკვა კი — ცეკვისა⁸.

მეჟის კარის მოქმელის აღმნიშვნელად ვახუშტის შრომებში ხშირად გვხვდება ტერმინი „მგოსანი“⁹. სასალხო მოქმელის აღმნიშვნელია ტერმინი „მოღეჭსეც“¹⁰. ასე მაგალითად, როდესაც იგი გადმოგვცემს დემეტრე მეორე—თავდადებულის მონაწილეობას

¹ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია. თ. ლომოურისა და ნ. ბერძენი-შვილის რედაქციით, სტალინის სახ. თბ. სახ. უნ-ტის გამომცემლობა, თბ. 1941, გვ. 2—3.

² ნ. ბერძენიშვილის განმარტებით იგი დედაბრულს ნიშნავს. ტერმინი „დედაბრული“ დღესაც გვაუდება, ცოცხალ მეტყველებაში მოგონილი, დაუჯერებელი ამბის აღმნიშვნელად. ქ. ს.

³ ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, აღნიშნული გამოც. გვ. 4.

⁴ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, აღნიშნ. გამოც. გვ. 21, 22 და სხვა.

⁵ იქვე, გვ. 19 და სხვ.

⁶ იქვე, გვ. 18.

⁷ იქვე, გვ. 21, 22 და სხვ.

⁸ იქვე, გვ. 18.

⁹ იქვე, გვ. 17, 21, 22 და სხვ.

მანგუ-დემურის ბრძოლაში ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ, წერს: „მოლექსე ვინმე თათარი იტყოდა შესხმასა ნეთისა და ქართლისა ბრძოლისათვის და ამას ისმენდა ყანი, ამისათვის მიანიჭა მეფესა და ქართველთა ურიცხენი და წარწავლინა ტფილისს“¹.

ვახუშტის შრომებში მოვლენების ან გეოგრაფიული აღგილებების აღწერისას და ისტორიულ პირთა მოღვაწეობისა და ცხოვრების დახასიათებისას ტერმინით „თქმულ არს“ ყოველთვის ზეპირსიტყვიერებაა აღნიშნული². ხალხურ სიტყვიერებაზე მიუთითებს აგრეთვე „სიტყვა არს“ ან „სიტყვაა არს“. ამ ტერმინითაა აღნიშნული ლეგენდა მიტოვებული მეფის წულის ირმის მიერ გაზრდაზე³. ამავე ტერმინითაა განსხვავებული ზეპირგადმოცემა წერილობითი ძეგლებისაგან დემეტრე თავდადებულის ძის ვახტანგის შესაბებ მსჯელობისას⁴.

რაც შეეხება ტერმინს „იტყვიან“ ან „იტყოდიან“. იგი ნეტწილად ხალხურ სიტყვიერებაზე ნიუთითებს⁵. არის შემთხვევები, როცა ამ ტერმინით სხვათა მოსაზრება ან კიდევ ნსჯელობაა აღნიშნული. ასეთი ნნიშნელობითაა იგი გამოყენებული ლანგთეძურის მიერ კავკასიელების დამორჩილებისა და გამაჰმადიანების შესაბებ მსჯელობისას⁶, ოთმანის ჩინგიზთა ტომიდან წარმოშობაზე მსჯელობისას⁷; ან კიდევ გეგუთის ციხე-დარბაზის თურქთაგან აშენების მოსაზრებათა განხილვისას⁸ და სხვ. ამკვარად, ეს ტერმინი ამ თვალსაზრისით საჭიროებს დაკვირვებას, რათა აცილებული იქნას ხალხური სიტყვიერებისა და წერილობით ან ზეპირად გამოთქმული სავათა მოსაზრების გაიგივება.

* * *

ვახუშტის შრომებში საინტერესო მასალებია ხალხური შემოქმედების ტრადიციის შესაბებ სხვადასხვა სოციალურ ფენაში.

¹ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, 1, დ. ბაქრაძის რედაქციით, თბ. 1885 წ., გვ. 255.

² ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ისტ. 1, აღწ. გამოც. გვ. 208, 211 და სხვ. მისივე, საქ. ცხოვრება, გვ. 164—165 და სხვ. მისივე, გეოგრაფია, გვ. 156 და სხვა.

³ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, გვ. 225.

⁴ ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ისტ. 1, გვ. 269.

⁵ გეოგრაფია, გვ. 99, 111, 161, 174—175 და სხვ; საქ. ისტ., 1, გვ. 265, 296 და სხვ.; საქ. ცხოვრება, გვ. 52, 107, 303 და სხვ.

⁶ საქ. ისტ., 1, გვ. 289. 291.

⁷ იქვე, გვ. 295.

⁸ გეოგრაფია, გვ. 15.

სანეთო კარზე მხატვრული შემოქმედების ტრადიციის თვალსაზრისით საგულისხმოა ცნობა სხვადასხვა პროფესიონალების ორგანიზაციის არსებობაზე; მგოსნის, ისე, როგორც სხვა პროფესიონალების (მემწეობრეს, ბუკ-ტაბლაკთა და სხვათა მცემელთა) „გამგებელი იყო ჩუნჩერაბი“¹. ქართველი ხალხის ზოგად დაბასიათებისას ვახუშტი აღნიშნავს მათში სიმღერა-გალობის მეტად გავრცელებას². ეგრისის „ქაღნი და ქალნი“, მისი დაბასიათებით, ყოფილან „მომღერალ-მგალობელნი“³.

საწესჩვეულებო ხალხურ შემოქმედებიდან ყურადღებას იპყრობს ვახუშტის მიერ აღწერილი საახალწლო წესები და მასთან დაკავშირებული გართობანი სანეთო კარზე, „პურობა დიდი, განცხრომითა და სახიობითა“⁴. სიტყვიერი შემოქმედების თვალსაზრისით, საინტერესოა სარიტუალო ისრის კვლევასთან დაკავშირებული მეფის დალოცვისა და მტრის წყევის ტექსტი, რასაც ასრულებდნენ არა მხოლოდ კარისკაცი, არამედ „სხვანიც“: „მრავალ ჟამიერ ყოს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალ წელს, და ისარი ესე გულსა შინა გაერთხას მეფობისა თქვენისა ორგულსა“⁵, ეს ჩვეულება და მასთან დაკავშირებული სიტყვიერი შემოქმედება, ვახუშტის ცნობით, ქრისტიანობის ხანაში შეიქმნა⁶. წყევის ტექსტი დაკავშირებული გარკვეულ მაგიურ მოქმედებასთან ვახუშტის მოყვანილი აქვს საასალწლო წესების გარეშეც. ეს არის წყევა ქვენა ფლაველი შალვასი დავით მეშვიდის (ვახუშტის მიხედვით მეექვსის, ქ. ს.) მტრის მიმართ: „ქვენა ფლაველმან შალვამ გადაიყარა თავსა ნაცარი, ესრეთ მეტყველმან: „ასემცა არს მისაგებელი მეფეთა ორგულთა“⁷.

სამეთო კარზე სააღდგომო და საქორწილო წესების აღწერასთან დაკავშირებით საინტერესოა ვახუშტის ცნობები ხალხურ შემოქმედებაზე. ყაბახობა-ბურთაობის შემდეგ მეფესთან შევიდოდნენ მოასპარეხენი და იმართებოდა დიდი ნადიმები და პურობანი „მგოსან-სახიობითა“. მოასპარეხეთა წასვლის შემდეგაც „იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობათა ცემანი“⁸.

¹ გეოგრაფია, გვ. 17.

² იქვე, გვ. 32.

³ იქვე, გვ. 146.

⁴ იქვე, 21.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

⁷ საქ. ისტ., 1, გვ. 207.

⁸ გეოგრაფია. გვ. 21—22.

ვახუშტის მოცემული აქვს ცნობები საფერხულოსა და სხვა საწესო სიმღერების შესახებ წარმართულსა და ქრისტიანულ დღეობებთან დაკავშირებით. წარმართულ ხანაში არმაზის დიდ დღესასწაულზე ღვთაებათა თაყვანისცემის შემდეგ იმართებოდა ნადიმები, ვასართობები „დიდითა ქამითა და ღვინის სმითა, როკვითა ფერჯისითა, პირობითა, სახიობითა და ძნობითა სამ დღე“¹. ვახუშტის აღნიშნული აქვს, რომ ხალხმა ასეთი ძველი ტრადიცია გააგრძელა ქრისტიანობის ხანაშიც: „ნაკერპავთა მათ მათა მალალთა და ბორცვთა ზედა ესევეთარივე იყო განცხრომა-როკვანი; ამისთვის აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯვარებობდიან მუნ, ვითარცა აწ, ფერჯისა სიმღერითა გაათენიან“². ხალხური შემოქმედების ასეთი ტრადიცია დღესაც ცნობილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით მთიან რაიონებში რელიგიურ დღეობებთან დაკავშირებით, რომელშიც წარმართული ელემენტები თითქმის სჭარბობენ ქრისტიანულს.

ვახუშტი საგულისხმო ცნობას იძლევა სამგლოვიარო წესებსა და მასთან დაკავშირებულ სიტყვიერი შემოქმედების — მოთქმის ტრადიციაზე. სამგლოვიარო წესის ვრცლად აღწერისას იგი გარდაცვლილის ჭირისუფალთა მიმართ აღნიშნავს: „ტიროდიან და საბნელოსა სხდიან მ დღე“³. მოთქმას, მისი ცნობით, „ტყებისა ეამსა“ ასრულებდნენ არა ჭირისუფალნი, არამედ გარეშენი: „განჰყვიან საფლაუამდე ცოლნი ქმარსა და ქმარნი ცოლთა, და სხვათა ახლოს მოყვასთაცა, ჯინსა შინა მსხდომარენი ბნელსა, ძაძითა მოკრულითა, იმღერდიან მწუხარისა ქმითა ტყებისა ეამსა არა ჭირისუფალნი, არამედ სხვანი მუნ მყოფნი“⁴. ეს წესები, ვახუშტის ცნობით, მოშალა მეფე გიორგიმ“. რაჟამს მოვიდა მისა პატრიაქი იპრუსალიმისა, მის გამო, თჳნიერ შავის ჩაცმისა, ჯორცის უქმელობისა და ტყება-ტირილისა“⁵. ცხადია, გიორგი მეფის აკრძალულ წესებში არ იგულისხმება მოთქმის არაქირისუფალთა მიერ შესრულება. ამის გადანაშთები დღემდეა შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ასეთებია: მეგრული ზარი, ქართლური დატირება, თუშური დალაჲ, ხევსურული ხმით ნატირალი,

¹ გეოგრაფია, გვ. 18.

² იქვე, გვ. 19.

³ იქვე, გვ. 18.

⁴ იქვე.

⁵ იქვე.

რაკული ზრუნის და სხვა, რასაც მეტწილად პროფესიონალური დამტირებლები ასრულებენ.

ხალხური შემოქმედების აწინდელი ტრადიციით დასტურდება აგრეთვე ვახუშტის ცნობა მშრომელთა შორის ისტორიული ციკლის ხალხურ ნაწარმოებთა გავრცელებაზე: „გარნა გლესთა უწიგნოთაცა უწყიან ძლიერება გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისა“¹. ვახუშტის შრომებით დასტურდება არა მხოლოდ აღნიშნულ ციკლთა ნაწარმოებების ტრადიცია ჩვენში, არამედ სხვებისაც, რომლებსაც იგი უხვად იყენებს.

ვახუშტის მიერ გამოყენებული ხალხური შემოქმედების ნიმუშები, მათი აწინდელი ტრადიციის თვალსაზრისით, ორ ჯგუფად იყოფა: ერთი ნაწილი დღესაც ცოცხალია ზეპირსიტყვიერებაში, ან კიდევ დაცულია შედარებით გვიან ჩანაწერებსა და სხვა პირთა შრომებში; მეორე ნაწილი-კი არც ზეპირსიტყვიერებაშია და არც წერილობით ძეგლებითაა ცნობილი. ცხადია, უკანასკნელ შემთხვევაში მხედველობაში არ ვიღებთ იმ პირების შრომებს, რომელნიც ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გადმოცემისას უშუალოდ ვახუშტით სარგებლობენ.

* * *

როგორც მოსალოდნელი იყო, ვახუშტის შრომებში ყველაზე მეტი რაოდენობით საისტორიო ხალხური ნაწარმოებებია გამოყენებული. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებნი, რომელნიც დღემდე გავრცელებულია ზეპირსიტყვიერებაში, ან კიდევ დაცულია სხვა უფრო გვიანი ხანის წერილობით ძეგლებში. საყურადღებოა აგრეთვე გეოგრაფიულ ადგილებთან დაკავშირებული თქმულებები და ლეგენდები, რომელთაც საფუძვლად უდევს ხალხური რწმენა.

რაჭის აღწერისას ვახუშტის მოყვანილი აქვს გადმოცემა თამარ მეფის ნაწინაეზე. იგივე გადმოცემა მოყვანილი აქვს იოანე ბატონიშვილს „ისტორია ქართლისაში“, თამარის სამისიონერო მოღვაწეობის დახასიათებისას. იოანე ბატონიშვილს თქმულება უფრო ვრცლად აქვს მოყვანილი, რაც მისი ვახუშტისაგან დამოუკიდებლობის მაჩვენებელია. შესაძარებლად მოგვყავს ორივე:

¹ საქ. ცხოვრება, გვ. 4.

„ამ ეკლესიის კამარასა შინა მკიდარებს თმა ერთი ნაწნავი და იტყვიან თამარ მეფისასა“

(გეოგრაფია, გვ. 261).

„რაქის კერძოა აღაშენა ეკლესია და მუნ დაასვენა ბატი ღვთისმშობლისა, მოოქვილი ძვირფასად, და მუნ დაჰმოვიდა თმა ნაწნავი, რომელსა იტყვიან ექვსსა მტკაველსა და აწცა არს მუნ ეკლესიასა შინა“.

(ისტორია ქართლისა, იხ.

კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი, 1956, გვ. 298).

ამავე ციკლის ნაწარმოებებიდან ვახუშტის მოყვანილი აქვს დღემდე მრავალ ვარიანტად არსებული მსოფლიო მოტივის შემცველი ლეგენდა. ლეგენდის ზოგი ვარიანტი ერეკლე მეორის სახელთანაც არის დაკავშირებული. ამ ლეგენდით, თამარ მეფე თავის პირმშოს, როგორც შედეგს ქალწულობისა თუ წმინდანობის დაკარგვისა, გადააგდებს. მიტოვებულ ბავშვს ირემი აწოვებს ძუძუსა და ზრდის. მას იპოვნიან მონადირეები და თამარს მიგვრიან¹.

ხალხის ფანტაზიას გადაულახავს საუკუნეთა ზღუდე და ამ ლეგენდის ზოგი ვარიანტით სხვადასხვა ეპოქის ორი დიდი ეროვნული გმირი დაუნათესავებია და ერეკლე თამარის პირმშოდ გამოუყვანია². საუკუნეთა სიშორის გადალახვისა და ძველი ლეგენდის ხალხის წარმოდგენაში გაახლების შედეგია ლაშა გიორგის მაგივრად ერეკლე მეორის ხსენება ლექსში:

ბატონიშვილს ერეკლესა
ირმის ძუძუ უწოვნია,
წყალი უსვამს ალგეთისა,
თრიალეთზე უძოვნია,
დაკარგულა საჩალეში,
მონადირეს უპოვნია.

¹ В. Миллер. Осетинские этюды, т. III; „დროება“. 1878. № 73; „მრგზაური“, 1901 წ., №№ 8, 9, „კვალი“, 1893, № 37; Сборник матер. для описания местн. и племен Кавказа, т. 27; საქართველოს მეზეუმის ზღვანაწერების განყოფილება, II—№ 2002, 2004 და სხვ.

² ჩაწერილი კახეთში 1943 წ. ქეთ. ლორთქიფანიძის მიერ, ზელანჯორა მოგვაწოდა ჩამწერმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ; ერთი ვარიანტი ჩაწერილია აგრეთვე ხევსურეთში, არხოტში, 1944 წ. ზენს მიერ.

ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვჩერდებით ძველი მოტივისა თუ უბაბულის გაახლების საკითხზე, რასაც მეტწილად, და კერძოდ ამ შემთხვევაში, ერთგვარი ისტორიული საფუძველი აქვს.

ყრმის გახრდა ირმის მიერ ისტორიული ხასიათის ნაწარმოებთა გარემოცვებზე გვხვდება ქართულ საზღაპრო რეპერტუარში¹.

მიტოვებული ბავშვის მოტივი საერთაშორისოა. ჯ. ფრეზერის მოსაზრებით, იგი მეტწილად სამეფო დინასტიასთანაა დაკავშირებული². რომში, კაპიტოლიის მუზეუმში, ბოლო დრომდე შენახულია ქანდაკება ძუ მგლისა, რომელიც ძუძუს აწოვებს ორ ყრმას. ქანდაკების საფუძველია რომაული ლეგენდა რომულისა და რემის შესახებ, რომლის მიხედვითაც მიტოვებული ბავშვები ძუ მგელმა გაზარდა³. ისტორიულ პირებთან დაკავშირებული ასეთი მოტივის შემცველი ლეგენდის ჩანაწერები ცნობილია გასული საუკუნის 70-იან წლებიდან. ცხადია, აღნიშნული ლეგენდის ტრადიცია ჩვენში უფრო ძველია, ვიდრე ჩანაწერები. ეს ვახუშტის შრომითაც დასტურდება. მისი ცნობით, ეს ლეგენდა გავრცელებული ყოფილა „ივერიელთა შინა“. ვახუშტის ცნობა ტრადიციის ხნოვანობის დადასტურების გარდა საყურადღებოა იმითაც, რომ ლეგენდა გარკვეული ბიოგრაფიული მომენტების გამო ვახტანგ გორგასლის შეილისშვილს გურამ მამფალის სახელთანაა დაკავშირებული: „ვგონებ, ვითარცა სიტყვა არს ივერიელთა შინა, რამეთუ ირემმან განზარდაო ბაგრატიონი, იყო ესე გურამ რაჟამს მოუკლეს მამა და მიუღეს ბერძენთა ბოლო კლარჯეთისა, ამას ეძიებდენ და დამალეს გამზრდელთა და მწირობასა შინა ყრმა ესე შეუდგა ირემსა, აწოვებდა და აღისვის და ავლინებდა. შემდგომად იხილეს საკვირველი ესე კლარჯთა, ჰსცნეს ბაგრატიონობა მისი, მიიყვანეს და ჰყვეს კვალად ერისთავ-ერისთავად. ამისთვის ბქნა უმეტეს სარწმუნოდ პატრონი კლარჯთა და მესხთა“⁴.

ამ ამონაწერის მიხედვით, ვახუშტისათვის უცნობი უნდა იყოს ლეგენდის თამარის სახელთან კავშირი. ვახუშტიმ იცის მის დროს გავრცელებული ლეგენდის კავშირი უსახელო ბაგრატიონ-

¹ ირმისა, ზღაპრები, № 2, ქართულ ქალთა წრის გამოცემა, თბილისი, 1903 წ., გვ. 127.

² J. Fraser. *Παιδική ζωή* в ветхом мире, გვ. 253.

³ იქვე, 254. კაპიტოლიის ეზოში ახლაც ყავთ ცოცხალი ძუ მგელი. ჩვენ იგი ვნახეთ 1957 წ. მას, როგორც რომის დამაარსებლის გამზრდელს, საგანგებოდ უწვლიან. ქ. ს.

⁴ საქ. ცხოვრება, გვ. 225.

თან. საფიქრებელია, იმ დროს თამარის სახელს არც უკავშირდებოდა იგი, ან კიდევ ვახუშტი იცნობდა ლეგენდის მხოლოდ ისეთ ვარიანტებს, სადაც თამარი არ იხსენიებოდა. ჩვენამდე მოღწეული ვარიანტები კი ყველა თამარის სახელთანაა დაკავშირებული. ეს იმის მაჩვენებელია რომ ამგვარი კავშირი გვიან ხანას უნდა ეკუთვნოდეს. ასეთი დასკვნის დროს მიედევლობაში არ ვიღებთ ტიპიურ ჯადოსნურ ზღაპარს „ირმისას“, რომელსაც არავითარი ისტორიული ხასიათი არ აქვს.

ნუქარდინ სულთანზე ბოლოსტიკეს ომში გამარჯვების ამბებთან დაკავშირებით ვახუშტის მოყვანილი აქვს ლეგენდა სულთნის დიდებულის შესახებ, რომელიც შეპყრობილი მიგვარეს თამარს: „კვალად ესეცა თქმულ არს: მოყვანებული დიდებული სულტანისა წინაშე თამარისა დაეცა და იღვლარქნოდა, ვითარცა გველი და უტყვემნილი; ამისათვის განიყვანეს გარე; რა იქმნა მართლგონიერ, ჰკითხვიდნენ, რასათვის ჰყოფდა ეგრეთ? ხოლო იგი იტყოდა: „რომელი არს თავსა ზედა თამარისასა, მან ჰყო ძლევა ესე ჩვენზედა და აწცა შევშინდი მის მიერ“. ხოლო დროსა მას იყო მთავარ-ანგელოსის მიხაილის სახე თავსა ზედა თამარისასა მკიდარე; ამით იუწყეს მისმიერობა და შესწირეს უმეტეს მადლობა ღმერთსა“¹. ამ ლეგენდის ვარიანტი ზ. კიკინაძემ შემდეგი სახით გამოაქვეყნა. „თამარ მეფეს ოსმალებთან ომი ჰქონდა, ომში ქრისტიანებმა გაიმარჯვეს და სულთანი ტყვეთ ჩაუვარდათ. პყრობილი თამარ მეფეს მიჰგვარეს, როცა პყრობილი თამარ მეფის წინაშე წარსდგა და სახეზედ შეხედა, უცბად შეკრთა, უკან დაიწია და ყვირილი დაიწყო: მიშველეთ, მიშველეთ. იქ მყოფთ საჩქაროდ ჰკითხეს: — რა იყო, რა დაგემართა, რის შეგეშინდა?

— მე იმის შემეშინდა, რომ თამარ მეფის გვირგვინს გარს ერთი ხმლით ამოღებული კაცი უვლის და იმ გაღესილ ხმალს სულ აქეთ იქით ატრიალებს მტრის წინააღმდეგ“².

აღნიშნულ ვარიანტებს შორის არსებობს განსხვავება. ვახუშტის მიერ მოყვანილ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებულ ლეგენდას ერთი საუკუნის მანძილზე ზოგადი სახე მიუღია. მიზანდასახულება კი ადრინდელი შეუნარჩუნებია. ქრის-

¹ საქ. ისტ., 1, გვ. 212.

² ზ. კიკინაძე, თამარ მეფე ქართველ მაჰმადიანთა ხეპირის ცნობებით, მეოთხე გამოცემა. თბილისი, 1911 წ., გვ. 88.

ტიანობის მაჰმადიანობაზე გამარჯვების იდეა ორივე ვარიანტში თითქმის თანაბარი სიძლიერითაა გატარებული. შემდეგი დროის ვარიანტში სულთნის დიდებულის მაგივრად თვით სულთანია გამოყვანილი, ხოლო მთავარანგელოსის სახის ნაცვლად — მაჰმადიანთა მტერი — ხმლიანი კაცი. ამგვარად ვახუშტის მიერ დაცული ვარიანტი საგულისხმოა არა მხოლოდ მოყვანილი ლეგენდის ტრადიციისა და ისტორიის გასათვალისწინებლად, არამედ — საერთოდ ხალხური შემოქმედების რაობისა და სპეციფიკის თვალსაზრისით.

თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებთა გენეზისისა და ტრადიციის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ვახუშტის მიერ გადმოცემული XV—XVI საუკუნეში საქართველოში სამეფო ხელისუფლების დასუსტებისა და ფეოდალების დანაბნისათებელი ერთი ეპიზოდი. კერძოდ, ბაგრატის მიერ მუხრანის ციხის აშენება და ავ-გიორგის მიერ ციხის გარშემორტყმა. ვახუშტის გადმოცემით „ავ-გიორგი მოვიდა სპითა თვისითა და მოადგა ციხესა მას შინა მყოფს ბაგრატს სამ თთჳ და შეამჭირვა ფრიად ბაგრატ: მაშინ ავ-გიორგიმ წარუვლინა ლვინო ლიტრითა ბაგრატს. „ხარ ძე მეფისა და არს ეამი მრავალი, რომელსა არა გისვამს, აჴ. იჴმიე“. ხოლო ბაგრატს ჰყვა ჭასა შინა ორაგული ცოცხალი, წარმოუგზავნა ავ-გიორგის იგი და მოუთხრა: „სამ თთჳ მყოფობ ქსანსა ზედა და არა გიგემებია, იგემე, რამეთუ ცოცხალ არს“. გაჴკვირდა ავ-გიორგი და ჰგონა საზრდოთა სიმრავლე, უკუნ-იქცა“¹. ამ გადმოცემასთან დაკავშირებით საინტერესოა თამარ მეფის შესახებ არსებული ანაქრონიზმის შემცველი თქმულება. ამ თქმულებით თამარმა სპარსთა (ზოგი ვარიანტით არაბთა) უძლიერეს მეფეს, რომლის სკიპტრასაც მთელი მსოფლიო ემორჩილებოდა, უარი უთხრა შეუღლებაზე. განრისხებული შაჰი მრავალრიცხოვანი ჯარით შემოიჭრა საქართველოში. მან ალყა შემოარტყა ციხეს, რომელშიაც თამარი იყო. თავებდნა შაჰმა შეურაცხყოფის მიზნით ტიკით ღვინო გაუგზავნა თამარს. მოხდენილი სიმბოლური პასუხით თამარმა საშინლად ააღელვა მრისხანე შაჰი; გაუგზავნა ცოცხალი (თევზი) და შეუთვალა: „დიდი ხანია მეფეს არ უგემნია მისი საყვარელი კერძი, იქნებ ცოცხალმა გაუღვიძოს ტკბილი მოგონება სამშობლოზე და მოისურვოს ჩქარა გაბრუნება

¹ საქ. ცხოვრება, გვ. 26.

გირკანის მოქნილ ტალღებისაკენ¹. თამარმა ამგვარად გააფრთხილა აგრესორი დაეტოვებინა საქართველო.

ვახუშტის მიერ მოყვანილ გადმოცემასა და ამ თქმულებას შორის უდაო გენეტიური კავშირია. აღსანიშნავია, რომ ვახუშტი მას გადმოგვცემს, როგორც ისტორიულ ფაქტს.

შამქორის ომში გამარჯვების ამბების გადმოცემისას ვახუშტი იძლევა ცნობას თამარ მეფის ციკლის ერთი ლეგენდის შესახებ: „წარმოსრულთ წარგზავნეს მახარებელი წინაშე თამარისა, ხოლო თქმულ არს, რამეთუ მეტებს წირვასა ზედა, სთქვა რა მღვდელმან — „შიშითა ღვთისათა“, ეტყოდა თამარს: გიბაროდნე, მეფაო, რამეთუ მისცა ღმერთმან ძლევა სპათა შენთა“. ². ბასიანის ომში ქართველების გამარჯვების ამბებთან დაკავშირებით ვახუშტის გამოყენებული აქვს ანალოგიური ლეგენდა: „არანედ ევლოგი სალოსი წინაშეი იყო თამარისა მწირველი. განცვიფრებულმან აღიტყველნა სელნი და დაეცა სამგზის, მერმე ალლატა და შესწირა კურთხევა ღმერთსა“. ³ შემდგომად მის მკითხველს იოანეს გამოუცხადებდა ევლოგი: „რატამს დაეცემოდნი, კინლა მიდრკესლა სპანი ჩვენნი; ხოლო აღვხლტი რა, მოსცა ღმერთმან ძლევა სპათა ჩვენთა“ ⁴. ამ ლეგენდის ვარიანტი გადმოცემული აქვს თამარ მეფის ისტორიკოსს ⁵.

ვახუშტის მითითებული აქვს თამარ მეფის სახელთან დაკავშირებულ ძველ ნაგებობათა შესახებ, როგორცაა ქციის გრამს მონასტერი პირლებული ⁶ და დიდი მაგარი ციხე ქეეზო ზრამავს ⁷. აგრეთვე იგი აღნიშნავს ოსების მიერ თამარის სახელთან დაკავშირებულ ციხე-კოშკებსა და ეკლესიებს. „ხოლო ძველადნი არიან ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვიტიკირისანი, მეფეთაგან ნაშენნი და უმეტეს, იტყვიან თუთ იგინივე, თამარ მეფისაგანსა“ ⁸. დღემდე ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხესა და კავკასიის სხვა ხალხთა შორისაც გადმოცემები, თქმულებები და

¹ А. Х а х а н о в, Очерки по истории грузинской словесности. Вып. I, გვ. 286—287.

² საქართველოს ისტორია, I, გვ. 208.

³ იქვე, გვ. 212.

⁴ ისტორიანი და ახმანი შარავანდელთანი. აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციით, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომც. თბ., 1941 წ., 128—129.

⁵ გეოგრაფია, გვ. 44.

⁶ იქვე, გვ. 114.

⁷ იქვე, გვ. 111.

ლეგენდები თამარის დიდ საამშენებლო მოღვაწეობაზე. საერთოდ ცნობილია, რომ ჩვენში თითქმის ყოველგვარ ძველ ნაგებობას ხალხი თამარ მეფეს მიაწერს.

საისტორიო ნაწარმოებებიდან სინამდვილით აქვს გადმოცემული ვახუშტის სიზმარი კახეთის დედოფლის, გურიელის ქალის თინათინისა. მან თითქოს იხილა სიზმარი ლევან მეფეზე გათხოვებისა და თეთრი შვინდის შესახებ. ამის გამო იქ, სადაც სიზმრის მიხედვით შვინდის ბუჩქი იყო, ააგო შუამთის მონასტერი¹. ლევანდა ლევან კახთა მეფის მეუღლის თინათინის სიზმრის შესახებ ამჟამადაც არსებობს ხალხში².

ხალხური სიტყვიერების ჩვენამდე მოღწეული ნიმუშებიდან ვახუშტის აღნიშნული აქვს ლევანდა პალიასტომის ტბის შესახებ: „ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდეგ მოცულსა წყლისაგან“³. ამ ლევანდის ერთი ვარიანტი, ჩაწერილი დასავლეთ საქართველოში ქართული ხალხური სიტყვიერების შემკრების მელიტონ კელენჯერიძის მიერ, ასეთია: „პალიასტომის ალაგზე უწინ ქალაქი იყო. აქ ხალხი ცუდი ზნის იყო და მათი ცოდვით ქალაქი ჩაიქცა და ზედ ტბა ამოვიდა. როცა ქალაქი იქცეოდა, ღვთის ბრძანებით მღვდელმა დააელო ხელი ღვთისმშობლის ხატს, მოახტა ჯორს და ჯუმათისკენ გააქცუნა. ჯორზე უკან მღვდელს დიაკონი შემოუჯდა. მღვდელმა შეამჩნია, რომ ჯორი სულ ეფლებოდა და ფეხებე ქვეშ ზღვა ამოდიოდა. ღვთისავე ბრძანებით მღვდელმა დიაკონი ძირს გადმოაგდო და შემდეგ ჯორი თავისუფლად წავიდა. მღვდელმა ხატი-ჯუმათში მიიტანა და დაასვენა იქ“⁴.

კახეთის აღწერასთან დაკავშირებით ვახუშტის მოყვანილი აქვს აგრეთვე მსგავსი ლევანდა ახტალაზე; „იტყვიან ნასოფლარსა რა რისხვით დანთქმულსა“⁵. საქართველოს ცენტრალურ არქივში დასაბეჭდად დამზადებულსა და ცენტზურის მიერ აკრძალულ მასალათა კოლექციებში ინახება ვინმე ლავრენტი დოლოჯობისაგან გაგონილი, ღვთის რისხვით სოფლის დანთქმასა და ახტალის ამოდულებაზე შექმნილი ხალხური ლექსი:

¹ საქ. ცხოვრება, გვ. 162.

² მისი ვარიანტები ჩაწერილია ს. გრემში (ყვარლის რ.) 1943 წ. ქეთევან ორემბაძისა და ჩვენს მიერ საზაფხულო მივლინების დროს.

³ გეოგრაფია, გვ. 174—175.

⁴ პალიასტომის ღვთისმშობელი (ლევანდა). რუსთაველის სახ. ქართ. ლიტ. ინსტ. ფოლკლ. არქ. № 7375.

⁵ გეოგრაფია, გვ. 99.

აგნეგეთი ბაგნეგეთი,
 საომარი იმერეთი,
 ზღვის პირი და ფარანეთი.
 ფერიცვალობას ხუცესი
 კალოს ლეწდა არ იშეთი,
 თავს ადგა და ამბავს ჰკითხავს,
 თურმე იყო ქრისტე ლმერთი;
 — ადექ ქალო, გაეცალე.
 ძმით შეიქმნენ დანაშრეტი,
 ვაჟის აკვანი მხარს გიდგა,
 ანგელოსთან დანახატი.
 ცხვარი, ძროხა წინ მიგიდის,
 ბატკანი და ბევრი ბატი;
 მოიხედა, იქავ ჩქარა,
 ჯერაც მოდის დანაშრეტი.
 იმ საწყალი მღვდლის ალაგას
 დუღს ახტალა საშინელი;
 ხან ქვაბი ამოვარდება,
 ხან ნიჩაფი, მუხის კეტი.

ლექსის ჩამწერი აღნიშნული არ არის. მას ცოდნია აგრეთვე
 გადმოცემაც ახტალაზე, რაც ფართოდ ყოფილა გავრცელებული
 ხალხში. ამას ადასტურებს მისი შენიშვნა მოყვანილი ლექსის მი-
 მართ: „ხალხის გადმოცემით, სოფ. გურჯაანის ბოლოზედ ჰქონია
 კალო ამ სოფლისავე მღვდელს, რომელსაც ფერიცვალობის დღეს
 კალო ულეწია. ამ დროს ჩამოუვლია ქრისტე ლმერთს და უკით-
 ხავს მღვდლისათვის: „დღეს რა დღეა, რომ კალოს ლეწავო?“
 მღვდელს მიუგია „ჩვენმა ქალებმა დილასვე იცვალეს ფერიო“.
 ამ დროს მღვდელთან ყოფილა სტუმრად მისი გათხოვილი და
 თავის პატარა ვაჟით, ეს ის ქალია, რომელსაც ქრისტე ლმერთი
 ეუბნება ლექსში, „ადექ ქალო, გაეცალე“. სხვათაშორის ისიც
 უთქვამს: „არ მოიხედო, თორემ შენც დაიღუპებო. ქალს ვერ
 მოუთმენია, მოუხედა და მაშინვე აკვნიანათ გაქვავებულა“¹.

ეს ლეგენდა ამჟამადაც იციან ახტალაში².

1

¹ საქ. ცენტ. არქივი, ფონდი 114, № 204, გვ. 47. მოყვანილ ლექსსა და
 გადმოცემაზე შიგვითითა დოც. ს. ყუბანეიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვახ-
 სენებთ. ქ. ს.

² მისი ვარიანტი ბავშვობაში მიაბო აწ განსვენებულმა ჩემმა ძმამ შალვა
 სინარულიძემ, იგი მას გაგონილი ჰქონდა ახტალაში 1920 წელს იქაური მცხოვ-
 რებლებიდან. ქ. ს.

ჩვენამდე მოღწეულ ხალხურ რწმენაზე დაფუძნებულ თქმუ-
ლებებიდან ვახუშტის მოყვანილი აქვს სვანეთში ეცერის ეკლესიის
ძვირფას ხატზე არსებული თქმულება: „უმაჯობესი ხატი უბიათ
ძეწკვითა ოქროსათი და იტყვიან: უკუშ თუ აუშვათ, დაღეწავს
ყოველსავე აქა მყოფსა ხატ-ჯვართა“¹. ასეთი რწმენა უკანასკნელ
დრომდე შერჩათ სვანებს. ამგვარ რწმენას ვახუშტი სასტიკად
აკრიტიკებს: „ესოდენ უგუნურ არიან თვსთა უცნობელობითა!
არამედ თუ შევიდეს მუნ სასიკვდილო ანუ ტყვე, ვერა რაისლა
უყოფენ, გარნა განუტევენ, თავისუფლად კვლად აღმთქმელსა
ანუ მფიცარსა მას ზედა დაერწმუნებიან ფრიად“².

ვახუშტის მითითებული აქვს აგრეთვე ბოლო დრომდე არსე-
ბული გადმოცემა მანგლისის ეკლესიაზე. თითქოს ეს ეკლესია მაჰ-
მადიანებს არ შეუშუსრავთ მის გუმბათზე გამოიატულ ლომზე
მჯდარი მაჰმადის გამო³.

ჩვენამდე მოღწეული ზეპირსიტყვიერი ნიმუშების ცალკე მო-
ტივთა და ლეგენდის ერთი სახის ტრადიციის თვალსაზრისით
საგულისხმოა ვახუშტის მიერ გადმოცემული ქრისტიანული ტენ-
დენციის შემცველი ლეგენდა, დაკავშირებული ანდუყაფარ გივისძე
ამილახორის სახელთან. ვახუშტის გადმოცემით ანდუყაფარმა
„მოიყვანა მოლა, იქმნა მაჰმადიან და წინადაიცივითა ტფილისს,
რომელი არა ოდეს ქმნილიყო აქ, თვინიერ სპარსეთს: შემდგომად
ორმოციისა დღისა წარვიდა სახლსა თვისსა განცხრომად ყმათა
თვისთა თანა და მოგზაურმან მოინადირა ტყე, გამოუხლტა ყურ-
დგელი, მიმართა სროლად ისრისა. ხოლო აზნაურმან მისმან, რო-
მელი იყო უმეტეს ერთგული მისი, აძგერა ცხენი, მოსტეხა კი-
სერი და მოკუდა და ყურდგელი იგი უჩინო იქმნა წინაშე თვალ-
თა. მაშინ იტყოდენ ამას სასწაულად, ყურდგელსა მას ეშმაკად,
ვითარცა რომელნი მოუქცევლად მოკუდებოდნენ და აქა იტყოდენ
ძალღის ლეკვთა აღმომავალთა ყოველლამ საფლავთა მათგან და
მწკავეწკავებელთა, ვითარცა თამარ სძალი ქაიხოსრო ციციშვილისა
თვისათა თვალითა და ფავლენისშვილი დავითი თვისისა მამი-

¹ გეოგრაფია, გვ. 173.

არსენ ონიანის ცნობით ეს დღესაც სწამთ სვანებს და მას უკავში-
რებენ არა მარტო ეცერის ეკლესიას, არამედ სხვა ეკლესიის ხატებსაც, კერძოდ-
ხემო-სვანეთში, კალაში. ქ. ს.

² გეოგრაფია, გვ. 173.

³ იქვე, გვ. 46, 47.

სასა იტყოდნენ საშინელითა ფიცითა და სხვანი მრავალნი ნახუ-
ლობასა“¹.

ეს ლეგენდა ამ სახით ზეპირსიტყვიერებაში აღარ გვხვდება. იგი არც სხვა წყაროებითაა ცნობილი. გვხვდება მხოლოდ მისი ერთი მოტივი—ნანადირევის გააცოცხლება და გაუჩინარება. არსებულ ლეგენდებით, თქმულებებითა და ზღაპრებით ცოცხლდება სხვადასხვა ცხოველები: შველი, ჯიხვი, ირემი და სხვა².

ვახუშტის მიერ მოყვანილ ლეგენდაში ხალხურ რწმენაზე დაფუძნებულ თქმულებათა თვალსაზრისით საგულისხმოა კიდევ ერთი მომენტი — მაჰმადიანთა საფლავიდან ძაღლის ლეკვების ამოსვლა და წკაცწკავი. ასეთი რწმენა უკანასკნელ დრომდე იყო შერჩენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში³. ვახუშტი ასახელებს მის მიერ მოყვანილი ლეგენდის მთქმელებს — ქაიხოსრო ციციშვილის რძალს თამარს და დავით ფაველნიშვილსა და მის მამას. ეს მომენტი განსაკუთრებით საგულისხმოა ლეგენდისა, დღეს თითქმის მკვდარი, ერთი საბის გენეზისისა და ტრადიციის თვალსაზრისით. ხალხურ ნაწარმოებთა ეს სახე იქნებოდა ცრურწმენის საფუძველზე. ცრურწმენის შედეგი იყო მოჩვენებანი. რომლის საფუძველზე იქნებოდა ლეგენდები ქინკებზე. ქაჯებზე, ალებზე და სხვადასხვა კეთილსა და ბოროტ სულელებზე. მათი შინაარსი სჯეროდა მთქმელსაც და მსმენელსაც. ვახუშტიც ადასტურებს, რომ დასახელებულ მთქმელებს სწამდათ, თითქოს მართლა იხილეს საფლავიდან ამოსული ლეკვები და მოისმინეს მათი წკმუტუნნი — „იტყოდნენ საშინელითა ფიცითა“ აღნიშნავს იგი⁴. ასეთ რწმენას და მასზე დაფუძნებულ ნაწარმოებებსაც ჩვენში დღეს გამოცლილი აქვს სოციალური ფუნქცია. მისი დადასტურება შესაძლებელი ხდება საქართველოს ზოგ მთიან რაიონში. მეტწილად-კი ლეგენდათა ეს სახე, როგორც მართებულად აღნიშნა ი. სოკოლოვმა, გადაიზარდა ფანტასტიკურ ზღაპრად⁵.

¹ საქ. ცხოვრება, გვ. 107.

² იხ. შ. ძიძიგური, ვაჟა ფშაველას „ხის ბეკის“ ფაბულისათვის, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945, № 18 (71); იხ. აგრეთვე ზღაპარი უმარასშვილი უმარა „ქრებული“, 1899, № 4, გადაბეჭდილია; ქს. სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი, გვ. 199—200.

³ პირადად ჩვენ ასეთი რამ გაგვიგონია განსუენებული მამიდაჩენისაგან, მხეხა სიხარულიძისაგან. ქ. ს.

⁴ საქ. ცხოვრება, გვ. 107.

⁵ Ю. С о к о л о в, Русские ф о л ь к л о р, 1941, გვ. 343.

სხვა უნარის ნაწარმოებებიდან ვახუშტის შრომებში დაცულია აგრეთვე ცოცხალ მეტყველებაში შემონახული ორი ანდაზა:

ვახუშტა

„ვინაიდან კუდიცა ძალისა არა განიშართების, ეგრეთ გული ბალუშთა მეფეთა ზედა“ (საქ. ისტ. 1, გვ. 173).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც დაუცავს ამ ანდაზის ფორიანტი:

„კუ ჯალად კუდი ძალისა არა გაემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“.

ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი; ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 206, „ძალი ხნავს აღმართს“ (საქ. ცხოვრება, გვ. 241).

ზეპირსიტყვიერება

ძალის კუდი შვიდი წელიწადი კალაპოტში იდვა, გამოიღეს, ისევე გამრუდდა.

(პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937, გვ. 482 და სხვა)

ძალა აღმართსა ხნავს.
(იქვე და სხვ.).

* * *

ზეპირსიტყვიერებაში ჩვენამდე არმოღწეული და სხვა წერილობითი ძეგლებით უცნობი ხალხური შემოქმედების ნიმუშებიდან ვახუშტის გამოყენებული აქვს სიმღერა, რომელიც შეეხება XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობას. ვახუშტის გადმოცემით მეფე გიორგიმ დაიპყრო იმერეთი „ხოლო პყრობილნი განჰყიდნეს ოსმალთა ზედა და იმღერდიან გურიელთა: „ჩვენი თეთრი ჩვენვე შემოგვაქციესო“¹. ხოლო როდესაც ვახუშტი გადმოგვცემს გურიელის გამარჯვებას მეფეზე, განმეორებით მოყავს იგივე სიმღერა, შესრულებული გამარჯვებულ გურიელთა მიერ².

ზეპირსიტყვიერებაში გამქრალი ისტორიული ხასიათის ნაწარმოებებიდან საგულისხმოა პატრიოტული გადმოცემა, დაკავშირებული მეფის გიორგის სვიმონისძის მეორის მიერ შაჰ-აბასისადმი ლორეს იძულებით დათმობასთან. ჩვენამდე მცირე რაოდენობითაა მოღწეული ნაწარმოებები, დაკავშირებული საქართველოს დაუძინებელი მტრების შაჰ-აბას პირველისა და შაჰ-აბას მეორის.

¹ საქ. ცხ-ბა, გვ. 341.

² იქვე, გვ. 343.

სახელებთან, რომელსაც ჩვენ შაჰ-აბასის ციკლს ვუწოდებთ. საფიქრებელია, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებაში სათანადოდ იქნებოდა ასახული იმ პირთა მოქმედება, რომელთაც ააოხრეს და სისხლით მორწყეს საქართველოს ერთი მშვენიერი კუთხე — კახეთი. არსებულ მცირერიცხოვან ნიმუშებთან ერთად ამას ადასტურებს ვახუშტის მიერ დაცული ლორეს შაჰ-აბასზე გადაცემის გამო ქართველი მეფის დაჯილდოვებასთან დაკავშირებული გადმოცემა: „იტყვიან, მოართვეს რა მეფესა ხალათი ყეენისა, არა აღიხადა სამოსელი თვისი. არამედ მას ზედა შთაიცვა; ეტყოდენ წარჩინებულნი მეფესა: „უქადრო არს ყეენის ეგე და მწყენარ იქმნების“. ხოლო მეფე მიუგებდა: „თქვენ არ იცით არცა ერთი, უკეთუ ვყო ეგრეთ, მერმე მითხრას სხვაცა ნებისა თვისისა ყოჟად, და აწ ამისთვის ესრეთ უმჯობეს არს“¹.

ვახუშტის დაუცავს სამეფო გვარის წარმომადგენლებზე ქრისტიანული ლეგენდები. ნეტწილად ეს ლეგენდები მათ გარდაცვალებაზეა შექმნილი. ისტორიული ნოვლებისა და ფაქტების გადმოცემისას ვახუშტი გარკვეულ ანგარიშს უწევს მათ შინაარსს. ამ ლეგენდების გამოყენებისას მას ეტყობა ქრისტიანული ეკლესიის ძლიერი გავლენა. ასე, მაგალითად, ულუ-დავითის ვაჟის გიორგის გარდაცვალების გამო მოყავს ლეგენდა, რომლითაც შვილის სიკვდილი თითქოს მამის მიერ ჩადენილი ცოდვების შედეგი იყო. „გარნა თქმულ არს, რამეთუ მისდრკა დავით, ვითარცა წერილ არს სოლომონისა დროსა სიბერისასა, რამეთუ ხელჰყო შლად ეკლესიათა მამულთა და შეწირულობათა; ამისათვის სამხილებელ ექმნა ღვთისა მიერ; რამეთუ კვალად დასნეულდა ძე მისი გიორგი მეფისა სიბას ყოფასა შინა და მოკვდა“²; დაახლოვებით ასეთივე ხასიათისაა ლეგენდები, კათალიკოსის წყევლით ბაქარ მეფის ბიძის სიმონის ცოლშვილის ამოწყვეტაზე³ და შაჰნავაზის თანამედროვე ოთარ ერისთავისა და ელიშერის სიკვდილზე⁴.

ვახუშტის გადმოცემული აქვს ულუ დავითის სიკვდილის ამბავი: „თქმულ არს, დედოფლის ესუქანის მიერ წამლით მოიკლათ შურისათვის ვასილისა“⁵.

¹ საქ. ცხ-ბა, გვ. 52.

² საქ. ისტ, 1, გვ. 249.

³ საქ. ცხოვრება, გვ. 122.

⁴ იქვე, გვ. 82.

⁵ საქ. ისტ, 1, გვ. 250.

ვახუშტის აღნიშნული აქვს აგრეთვე შემდეგი საისტორიო ნაწარმოებნი: გადმოცემა გიორგი მეფის (მეთერთმეტის) დავალებით ვახტანგის მიერ იასონის მოკვლაზე¹; ლეგენდა გიორგი გურიელის სიკვდილზე „უცნაური კვეთებით“² და ლეგენდა გურიელის ცოლის უცნაურ სიკვდილზე: „თქმულ არს, რამეთუ იყო მიდგომილ და შობასა შინა შვა ცეცხლი და მოკჳდა“³. აფხაზეთის ოსმალებზე გამარჯვებასთან დაკავშირებით ვახუშტის მოყვანილი აქვს ლეგენდა წმ. გიორგის სასწაულზე: „არამედ ძღვევასა ამას იტყოდნენ სასწაულსა წმიდის გიორგის ილორისასა, რამეთუ ლამესა ამას იტყოდა აფხაზთა განსვლად და განაძლიერებდა მათ ბრძოლად“⁴. ქრისტიანული ელფერი აქვს აგრეთვე ლეგენდას შაჰნავაზის სპასიეტის ზახას სიკვდილის შემდეგ მეფის შვილების შფოთზე, რაც თითქოს უდანაშაულო სისხლის დაღვრის შედეგი იყო⁵.

არის შემთხვევა, როცა ვახუშტი კრიტიკულადაა განწყობილი ქრისტიანული ლეგენდისადმი. ასე მაგალითად, ხევის აღწერასთან დაკავშირებით ბეთლემის შესახებ აღნიშნულია: „მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაკვი რკინისა, გარდმოკიდებული ქვაბიდამ, და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა — მდგომს უსვეტოდ, უსაზლოდ, და სხვათაცა საკვირველთა. არამედ მე ვედუებ“⁶. ვახუშტი ამ შემთხვევაში კრიტიკულად არის განწყობილი არა ბეთლემის გამოქვაბულის შესახებ, რომელიც ამჟამად ნააოგნია და რომელსაც ესტუმრნენ კიდევაც ქართველი მთასველელები, არამედ — უფლის აკვნისა და აბრაამის უსვეტო კარვის აოსებობის შესახებ.

ქრისტიანულ ლეგენდებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტის, როგორც ფაქტი, მოყვანილი აქვს ლეგენდა წმ. შიოზე. ამ შემთხვევაში იგი ზეპირსიტყვიერებასაც უნდა ეყრდნობოდეს. ლეგენდის მიხედვით მონასტრის აიორუტყვებს მხეცებიც კი მოკრძალებით ეპყრობიან. საფლავიდან თითქოს ყოველწლიურად ამოდიოდა წმ. შიოს ნაწილები და კურნავდა მის თაყვანისმცემელთ⁷. ვახუშტის გადმოცემით მას შეძლევ, რაც შაჰნადირის მოვლენილმა მამადიანებმა შემუსრეს და დაამტკრიეს წმინდა

¹ საქ. ცხ-ბა, გვ. 87.

² იქვე, გვ. 319.

³ იქვე, გვ. 318.

⁴ იქვე, გვ. 355.

⁵ იქვე, გვ. 84.

⁶ გეოგრაფია, გვ. 67.

⁷ ლეგენდაში გამეორებულია შიოს „ცხოვრების“ ეპიზოდები.

ნაწილთა სამყოფი, აღარ ხდება ეს სასწაული¹. კასპის აღწერასთან დაკავშირებით მოყვანილია აგრეთვე მსგავსი ლეგენდა სტეფანწმინდის ნონასტერში დასაფლავებულ წმ. თათზე². საისტორიო ნაწარმოებებიდან ვახუშტის, როგორც სარწმუნო წყარო, გამოყენებული აქვს გადმოცემა ბაგრატ მეხუთის დროს სვანების აჯანყების ეპიზოდზე. ამ გადმოცემით გამარჯვებულმა მეფემ შეიპყრო სვანთა ერისთავი ვარდანისძე და შეიძღვ მას გადასცა გურიის საერისთაო; სვანთა ერისთავად კი დანიშნა გელოვანი, რომელიც იყო მეფის სასახლის მოხარკე და მსახური. ვახუშტის მიერ გამოყენებული ეს გადმოცემა სარწმუნოდ მიაჩნია დ. ბაქრაძესაც³.

ვახუშტის თავის შრომაში შეუტანია გადმოცემა ლევან კახთა მეფის მიერ საქართველოში მოთარეშე ლეკის შეპყრობასა და დასჯაზე. ზეპირსიტყვიერებაში ამჟამად უკვე გამქრალი გადმოცემა, როგორც ამსაველი ლევან მეფის ბრძოლისა ლეკიანობის წინააღმდეგ, მოგვყავს მთლიანად: „გარნა თქმულ არს რამეთუ ესმსა ლევანისასა მოუხდა ლეკი ვინმე დაღისტინისა გაღმამხარს და წარიყვანა ზროხა ერთი: ჰსცნა ესე ლევან, შემოიკრიბნა იღუმალ სპანი გაღმამხარსა შინა და წარვიდა ეტიკითა, ვლო დღე და ღამე, მათუხდა და შეიპყრა კაცი იგი დედაწულითა და ქონებითა, წარმოიყვანა და მოვიდა მესამეს დღეს მუნვე და მოსწყვიტნა იგიანი, რათა არა კადნიერ იქმნენ სავანი კვალად კირთებად კახეთისა“⁴.

ვახუშტის დაუცავს აგრეთვე მეორე პატრიოტული გადმოცემა. იგი ეიება XVI საუკუნეში საქართველოში ტყვეებით ვაჭრობას. ვახუშტი ასე გადმოგვცემს მას: „იტყვიან, მიედარმან დიანისმან (იგულისხმება ლევან დადიანა. ქ. ს.) მიჰყიდა მამამ დიანსა ტყვე, ავისათვის კათალიკონისან იწვია და დაუდგა მწვარი ძაღლი. „ეტყოდა ჭამასა, რამეთუ არა არს არა-წმინდა“. ვინადგან იქმნა ესე. აღუძნდა დადიანსა და მოაყვანინა ტყვე იგი სტამბოლიდამ და მიედარი იგი მისცა პატიქსა, გარნა კვალად არა დასცხრა კირთებად“⁵. ვახუშტის გამოყენებული აქვს იმავე დადიანის სახელთან დაკავშირებული მეორე გადმოცემაც.

¹ გეოგრაფია, გვ. 62.

² იქვე, გვ. 72.

³ საქ. ისტ., 1, გვ. 231—282.

⁴ საქ. ცხ-ბა, გვ. 164—155.

⁵ იქვე, გვ. 303.

იგი ეხება ალექსანდრე მეფის მიერ მამუკასთვის ცხენის დანალ-
ვას, როდესაც მეფესთან მივიდა ჯარით ლევან დადიანი. ისტო-
რიული ცნობით, მამუკაც შეიარაღებული დადიანთან ერთად
გამგზავრების მიზნით. მეფეს შეშინებია მამუკა არ დალუპულიყო
და, რომ ხელი შეეშალა წასვლაზე, დაუმალავს ცხენი¹. ვახუშტის
ისტორიული ცნობისათვის დაპირისპირებული აქვს გადმოცემა,
რომელიც სულ სხვაგვარად ხსნის მეფის მოქმედებას: „იტყვიან,
სიკეთისა მისისათვის შურისათვის დაუმალა ცხენი, რათა ევნოს
რაიმე“².

ვახუშტი ზეპირგადმოცემას, როგორც ისტორიულ წყაროს,
იყენებს თურქმანებთან 1407 წ. ბრძოლაში გიორგი მეშვიდისა
და მრავალრიცხოვანი ქართველების დალუპვაზე მსჯელობისას.
მისი სიტყვებით „საგონებელ არს ბრძოლა ეს ნახიდურს, სადაცა
არიან საულაენი მრავალთა გვამთა შეყრილნი, რომლისას იტყვი-
ან მუნ ნოწყვეტილთა მრავალთა ქართველთა და აღარა წარიღეს
თავისთვისთა სასაფლაოთა და დაფლეს მუნვე, ვინადგან მეფე
მოკლეს და არლარა იყო, იელტოდეს და მოსწყდნენ მუნ სრუ-
ლად, რომელი საჩინოდ არს დიდ-დიდითა ფიქალის ქვითა მოზ-
ღუდული“³.

ვახუშტის მოყვანილი აქვს აგრეთვე დავით მეექვსის მეფობი-
სას თათართა მიერ საქართველოს აოხრებასთან დაკავშირებული
თქმულება—ჩრდილოეთის მხარეს ლახვრის მსგავსი კვიმატი ვარს-
კვლავის გამოჩენაზე. ვახუშტი იქვე აღნიშნავს ხალხის შეხედულე-
ბას ამ მოვლენაზე „ლახვრის მომასწავებელ არსო“⁴.

ზეპირგადმოცემაზე მიუთითებს ვახუშტი სვერის ციხის აშე-
ნებაზე მსჯელობისას: „თქმულ არს, ენისა ყრუსასა დადგა ციხე
არგვეთისა სვერი“⁵. მას აღნიშნული აქვს აგრეთვე გადმოცემები
რაკის დაბა წესში ვერცხლის მადნის არსებობასა⁶ და ძვერის
წყალის ქეიტკირის ხიდის სვეტის წარწერაზე⁷.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის ზეპირი ნაწარმოებები, რომელ-
თაც ვახუშტი იყენებს, როგორც ისტორიულ წყაროს და არ

¹ საქ. ცხ-ბა, გვ. 304.

² იქვე.

³ საქ. ისტ., 1, გვ. 296.

⁴ იქვე, გვ. 265.

⁵ გეოგრაფია, გვ. 156.

⁶ იქვე, გვ. 159.

⁷ იქვე, გვ. 152.

აღნიშნავს მათ ხალხურობას. ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში არ არის საერთოდ ვახუშტის შრომებში წერილობითი და ზეპირი წყაროების განსხვავება და მათი ისტორიული ღირებულების კვლევა. თუმცა ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. აღნიშნავთ ვახუშტის მიერ სინამდვილის პრეტენზიით გადმოცემულ ზოგ ხალხურ ნაწარმოებს, ქართული ფოლკლორის ტრადიციისა და ისტორიის შესწავლაში მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ვახუშტის მიერ უკრიტიკოდ გამოყენებული ლეგენდა, დაკავშირებული დავით აღმაშენებლის მიერ ანისის აღებასთან. დავით აღმაშენებლის ციკლის ნაწარმოებები ჩვენამდე შედარებით მცირე რაოდენობითაა მოღწეული. ამიტომ ვახუშტის მიერ დაცულ ლეგენდას განსაკუთრებული ღირებულება აქვს. ანისის აღებასთან დაკავშირებით ვახუშტის აღნიშნული აქვს დავით აღმაშენებლის მიერ განახლება თურქთაგან მეჩეთებად ქცეული ბერძენთა შეფის ასულის კატრონიკას აშენებული ეკლესიებისა. დავითმა ისევ აკურთხა ეს ეკლესიები. ამის შემდეგ, — ვახუშტის გადმოცემით, დავითმა „უყვილა კატრონიკას საფლავსა: გიხაროდენ დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან ეკლესია შენი აგარიანთაგან“. ხოლო საფლავით ხმა უყო მან: „მადლობა ღმერთსა“, და განციფრდებოდნენ მსმენელნი“¹. ეს ლეგენდა ოდნავ ცვლილებით, როგორც ისტორიული ფაქტი, მოყვანილი აქვს ი. გოგებაშვილს. იგი არ აღნიშნავს დედოფლის ვინაობას. მისი გადმოცემით, „როდესაც დავითი შევიდა ანისის უმათარეს ტაძარში. იგი მიუახლოვდა ერთი დედოფლის საფლავსა და ჩასძახა: „გიხაროდენ, დედოფალო, უფალმა იხსნა შენი ეკლესია ურწუმუნოთაგან“, — და პასუხად მოესმა საფლავიდან „დიდება ღმერთსა“². ზეპირიტყვიერებაში ეს ლეგენდა დღეს აღარ გვხვდება.

ქართული ფოლკლორის ისტორიისა და ტრადიციის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ვახუშტის მიერ ნამდვილ ამბად მიჩნეული ლეგენდები და ხალხური რწმენანი, როგორცაა: ულუ დავითის განკურნება დბანისის ღვთისმშობლის ხატით³; მისი ძის გიორგის განკურნება მარტყოფის ხელთუქმნელი ხატით⁴;

¹ საქ. ისტ., 1, გვ. 182—183.

² ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, მუხთუვ გამოცემა, 1885, გვ. 368.

³ საქ. ისტ., 1, გვ. 249.

⁴ იქვე.

მარტყოფის ხელთუქმნელი ხატის განრისხება ულუ დავითზე, „ვი-
ნაიდგან მოაკლო მსახურება ღვთისა“ და მისი სიკვდილი;¹ ულუ
დავითისა და დავით ნარიჩის მეფობისას თენგუთარის თორმე-
ტი ათასი მხედრის დაღუპვა სამღვთო ადგილას ბრძოლის გამო²;
დემეტრე მეორის მეფობისას დიდი მიწისძვრით მრავალრიცხო-
ვანი მონასტრების, ციხეებისა და ეკლესიების დანგრევისას აწყუ-
რის ხატის გადარჩენა ღვთის განგებით³; ვარძიის ღვთისმშობლის
გარისხება თურქებზე და მათზე მეხისა და განგალის დატყდომა
(უნდა უკავშირდებოდეს XIV საუკუნეში ჩვენში შემოსეულ თურქე-
ბის ბექას მიერ დამარცხებას. ქ. ს.)⁴ სიზმარი ლევან მეფისა
შაჰ-ისმაილის მიერ განძარცულ სიონის ხატზე, რომელიც თით-
ქოს ნავთლუღის ქალას იპოვა⁵; სიზმარი ხორეშან დედოფლისა
ამირ გუნაანის შემოსევაზე⁶ და ბერდუჯის მთის მონასტრის
მიერ გიჟების განკურნება⁷.

* * *

ვახუშტის თავის ნაშრომში მოცემული აქვს სხვადასხვა გე-
ოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა. ხალხური ეტიმოლოგიის ამ
საინტერესო ნიმუშებს მეტწილად რეალური, ისტორიული საფუ-
ძველი აქვს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა შემდეგ სახელწო-
დებათა ეტიმოლოგია:

ა რ ა გ ვ ი — „ეწოდა სახელი ესე ამ მდინარეს თვისთავე, ვი-
ნათგან დის ჩქარად, შოგვის და იმღვრევის შავად: „ხედავ, არა
გვის ეს წყალი ამ ჳევთა“⁸. ი ო რ ი — „იორა ამ მდინარემ“⁹;
ბ ო ტ ო რ მ ა — უწინდელი ვ ა ტ ო რ მ ა — „ესე არს, რომელი წი-
ლად ხვდა კახოსს და შენებასა ჩელეთისასა მისცა კუხოსს, და
შეეწია კუხოსს შენებასა ჩელეთისასა კახოსს. შემდგომად უწო-
დებს ვეჭორმა, ესე იგი არს: „ვეჭ, ორმა ძმამ ცილება ყვეს ამ

¹ საქ. ისტ., 1, გვ. 250.

² იქვე, გვ. 249.

³ იქვე, გვ. 254.

⁴ იქვე, გვ. 264.

⁵ საქ. ცხ-ბა, გვ. 162.

⁶ იქვე, გვ. 180.

⁷ გეოგრაფია, გვ. 36.

⁸ იქვე, გვ. 62.

⁹ იქვე, გვ. 88.

ციხესა ზედა“. მერე უწოდეს ბოქორმა¹; ქიზიყი „ეწოდა პირველ კანბეჩოვანი, კანბეჩთა სიმრაველისათვის, შემდგომად ქისიყი უსაქციელობისათვის — „მქის იყო“²; შავშეთი — შავში და არა სპეტაკში“³; არტანუჯი — მშვენიერებისათვის: „არა ტანი, არამედ უნჯი“⁴ თუხარისი — „მოიგო სახელი სიმაგრით სიმტკიცისათვის — „თუ ხარ შენ ციხე და არა სხვა“⁵; რაქა — „ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ — „იხილე, რა ჭაა არს ადგილი ესე“⁶; ოკრიბა — ადგილმდებარეობის გამო „ოო, კრება ესე კეთილშვენიერ ადგილ არს“⁷; ოდიში — მეგრულთა ერთი ნაწილი „განდგნენ რა ეგრისის მდინარის იქითნი და მიერთნენ ბერძენთა, იტყოდინან: „ოდში იყომე ქვეყანა იგი ჩვენა“ და ისახელნენ აწამდე ესრეთ“⁸.

ასე მრავალმხრივია ვახუშტის დამოკიდებულება ხალხურ შემოქმედებასთან. ვახუშტის შეხედულება ზეპირსიტყვიერებაზე, მის მიერ გამოყენებული ხალხური შემოქმედების ჟანრთა აღმნიშვნელი ტერმინები და განსაკუთრებით მის შრომებში მდიდრად წარმოდგენილი ფოლკლორული ნიმუშები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ზეპირი წყაროებისადმი მისი დამოკიდებულების თვალსაზრისით, არამედ — ქართული ფოლკლორის ისტორიისათვისაც.

გამოჩენილი ისტორიკოსი და გეოგრაფი სათანადო ადგილს დაიჭერს ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიოგრაფიაში.

¹ გეოგრაფია, გვ. 90—91.

² იქვე, გვ. 98.

³ იქვე, გვ. 121.

⁴ იქვე,

⁵ იქვე, გვ. 136.

⁶ იქვე, გვ. 162.

⁷ იქვე, გვ. 164—165.

⁸ იქვე, გვ. 165.

ქორნელი კეკელიძე და ქართული ხალხური შემოქმედების საკითხები

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მრავალ დარგში ღვაწლმოსილ-
მა მეცნიერმა ქორნელი კეკელიძემ ქართული ხალხური შემოქმე-
დების ბევრ რთულ საკითხს მოფინა სინათლე. ქორნელი კეკელი-
ძის მდიდარსა და მრავალფეროვან მეცნიერულ პროდუქციაში
გადაჭრილი ან დასმულია ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლ-
კლორისტიკის დიდი მნიშვნელობის თეორიული საკითხები. ეს
საკითხებია: ქართული ხალხური სიტყვიერების ადგილი მსოფლიო
ლიტერატურასა და ხალხურ შემოქმედებაში; ხალხური სიტყვიე-
რებისა და ლიტერატურის ურთიერთობა; მხატვრულ ნაწარმო-
ებთა სიუჟეტების მსგავსება და ხალხთა კულტურული ურთიერ-
ობისა და მეგობრობის საკითხი; ხალხურ ნაწარმოებთა ან მათი
ეპიზოდებისა და მოტივების გენეზისის საკითხი; სხვადასხვა ჟან-
რის ხალხურ ნაწარმოებთა ტრადიცია საქართველოში, მათი
შემსრულებლები და შესრულების წესები და სხვ. მაღალ მეცნი-
ერულ და პრინციპულ სიმაღლეზე აყვანილი ყველა ეს საკითხი
კ. კეკელიძის ნაშრომებში ემსახურება მრავალსაუკუნოვანი ქარ-
თული კულტურის ისტორიის სრულყოფილად წარმოდგენას.

ძველი ქართული მწერლობის დიდმა მოამბავემ მისთვის და-
მახასიათებელი ღრმა ერუდიციით დაწერილ ნარკვევებში გვიჩვენა
ქართული ხალხური შემოქმედების ადგილი მსოფლიო ლიტერა-
ტურასა და ხალხურ ეპოსში. კ. კეკელიძემ რამდენიმე ნარკვევი
უძღვნა ქართული ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების
სიუჟეტთა სხვადასხვა ხალხის ლიტერატურულ და ხალხურ ნა-
წარმოებთა სიუჟეტებთან მსგავსების საკითხს. ამ საკითხის დასმა-

გადაწყვეტით მკვლევარი შორს არის სესხების თეორიის მკვლევარი პრინციპებიდან. მას გათვალისწინებული აქვს ის გარემოება, რომ მსგავსი სიუჟეტების და მოტივების არსებობა სხვადასხვა ხალხში შეიძლება იყოს შედეგი ამ ხალხთა ერთგვარი სოციალურ-ეკონომიური პირობებისა. კ. კეკელიძე წერს: „...მსგავსი სიუჟეტები, უფრო კი ცალკეული მოტივები ყოფაცხოვრებითი ხასიათისა, შეიძლება აღმოცენდეს სხვადასხვა ადგილას გავლენის გარეშეც, სრულიად დამოუკიდებელიც, ცხოვრების ერთნაირი ან მსგავსი პირობების გამო¹“. მკვლევარი ხალხთა შემოქმედების ურთიერთგავლენასაც თვალისწინებს, როგორც აუცილებელ შემოქმედებით პროცესს. მსგავსი სიუჟეტების ახსნისას იგი მოაზრდება იმნარჯევს შედარებით-ისტორიულ მეთოდს. ნარკვევში „ორი მოხეტიალე სიუჟეტი-სათვის ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაში“ განხილულია სხვადასხვა ხალხში ცნობილი ვარიანტები ერთგვარ სიუჟეტზე აგებული საყოფაცხოვრებო ზღაპრებისა². ერთი ამ ზღაპართაგანის სიუჟეტი აგებულია მოხერხებულ ფიციზე, რასაც მკვლევარი „ორაზროვან ფიცს“ უწოდებს. ამ ზღაპრის ვარიანტებით მოხერხებული ქალი ორაზროვანი ფიცით ფარავს თავის დამოკიდებულებას საყვარელთან თუ მიჯნურთან. კ. კეკელიძეს აღნიშნული აქვს ამ ზღაპრის ვარიანტები ძველ ინდურ იგავ-არაკთა და ზღაპართა კრებულში „სინდბანდში“ ქართულად „თიმსარიანში“; — „ინდური წარმოშობისეე ვიკრამიჩარიტრაში“; ვიკრამიჩარიტრას მონღოლურ რედაქციაში არჯი-ბორჯში, კერძოდ, ზღაპარში ნარან-გელე; რომში; დასავლეთ ევროპაში „ტრისტან და იზოლდაში“ (იზოლდას ფიცი). დასასრულ მოყვანილია ქართული ზღაპრის შინაარსი, რომელიც მკვლევარს ბავშვობაში მოუსმენია. ქართული ზღაპრის მიხედვით ლამაზი ცოლი ღალატობდა ქმარს. მოხერხებულ დროს მდინარის გავლით მიდიოდა მომიჯნავე სოფელში საყვარელთან. ამის გამო სოფელში შეიქნა მითქმა-მოთქმა. ქალმა უარყო თავის დანაშაული. „თავის გამართლების მიზნით მას მოსთხოვეს ფიცი. შეიკრიბნენ მდინარის ნაპირას. ქალი ფიცულობს „თუ მე მეორე ნაპირას გადავსულიყო მას შემდეგ, რაც ეს წყალი მიდის, რომელსაც თქვენ ხედავთ, წყალში დამხრვალი გენახოთ ჩემი თავიო“. ის გაამართლეს, რადგან მისი ფიცი ისე გაიგეს, თითქოს ის მდინარეზე ლაპარაკობდა, ნამდვილად კი მას მხედველობაში ჰქონდა არა მდინარე, არამედ წყალი, რომელიც იმ მომენტში მდინარეში

¹ კ. კეკელიძე, ვტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. II, 1945 წ., გვ. 87.

² ვტიუდები, გვ. 87—98.

მიდიოდა და რომელიც, ცხადია, ყოველწუთში იცვლებოდა“¹. ნარკვევში აღნიშნულია ამ ზღაპრის სხვადასხვა ხალხში არსებული ვარიანტების საერთო მოტივები და ეპიზოდები. ქართული ზღაპრის დამოუკიდებლობის დასადასტურებლად მკვლევარს მითითებული აქვს დასავლეთ საქართველოს ცხოვრებიდან ლიტერატურაში აღნიშნული რამდენიმე ფაქტი „ორაზროვანი ფიცისა“². ბავშვობაში მოსმენილი ზღაპრის შინაარსის ფიქსაციით კ. კეკელიძემ ნათლად გვაჩვენა ქართული ზღაპრის კოლორიტული და ამავე დროს საერთაშორისო ხასიათი. ქართული ზღაპრის სხვა ხალხთა ზღაპრების ვარიანტებთან შედარების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა: „ქართულს დასახლებულ ვარიანტებთან საერთო აქვს ის, რომ სიუჟეტი აქაც სამიჯნურო ფონზეა გაშლილი, სხვაფერად კი ის შედარებით დამოუკიდებლად გამოიყურება. მართალია „სინდბადის“ თიმსარსა და ქართულ ზღაპარში, ისე, როგორც იზოლდას თავგადასავალში, ფიცი დაკავშირებულია წყალთან, მაგრამ ეს კავშირი სულ სხვა ძაფებითაა გაბმული, ამიტომ გენეზისის გასარკვევად არ კმარა. ქართულ სინამდვილეში მოხვედრილს, თუ აღმოცენებულს, ამ ფიცის სიუჟეტს მიუღია თავისებური ფორმა და გონებამახვილობითა და გამჭკრიახობით სხვა ვარიანტებს ის ყოველ შემთხვევაში არ ჩამოუვარდება“³.

ქართული ეპოსის თვითმყოფობისა და ამავე დროს მსოფლიო მნიშვნელობის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ნარკვევის მეორე ნაწილიც. იგი მიძღვნილია საერთაშორისო ხასიათის სიუჟეტისადმი, რომელსაც მკვლევარი „ცბიერი ცოლის“ სიუჟეტს უწოდებს. ნარკვევში მოცემულია ამ სიუჟეტის სქემა: „1. გულუბრყვილო ქმარი. 2. ლამაზი ცოლი, რომელსაც ორი საყვარელი ჰყავს. 3. ქმრის შინ არ ყოფნისას ის იღებს ერთს საყვარელს. 4. ამ დროს ესტუმრება მას მეორე საყვარელი. 5. პირველს დამალავს და მეორეს იღებს. 6. მოულოდნელად შინ დაბრუნდება ქმარი. 7. რადგანაც მეორის დამალვა არ ხერხდება, მას ასწავლის, იარაღით ხელში და ვილაციისადმი მუქარით გავარდეს კარში და გაიქცეს. 8. შეშინებული ქმარი დაიჯერებს, რომ შეიარაღებული მისდევდა მოსაკლავად ერთს კაცს, რომელიც მან თავის

¹ ეტიუდები, გვ. 90.

² Лаврентьев, Статистическое описание губерний и областей Российской Империи, т. XVI, Кавказский Край, ч. 5, Кутаيسское Генерал-губернаторство, стр. 131, прим. 3; Петерб. 1858 г.

³ კ. კეკელიძე, ეტიუდები, გვ. 91.

ოთახში დამალა. 9. ქმარი ცოლს საქციელს მოუწონებს, დამალულს თანაგრძნობას გამოუცხადებს და შინ გაისტუმრებს¹.

მკვლევარის ყურადღების ცენტრშია ამ სიუჟეტზე აგებული ქართული საყოფაცხოვრებო ზღაპრის „მოტყუებული ტერტერას“² გენეზისის საკითხი. აღნიშნულია ამ სიუჟეტზე აგებული არაკის არსებობა „თიშსარიანში“ და მისი ვარიანტები სხვადასხვა ხალხში³. ნარკვევში აღნიშნულია ქართული ზღაპრის, ბოკაჩიოს ნოველის (VII, 6) და მე-13 საუკუნის სიენის ერთი ანონიმის საერთო და განსხვავებული მოტივები და ეპიზოდები. უარყოფილია ქართული ზღაპრის გამომცემლის მოსაზრება, თითქოს მისი წყარო ბოკაჩიოს „დეკამერონი“ იყოს⁴. იგი არც „თიშსარიანის“ ქართულ თარგმნის გავრცელების შედეგადაა მიჩნეული. ქართული ზღაპრის გენეზისის, მისი საერთაშორისო ხასიათისა და ქართველ-სომეხ ხალხთა მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მკვლევარის დასკვნა: „მოტყუებული ტერტერა“, გაცილებით ადრე უნდა იყოს შემოსული, ვიდრე „თიშსარიანი“ ითარგმნებოდა ქართულად. შემოსული უნდა იყოს ის იმ რაიონში, სადაც შერეულ სომხურ-ქართულ მოსახლეობას ჰქონდა ადგილი, ამით მხოლოდ შეიძლება აიხსნას ტერტერას გაშარება მისი მოტყუებულის როლში გამოყვანით. ასეთი იყო და არის ახალქალაქის რაიონი, საიდანაც შემოსულა ეს ზღაპარი. სომხურ მოსახლეობასთან ურთიერთობამ და ნაცნობობამ ამ ზღაპარში ისე იჩინა თავა, როგორც ბესიკის „რძალ-დედამთილიანში“, სადაც მოქმედება გაშლილია ოჯახური ცხოვრების ფონზე ტერტერასვე მონაწილეობით“⁵.

აღსანიშნავია, რომ „ცბიერი ცოლის“ სიუჟეტზე ზღაპრის „მოტყუებული ტერტერას“ გარდა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ცნობილია სხვა ნაწარმოებნიც. ქართულ მეტყველებაში დამკვიდრებული მოხდენილი ანდაზა „ვინც იცის ცეცხლია, ვინც არა და ცერცვია“, ინვერსიით მიღებულია „ცბიერი ცოლის“ სიუჟეტზე აგებულ პატარა ამბავიდან. მისი ერთი ვარიანტი ასეთია: „ერთი კაცი მეზობლის ცოლს გაუარშიყდა, სწორედ „სახათაბალო“

¹ კ. კეკელიძე, ეტიუდები, გვ. 91.

² „აკაკის კრებული“, 1898 წ. IX, გვ. 31.

³ ეტიუდები, გვ. 91—92.

⁴ იქვე გვ. 96.

⁵ იქვე, გვ. 97.

დროს მოასწრო ქმარმა და გამოუდგა ცულით მოსაკლავად. ქალის რჩევით კაცი გადახტა ბაღში, სადაც ცერცვი ეთესა. სულგამწარებულმა მოგლიჯა ერთი ბლუჯა ცერცვი და ისე გარბოდა ქუდმოგლეჯილი. უკან კი მისდევდა დამუქრებული ქმარი. ერთმა მგზავრმა დაინახა და მიძახა ქმარს: არა გრცხვენია, კაცო, ცერცვის გულისათვის კაცი უნდა მოჰკლაო? გამწარებული ქმარი უპასუხებს; — ვინც იცის, ცეცხლია, ვინც არ იცის და — ცერცვია¹. ამ ამბისა და სხვა მის მსგავს ნაწარმოებთა გენეზისის საკითხის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს კ. კეკელიძის კვლევა-ძიებას „ცბიერი ცოლის“ სიუჟეტზე აგებულ ნაწარმოებთა შესახებ.

ქართული ეპოსის მსოფლიო მნიშვნელობასა და ხალხური სიტყვიერების საფუძველზე ხალხთა მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საკითხს არკვევს კ. კეკელიძის მეტად საინტერესო ნარკვევი „ბარამ-გურიანის“ ნოველათა სიუჟეტური პარალელები ქართულ ფოლკლორში“². ნარკვევში აღნიშნულია დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის პოემის „ჭეფთ ფაიქარ“-ის (შვილი მზეთუნახავის) ქართული გადმოკეთება-თარგმანის — „ბარამ-გურიანის“ ზღაპრებისა თუ ნოველების შესატყვისები ქართულ საზღაპრო ეპოსში. საგანგებო ყურადღების საგანია ღრმა ჰუმანიზმით შთაგონებული ზღაპარი კეთილი და ბოროტი კაცების შესახებ. „ბარამ-გურიანის“ მეექვსე ნოველა „მაწყინარი და მამებელი“, რომლის მიხედვითაც ბოროტმა, გაუმაძღარმა მაწყინარმა თვალები დათხარა, გაძარცვა და უპატრონოდ მიაგდო მამებელი, შედარებულია გავრცელებული ქართული ზღაპრის „ალალი და მართალის“ სახელწოდებით ცნობილ ერთ ვარიანტთან³. ორივე ვარიანტით თვალებდათხრილი უპატრონოდ მიგდებული კეთილი კაცი განიკურნება, მდიდრდება, ბედნიერდება, ბოროტი-კი სიკვდილით ისჯება.

„ბარამ-გურიანის“ მეშვიდე ნოველა „უნაღვლო კაცის მძებნელი“ შედარებულია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიც-

¹ ქართული ანდაზები, შეკრებილი დ. თურდოსპირელის და ემელ. გაბრიჩიძის მიერ, 1935 წ. 93—94.

² ეტიუდები, გვ. 81.

³ აღსანიშნავია, რომ ეს ზღაპარი მრავალვარიანტად არის ცნობილი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. იხ. ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, საბავშვო ფოლკლორი, გვ. 260; თ. ბ ე გ ი ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფოლკლორი, გვ. 181, ქართული ხალხური ზღაპრები. I, მ. ჩიქოვანი რედ., გვ. 48 და სხვ.

რუის“ ზღაპართან „უნაღვლოთა მძებნელი“. მკვლევარს აღნიშნული აქვს, რომ ეს ზღაპარი არ მოიპოვება „ბარამ-გურიანის“ ნიშამისეულ და სხვა რედაქციებში. იგი არც ნიშამის გადმომკეთებელი მთარგმნელის ქართული პოეტის ნოდარ ციციშვილის მიერ არ უნდა იყოს მოგონილი, რომ იგი აღებული უნდა იყოს ზღაპრების რომელიმე კრებულიდან. ამ აზრის დასასაბუთებლად მოყვანილია „სიბრძნე-სიცრუის“ ზღაპარი „უნაღვლოთა მძებნელი“. აღნიშნულია ნოდარ ციციშვილისა და სულხან-საბა ორბელიანის ზღაპართა სიუჟეტური ნათესაობა:

1) ერთი და იგივე თემა: უნაღვლო კაცის ძებნა მეფის მიერ; 2) ვეზირის უარყოფითი შეხედულება ამ საკითხზე; 3) მეფის მიერ მთელი ქვეყნის მოვლა უნაღვლო კაცის მოძებნის მიზნით; 4) ისეთი ადანიანის პოვნა, რომელიც გარეგნულად უნაღვლო ჩანდა; 5) მისი სულიერი მდგომარეობის შეუსაბამობა გარეგნულ ქცევასთან; 6) წარკვეთილი ასოს ამბავი; 7) მონა-ზანგისა და მეფის ლამაზი ცოლის ურთიერთობა და ამ ურთიერთობასთან დამოკიდებულება მოყვარული ქმრისა; 8) მეფის დარწმუნება, რომ უნაღვლო კაცი მართლაც არ არის და მისი შერიგება ვეზირთან¹.

ორივე შემთხვევაში — „ბარამ-გურიანის“ როგორც მეექვსე ისე მეშვიდე ნოველის ქართულ ზღაპრებთან შედარებისას, მკვლევარს მხედველობაში აქვს საერთო ფონდი, საიდანაც მომდინარეობენ მსგავსი ნაწარმოებები. პირველ შემთხვევაში, — „ბარამ-გურიანის“, „მაწყნარისა და მამებლის“ ქართულ ზღაპართან „ალალი და მართალი“ შედარებისას, მკვლევარი ეყრდნობა მის მიერ სახელმძღვანელოდ არა ერთხელ მიღებულ დებულებას — სხვადასხვა ხალხში ერთგვარი სოციალურ-ეკონომიური პირობების საფუძველზე მსგავსი სიუჟეტების შექმნის შესახებ. ნარკვევში ეკითხულობთ: „მიუხედავად იმისა, რომ დეტალებით, მოქმედების განვითარებით და ამ მოქმედების მოტივაციით ეს ზღაპრები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ზოგადი იდეით, როგორცა ვთქვით, და აღნიშნული შტრიხებით ისინი იმდენად უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს, თუ ჭეშუალო გავლენის საკითხი გამოირიცხება, იმ ზოგად ფონდს ან სუბსტრატს, საიდანაც ისინი ორივენი დასაწყისს ღებულობენ. ეს ფონდი კი უნდა იყოს ამიერ-კავკასიური. თუ ჩვენ მხედველობაში გვექნება, ერთი მხრით, ის გარემოება, რომ ნიშამი ცხოვ-

¹ ეტიუდები, გვ. 85.

რობდა და ჰქმნიდა ამიერ-კავკასიის სინამდვილეში (ადერბეიჯანში), მეორე მხრით კი ქართულ-ადერბეიჯანული კულტურული ურთიერთობანი, არ გვეუცხოება ის მოვლენა, რომ ამ ფონდის ერთ ნაკადს თავი უჭენია ქართულ ფოლკლორში, მეორეს — მუსულმანურ-ადერბეიჯანულში¹.

მეორე შემთხვევაში — ნოდარ ციციშვილისა და სულხან-საბა ორბელიანის ზღაპართა სიუჟეტური ნათესაობის აღნიშვნისას კ. კეკელიძე წერს: „დღეს უკვე საბოლოოდ გარკვეულია ფოლკლორული წარმოშობა „სიბრძნე სიცრუის“ ზოგიერთი არაკისა, სულხან ორბელიანი ასეთ არაკებს პირდაპირ ხალხის წიაღიდან იღებდა. კერძოდ, ეს უნდა ითქვას მოყვანილი არაკის შესახებაც. საიდანაც არ უნდა იყოს ამოღებული „ბარამ-გურიანის“ ზემოთ-მოთხრობილი ნოველა, მისი სიუჟეტური ნათესაობა „სიბრძნე სიცრუის“ არაკთან უტყუარი მაჩვენებელია იმისა, რომ ის მომდინარეობს იმ საერთო ფონდიდან, რომელიც შექმნილია სხვადასხვა, ხშირად ერთიმეორისაგან დაშორებულ, ხალხთა სოციალური ყოფის მსგავს პირობებში“². აქვე მკვლევარმა უფრო მკვეთრად, ვიდრე ზემოთ მოყვანილ სტრიქონებში, აღნიშნა ქართულ-აზერბაიჯანულ კულტურული ურთიერთობა და დასვა საკითხი ამ ურთიერთობის საფუძვლიანად შესწავლის საჭიროებისა³.

მსოფლიო ლიტერატურისა და ეპოსის საკითხების შესწავლაში ქართული ხალხური სიტყვიერების მნიშვნელობის თვალსაზრისით საყურადღებოა ნარკვევი „ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული პარალელები“⁴. ფართო მეცნიერული ჰორიზონტით დაწერილ ამ ნარკვევში განხილულია „ცხოველთა მოტივი“ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში. ამ მოტივის მიხედვით შედარებულია ბიზანტიური გერასიმე წიაღ-იორდანელის „ცხოვრება“ და ქართული — შიოს „ცხოვრება“. ბიზანტიური ძეგლის მიხედვით გერასიმემ ლომი განკურნა. მადლიერი ცხოველი ემსახურება მას. ქართული ძეგლის მიხედვით შიომ ლოცვით მოაშინაურა მგელი. მოაშინაურებული მხეცი ემსახურებოდა ბერებს. ნარკვევში მოყვანილია „ცხოველთა მოტივი“ აგებული ქართული ხალხური ზღაპარი სათაურით „ლომის ერთგულება“⁵ ნარკვევში აღნიშნულია:

¹ ეტიუდები, გვ. 83.

² იქვე, გვ. 85—86.

³ იქვე, გვ. 86.

⁴ იქვე, გვ. 99—107.

⁵ ქართული ხალხური ზღაპრები, I, მიხ. ჩიქოვანის რედ., გვ. 42.

ბიზანტიური ძეგლის უფრო მეტი მსგავსება ქართულ ხალხურ ზღაპართან, ვიდრე — შიოს „ცხოვრებასთან“. ბიზანტიური ძეგლისა და ქართული ზღაპრის მიხედვით კაცი ლომს მოურჩენს და ჩირქებულ ფეხს. ლომი ერთგულებას იჩენს მისი მკურნალისადმი. კ. კეკელიძის მართებული მოსაზრებით შიოს „ცხოვრება“ მომდინარეობს გერასიმე იორდანელის „ცხოვრებიდან“ და არა ქართული ზღაპრიდან. რაც შეეხება თვით ბიზანტიური ძეგლის ეპიზოდს ლომის განკურნების შესახებ, მისი წყარო, ქართული ზღაპრის მიხედვით, ხალხური შემოქმედება არის¹. მკვლევარის ეს ნეტად საყურადღებო დაკვირვება და მოსაზრება თვალსაჩინოს ხდის ლომის ერთგულებაზე შექმნილი ქართული ზღაპრის მნიშვნელობას უძველესი ბიზანტიური ლიტერატურის ძეგლის ეპიზოდისა და მოტივების გენეზისის საკითხის გარკვევის საქმეში.

აღნიშნული ნარკვევი მეტად საინტერესოა აგრეთვე ქართული ხალხური სასულიერო-რელიგიური „იობის ლექსისა“ და მეხუთე საუკუნის ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული ძეგლის სვიმეონ მესვეტის „ცხოვრების“ ურთიერთობის თვალსაზრისით. ნარკვევში განხილულია „ხორცთა განლევის“ მოტივი. აღნიშნულია ამ მოტივის არსებობა შიოს „ცხოვრებაში“, „შუშანიკის მარტვილობაში“, სვიმეონ მესვეტელის „ცხოვრებაში“ და ბიბლიურ თქმულებაში მართალი იობის შესახებ. მკვლევარის დასკვნით „შუშანიკის მარტვილობაში“ ეს მოტივი სვიმეონ მესვეტის „ცხოვრებიდან“ არის შეტანილი და არა ბიბლიური თქმულებიდან მართალი იობის შესახებ, რადგანაც ბიბლიური თქმულებით იობს მატლები ეშმაკმა დაასვია. იგი იშორებდა მატლებს. „შუშანიკის მარტვილობით“ შუშანიკი არ იშორებდა მატლებს, ისევე როგორც სვიმეონ მესვეტე. სვიმეონ მესვეტე დაწყლულებული სხეულიდან დაცვივრულ მატლებს ისევ ისამადა სხეულზე და მიმართავდა: „შჰამეთ, რაც ღმერთმა მოგმადლათო“. საყურადღებოა ამ მოტივზე აგებული ქართული ხალხური სასულიერო-რელიგიური ლექსი იობის შესახებ. არსებობს ამ ლექსის ვარიანტები, ჩაწერილი გასული საუკუნის მეორე ნახევარში — ქართლში, კახეთში, იმერეთში, რაჭაში, ხევში². ნარკვევში პირდაპირ არ არის დასმული ამ ლექსის საკითხი, მაგრამ მკვლევარის მიერ განხი-

¹ ეტიუდები, გვ. 107.

² კ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937 წ., გვ. 140—141 და 569—570.

ლული ეპიზოდი ქართულსა და ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში მეტად მნიშვნელოვანია ქართული ხალხური ლექსის გენეზისის საკითხის გასარკვევად. აღსანიშნავია, რომ ქართული ლექსი კიდევ უფრო მეტად, ვიდრე „შუშანიკის მარტვილობა“, ახლოს არის არა ბიბლიურ თქმულებასთან მართალ იობის შესახებ — არამედ სვიმეონ მესვეტის „ცხოვრებასთან“. ქართული ხალხური ლექსის მიხედვითაც ღვთისმოყვარე იობი ისევე დაისხამს დაწყლულებულ სხეულზე ძირს დაცვიენულ მატლებს. ამ ლექსის ქართული ვარიანტია:

„იობს მატლი დაეხვია ათასფერი ნარგისისა,
ზოგი ძვალ ეჭიდებთან, ზოგი ეხვევიან რბილსა,
რამტანიც გადმოვარდება, აიყვანა, მკლავ დაიწვა:
— ძვალ ხარ და რბილი სკამე, შენი სარჩო ეგ არისა,
შენ მაგას ნუ მოშორდები, ფიქრი ნუ გაქვს შიმშილისა,
მაგას იქით სალდა წახვალ, ბრძანებაა ეგრე ღვთისა“¹.

ასე ახლოს დგას ქართული ხალხური ლექსი კ. კეკელიძის მიერ განხილულ ეპიზოდთან სვიმეონ მესვეტის „ცხოვრებიდან“. ამგვარად, კ. კეკელიძის ნარკვევს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ხალხური ლექსის გენეზისის საკითხის გასარკვევად, მისი მოტივის დასათარიღებლად. უფრო მეტიც — ამ ნარკვევში აღძრული საკითხებით ქართულ ლექსს ენიჭება მნიშვნელობა ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ზოგი საკითხის გარკვევის საქმეში.

ქართული ეპოსის მსოფლიო მნიშვნელობის თვალსაზრისით აღსანიშნავია ნარკვევი „წმიდა“ მხედარი ძველ ქართულ მწერლობაში“² ამ ნარკვევში განხილულია ქართულ ენაზე მე-10 საუკუნეში თარგმნილი გიორგი კაპადუკიელის „წამება“ და მისი ანალოგიური მოთხრობა-რომანი — თეოდორე სტრატელატის „წამება“. აღნიშნულია ამ ნაწარმოებთა ეპიზოდების მსგავსება ქართული საერო მწერლობის ძეგლების ეპიზოდებთან. დასახელებული ძეგლები ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისა შედარებულია „ამირანდარეჯანიანთან“. მსგავსების აღნიშვნის შემდეგ მკვლევარი ასკვნის: „რასაკვირველია ჩვენ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ნოსე ხონელმა ეს ეპიზოდები გიორგისა და თეოდორეს „წამებიდან“ გადმოიღო. შესაძლებელია და უფრო საფიქრებელიც.

¹ პ. შ. მიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, გვ. 141.

² ეტიუდები, გვ. 6—12.

რომ ისინი ერთი და იმავე „საერთო ფონდიდან“ ან სუბსტრატ-ტიდან მომდინარეობენ¹. ეს დასკვნა ამოსავალია კვლევისა გიორგი კაპადუკიელის „წამებისა“ და ქართული ჯადოსნური ზღაპრების ერთი მეტად გავრცელებული მოტივის ურთიერთობისა. გიორგი კაპადუკიელის „წამების“ მიხედვით ვეშაპს უჭირავს სახელმწიფოს წყალი. მეფის ბრძანებით მცხოვრებნი მორიგეობით მას შესაქმელად აძლევენ შვილებს. ჯერი მეფის ასულზედაც მიდის. განწირულ ქალს მისნელად მოეფლინება „წმიდა“ მხედარი გიორგი. იგი იმორჩილებს ვეშაპს, შეკრავს მეფის ასულის სარტყელით, წააყვანინებს ქალს ქალაქში და იქ ლაზვარით მოკლავს. განთავისუფლებულ ქალს ჩააბარებს მეფეს². ეს მოტივი ორგანულია სხვადასხვა ხალხთა ჯადოსნური ზღაპრებისათვის. ქართულ სინამდვილეში იგი გვხვდება ისეთ არქაულ ზღაპრებში, როგორიცაა „ასფურცელა“, „შავ-თეიმურაზი“³, „ფაშკუნდი“⁴, „ყარაბოღლი“⁵ და სივ. არ არის საფარაუდო, რომ ეს მოტივი არქაულ ხალხურ ზღაპრებში ჰაგიოგრაფიული ლიტერატურიდან იყოს შესული. ეს ზღაპრებია ის „საერთო ფონდი“, რაზედაც დასკვნაში მიუთითა კ. კეკელიძემ.

კ. კეკელიძის ნარკვევებიდან, რომელნიც თვალსაჩინოს ხდიან ქართული ეპოსის მსოფლიო მნიშვნელობას, აღენიშნავეთ კიდევ ერთს, რომელსაც ეწოდება „ცნობები სიბილასა და მისი წიგნების შესახებ ძველ ქართულ ლიტერატურაში“⁶. ამ წერილში მითითებულია გავრცელებული ლეგენდის „ძელისათვის ჯვარისა“ ვარიანტი ქართულ ზღაპარში სოლომონის შესახებ⁷.

* * *

კ. კეკელიძის ნარკვევებში და ენციკლოპედიური ხასიათის ორტომიან კაპიტალურ ნაშრომში „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“ მალალ მეცნიერულ სიმალღეხება აყვანილი ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლკლორისტიკის ისეთი აქტუალური პრობლემა, როგორიც არის ხალხური სიტყვიერებისა და ლიტე-

¹ ეტიუდები, გვ. 12.

² იქვე.

³ ქართული ხალხური ზღაპრები, I, მიხ. ჩიქოვანის რედ., გვ. 93.

⁴ იქვე, გვ. 209.

⁵ ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ხალხური ზღაპრები, გვ. 89.

⁶ ეტიუდები, გვ. 130—150.

⁷ იქვე, გვ. 146—147.

რატურის ურთიერთობა, მათი ურთიერთგავლენა. ხალხური შემოქმედების დიდი როლი ქართული მწერლობის განვითარებაში და მწერლობის ცხოველყოფილი გავლენა ხალხურ სიტყვიერებაზე ნაკლებად არაერთხელ აქვს აღნიშნული და დასაბუთებული ცალკეულ ლიტერატურულ ძეგლთა ანალიზისას. ნარკვევში „ცნობები სიბილასა და მისი წიგნების შესახებ“ კ. კეკელიძემ გვაჩვენა რომაულ-ელენური მითოლოგიის ელემენტები ძველ ქართულ მწერლობაში. ამ ნარკვევში აღნიშნულია ის გარემოება, რომ ძველ ქართულ მწერლობაში ეფრემ მცირეზე ადრე ცნობები რომაულ-ელენური მითოლოგიიდან შემოუტანია ექვთიმე ათონელს¹.

კ. კეკელიძის მართებული მოსაზრებით ქართული მწერლობის შინაარსის გამდიდრების, მისი ფორმის სრულქმნის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ხალხური შემოქმედება. ხალხური პოეზიის, სახალხო მთქმელის დიდი როლი ქართული ლექსის პოეტურად დახვეწაში ასე აღნიშნა მკვლევარმა: „...ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნემდე დამუშავდა ჩვენში საკმაოდ მნიშვნელოვანი საეკლესიო პოეზია არა მარტო „იამბიკოს“ სახით, რომელსაც ახასიათებდა მარცვალთა რაოდენობა, ცეზურა და, ზოგიერთ შემთხვევაში, მარტივი რითმის ჩანასახი, არამედ თექვსმეტმარცვლოვანი „შაირისა“ (ღვთისმშობლის ჰიმნი ფილიპესი) და სხვა მოკლე საზომების გამოყენებით. ამ პოეზიამ რომელზედაც, ეჭვი არაა, გავლენას ახდენდა ხალხური პოეზია. ხალხურ მომღერალთა შემოქმედება, გარკვეულ პირობებში თამამად გაუწოდა ხელი ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, ხალხურ რაფსოდიას, და მოგვცა ის წარმატები, ნარნარი და მომხიბლავი ლექსი, რომლითაც წარმოდგენილია საერო მხატვრული პოეზიის ლიტერატურული ნიმუშები“².

ძველი ქართული მწერლობის ისტორიის აგებისას კ. კეკელიძეს სათანადოდ აქვს გათვალისწინებული ხალხური ეპოსის როლი საერო მწერლობის შინაარსის, ცალკეულ ლიტერატურულ ძეგლთა სიუჟეტების განვითარებაში. ქართული ხალხური პოეზიის ტრადიცია, ქართველ მომღერალთა მოგზაურობა საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში სახალხო დღეობებსა და ბაზრობაზე მართებულად არის მკვლევარის მიერ მიჩნეული პოეტური გემოვნების განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად. ქართული საერო

¹ ეტიუდები, გვ. 144—145.

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1952 წ., გვ. 2.

მწერლობის ჩასახვის პირობებისა და მისი აღმოცენების მიზეზების საკითხთან დაკავშირებით კ. კეკელიძე წერს: „რაც შეეაება შინააარსს (ბაზი ავტორისაა. ქ. ს.), სოუჟეტს, ამ მხრივაც ჩვენში დიდი ხნიდან მზადდებოდა ნიადაგი საერო მწერლობის განვითარებისათვის. ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზღაპრულ, სადევგმრო ეპოსს, რომელიც უძველესი დროიდან ზეპირი გადმოცემის გზით მყარდებოდა და ვრცელდებოდა ჩვენში, იმ ეპოსს, რომლის ნიადაგზე აღმოცენდა ჩვენში საერო მწერლობის პირველი ყლორტები — მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ზეპირსიტყვიერებითს ხალხურ პოეზიას, რომელიც სახალხო მომღერლებისა და პოეტების მეშვეობით, განსაკუთრებით დღეობებსა და ბაზრობების დროს, ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში გადადიოდა და პოეტურ გემოვნებას ავითარებდა და ზრდიდა“¹.

ქართული საერო მწერლობის წარმოშობა-განვითარებაში ხალხური სიტყვიერების როლის თვალსაზრისით საგულისამოა ნარკვევი „ძველი ქართული ანტიკური რომანი და მისი წინამორბედი ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში“². ამ ნარკვევში ხაზგასმულია ზღაპრული ეპიზოდები და მოტივები (მოგზაურობა ჟანტასტიკურ სამყაროში, ძიება უკვდავების წყალისა, ჯადოსნური ქომაგები და სხვ.), რაც ხელს უწყობდა საერო მწერლობის აღმოცენებას.

ქართული საერო მწერლობის აღმოცენების მიზეზებთან დაკავშირებით კ. კეკელიძეს აღნიშნული აქვს აგრეთვე ქართული ზეპირსიტყვიერების განვითარებაზე მწერლობის გავლენაც. ასე მაგალითად, ქართულ მწერლობაში (და ცბადია ზეპირსიტყვიერებაშიც — ქ. ს.) ცხოველთა ეპოსის განვითარების ერთ-ერთ პირობად მიჩნეულია ნათარგმნი თხზულება ე. წ. „სახის-ნეტყველი“ ან „ფიზიოლოგი“, რომელიც შეიცავს ბიბლიურ მიეცთა და ცხოველთა შესახებ დაკვირვებას³.

საქართველოში ძველი ბერძნული მითოლოგიიდან ცნობების გავრცელების ფაქტორად მიჩნეულია საეკლესიო ბიზანტიური მწერლობა⁴; იგავებისა და მოთხრობების წყაროდ დასახელებულია

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 4.

² ეტიუდები, გვ. 34—63.

³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 6.

⁴ იქვე, გვ. 5.

„სიბრძნე ბალაჰვარისა“¹; მკვლევარს ხაზგასმული აქვს ჰაგიოგრაფიული პელეტრისტიკის როლი საღვთგმირო მოთხრობების განვითარებაში². ყველა ამ გარეგნობათა აღნიშვნას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურისა და ხალხური სიტყვიერების ურთიერთობის გასათვალისწინებლად. ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში კ. კეკელიძემ სათანადო ადგილი დაუთმო კლასიკური ლიტერატურული იეგლებისა და ქართული ხალხური ეპიური ციკლის ნაწარმოებთა ურთიერთობის საკითხს. მეტად საინტერესოა კ. კეკელიძის მოსაზრება ლიტერატურული „ამირანდარეჯანიანისა“ და ხალხური ამირანიანის ურთიერთობის შესახებ. ლიტერატურული და ხალხური ძეგლების შედარებისას მკვლევარს გათვალისწინებული აქვს ხალხური ნაწარმოების ვარიანტები. აღნიშნულია ლიტერატურული და ხალხური ნაწარმოების საერთო და განსხვავებული ადგილები. საგულისხმოა დასკვნა: „ლიტერატურული და ხალხური „ამირანდარეჯანიანის“ ურთიერთობის გათვალისწინებისას ასეთ მოვლენას ვხვდებით. ის ზღაპრები, ლეგენდები და თქმულებანი, რომელნიც ლიტერატურულად გადამუშავებულ იქნენ „ამირანდარეჯანიანში“, უკანასკნელის გავრცელების შემდეგ იკარგებიან და დავიწყებას ეძლევიან, ლიტერატურულმა „ამირანდარეჯანიანმა“ ჩაჰკლა ისინი. სამაგიეროდ მან წარმოშვა საუკუნეთა განმავლობაში ის აბალი თქმულებები, რომლებიც დღეს ხალხში ტრიალებს. იმ ძველი, პირველადი თქმულებებიდან გადაარჩა მხოლოდ ის, რაც თავის დროს „ამირანდარეჯანიანში“ არ შესულა. ასეთი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, თქმულება ამირანის ცხოვრება-მოღვაწეობის პირველი და უკანასკნელი პერიოდის შესახებ, რომელიც ლიტერატურაში ვერ პოულობს წყაროს“³.

კ. კეკელიძის ამგვარ დასკვნასთან დაკავშირებით საგულისხმოა ხალხური თქმულების ის ვარიანტი, რომელიც 1945 წელს სვანეთში, ლენჯერის საზოგადოებაში გვიამბო ქართული ენის უცოდინარმა მოხუცმა სვანმა გიგო შუკვანმა. ამ ვარიანტის მიხედვით ამირანს ბადრისა და უსუპისთან ერთად ბოროტი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში შევლის სეფეთარიც. ეს იგივე „ამირანდარეჯანიანის“ გმირი — სეფედავლეა, რომელიც ბადრისა და უსუპისთან ერთად გამოხატულია სვანეთის, ლენჯერის საზოგა-

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 11, გვ. 6.

² იქვე.

³ კ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, 11, გვ. 79.

დოების სიუჟეტურ ფრესკაში. ამ ფრესკის სიუჟეტის წყარო, როგორც ეს აღნიშნული აქვს კ. კეკელიძეს, არის ლიტერატურული „ამირანდარეჯანიანი“¹. გიგო შუკვანის ნაამბობი ვარიანტი ამირანისა ასაბუთებს ხალხურ სიუჟეტზე აგებული ლიტერატურული ძეგლის თავის მირივ ხალხურ ძეგლზე გავლენას.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანისა“ და ხალხური ტარიელიანის ურთიერთობის საკითხს, ამ შემთხვევაში კ. კეკელიძე პრიორიტეტს წარმოშობის მიხედვით ლიტერატურულ ძეგლს ანიჭებს. მისი აზრით ხალხური ტარიელიანი „უნდა მონდინარეობდეს ლიტერატურულიდან“².

საგულისხმოა კ. კეკელიძის მოსაზრება „შაჰნანეს“ ეპიზოდებისა და ქართული ზღაპრის „თრითინოს“ ურთიერთობის შესახებ. „შაჰნანეს“ ზოგიერთი ეპიზოდის მსგავსი ხალხური ნაწარმოებები კ. კეკელიძის აზრით უძველესი დროიდან არსებობდა ჩვენში: მკვლევარის ეს მოსაზრება მეტად საგულისხმოა ქართული ხალხური „როსტომიანის“ გენეზისის საკითხის გასარკვევად. ამავე საკითხის გასათვალისწინებლად საგულისხმოა ისიც, რომ სახელი როსტომის არსებობა ჩვენში მკვლევარს მითითებული აქვს 988 წლამდე გადაწერილ ბერთას ოთხთავში³.

მწერლობისა და ხალხური სიტყვიერების ურთიერთობის თვალსაზრისით მთლიანად საინტერესოა კ. კეკელიძის ნიმობილვარობანტიკული, საზღაპრო და დიდაქტიკურ-მორალური ეპოსისა⁴. მკვლევარს ზოგ შემთხვევაში საგანგებოდ აქვს ხაზგასმული ქართველი მწერლების დამოკიდებულება ხალხურ შემოქმედებასთან. ასე მაგალითად, კ. კეკელიძეს აღნიშნული აქვს სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებთა კავშირი ხალხურ შემოქმედებასთან⁵.

ლიტერატურისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობის საკითხი დასმულია საინტერესო ნარკვევში პოემა „სამარდიანი“⁶. პოემა საზღაპრო ფონზე გაშლილი საგმირო-რომანტიკული ძეგლია. ქართული ლიტერატურის ისტორიაში იგი პირველად აღხახანაშვილმა შეიტანა. განსვენებულ მკვლევარს გადნოცემული აქვს მხოლოდ პოემის მოკლე შინაარსი საბანინისეული რედაქცი-

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 11, გვ. 77.

² იქვე, გვ. 79.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 265—386.

⁵ იქვე, გვ. 350—351.

⁶ ეტიუდები, გვ. 171—194.

ის მიხედვით. კ. კეკელიძემ ახალმიგნებული სრული ნუსხის მიხედვით მოგვცა პოემის ყოველმხრივი ანალიზი. დასმული საკითხისათვის საინტერესოა პოემის ავტორის დამოკიდებულება ხალხური საქობო ლექსისადმი. პოემის ორიგინალობის ერთერთ საბუთად მკვლევარს ნოყავს ის გარემოება, რომ მის ავტორს გამოუყენებია საქობო ლექსი „მზევ შინა“. ნარკვევში მოყვანილია ხალხური საქობო ლექსის გადამუშავების საფუძველზე ამ ლექსის რეჟონის გამოყენებით შექმნილი სტრიქონები პოემისა:

„თავარე ქვეყნად მოფინა, მზევ შინ შემოდიო!
არვის მხერა მოგვეწყინა. მზევ შინ შემოდიო!
დასვედებულთ მოგველბინა, მზევ შინ შემოდიო!
მეფემ მწყემსი აღვიდგინა, მზევ შინ შემოდიო!
აწ სიხარული გვწადიან, მზევ შინ შემოდიო!¹

კ. კეკელიძეს გადაჭრილი აქვს ახალი ქართული ლიტერატურის ხალხურ სიტყვიერებასთან დამოკიდებულების ზოგი საკითხიც. ღრმა შინაარსიან წერილებში: „სამიჯნურო ცთუნების“, პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში“² და „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის“³. გარკვეულია დიდი ქართველი მწერლების — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებთა ზოგი ხალხური წყარო. პირველ წერილში აღნიშნულია „სამიჯნურო ცთუნების“ ნოტივის შემცველი ჰაგიოგრაფიული ძეგლები. მოყვანილია შინაარსი ამ ნოტივის შემცველი ორი უძველესი ძეგლისა „პატერიკის“ ანუ „მამათა ცხოვრების“ (V საუკ.) და „ცხოვრებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა მარტინიანესი“ (IV საუკ.). უკანასკნელი ძეგლი შედარებულია ილია ჭავჭავაძის „განდეგლთან“. აღნიშნულია მათი საერთო და განსხვავებული ეპიზოდები. კ. კეკელიძეს აღნიშნული აქვს აგრეთვე სასულიერო რომანის პროტოტიპი ე. წ. „კლემენტინი“ (I საუკ.). კ. კეკელიძის მართებული მოსაზრებით ი. ჭავჭავაძე არ არის დამოკიდებული არც „კლემენტინებზე“ არც ჰაგიოგრაფიულ ძეგლზე. მისი პოემის უშუალო წყარო ხალხური სიტყვიერებაა. ნარკვევში მითითებულია სამიჯნურო ცთუნების ნოტივზე აგებული ხევში ჩაწერილი ლეგენდის სამ ვარიანტზე. კ. კეკელიძე წერს: „...უნდა ვიფიქროთ, რომ ეს თქმულება ილიას აუღია ხალხური სიტყვიერებიდან, სადაც ის

¹ ეტიუდები, გვ. 179.

² იქვე, გვ. 13—22.

³ იქვე, გვ. 64—70.

აღბათ დიდხინიდან ყოფილა გადასული. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ თვითონ ავტორს თხზულებისათვის „ლეგენდა“ დაურქმევია. აქედან ერთერთი ამოცანაა ჩვენი ფოლკლორისტიებისა — მოძებნონ ეს თქმულება¹.

მკვლევარის მითითება ამოსავალი გახდა ნინო მახათაძის ნაშრომისა „ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ფოლკლორული წყაროები“. სტუდენტობის დროს დაწერილ ნაშრომში ნინო მახათაძემ დამაჯერებლად გვაჩვენა „განდეგილის“ ხალხური წყარო². კ. კეკელიძემ შემდეგ დაათარიღა ის ხალხური ლეგენდა, რომელიც ნ. მახათაძის მიერ მიჩნეულია „განდეგილის“ წყაროდ. ამ ლეგენდას შემოუნახავს სახელი საეკლესიო პოეტის ფილიპე ბეთლემისა, ფილიპე ბეთლემის შესახებ არ არის დაცული არავითარი ცნობები, გარდა იმისა, რომ მისი სახელი შენაუღლია თექვსმეტმარცვლოვანი სილაბურ-ტონური იამბიკოს აკროსტიხით. კ. კეკელიძე წერს: „საყურადღებოა ერთი ლეგენდა, რომელიც ჩაწერილია ს. გერგეტში 1945 წელს, ის ასე იწყება: „ფილიპე ბეთლემში იყო. განდეგილად ცხოვრობდა ბეთლემში...“ რამდენადაც ამ ლეგენდაში მოხსენებულია „ნთაწმინდელი“, ის მეთერთმეტე საუკუნეზე ადრე არ უნდა იქოს გაჩენილი. შეთხზულია ის, უნდა ვიფიქროთ, ამ იამბიკოს ნიადაგზე, რადგანაც იამბიკო, როგორც ვთქვით, გვადლევს აკროსტიხს „ფილიპე ბეთლემი“³.

მცირე მოცულობის წერილი „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის⁴ მრავალმხრივ არის საინტერესო. მკვლევარს ნაჩვენები აქვს აქაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ ერთი უძლიერესი ეპიზოდის ხალხური წყარო. ნარკვევში მოყვანილია პატრიოტული თქმულება დაკავშირებული თბილისის აოხრებასთან 1795 წელს ალამაჰმად-ხანის მიერ. აღნიშნულია ამ თქმულების ანალოგია ჯეკ ლონდონის მოთხრობაში „დაკარგული საბე“. სხვადასხვა ხალხში არსებულ ამგვარ თქმულებათა ქრისტიანულ წყაროდ მიჩნეულია „მარტვილობა ევფრასია ქალწულისა“. ნარკვევში აღნიშნულია ისიც, რომ ეს ნაწარმოები პირველად იმპერატორი ბასილი II

¹ ეტიუდები, გვ. 22.

² ნ. მახათაძე, ი. ჭავჭავაძის „განდეგილის“ ფოლკლორული წყარო. სტალინის საბ. თბ. საბ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, ... გვ. 230.

³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951 წ. გვ. 157.

⁴ ეტიუდები, გვ. 64—70.

(976 — 1025) „მენოლოგში“ გვხვდება ბერძნულ ენაზე. მერე ქართულად უთარგმნია გიორგი მთაწმინდელს და შეუტანია 1042—1044 წლებში გადმოღებულ „სვინაქსარში“¹. აკ. წერეთლის მოთხრობის წყაროდ მიჩნეულია არა სასულიერო მწერლობა, არამედ „გავრცელებული თარობანი“, ე. ი. ზეპირსიტყვიერება².

ნეტად საინტერესოა აგრეთვე ევფრასიას მარტილობის ხალხური წყაროს შესახებ კ. კეკელიძის მოსაზრება: „ევფრასიას ეპიზოდის პროტოტიპი, რომელიც მერე სხვადასხვა დეტალებით გავრცობილა, ექვი არაა, ფოლკლორული წარმოშობისაა; იმას საფუძვლად უდევს რწმენა ე. წ. „შელოცვის“ მაგიური ძალისა, რომელიც ანათუიმ საგანს ან მოვლენას ართმევს მის სპეციფიკურ თვისებას ან ისეთს თვისებას ანიჭებს, რაც მას ჩვეულებრივ არ ახასიათებს“³. ამ წერილში მოცემული დაკვირვებანი სხვადასხვა ხალხში არსებული ანალოგიური თქმულების შესახებ შუქს ფენს აგრეთვე ალა-მაჰმად-ხანის სახელთან დაკავშირებულ ქართული ხალხური საისტორიო თქმულების გენეზისისა და საერთაშორისო წინიშვნელობის საკითხს.

ქართული ხალხური ეპოსის ლიტერატურასთან ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ნარკვევები „რომანი „ტავრომენიანი“ ძველ ქართულ ლიტერატურაში“⁴ და „გიმნოსოფისტები ძველ ქართულ ლიტერატურაში“⁵. ამ ნარკვევებში ხაზგასმულია ძველ მწერლობაში შესული ხალხური მოტივები — უბიწოების დაცვა ძლევამოსილების შენარჩუნების მიზნით, სასწაულებრივი მოგზაურობა, გმირის კავშირი ზებუნებრივ ძალებთან და სხვ.

* * *

კ. კეკელიძის ნაშრომებში საინტერესო მასალებია ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიის, ცალკეულ ნაწარმოებთა გენეზისისა და სოციალური ფუნქციის გასათვალისწინებლად. აღვნიშნავთ რაინდენიმეს.

ნაშრომში „Литургические грузинские памятники“ საინტერესო მასალებია ქართული შელოცვების ისტორიისათვის. ამ ნაშ-

¹ ეტიუდები, გვ. 68.

² იქვე, 70.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 23—33.

⁵ იქვე, გვ. 108—129.

რომში მოცემულია მე-16 საუკუნეში ფიქსირებული სამკურნალო და სამეურნეო შელოცვების (ნშობიარის, ბოსტნის, ყანის, ყურძნის და სხვა შელოცვების) დახასიათება. მოყვანილია მათი რუსული თარგმანები. ამ მასალებს და მკვლევარის დაკვირვებას მათ შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული საწესო პოეზიის ისტორიისათვის. შელოცვები გალექსილიც იყო. მკვლევარს ერთ შემთხვევაში მოყავს კიდევაც ქართული ტექსტი ბოსტნის შელოცვისა, საიდანაც შესრულებულია რუსული თარგმანი:

„უცხო პეჟლა მოვიდა, უცხო უცხოა ფერიო,
მან მახუნჟველი ჯიშობა, წაღმა-უჯულმა მკრელიო,
არგან-ტაბუცი წამოკარ. გამრუდდა ვითა კერიო,
მას მაცხოვარი მერიხდა, დაჰარგა ვითა მტუერიო.
ახნაურო, მეცა მკითხე მებოხისა დიაცისა,
ზურგსამცა ვინც დააკერა უკოდელისა მოზურისა,
მისიმცა არის წამალი ხედა ნაცარი დაყრითა,
მე ვლოცუე და ქრისტე ჰქურნებს ჯვარისთა პატიონსითა“.

სამგლოვიარო პოეზიის ისტორიისათვის საინტერესოა ადგილი ნარკვევიდან „წმიდა მხედარი“. ამ ნარკვევში ციტირებულია ადგილი ჰაგიოგრაფიული მოთხრობიდან „აქა მოკლეაჲ წმიდისა გიორგისაგან ბოროტისა ვეშაპისა და განთავისუფლება მეფისა ასულისა“. ციტირებული ადგილი წარმოადგენს მეფის გოდებას ვეშაპის შესაქმელად განწირულ ასულზე². მეფის მიერ დატირება მისი ერთადერთი ასულისა მკვლევარს მიაჩნია მკვეთრ ნიმუშად ქართულ ლიტერატურაში „გოდების“ სახით ცნობილი ჟანრისა. მკვლევარის მოსაზრება საგულისხმოა ხალხური მოთქმა-დატირების ისტორიისათვის.

ქ. კეკელიძის კვლევის სფეროშია აგრეთვე ქართული ხალხური დრამის საკითხებიც. ამ საკითხებს სათანადო ადგილი აქვს დათმობილი „ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში“. ხალხური დრამის საკითხებისადმი მიძღვნილი წერილი „გართობა-სანახაობათა ისტორიისათვის ძველ საქართველოში“³. პოემა „სიბილიანას“ (მისი დაწერის თარიღად ნაგარაუდევია მე-17 საუკუნის მეორე ნახევარი) დრამატიულ მხარეს — ადამიანების შენიღბვას ცხოველებად და სხვ. მკვლევარი უკავშირებს ანტიკურ, ბიზანტიურ,

¹ К. К е к е л ი ძ ე ს, Литургические грузинские памятники, Тифлис, 1908 г., стр. 116.

² ეტიუდები, გვ. 7—8.

³ იქვე, გვ. 151—159.

რუსულ და ქართულ სანახაობებს. ნარკვევში მოცემულია მოკლე აღწერა ქართული ხალხური დრამის — ბერიკაობისა¹.

კ. კეკელიძეს ხაზგასმული აქვს ძველ-ქართულ მწერლობაში, დიდაქტიკურ-შთაწავაობნებელი ფუნქცია ზღაპრისა, რაც გვხვდება მე-17 საუკუნის ძეგლში „რუსუდანიანსა“ და XIX საუკ. დასაწყისის ძეგლში „სამარდიანში“.

„რუსუდანიანის“ მიხედვით ქმრისა და შვილების სპარსეთის შაჰის კარზე გაწვევის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი რუსუდანიის სანუგეშებლად მოწვეული 12 ძმა მორიგეობით ყვებიან ზღაპრებს. პოემა „სამარდიანზე“ „რუსუდანიანის“ გავლენას კ. კეკელიძე ასაბუთებს ზღაპრის ამგვარი ფუნქციის გამოყენებით. პოემის ანალიზისას მკვლევარი საგანგებოდ აღნიშნავს ქარანჯათის ხელმწიფის ძის ივარდის მიერ ზღაპრების თხრობას შვილის სიკვდილის გამო დიდ მწუხარებაში ჩავარდნილი ყაბარდის ბელმწიფის სანუგეშებლად. ხაზგასმულია აგრეთვე ზღაპრებით გართობა ქმრის წასვლის გამო მწუხარებაში ჩავარდნილი ძალალისა².

ნარკვევში „ცნობები სიბილასა და მისი წიგნების შესახებ ძველ ქართულ ლიტერატურაში“ კ. კეკელიძეს გარკვეული აქვს ქართულ ხალხურ რიტუალებში ქადაგად დაცემის გენეზისის საკითხი. ქადაგად დაცემის ჩვეულებას მკვლევარი უკავშირებს სიბილას, რაც მეტად პოპულარული იყო ძველს ბერძნულ-რომაულ მითოლოგიასა და ისტორიაში.

ასე მრავალმხრივია კ. კეკელიძის შრომებში გადაჭრილი და აღძრული ხალხური შემოქმედების საკითხები. ქართული ლიტერატურის ისტორიის დიდმა ამავდარმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მშობლიური ხალხური შემოქმედების შესწავლის საქმეში. ქართული ხალხური შემოქმედების შემსწავლელი მეცნიერების ისტორიაში კ. კეკელიძეს საპატიო ადგილი უკავია.

¹ ეტიუდები, გვ. 157—158.

² იქვე, გვ. 180.

ბალხური პოეზიის გრადიშია საქოლმეპირნეო სოფლები (ყვარლის რაიონი)

მიმოხილვის ობიექტად აღებული მასალები წარმოადგენს იმ მთქმელების რეპერტუარს, რომელნიც ცხოვრობენ ყვარლის რაიონის სოფლებში: ყვარელში, შილდასა, ენისელსა, საბუესა, ალმატსა, გრემსა და შაქრიანში.

საკვლევი მასალები უკანასკნელ წლებშია მოპოვებული. აქ შედის „საუნჯის“ ტომებში გამოქვეყნებული მასალა, ჩვენი საკუთარი ჩანაწერები 1943 წელს გრემში და 1944 წელს შილდაში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას; დიდი ნაწილი მასალებისა შეკრებილია 1947 წელს ჩვენი ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპედიციის მიერ. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ ფოლკლორისტები: ელენე ვირსალაძე, თამარ ოქროშიძე და აპოლონ ცანავა. ექსპედიციაში მონაწილეობდა აგრეთვე მედეა ოქროშიძე.

ყვარლის რაიონი მეტად მდიდარია ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებით. გავრცელებულია როგორც ძველი ფოლკლორული ნიმუშები, ისე თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები. საბჭოთა წყობილების დამყარება საქართველოში, დაპირისპირება ძველი და ახალი ყოფისა, კოლექტიური მეურნეობა, სოციალისტური ინდუსტრიის სწრაფი ზრდა, ჩვენი ადამიანების შრომითი მამაცობა — სრულ გამოხატულებას პოულობენ ამ ლექსებში. ყვარლის რაიონში გავრცელებულია ლექსები დიდ სამამულო ომზე. ამ ლექსების ნაწილი ომის უშუალო მონაწილეთა მიერ არის შექმნილი. ისინი ასახავენ ომის მნიშვნელოვან ეპიზოდებს და საბჭოთა არმიის მსოფლიო-ისტო-

რიულ გამარჯვებას. ამ ლექსებისათვის დამახასიათებელია ნათელი რეალიზმი.

ძველი ზეპირსიტყვიერებიდან განსაკუთრებით ძლიერია ფანტასტიკური ზღაპრების ტრადიცია; მეტად გავრცელებული ყოფილა ამ რაიონში აგრეთვე საწესო-მაგიური პოეზიაც; საკმაო რაოდენობითაა საგმირო-საისტორიო ნაწარმოებნი, ადგილობრივი ხასიათის თქმულებანი. ეპიკური ციკლის ნაწარმოებნი, საგმირო, საყოფაცხოვრებო და სატრფიალო ლირიკული და ლირიკულ-ეპიკური ლექსები, მცირე ჟანრის ნაწარმოებნი და სხვ.

ყვარლის რაიონში ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ყურადღებას იპყრობს რეპერტუარის ასაკობრივი განაწილება. გვხვდება მთქმელთა მრავალგვარი ტიპი. ზოგს თემატიკურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს, ზოგი კი ფოლკლორის მხოლოდ გარკვეული უბნის ნაწარმოებებს ასრულებს.

ამ ნარკვევში მიზნად ვისახავთ დავახასიათოთ ხალხური პოეზიის ცალკეული უბნების ტრადიცია.

ეპიკური ციკლის ნაწარმოებების (ამირანიანი, როსტომიანი, ტარიელიანი, ეთერიანი) და პროზაული ჟანრის ნაწარმოებთა ტრადიცია ცალკე იქნება განხილული.

* * *

საბჭოთა ფოლკლორი ყვარლის რაიონში წარმოდგენილია მხოლოდ პოეზიის ნიმუშებით. თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ლექსების ავტორებად ცნობილია სოფელ ყვარლის მცხოვრებნი—სანდრო ჭიბოშვილი და სანდრო ახალკაცი¹, სოფელ საბუის მცხოვრებნი — გიორგი ნანიკაშვილი და ვასილ ნადირაშვილი. სოფელ გრემის მცხოვრები — იროდიონ ტატულაშვილი. სოფელ აღმატის მცხოვრებნი — ვალიკო თეთიაშვილი, ლეო ტურაშვილი და გიორგი ბაწილაშვილი. სანდრო ჭიბოშვილი და სანდრო ახალკაცი ყვარელში კარგ მოლექსეებად ითვლებიან. მათი რეპერტუარის ნაწილი, კერძოდ, საკუთარი ლექსები ფართო მკითხველი მასისათვის ცნობილია „საუნჯის“ ტომებიდან. „ქვეით უბანში მე ვიყავი და ზეით ახალკაცი“, ასე განაცხადა ახალი ცხოვრების გზებით მომღერალმა, წელში მოხრილმა პატარა ტანის 70 წლის მოხუცმა ს. ჭიბოშვილმა, როდესაც მისი რეპერტუარის ფიქსაციას

¹ ს. ახალკაცი გარდაიცვალა 1948 წელს.

ახდენდა ფოლკლორული ექსპედიცია 1947 წელს. მისივე ცნობით, იგი ყვარელში სადილზე შეხვედრია დიდ ქართველ მგოსანს ვაჟა-ფშაველას, რომელსაც წერა-კითხვის მცირე მცოდნე მოლექსეზე, დიდი გავლენა მოუხდენია. სანდროს ვაჟასთვის სუფრაზე უძღერია „დურუჯი“, რომელიც გამოკვეყნებულია.¹ ამის შესახებ ს. კიბოშვილმა ექსპედიციას აცნობა: „ვაჟამ მითხრა: სანდრო, ეგ ლექსი არ დაივიწყო, გაზეთებში გავა ესაო. მერმე მასწავლა მუხლებზე მიყოლა — პირველი სიტყვა იმდენი უნდა აბრუნო, სანამ გეყოფა, სანამ მიგყვეს, მიპყეო და მერე გადააბრუნეო და ახლა მეორე მუხლი მეორე სიტყვაზე აასხიო. მართლაც, იმას მიეყე და მარჯვედ მომდიოდა“². ბევრის მხრივ საგულისხმო ეს ცნობა ამ შენთხვევაში იმიტომ მოვიყვანეთ, რომ სანდრო კიბოშვილს ახალი ლექსებიც იმავე შემოქმედებითი ხერხებით აქვს შექმნილი, როგორც ძველი საყოფიერო და სატრფიალო ლექსები. სანდრო კიბოშვილის მიერ შექმნილი თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ლექსები თემატიკურად მრავალფეროვანია. ან ლექსების თემაა კოლექტიური მეურნეობა,³ ახალი ცხოვრების უპირატესობა წარსულზე⁴, პირველი მაისი⁵; დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება⁶.

ახალგაზრდული გზებით უძღერის ახალ ცხოვრებას სანდრო ახალკაციც. „საუნჯის“ ფურცლებიდან ცნობილ საინტერესო მოლექსის რეპერტუარის ფიქსაცია მოახდინა 1947 წელს ფოლკლორულმა ექსპედიციამ. 76 წლის ნოხუცი უკვე ლოგინად იყო ჩავარდნილი. მან წერა-კითხვა კარგად იცოდა. როდესაც ექსპედიცია ესტუმრა, ხელში ეჭირა მე-10 კლასის სახელმძღვანელო — „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“. სანდრო ახალკაცი ყოფილი მწვემსია. საკუთარ ლექსებს გარდა აქვს მრავალფეროვანი რეპერტუარი ყოველი ჟანრის ხალხური სიტყვიერებისა. მისი საკუთარი ორი ლექსი, ჩაწერილია 1947 წ. 7 ერთი — დაცინვაა ძველი ყოფის გადმონაშთისა. უკანასკნელი ლექსი სათაურით „ღვდლებისა“

¹ „საუნჯე“ II, გვ. 18.

² ფოლკლ. არქ. № 30166.

³ „კოლმეურნის სიმღერა“, „საუნჯე“, ტ. I, გვ. 125.

⁴ „სახალწლო მილოცვა“, „ლენინური გზით“, 1938 წ. № 64.

⁵ „პირველ მაისს“, „ლენინური გზით“, 1939 წ. № 20

⁶ ჩაწ. 1947 წ. ფოლკლორ. ექსპედიციის მიერ.—ფოლკლ. არქ. № 30167.

⁷ ფოლკლ. არქ. №№ 30183, 30184.

ჩაწერილია 1947 წ. ფოლკლორული ექსპედიციის მიერ¹. ამავ დღის ვარიანტი ავტორ-მთქმელის სახელის მითითებით თერთმეტი წლის წინ გამოქვეყნდა „საუნჯის“ ფურცლებზე სათაურით „ეს რა ვნახე“. სათაური ცხადია რედაქციამ შეუცვალა ლექსს. ამ ლექსის ადრე და გვიან ჩაწერილი ვარიანტების შედარება იძლევა შესაძლებლობას გავითვალისწინოთ, თუ წლების მანძილზე ერთი და იგივე მთქმელი როგორ ცვლის თავის ნაწარმოებს. გამოქვეყნებული ვარიანტი 38 სტრიქონია, ახალჩაწერილი კი — 60 სტრიქონი. ზოგი სტრიქონი შესაძლებელია რედაქციამ ამოიღო. მათ შორის საერთოა 33 სტრიქონი, აქედან — ცხრა სტრიქონი შეცვლილია. მაგრამ სტრიქონების შეცვლა რომ ყოველთვის რედაქციას არ ეკუთვნის, ეს ნათლად ჩანს ერთ მაგალითზე. დაბეჭდილი ვარიანტით მღვდელს აღშფოთებაში მოჰყავს „პაწაწა გოგონა“ ახალჩაწერილით—კი „ახალგაზრდა კომუნისტი“, ეს უფრო ნათლად გვაჩვენებს ახალი ადამიანის ბრძოლას ძველი ყოფის გადმონაშთების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ახალ ჩაწერილ ვარიანტში მეტრი დაცულია, რაც დარღვეულია დაბეჭდილში. ავტორ-მთქმელმა წლების მანძილზე უფრო გაჩარხა თავისი ლექსის ფორმა და ნათელი გახადა მისი შინაარსი.

წლების მანძილზე ავტორ-მთქმელის მიერ საკუთარი ნაწარმოების შეცვლის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ს. ჭიბოშვილის ლექსის დაბეჭდილი და ახალჩაწერილი ვარიანტები. „საუნჯეში“ დაბეჭდილი ლექსი „ღურუჯმა თქვა“² 1947 წელს ექსპედიციამ ავტორ-მთქმელისაგან ჩაწერა საკმაოდ შეცვლილი სახით³. ამ შემთხვევაშიაც ცვლილება ყოველთვის რედაქციას არ უნდა ეკუთვნოდეს.

მოხუცი ავტორ-მთქმელების რეპერტუარზე დაკვირვება. ცნობები მათი ლექსების შექმნის გარემოს შესახებ წარმოდგენას გვაძლევს წარსულში პროფესიულ მოლექსეთა ურთიერთობაზე. მათ შორის იყო შეჯიბრი, ერთგვარი ბრძოლა პირველობისათვის. დამახასიათებელია, რომ წარსული დუხჭირი ცხოვრების მომსწრე მოხუცი მოლექსეები, რომელნიც ალტაცებით უმღერიან გაახლებულ ცხოვრებას, ეჯიბრებიან ერთიმეორეს საუკეთესო ლექსის გამოთქმაში.

¹ ფოლკლ. არქ. № 30185.

² „საუნჯე“, ტ. I, გვ. 264.

³ ფოლკლ. არქ. № 30169.

სანდრო ახალკაცი დაბეჯითებით ამბობს, რომ მას ამოუწუ-
რავი წარავი აქვს ლექსებისა:

იქნება ხალხსა ჰგონიათ,
ლექსები შემომელია?!
ხურჯინის თვლები საესე მაქ,
გულა პირ მაუხსნელია.
სანდრო ახალკაცის შვილი
მე ვარ ლექსების მთქმელია,
მე ვასურათებ ამ ლექსებს
და ხელიც მაშიწერია¹.

ეს სტრიქონები გაგრძელება და განვითარებაა წარსულ პრო-
ფესიულ მოღვაწეთა ტრადიციისა.

თანამედროვე პოეზიის ტრადიციასთან დაკავშირებით, აღსა-
ნიშნავია ის გარემოებაც, რომ დასახელებული ცნობილი ავტორ-
მთქმელების ლექსების ნაწილი დაიბეჭდა რაიონულ გაზეთსა და
„საუნჯეში“. ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს თანამედროვე
ფოლკლორის გავრცელების გზების გასათვალისწინებლად. ზეპირ
ტრადიციასთან ერთად ლექსების გავრცელების ფაქტორი წიგნი
თუ გაზეთიც არის.

თანამედროვეობის ამსახველდ საკუთარი ლექსები აქვს სო-
ფელ საბუის მცხოვრებ, 60 წლის გიორგი ნანიკაშვილს. 1947 წ.
ექსპედიციის მიერ ჩაწერილ მის რეპერტუარში მოიპოვება ერთი
ლექსი სოფლის კოლექტივიზაციაზე² და მეორე დიდი სამამულო
ომის შესახებ³.

თანამედროვე ხალხური პოეზიის ავტორ-მთქმელთაგან აღსა-
ნიშნავია წერა-კითხვის მცირე მცოდნე, საბუელი მეწისქვილე 53
წლის ვასილ ნადირაშვილი. მისი ლექსები მიძღვნილია დიდ სა-
მამულო ომში საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებისადმი.
მისი რვა მარცვლოვანი ლექსების ფორმა ტრადიციულია⁴.

ყვარლის რაიონის პოეზიის ტრადიციაში ყურადღებას იპყ-
რობს ფრონტელთა შენობამედება. ფრონტელი ავტორ-მთქმელები
ნაწილი ტრადიციული ხალხური პოეზიის ფორმით ქმნიან
დიდი სამამულო ომის ეპიზოდების ამსახველ ლექსებს. ასეთია
სოფელ ალმატის მცხოვრები ვალიკო ქიქიაშვილი, იგი ალმატში

¹ ჩაწერილი 1947 წ. ექსპედ. მიერ, ფოლკლ. არქ. № 30183.

² ფოლკლ. არქ. № 30566.

³ იქვე, № 30571.

⁴ იქვე, №№ 30671, 30738.

განთქმული მოლექსის იოსებ ეიფიაშვილის შვილია. ასეთია აგრეთვე ლეო ტურაშვილი. პირველისაგან საკუთარ ლექსს გარდა, ჩაწერილია ავტორდაკარგული თანამედროვე ლექსებიც — ერთი ფინეთის ფრონტზე მებრძოლ ვლადიმერ ნანეიშვილზე¹ და მეორეც — ტრანსფორმირებული შაირი სამამულო ომზე². მისგან ჩაწერილია ტრადიციული სატრფიალო შაირებიც. ლეო ტურაშვილისაგან — კი ჩაწერილია მხოლოდ ერთი მისი საკუთარი ლექსი შექმნილი ომის ცეცხლში³. დასახელებულ ავტორ-მთქმელთა ლექსები შაირის ზომითაა შესრულებული, სტრიქონებიც ხალხურ ყაიდაზე — დაბოლოვება „ონით“ ერთმეტიან ერთიმეორეს. მათ ლექსებს სასიმღერო ხასიათი აქვს. ამ გარემოებაზე ლექსის დასაწყისიც კი მიუთითებს ხალხური ინსტრუმენტის ხსენებით:

ხელში ავიღებ ჩონგურსა
 გათლილსა ვერხვის ხისაო,
 დაუკრამ, ამბებს დავძახებ
 ამ ექსიოდე წლისაო⁴.

ავტორ-მთქმელთა მეორე ნაწილი ცდილობს დაარღვიოს ტრადიციული ხალხური პოეზიის ფორმა-სტილი, მეტრი, რითმა. ისინი ყოველ შემთხვევაში მაინც ვერ ახერხებენ ამას და განიცდიან ტრადიციული ხალხური პოეზიის დიდ გავლენას. წიგნისა და ზეპირი პოეზიის ტრადიციის ერთგვარი ქიდილის მაგალითია მთლიანად გრემის მცხოვრების, ენისლის მელვინე-მევენახეობის ტექნიკუმის მეოთხე კურსიდან სამამულო ომში გაწვეული 27 წლის იროდიონ ტატულაშვილის შემოქმედება. წიგნის გავლენით შექმნილი მისი ლექსები ათმარცვლიანია. მოგვყავს მაგალითი ლექსიდან „ფრონტელის თავგადასავალი“:

გავწმინდეთ მტერი ბუქარესტიდან,
 სახეზე მომდის ნაკადი ოფლის,
 კარპატის მთიდან სიმხიარულის,
 გამარჯვებების ნიავი მოაქრის.
 გადაურჩენილვარ ბევრჯერ ცოცხალი,
 ტყვიისა ცეცხლში როცა შავქრილვარ,
 გრონის ნაპირზე ფაშისტის ტყვიით
 იროდიონი მკლავში დავქრილვარ⁵.

¹ ფოლკლ. არქ. № 30514.

² იქვე, № 30515.

³ იქვე, № 30118.

⁴ იქვე,

⁵ იქვე, № 30113.

ავტორ-მთქმელი ყოველთვის ვერ ახერხებს ამ ზომის დაცვას. სამამულო ომის თემაზე შექმნილი მისი პოემის („ტყვის მღვდმარეობა“), ერთი ნაწილის სტრიქონები ათმარცვლოვანია, მეორე ნაწილში იგი გადადის რეამარცვლოვან სტრიქონებზე¹. ლექსი „ჯარისკაცისა“ — მთლიანად ხალხურ ყაიდაზეა შექმნილი:

მხოლოდ ექვსი თვე გავიდა,
ორმოცდართი წლისაო,
საბჭოთა კავშირს დაეცა
ჯარები გიტლერისაო.
ამ ლექსის მთქმელი ჩონგურზე
ყაღორის ძირში ზისაო,
ელის და ელის ბრძანებას
ყვარლიდან კომისრისაო...²

ზეპირსიტყვიერების ტრადიციას მიჰყვება ირ. ტატულაშვილი აგრეთვე იმითაც, რომ ლექსშივე აღნიშნავს თავის ვინაობასა და სადაურობას: „ამის დანწერი იროდიონი მცხოვრებელი ვარ სოფელ გრემშია“³. უნდა აღინიშნოს, რომ ირ. ტატულაშვილის ლექსები უფრო გამართულია, როდესაც ხალხურ ტრადიციას მისდევს. იგი ხშირად სუფრაზე მღერის საკუთარ ლექსებს. მიუხედავად ვრცელი მოცულობისა. მას ზეპირად ახსოვს ისინი. 1947 წელს ექსპედიციას სხვა ლექსებთან ერთად. მან ჩააწერინა 116 სტრიქონიანი ლექსი „ფრონტელის თავგადასავალი“⁴. იგი ამ ლექსს მღერის „Кавказские“⁵-ს ოდნავ გაქართულებული ხმით.

ირ. ტატულაშვილს აქვს აგრეთვე სატრფიალო ლექსები ფრონტიდან სატრფოსადმი მოწერილი, რასაც აგრეთვე ჩონგურზე დასძახის⁶ და ლექსები მიცვალებულებზე, დასათლავების დღეს შესასრულებელი⁶.

ავტორ-მთქმელისაგან არის 1947 წ. ჩაწერილი თანამედროვე ლექსი „სიმღერა ალმატზე“. სოფელ ალმატის მცხოვრებს შეიღწლედ დამთავრებულ, 27 წლის გიორგი ბაწილაშვილს მიზნად დაუსახავს უმღეროს განახლებულ და გამარჯვებულ სამშობლოს.

¹ ფოლკლ. არქ. № 30114.

² იქვე, № 30520.

³ „ფრონტელის თავგადასავალი“, ფ. არქ. №30113.

⁴ ფოლკლ. არქ. № 30113.

⁵ იქვე, № 30117 და სხვები.

⁶ იქვე, №№ 30115, 30116.

ყვარლის რაიონში გავრცელებულია სამამულო ომზე ისეთი ლექსები და შაირებიც, რომელთა ავტორების სახელები უკვე დაკარგულია. ასეთი ლექსები და შაირები ავტორ-მთქმელებსაც შეუტანიათ თავიანთ რეპერტუარში და ასრულებენ საკუთარ ნაწარმოებებთან ერთად¹. ასეთი ლექსების დიდი ნაწილი ჩაწერილია ქალებისა და ბავშვებისაგან. ამ ლექსებისა და შაირების მეტი წილი ვარიანტები ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ორი უავტორო რეპერტუარული ლექსი 1947 წ. ექსპედიციამ ჩაიწერა მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე, სოფელ საბუის მცხოვრებ წერა-კითხვის მცოდნე, 36 წლის სონა ბერიძისაგან. ერთი სასიმღერო ლექსი, რომელსაც მთქმელმა „მატროსის ლექსი“ უწოდა, როგორც შინაარსიდან ჩანს, მეზღვაურის მიერაა შექმნილი და წერილის სახით გამოგზავნილი მშობლიურ კუთხეში:

დაუკარ ჩემო ჩონგურო,
 გათლილო იფნის ხისაო,
 ამის დამწერი მატროსი
 საბრძოლო გემზე ზისაო,
 გემია რკინის ასმული
 საბჭოთა კავშირისაო.
 მოდის და მიეჭანება
 გამჭრელი არის ზღვისაო,
 ზედ ზარბაზნები მოდგმული
 წინამდევია მტრისაო.
 ასე ვატარებთ დღე-ღამეს.
 მუდამ წინ ვდგევართ მტრისაო.
 დაუკარ ჩემო ჩონგურო,
 მოქრილო იფნის ხისაო,
 უნდა იხაროს სამშობლომ,
 შუქი აფინოს მზისაო².

მეორე ლექსიც მეზღვაურისაა, რაზედაც მიუთითებს სათაური: „მეზღვაური იროდი ბერიძის ლექსი“³.

ექსპედიციის მიერ არის ჩაწერილი 1947 წელს ორი ტექსტი სოფელ ალმატში განთქმული მომღერლისა და მოლექსის, შვიდ-

¹ იხ. ფრონტელ ვ. ევიაშვილის რეპერტუარიდან „ლექსი ლადო ნონეი-შვილზე (ფ. არქ. № 39514) და შაირი „რომელიც კარგი ქალია“ (ფ. არქ. № 30515).

² ფოლკლ. არქ. № 30447.

³ იქვე, № 30448

წლედდამთავრებული, 18 წლის მარგო ტურაშვილისაგან. ერთია—საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებული, სასიმღეროდ ატაცებული, ფრონტზე შექმნილი ათმარცვლოვანი ლექსი. მთქმელმა მას „ქერჩისა“ უწოდა, რადგან ლექსი ქერჩისთვის ბრძოლასთან არის დაკავშირებული¹. მეორე ტექსტი ჩაწერილია ექვს ახალგაზრდასთან გაშიარების პროცესში. მთქმელმა შაირით გაიციხა ისინი, ვინც თავს არიდებდა ფრონტზე წასვლას.

საინტერესოა მოშიარე, 17 წლის ნატო ბაწილაშვილის თქმით ჩაწერილი ათმარცვლოვანი ლექსი „ოცდაორ` ივნისს ომი დაიწყო“. ეს ლექსი ჯერ კიდევ არ აოის გაჩარხული, სანაგვეროდ ლექსს ახასიათებს ღრმა იდეურობა, რის გამოც ახალგაზრდა საბჭოთა ქალს ის შეუტანია თავის რეპერტუარში. ამ ლექსის ნიხედვით, გაიციხულია ქალი, რომელმაც უარყო ფრონტიდან დაბრუნებული ინვალიდი კმარი². ნატო ბაწილაშვილისაგან გაშიარების პროცესში ჩაწერილია აგრეთვე სამამულო ომთან დაკავშირებული შაირი.

* * *

საბჭოთა პოეზიის ნიმუშები ფართოდ არის გავრცელებულ: ყვარლის რაიონის ბავშვებში 7—14 წლის ასაკამდე. უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო რეპერტუარში შესული თანამედროვე ლექსები ყველა სამამულო ომის ამსახველია. მათგან მეტწილად შაირებია ჩაწერილი. საბავშვო ფოლკლორში შესული, სამამულო ომის ამსახველი შაირების ერთი ნაწილი იუმორისტულია. ზოგი მათგანი მკაცრი სატირაა მიმართული დამარცხებული ვერაგი მტრის წინააღმდეგ. 13 წლის მამულა თავდღიშვილისაგან არის ჩაწერილი შაირი:

პიტლერა მოკვდა დილითა,
გამათრიეს ვირითა,
ჩანგალაზე ჩამოკიდეს
თავის შხამიან კბილითა³.

საბავშვო რეპერტუარში შესული სამამულო ომის ამსახველი შაირები გვაცნობს საბჭოთა ბავშვების ჯანსაღ სულისკვეთებას. ომის მრისხანე დღეებში მათ ჩანერგილი ჰქონდათ საბჭოთა ხალხის განმარჯვების ურყევი რწმენა.

¹ ფოლკლ. არქ. № 30502.

² იქვე, № 30506.

³ იქვე, № 30710.

სამამულო ომმა ბევრი ბავშვი მოწყვეტა მშობელი მამის მკერდს. ბევრს მოაშორა ახლო ნათესავები. ამას ღრმად განიცდიდა ბავშვის მგრძობიარე გული. ყველაფერი ეს ნათლად არის ასახული შაირებში, რომელსაც მღეროიან ყვარლის რაიონის ბავშვები. თუ რა მოუთმენლად ელოდნენ ბავშვები სამამულო ომში გაწვეულ მამებს, ამას გვაგრძობინებს 13 წლის ნამულა თავდინდიშვილის ნათქვამი შაირი:

წყარო ჩამაწანწყარებს,
ჩემი გული ფანქალებს,
შორი გზიდან მამა მოვა,
მოვა და გამახარებს¹.

ომში გაწვეული მამის ნახვის დიდი ნატვრაა ასახული 14 წლის მერი ტურაშვილისაგან ჩაწერილ შაირშიაც.

ვერაგი მტრის მოულოდნელად *თავდასხმამ ჩვენს სამშობლოზე ბევრ ბავშვს მოუკლა გული ახლო ნათესავების დაღუპვითა თუ დაქარგვით. ბავშვები უფროსებთან ერთად განიცდიდნენ, როცა მებრძოლისაგან არავითარი ცნობა არ იყო. ყვარლის რაიონის ბავშვები ასრულებდნენ ასეთი განწყობილების ამსახველ შაირებსაც. მაგალითად მერი ტურაშვილისაგან ჩაწერილია შაირი:

შალატრში წვიმა მოდის,
ენისელში დარია,
ძიას წერილი არ მოდის,
ჩემი გული მკვდარია².

ვრცელი მოცულობის ლექსებიდან საბავშვო რეპერტუარში შესულა ქერჩის ბრძოლებთან დაკავშირებული პოპულარული ლექსი „დედას ერთი შვილი ყავდა“³. იგი ჩაწერილია აღნატიის მცხოვრებ მე-6 კლასის მოსწავლე, 12 წლის სონა ბაწილაშვილისაგან. ვრცელი ლექსების შესრულებისას ბავშვები ყოველთვის ვერ ახერხებენ მეტრისა და რითმის დაცვას. ამის ნიშნუშვებია სოფელ საბუის მცხოვრებ, 12 წლის მერი საბაშვილის მიერ შესრულებული ცხრასტრიქონიანი ლექსი „ზევით წყარო ამღვრვეულა“⁴ და პირველი კლასის მოსწავლის, 7 წლის ნინა გივიშვილის თქმით ჩაწერილი ოცდაერთ სტრიქონიანი ლექსი „1941 წელსაო“⁵.

¹ ფოლკლ. არქ. № 30138. „ჩემი მამა სამამულო ომში იყო“, შენიშნა მთქმელმა

² „ძია ჯარშია“, შენიშნა მთქმელმა, ფ. არქ. № 30145.

³ ფოლკლ. არქ. № 30508.

⁴ იქვე, № 30489.

⁵ იქვე, № 30579.

თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ლექსების ერთი ნაწილი ტრანსფორმაციის ნიმუშებია. ამ შენობხვევაში საქმე გვაქვს ტრადიციულ სასიმღერო პოეზიის ახლებურად გააზრებასთან. ისინი წარმოადგენენ დიდი სამამულო ომის წლების ჰეროიკის გამოხატულებას. ასე მაგალითად, ალმატში განთქმული მოლექსის ვალიკო ეჩეიაშვილისაგან ჩაწერილია შიირი:

რომელიც კარგი ქალია,
იპასა ჰქვია მარია,
ქმარაც მოუკლეს საწყალსა,
პიტლერს დაუღვეს თვალია¹.

ეს არის ტრანსფორმაცია ლექსების თარეშის ამსახველი გავრცელებული ძველი ლექსისა „ალვანში ერთი ქალია, სახელად ჰქვია მარია“. მისი ერთი ვარიანტი 1943 წ. ჩაწერილია გრემში. იგი ასე იწყება:

ალვანში ორი ქალია,
ერთი მზე, ერთი მთვარია,
რომელიც კარგი ქალია,
სახელად ქვია მარია.
შირაქში ქმარი მოუკლეს,
მტერსა დაუღვეს თვალია“ და სხვ.²

ტრანსფორმაციის ნიმუშია ბავშვებში გავრცელებული შიირი „აქეთ ნუში, იქით ნუში“.

ყვარლის რაიონში თანამედროვე ხალხურ პოეზიასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ტრადიციული მეტრის, რეამარცვლოვანი სტრიქონების, გვერდით ათმარცვლოვანი ლექსების გავრცელება. ზოგი ათმარცვლოვანი ლექსი ფართოდ არის გავრცელებული და იგი მარტო ავტორ-მთქმელთა რეპერტუარში არ გვხვდება. ასე მაგალითად, ათმარცვლოვანია საქართველოს ყველა კუთხეში სასიმღეროდ ატაცებული ლექსი „შორსა მხარესა, ბრძოლისა ველზე“.³

* * *

ყვარლის რაიონში გავრცელებულია წარსული ყოფაცხოვრების ამსახველი ლირიკული, ლირიკულ-ეპიკური და ეპიკური ნაწარმოებების ტრადიცია. მათი ხასიათი და თემატიკა მრავალ-

¹ ფოლკლ. არქ. № 30515.

² ჩაწერილი 1943 წ. გრემში სოლიკო გურასაშვილისაგან.

³ ფოლკლ. არქ. № 30502.

ფეროვანია. ზოგი ლექსი ადგილობრივი ხასიათისა არის და უშუალოდ ყვარლის რაიონის მცხოვრებთა ყოფას გვიხასიათებს; ზოგი — კი ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც და საერთოდ საქართველოს წარსულს ასახავს. ზოგჯერ თვით მთქმელებიც აღნიშნავენ ლექსის სხვა კუთხეში შექმნას. ასე მაგალითად, მწყემსებისა ან ნაწყყესართა რეპერტუარში გვხვდება თუშური ლექსები, რაზედაც თითონ მთქმელები მიუთითებენ¹.

ტრადიციული პოეზიის მდიდარ განყოფილებას შეადგენს საგმირო და საისტორიო ლექსები. საქართველოს ყველა კუთხეში ცნობილი ასეთი ხასიათის ლექსებიდან გავრცელებულია თამარ მეფის ციკლის ეპიტაფიის ხასიათის ლექსი „თამარ დედოფალი ვიყავ“. ჩაწერილია ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი². აღსანიშნავია, რომ ამ ლექსის ორი ვარიანტი ჩაწერილი ერთი და იმავე სოფლის მთქმელებისაგან, საკმაოდ განსხვავდება ერთიმეორისაგან.

იქვე გავრცელებულია აგრეთვე ი. დავითაშვილის ლექსის „საქართველოს დედოფლის“ ხალხური ვარიანტები. ამ ლექსის თექვსმეტსტრიქონიანი საინტერესო ვარიანტი ჩაწერილია ვანო ფუტკარაშვილის თქმით. მთქმელი სოსლანის ნაცვლად ამბობს ოსლანი³. ალმატში მცხოვრებმა ნიქიერმა მთქმელმა და მომღერალმა, წერა-კითხვის მცირე მცოდნე, 60 წლის დარო ტურაშვილმა 1947 წელს ექსპედიციას ჩააწერინა თამარ მეფის ციკლის აღნიშნული ორი ლექსის კონტამინაციის საინტერესო ტრანსფორმირებული ნიმუში.

საქართველოს სხვა კუთხეებშიც გავრცელებულ ერეკლე მეორის ციკლის ლექსებიდან აღსანიშნავია მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე ნამწყემსარ, 77 წლის ალმატის მცხოვრებ იოსებ სტეფანიშვილისაგან 1947 წელს ჩაწერილი „ხმალო ფრანგისა ნაჭედოს“ სხვა ლექსებთან შერწყმული ვარიანტი:

ხმალო, ზევსურად ნაგდებო,
ქალაქში თუშმა გაჭყეროს,
გაკურთხოს მეფე ერეკლემ,
საომრად ჯვარი დაჭყეროს.

¹ იხ. მაგალითად ს. ახალკაცისაგან ჩაწერილი ლექსი „ივანე აქიმისშვილი“, ფოლკლ. არქ. № 30198.

² ფოლკლ. არქ. №№ 30072, 30102, 30687.

³ იქვე, № 30708.

ვინ შეეყრება იმ დროსა,
მე რომ ომში ვტრიალებდი,
გამარჯვებულ ბაირასა
სამგან მივაფრიალებდი.
ხეობაში ხე გამხმარა,
წყლითაც უნელულებდნენ ძირსა,
სხვათა შვილი სხვათა შვილთა
ებევეა და ქამდა კირსა¹.

ერეკლე მეორის ციკლიდანვე საინტერესოა „აქილას“ სახელით ცნობილი მოლექსის, საბუის მცხოვრებ, 21 წლის სოლონონ შელდიაშვილის რებერტუარში შესული „გიორგი ნათელაშვილის ლექსი“. გიორგი — იგივე გელა. ერეკლეს თანანებრძოლი ბაზალეთელი გმირი ყოფილა. მრავალრიცხოვანი ცხვრისა და ღორის პატრონ გლახს ბევრჯელ უსახელებია თავი საქართველოში მოთარეშე ლეკებისა და თათრების წინააღმდეგ ომებში.

იგი ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულა, რაზედაც მის თანამედროვეს ლექსიც კი შეუქმნია. გელა ნათელაშვილზე არსებობს გადმოცემებიც². მეტად საინტერესოა აქილას თქმით ჩაწერილი ლექსის ვარიანტი:

გიორგი ნათელაშვილო
სარდალო მწყემსებისაო,
ეგრე არიგებ მწყემსებსა,
როგორც დედ-მამა შვილსაო.
ბიძაჯან, წუხელ სიზმარში
ნაეალი იყო მტრისაო,
მოუჩოქე და ვესროლე,
ფიცხლავ დაეცა ძირსაო.
გიორგიმ ღორი აპყარა,
იქითკენ გორი ძირსაო,
ხოცა და ხოცა ლეკები
ურჯულო დაღისტნისაო.
ერთი ურჯულო ლეკია
მოაფარდა გორი ძირსო,
მოუჩოქა და გიორგის,
გიორგიც დაეცა ძირსაო.
(მივიღნენ გიორგის უთხრეს)

¹ ფოლკლ. არქ. № 30687.

² იხ. „ღაროება“, 1878 წ., № 169 ან საქ. მუხ. განყ. II—1993 ხ. მთაწმინდელი—გელა ნათელაშვილი, ერთგული რაინდი მეფე ერეკლესი.

თქვენი ხანჯალი გვეგონა,
მაგრამ ჩვენიცა კრისაო,
პირი აქვს რიკან-ფოლადი,
ტარი — კამეჩი რქისაო!.

ეს ლექსი არსებითად განსხვავდება გელა ნათელაშვილის სიკვდილზე შექმნილი და ზ. კიკინაძის (მთაწმინდელის) მიერ გამოქვეყნებული ტექსტისაგან.

ცნობილი მოლექსის სანდრო ახალკაცის რეპერტუარში გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც გავრცელებული შალვა ახალციხელის ციკლის ლექსის საინტერესო ვარიანტი. იგი მთქმელ-
ნა ანაგურელ ბიქს დაუკავშირა:

გორს იქით კაცი ნაბრძოლი
გეზელ ქორივით კიოდა,
შენ ბიქო, ანაგურელო,
ხმა შენი გამაგვდიოდა.
თავს ქონდა ხმალთა ნაცემი,
გულს სისხლი ჩამასდიოდა,
ოშში ტრიალებს ვეფხურებ,
დაქრილი ამას ჰკიოდა.
სამასი თურქი მოეკლა,
კიდევ ლაჩრობას ჩიოდა?.

ფართოდ არის გავრცელებული ყვარლის რაიონში საგმირო-საისტორიო ეპოსის შესანიშნავი ნიმუშის არსენას ლექსის ვრცელი ვარიანტები. მდიდარი რეპერტუარის მქონე ვანო მიქელაშვილის ვარიანტი სამას სტრიქონს აღემატება¹. ჯორჯაძეების ყოფილმა მენახირემ ვანო მიქელაშვილმა ლექსის დამთავრებისას შენიშნა: „ამ ლექსს ძროხაში ვამბობდითო“. მთქმელის შენიშვნა ადასტურებს ილია ჭავჭავაძის მიერ „კაკო ყაჩაღში“ შესანიშნავად აღწერილ ამ ლექსის ტრადიციას. 1947 წელს ექსპედიციის მიერ მოპოვებული არსენას ლექსის ცხრა ვარიანტი სულ ხანში შესული ნამაკაცებისაგან არის ჩაწერილი². მათი ცნობით, ამ ლექსს შესტვირეები ასრულებდნენ.

საგმირო და საისტორიო ლექსების საინტერესო ფრაგმენტები შედის დარო ტურაშვილის რეპერტუარში. მისგან ჩაწერი-

¹ ფოლკლ. არქ. № 30560.

² იქვე, № 30189.

³ იქვე, № 30063.

⁴ იხ. ფოლკლ. არქ. № 30663, 30664, 30665, 30709, 30716 და სხვები.

ლი საქართველოს ძნელბედობის ერთ-ერთი ეპიზოდის ამსახველი ფრაგმენტული ლექსი ასეთია:

იქუხა და ირაგრაჟა,
მთა დე ველი გადალახა,
ყმაწვილებს კალო ლეწეს,
დედამ შვილი ველარ ნახა¹.

თუ ეს ვარიანტი არ არის ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებაზე შექმნილი ლექსისა, რომელიც ასე იწყება:

ორშაბათ დილას გათენდა
ავი დღე და ავი დარი,
ყმაწვილების კალოს ლეწავს
თურქმანის ცხენის ნალი,

ან, თუ მასში ასახული არ არის შამილის მიერ ყვარლის აღება, მაშინ შეიძლება გრენიდან გამოთხოვილმა მთქმელმა, რომელსაც რეპერტუარი წინაპრებისაგან აქვს ათვისებული, ამ ფრაგმენტით შემოგვიჩინაზა შაჰ-აბასის მიერ კახეთის სისხლით წალეკვის ამბავი.

ყვარლის რაიონში შეკრებილი საგმირო და საისტორიო ლექსების დიდი ნაწილი საქართველოში თათრებისა და ლეკების თარეშს ასახავს. ყველა ასაკის მთქმელებისაგან არის ჩაწერილი ვარიანტები ლექსისა „ლეკებმა რომ დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათათვისა“.² ყვარლის რაიონის მთქმელებმა იციან ლექსები შამილის შეპყრობაზე, განსაკუთრებით საინტერესოა სანდრო კიბოშვილის თქმით ჩაწერილი 120 სტრიქონიანი ვარიანტი.

თათრებისა და ლეკების თარეშის ამსახველი ლექსები შედის ყველა ასაკის ცნობილ მომღერალთა და მოლექსეთა რეპერტუარში. ასე მაგალითად, რამდენიმე ასეთი ლექსია ჩაწერილი 1947 წელს ექსპედიციის მიერ ალმატში განთქმული მეფანდურის 54 წლის იოსებ ჟიფიაშვილისაგან;³ 21 წლის მოლექსე აჭილასაგან (სოლ. შეღვიაშვილი)⁴ და სხვებისაგან. საინტერესოა საბუეში კარგ მოლექსედ ცნობილი, ტრაქტორისტის, 33 წლის ნიკა ხშიადაშვილისაგან 1947 წელს ჩაწერილი 288 სტრიქონიანი პოემა ლეკების წინააღმდეგ მებრძოლ გმირზე — ომან ხაჩიაშვილზე.

¹ ფოლკლ. არქ. № 30092.

² იქვე, №№ 30091, 30449, 30500, 30649.

³ იქვე, № 30509, 30510.

⁴ იქვე, №№ 30551, 30553, 30555, 30560.

პოემის ნიხედვით ლექების წინააღმდეგ მებრძოლ ომანს შეუუვარდება მტრის ბელადის ქალი. მამამ დააპატიმრა ქალი და სიკვდილი მიუსაჯა. ქალი ომანმა გამოიტაცა.¹ პოემას წიგნური იერი აქვს. ცნობილია ომან ხეჩიაშვილის შესახებ არსებული ლექსის ათსტრიქონიანი იმერული ვარიანტი, ჩაწერილი ს. წევაში ფოლკლორის ცნობილი შემკრების სევასტი გაჩეჩილაძის მიერ. ამ ვარიანტის მიხედვითაც ომანი ლექების წინააღმდეგ მებრძოლია.²

პოეზიის ტრადიციის თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოში ლექების თარეშის მაჩვენებელი, მანგლისის აშენებასთან დაკავშირებული საკმაოდ ძველი ლექსის 1947 წელს ჩაწერილი ვარიანტები. ამ ლექსის საკმაოდ სრული და საინტერესო ვარიანტი გამოქვეყნდა 1934 წელს³. 74 წლის მოხუცისაგან ახალჩაწერილი ამ ლექსის ვარიანტიც დაკავშირებულია მანგლისის აშენებასთან. მასში შემონახულია კვალი მშენებლობის ძველი წესისა. როცა კედლებში ან ფუძეში ცოცხალ ადამიანს ჩაატანდნენ. რაც კარგად ჩანს 13 წლის წინ გამოქვეყნებულ ვარიანტში. სანაგიეროდ მასში აღარ იხსენიება ლექები⁴. 21 წლის აქილასაგან ჩაწერილ ვარიანტს კი ძირითადად სატრფიალო ხასიათი აქვს. ამ ვარიანტში ხაზგასმითაა აღნიშნული წარსულში ლექთაგან ქართველი ქალების გატაცება ფულის აღების მიზნით. სამაგიეროდ ახალგაზრდა მთქმელის მეხსიერებაში უკვე აღარ არის მანგლისის აშენება და მშენებლობის ძველი წესი:

ერთხელ მეც ვიყავ მეცხვარე,
ცხვარი მიმიღის გზაზეო,
ერთმა გოგონამ დამსწყევლა,
დამსწყევლა სამწყესარზეო:
მეცხვარეო, ეგ შენი ცხვარი,
სულ გაგებრატოს პირითა,
დაკლასა ვერ აღიოდე,
ეზიდებოდე ვირითა.
ახლა დასწყევლა მეცხვარემ
თავის ლამაზი პირითა:
შენამც მიჰყვანდე ლექებსა,
დუდუკითა და სტვირითა.
უკან მოგდევდნენ თქვენებო
ტირილითა და ქუხითა,

¹ ფოლკლ. არქ. № 30431.

² „ხალხ. სიტყვ. I, ექვთ. თაყაიშვილის რედ., გვ. 4—5.

³ გ. კ. ბ. ე. თ. შ. ვ. ი. ლ. ხალხ. პოეზია, გვ. 76.

⁴ ფოლკლ. არქ. № 30724.

მე მოვდიოდე ზეიდან,
ფულიც მომქონდეს გუდითა,
დაგიხსნა, წამოგიყვანო
ჩემი კუდალა ვირითა¹.

ძველი საგმირო-საინტორიო ლექსის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით საინტერესოა 73 წლის სანდრო შეღვიაშვილის თქმით 1947 წელს ჩაწერილი ცნობილი ბალადის „შემომეყარა ყივჩაღის“ ვარიანტი. თანამედროვე მთქმელის მეხსიერებიდან ყივჩაღი გამქრალა. მის ნაცვლად ლექსში ყაჩაღი იხსენიება. რაკი ყივჩაღი ყაჩაღის სინონიმია ლექსის მიხედვით, ამიტომ ეს გარემოება არ ცვლის მის შინაარსს. სხვა მომენტები ძველი ლექსისა კარგად არის დაცული ახალჩაწერილ ვარიანტში:

ამბავსა ჩემსა გიამობ,
ჩემსა და ყაჩაღისასა,
კოლი მიმყვანდა სამშობლოს,
სამშობლოს სიმამრისასა.
ყაჩაღი შემემეყარა,
სამძღვარსა მუხრანსკისასა.
პურსა მთხოვდა და ვაქმეველი,
გამამცხვარ ქაბაბისასა.
ხორცსა მთხოვდა და ვაქმეველი,
შემწეარსა კაიბიჩასა,
ლეინოსა მთხოვდა, ვასმეველი
ტკბილსა და ბადაგისასა.
კოლი მთხოვა და არ მივე,
მიმყვანდა კოლისძმისასა,
არ დაიშალა ყაჩაღმა,
გედმეეწოლა, აკოცა,
ცხრა ნაწნავ გიშრი თმისასა.
ქალმა შამხედა, შასტირა,
ბრალი ამ ჩემი კმრისასა.
ხანჯალზედ ხელიც გაივლო,
ნაჩუქარ კოლისძმისასა.
ერთი გადაძკრა ყაჩაღსა,
ელვასა ჰგვანდა ცისასა.
მეორეც გადაუქნე,
რისხეასა ჰგვანდა ლეთისასა.
კაცი და ცხენი გადაძკრა
წვერმა უწვივი ქვიშასა².

¹ ფ. არქ. № 30552.

² იქვე, № 30643.

ფართოდ არის გავრცელებული ყვარლის რაიონში ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონისა“ და სხვა პოემების ხალხური ვარიანტები¹.

საგმირო პოეზიის გავრცელებული ნიმუშებიდან ყვარლის რაიონში გვხვდება სოლოლას ლექსი². სანდრო ახალკაცის თქმით ჩაწერილია აგრეთვე ათსტრიქონიანი ვარიანტი „სოლომონ ბუტულაშვილისა“³. ამავე ლექსის 57 სტრიქონიანი ვარიანტი ჩაწერილია ვ. მიქელაშვილის (კონკილას) თქმით⁴. იქაური ნოქმელები ასრულებენ პოემას ქიზიყელ სახალხო გმირზე მიხაჭუჭულაშვილზე⁵. წარსულში სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირისადმი ხალხის დიდი სიყვარულის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ამ საკმაოდ ვრცელ პოემას ჩონგურზე დამღერის ახალგაზრდობა. 1947 წელს საბუის მცხოვრებმა 26 წლის ცაცო ფილიშვილმა ექსპედიციას ჩააწერინა პოემის 290 სტრიქონიანი ვარიანტი და აღნიშნა „ჩონგურზე ვმღერით ამა-სო“⁶. საგმირო პოეზიის ტრადიციის თვალსაზრისით საგულისხმოა ისიც, რომ სახალხო გმირზე ლექსის შემქმნელს პატივს სცემდა ხალხი. ასეთ ნოქმელებს ასაჩუქრებდნენ. ეს გარემოებაც მაჩვენებელია სახალხო გმირებისადმი ხალხის დიდი სიყვარულისა. ამის ნიშნები შემონახულია ლექსების დასასრულშივე. თათრების წინააღმდეგ მებრძოლ თუშ გმირზე, ივანე აქიმისშვილზე არსებული ლექსი სანდრო ახალკაცმა ასე დაამთავრა.

გაქებდნენ აქიმისშვილო,
ვეფხვი ყოფილხარ, კანჯარი,
ამ ერთ ლექსს გამოგვიგზავნის
შენი დედის ძმა ქავთარი.
საჩუქრად გამომიგზავნე
შენ მოკლულ თათრის ხანჯალი,
თუ ეგე ვერ გაიმეტო,
თვალწითელ ცხვარსა ასწლიტე
ცივად თეთრ მამალ ბატკანი,
ჩემთვის ყველაყა საჭირო,
ღარიბი ვარ და საწყალი⁷.

¹ იხ. წერილი „ლიტერატურულ ნაწარმოებთა ზეპირი ვარიანტები“.

² ერთი ვარიანტი ჩაწერილია გრემში 1943 წ. მეორე 1947 წ.

³ ფ. არქ. № 30559.

⁴ იქვე, № 30192.

⁵ იქვე, № 30060.

⁶ იქვე, №№ 30610, 30651.

⁷ იქვე, № 30610.

იმავე მთქმელმა ლექსი სოლომონ ბუტულაშვილის შესახებ
ასე დაასრულა:

ე მაგ ლექსის გამოთქმელსა,
შავი ჩოხა ჩამაცვესა,
მე მაჩუქეს ხარ-კამჩი,
შოლტი, სახრე ხელთ მომცესა.
დამსვენს და პური მაჭამეს,
შავი ლინით დამათერესა¹.

ლექსების ამგვარი დაბოლოებანი შესაძლებელია პროფესიონალობის კვალზედაც მიუხიითებდეს. ყვარლის რაიონის მთქმელები ამბობენ ლექსებს იმპერიალისტურ ომსა და სალდათობაზე². ამ ლექსებში ისმის ხალხის ჩივილი იმის გამო, რომ „გარეკეს ბრძოლის ველზედა შიგნით ნარჩევი ყმანია“³.

აღსანიშნავია, რომ საგმირო ხასიათის ლექსებში მტკიცედ არის დაცული ტრადიციული ხალხური მეტრი. ჩვენთვის ცნობილი ყველა ლექსი რვამარცვლოვანი შაირის ზომით ხასიათდება. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი დიდი რაოდენობა სასიმღეროა. ასეთი ლექსების ძირითადი ფონდი ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

* * *

ყვარლის რაიონის მთქმელების რეპერტუარში საკმაო რაოდენობით არის შესული საყოფიერო ლექსები, მათ შორის არის ოჯახური ურთიერთობის ამსახველი ლექსები — ხალხური პოეზიის ტრადიციულ თემებზე, როგორცაა რძლების ქიშპობა⁴, დედინაცვლისა და გერის ურთიერთობა⁵ და სხვ. დამახასიათებელია მთიდან შემოტანილი ნამწყესარი მთქმელების რეპერტუარში შესული საკმაოდ არქაული ლექსი კმრის მოლაღატე ქალის სიკვდილით დასჯაზე. ამ ლექსში შემონახულია თუშეთსა და სხვა მთიან ადგილების შორეულ წარსულის ყოფაში დადასტურებული წესი, რომლითაც ქალი სიძვის გამო ისჯებოდა ცხვირის მოჭრით, თმების შეკრეკით. შიტრია ხეჩუაშვილის (პიტნა) თქმით ჩაწერილ ვარიანტში ქალის პირითვეა გადმოცემული დასჯის შემზარავი

¹ ფ. არქ. № 30192.

² ფ. არქ. №№ 30512, 30612; „საუნჯე“, II, გვ. 274.

³ „საუნჯე“, II, გვ. 274.

⁴ ფ. არქ. № 30056, 30195.

⁵ იქვე, № 30197.

ეპიზოდი. ამავე ვარიანტში შემონახული უნდა იყოს უძველესი წესი სიკვდილით დასჯილი ქალის თმის მშობლების მიერ შესყიდვისა და კარებზე გამოკიდება-გამოფენისა. ეს უნდა იყოს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული გადმონაშთი ძველი სარწმუნოებრივი შეხედულებისა თმის პარციალური სულის შესახებ.

ზეგორიდან გამოვთხოვდი,
ქვეგორს შავირთე ქმარიო,
შამყვარდა ოქროსმკვდელი,
შამიყრა ოქროს ჯამიო.
შაბათს გამგზავნეს მუშაში
პირველად პატარძალიო.
დასხდა, დაჯარდა მუშაი,
შვიდგანა შვიდი ჯარიო.
ყველას მივართვი-მოვართვი,
ქმარსა დამიკლდა ჯამიო.
დაჯდა და დაიბუტბუტა:
— ვაი, ქალო შენი ჯავრიო!
შავკმაზე მამის ლურჯაი,
თავადა შავჯექ ქალიო,
უკან მამდევენ მაზღები:
— სად მიხვალ ჩვენი რძალიო,
მოსულან შენი ძმანიო.
ჩემ ძმანი არის მოსულან,
მოსულან ჩემი დენია.
ერთ ბნელ გომურში ჩამადგეს,
გამამიყეტეს კარიო,
სარკეში ამამახედეს,
სოფელს მავლე თვალიო,
ჯერ ხომ ცხვირ-პირი ამპკრეს,
მერმე გიშრისა თმანიო.
დაფინეს ხალის ფარდაგი,
დამკეპეს როგორც მხალიო.
გადამავალმა ყორანმა
გადაიტანა ჩქამიო.
საწყალ დედაჩემს უთხარიო:
— თამარ მოგიკლეს ქალიო,
გაყიდე დედულ-მამული,
ოყიდე ჩემი თმანიო,
დარბაზის კარსა დააკიდე,
ანიავებდეს ქარიო.

გამლეღამამლეღ სწორებსა.
ზედაც კი ჰქონდეს თვალიო,
— ღმერთმა გაცხონოს ქალოჯან,
ესეც ყოფილა თმანიო¹.

სანდრო ახალკაცის თქმით ჩაწერილ ამ ლექსის ვარიანტს უფრო ადგილობრივი, ელფერი აქვს მიღებული. მასში ლალატისა და სიძვის მოტივი გამკრთალებულია. არც დასჯის წესია ისე მძაფრად შემონახული, როგორც პირველ ვარიანტში. ქმრის შურისძიებისა და ნაწნავის კარზე გამოფენის მოტივები-კი მასშიც შემონახულია:

შილღური ქალი ვიყავი
და ყუარული პატარძალი,
მუშებთან ჯგერი წავიღე,
გავტეხე ინგლისის ჯამი.
სუყველას კერძი მივართვი,
იგრე დამარჩა ჩემი ქმარი.
მალმალე გადმომხედავდა,
სულ ჩემკენა ქონდა თვალი.
— ჩემი კერძის დაკლებიდათვი
შენ თუ ვერ გაგიქრო თავი.
ავდექი და წამოველი,
სულ უკან მეჭირა თვალი.
წინიდგან წამომიბინა,
მოკვეთა ცოდნიყო გზანი.
შამამიქნია ხანჯალი,
სწრაფად მამაშორა თავი,

მზემე მიტრა და მთვარემცა,
მასკტლავებმაც მიაცეს ზარი.
წადი, უთხარი დედილოს:
ალარ არი შენი ქალი.
შაკმანხოს თავის ლურჯაი,
დამანახოს ჩემნი გზანი.
მოვიდეს, ერთი მიტიროს,
თავის შვილს აღრისოს ნამი,
მერმე აპრაა შვევიშერნი,
შავნაწნავნი ჩემნი თმანი.
აკეცოს, წყობით დააწყოს
შვიდკეცი და შვიდი მხარი,
მალა „ბალკონზე“ გაფინონ,
როდესაც რომ ქროდეს ქარი,
იტყოდნენ თუ მშვენიერი
ნეტარ ვისი იყო ქალი?²

ეს ვარიანტი საგულისხმოა ტექსტის პოეტური ევოლუციის გასათვალისწინებლად.

ყუარლის რაიონში ჩაწერილია საყოფიერო ლექსები მახვილი სოციალური მოტივებით. იუმორისტული ლექსის საგანია მუქთახორა მღვდელი³. იქვე გვხვდება ლექსი ობლისა და მოჯამაგირის ბედზე წარსულში⁴. ხალხურ შემოქმედებაში გაკიცხულია უხეირობა და უქნარობა. ამ თემაზეა შექმნილი ლექსი „პატარუანთ ბასაო“⁵. საინტერესოა ლექსები მონადირეთა შესახებ. ლექს-

¹ ფ. არქ. № 30767.

² იქვე, № 30199.

³ იქვე, № 30567.

⁴ იქვე, № 30568.

⁵ იქვე, № 30699.

ში მოცემულია მონადირის ცხოვრება და განწყობილება¹. ჩაწერილია სასიმღეროდ ატაცებული, ნადირობასთან დაკავშირებული ლექსის „გუშინ შვიდნი გურჯანელნი-ს“ ვარიანტი². საყურადღებოა აგრეთვე ლექსები მეცხვარეობასა და მელორეობაზე. კარგად არის მოცემული მწყემსის ყოფა და განწყობილება წარსულში ლექსში:

დაებერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი გამიხდა ქალარი.
სუ ამ მთა-ბარში დაღლივარ,
თან ძალი დამღვეს საღარი.
ნადირი ვერას მამტაცებს,
გული მითა მაქ მაგარი.
მხარზე მკიღია მე თოფი,
ჩახმახი აქონდა მაგარი.

გამოტყვრა ჩემი მჟეარი,
გორებს გააქონდა ზანზარი.
ხანჯალი გვერდზე მკიღია,
ჯოხიე მიჭირავს მაგარი.
გორიდან გორზე გადავალ,
იქ ხევი არის დაბალი,
უკან ვიხედე, მამღვედა
ის ჩემი ძალი საღარი³.

წარსული ყოფისა და განწყობილების ამსახველია მეცხვარეობასა და მელორეობაზე შეთხზული სხვა ლექსებიც⁴.

ს. კიბოშვილის რეპერტუარში არის გაბაასების ფორმის ლექსები. ერთ მათგანში კარგად არის დახასიათებული წელიწადის ოთხი დრო და. მათი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის⁵. შესანიშნავად არის დახასიათებული მშრომელთა სარჩო ლექსში „ქება“⁶. მასში გაბაასებული და ერთიმეორესთან შედარებულია პური, ღვინო, წყალი, ცხვარი და ქათამი.

საქართველოს სხვა კუთხეებშიც ცნობილი ლექსებიდან საინტერესოა გრემის ნცხოვრებ დარო გურასპიშვილის თქმით ჩაწერილი ქალთა საქმიანობის ამსახველი ლექსი, რომელიც მოქმელმა სტუმარ-მასპინძლობას დაუკავშირა. ოჯახს მოსწყენოდა სტუმრის შენახვა და რძალმა ასე უთხრა მულს:

ორხოვილად. მოქსოვილო
ჯეჯიშულად დაღვიშულო,
ეს სტუმარი არსად მიდის,
შეკამანდი დაღვი მულო.

¹ ფ. არქ. № 30566, 30661, 30701, 30726.

² იქვე, № 30722.

³ იქვე, № 30758.

⁴ ერთი ვარიანტი ჩაწერილია 1943 წ. ს. გრემში, დანარჩენები იხ. ფ. არქ. № 30557, 30702, 30759.

⁵ ფ. არქ. № 30171.

⁶ ფ. არქ. № 30174.

სტუმრის პასუხი:

იანვარი, თებერვალი,
დადგა მარტი, დაშრა ველი,
სტუმარი რომ არსად მიდის,
იციოდეთ, რომ დარსა ველი¹.

საინტერესოა აგრეთვე ხორველაზე შექმნილი ცნობილი ლექსის ვრცელი ვარიანტი ჩაწერილი მდიდარი რეპერტუარის მქონე ვანო მიქელაშვილის თქმით². იქაური მთქმელების რეპერტუარში არის ცნობილი ლექსები ფრინველებისა და ცხოველების შესახებ³. ჩაწერილია სასიმღერო ლექსის „შაშვი კაკაბი შეიბნენ“ ვარიანტები⁴. გვხვდება ლექსები ადამიანის ბედზე⁵, მორალზე⁶ და სხვ.

ყვარლის რაიონში გვხვდება აგრეთვე ადგილობრივი წარმოშობის ლექსები. ასეთია ს. კიბოშვილის „დურუჯის“ ძველი და ახალი ვარიანტები⁷, ლექსები იქაურ დღესასწაულებსა და დროს ტარებაზე⁸ და სხვ.

მეტი წილი საყოფიერო ლექსებისა საქართველოს სხვა კუთხეებშიც არის ცნობილი, ხოლო ყვარლის რაიონში ზოგ მათგანს მისცემია ადგილობრივი ელფერი. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი ხასიათის ლექსები ყველა ასაკის მთქმელების რეპერტუარში შედის.

* * *

სატრფიალო-რომანტიული პოეზიის განყოფილებაში გვხვდება არქაული ლექსების ვარიანტები. სანდრო ახალკაცის რეპერტუარში არის „თავფარავნელი კაბუკის“ ვარიანტი⁹. ამ ლექსის უფრო სრული ვარიანტები ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც, მაგალითად, ქართლში¹⁰. საინტერესოა აგრეთვე მისგან ჩაწერილი რ. ერისთავის ლექსის „ქალი-აყვანას“ ვარიანტი.

¹ ჩაწერილია 1943 წ. ს. გრემში.

² ფ. არქ. № 30065.

³ იქვე, №№ 30071, 30133, 30224 და სხვები.

⁴ იქვე, №№ 30705, 30721.

⁵ იქვე, № 30075.

⁶ იქვე, № 30680.

⁷ იქვე, № 30168, 30169.

⁸ იქვე, № 30558.

⁹ იქვე, № 30188.

¹⁰ ვ. კ. ტ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, „ხალხ. პოეზია“, გვ. 10.

რ. ერისთავის ლექსის წყაროა ლეგენდა, რომელიც ამჟამადაც გავრცელებულია ყვარლის რაიონში და იძლევა ხალხურ ეტიმოლოგიას შილდასა და ყვარელს შუა ნეკრესის მიმართულებით არსებულ გორაკის „ქალი-აყვანას“ სახელწოდებისას¹. რ. ერისთავის ლექსის 80 სტრიქონიდან სანდრო ახალკაცის თქმით ჩაწერილ ვარიანტში დაცულია 70 სტრიქონი—ზოგი შეცვლილი სახით².

ს. ახალკაცის რეპერტუარში საინტერესოა საკუთარი ლექსი „მარგალიტასი“, შექმნილი მის პირველ სიყვარულთან დაკავშირებით³.

მთქმელების ცნობით მესტიერეთა რეპერტუარიდან არის გავრცელებული ნაწილი სატრფიალო ლექსებისა, როგორცაა: „ქუჩუჩა გოგო, ქირიმე შენი“, „შაზანდარი და ქებაო, დედა ნუ მოგიკვდებაო“⁴ და სხვ. აღსანიშნავია სატრფიალო ლექსების ფერხულის დროს შესრულება.

1947 წელს, 60 წლის ევა მოსიაშვილისაგან (აქვს მრავალფეროვანი რეპერტუარი) საბუეში ჩაწერილია შემდეგი ტექსტი:

— ქალო რად გინდა ეგ ქმარი,
ხაშალია⁵ და მოკვდება,
— ბიკო რას გედემეკიდე,
წამალ ვასმევ და მორჩება.
ო-რი ოქროს დიელა!
ოქრო მიზის მინდორზედა,
თეთრი ცხენი მოგოგავდა,
ზედა ზის კაცი ვაჟკაცი,
(შავარდენს თუ ქორსა გავდა),
ქალო უკან მაიხედე,
ო-რი ოქროს დიელა,
ხელსახოცსა გადმოგიგდებ
ოქრომკედით მოქარულსა,
შიგ გაგიხვევ ჩემსა გულსა
შენგნით დამწვარ-დადაგულსა.

ამ ლექსის შესახებ მთქმელმა ჩამწერს აცნობა: „ფერხისის ცეკვისას ქალები შევიკრიფებოდით, ხელიხელს გადავაბამდით და

¹ ფ. არქ. № 30596.

² იქვე, № 30196 შდრ. რ. ერისთავი, ლექსები, ტ. 1, 1935 წ., სახელგამი, შ. რადიანის რედაქციით, გვ. 135—137.

³ იქვე, № 30187.

⁴ იქვე, № 30727.

⁵ მთქმელის განმარტებით „ავადმყოფი“.

ვმლეროდით. სამ ბავშვს დავსვამდი მწვანეზე და გარეშემო უვლიდით იმ ბავშვებს და ვმლერობდით ამ სიმლერას. ეგ ვიცოდით ბედნიერ დღეებში, აღდგომა-დღესასწაულებში, კვირა დღეებში, მინდორზე თავმოყრილებმა“¹.

ყვარლის რაიონში პოეზიის ტრადიციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია მიცვალებულთათვის შექმნილი, დასაფლავების დღეს წარმოსათქმელი ლექსები. ასეთ ლექსებს ქმნის, მაგალითად, საბუის მცხოვრები, 60 წელს გადაცილებული გიორგი ნანიკაშვილი. მას სხვადასხვა სოფელშიც იწვევენ მიცვალებულთათვის ლექსის წარმოსათქმელად. 1947 წელს, როდესაც ექსპედიცია იწვრდა მის რეპერტუარს, ერთ-ერთმა მეზობელთაგანმა შენიშნა: „ამის ლექსის წაკითხვაზე კირისუფლებს და დამსწრე ხალხს გული ამოუჯდებათ და აქვითინდებიან“. ასეთი ხასიათის ლექსებში ხშირად აღნიშნულია გარდაცვლილის სახელი და გვარი, ასაკი და ჩამოთვლილია მისი კარგი თვისებები. ლექსში სინანულით აღნიშნულია მისი განშორება მშობლებისაგან, და-ძმებისაგან, ცოლ-შვილისა თუ ქმარ-შვილისაგან. ასეთი ხასიათის ლექსები ხშირად პირველი პირითაა ნათქვამი. გ. ნანიკაშვილს, თავისი სიძის გარდაცვალებაზეც შეუქმნია ლექსი. მოლექსეს აღნიშნული აქვს სიცოცხლეში მისი გამრჯელობა და გულადობა. გარდაცვლილის პირით აღნიშნულია დაშორება ორ ძმასთან, მოხუც დედასთან, ცოლ-შვილთან.

* * *

შაირის ტრადიცია ძლიერია ყვარლის რაიონში, ისე როგორც საქართველოს სხვა რაიონებშიც. ეს მოქნილი ჟანრი ზეპირსიტყვიერებისა წარმოდგენილია მრავალფეროვანი თემატიკით. ზევით აღვნიშნეთ თანამედროვე ცხოვრების ამსახველი შაირების ფართო გავრცელება. გავრცელებულია საყოფიერო და სატრფიალო შაირებიც. დიდი რაოდენობითაა ჩაწერილი გამოსაჯავრებელი და სალალობო შაირები. შაირები ჩაწერილია ყველა ასაკის მთქმელებისაგან. ჩაწერილია ტექსტები რამდენიმე პირის გაშაირების პროცესშიც. ყვარლის რაიონში შაირების ტრადიციაში აღსანიშნავია შემდეგი ახალი მომენტები:

1. ტრადიციული ხალხური შაირის დასაწყისის ანალოგიის მიხედვით გაშაირებისას იყენებენ ლიტერატურულ ნაწარმოებებსაც.

¹ ფ. არქ. № 30585.

ასე, მაგალითად, ალმატში განთქმულმა მომღერალმა და მოლექსემ მარგო ტურაშვილმა ექვს პირთან გაშაირების პროცესში წარმოსთქვა ხალხური ტექსტი:

ნეტავი აქ არ მაშყოფა,
ულრან ტეუში მომცა ბინა,
წელიწადი, თორმეტი თვე
მე შენს მკლავზე დამაწვინა.

შემდეგ ამას მოაყოლა ი. დავითაშვილის ლექსი:

ნეტავი აქ არ მაშყოფა,
ქალაქში ჩამოყვანაო,
მასწავლა რამე ზელობა,
მასწავლა ანა-ბანაო¹.

2. რვა მარცვლოვან ლექსის გარდა, იყენებენ ათ მარცვლოვან ლექსებსაც. იმავე მარგო ტურაშვილმა გაშაირებისას გამოიყენა ტექსტი:

ვარდს ვერასოდეს ისე ვერ მოსწყვეტ,
ეკალმა სისხლი არ დაგადინოს,
ისე ვერავის ვერ შეიყვარებ,
რომ ხალხმა შენზე არ გაიცინოს².

მესტიერული პოეზიის ტრადიციაზე საინტერესო ცნობები შეკრება აპ. ცანავეამ. ყვარლის რაიონის მცხოვრებნი მესტიერეებად იმერლებს ასახელებენ. როგორც ჩანს, მესტიერეები განსაკუთრებით ხშირად დადიოდნენ კახეთში, როგორც საქართველოს ერთ-ერთ მდიდარ კუთხეში. დადიოდნენ ისინი წელიწადის გარკვეულ დროს — შემოდგომაში და ზამთარში. საინტერესოა ამ მხრივ 1878 წელს დაბადებულ საბუის მცხოვრებ იორდანე გოდერძიშვილის ცნობა: „მესტიერეები იმერლები იყვნენ, კახელი მესტიერე არ გამიგონია. ისინი დადიოდნენ ნიკოლას დროს, შემოდგომიდან მოყოლებული ზამთრობით სულ დადიოდნენ. საცა დაულამდებოდნენ, იქ ათენებდნენ, იღებდნენ სუ ყველაფერს — პურსა, ფქვილსა, ფულსა, ყველსა, ღვინოს. აქვე დუქანში ყიდოდნენ. გაიტანდნენ ტომრებით და გაყიდოდნენ“. დაბალეობით ასეთივე ცნობებს იძლევიან 76 წლის ალექსი ჭიტაშვილი, 69 წლის მეცხვარე ფილიპე ელოისძე და სხვები. მესტიერეების საშუალებით

¹ ფ. არქ. № 30504.

² იქვე, № 30504.

კახეთში და კერძოდ, ყვარლის რაიონში შემოდინდა და ვრცელდებოდა სხვადასხვა კუთხეში შექმნილი ლექსები. ზოგჯერ მესტივირებს თითონ შექპონდათ თავიანთ რეპერტუარში კახეთში შექმნილი ლექსები და ავრცელებდნენ სხვა კუთხეებში.

* * *

საწესო-მაგიურ პოეზიას ჩვენს სინამდვილეში გამოცლილი აქვს სოციალური ფუნქცია, ბევრი ნიმუში ფოლკლორის ან თავისებური დარგისა დავიწყებას ეძლევა, ბევრი-კი გარკვეულ წესჩვევებს მოწყვეტილი ახალ სოციალურ ფუნქციას იძენს. ყვარლის რაიონში მეტად ძლიერი ყოფილა საწესო-მაგიური პოეზიის ტრადიცია. იქაურ მცხოვრებთ ჰქონიათ მეტად მდიდარი და საინტერესო რეპერტუარი, როგორც საწესო-კალენდარული, ისე არაკალენდარული მაგიური პოეზიისა. უკანასკნელ წლებში შეკრებილი მასალები, რომელნიც გადანაშთის სახითაა შემორჩენილი, წარმოდგენას გვაძლევენ მაგიური პოეზიის შემსრულებლებზე, შესრულების გარემოსა და წესებზე.

ყვარლის რაიონში გავრცელებული ყოფილა საწესო-მაგიური პოეზიის შემდეგი დარგები: ა) სადღეგრძელოები (საქორწილო, საახალწლო, ჩვეულებრივი ლხინის); ბ) საქორწილო (მაყრული); გ) „იავ-ნანა“; დ) „გონჯა“ (იგივე „ლაზარე“); ე) კალენდარული პოეზია (ალილო, დიდება); ვ) შელოცვები (სამკურნალო, სამეურნეო).

სწავლა-განათლებით შეიარაღებულ ახალგაზრდობას არ იზიდავს მაგიური რიტუალი და არც მასთან დაკავშირებული პოეზია. საწესო-მაგიური პოეზიის ნიმუშები ხანში შესულთა რეპერტუარში შედის.

ყვარლის რაიონში საწესო პოეზიიდან ყურადღებას იპყრობს სუფრაზე დალოცვა-სადღეგრძელოები. ეს სადღეგრძელოები საუკუნეთა მანძილზე ამშვენებდა ქართულ სუფრას.

პოეზიის ეს ნიმუშები სხვადასხვა დანიშნულებისაა. ზოგი მათგანი უბრალო სადღეგრძელოა წარმოსათქმელი სუფრის რომელიმე წევრის მიერ გარკვეული პირისადმი მიძღვნის მიზნით. ზოგი ტექსტი საქორწილოა და თამადის ან სუფრის სხვა წევრთა მიერ ნეფე-დედოფლის დალოცვას წარმოადგენს. ზოგი სადღეგრძელო დედოფალთან შეხუმრების მიზნითაა ნათქვამი. არის საახალწლო სადღეგრძელოებიც. უკანასკნელ წლებში შეკრებილი მასალების მიხედვით ზოგი ტექსტი სადღეგრძელოსი ტრადიციულია, ზოგი-კი იმპროვიზაციის ნიმუშია.

სუფრაზე დალოცვის ტექსტები (საქორწილო, საახალწლო და სხვა სადღეგრძელოები) ჩაწერილია მოხუც მამაკაცებისგან. ჩვენის აზრით, პოეზიის ეს დარგი თავიდანვე მამაკაცების საკუთრება უნდა ყოფილიყო. ლექსად სადღეგრძელოს მთქმელ მოხუცებს ამჟამადაც შეხვდებით ყვარლის რაიონში. ისინი ყოველგვარი თხოვნის გარეშე წარმოსთქვამენ სადღეგრძელოს.

სუფრაზე წარმოსათქმელ ტექსტებს მეტწილად ადგილობრივი ხასიათი აქვს. თუ მთქმელთა ცნობებს დავუჯერებთ, ზოგი სადღეგრძელო ყვარლის რაიონში საქართველოს სხვა კუთხეებიდანაა შეტანილი. ასე მაგალითად, მიტრა ხეჩუაშვილმა, რომლისაგანაც ჩაწერილია რვა მეტად საინტერესო ნიმუში მაგიური პოეზიისა, საახალწლო სადღეგრძელოს შესახებ აღნიშნა: „მეტვირეები მღეროდნენ, შაზანდრულს ვეძახითო“. კახეთში მესტვირეების საშუალებით გავრცელებული, მ. ხეჩუაშვილისაგან ჩაწერილი საახალწლო დალოცვა მეტად საინტერესოა, როგორც შინაარსით, ისე ფორმით. იგი მნიშვნელოვანია საახალწლო წესების გასათვალისწინებლად. ლექსი მეტად რიტმიულია. იგი უდაოდ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე. ტექსტი მოგვყავს მთლიანად:

ხელში ორ კიქას ავიღებ,
ვილოცებოდე ღვინითა,
ყველა კარგად დაესწარით,
მრავალ ახალ წელს დილითა.
ნათლიმამა თან მოგდედეგს,
თაფლი მოაქონდეს ქილითა,
ხურჯინი საესე მოაქონდეს
ჩურჩხელებით და ხილითა.
დილითვე არაყს მიირთმევთ,
ხილსაც მოგართმევთ სინითა,
ეს კიქა დიდი ყოფილა,
მეც ნომ ვითვრები ღვინითა,
როცა ძან დავითვრები,
გვიან ავღებუნი დილითა.
თქვენი კოდები ყოფილა
სავსე და წმინდა ფქვილითა;
თქვენი ქვევრები ყოფილა
სავსე და წითელ ღვინითა;
თქვენი ფარები ყოფილა
სავსე და ცხვრითა ბინითა;
თქვენი გომური ყოფილა
სავსე და ძროხის ბინითა;

თქვენი მტერი წაქცეულა,
ვეღარა ძღება ძილითა;
ხალხი სუ ამოწყვეტოდა,
ეზიდებოდა ვირითა;
ვირი რო არ აადიოდა.
ურმებს იქერდა ქირითა,
მკვდარი არ გამოლეოდა
მუდამ ორშაბათ დილითა¹.

სახალხო რიტუალებთან დაკავშირებული სიტყვიერი შენოქ-
მედების ნაწილი მხოლოდ ქალთა პოეზიაა. მთქმელთა ცნობებით
ქალები ასრულებდნენ გონჯაობას, რომელთანაც დაკავშირებული
ტექსტი ამინდის ღვთაებისადმი მიმართული ვედრებაა. აღსანიშ-
ნავია, რომ ყვარლის რაიონში ამინდის შეცვლის გამოსაწვევი
მაგიური ხასიათის რიტუალი, რომლის აუცილებელ ელემენტს
„გონჯა“ შეადგენს, დაკავშირებულია ადგილობრივი ხასიათის სა-
ისტორიო თქმულებასთან. ამ პატრიოტული თქმულებით, რომე-
ლიც წააგავს ბერძნულ მითს აპოლონისა და დაფნის შესახებ (მი-
სი ვარიანტები ჩაწერილია ყვარელში, შილდაში, საბუეში, აღმატ-
ში, გრემში), როდესაც კახეთს შემოესია შაბაშყეინი (ზოგი ვარი-
ანტით შამილი, ან კიდევ უბრალოდ — ლეკები), მოსახლეობა
აიყარა და ტყეს შეეხიზნა, გაქცეულთა შორის ყოფილა გოგოლა-
შვილის ქალიც. მას თან წაუყვანია აკვანში მწოლიარე ბავშვი.
ქალს ის იყო უნდა დაწოდა მტერი, დაუჩოქია და ღმერთისთვის
უთხოვია: „თათრის ხელში ნუ ჩამაგდებ და ქვად მაქციეო“. ღმერთს
აუსრულებია თხოვნა და ქალი ბავშვიანად ქვად უქცევია.
ყვარლის რაიონის მცხოვრებნი ახლაც აჩვენებენ საბუეს ბოლოს
ქვებს, რასაც ქალ-ქვას უწოდებენ. როდესაც ძველად ყვარლის
რაიონში გვალვა ან მეტად წვიმიანი ამინდი იყო, რაც მოსავლის
გაფუჭებას იწვევდა, ამ ქალ-ქვასთან სრულდებოდა რიტუალი.
ქალთა ჯგუფს ქალ-ქვასთან ნიყავდათ ერთი რომელიმე გოგოლა-
შვილის ქალი. იგი ქვას მიმართავდა: „ამყე მამილო!“ — ამის შემ-
დეგ ქვას გადააბრუნებდნენ და წყალში ჩააგდებდნენ, თანაც დას-
ძენდნენ: „ღმერთო, წვიმა გვადირსეო“, ან „ღმერთო, მზის თვა-
ლი გვადირსეო“. შემდეგ სიმღერით, ფეხშიშვლები მიდიოდნენ
სოფლებში, მიჰქონდათ გონჯა (თოჯინა) და ყველა შემხვედრს
წუწავდნენ. საწესო პოეზიის კარგი შემსრულებელი, საბუის
მცხოვრები, 60 წლის ევა მოსიაშვილი გონჯაობის შესახებ ასეთ-

¹ ფ. არქ. № 30762.

ცნობას იძლევა: „შავიკრთეფდით ქალები თავსა, ეზოში ჩამაფე-
ლიდით. რასაც გამაგვიტანდნენ, იმით ვიქეიფებდით. თუ რო-
გორმე არ გამაგვიტანდნენ, ხელში კოვზი ეჭირა მებარგულეს და
იზას მიწაში ამაუსვებდით: „ეგრე დანიავდეს თქვენი სახლ-კარი“. ზოგი მთქმელის ცნობით, ვინც არ დაასაჩუქრებდა გონჯაობის
შემსრულებელთ, ოჯახის „განიავების“ მიზნით ეზოში გონჯას შე-
უგდებდნენ.

ყვარლის რაიონში ბოლოდრომდეა შემორჩენილი სამეურნეო
დღესასწაული „პირველმაისობა“. ოცი-ოცდაათი ქალი ებმება
ფერხულში და თან სიმღერით ასრულებენ „დიდებას“. ევა მოსია-
შვილის ცნობით „ოთხი და ორი ცალ-ცალკე მღეროდა, სხვები
ბანს ეუბნებოდა“.

საფერხულო „დათო - დათოც“ ქალების რეპერტუარში შე-
დის. ევა მოსიაშვილის ცნობით „დათობანას“ ქალები ასრულებდნენ
ხელიხელ გადაბმულნი, შუაში დათვი და მისი ცოლი იყო. ფერ-
ხულში მანაკაცები არ მონაწილეობდნენ. ამავე მთქმელისაგან ჩა-
წერილი საფერხულოს ტექსტი ასეთია:

დათო, დათო, ჩვენი დათო,
ჩვენი დათუნაო,
დათო ცოლი მოიყვანე.

(დათვი ხელსახოცს გადაუგდებდა კისერზე და მოიყვანდა ქალს)

დათესა ცოლი ავადა ჰყავ,
ჩვენი დათვია,
დათო, ექიმი მოუყვანე.

(და ექიმს მოუყვანდა. ახლა ვერყოდით)

ახლა წამალი მოუტანე (დააღვივებდა),
დათესა ცოლი კარგადა ჰყავ,
ჩვენო დათვიაო,
ითამაშე, ითამაშე,
ჩვენი დათვიაო¹.

ქალების პოეზიას წარმოადგენს სახადით (ხველა, წითელა,
ყვავილი) დაავადებულთან შესასრულებელი „იავნანა“. ჩაწერილია
„იავნანას“ საინტერესო ვარიანტები. ტექსტები ჩაწერილია სა-
წესო-მაგიური პოეზიის ცნობილ შემსრულებლებისაგან. შილდელი
მაშო ჩაღნელაშვილი ირწმუნებოდა, რომ ყვავილი, წითელა, ქუნ-

¹ ფ. არქ. № 30586.

თრუშა და ყივანა — ბატონებია. ისინი შეილებია ღვთაება ბარბარესი და ემორჩილებიან მის ბრძანებებს. ასეთი რწმენა ხალხისა ასახულია სასიმღეროებშიც. მაშო ჩაღმელაშვილისაგან ჩაწერილი ტექსტი, რომელსაც მან „ლოცვა ბატონებისა“ უწოდა, ვედრებაა წმინდა ბარბარესადმი. ამ სინღერას მთქმელის ცნობით ქალთა გუნდი ასრულებს ცეკვით.

საყურადღებოა „იავნანას“ ტექსტებში ისტორიული პირის ლევან ბატონიშვილის ბსენება. გავრცელებულია ლექსები ერეკლე მეორის ვაჟის, სამხედრო ნიჭითა და გმირობით განთქმულ ლევან ბატონიშვილის შესახებ. ერთი ლექსი, რომელიც გმირისადმი მიმართული, მტერთაგან გატაცებულ ქართველი ქალის მუდარას წარმოადგენს. იგი ასე იწყება:

ბატონიშვილო ლევანო,
მარგალიტისა მტევანო,
დალისტნელ ლეკებს მიყუევარ,
დამიხსენ, მათი ტყუე ვარო!

ამ საისტორიო ლექსის დასაწყისით ყვარლის რაიონის სა-
წესო პოეზიის შემსრულებლები აბოლოვებენ „იავნანას“. აღმატში
ჩაწერილია „იავნანას“ შემდეგი ტექსტი:

იავნანა ვარდონანა, იავნანიანო!
აქ ბატონები მობრძანდნენ, იავნანიანო,
როგორც მასელით გავჯახარე, იავნანიანო,
ისე წასვლით გავჯახარე, იავნანიანო.

იავუნდის მარანშიაო ღვინო ღვება ლალისაო,
შიგ ალვის ხე ამოსულა, ნორჩია და მხრებს შლისაო,
აქ ბატონები მობრძანდნენ, მაიყოლეს „ბუღკის“ პური, იავნანიანო,
ბატონიშვილო ლევანო, მარგალიტისა მტევანო, იავნანიანო!

საბუეში ჩაწერილი ტექსტი, რომელიც შესრულებულია ავად-
მყოფ პატარა ვანოსთან ასე მთავრდება:

შიგა წევს ბატონიშვილი, იავნანიანო,
ბატონიშვილი ლევანი, იავნანიანო,
მარგალიტისა მტევანი, იავნანიანო!

ყვარლის რაიონში ძლიერი ყოფილა შელოცვების ტრადი-
ცია, ახლა ის მხოლოდ გადანაშთის სახით გვხვდება. შელოცვების

¹ ფ. არქ. № 3235.

² იქვე, № 30741.

³ იქვე, № 30647.

ფიქსაცია არ არის აღვილი. კარგი შემსრულებლები მას უყურებდნენ, როგორც შემოსავლის წყაროს და ყველას არ ეტყოდნენ, რომ არ აეთვისებინათ მათი რეპერტუარი. ამისთვის შელოცვების ჩამწერს ხშირად უხდებოდა ავადმყოფობის მომიზეზება და შელოცვინება. გარდა ამისა, სწამდათ, თითქოს შელოცვა ხმაბლადი შესრულებით კარგავდა ძალას. ასე, მაგალითად, საბუის მცხოვრები ფეფე მკედლიშვილი მხოლოდ ჩუროჩულით ასრულებდა შელოცვებს. შილდის მცხოვრებმა მაშო ჩალმელაშვილმა, რომელიც შელოცვების შესრულებაზე დათანხმდა ექსპედიციის წევრთა მასპინძლის დიდი პატივისცემით (მისი დედობილი იყო) მასა და ჩამწერს ფოლკლორისტ თამარ ოქროშიძის შორის ფანქარი ჩასდო. ამგვარად მისი რწმენით შელოცვა შეინარჩუნებდა ძალას. შელოცვების ტრადიციაში აღსანიშნავია კიდევ შემდეგი მომენტები: ტექსტის სამჯერ შესრულება; ტექსტის კავშირი მოქმედებასთან (ნადირის პირის შელოცვისას სავარცხლის კბილების შეკვრა და სხვ.); სიყრმის (პირველი) შვილის წინ დაყენება, შემსრულებლისათვის გასამრჯელოს მიცემა (ს. აღმატის მცხ. 52 წლ. თამარ ვარდოშვილის ცნობით, წინააღმდეგ შემთხვევაში შელოცვა „არ გასჭრის“). შელოცვების ტრადიციაში აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველთვის არ არის აუცილებელი უშუალოდ შელოცვის ობიექტთან ტექსტის შესრულება.

ყვარლის რაიონში მეტწილად სამკურნალო ხასიათის შელოცვები ყოფილა გავრცელებული. არის სამეურნეო (ნადირის პირის შესაკრავი, მატლის და სხვა) შელოცვებიც.

მათ მეტწილად ასრულებდნენ მოხუცი ქალები, იშვიათად — მამაკაცებიც. მამაკაცთაგან შელოცვების მცოდნე იყო მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე, საბუის მცხოვრები, ვანო მიქელაშვილი. ჩვენის აზრით, მამაკაცები მეტწილად სამეურნეო შელოცვებს ასრულებდნენ. ქალთაგან გამოირჩეოდა შილდელი 70 წლის მაშო ჩალმელაშვილი, რომელიც მხოლოდ მაგიური პოეზიის შემსრულებელია. მაშო ჩალმელაშვილი ირწმუნებოდა, რომ მის შელოცვებს განსაკუთრებული ძალა აქვს.

მაშო ჩალმელაშვილს აქვს სიტყვების მეტად მდიდარი მარაგი. განსხვავებით შელოცვების სხვა შემსრულებლებისგან იგი თავის ტექსტებს ასე აბოლოვებდა:

ცული პირით მონაქერი
ცულსა ტარათ დეეგება.
ჩემი პირით შანალოცი
ამ ავანტყოფს შეერგება.

ამას თან ურთავს იგი ტრადიციულ სტრიქონებს:

ხელი და სიტყვა ჩემი,
რგება შენი უფლო!

ასე დაამთავრა მაშო ჩალმელაშვილმა თოთხმეტი ტექსტი შელოცვისა¹.

საწესო-მაგიური პოეზიის ტრადიციასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ პოეზიის ეს თავისებური უბანი ამჟამად კვდომისა და გადაგვარების გზაზეა. ამის მაჩვენებელი სხვათაშორის ისიცაა, რომ ზეპირსიტყვიერების ამ დარგში შედის არა მაგიური პოეზიის ნიმუშები ან ელემენტები. ასე მაგალითად, საწესო-მაგიური პოეზიის ტიპური შემსრულებლის, ნატო პეიტრიშვილისგან ჩაწერილ „იავნანას“ ტექსტში გამოცანაც არის შესული.

იავნანა, ვარდონანა, იავნანინაო.
აქ ბატონები მობრძანდნენ, იავნანინაო.
ბატონის დედა ბარბარე, იავნანინაო.
იადონის მარანშია, იავნანინაო.
ლვინო დგება ლალისაო, იავნანინაო.
ზედ ბულბული შამოჯდარა, იავნანინაო.
ტიქტიქითა, გალობითა, იავნანინაო.
ეს აკვანი ხარატული, იავნანინაო.
შიგ მწოლელი დახატული, იავნანინაო.
ეს აკვანი ანწლისაო, იავნანინაო.
შიგ მწოლელი ცხრა წლისაო, იავნანინაო.
ასიანთ ქალი ვიყავ, იავნანინაო.
ასი კაბა მეცვა, იავნანინაო,
ასმა ნიავმა შამამკრა, იავნანინაო.
ასათ ჩამიკეცა, იავნანინაო.
ბატონი ქუდსა ვკერავდი, იავნანინაო,
ახლო ახლო ლიანდავით, იავნანინაო.
დაბლა ნემსი ჩამივარდა, იავნანინაო,
ბატონი დედა ბარბარე, შენ მამიტანეო, იავნანინაო².

საწესო-მაგიური პოეზიის კვდომის მაჩვენებელია ისიც. რომ საშობაო „აღილოს“ სიმღერით შესრულების პროცესში ჩაწერილ ტექსტში შესულია საღალღობო შირი.

საწესო-მაგიური პოეზიის ნიმუშთა ტრანსფორმაციის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე „მაყრულის“ ტექსტი.

¹ ფ. არქ. № 30615—30627.

² ჩაწერილი ყვარელში 1947 წ. ელენე ვირსალაძის მიერ.

წერა-კითხვის მცირემცოდნე მთქმელისაგან ჩაწერილი საქორწილო
სიმღერა ნიმუშია სუფრულის, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ გა-
ხალხურებული ფრაგმენტისა და გამოცანის კონტამინაციისა:

არულალო, თარულალო,
არი ალალო!
მრავალჯამიერ, მრავალჯამიერ,
მადლობელი ვარ!
მადლობელი ვარ ჩვენო თამადავ
სადღეგრძელოდთვინ!

სადაური ხარ დედილო,
ან სადაური ქალიო,
თბილისური ვარ ქალიო,
ბერიძე მყავდა ქმარიო.
შვიდი გავზარდე ვაჟაკიო,
შვიდივე ლობთა დარიო.
შვიდივე ერთ დღეს დამეხოცენ,
მამაც იმათთან შევდარიო.
შვიდ დღესა ვთხარე საფლავი
იმათი შასადარიო.

ეს ხომ იცი, ჩემი ძმა ხარ,
ახლა ჩემი ცოლია შვილი,
წადი, მამაშენს უთხარი,
მამავ, მაგივიდა შვილი¹.

აღნიშნული გარემოებანი საწესო-მაგიური პოეზიის ტრადი-
ციისა მაჩვენებელია ფოლკლორის ამ თავისებური უბნის კვლო-
მისა, ან კიდევ მისთვის ძველი სოციალური ფუნქციის გამოც-
ლისა.

რაც შეეხება მთქმელებს, როგორც აღვნიშნეთ, ყვარლის
რაიონში საწესო-მაგიური პოეზიის გარკვეულ ნაწილს მამაკაცები
ასრულებდნენ, გარკვეულს — ქალები. ზოგს-კი (მაგალ.შელოცვებს)
ქალებიცა და მამაკაცებიც.

საწესო-მაგიური პოეზიის შემსრულებლების რეპერტუარში
შედის ფოლკლორის თითქმის ყველა დარგის ნაწარმოები. იყვნენ
ისეთი მთქმელებიც, რომელნიც მხოლოდ საწესო-მაგიური პოე-
ზიის ნიმუშებს ასრულებდნენ. ასეთებია: შილდის მცხოვრები მამა
ჩალმელაშვილი და ყვარლის მცხოვრები ნატო პეიტრიშვილი.

¹ ფ. არქ. № 30718.

ყვარლის რაიონში ფართოდაა გავრცელებული მცირე ჯან-რის ნაწარმოებები, როგორცაა — ანდაზები და გამოცანები. იქ ჩაწერილია სხვადასხვა გზით შექმნილი ანდაზები. ზოგი ზეპირი წარმოშობისაა ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვების შედეგად, ზოგი-კი წიგნიდან მომდინარეობს. ყვარლის რაიონში ჩაწერილი ანდაზები მცირე გამონაკლისს გარდა, ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

რაც შეეხება გამოცანებს, მათი ტრადიცია ძლიერია ბავშვებში. განოცანები უფროსებშიც არის გავრცელებული. გამოცანების ტრადიციაში აღსანიშნავია შეჯიბრი სოფლებითა და ქალაქებით. ეჯიბრებიან ადგილობრივი სოფლებითა და ქალაქებით, როგორცაა: თელავი, შილდა, ყვარელი, საბუე და სხვ. ცდილობენ შეინარჩუნონ კარგი ადგილები. ვინც ვერ ახსნის გამოცანას, ის „წააგებს“ ქალაქს ან სოფელს. ზოგი გამოცანა ჩაწერილია ასეთი შეჯიბრების პროცესში. ასე, მაგალითად, ჩვენ გავაჯიბრეთ ხუთი ბავშვი და ამგვარად ერთ სეანსზე ჩავიწერეთ 55 გამოცანა. ყვარლის რაიონში ბოლო დრომდე გავრცელებულია ბევრი ისეთი გამოცანა, რომელიც ძველი ყოფის საფუძველზეა შექმნილი. მათი ახსნა გაუძნელებათ თანამედროვე ბავშვებს. ასეთია გამოცანები დიდ მარბვაზე, სანთელზე და სხვები. გამოცანების გარკვეულ ნაწილს ადგილობრივი ელფერი აქვს. ზოგი მათგანი ასახავს საქართველოს ამ კუთხის წარსულ ბედუკულმართობას. ასე, მაგალითად, გამოცანა ზღმარტლზე ქცეულა კახეთში ლეკთა თარეშის ამსახველად: „ტყიდან წუწიანი დიდო გამაიყურება“. ამ პატარა გამოცანაში აშკარად იგრძნობა კახელი მოსახლეობის დიდი სიძულვილი მოთარეშე გარეშე მტრებისადმი.

გამოცანები იციან ყველა ასაკის მთქმელებმა, — განსაკუთრებით კი, როგორც აღვნიშნეთ, გამოცანის ტრადიცია ძლიერია ბავშვებში.



საქსპრატომო სამეცნიერო მივლინებანი.

1944 წ. 22 ივლისიდან 20 აგვისტომდე და 1946 წ. 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ მივლინებული ვიყავი ხევსურეთში. მივლინების მიზანი ორივე შემთხვევაში იყო თანამედროვე და ტრადიციული ჟანრის ხალხურ ნაწარმოებთა შეკრება და მათზე დაკვირვების მოხდენა. 1944 წ. ძირითად სამუშაოდ ავირჩიე პირიქითი ხევსურეთი. გავემგზავრე შემდეგი მარშრუტით: თბილისი — უკანა ფშავი (შუაფხო) — ბარისახო — ლელის ვაკე — ქმოსტი — ფაფარენა — როშკა — არხოტი. თვრამეტი დღე ვიმუშავე არხოტის თემში (ჭიმლა, ახიელა, ამლა). დანარჩენი დრო გავატარე პირაქეთ ხევსურეთში — როშკაში, ჩირდილსა და ბარისახოში. 1946 წ. მუშაობა ძირითადად ბუდე-ხევსურეთში მიმდინარეობდა. სამგზავრო მარშრუტი იყო: თბილისი — ბარისახო — ლული — ჩიუბო-ქალა — წინ-ჯადუ. ათი დღე დავყავი წინ-ჯადუში. საიდანაც მოსახერხებელი იყო უკანა-ჯადუშიც მუშაობა. წინ-ჯადუდან სამუშაოდ დავბრუნდი ბარისახოში შემდეგი მარშრუტით: წინ-ჯადუ — ატაბე — ბაცალიგო — ლული. ბარისახოში მასალებს ვიწვრდი როგორც იქაური, აგრეთვე სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსული მთქმელებისაგან. განსაკუთრებით ხელსაყრელი იყო საავადმყოფოში მწოლარე მსუბუქ ავადმყოფებთან მუშაობა. აქ ჩავიწვრე მასალები აყნელიონ, ჯავმატელ, ლიქოკელ და შატილიონ მთქმელებისაგან. 1944 და 1946 წლების ზაფხულის განმავლობაში მასალები შევკრიბე პირიქით და პირაქეთ — ხევსურეთის ოცი სოფლის მცხოვრებ მთქმელთაგან. სულ ჩავიწვრე სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა ოთხასი ტექსტი.

მასალების ჩაწერა ხევსურეთში შესაძლებელი იყო მხოლოდ სამ დღეს, რასაც იქ „უქმეს“ უწოდებენ. პირიქით-ხევსურეთში უქმობენ პარასკევს, შაბათსა და კვირას; პირაქეთში შაბათს,

კვირასა და ორშაბათს. დანარჩენ დღეებში თიბვისა და მკის დროს შინ არავინაა, ღრმად მოხუცებულსა და ძუძუმწოვარი ბავშვის მომვლელის გარდა. „უქმე“ დღეებშიაც ხევსურები შინაური, საოჯახო საქმეებით არიან გართულნი. ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრების მიზნით საველე მუშაობის ჩატარება ხევსურეთში გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ბარში ან საქართველოს სხვა ნაწილში ადგილებში. ხევსური მთქმელის ბუნებრივ პირობებში ჩაყენება არც ისე ადვილი საქმეა. მთქმელებთან ურთიერთობის დანყარებაში დახმარება გაგვიწია ეთნოგრაფმა თინათინ ოჩიაურმა. მთქმელების ბუნებრივ პირობებში ჩასაყენებლად ხშირად ვიყენებდი აკ. შანიძის წიგნს „ხალხური პოეზია“. ხევსურთა დიდი უმეტესობა იცნობს ამ წიგნს და ამის გამო ნაწილობრივ შეგნებული აქვს შემკრებლობითი მუშაობის მნიშვნელობა. აკ. შანიძის წიგნის საშუალებით ვახერხებდით ცნობილი მთქმელების ბუნებრივ პირობებში ჩაყენებას. აღსანიშნავია, რომ ერთი ჩემი მთქმელი, 17 წლის ლაგაზა ზაიელი (უკანა-ჯაღუს მცხოვრები) ერთგვარ აგიტაციას ეწეოდა თავის სოფლებთან, „თქვენი ნათქვამი პოეზიაში დაიწერებაო“.

ხევსურეთში მეტნაკლებად გავრცელებულია ხალხური სიტყვიერების ყველა ჟანრის ნაწარმოები.

ზ ლ ა პ ა რ ს ხევსურები ა მ ბ ა ვ ა ს უწოდებენ. მათი ცნობით „ამბავანი იციან მჩეჩლებჩი და მწყემსობაჩი“. ზღაპრები ჩაიფიქრე ქალებისაგან და ბავშვებისაგან. ზღაპრები იციან მამაკაცებმაც. ხევსურეთში ზღაპრის ისეთი ძლიერი ტრადიცია არ არის, როგორც მაგალითად, სვანეთში, სადაც იგი რელიგიური რიტუალის ელემენტსაც კი შეადგენს. ამჟამად ხევსურეთში არც ზღაპართან დაკავშირებული ტაბუ იგონობა, რაც საქართველოს ბარში და ფშავშიც ბოლო დრომდე იყო შერჩენილი. მეტი წილი ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტებისა საქმაოდ ვრცელი მოცულობის რეალისტურ-საყოფიერო ელემენტების ქარბად შემცველი ფანტასტიკური ზღაპრებია. ჩაიფიქრეთ ცხოველთა ეპოსის ნიმუშებიც. ჩვენ მიერ ჩაწერილი ზღაპრების ნაწილს ადგილობრივი ელფერი აქვს, ნაწილი-კი უდაოდ შემოტანილია. ხევსურებს მწყემსებად ხშირად დაქირავებული ყავთ მოხვევები და მთიულეები, რომლებიც ხევსურეთში ავრცელებენ თავიანთ რეპერტუარს. უნდა აღინიშნოს, რომ ფართოდ გავრცელებულ ზღაპრებსაც ხევსურეთში კუთხური ელფერი ადევს. საილუსტრაციოდ მოგვყავს საერთაშორისო ხასიათის ცხოველთა ეპოსის ნიმუში, ჩაწერილი წინ-ჯაღუსში 13 წლის ჩალხია ყუდიას-ძე არაბულისაგან. მას ეს ზღაპარი გაგონილი აქვს

მისი ბაბუასაგან, ცნობილი მთქმელის ხახონ არაბულისაგან: „ერთ-
ყოფილ ჩიტი. იმას ხქონია ბუდე. მიღმ ბარისანება ვიციოთ ტყეჩი.
მისულ მელაჲ ი ჩიტის ბუდის ხის ძირჩი.—ჩამამიგდივ ე წიწილაივ
უთქომ, თორო ამავხტებიო და მაგკლავე და შენ შვილებს დაე-
ქამაო.

ჩაუგდებავ ი ჩიტს ერთა წიწილუაი. სრუ ყველა ხყოლივ
ჩიტს სამ წიწილაი, ორი კიდევ დაშრომივ. კიდევ მისულას მელაჲ
და უძახებავ:

— კიდევ ჩამამიგდივ თორემ ჳეიციულაი მაქვევ და მავშქრივ
ხესაო და ჩამალვარდებივ შენაცავ, შენაც შავქამო და შენ შვი-
ლებსაცავ.

ტირის ი ჩიტი; ჩაუგდებავ კიდევ ერთი. წაილა, შაკამ. ერთ
კიდევ დაშჩ. მემრ თუ ტირის ი ჩიტი. მავიდ ყვაი. — რა გატი-
რებსავ ჩიტო, უთხრ ი ყვაემ—მელამავ ბარტყებ დამიქამაო.

მემრიადა — აბა თუ კიდევ მავიდასუ უთქომ ი ყვაეს ჩიტი-
სად, მაშინისა უძახიდივ, რო თვალნ დაიმწუხენიო¹, ლაშნ აირთ-
ხენივ² და ჩამაგიგდებავ ჩიტსავ. ი ყვაემ უთხრ, რო ლაშში ჩაუ-
სვარიდივ შიგაო, ჩიტ ეგონებისავ და ჩაუსვარ შიგ ჩიტმა.

— ფუი, ფულიეო, ქნა თუ მელავ, — ეგ ვინ გასწავლავ.

— ეგი აი ყვაემ მასწავლავ, ჩიტმ უძახა.

ყვაი ზეით ფრინავს. წავი თუ ის მელა. მემრიადა იქით მა-
მულეზჩი აქეხის გორ ვიციოთ, ყანები აქეხის იქითი. ამავგორდ მე-
ლაი, ტალახჩი ამეეთრუვა და ყვაეს მკვდარ ეგონა და ჩავიდ ეს
ყვაე ზედ დააჯდ. დაიჭირ მელამ ი ყვაი — ეესლა რა გიქნავ, სად
წავიყვანავ, რატელ მაგკლაო. დიდ ბექ ვიციოთ. იმ დიდ ბექ ქვე
ნუ ვადამაგდებაო, სხეაკან საც გინდა წაიყვანე. წაიყვან მელამა
და იქ ვადაავდ ი კლდეზე. გაფრინდ ყვაი, ხეზე შავჯდ. გახენ
მელამა და იქავ გაფრინდ. მემრიადა წასულ მელაი და იქავ ამა-
გორდ ი მამულეზჩი ბაიკელს³. მავიდ ი ყვაი და იქავ ზედ და-
აჯდი, იქავ მკვდარ ეგონ. დაავლ მელამ პირი ყვაეს, — ეესლა სად
წავიყვანავ, უთხრ ყვაეს მელამ. ყვაემ უთხრ რო, წინ-ვალუელ
ძალლებს ნუ შამაქნიევაო და სხეაკან საც გინდა წაიყვანე.

წანიყვანა და ე ქვეთი ამაჩინდა, პირჩი ყვაე უქერავ მელას.
— ეესლა მიუსიკავთავ⁴ ძალლებივ წინვალუელნო. მიუსიკავებავ

¹ დახუქეო.

² პირი გააღეო.

³ ადგილის სახელია.

⁴ მიუსიეთო.

წინ-ჯადუელთ ძალებე ი მელაისად, ო ლე და რო დაუახლოვდეს ი მელას ი ძალებე, მაშინ გაუსრივ ი ყვაეი მელამ ძალებეს, — შაქამეთავ ე ყვაეივ. გაფრინდ ი ყვაეი და ტყეზე შაჯდა: ან კია მელას გაუდგეს ი ძალებე, ყვაეს რას გაუდგებოდეს. მისდევნეა და ჩაუძვრი ი მელა სოროჩი. იფიქრ მელამ:

— კულო, შენ მამძიმებდი, კინალ ძალებემ შამქამესავ, ვერ გამავიქეცივ ჩქარადაო. მიუქირ ძალებეს ი კუდი სოროშიიდ, და-ასხდეს ი ძალებე და მელა ქოო ამათარეს¹. შაქამეს ი მელაჲ.

ტაბაჩი და ხონჩა,
გათავლა და შორჩა“.

საკმაო რაოდენობით ჩავიწერე საისტორიო ხასიათის სხვა-დასხვა ქანრის ნაწარმოებები. პროზაული ქანრის ასეთ ნაწარმოებებს (გადმოცემებს, თქმულებებს, ლეგენდებს) აღნიშნავენ ტერმინით ან დ რ ე ზ ი. ანდრეზს უწოდებენ როგორც მარტივ საგვარეულო ამბავს, ისე ფართოდ გავრცელებულ თქმულებას ცნობილ ისტორიულ პირზე. ანდრეზები ძირითადად მოხუცი მამაკაცების რეპერტუარია. ჩემი მთქმელები საისტორიო ნაწარმოებებს ასე უპირისპირებდნენ ზღაპრებს: „ამბავა ტიყუილი ას, ანდრეზ მართალი“. ხევსური მთქმელები ამ ქანრის ნაწარმოებთა აღმნიშვნელად იშვიათად, მაგრამ მაინც იყენებენ აგრეთვე ტერმინს ა მ ბ ა ვ ი. ახიელი მთქმელის გერგეტელის განმარტებით „ამბავ რო დაველდების, ანდრეზ იქნების“. ხევსურები დიდი პატივისცემითა და სეროიზულობით ეპყრობიან ანდრეზებს, — განსაკუთრებით საგვარეულოს.

ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი ნოჲენტი 1946 წლის საველე მუშაობიდან. ს. გველეთის მცხოვრების 17 წლის ბერდია არაბულისაგან ბარისახოში ჩავიწერე ჩემთვის უცნობი გადმოცემა ერეკლე მეორის შესახებ. ამ გადმოცემით ბაცალიგოს მცხოვრებ გიორგი არაბულის ცოლს ერეკლე მეორისაგან შეეძინა ვაჟი, რომელსაც ბიჩინაგა დაარქვეს. შულლის დროს გიორგის ერთმა მეზობელმა დააყვედრა ეს ამბავი. ამის გამო გიორგი აიყარა ბაცალიგოდან და გველეთში გადასახლდა. გველეთელი არაბულები (ოც კომლამდე) თავიანთ თავს ერეკლეს შთამომავლად თვლიან.

აღსანიშნავია, რომ ჩემი ახალგაზრდა მთქმელი დიდ უხერხულობას გრძნობდა ანდრეზის მოყოლის გამო და, შიგა და შიგ ხშირად ჩაურთავდა „ეგი უფროსებმ უკეთესად იციანო“. ორი

¹ ამოთარიეს.

დღის შემდეგ გველეთიდან ბარისახოში საგანგებოდ ჩამოვიდა 67 წლის ვანო არაბული, ანდრეზებისა და იქაური ეთნოგრაფიული ყოფის კარგი მკოდნე და, რადგანაც მე შუაფხოში ვიყავი წასული საღამომდე შელოდა სასტუმროს კარებთან. მას გაეგო, რომ ბერდიასაგან ჩავეიწერე მათი საგვარეულო ანდრეზი, შეწუხებულიყო, — „ბაღმა ანდრეზებისა რა იცისო“ და საჭიროდ ეცნო ბერდიასაგან ჩაწერილი ანდრეზის უფრო ვრცელი ვარიანტის მოწოდება. ანდრეზებისადმი სერიოზული დამოკიდებულების გარდა, ეს ფაქტი მაჩვენებელია ხევსურეთში ერეკლე მეორის ძლიერი კულტისა. მკაცრი ეთიკის ხევსურები არ თაკილობენ ერეკლეს უკანონო შვილის შთამომავლად აღიარონ თავი.

ვანო არაბულმა მისი ვრცელი ვარიანტი ანდრეზისა ასე დაამთავრა: „ეს ანდრეზი მამამ ჩემბაბუამ თოთიამ, ბიჩინაგაიშვილმ, შვილიშვილმ ერეკლისამ“.

ერეკლეს ციკლის ნაწარმოებებს გარდა ხევსურეთში გავრცელებულია ზურაბ ერისთავის ციკლის ნაწარმოებები და თამარ მეფის სახელთან დაკავშირებული მსოფლიო მოტივის შემცველი ლეგენდა. ამ ლეგენდის ხევსურული ვარიანტებით ირმის ძუძუთი გაზრდილი თამარის მიტოვებული ბავშვი ერეკლე მეორეა.

ეპიური ციკლის ნაწარმოებებს („ამირანიანს“, „ეთერიანს“, „როსტომიანს“) ხევსურეთში გავრცელების ფართო არე აქვს. საგულისხმოა, რომ ჩემ მიერ ჩაწერილ „ამირანიანის“ თორმეტ ვარიანტში არ არის გმირის ღმერთთან ბრძოლისა და კლდეზე მიჯაჭვის მოტივები. ჩემი მთქმელები (ამლიონი ჯირჩლა წიკლაური, ახიელი გერგეტელი, რომეიონი თოთია წიკლაური) ამირანს ამინარს უწოდებენ.

ხევსურებმა იციან, რომ ეპიური ციკლის ნაწარმოებები არც ზღაპრებია და არც ანდრეზები, თუმც უკანასკნელს უფრო უახლოვებენ მათ. გერგეტელის თქმით „ამინარს ქვა გაუწურავ და რძე გაიდა ქვასა, ეგე ას ანდრეზი“.

თოთია წიკლაურმა აბესალომისა და ეთერთან დაკავშირებული ბიბლიური თქმულება ადამ და ევას შესახებ ასე დაასრულა: „ქვეყანა იმათი (ე. ი. აბესალომისა და ეთერის — ქ. ს.) მაგებულიაო და, ტყუილია თუ მართალია, ვერც მე გეტყვიო“.

გამოცანას ხევსურები საცნაურას უწოდებენ. მთქმელების ცნობით „საცნაურას უყენებენ ბაღლებს“. ამით აიხსნება, რომ გამოცანები მეტწილად ბავშვებსა და მოხუც ქალებშია გავრცელებული. ხევსურული გამოცანების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივი ხასიათისაა. მათი თემატიკა (როგორც ჩაფიქრების,

ისე ამოცნობის მხრივ) და მხატვრული მხარე ადგილობრივი პირობებითაა განსაზღვრული. ჩავიწერე გამოცანები ზეაზე, ქექაქუხილზე და საერთოდ ბუნების სტიქიაზე, რაც დამახასიათებელია მთისთვის. ჩავიწერე გამოცანები აგრეთვე იქაურ საქმიანობაზე — თიბვაზე, მკაზე, კალოობაზე, წინდების ქსოვაზე და სხვ.; საკმაო რაოდენობითაა ჩვენს შეკრებილ მისაღებში გამოცანები ადგილობრივ ტანსაცმელზე: წრიაპებზე, ჯლანებზე, წინდებზე და სხვ.

საქართველოს სხვა კუთხეებში ცნობილ გამოცანებსაც ხეესურეთში კუთხური ელფერი მიუღია, ზოგჯერ მათი ახსნაც კი შეუცვლიათ. ასე, მაგალითად გამოცანა ხელსა და თითებზე „ხე მრუდი და ხე მართალი, ასხია ხუთი მარცვლი“ სამკაულების მოტრფიალე ხეესურებში საყურეების გამოცანად ქცეულა და ნაწილობრივ შეცვლილია: „ხე მრუდი და ხე მართალი, იმის თავჩი ცბრა მარცვლი“.

ან და ხეების, მხოლოდ ორიოდ ტექსტი ჩავიწერეთ. საერთოდ ამ ენარის ნაწარმოებთა შესაკრებად საჭიროა ხანგრძლივი დაკვირება ჩვეულებრივ საუბარზე, რაც ვერ მოხერხდა მოქმელებთან მხოლოდ რამდენიმეჯერ შეხვედრის შემთხვევებში. ანდაზას ხეესურები ძველთა ნათქვამს უწოდებენ, რითაც მთლიანად არ არის გათვალისწინებული მისი შექმნის მრავალგვარი პირობა.

შელოცვები რასაც ისინი ლოცვებს უწოდებენ, ქალთა რეპერტუარია. აქვთ როგორც სამკურნალო, ისე სამეურნეო ხასიათის შელოცვები. მათი ფიქსაციაც საკმაოდ გაძნელდა. ხეესურებმა იციან მოსაჯადოებელი ტექსტებიც (ахъахъахъахъ). ბუღეხეესურეთში ჩავიწერე სამი ასეთი ტექსტი — ორი გველის გასაჩერებელი და ერთიც მუხლუხოს მოსაკლავი.

1944 წ. შემთხვევა მქონდა ხეესურული მოთქმა მომესმინა ს. ამლაში გამართულ „საქნარში“ (მიცვალებულის სულის რიგი). მოთქმის ერთი სახე — ძახილი ჭირისუფლებმა (კოლმა, ქალიშვილმა, დამ) შეასრულეს: მეორე სახე — ხმით ტირილი, შეასრულა პროფესიულმა მოტირალმა. შინაარსეულად ჩვენს მიერ მოსმენილ ძიხილსა და ხმით ნატირალს შორის არ იყო განსხვავება. მეგრული და ქართლური „ზარის“, თუშური „დალაჯს“ და სხვ. მსგავსად ისინი მოსთქვამდნენ მიცვალებულისა და მისი მახლობელი ადრე გარდაცვლილი პირების განვლილ ცხოვრებას, მის ავადმყოფობას, სიკვდილს, იქვე მოვისმინე

„მესულთანეს“ (ნიცვალეზულის სულის მაგივრად მოლაპარაკის) ტექსტი. „მესულთანე“ მადლობას უხდოდა ჰირისუფლებს პატივისცენისათვის, „საქნარის“ გამართვისათვის და სხვ.

ხალხური სიტყვიერების ჟანრებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი ხევესურეთში ლექსებია.

აკაკი შანიძის ღვაწლის შედეგად ტრადიციული ხევესურული ჰოეზია ცნობილია მკითხველთა ფართო მასებისათვის. ამჟამად ლექსები შედის ყველა ასაკისა და ორივე სქესის ხევესურ მოქმელთა რეპერტუარში. ლექსებსა და სიმღერებს მეტწილად მუსიკალურ ისტრუმენტზე მონოტონურად დასძახიან. პირიქით ხევესურეთში გარმონს ფანდური თითქმის განუდევნია ხმარებიდან. ბუდე-ხევესურეთში კი ფანდურია ხმარებაში. იქ გარმონი, რასაც „ბუზიკანტს“ უწოდებენ მეტად მცირე გამოჩაყლის აქვს. ახალგაზრდა ხევესური, რაც არ უნდა დალლილი დაბრუნდეს საღამოთი შინ, ფანდურს მაინც ააქლერებს და დასძახებს სიმღერას. ისე დამახასიათებელია ხევესურულ ოჯახში ფანდურის ჟღერა, რომ ამაზე გამოცანაც შექმნილა — რაც რამდენიმე მოქმელისაგან ჩავიწერე: „კარისას გარმავიარე, ბუზუნი გამადიოდა“. ჰოეზიის ნიმუშების ჩაწერისას საგრძნობი იყო ტექსტისა და ნელოდიის უძველესი, მტკიცე კავშირი. ხშირ შემთხვევაში მოქმელები ტექსტის გასამართავად მელოდიას იშველიებდნენ. ასე, მაგალითად, ნიკიერი ქალი შუქია არაბული (წინ-ჭადუს ნიციხურები) ვერ ახერხებდა ლექსის მელოდიისაგან დამოუკიდებლად თქმას და იშველიებდა ფანდურის აკომპანიმენტსა და ჰანგს. მის რეპერტუარში (რაც მთლიანად სასიმღეროა) ტექსტისა და სიმღერა-მუსიკის კავშირის მაჩვენებელი მდიდარი მასალაა, ასეთებია მისგან ჩაწერილი ლექსების დასაწყისები:

„გარმავიტანე ფანდური,
ლექსი მაქვს დასათვლელი,
ძალე მაგვივა ზაფხული,
აქამდე თუ იყვ სთველია...“
-გარმავიტანე ფანდური,
ლარებმ გაიღეს ჟღარილი,
ნეტაეი თეთროსანაო,
მაგ თუ არ იყვა კეკიანო“...

გარდაცვლილი ნიკიერი პოეტი ქალის აშექალ გაბურის ლექსში, რომელიც ამჟამად გავრცელებულია პირიქით ხევესურეთში, ასეა აღნიშნული ტექსტისა და მუსიკის კავშირი:

„ოქერო წუთისოფელო
ბევრამ დრომ ჩამაგიარა,
დაჩუმებულხარ გარმონო,
ბანს არ მაყოლებ ტიალო...“

ხევსურულ პოეზიაში ამჟამად არის როგორც საქართველოს მთაში ფართოდ გავრცელებული („შატილს გადიდდა ჯოჯობი“ და სხვ.), ისე ყოველდღიურ ცხოვრებაზე შექმნილი ვიწრო ლოკალური ლექსები. აღსანიშნავია, რომ ჩემი მთქმელები გაურბოდნენ აკ. შანიძის „ხალბურ პოეზიაში“ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა ვარიანტების თქმას, ვიდრე არ დავარწმუნე ჩვენს ინტერესში, როგორც უცნობ, ისე ცნობილ ნაწარმოებთა მიმართ.

ხევსურებს უყვართ „შამღერებანი“, რასაც მეტწილად იმპროვიზაციის ხასიათი აქვს. როგორც საგმირო ხასიათის, ისე გამოსაჯავრებელი შამღერებანი ხევსურული ლხინის აუცილებელი ატრიბუტია. 1944 წელს არხოტში (ს. ამლაში) ათენგენობის ხატობის დიდ ღრეობაში მოვისმინე შამღერებანი, სადაც იმპროვიზიციაში გამოირჩეოდა ახიელი გარსია ოჩიაური. ჩავიწერეთ საგმირო ხასიათის ლექსები, რასაც ისინი სიმღერას უწოდებენ. მათ შორის ბევრია საისტორიო — თამარ მეფეზე, ზურაბ ერისთავზე, ერეკლე მეორეზე და სხვ. საკმაო რაოდენობითაა ლექსები ქისტებთან ბრძოლაზე, არაოტივენბისა და პირაქეთელ ხევსურების ერთი ნეორის დაღამქვრანე და მონადირეებზე.

ამჟამად ხევსურული პოეზია მდიდარია აგრეთვე სატრფიალო ლირიკით, რასაც ისინი საქალვაჟო ლექსებს უწოდებენ. საქალვაჟო ლექსები ძირითადად ახალგაზრდობის რეპერტუარია. მათ შორის ყურადღებას იქცევენ ლექსები, რომლებშიაც იგრძნობა ახალგაზრდობის უკმაყოფილება, გამოწვეული ძველი ჩვეულებით — ქალ-ვაჟთა აკვანში დანიშვნით.

აკვანში დანიშნულთა ფაქიზი გრძნობა ხშირად სხვას ეკუთვნის. ჩვეულების წინააღმდეგ ვერ მიდიან და ეს არის საფუძველი მათი სევდისა. დამახასიათებელია ამ მხრივ შუქია არაბულის რეპერტუარიდან შემდეგი ლექსი:

ქალი: — ნისლი წავიდა ცისკვლა,
ნამი შაბერტყა ქარშაო,
ჩამავაბნე ცრემლები
შაწუხებულმა ქალმაო.
ვაი რო პირსა ვერ უტეხ
დედა-მამასა, ძმათაო,

თორღ შინ შაგვიდლოდ,
 არ ვაუბნებდი სხვათაო.
 ვაჟი: — მე შენკენ გამავემართე,
 შამავეხვდი გველის ჯარსაო,
 დაძრა სუყველამ ენაი,
 შენ თავს სხვას ირჩევს ყმასაო.
 მიებრუნდი გაფოთებულნი,
 შაუგმი თავის თავსაო.
 რათ არ ჩავიციამ ბეგთარსა,
 რად არ შავიბამ კმალსაო,
 ავხკაფდი ლეკებურადა
 შენ შინ წამყვანსა ქმარსაო.

ღემ მიერ შეკრებილ სატრფიალო ლირიკის ნიმუშებში საკ-
 მათ რაოდენობითაა სწორფრობის საფუძველზე შექმნილი ძმობი-
 ლისაღნი (სწორფერს ხევესურები ძმობილს უწოდებენ — ქ. ს.)
 ნიძღვნილი ლექსები. სწორფერის ერთ კარგ თვისებად კარგი
 მოლექსეობაც ითვლება. ხევესურულ პოეზიაში გაკიცხულია ცუ-
 დად მოლექსე ცუდი სწორფერი. ნიქიერი მოლექსის, ამჟამად
 უკვე მოხუცი ლელა ბალიაურის თქმით, „ბეჩავ ქალაი, ლექსის
 თქნა რო ვერ იცის, იმას სწორფერიც თავის ფერი ხყავ. იმ
 ქალს თუ უთხრნ ლექსნი:

მინდოდიო, განდოდიო,
 ვირიშვილო სდილობდიო,
 შენ რომ ღვიძლი გტკიოდაო,
 მე ძალიან ვტიროდიო“.

ხევესურული პოეზიის ტრადიციაში მნიშვნელოვანი მოვლენაა
 ბოლოწდე შერჩენილი ჩვეულება ქალის სამრელოში გაბიზენისა.
 ყოველთვიურად რამდენიმე დღით ჯალაბიდან გასახლებული ქალი
 სამრელოში ქმნის ლექსებს, მეტწილად საყოფიეროს. ჩვენ ჩავი-
 წერეთ ქალთა ასეთი პოეზიის რამდენიმე ნიმუში. მათში აღნიშ-
 ნულია ლექსის შექმნის გარემო. მაგალითად, შუქია არაბულის
 რებერტუარიდან ერთი ლექსი ასე იწყება:

რშაბათ გათენებადა
 ქალ სამრელონი ვარია,
 გული საგონზე წამსლიყვა,
 კა მგონებიყვა დარია,
 სამრელოს გასაოქრებასა
 ჩამასტეხიყვა ბანია;
 ზე რაიმ ჩამამეღინა
 ჩამეეტოვა წყალია...

სამრელოშია შექმნილი აგრეთვე ძმობილისადმი მიძღვნილი 16 წლის ლელა წიკლაურისაგან 1944 წელს ს. ანლაში ჩაწერილი ლექსი, რომელიც ასე იწყება:

სამრელოს კარჩი ჩამეჯე,
დილა რო დანდა მთაწვერი,
ცრემლი აქრელებს მიწასა,
თვლებით ჩამანადენი... და სხვ.

ხევსურები ლექსების ციკლს ქმნიან არა მხოლოდ ენიშენელოვანი მოვლენებისა და პირების ირგვლივ, არამედ უბრალო ფაქტის შესახებაც. ლელა ბალიაურისაგან ჩავიწერე პირიქით და პირაქეთ ხევსურეთის სხვადასხვა სოფლებში შექმნილი უმნიშვნელო ფაქტთან დაკავშირებული ლექსების ციკლი.

არხოტიონ ნიკოს, რომელსაც ნადირობა არ სცოდნია. აკუშოელ წიქასაგან უთხოვია თოფი და შეპირებია ნანადირევი ჯიხვების ტყავებს. მას ჯიხვი ვერ მოუკლავს და ვერც ტყავი ნიუცია თოფის პატრონისათვის. არხოტიონ ნოლექსე ოჩიაურს ამბზე შეუქმნია დამცინავი ლექსი. მისთვის ლექსითვე უპასუხნია აკუშოელ მოლექსეს და ა. შ. ლელა ბალიაურის ცნობით, ეს ამბავი სალექსოდ გამხდარა მთელი ზამთრის განმავლობაში. ეს მასალები საინტერესოა ხალხური სატირისა და იუმორის თვალსაზრისით.

პოეზიის ტრადიციასთან და სოციალურ ფუნქციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია მთიბლურ სიმღერად ქცეული ხნით ნატირალის ტექსტები. ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალებში ხმით ნატირალი ანდრეზებშიცაა შესული.

პირიქით-ხევსურეთში ტრადიციული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების მთქმელებიდან გამოირჩეოდნენ:

სოფ. ამლას მცხოვრები 93 წლის ნისლაურთ ვირჩლა (წიკლაური), იქვე მცხოვრები 16 წლის მართა წიკლაური;

სოფ. ახიელაში მცხოვრები 80 წლის უსინათლო გერგეტელი (გიორგი ოჩიაური);

ახიელაში მცხოვრები 23 წლის მარო ოჩიაური (იგი ავტორ-მთქმელიც არის) და მისი და, 16 წლის ნინო ოჩიაური;

ახიელაში მცხოვრები 20 წლის მარო ოჩიაური;

ს. კიმლის მცხოვრები 20 წლის მზექალა გაბური.

არხოტიენები საუკეთესო მთქმელად ბესარიონ გაბურს თვლიან. მათ იციან, რომ ბესარიონ გაბურის რეპერტუარი გამოცემული აქვს აკ. შანიძეს. ჩვენ მასთან ხალხური სიტყვიერების

ჯანრების აღმნიშვნელი ტერმინები დავამოწმეთ. ნაწარმოებთა ჩაწერაზე უარი გვითხრა და საკუთარი ღირსების შეგნებით შეგვიპირდა მათი წერილობით გამოგზავნა.

ნიქიერი ავტორ-მთქმელი ყოფილა აშექალ გაბური (ბეს. გაბურის ძმისწული), რომელიც სრულიად ახალგაზრდა გარდაცვლილა. მისი ლექსები გავრცელებულია არხოტში. დასახელებული მთქმელებისაგან ჩვენ ჩაიწერეთ აშექალ გაბურის ექვსი ლექსი.

წრავალფეროვანი რეპერტუარი ჰქონდა არხოტიდან შუაფხოში ჩასახლებულ 75 წლის ლელა ბალიაურს.

პირიქით-ხევსურეთის მთქმელებიდან აღსანიშნავია: ს. გველეთის მცხოვრები 65 წლის ივანე არაბული; ჯაქმატიდან ბარისახოში გათხოვილი 70 წლის დედიკა ალუდაური; წინჯადუს მცხოვრები 43 წლის შუქია არაბული; უჯანა-ჯადუს მცხოვრები 17 წლის ლაგანა ზაიელი; წინ-ჯადუს მცხოვრები 11 წლის მამუკა არაბული, ს. როშკას მცხოვრები 60 წლის თოთია წიკლაური.

საველე მუშაობისას ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო თანამედროვე თენებზე შექმნილი ნაწარმოებები. პარტიისა და ხელისუფლების ზრუნვა მშრომელებისადმი, როგორც ცნობილია, ხევსურულ პოეზიაშიც აისახა. სამანქანო გზისა და ელექტრონის გაყვანა ხევსურეთში თანამედროვე ხევსურული პოეზიის თემებია.

საკოლმეურნეო ცხოვრების ამსახველი ლექსები საველე მუშაობის დროს არ შეგვხვედრია. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ხევსურეთში კოლმეურნეოა არ იყო. თანამედროვე ხევსურული პოეზიის ძირითადი თემა სამამულო ომია. ხევსურეთის მკვიდრი მცხოვრებნი სამამულო ომში არ იყვნენ გაწვეულნი. მიუხედავად ამისა ხევსურეთის ახალგაზრდობას შეუქმნია საინტერესო ლექსები სამამულო ომის მრისხანე დღეებზე და საბჭოთა ხალხის უმაღალითო გამარჯვებაზე ამ ომში. მდიდარ პოეტურ ტრადიციაზე აღზრდილნი ბარისახოსა და ხევსურეთის სხვა სოფლების საშუალო სკოლის მოწაფეები ან ყოფილი მოწაფეები კითხულობენ ლიტერატურას, გაზეთებს, ისმენენ რადიოს, ეცნობიან საბჭოთა ხალხის მიღწევებს და თავიანთი შემოქმედებით ეხმაურებიან თანამედროვეობას. ეს ახალგაზრდა მოლექსეები ძირითადად ვაყებია. ნეტწილად მათი ლექსები ჩანაწერის საშუალებით ვრცელდება. მათი შემოქმედება ფოლკლორისა და ლიტერატურის განვითარებაში იმ საფეხურის მაჩვენებელია, რომელსაც პროფ. ნ. პ. ანდრეევმა ფოლკლორის გალიტერატურება უწოდა, ეს თანდათან შლის საზღვარს სიტყვიერი ხელოვნების ამ ორ სახეს შორის.

1944 წ. პირიქით-ხევისურეთში, არბოტში ჩავიწერე ორი ლექსი სამამულო ომზე 17 წლის ავტორ-მთქმელი ქორძო წიკლაურისაგან. მას ს. ამლის არასრული საშ. სკოლის მეოთხე კლასამდე უსწავლია. ლექსი „ორმოცდა ერთი წელი“ ფაშისტ ურდოების ჩვენი ქვეყნის საზღვრებში შემოქრას ეხება. მეორე ლექსი „ბრძოლა ჰაერში“ მფრინავი საბჭოთა ქალის გმირობაზეა შექმნილი. ძველი ტრადიციით ხევისური ქალის უფლება საკმაოდ შეზღუდულია. ბუნებრივია. რომ ახალი ცხოვრების მოტრფიალე ქორძო წიკლაურში აღტაცებას იწვევს უფლებამოსილი მებრძოლი საბჭოთა ქალის მტერზე გამარჯვება. 1946 წ. პირაქეთ ხევისურეთში თექვსმეტი ლექსი მოვიპოვეთ სამამულო ომსა და საერთოდ ჩვენს თანამედროვეობაზე. ამ ლექსების ავტორებია ს. გველეთის მცხოვრები, მაშინ ბარისახოს საშუალო სკოლის მოწაფე, 22 წლის გაგა არაბული (მონაწილეობა მიიღო ბავშვთა ოლიმპიადაში), იქვე მცხოვრები 25 წლის სუმბატა არაბული (ბარისახოს სოფლსაბჭოს მდივანი) და ბარისახოს მცხოვრები, მე-9 კლასიდან გამოსული 19 წლის თონა არაბული. ქორძო წიკლაურისაგან განსხვავებით მათ თავიანთი ლექსები დაწერილი მომავლდეს. ხევისურეთში მათ კარგი მოლექსეების სახელი აქეთ მოხვეჭილი. ერთი მათგანის — სუმბატა არაბულის ლექსები რაიონულ გაზეთებშიაც არის გამოქვეყნებული. ისინი აქტუალურ თემებზე ქმნიან ლექსებს და დიდ გავლენას განიცდიან წიგნისას. ცდილობენ თავი დააღწიონ ხევისურული პოეზიის ტრადიციას, მაგრამ ამას მთლიანად ვერ ახერხებენ. აღსანიშნავია, რომ ეს ახალგაზრდები პასუხისმგებლობით ეკიდებიან თანამედროვე თემებზე ლექსების შექმნას. გაგა არაბულმა, როდესაც თავისი ლექსების კრებული გადმომცა, მითხრა: „ჩემი ლექსები ალბად არ ვარგა, ცოდნა არა მაქვს“. მისი შემოქმედებიდან აღსანიშნავია ლექსი, რომელიც გვაცნობს ახალგაზრდა ხევისურის ღრმა განცდას:

ჩვენმა დიადმა ქვეყანამ ბრძოლა გადიო მძვინარე,
დავლენეთ მტერი ვერაგი, დღე და ღამ დაუძინარე,
გმირული მკერდით გავსტოპეთ აისხლის ზღვა, სისხლის მდინარე,
მტერს არ დავუთმით სამშობლო, ლამაზი, პირად მკინარე.
დავლენეთ შავი ურჩხული, მსოფლიო წარღვნის მკვესავი,
ყველგან სიცოცხლის მცელავი, ყველგან სიკვდილის მთესავი,
ვერ გვნახა მტერმა ვერაგმა დაცემული და მკენესავი,
მსოფლიო ცაზე გავშალეთ სტალინის დროშა მზესავით,
აღვკავეთ მიწის პირიდან ჩვენი მოსპობის მღოშელი,
ჩვენი სოფლის და ქალაქის დამნგრევი, დაუნდაბელი,
ჩვენ რომ სამშობლო წაგვართოს ან კი ვინაა რომელი?

მტკიცედ სდგას საბჭოთა ქვეყანა, მტრისთვის ხელმიუწვდომელი ფოლადი იყო, აწუც არის და მომავალშიც იქნება, რაც უნდა ცეცხლში დააღწონ, ტყვიად არ გარდაიქმნება, ვერ შეჰძლო მხეცმა ჰიტლერმა საზღვრის კარების მიგნება, რაც დასწევს, რაც დაანგრის, კვლავ ბრწყინვალეობით იქმნება.

გულწრფელი განცდითაა შექმნილი გაგა არაბულის სხვა-
ლექსებიც.

გაგა არაბულს აქვს ლექსები სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებაზე, ასეთებია: „სამშობლო“ და „წლები“. მის შემოქმედებაში ყურადღებას იპყრობს ლენინის გარდაცვალების 21 წლისთავზე შექმნილი ლექსი. ლექსში იგრძნობა ჩვენი ახალგაზრდობის დამახასიათებელი ჯანსაღი ოპტიმიზმი.

ღრმა პატრიოტული განცდის ნიმუშებია სუმბატა არაბულის ლექსები სამამულო ომზე. ღრმა შინაარსის მდიდარ პოეტურ ფერებში ასახვის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა კავკასიის გამირულ დაცვაზე შექმნილი ალიო მირცხულავას ლექსის გავლენით დაწერილი „კავკასიონი“. იგი ასე მთავრდება:

ამიწვეია ცა ჩემის მხრებით,
ღამის ზვინები გამიხვეია,
ბევრი ლაშქრობის მრისხანე ხმები,
უფსკრულის პირზე დამირხვეია.
რას მიზანს მტრობა, შურისძიებით
ჩემი ფესვები ვაქცაეებს იკრებს
და არასოდეს ბნელს არ მიემბის,
არ მიეცემა გული შავ ფიჭრებს,
ქამთ მოუხრელი ვდგავარ ფოლადის,
რკინის ჩაჩქანი მახურავ ძმებო,
არვინ მგონია ჩემი ტოლადი,
გაუტახელი სახელი მერგო.

განცდის უშუალოდითა და ღრმა შინაარსით ხასიათდება სამამულო ომის მონაწილე ქართველ ვაჟკაცებისადმი მიძღვნილი ლექსი „ქართველ რაინდებს“. არაბულის შემოქმედებაში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ქართველი ხალხის სახელოვანი გმირის ლესელიძის სიკვდილზე შექმნილი ლექსი. სუმბატა არაბული ცდილობს ლიტერატურული ენისა და სტილის დაუფლებას, მაგრამ მის ლექსებზე უფრო ძლიერია ხალხური და კერძოდ ხევსურული პოეზიის გავლენა. ცხადია, ეს უარყოფით გავლენას არ უახდენს მის შემოქმედებაზე. სანიმუშოდ მოგვეყვას ლექსი „ეს ერთი წელი სრულდება“, მიძღვნილი სამამულო ომში საბჭოთა ხალხის უმაღალითო გამარჯვების ერთი წლისთავისადმი:

ეს ერთი წელი სრულდება
პრძოლების გადადებისა,
მოსპობის, განადგურების
ვერაგთა ყაჩაღებისა,
დალუწა, ხელში ჩაგდება
ბერლინის გასაღებისა.

ეს ერთი წელი ხალხისად
არის მზის ამობრწყინება,

მტრებმა რაც უნდათ, ისა ქნან,
იდაონ, არ გვეწყინება,
რადგან მეოთხე სუთწლედის
იწყება აღორძინება.

მთაში თუ ბარში, ქალაქად
დენას თუ დნეპრის გადაღმა,
ტუნდრას, ტაგის მიდამომ
პუჩქებმ და მინდორ ბალახმა
იციან, ესმით იმათაც,
მტერი რომ დასცეს თავდაღმა.

გამალეს დრომა მზესთანად
ტარით მტკიცე და მგარი,
მთელი ძალ-ლონით ეგალოს
ქარი ზღუებიდან ამღვარი,
ვერ დაბრის. რადგან ბრძოლაში
დროშის ქვეშა ჰქუხს მთა-ბარი.
ზდგება ნაოში მამული,
იუერნავს მძიმე კრილობას,
რომ ვერ დალუწოს ვერავინ
მკერდი და მამაშვილობა,
კარები ფოლადისა და
ვერ დასძრას მხარგაშლილობა.

გვენახოს მტერი საშიში
როგორც რომ ვნახეთ მტირალი,
გვენახოს კავკასიონის
გვახსოვს რომ დასძრა მყინვარი,
აგლეჯილ ლოდებს არტყამდა,
უკან გარბოდა ფირალი.
შავ ღრებლებს გლეჯდა მნათობებმა,
დგებოდა კარგი დარები,
წიოდა გველი ნაცემი

სიციკხლის ნამუდარები,
ხმლების შხუილით დაჰკარი
არწივთა ნამუდარები.
დამთავრდა, წელი ხალხისად
არის მზის ამობრწყინება,

ახლა რაც უნდა ისა სთქვან,
ილაონ, არ მეწყინება,
რადგან მეოთხე ხუთწლედის
იწყება აღორძინება.

- სამამულო ომზეა შექმნილი თომა არაბულის ლექსები: „ბავ-
შვები“, „ქართველი გმირების ფიცი“, „სამამულო ომში დაკარ-
გული ქართველი დედისერთა და მისი დედის ნაამბობი“, „გამარ-
ჯვების ერთი წელი“. მას აქვს აგრეთვე ლექსები არჩევნებზე,
მეოთხე ხუთწლედსა და პირველ მაისზე.

თანამედროვეობაზე მომღერალ დასახელებულ ახალგაზრდა
ხევისურებიდან თომა არაბულის შემოქმედებაში ყველაზე უფრო
ძლიერია ხალხური პოეზიის ტრადიცია. სანიმუშოდ მოგვყავს ლექ-
სი „მოგესალმები მთებიდან“, მიძღვნილი პირველი მაისისადმი:

უნდა ავაწყო ჩონგური,
სააზოდ ავაღერაო,
პირველ მაისის განთიადს
ახალ ლექსს დაუმღერაო.
მოგესალმები მთებიდან,
ტურფა მაისის დილაო,
მოგესალმები სამშობლოვ,
გამოწრთობილო რკინაო.
გელოდით ომგადახდილნი,
ზამთარი მოგვეწყინაო,
ჩვენი მამულის მსურველმა
საფლავეში დაიგმინაო,
მოგესალმები მთებიდან,
ტურფა მაისის დილაო,
დიდება გმირთა ქვეყანას,
მტერი რომ მოაკვდინაო.
დავსძლიეთ ომის სიმძიმე,
ბელადი გვედგა წინაო,
მარადის ხსოვნა ვაქვაცებს,
ვინც მამულს შეეწირაო.
მოგესალმები მთებიდან,
ტურფა მაისის დილაო,
შენი უმანკო დროშები
ვარდივით გადაშლილაო.
მაისის მწვანე ჯეჯილო
ნაეზე მობიბინეო,
ლაკოკინი, გადმოგებევი,
სამუდმოდ მოაღხინეო.

მოგესალმები მთებიდან,
ტურფა მაისის დილაო,
და თუ კელაუ მტერი გაჰოწნდა,
მზად ვართ, დაუხვდეთ წინაო.

თანამედროვეობაზე მომწერალი ახალგაზრდობა იცნობს ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების შემოქმედებას. მათ შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს მიძღვნიები: ნიკოლოზ ბარათაშვილის (გაგა და სუმბატა არაბულების ლექსები), დანიელ ჭონქაძისა (სუმბატა არაბულის ლექსი) და იოსებ გრიშაშვილისადმი (სუმბატა არაბულის ლექსი). საინტერესოა აგრეთვე გრ. აბაშიძის „ძღვეის ქედის“ შთაბეჭდილებით შექმნილი, თომა არაბულის ლექსების კრებულის გარეკანის წარწერა:

ნისლის ზღვაში რომ სტურავენ,
კავკასიის ქედებია,
და მყანერიან კაუხებში
აბაშიძის ვედებია.

ფოლკლორისა და ლიტერატურის ურთიერთობის თვალსაზრისით თანამედროვე ხევისურულ პოეზიაში აღსანიშნავია კიდევ ერთი მოვლენა. ბუდე ხევისურეთში, წინ-ჯადუში ჩავიწერეთ ჩვენი ცნობილი პოეტების გიორგი ლეონიძისა და ალ. აბაშელის ლექსების გახალხურებული ფრაგმენტები. ოცი წლის მიხა არაბული (მისივე ცნობით აგრეთვე სხვებიც) ფანდურზე ასრულებდა წიგნის „ააშუალებით გაერცვლებული ლექსების ფრაგმენტებს:

ლიმილის ბიჟი ვიყავი,
მხრებზე არწივი მეხატა,
ცხრაშეტი წლისა ვიყავი,
ოცი არ გადაშეხატა,
საბჭოთა დრომა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხათა.
ვისაც უნდოდა ქართველი,
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დაკვარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვის მიზანი;
შინ მოუსლულო სადა ხარ,
შენ ხომ თბილისი გიყვარდა,
სად ლეება შენი ქოჩორი,
თვალი სად ამოვიღამდა,
შენი ქართული მარჯვენა
სად ჩაიშალა თიხადა;
მოგესალმები ქედებო,
ნაკურთხო ვაჟს კალმითა,

სადარაჯოზე დამდგარო
ფარ-ხმალისანი მკლავითა,
ზავთრის თაყნაჩქნიანებო,
ზაფხულ მოსილო მწვანითა,
გარშამო შამაბურვილნო
ელვა-ქუხილის კვამლითა.

როგორც ვხედავთ, ზეპირი ტრადიციის შედეგად ცვლილება განუცდია გ. ლეონიძისა და ალ. აბაშელის ლექსებს. პოეტურ ტრადიციაზე აღზრდილი ხევისურეთის ახალგაზრდობა გამარჯვებულ სამშობლოს უმღერის როგორც საკუთარი, ისე გამოჩენილი პოეტების შემოქმედებით.

ზეპირსიყვირების გრადისია ზემო სვანეთში¹

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1945 წლის ზაფხულში ერთი თვით მივლინებული ვიყავი ზემო სვანეთში. მივლინების მიზანი იყო ზეპირსიყვიერ საისტორიო ნაწარმოებთა ტრადიციის შესწავლა. თბილისიდან გავემგზავრე ეთნოგრაფიულ ექსპედიციასთან ერთად. 9 აგვისტოს ჩვენი თვითმფრინავი დაეშვა მესტიის ჰაეროდრომზე. სამუშაოდ ავირჩიე ზემოსვანეთის ბალს ზემო ნაწილი. ერთთვიანი მივლინებისას მოვახერხეთ ჩაგვეტარებია საველე მუშაობა ექვსი თემისათუ საზოგადოების (ნესტია, ლენჯერი, მულახ-მუყალი, იფარი, კალა, უშგული) სხვადასხვა სოფელში².

ჩვენი მივლინების დრო დაემთხვა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე ისტორიულ გამარჯვებას. კომუნისტური პარტია და ხელისუფლება ატარებდა ღონისძიებებს ომის მიერ მიყენებული მძიმე კრილობების მოსაშუშებლად. ამიტომ ბუნებრივია, რომ სვანეთის ულამაზესი მთების კალთებზე გაყვანილ საავტომობილო გზებზე ჯერ კიდევ არ იყო რეგულარული მიმოსვლა. პუნქტიდან პუნქტზე გადასვლა გვიძღებოდა ფეხით; ზოგ შემთხვევაში დღეში 14—20 კილომეტრს გავდიოდით. სიძნელეს გვძმსებუქებდა სვანეთის თვალწარმტაცი ბუნება.

¹ წაკითხულია მოხსენებად საქ. სსრ მეცნ. აკადემიის რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში 1945 წლის 25 სექტემბერს.

² მაშინ უშგული ზემოსვანეთის ნაწილად ითვლებოდა. ქ. ს.

ჩემი მოქმედების მეტმა ნაწილმა იცოდა ქართული ენა. ამგვარ მოქმედებთან ვმუშაობდი ძირითადად უთარჯიმანოდ. მათ შორის იყვნენ ისეთები, რომელნიც ქართულ ენაზე თავისუფლად მოგვითხრობდნენ ეთნოგრაფიული ყოფის მასალებს, მაგრამ ვერ ახერხებდნენ მხატვრული ნაწარმოების გადმოცემას. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ქართული ენის უცოდინარ მოქმედებთან მუშაობის შემთხვევებში, გვეხმარებოდნენ ადგილობრივი მცხოვრები სვანი მასწავლებლები. ისინი სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრების საქმეს. დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს და ჩვენი საველე მუშაობის მომენტებში თარჯიმანობა იკისრეს—აკაკი გულედანმა (ლენჯერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი), იაკობ მარგიანმა (მულახის საშუალო სკოლის მასწავლებელი), ფაცია მარგიანმა (მულახის საშუალო სკოლის მასწავლებელი) და გალინა ნიჟარაძემ (მესტიის შვიდწლედის მასწავლებელი). ტიპური მოქმედების შერჩევასა და ნათთან ურთიერთობის დამყარებაში დიდი დამხმარება აღმოგვიჩინეს მერი გუჯეჯიანმა და სები გულედანმა¹.

თარჯიმანების საშუალებით მუშაობის შემთხვევებშიც ვცდილობდით ტექსტების ჩაწერა გვეწარმოებინა თქმის პროცესში. პროზაული ტექსტების ჩაწერისას, მოქმელი რომ ბუნებრივ პირობებიდან არ გამოგვეყვანა, არ შეგვეწყვეტინებინა თხრობა, გვჭირდებოდა ორი თარჯიმანი. ისინი წინადადებებს მორიგეობით ვითარგმნიდნენ. სვანებს მეტყველების საკმაოდ სწრაფი ტემპი აქვთ. ამიტომ ტექსტის ზუსტად ფიქსირების მიზნით საჭირო იყო ჩაწერილი მასალების იმ დღესვე გადაწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი, ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიც, იქნებოდა ჩაწერილი მასალების გარჩევა.

ჩვენ შეეკრიბეთ 120 ნიმუში ზეპირსიტყვიერებისა, მათ შორის დიდი ნაწილი ვრცელი მოცულობის ნაწარმოებია (რვეულის 15 გვერდი).

გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა ჩავწერეთ ვრცელი ბიოგრაფიული ცნებები მოქმედების შესახებ და ნაწარმოებთა შესრულების წესები.

ჩვენი კვლევის საგნად აღებულ საისტორიო ნაწარმოებთა ციკლებიდან ზემო სვანეთის ბალს ზემო ნაწილში განსაკუთრე-

¹ სები გულედანი მაშინ სვანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (მესტიაში) დირექტორი იყო.

ბით გავრცელებულია თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებები. წინა-აღმდეგ მოლოდინისა, ჩვენმა მთქმელებმა არ იცოდნენ ლექსები, გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები დავით აღმაშენებელსა და იმერეთის მეფეების — სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის შესახებ. მეტად გავრცელებულია გადმოცემები მურზაყან დაღეშქელიანზე. ამ გადმოცემებში იგრძნობა სვანების სიყვარული მურზაყან დაღეშქელიანიისადმი. არის აგრეთვე გადმოცემები და თქმულებები ოსებთან ქიშპობაზე და თათრების შემოსევებზე.

საისტორიო ხასიათის ნაწარმოებები. სვანეთში, ისე როგორც ხევსურეთში, მოხუცი მამაკაცების რეპერტუარში შედის. ქალებმა აბგვარი ნაწარმოებები თითქმის არ იციან. გამონაკლისს წარმოადგენს საფერხულო სიმღერა „თამარ დედფალ“. ფერხულში ქალებიც ებმებიან. ებმებიან ანაღვარდებიცა და ხანში შესულებიც. ამით აიხსნება ამ სიმღერის გავრცელება ყველა ასაკის ქალებსა და მამაკაცებში. საინტერესოა, რომ მთქმელთა უპირავლესობა ამ სიმღერის ტექსტს ბელოდიის გარეშე ვერ ასრულებს. ასე მაგალითად, სიმღერის გარეშე ვერ შეასრულეს საფერხულოს ტექსტი მესტიელმა სოფ. ლანჩვალთან მოხუცმა ქალმა ნარიამ ნიგურთან-ბერგიანისამ, იფარელმა — სოფ. ჰადიშიდან გიორგი ავალიანმა და სხვ. ისე როგორც სავა ხასიათის სვანური ლექსები, „თამარ დედფალ“ იწოდება შაირად. მეტწილად კი ამ საფერხულოს, როგორც სასიმღეროს ლირალ-ს (სიმღერას) უწოდებენ.

სვანი მთქმელები საისტორიო პროზაულ ნაწარმოებებს — გადმოცემას, თქმულებას და ლეგენდას გარკვევით ასხვავებენ ზღაპრებისაგან. ზღაპარს სვანები აღნიშნავენ ტერმინით ციგინ; საისტორიო გადმოცემებს, თქმულებებსა და ლეგენდებს - კი ჯვინელ ნამბავ ან ჯვინელ ჰარაკ (ძველი ამბავი).

ჯვინელ ნამბავსა და ჰარაკს საისტორიო ნაწარმოებთა ტიპური მთქმელები მეტი სერიოზულობით ეკიდებიან, ვიდრე — ზღაპარს და სხვა ჯანრის ნაწარმოებებს, მიუხედავად იმისა, რომ სვანეთში ზღაპრის უძლიერესი ტრადიციაა.

საისტორიო ნაწარმოებთა შესრულების მიხედვით ჩვენი მთქმელები ორ კატეგორიად იყოფიან. ერთი კატეგორიის მთქმელები მხოლოდ საისტორიო ხასიათისა და ეპიკური ციკლის ნაწარმოებებს ყვებოდნენ. ზეპირსიტყვიერების სხვა დარგის ნიმუშებისადმი ისინი არ იჩენდნენ ინტერესს, ან კიდევ თაკილობდნენ

კიდევაც მათ მოყოლას. მეორე კატეგორიის მთქმელები ყველა დარგისა და ჟანრის ნაწარმოებებს ყვებოდნენ.

პირველი კატეგორიის მთქმელებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მესტიის მცხოვრები (ს. ლანჩავალიდან) 79 წლის წერაკითხვის უცოდინარი ანტონ ხერგიანი. მან სუსტად იცოდა სასაუბრო ქართული ენა. ეთნოგრაფიული ყოფის მასალები ჩაგვაწერინა ქართულ ენაზე. მიატვრულ ნაწარმოებთა გადმოცემა ვერ მოახერხა ქართულ ენაზე და გვიამბობდა სვანურად. როდესაც მას ვესტუმრეთ, იგი საღიზიანო სუფრას უჯდა. თავაზიანმა მოხუცმა არ დაიზარა ჩვენთვის ჩაეწერინებინა თქმულება თამარ მეფის შესახებ და ერთი ვარიანტი ამირანიანისა. ანტონ ხერგიანის ვარიანტით თამარ მეფეს შეუწყნარებია ხალხის თხოვნა, "მეთრთავს ქმარი, რომლისგანაც შეძენია ვაჟი, რომელიც ეცერის მთაზე დაუტოვებიათ ღამით უპატრონოდ." "თუ ღმერთს უნდოდეს ეს ბავშვი ხვალ ცოცხალი დაგვბუფესო" უთქვამს თამარ მეფეს. ბავშვი გადარჩენილა. თამარ მეფეს, მთქმელის სიტყვებით, ბავშვი "გაუზრდია, იქ დაუტოვებია ეცერში და დაღეშქელიანები იქიდან გაჩენილან". ამ თქმულებით თამარ მეფე უშუალოდ გარდაცვლილა. მას დაუტოვებია ანდერძი „ისეთ ალაგას დამკიდეთ. ხალხმა არ გაიგოსო, თორემ ისინი სალოცავად ამიღებენ და მე ეს არ მიწდაო“.

როდესაც ანტონ ხერგიანისაგან ჩავწერეთ ორი ტექსტი, იგი ცოტა ნასვამი იყო. გეთაოვა „ქეიფს ვცდები და თუ შეიძლება დანარჩენებს შემდეგ ვიამბობო“. ჩვენც ამ პირობით დავეშორდით ამ თავაზიანსა და მხიარული ბუნების მოხუცს. სამწუხაროდ შემდეგ ვეღარ მოვახერხეთ მასთან შეგვედრა. ანტონ ხერგიანისაგან ჩაწერილი ორი ტექსტის შესახებ მისმა დამ დაჯილ ხერგიანმა შენიშნა „ამ ნამბავეებს (თქმულება თამარ მეფის შესახებ და ამირანი) ფერსულში მღერიან ქალები და კაცებიო“.

ანტონ ხერგიანი ზღაპრებს არ აქცევდა ყურადღებას. ჩვენს თხოვნაზე, ეამბნა ზღაპარი, ქართულად გვიპასუხა: „ციგინები (ზღაპრები, ქ. ს.) გრძელი არის, მე არ ვიცი, ყურს არ ვუგდებო“.

პირველი კატეგორიის მთქმელებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ლენჯერის (სოფ. ლემსია) მცხოვრები 90 წლის გიგო მინასძე შუკვანი, წერაკითხვის უცოდინარი. ქართული ენა არ იცოდა. მისი ცნობით იცოდა თათრული ენა. გიგო შუკვანიც მხოლოდ საისტორიო ნაწარმოებებსა და ეპიკური ციკლის ნაწარმოებებს ყვებოდა. რებერტუარი ათვისებული ჰქონდა მამისაგან, რომლის

თხრობის ნანერასაც იგი მალალ შეთასებას აძლევდა. „მაშაჩემი მიმზიდველად ყვებოდა ძველ აპებებს და მისგან ვისწავლეო“, გვაცნობა გიგო შუკვანმა.

გიგო შუკვანის გადმოცემით თამარ დედოფალი ეკლესიებს აშენებდა. „დიდ მწვერვალებზე ხალხი ყავდა ეკლესიების ასაშენებლად — ფუსცაგერზე¹ აშენებდა ეკლესიას, ხალხი ყავდა გამწკვრივებული მდინარე ფუშყვერიდან² წთის წვერამდე. საშენი მასალა — კირი, ქვიშა და წყალი ხელიდან ხელში გადადიოდა და აღწევდა მწვერვალამდის, სადაც მშენებლობა მიმდინარეობდა“. გიგო შუკვანის გადმოცემით ამგვარად ააშენა თამარ მეფემ სვანეთში სავა ეკლესიებიც, რომელთაგანაც ზოგი თათრიანობის დროს დაინგრაო.

საინტერესოა აგრეთვე იმავე მთქმელისაგან ჩაწერილი გადმოცემა მურზაყან დაღეშქელიანის შესახებ. გიგო შუკვანი ირწმუნებოდა, რომ მურზაყან დაღეშქელიანმა გუბერნატორი მოკლა წისი აპისაგან ნეძენილი ხმლით. ამ გადმოცემის შესახებ მან შენიშნა „უველაზე ნეტად იმიტომ მახსოვს, რომ ხმალი ჩვენი ოჯახიდან ჰქონდა შეძენილიო“. იმავე სოფლიდან საისტორიო ნაწარმოებთა კარგ მკოდნედ ასახელებდნენ გიორგი ფილთანს, მაგრამ ჩვენ ვერ მოვახერხეთ მასთან შეივეღრა.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება ნოახდინა ჩვენზე იფარელმა (სოფ. ნაკიჟარიდან) 80 წლის, ჯანიანმა მოხუცმა, ქართულ ენაზე კარგად მოლაპარაკე, წერა-კითხვის უცოდინარმა ილარიონ პირველმა. როდესაც ჩვენ ექსპედიციის მონაწილე ეთნოგრაფებთან ერთად იფარის ეკლესიის ფრესკებს ვათვალიერებდით, იგი თვითონ მოვიდა ჩვენთან. მკა მიეტოვებინა და შეგვეთავაზა მისგანაც ჩაგვეწერა ეთნოგრაფიული ყოფის მასალები და საისტორიო ნაწარმოებები. მისგან ჩაწერილი საისტორიო ნაწარმოებები გამოირჩევა მოკლე მოცულობათა და ბატრიოტული მოტივებით. ეს ნაწარმოებები ძირითადად საქართველოში თათართა აგრესიის ამსახველია.

ეთნოგრაფიული ყოფის მასალებსა და საისტორიო ნაწარმოებებს ილარიონ პირველი დიდი სეროიზულობით ეკიდებოდა. „ზღაპრებს არ ვუვდებ ყურსო“ განაცხადა. მისი ცნობით ბეთქილის (მისი სიტყვებით „ბეთქენის“) ციკლის სიმღერები კარგად იციან მულახელებმა.

¹ სვანეთის მთის ერთერთი მწვერვალი. ჩანს ლენჯერიდან.

² მდინარეა ლენჯერში.

თბრობის მანერით, ამალღებულ ჰატრიოტული გრძნობითა და წარსულის თანამედროვეობასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევდა დიმიტრი აზნავისის ძე იოსელიანი. მის რეპერტუარში შედის როგორც ზოგად ქართული (თქმულება თამარ მეფეზე), ისე ადგილობრივ-სვანური (წმ. გიორგის, ოქრო-ვერცხლით სავსე აკლდამა) გადმოცემები და თქმულებები. იგი ახალგაზრდობისას ყოფილა ფერხულის საუკეთესო შემსრულებელი. ქართული ენა არ იცოდა.

პირველი კატეგორიის მთქმელია აგრეთვე სოზარ თადეოზის ძე გულბანი, ღრმად მოხუცებული, 100 წლის. ბევრი რამ მისივე ცნობით დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ, რაც იცოდა, გვიანბობდა სიამოვნებით. ასაკთან შედარებით ჰქონდა კარგი მეხსიერება. თავისუფლად გვიყვებოდა ნაწარმოებთა შინაარსს ქართულ ენაზე.

მისგან ჩაწერილ თქმულებებს ძირითადად ადგილობრივი ხასიათი აქვს. სხვათა შორის მისგან ჩავიწერეთ თამარ მეფის შესახებ არსებული ლეგენდის საინტერესო ვარიანტი, თქმულების ამ ვარიანტით თამარ მეფე უშგულშია დასაფლავებული. იქ ახლაც აჩვენებენ კოშკებს და მას უწოდებენ თამარ მეფის საზანთრო და საზაფხულო კოშკებს. სოზარ გულბანს ღრმად სწამდა და სრულ ჭეშმარიტებად მიაჩნდა მისგან ნაამბობი ლეგენდის შინაარსი. მისი სიტყვებით „თანარ მეფე ცხადია, რომ სვანეთში მარბია, ეს გათავებული ანგარიშია. რამდენი ამაზე ყოფილა ლაპარაკი. მას სვანეთში, უშგულში ჰქონია სადგომისი. სოზარმა ლეგენდა ასე დაასრულა: „თამარის საფლავზე უშგულში ბევრი ნაძვებია და ვერაფერ ვერ გაიგო. ეს კი ცხადია, რომ იქ მარხია. უბნობენ, რომ მას ბარგი ჰქონდა ბევრი, სად არის, არ იციან. მე ვარ წასული იმაზე, ეგება სადმე არისო დაწერილი წიგნში, ეკლესიაში, მარა ვერაფერი ვერ გავიგე“.

სოზარ გულბანის ნაამბობი ლეგენდის შინაარსთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი მომენტი ჩვენი საველე მუშაობისა. სვანეთში თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებთა ტრადიციასთან დაკავშირებით გვსურდა თანამედროვე მთქმელებიდანაც დაგვემოწმებინა, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ალექსანდრე ხაბანაშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ სვანი ხალხის რწმენით თამარ მეფის ნეშტთან არის დაკავშირებული სვანების დოვლათიანობა. ამიტომ ისინი განსაკუთრებით უფროთხილდებიან ადგილს, სადაც.

მათი აზრით, თამარ მეფე არის დასაფლავებული¹. უშგულში არახელსაყრელ პირობებში მოგვიხდა საველე მუშაობა. ინგურს დაეზიანებინა კალაღან უშგულში სავალი გზა. უშგულელები, ვისაც-კი შეეძლო ფიზიკური შრომა, გაწვეულები იყვნენ საგზაო მშენებლობაზე. შინ თითქმის არაფერი იყო ღომად მოხუცებულებისა და ბავშვებს გარდა. შეექვსე კლასის მოსწავლის 12 წლის ბენო ჩარქსელანისა და სხვების თანხლებით ს. მურკვემელზე ვეწვიეთ 100 წელზე გადაცილებულ ნოხუცს ქალღარ ნიჭარაძეს (თანასოფლელების ცნობით იგი თითქოს 140 წელს იყო მიღწეული). რამდენიმე ტექსტის ჩაწერის შენდევ ჩვენი მისვლის მიზანი რომ გაიგო, ისე გაცხარდა, საბჯენ ჯოას წამოავლო ხელი და როგორც შენდევ გვითარგნენს, აუგადაც გვიანსენა. იძულებული ვიყავით დაგვეტოვებინა მისი კარ-მიდამო. ამგვარად, მისგან თამარ მეფის საფლავის შესახებ ვერაფერი ჩავწერეთ, მაგრამ დავამოწმეთ ალ. ხახანაშვილის მიერ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ფიქსირებული რწიენა სვანი იალიისა, რომ თამარის ნეშტს უკავშირებდნენ ბარაქიანობას და ეწინოდათ არაფის არ მოეპარა იგი. ამგვარი რწმენისაგან თავისუფალი არ არიან ღრმად მოხუცებულები. ჩვენს მასპინძელსაც, როგორცაც არათავაზიანად მიგვიღო (რაც გამოწვევის წარმოადგენს სვანეთში ჩვენს საველე მუშაობაში) ალბათ ეგონა თამარას ნეშტის მოპარვის მიზნით ვიყავით მისული სვანეთში.

საისტორიო ნაწარმოებთა მეორე კატეგორიის ნოქმელები-საგან, რომელნიც სხვა ჟანრის მასალებსაც გვიყვებოდნენ, ბევრი არის საინტერესო. ვერ ვიტყვით, რომ ისინი საისტორიო ნაწარმოებებს თითქოს მეტი ყურადღებით ეკიდებოდნენ, ვიდრე — სხვა ჟანრისას, მაგრამ სპეციფიკას საისტორიო ნაწარმოებთა ეს მოქმედებებიც გრძნობდნენ და გარკვევით ასხვავებენ მას ზღაპრებისაგან და სხვა ჟანრის ნაწარმოებებისაგან. რაც შეეხება ეპიკური ციკლის ნაწარმოებებს (თქმულებანი აპირანის, აბესალომ და ეთერის, როსტომისა და ზურაბის შესახებ) პირველი კატეგორიის საისტორიო ნაწარმოების მოქმედების მსგავსად, ისინიც უახლოვებენ მათ საისტორიო ნაწარმოებებს. იქნებ ამ გარემოებას ჰქონდეს მნიშვნელობა ეპიკური ციკლის ნაწარმოებთა წარმოშობისა და მათი ჟანრობრივი თავისებურების განსაზღვრისას.

¹ А. С. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности. Вып. первый. М., 1895, гл. 53—53; 281—292.

საისტორიო ნაწარმოებთა ტრადიციასთან დაკავშირებით მეორე კატეგორიის მთქმელთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდნენ ეშა გუჯეჯიანი (მულახელი ს. ჯოლაშიდან), იოსებ პირველი (იფარელი ს. ნაკიფარიდან), გიორგი ავალიანი (იფარელი ს. ჰადიშიდან), ბესი სამსიანი (იფარელი ს. ელიდან), ლახარე ბვაბლიანი (იფარელი ს. ელიდან).

საისტორიო ხასიათის ნაწარმოებს გარდა ვაკვირდებოდით ხალაური სიტყვიერების სხვა ჯანრის ნაწარმოებთა ტრადიციას და შესაძლებლობის მიხედვით ჩაეწერეთ მასალები. ამ შემთხვევაში ჩვენს მუშაობას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი. ვაკვირდებოდით მოვლენებს, რაც აღვილად შესამჩნევი იყო. ბუნებრივია, ერთიანი მივიღებდით დროს, როცა სპეციალური საკითხთ ვიყავით დაინტერესებული, ჩვენთვის შეუმჩნეველი დარჩებოდა ბევრი რამ, რაც ალბათ დამახასიათებელია სვანეთის ზეპირსიტყვიერი პოეტური შემოქმედებისათვის.

აღნიშნავთ ფაქტებს, რომელთა დაკვირვებისა და დადასტურების შესაძლებლობა მოგვეცა. ვფიქრობთ, მათ აღნუსხვას მაინც აქვს მნიშვნელობა სვანური ზეპირი პოეტური შემოქმედებისადმი ინტერესის აღძვრისა და მომავალში ამ ფაქტების სპეციალისტ ფოლკლორისტთა მიერ დაზუსტებისათვის.

ბუნებრივია, რომ ჩვენს საანგარიშო მიმოხილვაში სვანური ზეპირსიტყვიერების ყველა დარგის ტრადიციასზე არ იქნება მსჯელობა.

ზემო სვანეთის ბალს ზემო ნაწილი მდიდარია გეოგრაფიულ ადგილებთან დაკავშირებული მითოლოგიური თქმულებებითა და ლეგენდებით. მათ შორის ყურადღებას იქცევს უშგულსა და კალას შუა ინგურის ვიწრო ხეობაში არსებულ კლდეზე შექმნილი ლეგენდა. ან კლდეს სვანება დევის კლდეს უწოდებენ. ლეგენდის ერთი ვარიანტით დევმა მოინდომა ღმერთის ცოლად შერთვა. ღმერთი არ დაეთანხმა. დევმა კლდით გადაკეტა ხეობა, დააგუბა წყალი და წალეკვით დაემუქრა მოსახლეობას. თხამ ოქროს რქებით გაარღვია კლდე და გზა მისცა ინგურს. მოსახლეობა წალეკვას გადაარჩა¹. გავრცელებულია ლეგენდები კავკასიონის ულამაზესი წვერვალების თეთნულდისა და უშბას შესახებ. ზოგი ლეგენდით თეთნულდი და უშბა და-ძმავ; ზოგით — მიჯნურები. ერთი ლეგენდით თეთნულდი პირს არიდებს მასზე გამიჯნურებულ

¹ ჩაწერილი უნგულში 1945 წ. მთქმელი, ღრმად მოხუცებული ნიკარაძე.

უშბას. ნისლი, რომელიც ხშირად ეხვევა თეთნულდს, პირსაბუ-
რავია¹.

გავრცელებულია თქმულებები კოშკებზე, ძვირფას განძე-
ლობაზე და სხვ. მთქმელები ხშირად მიუთითებენ ადგილსაც, სა-
დაც თითქოს აკლდამა იყო ძვირფასი ნივთებით. ამგვარი თქმუ-
ლების შესახებ საინტერესო მთქმელმა მულახელმა (სოფ. ლახი-
რიდან) დიმიტრი აზნავისისძე იოსელიანმა, როდესაც მასთან და-
ვასრულეთ მუშაობა და კეპშვიდობებოდით, გეთიოვა: „ერთ რანეს
ვიტყვი, ისტორიაში შეიტანეო“. შემდეგ ჩავაწერინა თქმულება,
რომლის მიხედვითაც მულახში, ს. ჟოლაში იყო აკლდამა, რომელ-
შიც თითქოს ინახებოდა მრავალი ოქრო-ვერცხლი. მოვისწინეთ
ლეგენდები ოქროსჩქებიან ვერძებსა და თიებზე. ამგვარი ლეგენ-
დები ანარეკლია სვანეთში ოქროს მოპოვებისა, რასაც იქ ჩვენი
მივლინების დროსაც ჰქონდა ადგილი (ოქროს მოპოვებაზე წარ-
მოებდა მუშაობა იფარში).

ოქროს მოპოვებას ასახავს მონადირეთა ციკლის გეოგრაფი-
ულ სახელებთან დაკავშირებული მითოლოგიური თქმულებებიც.
ამგვარი თქმულების ერთი საინტერესო ვარიანტი ჩავიწერეთ 101
წლის მოხუცის, იფარელი (სოფ. ნაკიდარიდან) წერა-კითხვის უცო-
დინარ ბესი სამსაინისაგან. მას იგი გაუგონია სოფ. ელის (იფარი)
მცხოვრებ მონადირეებისაგან. აი ეს თქმულება: „კლდეებში დალი
იყო თურნე. ნაკიდარაში² ქალაქი ყოფილა. სამკედლოც ყოფილა
იქ, ოქროს ჰედავდნენ. მჯავე წყალიც იყო იქ. თურნე ოქროს
რომ ჰედავდნენ. ნადირი ბევრი ეავეოდა. ეკითხებოდნენ იფარე-
ლებს: — სადღეობოდ რა გაქეთო საკლავები. იქ რომ წავიდნენ,
საესე იყო ჯიხკით. იქ ყოფილიყო ერთი დანიშნული ჯიხვი. წა-
სულიყო სანადიროთ ოთისულანი³. დალი კლდენი იყო. ოთისუ-
ლანმა წაიყვანა ძალი და დანიშნული ჯიხვი დაიქირა. ეს იწყინა
დალმა, დათოვა და დალუბა ქალაქი. ძმას აქეთ თოვლი არ აღე-
ბულა. ქვევიდან დნება, ილევა, მაგრამ ზევიდან არ ილევა. ახლა
იქ რომ ოქროს ეძებენ, მაშინდელია. იქით-იქით მსავილად ინა-
ხება, აქეთ — წვრილად“.

მონადირეთა ციკლის მითოლოგიური ხასიათის ნაწარმოებე-
ბიდან საინტერესოა ამ თქმულების უფრო ვრცელი და გამართუ-
ლი ვარიანტი, რომელიც ოქროს მოპოვებასთან არ არის დაკავ-

¹ მთქმელი ნიქარაძე.

² თოვლიანი მთაა, რომელიც გადმოსცქვრის სოფ. ელის.

³ მთქმელის განმარტებით მონადირის სახელია.

შირეპული. იგი ჩაწერილია ს. ელის (იფარი) მცხოვრებ 72 წლის, ლაზარე ხვაბლიანისაგან. მან ქართულად, იმერული დიალექტით, ალაგ-ალაგ სვანური სიტყვების ჩართვით, ჩაგვაწერინა მასალები.

მისი ვარიანტით ს. ელის მცხოვრებმა მონადირეებმა — კვებლიანებმა¹, ხვაბლიანებმა², სამსიანებმა³ სალამარიოდ⁴ და-ხოცეს ჯიხვები ელის მოპირდაპირე მთა ცერის მხარეზე ლახუნ-დაკის⁵ მთავე წყალთან. ნანადირევი გაუნაწილეს მონადირე ხორგვანის ოჯახსაც, თუმც ხორგვანს არ მიუღია მონაწილეობა ნადირობაში. ხორგვანმა იწყინა, რომ არ მიაღებინეს მონაწილეობა ნადირობაში. ლამარიობის მეორე დღეს წავიდა სანადიროდ და მოკლა ნაკრძალი ქრელი ჯიხვი. თქმულებით „მაშინ შეიღრუბლა. იმის ელში მოსვლამდი მევიდა გლახა ამინდი, წვიმა, თოვლი და სადაც მთავე წყალი იყო, ამოტყდა წყალი, აღელდა და ამევიდა აქამდე⁶. ელში არის პატარა სოფელი აცი. იმას მიადგა წყალი. ის დიდი ენგური დაგუბებული ყოფილა და დაზარალა სოფელი. მაშინ რა ექნა სოფელს, შეშინდნენ — რა უნდა ვქნათო, წაგვლექსო. აიღეს ეკლესიაში ხატი, პურები გამოაცხვეს, წავიდნენ და შეულოცეს—ე ცერი, სი ეახნო, ნაი შგურანლ (ცერი, შენ სახელოვანი და ჩვენ შერცხვენილი). ასე რომ შეულოცეს, დაწყნარდა ამინდი და მეორე დილას გამევიდა ენგური და სოფელი გადარჩა და ცერიც გაჩერდა“.

თქმულების ამ ვარიანტში დალის სახელი არ იხსენება, მაგრამ სოფლია წალეკვა, მას უნდა მიეწეროს. ამ თქმულების ორივე ვარიანტით მონადირეთა ქალღმერთი ტაროსის ღვთაების იმ თვისებების მატარებელიცაა, რასაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თამარ მეფესაც მიაწერენ მთქმელები⁷.

ამგვარ სვანურ თქმულებებს უარესად დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგად ქართული მითოლოგიის საკითხების შესასწავლად.

ქართული მითოლოგიის ხასიათის შესწავლისათვის საყურადღებოა საფერხულო სიმღერის ბ ე თ ქ ი ლ ი ს ა და დალის ციკ-

¹ სვანური გვარია.

² იგივე.

³ იგივე.

⁴ ლამარიობა—დღეობა.

⁵ კლდე.

⁶ მთქმელი გულისხმობდა სოფ. ელის შუაგულს. ქ. ს.

⁷ „ქრებული“, 1898, VIII, „ძველი საქართველო“, II, განყ. 4, გვ. 47.

Жборник материалов, т. XIII, гв. 44; т. XXVII, гв. 40 და სხვ.

ლის სხვა თქმულებათა ტრადიცია. რამდენიმე ვარიანტად ჩაწერილ ბეთქილის საფერხულო სიმღერას¹ ადგილობრივი ხასიათი აქვს. მითიური ელფერით შემოსილ მონადირე ბეთქილს თუ ბეთქენს გასწყრომია ღვთაება დალი. იგი გადაჩეხილა კლდიდან და დაღუპულა. ბეთქილის დაღუპვის ადგილად მიჩნეულია კლდე მულახ-მუქალის აღმოსავლეთით, მწვერვალ თეთნულდის კვარცხლბეკთან. მითოლოგიის ტრადიციის თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ სხვადასხვა თემის თუ საზოგადოების ზოგი მთქმელი არ კისრულობდა საფერხულოს შესრულებას, იმ მოტივით, რომ სიმღერაში გადმოცემული ამბავი სინამდვილედ მიაჩნდა და მონადირის ტრაგიკულ თავგადასავალს მულახს უკავშირებდა. ასე მაგალითად, იფარელმა მოხუცმა მთქმელმა ილარიონ პირველმა, რომელიც ახალგაზრდობაში ფერხულის საუკეთესო შემსრულებელი ყოფილა, უარი გვითხრა საფერხულოს შესრულებაზე და გეაცნობა „ეს იციან მულახშიო“. ილარიონ პირველი სერიოზულობით ეკიდებოდა მასალების ჩაწერას. რაკი მას სინამდვილედ მიაჩნდა საფერხულოში გადმოცემული ამბავი, საჭიროდ სცნო მითითება ამ ამბის კარგ მკოდნეებზე. ჩვენ მიხედვით მოვაბერხეთ სხვადასხვა თემში ჩაგვეწერა ამ საფერხულო სიმღერის ვარიანტები. მისი ერთი საინტერესო ვარიანტი ჩავეწერეთ მესტიაში, ს. ლანჩვალში 120 წლის რომთულ ხერგიანისა და მისი მეუღლის 80 წლის მარიამ ნიგუზრიან-ხერგიანის შესრულებით. მარიამი ბრმა იყო. როდესაც იგი ბეთქილის განსაცდელის ამბებს მღეროდა, გულამოსკვნილი ტიროდა. ორი თარჯიმანის დახმარებით ტექსტს სიმღერით შესრულების მომენტში ვიწერდით. მთქმელებისა და თარჯიმანების ცნობით ეს საფერხულო გუნდურად სრულდება. ერთი ტექსტს ასრულებს, ცეკვავს. დანარჩენები ბანს აძლევენ და ტაშს აყოლებენ. მთქმელებმა და მთარგმნელებმა ბეთქილის საფერხულოს შაირი უწოდეს. ტექსტი დაიწყო რომთულმა... შეასრულა პირველი შეიდი სტრიქონი. შემდეგ ჩამოართვა მარიამმა და შეასრულა ბოლომდე. საინტერესოა ამ ვარიანტის კომპოზიცია. რომთულმა შესავლის გარეშე, პირდაპირ ამბით დაიწყო საფერხულო ტექსტი. თხრობა, ეპიკა განაგრძო მარიამმა. შემდეგ თხრობას მოაყოლა დიალოგი. დიალოგი იცვლება გმირის მონოლოგით, სადაც გადმოცემულია მისი დიდი განსაცდელი. ლექსი მთავრდება გმი-

¹ ცნობილია მისი ვარიანტები ჩაწერილი ადრე აკად. აკაკი შანიძის, აკად. ვარლამ თოფურის, მერი გუჯაგუიანის და სხვათა მიერ.

რის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულის გადმოცემით. ღრმად
ემოციურია სიმღერის მეოთხე ნახევარი. ტექსტი ნოგვეყავს მთლი-
ანად:

დაგროვილ ყოფილა მულახ-მუქალში
მაცხვარეშ¹ ეზოში,
სანთლის ფერხულს მიდიანო.
თოთანიდან² ნადირი გამოვიდა,
ბეთქენს შეუვიდა ორ ფენს შუა.
ამის მიმდევნო ვინ იქნება?
ეინ იქნება ბეთქენს გარდა.
თოფი აილო.
წინ ნადირი,
უქან ბეთქენ,
შეუძღვა თოთანში,
წინ სამარხილო გზაა,
უქან — იშლება.
— უქან მოვიხედე,
გზა აშლილია.
შეუძღვა დალთან,
კლდეში შეიყვანა.
ბეთქენმა სალამი მისცა.
— ჩემი მოცემული მძივები რა უყავიო?
— ის დამრჩა თავ ქვეშ.
— აბა, მეც ისე გაგიშვებო!
მარჯვენა ხელის მოსაყიდებელი დარჩა,
მარცხენა ხელის დასადგომი.
— ქვევით ჩავიხედე,
კლდე იზრდება,
ზევით ავიხედე,
კლდე ინგრევა.
დედა, დედა ვვარდები
ზოგს ეკიდა თოკის ტვირთი,
ზოგს ეკიდა ნაბდის ტვირთი.
ქვევით ჩავიხედე,
ნაბდებს მიშლიან,
ზევით ავიხედე,
თოკებს უშვებენ.
დედა, დედა ვვარდები!
დედაჩემს უთხარით,
დილაობით მიტვიროს,
შეიღებოს შავ-წითლად;
მამაჩემს უთხარით,

¹ ეკლესია.

² კლდე.

კვირის თავზე მკურთხონ კვიცრა;¹
ჩემს ძმას უთხარით,
ბავშვები არ დამიბლოს,
ოჯახი არ დამიქციოს;
ჩემ ცოლს მოუყევით (უთხარით),
შეიღებოს შავად, წითლად,
ბავშვები არ დამიბლოს;
ჩემ დას მოუყევით (უთხარით),
ჩაიკვას წითლად, შავად.
დილ-დილობით მიტიროს!
დედა, დედა ვვარდები!
ჩამოვარდნილა კლდეზე,
ხორცი კლდეს შერჩა,
ძვლები კლდიდან დაგორდა.²

შაირი უწოდა ბეთქილის საფერხულო სიმღერას აგრეთვე იფარელმა (ს. ნაკიფარიდან) ისაკ გუჯეჯიანმა. ისაკ გუჯეჯიანი ფერხულის კარგ შემსრულებლად ითვლებოდა. როდესაც ჩვენ მას შევხვდით მის მშობლიურ სოფელში, იგი ავადმყოფი, ლოგინად იყო ჩავარდნილი. მაინც ზოვახერხეთ მისგან ბეთქილის საფერხულოს საინტერესო ვარიანტის ჩაწერა. ისაკ გუჯეჯიანის ვარიანტის მიხედვით ბეთქენის დალუპვის მიზეზი მისი რძალი თამარი ყოფილა, რომელსაც დაურღვევია მონადირეობის რიტუალი. საინტერესოა, რომ ამ ვარიანტის მიხედვით მონადირეთა სარიტუალო წესის დამრღვევს უშველის მხოლოდ საფერიულოს მოსმენა. ისაკ გუჯეჯიანის მიერ შესრულებული საფერხულოს ვარიანტი ასე მთავრდება:

იმის მაშველი სხვა არაფერი არ არის,
სანთი (საფერხულო) უნდა მოისმინოს...

განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანი საზღაპრო რეპერტუარი აქვთ სევანებს. სპეციალური და საკმაოდ მოკლე ხნის მივლინების გამო ჩვენ არ გვქონდა საშუალება გვეწარმოგვინა სათანადო დაკვირვება ხალხური სიტყვიერების ამ მეტად საინტერესო ეანრის ნაწარმოებთა გავრცელებაზე, მის კუთხურ თავისებურებაზე, ზოგად ქართულ, თუ მსოფლიო მნიშვნელობაზე. ჩვენ გვახსოვდა ალ. ხახანაშვილის მიერ ხაზგასმული ქართული ზღა-

¹ გარეული ნადირია.

² სვანურიდან თარგმნილია სიმღერის შესრულების პროცესში გალინა ნიჯარაძისა და ზაბით ხერჯიანის მიერ.

პრების მსოფლიო მნიშვნელობა თავისუფალი სვანის მიერ ქართულ ენაზე 1893 წელს გამოცემული „სვანური ზღაპრების“ მიხედვით¹. ყოველთვის ვცდილობდით არ გაგვეშვა ხელსაყრელი პირობა და აღგვენიშნა ზოგი რამ სვანეთში ზღაპრების ტრადიციის შესახებ. ზღაპრის ტრადიცია სვანეთში ისეთ საინტერესო სურათს იძლევა, რომ საჭიროა ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მისი საგანგებოდ შესწავლა. გარკვეული მნიშვნელობის ზოგი ფაქტის აღნიშვნა ჩვენ მაინც შეეძლო. ზღაპრები სვანეთში იციან ყველა ასაკის როგორც ქალებმა, ისევე — მამაკაცებმა; უფრო მეტი რაოდენობით ფანტასტიკური ზღაპრებია გავრცელებული. არის სხვა სახის ზღაპრებიც. საკმაოდ ძლიერი ტრადიცია აქვს საყოფაცხოვრებო ნოველებსაც. ორივე სახის ზღაპრებში იშვიათი არ არის ხალხის ჯანსაღი იუმორი და მახვილი სატირა.

ზღაპრის ტრადიცია სვანეთში დღემდე მკიდროდ არის დაკავშირებული რელიგიურ დღესასწაულთან, რომელსაც სვანები ლიფანაღს უწოდებენ. ეს ფაქტი გასული საუკუნის დასასრულს დამოწმებული და აღწერილი აქვს დ. ანტონიძეს წერილში „წინაპართა სულების თაყვანისცემა სვანეთში“.² განსაკუთრებით დიდი სამზადისით ეს დღესასწაული იმართებოდა იანვრის პირველ რიცხვებში. სადღესასწაულო წესებში ზღაპრის თქმას გარკვეული დანიშნულება ჰქონდა. მას ყვებოდნენ გასართობად მიცვალებულთა სულებისა, რომელნიც სვანების რწმენით უსხდნენ სურსათ-სანოვავით დატვირთულ სუფრას. ჩვენ გვინტერესებდა გაგვეჩვენა, ამ დღისათვის ხომ არ იყო შერჩეული საგანგებო რეპერტუარი ზღაპრებისა. როგორც ირკვევა, ბოლო ხანებში ლიფანაღის დროს ყვებოდნენ ყოველგვარ ზღაპრებს. საფიქრებელია, ადრე გარდაცვლილთა თავგადასავლის შესაფერ ან საიქიოზე წარმოდგენების ამსახველ რეპერტუარს არჩევდნენ ლიფანაღისთვის.

სვანური ზღაპრის რელიგიურ ფუნქციაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ მეზღაპრენი მას ასე იწყებენ: „იღლეგრძელეთ“ (მთქმელი ლაზარე ხეაბლიანი), „ღმერთმა დაგლოცოთ“ (გიორგი ავალიანი). ასე დაიწყეს მეზღაპრეებმა ტექსტები, რომელნიც ჩვენი მივლინების წელს ლიფანაღში შეუსრულებიათ.

სვანეთში ზღაპრის თქმის ტრადიცია დაკავშირებული ყოფილა ფეოდალების კართანაც. ბალსზემო სვანეთში ცნობილი მო-

¹ „მოამბე“, 1894 წ.,

აღლ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, წერილი „სვანური ზღაპრების“ შესახებ.

² „მოგზაური“, 1901 წ., № 6.

მღერალი, შესანიშნავი მეზღაპრე და ეთნოგრაფიული ყოფის საუკეთესო მცოდნე ემზა ალექსანდრეს ძე გუჯეჯიანი ხუთი წლის განმავლობაში თენგიზ დადეშქელიანის ძმის ბეჟარბის კარზე ყოფილა მოსამსახურედ. მან გვიამბო: „დადეშქელიანები ხშირად შემოდოდნენ ვახშმის კეთებისას საალში, სადაც ორმოცი კაცი ვიყავით და გვალაპარაკებდნენ ზღაპრებს. ერთხელ მე მითხრა:— შენისთანა ზღაპრები მეც ვიცი, ოღონდ შენი ლაპარაკი მიყვარსო და უნდა მითხრა ზღაპარი ყოველ ღამესო. მატყუებდა და მალაპარაკებდა. სხვა სამუშაოზე გარეთ არ მგზავნიდა. დღე არაფერი არ იყო ჩემი საქმე და ღამით არ მაძინებდნენ „დღისით ძინე და ღამით ილაპარაკე““.

ემზა გუჯეჯიანის ბიოგრაფიის ეს მომენტი ნათელი ილუსტრაციაა აკაკი წერეთლის ცნობისა იმის შესახებ, რომ საქართველოში იყვნენ გლეხები, რომელნიც ბატონების ბეგარას ზღაპრების მოყოლით იხდიდნენ¹. ემზა გუჯეჯიანს ჩვენ შევხვდით, როდესაც იგი 96 წლისა იყო. ღრმად მოხუცებულს მაინც ახსოვდა ორმოცამდე ზღაპარი. საისტორიო ხასიათის ნაწარმოებთა გარდა, მისგან ჩაეწერეთ საქმაოდ ვრცელი მოცულობის შვიდი ზღაპარი.

ზღაპრის ტრადიციის თვალსაზრისით საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ემზა გუჯეჯიანი თავისი რეპერტუარის წყაროდ მის მამას ალექსანდრეს ასახელებდა. მთქმელის ცნობით მამამისსაც იწვევდნენ დადეშქელიანები, როგორც კარგ მეზღაპრეს. მოწაფედ ზღაპრის შესრულების თვალსაზრისით იგი თავის შვილს ლევანს ასახელებდა. ეს ფაქტი საგულისხმოა თაობიდან თაობაზე ზღაპრების გავრცელებისა და ამ გავრცელებისას ხალხში ერთგვარი სკოლის არსებობის თვალსაზრისითაც.

ემზა გუჯეჯიანის გარდა ჩვენ შევხვდით საინტერესო მეზღაპრეებს, რომელთაგანაც ჩაეწერეთ მათი რეპერტუარის ნიმუშები. ასეთებია მესტიელი (ს. ლანჩავლიდან) მარიამ ნიგურიანი-ხერგიანისა, იფარელი (ს. ნაკიფარიდან) იოსებ პირველი, ს. ელიდან ლაზარე ხვაბლიანი, ს. ჰადიშიდან გიორგი ავალიანი. ბალს ზემო სვანეთში კარგ მეზღაპრეებად ითვლებოდნენ აგრეთვე დიმიტრი პირველი (სოფ. ნაკიფარი-იფარი), დავით მარგიანი (მულახი-მუჟალი), გიორგი ფალიანი (ლენჯერი). მათ ხშირად იწვევდნენ ლიფანაშვილში ზღაპრების მოსაყოლად. დროის უქონლობის გამო ჩვენ მათ ვერ შევხვდით.

¹ აკ. წერეთელი, ხალხური ზეპირსიტყვიერება და მისი მნიშვნელობა. „თემი“, 1913 წ., № 118.

სვანური ზღაპრების პოეტიკაში ყურადღებას იქცევს სიტუა-
ციათა დამაკავშირებელი და დასასრულის მზაფორმულები. შესა-
ვალი ფორმულების მაგივრობას ასრულებს ზემოაღნიშნული და-
ლოცვები, მაჩვენებელი ზღაპრის უძველესი ფუნქციისა.

ზღაპრებისა და თქმულებების თხრობისას მთქმელები ხშირად
მიმართავენ ძველი და ახალი ყოფის შედარებას.

სვანი მეზღაპრეები გაურბიან უხეშ გამოთქმებს და თუ მაინც
ვერ უვლიან გვერდს ამგვარ გამოთქმას, იმ შემთხვევაში ბოდიშს
იხდიან. მათ რეპერტუარში არ შეგვხვედრია არც ერთი უბამისი
გამოთქმა.

ზღაპრის ტრადიციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ
ბალს ზემო სვანეთში არ შეგვხვედრია არავითარი ნიშნები საქა-
რთველოს სხვა კუთხეებში (ფშავი, ქართლი, იმერეთი) დადასტუ-
რებული ტაბუ ზღაპრის მოყოლაზე. ჩვენი მთქმელები ზღაპრებს
ყვებოდნენ წელიწადის ყოველ დროს, დღის მთელ მანძილზე. მათ
არ ახსოვდათ და არც წინაპრებისაგან გაუგონიათ ზღაპრების მო-
ყოლის აკრძალვა დღისით ან ზაფხულობით.

ეპიკური ციკლის ნაწარმოებებიდან გავრცელებულია ამირა-
ნიანი, როსტომიანი და ეთერიანი. ჩაწერეთ ამირანიანის ოთხი
ვარიანტი. სვანები ამირანიანს, მსგავსად ხევსურებისა, მეტწილად
აიგივებენ საისტორიო ნაწარმოებებთან. ხშირად უწოდებენ მას
ნამბავს (ანტონ ხერგიანი, გიგო შუკვანი) ან ჰარაკს (ლაზარე
ხეაბლიანი).

ჩვენს მიერ ჩაწერილ ამირანის ციკლის თქმულებებიდან ორ
ვარიანტში იგრძნობა ლმერთმებრძოლეობის მოტივი. ანტონ ხე-
რგიანის ვარიანტით ამირანი ვერ იცნობს მის ნათლია ქრისტეს
და სურს დაეჭიდოს. იესო ქრისტე დარგავს ხეს, ფესვებს გაუშვებს
მთელს დედამიწაში და ამირანს აძლევს წინადადებას, დაეჭიდოს
ხეს. ამირანი იცნობს ნათლიას და შერცხვება.

ლაზარე ხეაბლიანისაგან ჩაწერილი ვარიანტი ამირანისა და
მისი გაზრდილი ლეკვის ყურშას ურთიერთობით იწყება. ამირანს
ყურშა კლდეში დარჩა. გმირი მოთქვამს: „—ჩემთან გქონდა სა-
ჭიელად პურის ქაბაბი; სასმელად—ღვინის ბადაგი; ლოგინად—სა-
ბანი და ბუმბული. დღეს გაქვს პურის პატარა ნამცეცები; სასნე-
ლად წყალი; ლოგინად—კანათის ნაძებები“. ამის შემდეგ მთქმელი
განაგრძობს: „მაშინ გაჩნდა ამირანთან ყურშა. ახლაც იმასთან
არისო ყურშა. ამირანი არის რკინის ჯაჭვით პალოზე დაბმული.
პალოს ასწევს ამირანი, ცოტა წვერი რჩება მიწაში, უნდა ამოი-
ლოს, მაშინ მოვა უბედური ჩიტი, დაჯდება პალოზე, ამოიღებს

უროს ამირანი, მოუქნევს ჩიტს, დაკრავს პალოზე, ჩიტი გაფრინდება და პალო ისევ მიწაში ჩადის. ახლა ორივე იქვე არიან კლდეზე—ამირანი და ყურმა“.

ანტონ ხერგიანის ვარიანტიში მკრთალად შემონახულია გმირის მშრომელი ხალხისადმი ზრუნვის მოტივი. ამ ვარიანტით „როდესაც მიწაზე დადიოდა ამირანი, ეხლა რომ ცერცვის მარცვლი წვრილია, ისე მსხვილი ყოფილა, წისკვილის პირში ვერ ეტეოდა“. აქვე იგრძნობა გმირის პატრიარქალური განწყობილება. ამირანი როცა მიწაზე დადიოდა, „ქალი ისე პატარა ხმის ყოფილა, რომ იატაკიდან ქერში მისი ხმა ძლივს ისმოდა. ეხლა გაფუჭებულა ხალხიო უთქვამს, რომ ქალის ხმა მთელს უბანს აწუხებსო“.

ემზა გუჯეჯიანის ვარიანტი, რომელიც შერეული ფორმითაა ნათქვამი (ლექსი და პროზა), ფრაგმენტულია. იგი სანადიროდ წასულ ამირანის კოშკთან მისვლას და ცამკუმის გეამის ნახვას ეხება. ამ ვარიანტით ამირანთან ერთად სანადიროდ არიან „ყმანი მისნი“. კოშკთან ბალხეთის მინდორში მონადირენი მიყავს ოქროსრქებიან ირემს. ცამკუმის სახელი ვარიანტში არ არის ნახსენები. იგი „უსუპის ძმისშვილია“. აქვე გადმოცემულია ამირანისა და ბაყბაყდევის შებმა. მთქმელი ღვეს „ყბაყს“ უწოდებს.

თავისებურია ლენჯერელი მთქმელის 90 წლის გიგო შუკვანის (ს. ლემსიადან) ვარიანტი. იგი შექმნილია ს. ლაშთხვერში (ლენჯერი) ეკლესიის კედელზე დღემდე შემონახული სიუჟეტური ფრესკების გავლენით. ეს ფრესკები, როგორც ცნობილია, ასახავენ მოსე ხონელის ამირანდარეჯანიანის ეპიზოდებს. ფრესკებთან ერთად კედელზე შემონახულია ასომთავრული წარწერები. გიგო შუკვანმა ქართული ენა არ იცოდა. ტექსტი, რომელიც მან ჩაგვაწერინა, გაგონილი ჰქონდა მამისაგან. ტექსტი მოგვყავს მთლიანად, როგორც ნიმუში ლიტერატურის, მატერიალური კულტურის ძეგლისა და ზეპირსიტყვიერების ურთიერთობისა:

„ღვეი იპყრობდა ქვეყანას. მასთან შებმა და წინააღმდეგობის გაწევა ამირანის მეტმა ვერავენ ვერ შეძლო. როდესაც მთავარ ანგელოზის ეკლესია¹ დაუმთავრებიათ, მაშინ აქამდე (გულისხმობდა ლენჯერს, ქ. ს.) მოსულა ამბავი, რომ მან (ამირანმა, ქ. ს.) ღვეი დაამარცხაო. იმის აღსანიშნავად არის მხატვრობა გაფორმებული.

¹ ეკლესია ს. ლაშთხვერში (ლენჯერი), რომლის კედელზედაც დღემდე შემონახულია ამირანდარეჯანიანის ეპიზოდების ამსახველი ფრესკები ასომთავრული წარწერებით. ქ. ს.

როდესაც ამირანმა დევი დაამარცხა, დევის დამხმარე გველი აღმოჩენილა. ამირანის მამას ხელი აუმართავს ღმერთისთვის და შევედრებია — იხსენი ჩემი შვილიო.

ამირანს დევთან შებრძოლების დროს თან ახლდა მისი ძმები: ვისპი, ბადრი და სეფეთარი¹. დევი ცეცხლით შებრძოლებია. თან კვერი ჰქონია დევს, რომელიც ამირანის ცხენისთვის დაურტყამს თავში. ამირანს უხელთია და ამ დროს დევისთვის ჩაუცია ხანგარი და თავი გაუპია მისთვის².

დაგვიანტერესა ეთერიანის ვარიანტმა, რადგანაც ზოგი სპეციალისტის მოსაზრებით ეთერიანის გავრცელების არე თითქოს მაოლოდ აღმოსავლეთ საქართველოა. თქმულების ვარიანტი ჩაიწერეთ მარიამ ნიგურიანი-ბერგიანისაგან. როგორც აღვნიშნეთ, იგი ქართული ენის უცოდინარი იყო, თქმულება გაგონილი ჰქონდა დედისაგან სოფ. სეტის (მესტია) მცხოვრებ მარხულ მუშკუდიანი-ნიგურიანისაგან, რომელმაც აგრეთვე არ იცოდა ქართული ენა. მთქმელის ცნობით სვანეთში ეს თქმულება სხვადასხვა სახით ყოფილა გავრცელებული. ჩვენს მიერ ჩაწერილი ვარიანტი დედინაცვლისა და გერის შესახებ არსებული ზღაპრის მიხედვით იწყება. ამ ვარიანტში უფრო ორგანულად, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში ჩაწერილი ვარიანტებით, არის დაკავშირებული ზღაპარი და ეპიკური თქმულება. ამიტომ მას უდაოდ აქვს ნიშნენლობა ეთერის შესახებ არსებული თქმულებისა და დედინაცვლისა და გერზე არსებული ზღაპრის გენეტიკური კავშირის გასარკვევად. მარიამ ნიგურიანმა თავის ვარიანტს ზღაპარი (ციგინ) უწოდა. იგი მან ასე დაასათურა „ეთერი და მამამისი“. თქმულება შესავლის გარეშე იწყება იმით, რომ ეთერს და მის მამას ძროხა ყავთ. (ეს არის ძროხა, რომელიც ობლის ჯადოსან ქომავალ გვევლინება, როგორც ქართულს, ისე სხვა ხალხის ზღაპრებში). ავი დედინაცვალი ძნელი დავალებით გზავნის ეთერს ძროხის სამწყემსავად, ძროხა შველის კეთილ ქალს ძნელი დავალების შესრულებაში. დედინაცვალი მას მაინც ნაცარს შეაყრის. მთვარე ამშვენებებს ობოლ ქალს. ახლა საკუთარ ქალს გზავნის ეთერის დედინაცვალი ძროხის სამწყემსავად. უდიერ ქალს ძროხა სჯის. დედინაცარს შეაყრის თავის ქალს, იმ რწმენით, რომ მასაც გაამშვენიერებს მთვარე. მთვარე არ წყალობს ქალს და იგი რჩება მახინჯი-

¹ ასომთავრულა წარწერა ეკლესიის კედელზე სეფედავლე დროთა ვითარებაში ხალხში გადასულია როგორც სეფეთარი. ქ. ს.

² თქმის პროცესში თარგმნიდა აკაკი გულედანი.

დედინაცვლის მოთხოვნით ძროხას კლავენ. ძროხა ანდერძს უბარებს ეთერს, რომ შეინახოს მისი მევლები, ტყავი და ბალანი. სახალხო დღესასწაულში მიდიან ეთერის დედინაცვალი თავის ქალით. ეთერს ისევ ძნელ დავალებას აძლევენ. ჯადოსანი ქომავის ძვლების დახმარებით ქარის ცხენი ეთერს წაიყვანა სახალხო დღესასწაულზე. ხალხს ქალი ლამარია ჰგონია. ეთერი დედინაცვალსა და მის ქალს ქარის ცხენიდან ესვრის იბოს ბეჭის ძვალს, მორტყამს შუბლში და ორთავეს შუბლზე დაეატებათ სამარცხვინო სურათები. ეთერი კარგავს ჩექმას. პოულობს თავადისშვილი აბესალომი. ჩექმის საშუალებით იპოვნია ეთერს (დედინაცვალი და მისი ქალი ჩექმის მორგების მიზნით თითებსაც კი იჭრიან). აბესალომს მიჰყავს ეთერი. აშირალომი მკებნარებს დაახვევს ეთერს.

მთქმელის სიტყვებით — აბესალომმა ც თავი სასიკვდილოდ გასწირა და ეთერი აშირალომს გაატანა¹. აშირალომს კეკლესინის ზღვაში მდგარ თავის კოშკში მიყავს ეთერი. აშირალომი ჯარში მიყავთ. ჯარში მყოფი აშირალომი მუქმი ჩასხმული წყლის სისხლად ქცევით (მეორდება სამჯერ) გაიგებს კოშკიდან ეთერის წასვლას. თქმულება ასე მთავრდება: „აბესალომმა თავი სასიკვდილოდ გასწირა. მას ყავდა კოშკში სამ წელს და, რომელსაც სამი წლის განმავლობაში არ ენახა მზე, მთვარე და დედამიწა. აბესალომმა გაატანა მას ოქრო და უთარა, სადაც წაიყვანოს, გაყვიო. ოქროს ნაქერმა ქალი მიიყვანა იქ, სადაც ეთერი იყო. მივიდა მასთან და ეთერი და აბესალომის და შემამანაგდნენ. მოვიდნენ აბესალომთან. როგორც კი ეთერი დაინახა აბესალომმა, სული დალია. ეთერმა ჩამოიღო მისი დაშნა და ყელი გამოიჭრა, წაიქცა აბესალომის ტახტზე. აბესალომის დამ თავი მოიკლა. სიკვდილის წინ ღმერთს შეეხვეწა: — ღმერთო, ეთერის, აბესალომის და ჩენს საფლავზე რძის ზღვა დააყენო. ამათ საფლავზე რძის ზღვა დადვა მართლაც. — აბესალომის საფლავზე ვერცხლის ჯამი გაჩნდა. ვინც აივლის და ჩაივლის, ყველა შენდობას ეუბნება მათ. გაიგო ეს ამბავი აშირალომმა. დაათვალღერა სასათლაო და იქვე ყელი გამოიჭრა — მის საფლავზე ჭინჭარი და ეკალი ამოვიდა. გამვლელი და გამოშვლელი აგინებს მას“¹. აღსანიშნავია, რომ სვანურ ვარიანტში აბესალომის მოლაღატის სახელი აშირალომია. იგი ახლოს არის ფშაურ

¹ ტექსტს მოყოლის პროცესში გვითარგმნიდა გალინა ნიქარაძე.

ვარიანტთან, რომლითაც მოლაღატე ვეზირს შერელომა ჰქვია¹. ვაჟა ფშაველამაც თავისი პოემის „ეთერის“ გმირს შერე უწოდა.

სვანეთი ამჟამადაც საინტერესოა როსტომისა და ზურაბის შესახებ არსებული თქმულების ტრადიციის თვალსაზრისით. თავისუფალმა სვანმა (ბ. ნიჟარაძემ) 1887 წელს გამოაქვეყნა მეტად საინტერესო ვარიანტი ამ თქმულებისა². ახალჩაწერილ ვარიანტში, მსგავსად თავისუფალი სვანის მიერ ჩაწერილი ვარიანტისა, თქმულებაში გამახვილებულია სოციალური მოტივი. ეშმაკებსა, დევებსა და სხვა მანე ძალებთან ერთად ბოროტ ძალად გამოყვანილია დიაკონი. იგი განზრახ ღვრის უკვდავების წყალს, რათა არ დაუბრუნდეს როსტომის მემკვიდრეს სიცოცხლე. ახალჩაწერილ ვარიანტშიც მუსიკას დიდი შთამაგონებელი როლი და სასიცოცხლო ძალა აქვს. როგორც ძველი, ისე ახალი ვარიანტით შვილის მკვლელი მამა ბნელ ორმოში ზის და ქუნირს უკრავს. განსხვავება იმაშია, რომ ადრე ჩაწერილი ვარიანტით ქუნირს უბედური წამა აკეთებს საკუთარი წვერის თმებითა და ზურაბის მკლავით. ახალჩაწერილი ვარიანტით-კი შვილის თავისა და წვერისაგან არის გაკეთებული ქუნირი. ახალ ვარიანტში, განსხვავებით ძველისაგან, აღსანიშნავია ისიც, რომ მამის საძებრად წასული შვილი მგზავრობისას ჩონგურს უკრავს, რის გამოც ბევრ ხიფათს გადაეყრება. ახალ ჩაწერილი ვარიანტი სხვა მბრძოლვე იჩენს თავისებურებას. მასში ჯადოსან ქომავად გამოყვანილია ჩიტი, რომლის სამუალებითაც როსტომი ამარცხებს დევს. ახალჩაწერილ ვარიანტში არ არის მანიჯასა და ბეჟანის თავგადასავალი.

აღსანიშნავია, რომ სვანეთში ჩვენს მიერ ჩაწერილი ეპიკური ციკლის თქმულებებიდან ეთერიანი და როსტომიანი ზღაპრების პოეტიკით ხასიათდებიან.

საინტერესოა შელოცვების ტრადიცია სვანეთში. შელოცვას სვანები ლიქვდანს უწოდებენ. შელოცვის ტექსტს სვანები უკავშირებენ მაგიურ მოქმედებას. შელოცვების შესრულებისას არ არჩევენ დღის გარკვეულ დროს (ცისკარს, საღამოს ჟამს) ან ადგილს (გზაჯვარედინს). მთქმელები შელოცვის არც ჩურჩულით შესრულებას თვლიან სავალდებულოდ. შელოცვას ასრულებენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები, მეტწილად—მოზუცები. ჩვენი მთქმელებიდან შელოცვების შესრულებით გამოირჩეოდნენ — მესტიელი რომთულ ხერგიანი, 120 წლის, იფარელი ბესი სამსიანი, 101

¹ „ივერია“, 1888 წ., № ...

² „ივერია“, 1887 წ., № 214.

წლის და მესტიელი (ს. სეტიდან) მარიამ ნიგურიანი-მუშკუდიანი, 100 წლისა. სვანური შელოცვების ტექსტები მეტწილად ქართულ სიტყვებს შეიცავს. ამგვარ შელოცვებს ასრულებენ ქართული ენის უცოდინარი სვანებიც. ასე მაგალითად, ქართული ენის უცოდინარმა მარიამ ნიგურიანმა-მუშკუდიანმა ასე დაიწყო თვალნაკრავის შელოცვა:

თანი თან თენებულო,
მაწყინარი, შორებულო.
შინაური, გარეგნული¹
იესო ქრისტე,
მიქელ, გაბრიელ და ა. შ.

მანვე შეასრულა დამბლის, პირისღებინების და სხვა შელოცვები. ჩვენი მთქმელების მიერ შესრულებულ შელოცვებში ნახმარი გაუგებარი სიტყვები არ ითარგმნებოდა. მარიამ მუშკუდიანმა ჩაგვაწერინა თქმულება შელოცვების მწიგნობრულ წარმოშობაზე. ამ თქმულებას მთქმელმა, როგორც თითქოს ნამდვილ ამბავს, ნამბავი უწოდა. მოგვყავს თქმულების ტექსტი: „ლამარიას ედგა საქსელავი. ამდგარა ლამარია და თვალებიდან ჩამოსდენია ცრემლები. ცრემლები ოქროთ ქცეულა. ლამარიას კალთა ავსებია ოქროთი. ჩამოუვლიათ სხვა სალოცავებს, რომლებიც ახლა დაყოფილია. წმინდა გიორგის (ჯგრაგ), მიქელ მთავარანგელოზს (მიქემ თარინგულ) და სხვებს. ისინი შეხვედრია ლამარიას. უნახავთ საქსელავები. მათ დაუწერიათ დიდი წიგნი, რომელშიც ყოფილა ადამიანისათვის საჭირო ყოველგვარი შელოცვა: ფქვილის ხელის ხლებაზე, ცელებით მკაზე და ყველაფერზე, რაც კი არსებობს. ეს წიგნი იპოვეს მულახის ეკლესიაში ძველ დროში. ინახებოდა საყდარში. ერთერთი ლაშქრობის დროს ეს წიგნი რომ არ დაკარგულიყო, შეუნახავს საყდართან მცხოვრებ ქალს. მერე იქიდან შელოცვები გადმოუწერია ჯანსულს². მერე იმისმა შვილებმა ისწავლეს. იმათ კიდევ სხვებს ასწავლეს და ასე გავრცელდა შელოცვები ხალხში“³.

აღსანიშნავია, რომ შელოცვების კარგმა მცოდნემ როქოთულ ხერგიანმა არ ჩაგვაწერინა არც ერთი ტექსტი შელოცვისა. დანარჩენი მთქმელებისაგან ჩავეწერეთ სამკურნალო და სამეურნეო შელოცვები.

¹ სიტყვიდან გარეული, ქ. ს.

² მთქმელის ცნობით იგი თავადი ყოფილა. მან გვარი არ იცოდა. სხვა მთქმელები გადმოცემებში იხსენიებდნენ ჯანსულ დადმუშკელიანს. ქ. ს.

³ თქმის პროცესში მითარგმნიდა ს. სეტის მცხოვრები ნინო ზვამლანი—ნიგურიანისა (დამთავრებული აქვს შვიდწლელი).

ჩვენი დაკვირვებით ბალს ზემო სვანეთში პროზა უფრო მდიდარია, ვიდრე — პოეზია.

ბალს ზემო სვანეთის მთქმელებმა იციან ლექსები სხვადასხვა სოფლებსა და კუთხეებზე. ბალს ზემო სვანური პოეზიის სპეციფიკად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ მასში, როგორც დამოუკიდებელი ჟანრი, სრულებით არ არის წარმოდგენილი ტრადიციული შაირები (ოთხსტრიქონიანი, რვამარცვლოვანი ლექსები, რომელნიც ხშირად პარალელიზმით არიან შეკრულნი)¹. შაირები, როგორც ზეპირი პოეტური შემოქმედების ჟანრი, სვანეთში ახალი მოვლენაა.

ჩავწერეთ ოციოდე ნიმუში გამოცანისა (მამმოშ). აქედან სამი ტექსტი ხანში შესული ქალისაგანაა ჩაწერილი. დანარჩენი - კი ბავშვებისაჲან. ბავშვები გამოცანებს მხოლოდ სვანურად ამბობდნენ. ჩვენ მოვახერხეთ გამოცანების სვანურად ჩაწერა. შემდეგ ისინი ქართულად გვითარგმნა მიხეილ ჩართოლანმა. ზოგი ამ გამოცანებიდან თანამედროვე ტექნიკური პროკრესის ამსახველია: ასეთია მაგალითად გამოცანა:

ეშუ მიჰე ხარ, მესინ ჟიბჰე ხარ,
მესინ ჩუბჰე—ლატვრალე ლანდჰარ

(ზოგჯერ ხევით აქვს ოჲა,
ზოგჯერ—ქვევით—ელექტრო ჩამრთველი).

სვანურ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულია ანდაზებიც, რასაც იქ პარაკ-ჰურაკ-ს უწოდებენ. ჩვენ არ გვეკონდა შემთხვევად საშუალება ჩაგვეწერა ანდაზები.

ჩვენს მიერ ჩაწერილი საბჭოთა ხალხური პოეზიის ნიმუშები ყველა დიდი საწამულო ომის თემაზეა შექმნილი. ეს ლექსები სვანეთს გარდა გვხვდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ესენია სატირული შაირები მიმართული აგრესორების წინააღმდეგ.

ჩვენ ჩავიწერეთ აგრეთვე ირაკლი აბაშიძის ლექსის „კაპიტანი ბუზაიძის“ ვარიანტი. მას სიმღერით ასრულებდნენ უშგულის მცხოვრები სვანი ახალგაზრდები. შეასრულებლებს ოდნავ შეეცვალათ ირაკლი აბაშიძის ლექსი. ჩვენმა მთქმელმა ლექსი ჩავგაწერინა, როგორც ხალხური ტექსტი. მან არ იცოდა მისი ავტორი.

ვაკვირდებოდით აგრეთვე მატერიალური კულტურის ძეგლებს, რითაც მდიდარია სვანეთი. ახალ ნაგებობათა შორის აქა იქ შე-

¹ ჩვენ მხედველობაში არ გვაქვს შაირი სვანური ვაგებით, რომ სვანები შაირს უწოდებენ ყოველ ლექსს, მიუხედავად მისი მეტრისა და ზომისა. თუ სასიმღეროა უწოდებენ ლი დ ო ნ ლ -ს. კ. ს.

მორჩენილა ძველი სვანური სახლები კოშკებით (კოშკებში ახლაც ნახავთ ნადირების და ფრინველების ძვლებს). არის ვიწრო ქუჩები მაღალ გალავანთა შორის, რომლებიც გვაგონებდნენ ძველ აღმოსავლურ ქალაქებს.

სიძველეთა მკვლევარსა თუ მოყვარულს რჩება მეხსიერებაში ლენჯერში ს. ლაშთხვერში სიუჟეტური ფრესკები ეკლესიის გარე კედელზე — გველეშაპებისა და დევების ნებრძოლები — ამირანი, ბადრი, უსუპი და სეფედავლე. იქვეა ასომთავრული წარწერები.

მეტად საინტერესოა ლალამში (მესტია) ეკლესია ფრესკებით (ირემი, შველი და სხვ.) და საგვარეულო აკლდამით; ეკლესია იფარში მრავალგვარი ფრესკებით; ქალაში ლაგურკა (წმ. კვირიკეს ეკლესია) ძვირფასი განძებით და სხვ.

ჩვენს მივლინებას სვანეთში, შეიძლება ითქვას, უფრო დაზვერვის ხასიათი ჰქონდა. სვანეთის მდიდარი და მრავალფეროვანი ზეპირი პოეტური შემოქმედების შესასწავლად საჭიროა გეგმაზომიერი საველე მუშაობის ჩატარება კომპლექსური ექსპედიციების სახით.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ავტორის აგან . . .	III
2. კონსტანტინე გამსახურდია და ხალხური შემოქმედება .	1
3. გიორგი ლეონიძე და ხალხური შემოქმედება	47
4. ირაკლი აბაშიძე და ხალხური პოეზია	77
5. ლიტერატურულ ნაწარმოებთა ზეპირი ვარიანტები	98
6. საბჭოთა პატრიოტიზმი ქართულ ხალხურ პოეზიაში	114
7. ბატონყმობის ასახვა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში	134
8. კლასთა ბრძოლა ქართულ ხალხურ პოეზიაში (კაპიტალიზმის ხანა)	174
9. საგმირო ლექსები	196
10. ქართული ზღაპრების სოციალური მოტივების შესწავლისათვის . .	233
11. ქართული ზღაპრების სოციალური ფუნქციისათვის .	249
12. ქართული ხალხური ლირიკის სიმბოლიკის საკითხები .	266
13. ვახუშტი ბაგრატიონი ხალხური შემოქმედების შესახებ	294
14. კორნელი კეკელიძე და ქართული ხალხური შემოქმედების საკითხები .	318
15. ხალხური პოეზიის ტრადიცია საკოლმეურნეო სოფლებში (ყვარლის რაიონი)	337
16. ზევსურეთში სამეცნიერო მივლინებანი	372
17. ზეპირსიტყვიერების ტრადიცია ზემო სვანეთში	389



რედაქტორი ა. ლლონტი

*

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ცერცვაძე
ტექნიკური რედაქტორი შ. დოლიძე
კორექტორები { რ. ჩირვაძე
 შ. თადუმაძე

შეკვეთის № 153

შე 01242

ტირაჟი 2000.

გადაეცა წარმოებას 16/1-58 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/V-58 წ. ანაწყოების ზომა 6×10. ქალაღდის ზომა 60×92. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდენობა 21,12. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 26.

შასი 14 შან.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის
სტამბა-ლითოგრაფია, ი. ჭავჭავაძის პაროსპექტი, 1.

Типо-литография изд-ва ТГУ им. Сталина, проспект И. Чавчавадзе, 1.